

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი



პროგრამა "ლოგოსი"

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში



2012
თბილისი

ლევან გორდეზიანი

კველი ისტორიის
ნარკვევები

მეორე, შევსებული და შესწორებული გამოცემა

თბილისი
2012

რედაქტორი: ირინე ტატიშვილი
edited by Irene Tatišvili

© ლევან გორდემიანი, 2012
© პროგრამა "ლოგოსი", 2012

პროგრამა "ლოგოსი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13 (თსუ VIII კორპუსი), ოთ. 14,
0179 თბილისი. ტელ. 225-02-58

ISBN 978-9941-437-10-6

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია უკანასკნელი წლების ჩემი მუშაობის შედეგები. ჩემი სამეცნიერო ინტერესების გრადიციულ სფეროებს – მიკენურ გექსტებსა და ძველი მსოფლიოს სოციალურ ისტორიას – ბოლო ხანებში შეემატა მითოლოგია როგორც წყარო ისტორიული კვლევისათვის. აქ იგულისხმება ზოგადი, მეთოდოლოგიური პრობლემატიკაც, კონკრეტული მითებისა თუ თქმულებების მიხედვით ისტორიულ მოვლენათა რეკონსტრუქციაც და მითოლოგიურ პარალელთა შესწავლა-შეფასებაც.

შუამდინარეთთან და ანატოლიასთან ბერძნული და ქართული პარალელებისა თუ კონტაქტების კვლევამ ჩემს თვალსაწიერში დააბრუნა ძველახლო აღმოსავლური სამყარო.

უნივერსიტეტში მრავალი წლის მანძილზე ძველი მსოფლიოს ისტორიის ცალკეული მონაკვეთების სწავლების გამოცდილებამ დამანახა საჭიროება ძველი ისტორიის, მისი პრობლემატიკისა და მეთოდების ერთიანი მიმოხილვითი კურსის არსებობისა. 2006 წლიდან ეს კურსი იკითხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სასურველი იქნება, რომ არსებობდეს შესაბამისი სახელმძღვანელოც. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ასეთი სახელმძღვანელოს მაგივრობა ნაწილობრივ შეიძლება გასწიოს ამ კრებულის პირველმა ნაწილმა. აქ ძველი ისტორიის შესავლის გარდა, რომელიც ფაქტობრივად სალექციო კურსის კონსპექტის ნაწილს წარმოადგენს, შევიდა ძველი საბერძნეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, აგრეთვე სტატია „მითი და ისტორია“.

მეორე ნაწილი ეთმობა საქართველოს ისტორიის უძველეს წერილობით წყაროებს. აქ განხილულია კოლხეთის სავარაუდო მოხსენიება ძვ.წ. XIV საუკუნის მიკენურ და XII საუკუნის ასურულ გექსტებში. ერთი მხრივ, ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“, რომლისთვისაც მე დამეკისრა კავკასიის ისტორიის ლურსმული დამწერლობით შესრულებული წყაროების მოძიება და, საჭიროების შემთხვევაში, თარგმნა, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის სურვილი, ესწავლათ ურარგული, გახდა იმის საფუძველი, რომ აქ ურარგულ გექსტებსა და მათ ინტერპრეტაციას საკმაოდ მოზრდილი ადგილი უჭირავთ.

ახალ, მეცნიერულ და შესწორებულ გამოცემაში დანართის სახით შევიდა სტატიები, რომლებიც ძველ აღმოსავლური თუ ანტიკური მასალის საფუძველზე საქართველოს ისტორიის ცალკეული

პრობლემის კვლევას ეძღვნება და ფაქტობრივად სწორედ მეორე ნაწილს ავსებს.

მესამე, დასკვნითი ნაწილი მიკენოლოგიურ ძიებებს მოიცავს. აქ წარმოდგენილია ბოლო ოცი წლის კვლევის შედეგები, რომლებიც გადამუშავდა უახლესი სამეცნიერო ლიგერატურის გათვალისწინებით. ცხადია, რომ გარკვეული გრანსფორმაცია ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით ჩემმა შეხედულებებმაც განიცადა.

ზოგი სტატია უკვე გამოქვეყნებული იყო და აქ მცირეოდენ კორექტირებული სახით მოხვდა, ზოგი კი სპეციალურად ამ გამოცემისათვის მომზადდა. კრებულის ცალკეულ ნაწილებსა და სტატიებს დამოუკიდებელი არსებობის პრეტენზია აქვთ. შესაბამისად, მათი ერთად თავმოყრის დროს ვერ მოხერხდა გამეორებების მთლიანად თავიდან აცილება.

კრებულში შევიდა საკმაოდ არაერთგვაროვანი მასალა, სახელმძღვანელოსთვის დაწერილი თავებით და სამეცნიერო-პოპულარული სტატიებით დაწყებული და ვიწრო სპეციალური გამოკვლევებით დამთავრებული. სწორედ ამიტომ, იმედი მაქვს, რომ აქ თავისთვის საინტერესოს იპოვის ძველი ისტორიის სპეციალისტიც, სტუდენტიცა და ფართო პუბლიკაც.

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
სარჩევი	7
I ნაწილი: ძველი ისტორიის შესავალი (მასალები სახელმძღვანელოსათვის)	9
ძველი ისტორიის შესავალი	11
ძველი საბერძნეთი	26
მითი და ისტორია	51
II ნაწილი: საქართველო უძველეს წერილობით წყაროებში	73
კოლხეთი ძველ ტექსტებში	75
Colchis in Ancient Texts	81
კავკასია ურარტულ ტექსტებში	85
ერთი ურარტული ფორმულის ინტერპრეტაციისათვის	116
To the Interpretation of an Urartian Formula	119
III ნაწილი: მიკენოლოგიური ძიებანი	121
B-ხაზოვანი დამწერლობა	123
მეფე და სამეფო ოჯახი პილოსში	134
პილოსის უკანასკნელი დედოფალი	151
მიკენური მიწისმფლობელობის სისტემა	184
სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემა	206
ტყვე ქალთა რაზმები პილოსში	221
მიკენური საბერძნეთის პოლიტიკური ისტორიიდან	233
მიკენური საზოგადოება	242
მიკენური ტექსტების do-e-to და მონობა ძველ სამყაროში	261
Der Troianische Krieg in den Linear-B-Texten?	330

Zu den Bedeutungsänderungen von δῆλος	336
Zur mykenischen Gesellschaftsordnung	346
დანართი	369
გაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში	371
კიდევ ერთხელ ხეთურ-ქართული პარალელების შესახებ ..	384
Nochmals zu den hethitisch-kartvelischen Parallelen	394
დემოკრატიული გენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო (შესავალი)	396
გამოყენებული ლიტერატურა	408
საძიებლები.....	427

I ნაწილი

ქველი ისტორიის შესავალი

(მასალები სახელმძღვანელო სახელმწიფოსთვის)

ძველი ისტორიის შესავალი

ძველი ისტორია კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან ათასწლეულებითაა დაშორებული, ძველი სამყარო მჭიდროდაა დაკავშირებული დღევანდელობასთან. იმ დროის მრავალი მოელენა თუ პროცესი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და მეტიც, მათი შესწავლა ხშირად გვეხმარება ჩვენს პრობლემებში გასარკვევად. საქმე ის გახლავთ, რომ ძველ სამყაროს ჩვენ ნაკლები ემოციით, შესაბამისად, უფრო ობიექტურად ვუყურებთ. ხეოფსის, ნაბუქოდონოსორის ან იულიუს კეისრის მიმართ ვერ გვექნება პირადი სიმპათია ან წყენა. ეროვნული გრძნობების დონეზეც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ერთა უმრავლესობას საერთოდ არ ჰყავს უშუალო და პირდაპირი წინაპარი ძველ სამყაროში, ხოლო ვისაც გვეყავს, მაგ., ქართველებს, მათგან სერიოზული ბარიერი გვაშორებს – რელიგია. ქრისტიანობამ უმარმაზარი ცვლილებები მოახდინა ჩვენს მსოფლალქმაში, მნეობაში, იგი იქცა ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად. ამიტომაც, რომ ჩვენ, მართალია, ვამაყობთ კოლხეთით, მაგრამ არ გვტკივა არგონავტების მიერ აეტისთვის მიყენებული ვნება. 2009 წელს დიდი ზემოთ მივიღეთ ახალი ბერძნული არგო ბათუმსა და ფოთში და ის ბერძნებთან მეგობრობის სიმბოლოდ გამოვაცხადეთ. ძალზე საეჭვოა, იგივე დამოკიდებულება გვექონოდა თემურ-ლენგის ან შაჰ აბასის ლაშქრობების მიმართ. ერთი მხრივ, ძველი სამყაროს ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეებს თითქმის არ ჰყავთ პირდაპირი მემკვიდრეები დღევანდელ ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის, მეორე მხრივ, ძველი მსოფლიოს ცივილიზაციების წიაღში წარმოიშვა თანამედროვე აზროვნების, მეცნიერების, თანამედროვე მსოფლიო რელიგიათა საფუძვლები. შესაბამისად, ეს ცივილიზაციები კაცობრიობის საერთო წინაპრად, საერთო ღირებულებად აღიქმება და მთელ მსოფლიოში დღეს დაახლოებით ერთნაირად ისწავლება: ეგვიპტე, შუამდინარეთი, საბერძნეთი, რომი თანაბრად შედის სასკოლო თუ საუნივერსიტეტო პროგრამებში ინგლისსა და იაპონიაში, ჩრდილო ამერიკაში, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში.

ძველი ისტორიის მეორე არსებითი თავისებურებაა წყაროების სიმცირე. ახალი და უახლესი (ხშირ შემთხვევაში, ასევე შუა საუკუნეების) ისტორიის სპეციალისტისათვის ძირითადი პრობლემაა ზღვა მასალაში გარკვევა და იქიდან თავისი კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროების შერჩევა. ამის საპირისპიროდ, ძველი ისტორიის მკვლევარი იძულებულია თავი მოუყაროს ყველა

შესაძლო წყაროს, უხსოვარი დროის მოვლენის ნებისმიერ, რაგინდ უმნიშვნელო ნაკეალევეს, რათა ოდნავ მაინც მოჰყინოს შუქი საკვლევ ობიექტს. ამ ამოცანას წყაროთა სიმციროს გარდა, შემორჩენილის გაგების პრობლემაც ამძიმებს. უცხო, ხშირ შემთხვევაში, მკვლარი ენა (ე.ი. ენა, რომელზეც უკვე დიდი ხანია, აღარავინ ლაპარაკობს), განსხვავებული დამწერლობის სისტემა და რწმენა-წარმოდგენები, აზროვნების წესი იმდენად გვაშორებენ შესასწავლი საგნისაგან, რომ წყაროს შინაარსის გასაგებად ძველი ისტორიის სპეციალისტს სჭირდება საგანგებო მომზადება ენათმეცნიერებაში, ეპიგრაფიკაში, რელიგიების ისტორიაში, არქეოლოგიაში და ა.შ. როგორც ვხედავთ, ძველი ისტორიის მკვლევარს, მისი კვლევის ობიექტის, წყაროსა და მეთოდების მხრივ, შეიძლება მეტი საერთო ჰქონდეს სიძველეთა შემსწავლელ მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან, ვიდრე სხვა პერიოდებით დაინტერესებულ ისტორიკოსებთან. ამ რეალობის ასახვაა გერმინი „სიძველეთმცოდნეობა“ (გერმ. *Altertumswissenschaft*), რომელიც აერთიანებს ძველი ისტორიის, ენების, მითოლოგიის, რელიგიის, ხელოვნების, მაგერიალური და სულიერი კულტურის შესწავლას. დაახლოებით ერთი საუკუნის წინ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ერთ კაცს, მაგ., ედუარდ მაიერს (1855-1930), მთელი ძველი სამყარო მოეყვა და მისი ორიგინალური ისტორია დაეწერა. დღევანდელი ვიწრო სპეციალიზაციის პირობებში აღარ არსებობს ზოგადად „სიძველეთმცოდნე“ და მეცნიერები ძირითადად ერთი ცივილიზაციის, ენის, რეგიონის ან ერთი თემის, პრობლემის კვლევით იფარგლებიან (შესაბამისად, გერმანელები დარგის აღმნიშვნელ სიტყვას სულ უფრო ხშირად მრავლობით რიცხვში სვამენ – *Altertumswissenschaften*), თუმცა, ეს არ ათავისუფლებს თანამედროვე მკვლევარს მომიჯნავე დარგების საფუძვლების, პრობლემატიკისა თუ მეთოდოლოგიის ცოდნის აუცილებლობისგან.

ისტორიკოსის შესწავლის ობიექტი განისაზღვრება ორი მნიშვნელოვანი პარამეტრით – დრო და სივრცე. „ძველი მსოფლიოს ისტორია“ (ან მოკლედ, „ძველი ისტორია“) თავისთავად გულისხმობს, რომ შესწავლის საგანია აღამიანთა საზოგადოება, რომელიც არსებობდა განსაზღვრულ დროში და განსაზღვრულ გერიგორიაზე – ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან ახ.წ. IV-V საუკუნეებამდე შედარებით ვიწრო მოლში ხმელთაშუაზღვისპირეთიდან ჩინეთამდე.

ეს ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჩარჩოები საკმაოდ პირობითია და განმარტებას საჭიროებს.

ისტორიის მთავარი ვიერი – ადამიანი, როგორც ცნობილია, ორ მილიონ წელზე მეტის წინ გაჩნდა. დღევანდელი, ე.წ. გონიერი ადამიანიც ასი ათასი წლისა მაინც უნდა იყოს. მაშ რაგომ ვიწყებთ ისტორიას ძვ.წ. IV ათასწლეულით? მხოლოდ იმიგომ, რომ ამ დროიდან არსებობს დამწერლობა, წერილობითი წყაროები, რომელთა მეშვეობითაც განუზომლად იზრდება ჩვენი ინფორმაცია ჩვენი წინაპრების შესახებ. თავის მხრივ, დამწერლობის გაჩენა უკავშირდება სამოგადოებრივი ცხოვრების გართულებას, კერძო საკუთრებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის გაჩენას და, შესაბამისად, სამოგადოების განვითარების გარკვეული დონის უტყუარი ნიშანია.

დამწერლობის გაჩენა არის ის საზღვარი, რომელიც პყოფს წინარე ისტორიას (პრეისტორიას) ისტორიისაგან. თავდაპირველად დამწერლობა შუამდინარეთსა და ეგვიპტეში ჩნდება და IV-III ათასწლეულების ისტორია ძირითადად ამ ორი ცივილიზაციის ისტორიაა. წერა-კითხვის ცოდნა თანდათანობით ვრცელდება და ძვ.წ. I ათასწლეულისათვის ფარავს სიერცეს ხმელთაშუა ზღვიდან ჩინეთამდე.

თითოეული ხალხი თუ ცივილიზაცია მაშინ გამოდის ისტორიის ასპარეზზე, როდესაც ჩნდება მისი წერილობითი წყაროები, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჩნდება მისი მოხსენიება მეზობელთა მიერ დაწერილ ტექსტებში, ხოლო მისი მაგერიალური ნაკვალევი შედარებით მაღალგანვითარებულ სამოგადოებაზე მიუთითებს – ფორტიფიკაციები, მდიდრული სამარხები და სხვ. ის ფაქტი, რომ ჩვენ არ გვიპოვია ამა თუ იმ ხალხის დამწერლობის ნიმუშები, საგახტო ქალაქები თუ სამეფო სამარხები, ცხადია, ვერ გამოდგება სრულფასოვან არგუმენტად დამწერლობის თუ სახელმწიფოს არარსებობის სამტკიცებლად. საქმე ის ვახლავთ, რომ არქეოლოგები ოდესღაც არსებულის ძალზე მცირე ნაწილს პოულობენ. ასე მაგ., ჯერაც არსად ჩანს თავის დროზე სახელოვანი ქალაქები – მითანის დედაქალაქი ვა-შუქანი ან ქიყუვათნური თარხუნთასა, რომელიც რაღაც დროის მანძილზე ხეთების იმპერიის ცენტრიც იყო. იგივე ითქმის კოლხეთის ყველაზე ცნობილ ქალაქ ფასისზეც. სრულებით არ უნდა იყოს ვასაკვირი თუ მათთან შედარებით სულ ერთიციცქნა წარწერების პოვნა ვერ მოხერხდა. წარწერების პოვნას ართულებს მეორე გარემოებაც – ისინი სრულდებოდა, ძირითადად, ფუჭებად (ხე, გყავი, პაპირუსი, ქალაღდი) ან ძვირფას (ვერცხლი, ბრინჯაო) მასალაზე, რაც პრაქტიკულად გამოორიცხავს გარკვეული ტიპის წერილობითი წყაროების აღმოჩენას. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ხეთურ ლურსმულ და მიკენურ B-ხაზოვან დამწერლობას შემთხვევის წყალობით ვიცნობთ. გამოუმწვარ თიხის

ფირფიტებზე შესრულებული ჩანაწერები ჩვენამდე იმ ხანძრებმა მოიტანა, რომლებმაც ხეთური თუ მიკენური სასახლეები გადაწვა. შესაბამისად, დიდი იმედი უძველესი წარწერების პოვნისა შეიძლება არ გექონდეს. და თუ მაინც ვაგვიღიმებს ბედი, ალბათ, მშრალ და ქვის მასალით მდიდარ რეგიონებში. ეს გააფართოვებდა ჩვენს ცოდნას ძველ სამყაროზე და, შესაძლოა, ამ უკანასკნელის გეოგრაფიულ საზღვრებსაც.

რაც შეეხება ძველი ისტორიის დასასრულს, ასეთად მიჩნეულია რომის იმპერიის დაცემა და ქრისტიანობის გაერყელება. ეს საკმაოდ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი რამდენიმე საუკუნეს მოიცავს (IV-VI) და კონკრეტული წლის შერჩევა გემოვნების საკითხია. როგორც წესი, ანტიკური ისტორიის სპეციალისტები ამ პერიოდს გვიანანტიკურს უწოდებენ და ძველ ისტორიას მიათვლიან, მედიევისტებისათვის კი მათი შესწავლის ობიექტი კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის აღიარებითა და კონსტანტინოპოლის დაარსებით იწყება.

ისტორიკოსისათვის, როგორც უკვე ითქვა, ძალზე მნიშვნელოვანია მოვლენათა ლოკალიზაცია დროში, ანუ დათარიღება. თანამედროვე წელთაღრიცხვის ამოსავალი წერტილია ქრისტეშობა, ხოლო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება იულიუს კეისრის მიერ შემოღებულ კალენდარში (დღემდე ძალაშია მართლმადიდებლურ ეკლესიაში) რომის პაპის გრიგოლ XIII-ის მიერ შეტანილი შესწორებით.

ტროპიკული წლის (დედამიწის მზის გარშემო მიმოქცევის პერიოდი) ხანგრძლივობა შეადგენს 365 დღე-ღამეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს. „მედმეტი“ თითქმის 6 საათის პრობლემა რეგულირდება 4 წელიწადში ერთხელ ნაკიანი წლის დამატებით, ხოლო „ნაკლები“ 11 წუთისა – საუკუნეში ერთი ნაკიანი წლის გამოგოვებით.

ძველ სამყაროში ყველა ხალხი თავისებურად ანგარიშობდა წელიწადის სიგრძეს – მთვარის კალენდარი, მზის კალენდარი, შერეული ანუ მზისა და მთვარის კალენდარი; სხვადასხვა დროს აღნიშნავდა ახალ წელს; სხვადასხვა პრინციპს იყენებდა მოვლენათა დათარიღებისათვის.

ტროპიკული წლის ხანგრძლივობა საკმაოდ მუსტად ჰქონდათ განსაზღვრული ეგვიპტელებს სოთისზე (სირიუსზე) დაკვირვების მეშვეობით 365 დღე და 6 საათი. მათი კალენდარული წელი კი 365 დღეს შეადგენდა. ამ ორი ციკლის ურთიერთმიმართებას ქურუმები საგანგებოდ ინიშნავდნენ და დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ სოთისისა და მზის ერთობლივ გამოჩენას ნილოსის ყოველწლიური წყალდიდობის დაწყებისას (19 ივლისს), რაც 1460 წელიწადში ერთხელ ხდებოდა. პერიოდის სიგრძის გამო ეს დაკვირვებები ძალზე მნიშვნელოვანია

ძველი თარიღების თანამედროვე, „აბსოლუტურ“ სისტემაზე გადმოსაყვანად. საერთოდ, ეგვიპტური მასალა გადამწყვეტია ძვ.წ. III-II ათასწლეულების ქრონოლოგიის დასადგენად.

ძველ სამყაროში მოვლენებს ძირითადად მეფეთა მმართველობის წლებით ათარიღებდნენ. ცალკეული გეჟსტები გვიქმნიან წარმოდგენას ამა თუ იმ ქვეყნის მეფეთა თანმიმდევრობისა და მათი მმართველობის წლების რაოდენობის შესახებ. ბრძოლები, ხელშეკრულები თუ დინასტიური ქორწინებები გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნებს შორის სინქრონიზმების დადგენაში. ყველაზე კარგად გამართული და დოკუმენტურად დადასტურებული ფარაონთა ნუსხები იყო. გარდა ამისა, მრავალი საუკუნის მანძილზე გაკეთდა საკმაოდ მუსტ ასტრონომიულ დაკვირვებებზე დამყარებული არაერთი ჩანაწერი, რომელიც ეგვიპტის მშრალი კლიმატის წყალობით დღემდე შემონახა და რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მოვლენათა აბსოლუტური თარიღების გამოთვლა. შესაბამისად, ეგვიპტის ისტორიის ქრონოლოგია შედარებით გამართულია და სინქრონიზმების მეშვეობით წარმოადგენს ერთგვარ ჩონჩხს მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის თარიღების დასამუსტებლად.

და მაინც, ძვ.წ. III-II ათასწლეულების ქრონოლოგია საკმაოდ პირობითია. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე გამოიყენებოდა თარიღთა რამდენიმე სისტემა – „მაღალი“, „საშუალო“, „დაბალი“. „მაღალ“ ქრონოლოგიას დღეისათვის მიმდევრები აღარ ჰყავს, „საშუალო“ და „დაბალი“ კი, ალბათ, თანაბრად მისაღებია, თუმცა უკანასკნელი ბოლო ხანებში უფრო პოპულარულია. სხვადასხვა ქრონოლოგიურ სისტემათა თანაარსებობა საცნობარო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში ყურადღებას მოითხოვს მათ მიერ შემოთავაზებული თარიღებით სარგებლობისას. ვიწრო სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად უარს ამბობენ აბსოლუტურ თარიღებზე და მიმართავენ უტყუარ შეფარდებით ქრონოლოგიას – დათარიღებას არქეოლოგიური ფენების ან მეფეთა მმართველობის წლების მიხედვით.

შედარებით მუსტადაა დადგენილი ძვ.წ. I ათასწლეულის ქრონოლოგია. აქ ცნობილია არა მარტო ძირითადი ქვეყნების მეფეთა თანმიმდევრობა და მმართველობის წლები, არამედ რიგ შემთხვევაში (ასურეთი, ათენი, რომი) ერთი წლის ვადით არჩეულ მოხელე-ეპონიმთა ნუსხები და მოღვაწეობის თარიღები. საბერძნეთში პოლისების ლოკალური კალენდრის პარალელურად გამოიყენებოდა დათარიღება ოლიმპიადებით. პირველი ოლიმპიადა, როგორც ცნობილია, ძვ.წ. 776 წელს ჩატარდა და შემდეგ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა.

ადამიანისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა გიპის სისტემატიზაცია როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე სამეცნიერო საქმიანობაში. ისტორიკოსისათვის სისტემატიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი ფორმაა პერიოდიზაცია – დროის ისეთი მონაკვეთების გამოყოფა, რომელთაც ესა თუ ის ნიშან-თვისება განსაზღვრავს და, ხშირად, სახელსაც აძლევს. ასეთი დაყოფა პირობითია და მნიშვნელოვანწილად მკვლევარის სურვილზე და ნაშრომის მიზანდასახულებამზე დამოკიდებული. მაგრამ ხშირად პერიოდიზაციის პრინციპებს თვით მასალის თავისებურებები გვკარნახობენ. ასე მაგ., რომის ისტორია ძირითადად სახელმწიფოს ისტორიაა, საბერძნეთის – მისი კულტურისა, ხოლო ისრაელის – საერთო რელიგიური მრწამსით გაერთიანებული ხალხისა. შესაბამისად, რომაული ისტორიის პერიოდიზაცია სახელმწიფო მმართველობის ფორმებს ემყარება, ბერძნული – კულტურულ მოვლენებს, ხოლო ებრაული – ერის თავგადასავლის ცალკეულ პერიპეტეებს. ძველადმოსაველურ ცივილიზაციათა უმრავლესობის ისტორიაც, რომის მსგავსად, ძირითადად სახელმწიფოს ისტორიაა. ოღონდ აქ სახელმწიფო მმართველობის ფორმების ნაცვლად დინასტიები ან დინასტიათა ჯგუფები იცვლებიან. ეგვიპტის ისტორია ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე ეგვიპტელმა ქურუმმა, მანეთონმა დაპყო 30 დინასტიად, რომლებიც სამ დიდ ჯგუფად წარმოადგინა. ეს დაედო საფუძველად ეგვიპტის ისტორიის დაყოფას ძველ, შუა და ახალ სამეფოებად. ამგვარადვე ყოფენ ასურელებისა და ხეთების ისტორიასაც, რაც შეეხება მთელ ძველ ახლო აღმოსავლეთს, აქ პერიოდიზაცია უზოგადეს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას შეიძლება ეფუძნებოდეს. შესაძლოა, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ძვ.წ. III-II და I ათასწლეულები – არქეოლოგიური კლასიფიკაციით, ბრინჯაოსა და რკინის ხანა. თავისი ლოგიკა აქვს სამად დაყოფასაც – ძვ.წ. III, II და I ათასწლეულები, რაც არა მარტო სოციალ-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ისტორიაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს: III ათასწლეული შედარებით იზოლირებული და მომცრო სახელმწიფოების ხანაა, II ათასწლეულში ცხენისა და საბრძოლო ეტლის გამოჩენა შესაძლებელს ხდის პირველი იმპერიების წარმოქმნას, I ათასწლეულში კი „მსოფლიო იმპერიები“ გამოდიან ასპარეზზე – ასურეთი, ბაბილონი, სპარსეთი, მაკედონია, რომი.

ძველი მსოფლიოს ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გეოგრაფიული ფაქტორი. არაა შემთხვევითი, რომ ძველი ცივილიზაციები ერთ გეოგრაფიულ სარტყელში ჩამოყალიბდნენ. ბუნება აქ არც იმდენად მკაცრი იყო, რომ ადამიანს საკვები ძლივს მოეპოვებინა და არც იმდენად უხვი, რომ უშრომლად ჰქონოდა

სამეოფი. აქ ბეჯითი და კარგად ორგანიზებული შრომით შესაძლებელი იყო შედარებით უზრუნველყოფილი ცხოვრების მიღწევა, ქონების დაგროვება. მდემეტი პროდუქტი შეიძლება გაცვლილიყო როგორც სხვა პროდუქტში, ასევე მომსახურებაში. იგი ქმნიდა პირობებს, რომ საზოგადოების ნაწილი გამოთავისუფლებულიყო უშუალოდ საკვებისა და პირველი საჭიროების სხვა პროდუქტის წარმოებისაგან და საზოგადოებრივი ფუნქციით დაკავებულიყო – მართვა, კულტი, სამხედრო საქმე.

გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა აგრეთვე იმას, თუ კონკრეტულად რა სახეს შეიძენდა ეს ზოგადი სქემა ამა თუ იმ ადგილას.

ყველაზე ადრე სახელმწიფო ორგანიზაცია და მაღალგანვითარებული ცივილიზაციები დიდი მდინარეების – ნილოსის, ეფრატისა და ტიგროსის, ინდის, განგის, ხუანხეს, იანძის, სიძინის აუზებში შეიქმნა. უფრო ზუსტად, ცივილიზაციისა და სახელმწიფოს არსებობის ყველაზე ადრეული ხელშესახები საბუთები ამ რეგიონებიდან გვაქვს. დიდი მდინარეების ცივილიზაციებს ბევრი რამ აერთიანებს, პირველ რიგში, დამოკიდებულება მდინარეზე. ამას უკვე ძველ დროში აცნობიერებდნენ. მაგ., ჰეროდოტე ეგვიპტეს „ნილოსის ნობათს“ უწოდებს. მდინარეთა პერიოდული აღიდება უზრუნველყოფს მიმდებარე მიწების ნაყოფიერებას და მათზე წელიწადში რამდენიმე მოსავლის მოწვევის საშუალებას იძლევა. კარგად ორგანიზებული, დარაბმული შრომით ადამიანი უკვე ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ახერხებს მდინარეების მახლობლად ისეთი საირიგაციო სისტემების აგებას, რომლებიც უზრუნველყოფდა სარწყავი წყლით მაქსიმალურად დიდ ტერიტორიას და იცავდა დასახლებებს წყალდიდობისგან. ასეთ სამუშაოს სჭირდება ორგანიზატორი, რომელსაც ექნება, ერთი მხრივ, ხალხის დიდი მასის მართვისა და რთული საინჟინრო ნაგებობების შენების გამოცდილება, მეორე მხრივ, იძულების ეფექტური მექანიზმები. ასეთ საზოგადოებებში საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ყალიბდება ცენტრალიზებული ბიუროკრატიული მმართველობა. ეს მმართველობა უზრუნველყოფს ადამიანის ძირეულ სასიცოცხლო მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, შესაბამისად, ერევა კიდევ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და ადამიანის პირადი თავისუფლებისათვის მინიმალურ სივრცეს გოვებს.

ამის საპირისპიროდ, იმ რეგიონებში, სადაც ადამიანს ან ოჯახს დამოუკიდებლად შეეძლო თავის გამოკვება, ადამიანის პირადი თავისუფლება და კერძო საკუთრება მეტად ფასობდა, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინსტიტუტები კი უფრო მოკრძალებულ როლს სჯერდებოდნენ და შედარებით დემოკრატიულად ფუნქციონირებდნენ – ყველა არსებით საკითხს სახალხო კრება წყვეტდა. მაღალგანვითარ-

რებულ ბერძნულ დემოკრატიასაც ნაწილობრივ ბუნებრივ პირობებს უნდა ეუმადლოდეთ – დასახლებისა და მეურნეობის ელინური ფორმა გოვებდა იმის საშუალებას, რომ მეზობელ-ნათესაეები თითქმის ყოველდღიურად შეკრებილიყვნენ და ყველა საჭირობოროგო საკითხი რეგულარულად განეხილათ. ცხადია, სადაც საფიხვნო თუ სოფლის ბირჟა იყო, ყველგან დემოკრატიული პოლისი არ გაჩენილა და ეს ინსტიტუტი მნიშვნელოვანწილად ისეთი ირაციონალური მიზეზით უნდა აიხსნას, როგორც ეთნიკური თუ ეროვნული თავისებურებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი ძველ სამყაროში ერების არსებობას გამორიცხავს და ამ ფენომენის გაჩენას ახალ დროში ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობას უკავშირებს. ევროპულ ერთა დიდი ნაწილის მიმართ ეს მოსაზრება, შესაძლოა, საესებით სამართლიანია, მაგრამ ძალიან მიჭირს დაჯერება, რომ ძველი ეგვიპტელები, ასურელები, ებრაელები თუ ელინები ვერ აკმაყოფილებენ იმ კრიტერიუმებს, რითიც ერი უნდა განისაზღვროს. მეცნიერები სხვადასხვანაირად აყალიბებენ ერის არსებობისათვის სავალდებულო ნიშნების ნუსხას. ჩემი აზრით, ვერც ენა, ვერც სარწმუნოება, ვერც ტერიტორია, მით უმეტეს, ვერც ეკონომიკა ვერ ჩაითვლება ასეთ ნიშნად. ალბათ, მხოლოდ ეროვნული თვითშეგნება, თვითიდენტიფიკაცია არის ის ნიშანი, რის გარეშეც ერი არ არსებობს. ეს ნიშანი კი ჩემს მიერ შემოთ ჩამოთვლილ და ბევრ სხვა ძველ ეთნოსს ნამდვილად არ აკლდა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდე სამოგადოებრივი წყობის საკითხზე, რამდენადაც იგი ჩვენს მეცნიერებაში ჯერაც მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოებრიობის პრობლემასთან. მართალია, დღეს სახელმწიფოს ხმამაღლა აღარ უწოდებენ „ერთი კლასის მეორეზე ბატონობის იარაღს“, ხმარებიდან თანდათან გამოდის ტერმინები „ფორმაცია“, „კლასი“, „საწარმოო ურთიერთობები“, „ექსპლოატაცია“ და სხვა, მაგრამ საბჭოთა მარქსიზმის დოგმები საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა და, მათი თითქოსდა მიუღებლობის შემთხვევაშიც კი, მათ უარყოფას თუ კორექტირებას, ძირითადად, იმავე სააზროვნო კატეგორიების ფარგლებში ვცდილობთ.

სამოგადოებრივი წყობის შესწავლა, მის ნაირსახეობათა გამოვლენა და სახელდება ისტორიკოსისათვის საესებით ბუნებრივია. სოციალური ისტორიის კვლევისას შესაძლოა შემოდებულ იქნას კლასიფიკაციის სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად თანასწორუფლებიანი სისტემა. გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი კლასიფიკაცია, რომელიც ერთ განსაზღვრულ პრინციპს ემყარება. რადგანაც ჩვენ ხშირად ვსარგებლობთ მარ-

ქსისტული სახელმძღვანელოებიდან ათვისებული გერმინებით ან ამ გერმინთა მიღმა სწორედ ხსენებული სახელმძღვანელოებიდან შესისხლხორცებულ დეუნიციებს ეგულისხმობთ, გამართლებულად მიმაჩნია ძველი მსოფლიოს საზოგადოებრივი წყობის საკითხში სწორედ მარქსისტული მეთოდოლოგიის, კლასების, საწარმოო ურთიერთობების გათვალისწინებით ვცალოთ გარკვევა.

რა შეიძლება უწოდოს მარქსისტული მეთოდოლოგიით აღჭურვილმა მკვლევარმა უძველეს კლასობრივ საზოგადოებებს? თვით მარქსიზმის ფუძემდებლებს, რომლებსაც არ ჰქონიათ საკუთარი აზრის აბსოლუტიზაციის პრეტენზია, ანგიკური სამყარო, XIX საუკუნის ამერიკული რეალობისა და კლასიკური ბერძნულ-რომაული გექსტების გათვალისწინებით, მონათმფლობელურად მიაჩნდათ. საბჭოთა კავშირში რამდენიმე დისკუსიის შედეგად მონათმფლობელური ფორმაცია კაცობრიობის განვითარების უნივერსალურ ეტაპად ჩაითვალა. ძველადმოსაველური გექსტების შესწავლამ ცხადყო, რომ შუამდინარეთისა თუ ეგვიპტის სახელმწიფო და საგაძრო მეურნეობებში წამყვანი როლი არ ეკუთვნოდა მონურ შრომას. ძირითადი პროდუქცია თავისუფალი ან ნახევრადთავისუფალი მოსახლეობის მიერ იქმნებოდა. ასეთი საზოგადოების სტადიალური განვითარების აღსანიშნავად გ. მელიქიშვილი გამოიყენებდა გერმინს „ადრეკლასობრივი“, ხოლო გიპოლოგიურის – „წინაფეოდალური“ (პროტოფეოდალური). გერმინი „ადრეკლასობრივი“ საბჭოთა პირობებში კარგ გამოსავალს წარმოადგენდა ზუსტი დეუნიციის მიცემის არმსურველისათვის (საზოგადოების გაყოფა ორ ანტაგონისტურ კლასად ჯერ არ იყო დამთავრებული, ხოლო განვითარების ტენდენცია კარგად არ ჩანდა მასალის სიმცირის გამო) და შედარებით პოპულარული გახდა, „პროტოფეოდალური“ კი დოგმის უფრო ამკარა დარღვევას წარმოადგენდა და, რამდენადაც ვიცი, ქართული ძველადმოსაველური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომების გარდა, მის გამოყენებას დიდი გასაქანი არ მისცემია.

რაც შეეხება ანგიკურ, ბერძნულ-რომაულ საზოგადოებას, მე შევეცადე მეჩვენებინა, რომ მისი მიჩნევა მონათმფლობელურად ასევე გაუმართლებელია და ემყარება ორ პინციპულ შეცდომას: კლასიკური ხანის ზოგ მონაცემზე დამყარებულ არასწორ გამოთვლებსა და სოციალური გერმინების (δῆμος, servus) არასწორ თარგმანს. მიკენური ხანიდან მოყოლებული, δῆμος ბერძნულ ენაში სხვის სამსახურში მყოფ კაცს ნიშნავდა და მხოლოდ რიგ შემთხვევაში გულისხმობდა პირადი თავისუფლების არმქონეს, მონას (დეგალურად იხ. ქვემოთ). ცხადია, ანგიკურ სამყაროში არსებობდა მონობა, მაგრამ ძირითად პროდუქციას ჰქმნიდა თავისუფალი ან დაყმევებული გლეხი,

ერთმანეთს ებრძოდნენ კაპიგალისგური და ფეოდალური განვითარების გენდენციები.

აქვე უნდა დაზუსტდეს გერმინ „ფეოდალიზმის“ მნიშვნელობა. იგი, ცხადია, ევროპული ვასალიტეტისა და პირობითი მიწისმფლობელობის სისტემიდან მოდის და მისი პირველადი, ვიწრო მნიშვნელობაც სწორედ ამ სისტემას უკავშირდება. მაგრამ მარქსისტულ მეცნიერებაში ის ზოგადად დამოკიდებული გლეხის შრომაზე დამყარებულ საზოგადოებას აღნიშნავს, ხოლო გედა კლასის სოციალური ფუნქციის, მისი ორგანიზაციის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ დასავლური და აღმოსავლური ფეოდალიზმი.

დიდი მდინარეების ცივილიზაციები, სადაც ხელისუფლება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს წარმართავდა და სადაც ზეცენტრალიზებული აღმოსავლური დესპოტიები წარმოიშენენ, აღმოსავლური ფეოდალიზმის მოდელს შეიძლება მივაკუთვნოთ. ამ საზოგადოებებში მმართველ კლასს მეფე და მისი ბიუროკრატია შეადგენენ. ხოლო საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობის ფართო მასას საკუთარი თავის გამოკეება დამოუკიდებლად შეეძლო და სადაც ელიტის ფუნქციას ძირითადად სამხედრო საქმე წარმოადგენდა, გედაფენას ვასალიტეტის ურთიერთობებით ორგანიზებული სამხედრო არისტოკრატია ჰქმნიდა. ასეთი საზოგადოებები ცნობილია, ძირითადად, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპიდან, რის გამოც მათ „დასავლურ ფეოდალურს“ ვუწოდებთ, მაგრამ აგრეთვე ამავე პერიოდის საქართველოდან. მსგავსი მავალიტები სხვა ეპოქებსა და სხვა ქვეყნებშიც შეიძლება მოვიძიოთ.

საკმაოდ ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული შუალედური ვარიანტებიც, რომლებშიც ორივე მოდელის ელემენტები შეიმჩნევა. შეიძლება მოვიხმოთ მიკენური საზოგადოების მაგალითი. აღმოსავლური სასახლეებისა და მეურნეობის ცალკეულ სფეროთა შესაბამისი ორგანიზაციის გვერდით აქ ეხვდებით მიწისმფლობელობის ამკარად დასავლურ სისტემას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მიკენური სოციალური გერმინოლოგია. რამდენადაც ვიცი, ბრინჯაოს ხანის დღეისათვის წაკითხულ გექსტებში მხოლოდ მიკენშია დადასტურებული წარჩინებულთა დაყოფა მეტ-ნაკლებად მყარ, სახელდებულ ფენებად. შესაბამის გერმინებს (qa-si-re-u, te-re-ta, e-qe-ta, ko-re-te და ა.შ.), როგორც ჩანს, არ მოეუოეება ზუსტი შესატყვისები ევროპულ ფეოდალურ კიბეზე, მაგრამ მეჩვენება, რომ ისინი გარკვეულ საიხლოვეს იჩენენ ფარნავაზიანთა დროის სოციალურ გერმინოლოგიასთან (მამასახლისი, აზნაური, დიდებული, ერისთავი ...).

მე ვიზიარებ ვ. მელიქიშვილის აზრს იმის თაობაზე, რომ „ანტიკური, ადრეკლასობრივი“ საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე ფეოდალური განვითარების გზას ადგა. იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც „ადრეფეოდალური“. მასში თავისუფალი ადამიანის შრომასთან გარკვეული მომენტიდან თანაარსებობდა დამოკიდებულ, დაყმევებულ გლეხთა შრომა, რაზეც თუნდაც სტრაბონის ცნობილი პასაჟი (11.3.6) უნდა მიუთითებდეს. ბუნებრივი პირობებისა თუ სხვა გარემოებების გამო, მმართველი კლასი მიკენური ან დასაელურეეროპული სამხედრო არისტოკრატის მსგავსად იყო ორგანიზებული, თუმცა ცალკეული ძლიერი მეფე – ფარნავაზი იქნებოდა ეს, ვახტანგ გორგასალი თუ დავით აღმაშენებელი, ახერხებდა წარჩინებულთა დამორჩილებას და ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატის (აღმოსავლური ფეოდალიზმის ელემენტი) წინ წამოწევას. შესაბამისად, მეჩვენება, რომ მნიშვნელოვანი გეხილი საზოგადოებრივ განვითარებაში ვახტანგის შემდგომ არ უნდა ნიშნავდეს ფორმაციის ცვლას და გიპოლოგიურად იმავე რიგის მოვლენაა, რაც საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლა XV საუკუნეში.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ძველი ისტორია დამწერლობის გაჩენასთან ერთად იწყება. ადამიანი თავიდანვე ისე როდი წერდა, როგორც დღეს წერს. დამწერლობამ განვითარების გრძელი გზა განვლო, ადამიანმა ბევრი სხვადასხვა სისტემა გამოსცადა, სანამ თანამედროვე, ანბანურ დამწერლობას შექმნიდა.

ძნელი სათქმელია, შეიძლება თუ არა დამწერლობას მივაკუთვნოთ ის სიუჟეტური ნახატები და ცალკეული სიმბოლოები, რომლებსაც პრეისტორიული ადამიანი გამოქვაბულის კედლებზე თუ კერამიკულ ნაწარმზე ხატავდა. ამ გამოსახულებებს უფრო რიგულური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, ვიდრე ინფორმაციის შენახვა-გადაცემისა. თუმცა, ზოგიერთი პრიმიტიული ხალხი ახალ დროში სიუჟეტურ ნახატს ნამდვილად დამწერლობის ფუნქციით იყენებდა, რაც არ გვაძლევს უფლებას, სრულიად გამოვრიცხოთ ძველი ნახატების ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ხატოვან დამწერლობას სხვაგვარად პიქტოგრაფიულსაც უწოდებენ.

უკვე ნამდვილად დამწერლობასთან გვაქვს საქმე მას შემდეგ, რაც ადამიანი შესაბამის-გადასაცემი ინფორმაციის ერთეულებად დაშლას და ამ ერთეულებისათვის შესაბამისი ნიშნების გამოყენებას იწყებს. ის პირველი ინფორმაციული ერთეული, რომელიც ადამიანმა გამოაცალკევა, ცხადია, სიტყვა იყო. დამწერლობას, რომლის ერთი ნიშანი ერთ სიტყვას შეესაბამება, იდეოგრაფიული (ლოგოგრაფიული)

ეწოდება, თვით ნიშანს კი – იდეოგრაამა (ლოგოგრაამა). ხშირად ამ ტერმინებს ენაცვლება იეროგლიფური, იეროგლიფი, რაც მრავალი საუკუნის წინანდელი შეცდომიდან მომდინარეობს. ეგვიპტეში ჩასულ ბერძნებს სურდათ ეგვიპტური დამწერლობის სწავლა, ეგვიპტელი ქურუმები კი მისი საიდუმლოს გათქმას არ აპირებდნენ და ბერძნებს ეუნებოდნენ, ეს წმინდა ნიშნებიაო. სწორედ წმინდა ნიშნად ითარგმნება ბერძნული სიტყვა იეროგლიფი. ის თავდაპირველად ეგვიპტური ნიშნებისთვის გამოიყენებოდა, დამოუკიდებლად იმისგან, რას გადმოსცემდა ეს ნიშანი, შემდეგ კი სხვა მსგავს დამწერლობებზეც გავრცელდა.

იდეოგრაფიული დამწერლობის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ, თუ ნიშნებს ცნობ, შეეძლია გაიგო შინაარსი იმ ენის ცოდნის გარეშე, რომელზეც ტექსტის დამწერი ლაპარაკობს. ძირითადი ნაკლი კი ნიშანთა დიდი რაოდენობა და გრამატიკული კატეგორიების გადმოცემის შეუძლებლობაა. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ასევე აბსტრაქტულ ცნებათა გადმოცემა. დამწერლობის ეს სისტემა დღემდე შემორჩა ზოგ ხალხს, მაგ., ჩინელებს. როგორც ჩანს, მათი ენისა და ისტორიის თავისებურებების გათვალისწინებით, დამწერლობის დადებითა მხარეებმა გადასწონეს უარყოფითი.

იდეოგრაფიული დამწერლობის ნაკლოვანებათა გამოსწორება სიტყვის დაშლის და მისი ფონეტიკურად გადმოცემის საშუალებით შეიძლებოდა. ადამიანმა სიტყვა თავდაპირველად მარცვლებად დამალა. დამწერლობას, სადაც ერთი ნიშანი ერთ მარცვალს აღნიშნავს, მარცვლოვანი ანუ სილაბური ეწოდება. სუფთა სახით მარცვლოვანი დამწერლობა იშვიათად გვხვდება (მაგ., B-ხაზოვანი, რომელიც მე ხელოვნურად შექმნილად მიმაჩნია). ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვების გადმოსაცემად კვლავ გამოიყენებოდა იდეოგრაამები, პირველ რიგში, წაკითხვის სიმარტივისათვის. ასეთ შერეულ დამწერლობას იდეოგრაფიულ-სილაბური ეწოდება. ამ კატეგორიას განეკუთვნება ეგვიპტურიც და ლურსმულიც, რომელიც შემერებმა შექმნეს და რომელიც მათგან მთელ წინა ამიაში გავრცელდა.

მარცვლების აღსანიშნავად ახალი ნიშნები არ მოუგონიათ. მეტ-ნაკლებად ხშირად ხმარებული სიტყვის აღმნიშვნელ ნიშანს იყენებდნენ როგორც ამ სიტყვის, ასევე მისი პირველი მარცვლის გადმოსაცემად. ერთი მარცვლით, ბუნებრივია, რამდენიმე სიტყვა იწყებოდა, შესაბამისად, ამ მარცვლის გადმოცემა რამდენიმე სხვადასხვა ნიშნით იყო შესაძლებელი. ცნობილია საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც ერთი ნიშანი სხვადასხვანაირად იკითხებოდა, რასაც სხვადასხვა მიზეზი და ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ამდენად, იდეოგრაფიულ-სილაბურ დამწერლობის გამოყენებასაც

ახლდა სერიოზული სირთულეები და დღესაც ორიგინალიდან გექსტის წაკითხვა დემიფორირების გარკვეულ ელემენტებს შეიცავს.

ეგვიპტურსა და სემიტურ ენებში, ამ ენების თავისებურებიდან გამომდინარე, მარტივი (ერთი თანხმოვნის შემცველი) მარცელის აღმნიშვნელი ნიშანი ფაქტობრივად თანხმოვნის აღმნიშვნელ ნიშანს – ასოს წარმოადგენდა. დღეს ეგვიპტეში გურისტებს სთავაზობენ პაპირუსზე ჩამოწერილ ეგვიპტურ „ანბანს“. სავარაუდოა, რომ ეგვიპტელი ქურუმები ანბანის შექმნამდე დიდი ხნით ადრე მიხვდნენ, რომ ნიშნების სულ მცირე რაოდენობით პრაქტიკულად ყველაფრის დაწერა შეეძლოთ, მაგრამ ამ საიდუმლოს გამქაფება რევოლუციის გოლფასი იქნებოდა. ეგვიპტეში ხომ ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობა მის განსწავლულობაზე იყო დამოკიდებული. სამაგიეროდ, დასაყვლეთ-სემიტური გომების ვაჭრებმა, ვისთვისაც წერა-კითხვის ცოდნა არა სოციალური მდგომარეობის საწინდარი, არამედ საქმის წარმოების საშუალება იყო, ეს აღმოჩენა საფუძვლად დაუდეს თავიანთ კონსონანტურ-სილაბურ დამწერლობას (ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანები), რომლის განვითარების მწვერვალსაც ფინიკიური კონსონანტური დამწერლობა წარმოადგენს. ბერძნებმა ფინიკიურ თანხმოვანთა ნუსხას ხმოვნებიც დაუმაგეს და შეიქმნა ანბანი, რომლიდანაც მომდინარეობს თანამედროვე ანბანთა დიდი ნაწილი, მათ შორის, ქართული.

ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან ჩნდება სხვადასხვა სახის წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც ისტორიკოსისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენენ. უძველესი ღრვიდან ვხვდებით სამეურნეო ხასიათის ჩანაწერებს (ზოგ მკვლევარს საერთოდაც მიაჩნია, რომ დამწერლობა თავდაპირველად სწორედ ამგვარი ინფორმაციის ფიქსაციისთვის შემოიღეს), რელიგიურ-მითოლოგიური შინაარსის გექსტებს, იურიდიულ დოკუმენტებს.

რაც შეეხება ისტორიულ წყაროებს, თავისი შინაარსითა და მიზანდასახულებით უცილობლად ისტორიულ თხზულებათა შორის უძველესია პეროდოგეს „ისტორია“ (ძვ.წ. V ს.), ხოლო ისტორიული შინაარსის ჩანართები სხვადასხვა დანიშნულების გექსტებში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულიდან გვხვდება. ერთ-ერთი უძველესი დოკუმენტია ენთემნას კონუსის გექსტი (ძვ.წ. XXIV ს.). შუმერული ლაგამის მმართველმა ენთემნამ სძლია მეზობელი უმას მმართველს და დაეპატრონა სადავო გერიგორიას, რის აღსანიშნავად და განსამტკიცებლადაც შესრულდა ეს წარწერა. საკმაოდ ვრცელი ისტორიული თხრობა ეძღვნება იმის დასაბუთებას, რომ ენთემნამ

მხოლოდ აღადგინა ღმერთების მიერ დაღვნილი და მისი წინაპრების მიერ დაცული საზღვრები.

გამარჯვების აღსანიშნავ სტელებზე, კანონებსა თუ ხელშეკრულებებში ისტორიული პრეამბულა ძირითადად ავგორის ქმედებების თუ განზრახვის ლეგიტიმაციას ემსახურება.

ამავე კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოთ ხეთი მეფეების თელეფინუსა (ძვ.წ. XV ს.) და ხათუსილის III-ის (ძვ.წ. XIII ს.) ტექსტები, თუმცა ისინი უდავოდ იმსახურებენ აღნიშვნას საინტერესო ისტორიული თხრობის გამო, რომელიც გარკვეულ ანალიტიკურ ელემენტებს შეიცავს.

თავისი ფორმითა და შინაარსით ისტორიული თხზულებებია ხეთი, ასურელი თუ ურარტელი მეფეების ანალები. მაგრამ ამ ტექსტების შედგენის მიზანი და სავარაუდო მკითხველის ვინაობა მეცნიერთა შორის დავის საგანია. შესაძლოა, ეგვიპტური სამარხების კვლებზე აღმოჩენილი ავტობიოგრაფიების მსგავსად, ესეც ღმერთების წინაშე ერთგვარი ანგარიში იყოს.

ტექსტების შედგენის მიზანდასახულებისაგან დამოუკიდებლად, ეს დოკუმენტები უასდაუდებელი წყაროა ძველი ისტორიის შესასწავლად. თუმცა, აქ დაცულ ინფორმაციას გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რაც აშკარად ჩანს ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრძოლის, ქადემის ბრძოლის მაგალითზე. ჩვენამდე მოღწეულია ამ ამბის სამი სხვადასხვა ვერსია. ძვ.წ. 1275 წელს (დაბალი ქრონოლოგიით) ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-სა და ხეთების მეფე მუვათალის შორის გამართულ ამ ბრძოლაში რამსესი მეწინავე რაზმით ხაფანგში მოყვა და სასწაულებრივ გადაურჩა დაღუპვას. ხეთები, რომლებსაც ბრძოლის ველი და ნადაული დარჩათ, გამარჯვებას თავისად თვლიდნენ. ეგვიპტელებმა ხოტბა შეასხეს რამსესის გმირობას, რომელმაც ლაშქრის დაკარგვის შემდეგ მარგომ გაარღვია ალყა და ომის შედეგად status quo-ც შეინარჩუნა. ბრძოლის შემდეგ ეგვიპტესა და ხეთებს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების პრეამბულაში კი ბრძოლა ფრედაა შეფასებული. საოცარია, რომ არც ერთ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ამბის აშკარა გაყალბებასთან და სამივე ვერსიას საკუთარი სიმართლე გააჩნია.

როგორც ვხედავთ, ისტორიული წყარო გენდენციური წყაროა. ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს – ამბის მოყოლა, მით უმეტეს, მისი შეფასება ძალზე ინდივიდუალური საქმეა და ვერაფრით იქნება ობიექტური.

შედარებით ობიექტური, ყველაზე მეტად სანდო ინფორმაციის შემცველი წყაროა მშრალი სამეურნეო თუ იურიდიული დოკუმენტები. ძირითადად მათ საფუძველზე ხდება ძველი სამოგადოებების სახელმწიფო წყობის, სოციალური სტრატეგიკის, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების, ყოველდღიური ცხოვრებისა თუ სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლა.

ძველ სამყაროში ჩასაწვდომად აუცილებელია იმ დროის ადამიანის მსოფლმხედველობაში, მის აზროვნების წესში გარკვევა. ეს ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ამის გარეშე ჩვენ წარსულში ნანგრევების მიღმა ბევრს ვერაფერს დავინახავთ.

ძველ ისტორიაზე, მის პრობლემატიკასა თუ მეთოდებზე კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას. აქ ამით შემოვიფარგლები, ხოლო ქვემოთ კიდევ არაერთი საკითხია შედარებით დეტალურად განხილული, რომელზეც მკითხველისათვის ჩემი აზრის გაზიარება მენდომებოდა.

ბერძნები არც რიცხვითა და არც ძლევამოსილებით არ გამოირჩეოდნენ ძველი სამყაროს სხვა ხალხთა შორის, მაგრამ მათ შექმნეს ცივილიზაცია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად ახალ კონცეფციას ემყარებოდა. მათ პირველებმა აჩვენეს ადამიანის, პიროვნების გონების ძალა და ამით უდიდესი გავლენა იქონიეს კაცობრიობის შემდგომ განვითარებაზე. თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი კრიტიკული, მეცნიერული აზროვნება სწორედ ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს. ცივილიზაციის ბერძნული მოდელი გეთავაზობს გრადიციული, მითოპოეტური და ახალი, ანალიტიკური აზროვნების საოცარ შეზაფხებას. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ბერძნული ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ერთის მხრივ, არ მოწყდა მითოსს, მეორეს მხრივ, მოიპოვა დამოუკიდებლობა როგორც ადამიანური შემოქმედების სრულიად განსაზღვრულმა სფერომ. საკუთარი გამორჩეულობა ბერძნებს თვითონვე ჰქონდათ გაცნობიერებული და თავდაპირველად ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე, მხოლოდ ბერძნულად და არაბერძნულად მოლაპარაკეთა გასარჩევად გამოყენებული გერმინები – „ელინი“ და „ბარბაროსი“ – კლასიკური ხანისათვის სულ სხვა ელფერს იძენს. ელინები პოლისებში მცხოვრები თავისუფალი და თავისუფლებისმოყვარე ხალხია, ბარბაროსი კი – ყველა დანარჩენი, თუნდაც ბერძენთა მონათესავე.

ბერძენთა წინაპარი ინდო-ევროპელი გომები ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან მოყოლებული თითქმის ათასი წლის მანძილზე გალღებად იჭრებოდნენ ჩრდილოეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე. ამ გომების ერთმანეთთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად გაჩნდნენ ელინები და მათი ცივილიზაცია. ბერძნებს თავიდანვე ახასიათებდათ კულტურულ სიახლეთა იოლი შეთვისება და შემოქმედებითი გადამუშავება. სწორედ ამიგომ, მიუხედავად იმისა, რომ ბერძენთა კულტურული მიღწევების დიდი ნაწილის სათავე სხვა ცივილიზაციებში იძებნება, მათი ცივილიზაციის სიმაღლე და თვითმყოფალობა ეჭვს გარეშეა.

ბერძნულ ცივილიზაციაზე დიდი გავლენა იქონია გეოგრაფიულმა გარემომ. საბერძნეთი უამრავი ბუნებრივი ზღუდითაა დანაწევრებული, მიწა – ზომიერად ნაყოფიერი, რაც დიდი ქონების დაგროვების საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ მუყაით გლეხს დამოუკიდებელი შრომით თავისი ოჯახის რჩენას შეაძლებინებდა.

ხმელთაშუაზღვის კლიმატის წყალობით ძველი ბერძენი მოკრძალებულ რაიონსა და საცხოვრებელს სჯერდებოდა და თავისი დროის საკმაო ნაწილს ქუჩაში, ხალხში აგარებდა. ყოველივე ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბერძნული პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბება. ძველ ბერძენს ერთი სოფლიდან მეორეში მისასვლელად ან მთა უნდა გადაეღებინა, ან ზღვა. იგი, როგორც წესი, ამ უკანასკნელს ამჯობინებდა და მალე ისე შეეთვისა ზღვას, რომ სადაც მლაშე წყალი იყო, ყველგან შინ გრძნობდა თავს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროზე განსახლებით გადაწყდა დემოგრაფიული აფეთქებით გამოწვეული პრობლემები, ზღვით შემოდინდა კულტურული თუ მატერიალური ფასეულობები, ხმელეთის სიღრმეში ბედის ანაბარა დარჩენილი ბერძენი სამშობლოში დასაბრუნებლად უახლოესი ზღვისაქენ მიემართებოდა.

ძველი, ანუ ანტიკური ბერძნული ცივილიზაცია მოიცავს დროის დაახლ. 2000-წლიან მონაკვეთს – ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ახ. წ. IV საუკუნემდე. საწყის ეტაპზე ბერძენები უფრო მაღალგანვითარებული წინაბერძნული ცივილიზაციების ჩრდილში იყვნენ, ძვ. წ. XIV-IV საუკუნეებში თავად განაგებდნენ საკუთარ ბედს და სამ განუმეორებელ კულტურულ მწვერვალს ჰქმნიან, შემდეგ კი, დიდი იმპერიების მიერ დაპყრობილნი, განსაზღვრავენ დამპყრობთა კულტურის ნორმებს.

ბერძნული ცივილიზაციის პერიოდიზაცია ემყარება კულტურული განვითარების ეტაპებს, რომლებიც განსაზღვრული, მკვეთრად გამოხატული კულტურული ტენდენციით ხასიათდებიან. საყურადღებოა, რომ ამ ნიშნით გამოყოფილი პერიოდები თითქმის ზუსტად თანხვდება პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიკური ისტორიის პერიოდებს.

ძვ. წ. XVII-XII საუკუნეები – ე.წ. კრეტა-მიკენური, ანუ ეგეოსური პერიოდი. ბერძნული კულტურის განვითარების თვალსაზრისით, იგი შეიძლება გავყოთ ორ ეტაპად: მინოსური კრეტის ჰეგემონია ეგეოსის ზღვის აუზში (ძვ. წ. XVII-XV სს.) და მიკენური საბერძნეთის ჰეგემონია ეგეოსის ზღვის აუზში (ძვ. წ. XIV-XII სს.);

ძვ. წ. XI-X საუკუნეები – „ბნელი წლები“ (სახელწოდება პირობითია და ამ პერიოდის შესახებ თანამედროვე მეცნიერების ინფორმირებულობის ხარისხს შეესაბამება);

ძვ. წ. IX-VIII საუკუნეები – „გომეგრული რენესანსი“;

ძვ. წ. VIII/VII-IV საუკუნეები – პოლისური პერიოდი (გრაძიცულად VII-VI საუკუნეები „არქაულ“ პერიოდად იწოდება,

V-IV საუკუნეები კი - „კლასიკურად“);

ძვ. წ. IV-II/I საუკუნეები - ელინისტური პერიოდი;

ძვ. წ. II/I- ახ. წ. ა. IV საუკუნეები - რომაული ბაგონობის ხანა.

ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ცივილიზაციები

ამა თუ იმ ცივილიზაციის შესასწავლად ძირითად წყაროს წერილობითი ძეგლები წარმოადგენს. ამიგომ, როგორც წესი, მის ისტორიას დამწერლობის გაჩენის მომენტიდან ავითვლით. ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ცივილიზაციების მიკუთვნება პრეისტორიული ან ისტორიული ხანისათვის მეცნიერთა შორის დავას იწვევს ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების სპეციფიკის გამო. კრეტაზე გავრცელებული უძველესი იეროგლიფური და ე.წ. A-ხაზოვანი დამწერლობები ჯერაც გაუშიფრავია. ეს უკანასკნელი შემდგომში ბერძნებმა მეგ-ნაკლებად მიუსადაგეს თავიანთ ენას (ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობა). 1952 წელს ინგლისელმა მეცნიერებმა მ. ვენგრისმა და ჯ. ჩედეიკმა გაშიფრეს ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტები, რომლებიც ძირითადად მიმდინარე სამეურნეო ანგარიშები აღმოჩნდა, რის გამოც მათში დაცული ინფორმაცია ცალმხრივია.

ეგეიდის ქვეყნებს მოიხსენიებს ეგვიპტური და ხეთური ტექსტებიც. არქეოლოგიური მასალა კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის მხოლოდ ძალზე მზგად და სქემატურ მონახაზს გთავაზობს. ყველაზე ვრცლად ძვ. წ. II ათასწლეულის ეგეიდის ისტორიის შესახებ ბერძნული მითო-პოეტური გრადიცია, პირველ ყოვლისა, ჰომეროსის ეპოსი მოგვითხრობს. თუმცა უკანასკნელ ხანებში მეცნიერები მითების ისტორიულობას სულ უფრო მეტი ნდობით ეკიდებიან, ჩვენამდე მოღწეულ პოეტურად გადამუშავებულ მითებში ძალიან ჭირს სხვადასხვა ეპოქის რეალიების მუსტი ვამიჯენა. შესაბამისად, მემოხსენებულ წყაროებზე დაყრდნობით აღდგენილი სურათი ბერძნული ცივილიზაციის პირველი ორი პერიოდისა საკმაოდ პირობითია.

როგორც მოვი მეცნიერი ვარაუდობს, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან ჩნდება. მათგან ყველაზე შთამბეჭდავი მემკვიდრეობა კიკლადური ცივილიზაციისაგან შემორჩა მარმარილოსაგან საოცარი გემოვნებით გამოთლილი ფიგურების სახით. ეგეიდაში სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი შეფერხდა ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ჩრდილოეთიდან ინდო-ევროპული,

ბერძნული გომების შემოჭრის შედეგად. ისინი თავიანთ თავს, პომეროსის თანახმად, აქაველებს ან დანაელებს უწოდებდნენ, რაც ეგვიპტური და ხეთური წყაროებითაც დასტურდება. ადგილობრივი წინაბერძნული მოსახლეობა, რომლის ეთნიკური წარმომავლობა დაუდგენელია, ნაწილობრივ შეერია აქაველებს, ნაწილობრივ განდევნილ იქნა საკუთარი მიწა-წყლიდან. აქაველები ცივილიზებულიობის ხარისხით ჩამოუვარდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რამაც განაპირობა ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში ეგვიდის ცალკეული რეგიონების კულტურული თუ სოციალური განვითარების არათანაბარი ტემპი. დაწინაურდა კუნძული კრეტა, რომელიც გადაურჩა ჩრდილოელთა შემოსევას.

ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციას კუნძულ კრეტაზე მისმა პირველადმოძიებმა, ინგლისელმა არქეოლოგმა სერ არტურ ევანსმა მინოსური უწოდა კრეტის ლეგენდარული მმართველის, მინოსის სახელის მიხედვით. ევანსმა კნოსოსში (თანამედროვე ირაკლიონი) გათხარა მინოსის სასახლე, რომელიც ბერძნული მითების ლაბირინთს გვაგონებს.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან კრეტაზე სამეურნეო აღმავლობა შეინიშნება: ითვისებენ სახნავად ვარგის მიწებს, ვითარდება მეცხოველეობა და მასთან დაკავშირებული დარგები, ხელოსნობა, შიდა თუ საერთაშორისო ვაჭრობა. ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე კრეტაზე პირველი სახელმწიფოები ჩნდება ცენტრებით კნოსოსში, ფესტოსში, მალიასა და კაგო-მაკროში. დასახელებულ პუნქტებში აიგო სასახლეები, რომლებიც, შუამდინარული სასახლეებისა თუ ტაძრების მსგავსად, მიმდებარე რეგიონის პოლიტიკურ, კულტურულ და, პირველ ყოვლისა, სამეურნეო ცხოვრებას წარმართავენ. ე.წ. „ძველი სასახლეები“ დაახლოებით ძვ. წ. 1700 წელს მიწისძვრამ დაანგრია, მაგრამ სულ მალე დანგრეულთა ადგილზე კიდევ უფრო ბრწყინვალე „ახალი სასახლეები“ წამოიშორა. მათ შორის პირველობა კნოსოსის სასახლეს უნდა მოეპოვებინა და მალე მინოსის ხელისუფლებამ მთელი კუნძული გააერთიანა. ბერძნული მითები, რომლებიც კრეტის ძლიერებაზე მოგვითხრობენ, ძვ. წ. XVII-XVI საუკუნეთა რეალობას უნდა ასახავენ.

მინოსურმა ცივილიზაციამ დიდ სიმაღლეებს მიაღწია ხელოვნების მრავალ დარგში: არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, მხატვრობა. ამ უკანასკნელის ასახვის ობიექტს ძირითადად ბუნებისა და ადამიანის მშვენიერება წარმოადგენს. კრეტელი მხატვრები, რომელთა შესახებაც ფრესკებისა და მოხატული კერამიკის მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა, გასაოცარ ოსტატობას

იჩენდნენ დინამიური სცენების გადმოცემისას, რითიც ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან მათ თანამედროვე ეგვიპტელ თუ მესოპოტამიელ კოლეგათაგან და უახლოვდებიან კლასიკური ხანის ბერძენ ხელოვანთ. მინოსური საზოგადოების ამოუცნობი საიდუმლო გახლავთ მისი მშვიდობიანი ხასიათი. მინოსი, რომელმაც, ბერძნული მითების თანახმად, მთელ ზღვაზე მეკობრეობა მოსპო და ათენს ხარკი დააკისრა, სრულიად გაუმაგრებელ და დაუცავ სასახლეში ცხოვრობდა. საბრძოლო იარაღიც არქეოლოგებს კრეგაზე თითქმის არ აღმოუჩენიათ. უკანასკნელ ხანებში მეცნიერები იქითკენ იხრებიან, რომ „მინოსური მშვიდობა“ და მინოსური მსაგვრობის თემატიკა კრეგელთა თავისებური მსოფლმხედველობითი თუ რელიგიური სისტემით ახსნან: მიუხედავად იმისა, რომ კრეგელები პრაქტიკულ საქმიანობას, იქნება ეს მეურნეობის გაძღოლა, სასახლის კეთილმოწყობა თუ ზღვაზე კონტროლის დაწესება, მშვენივრად ართმევდნენ თავს, ცხოვრების აზრს ისინი ღმერთების სამსახურსა და ბუნებასთან პარმონიაში ხედავდნენ, რაც სოციალური დიფერენციაციით გამოწვეულ დაძაბულობასაც ამცირებდა და ცალკეული პიროვნებისა თუ ცალკეული საგმირო საქმისადმი ინტერესსაც ანელებდა. მინოსური კრეგის უზენაესი ღვთაება, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მიწის ქალღმერთი უნდა ყოფილიყო, რაც ხშირი მიწისძვრებით შეწუხებული და კარგი მოსავლით დაინტერესებული ხალხისათვის სრულიად ბუნებრივია. ქალღმერთის აგრიბუტი იყო ორმაგი ცული, მასთან გარკვეულწილად დაკავშირებული ჩანს ხარის კულტიც. ეს ღვთაება, კონტინენტური საბერძნეთის ანალოგიურ ქალღმერთთა და სხვა ღვთაებათა წინაბერძნულ კულტებთან ერთად, შეთვისებულ იქნა ბერძნების მიერ. როგორც ცნობილია, ოლიმპიელთაგან უცილობლად ბერძნული, ინდოევროპული წარმოშობისა მხოლოდ ზევსია. მიწის და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ღვთაებათა შეყვანას პანთეონში ამ უკანასკნელისათვის ხთონური ელფერი უნდა მიეცა. ალბათ, მხოლოდ ახალი ინდოევროპული გალდის, დორიელების მოსვლის მერე დაიმკვიდრეს ოლიმპიელებმა საბოლოოდ მათი ადგილი ცაზე.

ძვ. წ. 1500 წელს კუნძულ თერაზე (სანგორინი) მოხდა ვულკანის უძლიერესი ამოფრქვევა, რის შედეგადაც კუნძული სანახევროდ წყალმა შთანთქა. ეს მოვლენა შეიძლება საფუძვლად დასდებოდა მითს დეკალიონის წარდენის შესახებ. ამოფრქვევა და მისი თანმდევი გალდები და ფერული კრეგასაც მისწვდა, განადგურდა მინოსის სახელგანთქმული ფლოგი. დანგრეულ სასახლეთაგან მხოლოდ კნოსოსისა ადღა. სავარაუდოა, რომ აქაელებმა

ისარგებლეს კატასტროფით და ხელთ ივდეს ხელისუფლება კრეგამუ, მაგრამ მოერგნენ ადგილობრივ სტრუქტურებსა და წეს-ჩვეულებებს, რის გამოც არქეოლოგიურ მასალაში საგრძნობი ცვლილებები არ შეინიშნება. მხოლოდ ძვ. წ. XIV საუკუნეში აქაველთა ახალი დიდი შემოსევა საბოლოოდ ანგრევს სასახლეს და კრეგა მთლიანად მიკენური ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ექცევა.

საკუთრივ ბერძნების მიერ შექმნილი პირველი ცივილიზაცია იწოდება მიკენურად მისი ყველაზე ადრე აღმოჩენილი და, ალბათ, უმნიშვნელოვანესი ცენტრის, მიკენის სახელის მიხედვით. მიკენის ციხე-სიმაგრე ძვ. წ. XVII საუკუნეში არის აგებული. მის დაარსებას ბერძნული მითოლოგიური გრადიცია პერსეუსის სახელს მიაწერდა. პერსეიდებს ხელისუფლება პელოპსმა ჩამოართვა. იგი ძვ. წ. XVI საუკუნის I ნახევარში უნდა მოსულიყო მცირე აზიიდან, საიდანაც ჩამოიგანა საბრძოლო ეგლი. დაახლ. ამავე დროს დანაელები ეგვიპტელთა მოკავშირეებად გამოდიან ფარაონ იახმეს I-ის ბრძოლაში ჰიქსოსების წინააღმდეგ. პელოპსმა სახელი მისცა სამხრეთ საბერძნეთს, პელოპონესოსს, რაც მთელ ნახევარკუნძულზე მიკენური ხელისუფლების გავრცელების შედეგად უნდა მომხდარიყო. პერსეიდები და პირველი პელოპიდები თავიანთ სახელმწიფოს მინოსის მიზაძვით აგებდნენ. საეარაულოა, რომ მათ დააჩქარეს წინაბერძნულ ღვთაებათა ინტეგრაცია ბერძნულ პანთეონში. მიკენის კულტურა მინოსურის უდიდეს გავლენას განიცდიდა, მაგრამ თავიდანვე გამოირჩეოდა თავისი საბრძოლო სულით, რაც არა მარტო მეფე-მთავართა რეზიდენციების მძლავრ გალავნებსა და ბრინჯაოს მახვილების თუ სხვა საომარი იარაღის ფართო გავრცელებაში ვლინდება, არამედ მხატვრობაშიც. ომისა და ნადირობის სცენებზე რომ არაფერი ეთქვათ, რაც მინოსური ხელოვნებისათვის სრულიად უცხო იყო, ორ ცივილიზაციას შორის განსხვავების საჩვენებლად ვაზაზე დახატული რვაფეხას ორი გამოსახულებაც გვეყოფოდა. მინოსური რვაფეხა მშვიდად და ლაღად მიცურავს წყალში, მიკენური კი თავდასასხმელად არის შემართული. ამ ილუზიას ქმნის სიმეტრიის ვერტიკალური ღერძი. სიმეტრიისა და ნახატის სქემატიზაციისკენ ბერძნეთა მისწრაფება თანდათან აცილებს მათ ნაწარმს მინოსური პირველწყაროსაგან და თავის კულმინაციას ბევრად უფრო გვიან, გეომეტრიულ პერიოდში აღწევს.

მიკენური ცივილიზაციის აღმავლობა ძვ. წ. XVI საუკუნიდან იწყება. მისი ცენტრი არგოლიდამი იყო და თანდათანობით მან

მოიცვა მთელი სამხრეთ საბერძნეთი – პელოპონესის ნახევარკუნძული, აგია, ბეოგია და ფოკისი შუა და იესალია ჩრდილო საბერძნეთში, ზღვაზე მინოსური ჰეგემონიის დასაფიცის შემდეგ კი ეგეოსის ზღვის კუნძულებიც. უკვე ძვ. წ. XV საუკუნის შუახანებიდან მინოსური გავლენის სფეროში მყოფ გერიგორიაზე (მილეტი მცირე აზიაში, მელოსი, როლოსი, კვიპროსი) ერცელდება მიკენური ნაწარმი, შესაძლოა, რაღაც ფორმით, მიკენური ხელისუფლებაც. ძვ. წ. XIV საუკუნის დასაწყისიდან მიკენის ექსპანსია ეგეოსის ზღვის აუზში აშკარაა. იგი საბოლოოდ იმორჩილებს კრეტას, მცირე აზიაში და კვიპროსზე აქაველები ატრევისის სარდლობით უპირისპირდებიან ხეთების სამეფოს. ამავე დროს განეკუთვნება გროადაში აღმოჩენილი უძველესი მიკენური კერამიკა, რაც აქაველთა მიერ შავი ზღვის ათვისების დასაწყისზე უნდა მიუთითებდეს. სწორედ შავ ზღვაში დაუბრკოლებლად შესვლის სურვილი უნდა გამხდარიყო ძვ. წ. XIII საუკუნეში გროაზე ლაშქრობის ერთ-ერთი მიზეზი. ეგეიდაში კრეტის პოლიტიკური ჰეგემონიის მიკენურით შეცვლა აქაველთა კულტურასაც დაეცყო. ერთი მხრივ, წინ წამოიწია ადრე მინოსურის ჩრდილში მყოფმა ბერძნულმა ელემენტებმა, მეორე მხრივ, მემობელ მაღალ ცივილიზაციებთან (ეგვიპტე, სირია-პალესტინა, ხეთები) პირდაპირმა კონტაქტებმა ზოგი სიახლეს შემოიტანა. ასე მაგალითად, აქაველ მბრძანებელთა ბრწყინვალე გუმბათიანი სამარხები (ძვ. წ. XIV ს.) ეგვიპტურ გავლენას შეიძლება მივაწეროთ, ხოლო „ლომების კარიბჭე“ (ძვ. წ. 1250 წ.) – ხეთურს. თუმცა არც ერთ შემთხვევაში უხეშ მიბაძვაზე საუბარი არ იქნებოდა გამართლებული. მინოსური გავლენისაგან თავდახსნილმა აქაველებმა თანდათანობით შექმნეს თვითმყოფადი კულტურა.

სავარაუდოა, რომ მიკენური საბერძნეთი წარმოადგენდა „იმპერიას“ მიკენით სათავეში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ვასალური სამეფო-სამთავროები. „იმპერიის“ გერიგორიის მრდის პარალელურად ძლიერდებოდა სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია. მიკენის ვასალური სამეფოები შინაურ საქმეებში სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას აღწევდა და ზოგჯერ ერთმანეთს შორის ურთიერთობებს იარაღის ძალითაც არკვევდა, მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიოდა მიკენის დიდი მეფის სარდლობით. შესაბამისად, არ უნდა დაეინახოთ წინააღმდეგობა წყართა ცალკეულ ჯგუფებს შორის, რომლებიც აქაველთა სახელმწიფო-ებრიობას განსხვავებულად ხატავენ. ეგვიპტელებისა და ხეთებისათვის საბერძნეთი ერთიანი და ძლიერი ქვეყანაა, პილოსის

არქივი მხოლოდ საკუთარი საქმეებით ინგერესდება და მიეკნს სულაც არ ახსენებს, ხოლო ჰომეროსი აქაველთა სამხედრო კოალიციას წარმოგვიდგენს.

მიკენურ საბერძნეთშიც, მინოსური კრეგის მსგავსად, სამოგადოებრივი ცხოვრება სასახლეებიდან იმართებოდა. სასახლეები აღმოჩენილია მიკენში, გირინთოსში, პილოსში, ათენში, თებში, ორქომენოსსა და იოლკოსში (ამ უკანასკნელიდან, ალბათ, ძვ. წ. XIV საუკუნეში, გამოემართნენ არგონაეგები კოლხეთისაკენ). მათგან ყველაზე შთამბეჭდავ ციხე-სიმაგრეებს გირინთოსი და მიკენი წარმოადგენდა, ხოლო არქეოლოგიურად ყველაზე უკეთ შესწავლილი პილოსია, სადაც B-ხაზოვანი ფირფიცების საკმაოდ სრულად შემონახული, ძვ. წ. 1200 წლით დათარიღებული არქივიც აღმოჩნდა. არქივი მიმდინარე სამეურნეო ანგარიშებს მოიცავს და მიკენური მეურნეობისა და სოციალური სტრუქტურების შესასწავლად საყურადღებო მასალას გვთავაზობს.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომელიც უზენაესი საერო და სასულიერო ხელისუფლის ფუნქციებს ითავსებდა და დახევეწილი ბიუროკრატიული აპარატის დახმარებით მართავდა ქვეყანას.

სასახლეები, რომელთა არქივებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, „აღმოსავლური“ გიპის ცენტრებს წარმოადგენდა, ანუ იქ კონცენტრირებული იყო არა მარტო ქვეყნის პოლიტიკური, არამედ სამეურნეო მართვის სადავეები. გექსტები სამოგადოებრივი ცხოვრების სფეროთაგან სწორედ სასახლის ორგანიზაციულ საქმიანობას აშუქებს, ძირითადად მეურნეობის სხვადასხვა დარგში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეტალურგიულ წარმოებას, მეცხოველეობას. სავარაუდოა, რომ სასახლე მხოლოდ თავისი საჭიროებებისათვის სამყოფ მარცვლეულს თუ სხვა პროდუქტს აგროვებდა გადასახადების სახით, ხოლო მოსახლეობა თავის გამოსაკებად, დასათესად თუ გასაცვლელად საჭირო პროდუქციას თვითონ განაგებდა. შესაბამისად, მიკენური სასახლეების ჩარევა მიწათმოქმედებასა და აგრარული პროდუქციის გადანაწილებაში ბევრად ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ისეთი სასახლეებისა, რომელთა მონაწილეობის გარეშე მიწის ფონდის დიდი ნაწილი საერთოდ ვერ დამუშავდებოდა (მაგალითად, შუამდინარეთში).

მეფის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებული მიწა სამეფოს 16 ოლქიდან ძირითადად მხოლოდ ერთშია თავმოყრილი და მის მოხელეებს ურიგდებოდა სხვადასხვა სამსახურის პირობით, ხოლო სასახლის ბელედი, ძირითადად თემებისათვის დაწესებული კოლექტიური გადასახადების ხარჯზე ივსებოდა. თემის ან ცალკეულ მეთემეთა მიერ ვალდებულებათა შესრულებაზე კონტროლი

ეკისრებოდათ როგორც ცენტრალური ხელისუფლების მოხელეებს, „გუბერნატორებს“, ასევე ადგილობრივ წარჩინებულებს, ბასილევსებს. ბერძნულ მიწაზე კოლექტიური შრომა არც საჭირო იყო და არც მომგებიანი, რის შედეგადაც როგორც სამეფო, ასევე სათემო მიწებზე წვრილი, საკუთრებასთან მიახლოებული ინდივიდუალური მფლობელობები ყალიბდება. სამეფო მიწებზე მფლობელობითი ურთიერთობები ევოლუციის რამდენიმე საფეხურს გადის. ამ პროცესში შეინიშნება გარკვეული შესაბამისობა ნაკვეთის სტატუსსა და მფლობელის ან მოსარგებელ/მოიჯარადის სტატუსს შორის.

სწორედ მფლობელისა და მფლობელობის სტატუსთა შესაბამისობები, განსაკუთრებით კი არისტოკრატის შიგნით სახელდებული, სოციალური და არა თანამდებობრივი ნიშნით გამოყოფილი ფენები არის ის, რაც მიკენურ საზოგადოებას მკვეთრად განასხვავებს ძველადმოსავლურ საზოგადოებათაგან. ინდოევროპელი ხეივებიც კი, რომლებიც აღმოსავლეთის ხალხთაგან ყველაზე ახლოს იდგნენ აქაველებთან, გერმინოლოგიის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, არისტოკრატის მხოლოდ თანამდებობრივ დაყოფას იცნობდნენ. „დასავლური“, მეტად თავისუფალი განვითარების ნიშნად შეიძლება ჩავთვალოთ მეფის ტიტულიც. ძველი აღმოსავლეთის მბრძანებელთაგან განსხვავებით, რომლებიც ქვეყნის, ან საერთოდ, ქვეყნიერების მეფეებად იწოდებოდნენ და ღმერთებად, ან ნახევრადღმერთებად ცხადდებოდნენ, მიკენის მეფე მხოლოდ გმირი და კაცთა წინამძღოლი იყო. ეს გერმინოლოგიური განსხვავებები ნაწილობრივ შეიძლება ბერძნული სულის, ამროვნების თავისებურებებითაც აიხსნას, მაგრამ გარკვეულ რეალურ განსხვავებასაც უნდა ასახედეს ამ საზოგადოებათა სოციალურ სისტემებს შორის.

მემოტიჟულიდან გამომდინარე, მიკენურ საზოგადოებაში შეიმჩნევა როგორც დასავლურ-ფეოდალური, ასევე აღმოსავლური სოციალური მოდელის ნიშნები. მათი თანაარსებობა არაა გასაოცარი, რადგანაც ორივე მოდელი გეოლოგიურად ახლოს დგას და პირობით ფართო გაგებით ფეოდალურად შეიძლება ჩაითვალოს. ორივეში მეურნეობა პოლიტიკური ხელისუფლების მიერ იმართება, კერძო საკუთრება და პირადი თავისუფლება ორივეში შემღვდულია. მათ შორის განსხვავება მმართველობის ფორმებში მდგომარეობს. აღმოსავლეთში მთელი ძალაუფლება მეფესა და მის ბიუროკრატულ აპარატს ეკუთვნოდა, დასავლეთში კი სამხედრო არისტოკრატს. კონკრეტული ისტორიული,

გეოგრაფიული თუ სამეურნეო პირობების გამო მიკენურ სამყაროში გარკვეული წონასწორობა დამყარდა ბიუროკრატიასა და სამხედრო არისტოკრატიას შორის. ძნელი სათქმელია, კაცასტროფა რომ არა, ეს წონასწორობა განვითარების რომელი მიმართულების სასარგებლოდ დაირღვეოდა. სასახლეების დანგრევამ და ჩვეული მმართველობის სისტემის მოშლამ გზა გაუხსნა დასავლურ მოდელს, ხოლო ფირფიტებში ასახული საზოგადოება შეიძლება ფართო გაგებით ადრეფეოდალურად ჩაითვალოს.

ამგვარ საზოგადოებაში მკვეთრი განსხვავება თავისუფალსა და არათავისუფალს შორის არ შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებათა შესატყვისი ბერძნული სიტყვები B-ხაზოვანი ტექსტებისათვის უცნობია არაა, ისინი აქ სხვა მნიშვნელობით იხმარება. „თავისუფალი“ გადასახადისაგან განთავისუფლებულს ნიშნავს, „მსახური, მონა“ კი – სხვის სამსახურში მყოფ პირს. მის სტატუსს განსაზღვრავს არა პირადი თავისუფლება-არათავისუფლება, არამედ ვის ემსახურება იგი და რა სახის სამსახურს ასრულებს. მათ შორის ვხვდებით თავისუფალსაც, ყმასაც და მონასაც, წვრილ მოხელესაც, ხელოსანსაც და შინამოსამსახურესაც.

დაახლოებით ძვ. წ. 1200 წელს მიკენურ სასახლეთა და დასახლებათა დიდი ნაწილი განადგურდა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კაცასტროფა ადამიანის ნახელავს უკავშირდება, მაგრამ დამნაშავეს ვინაობა მკვლევართათვის უცნობია. გრადიციულად მიკენური სამყაროს დანგრევა დორიელებს მიეწერებოდა. შემდეგ პოპულარული გახდა ე.წ. „ზღვის ხალხების“ ვერსია. მაგრამ შესაძლოა, რომ „ზღვის ხალხების“ როლი რამზეს III-ის მიერაა გაზვიადებული საკუთარი გამარჯვების განსაღიღებლად და მათ არ მიუძღვით ძირითადი ბრალი ხეთებისა და აქაველების სახელმწიფოთა მოსპობაში. ნგრევის საფუძველი შეიძლება შინააშლილობა და ეკონომიკური კრიზისიც გამხდარიყო.

„ბნელი წლები“ და „გეომეგრული რენესანსი“

მიკენური ცივილიზაციის აგონია მთელ საუკუნეს გრძელდებოდა და მხოლოდ მას შემდეგ, ძვ. წ. XI-X საუკუნეებში ხდება ჯერ ჩრდილო-დასავლური ტომების, ეგოლიელების, ხოლო მოგვიანებით ჩრდილოელ დორიელთა ჩამოსახლება – „ჰერაკლიდების დაბრუნება“. მოსახლეობის ერთი ნაწილი კაცასტროფას ემსხვერპლა, ნაწილიც ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროსა და კვიპროსზე გადასახლდა – ე.წ. ეოლიური

და იონიური კოლონიზაცია. აქაველებმა საბერძნეთის მხოლოდ რამდენიმე ოლქი შეინარჩუნეს, მათ შორის აგია. პელოპონესოსში დარჩენილი აქაველები ღორიელებმა დაიპყრეს და დაიყმევეს.

საბერძნეთის ისგორიაში ძვ. წ. XI-X საუკუნეებს „ბნელი წლები“ ეწოდება, რადგანაც ამ პერიოდის წერილობით წყაროებს, თუ ისინი საერთოდ არსებობდნენ, ჩვენამდე არ მოუღწევია. ეპოქის შესწავლა არქეოლოგიური მასალისა და პომეროსის ეპოსის საფუძველზე ხდება. თვითონ პომეროსს ძვ. წ. VIII საუკუნეში უნდა ეცხოვრა. პატივს, მის მშობლიურ ქალაქად ჩათვლილიყო, ბევრი ბერძნული ქალაქი ეცილებოდა ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის საფუძველი ყველაზე მეტად იონიურ სმირნას (თანამედროვე იზმირი) ჰქონდა. გროას ომი, რომელსაც პომეები ეძღვნება, მიკენური ხანის მოვლენაა, მაგრამ „პომეროსის სამოგადობა“ სწორედ „ბნელი წლების“ სამოგადობის პოეტურ ასახვას უნდა წარმოადგენდეს. „ბნელმა წლებმა“ ბერძნებს მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა. მათ ისწავლეს რკინის დამუშავება. რკინა ბრინჯაოს ხანაში ყველაზე ძვირფას და იშვიათ ლითონად ითვლებოდა, მაგრამ მას მერე, რაც მისი გამოდნობის ტექნოლოგია ცნობილი გახდა, მან სწრაფად განდევნა ბრინჯაო. რკინა მოსახმარადაც უკეთესი აღმოჩნდა და დასამუშავებლადაც. მან მიწათმოქმედის შრომაც გააიოლა და შორეული ქვეყნებიდან ნედლეულის შემოტანის საჭიროებაც მოხსნა, რაც ნგრევისა და მიგრაციების ტალღის მინელების შემდეგ დაწყებულ სამეურნეო აღმავლობაში სასახლის ბიუროკრატიულ აპარატს ადგილს აღარ უტოვებდა.

ბერძნების ხელმეორე აღმასვლის საწყის ეტაპს (ძვ. წ. IX-VIII სს.) პომეროსის ეპოქასაც უწოდებენ და გეომეტრიულსაც, პირველ ყოვლისა, იმ დროის კერამიკაზე გეომეტრიული ორნამენტის გავრცელების გამო. გეომეტრიული მოტივების, სიმეტრიისა და ფორმათა პარმონიისადმი ინტერესმა და ლტოლვამ ბერძნული ხელოვნებისა თუ, საერთოდ, აბროვნების ბევრ სფეროში იჩინა თავი და შემდგომშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ხსენებულ პერიოდში კი ეს გენდენცია ყოვლისმომცველი იყო. დიპილონის ვაზებსა თუ პომეროსის ეპოსში ნიშან-ელემენტთა რაოდენობრივი, სიმეტრიული განაწილება არქიტექტონულად სრულყოფილ სურათს ქმნის. საინტერესოა, რომ ეპოსში ელემენტების სიმეტრიული განაწილება გამოიყენება როგორც ტექსტის კომპოზიციური ორგანიზაციის დონეზე, ასევე გმირთა ხასიათების გამოსაკეთად.

ეპოქის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ანბანური დამწერლობის გაჩენა. ძვ. წ. VIII საუკუნეში ვრცელდება

ფინიკურის საფუძველზე შექმნილი ბერძნული ანბანი, რომელიც დამწერლობის ძველ სისტემებთან შედარებით ბევრად მარტივი იყო და წერა-კითხვის სწავლა რიგითი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

პოლისური საბერძნეთი

ეგეოსურ ცივილიზაციათა აღმოჩენამდე საბერძნეთის პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიის დასაწყისად ძვ. წ. 776 წელი – პირველი ოლიმპიური პანელნური თამაშების წელი იყო მიჩნეული. აქედან მოყოლებული ბერძენ-სპარსელთა ომამდე საბერძნეთის განვითარების მეტად ღინამიურ და საინტერესო პერიოდს არქაული (ძველი) ეწოდება, ხოლო ბერძნული ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალს (ძვ. წ. V-IV სს.) – კლასიკური. კულტურული თუ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ეს პერიოდები ერთ ეტაპს ქმნის, რის გამოც მათი ერთიანად განხილვა გამართლებული უნდა იყოს.

კლასიკური ხანის საზოგადოებრივი საფუძველი ჯერ კიდევ წინა ეპოქაში ჩაისახა. მეურნეობაში ცენტრალური ფიგურა თავისუფალი მიწათმოქმედი გახდა, ხოლო პოლიტიკურ ცხოვრებაში – პოლისი, თავისუფალ ადამიანთა გაერთიანება. პოლისი, როგორც წესი, ქალაქ-სახელმწიფოდ ითარგმნება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე პოლიტიკურ გერმინოლოგიაში მისი უფრო ზუსტი შესატყვისი ვერ მოიძებნა. პოლისი ქალაქს იმით წააგავს, რომ მას აქვს აკროპოლისი, გამაგრებული ბორცვი თემის მფარველი ღვთაების სამლოცველოთი და მის წევრთა თავშეყრის ადგილით. აქ ცვლიდნენ საქონელს და წყვეტდნენ საჭირბოროტო საკითხებს, ბორცვის გარშემო კი ხალხი სახლდებოდა. პოლისთა უმრავლესობას სოფლის გიპის დასახლება ჰქონდა და ქალაქი საერთოდ არ გააჩნდა, ზოგიც რამდენიმე ქალაქს მოიცავდა. სახელმწიფოც მხოლოდ პირობით შეიძლება პოლისს ვუწოდოთ – მისი მიწა არის არა სახელმწიფოს ტერიტორია, არამედ მის წევრთა, „მოქალაქეთა“ ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ საკუთრებაში მყოფ ნაკვეთთა კრებული, თვითონ პოლისიც ბერძენთა მიერ, პირველ ყოვლისა, „მოქალაქეთა“ ერთობლიობად აღიქმებოდა. დიდი სახელმწიფოებისაგან გასხვავებით, პოლისის ინტერესები ძირითადად „მოქალაქეთა“ ინტერესების ჯამს წარმოადგენდა, რის გამოც ცალკეულ ადამიანებს საზოგადოებრივი საქმე პირადად ნაკლებად არ აინტერესებდათ. ბერძენების „კოლექტივიზმი“ პოლისის გარეგნულ სახეშიც გამოვლინდა –

ხალხი სადა და პრიმიტიულ სახლებში ცხოვრობდა, მაგრამ უბრწყინვალეს საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებს, პირველ რიგში, გაძრებს აშენებდა.

თავდაპირველად პოლისი თემის ტიპის ორგანიზაცია იყო, რომელიც თავის წევრთა შორის ურთიერთობებს არეგულირებდა და მათ საკუთრებას იცავდა მეზობელი თემების მხრიდან ხელყოფისაგან. თავის მიწაზე თითოეული ოჯახი დამოუკიდებლად ეწეოდა მეურნეობას, საკუთარ მოსავალსა და საკუთარ ნახელავს სჯერდებოდა. კარჩაკეტილი, მარტივი მეურნეობა მწირ მიწაზე არ ქმნიდა პირობებს სხვისი შრომის ფართო ექსპლოატაციისათვის. თემის თავკაცები, თუნდაც ბასილევები (მეფეები) სამეურნეო თვალსაზრისით, დიდად არ გამოირჩეოდნენ სხვათაგან და რეალურად შეძლებული და პატივცემული გლეხები იყვნენ. მათი წარჩინებულობა ძირითადად სამხედრო საქმეში წამყვან როლს ეფუძნებოდა. მხოლოდ მათ გააჩნდათ ცხენები და ძვირადღირებული მძიმე აღჭურვილობა, ხოლო იმ დროის ომების ბედი, როგორც პომეროსისაგან ვიგებთ, გმირთა ორთაბრძოლებში წყდებოდა. არისტოკრატის აგონისტურ სულს, პირადად თავის გამოჩენის წყურვილს, რაც დროთა განმავლობაში მოგადად ბერძენთათვის გახდა დამახასიათებელი, უნდა ვუმადლოდეთ „უსისხლო ბრძოლის“, სპორტული შეჯიბრების გაჩენას. ოლიმპიური თამაშები იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა, რომ მათ დროს ერთმანეთთან მეომარ პოლისებს შორის დროებითი მშვიდობა მყარდებოდა. ოლიმპიადაზე გამარჯვება უდიდეს გმირობას უთანაბრდებოდა, რასაც თუნდაც პინდარეს (ძვ. წ. V ს.) პოეზიიდან ვიგებთ. ოლიმპიურ და სხვა პანელინურ თამაშებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლისებად მცხოვრებ ბერძენთა ეროვნული მთლიანობის გრძნობის გასაღვივებლად. ომებითა თუ სპორტული ასპარეზობებით სახელმძოხვეჭილ წარჩინებულთა სიციყვას დიდი ფასი ჰქონდა სახალხო კრებაზე, მათვე ეკისრებოდათ სამართლის წარმოება. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში, სამეურნეო აღმავლობისა და სოციალური ღიფურენციაციის გაღრმავების პირობებში, არისტოკრატია შეეცადა მთლიანად თავის ხელში აეღო პოლისების მმართველობა და დაემორჩილებინა თუ დაეყმევებინა რიგითი მოსახლეობა, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, უშედეგოდ.

სოციალურ დაძაბულობას პოლისებში წარჩინებულთა პრეტენზიებზე მეტად მოსახლეობის ზრდა და მიწის ნაკლებობა იწვევდა. ბერძნებმა ეს პრობლემა გადაწყვიტეს ფართო კოლონიზაციური მოძრაობის მეშვეობით, რომელიც ძვ. წ. VIII

საუკუნის შუახანებში დაიწყო, სამ საუკუნეს გაგრძელდა და „დიდი კოლონიზაციის“ სახელით არის ცნობილი. უმიწოდ დარჩენილი, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დამარცხებული თუ უბრალოდ თავგადასავლების მაძიებელი ადამიანები მასობრივად გოვებდნენ საკუთარ პოლისს და ახალი სამშობლოს საძებნელად მიემართებოდნენ. ისინი ახალ „მისამართს“, როგორც წესი, დელფოს სამისნოსაგან იგებდნენ. სამისნომ ხმელთაშუაზღვისპირეთის საოცარი ცოდნა გამოავლინა – მისი რჩევით დაარსებულ კოლონიათა უმრავლესობა დღევრძელი და წარმატებული აღმოჩნდა. ალბათ, ამიგომ მიაჩნდათ ბერძნებს დელფო სამყაროს ცენტრად. კოლონიზაცია სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდებოდა: დასავლეთი – სიცილია, სამხრეთი იტალია, სამხრეთ საფრანგეთი, ესპანეთი; ჩრდილოეთი – ეგეოსის ზღვის თრაკიული სანაპირო, პელესპონგისა და ბოსფორის სრუტეები, შავი ზღვა; სამხრეთ-აღმოსავლეთი – ჩრდილოეთ აფრიკა და წინა აზია. კოლონიზაციის პროცესი კუნძულ ევბეადან დაიწყო, შემდეგ მასში აქტიურად ჩაებნენ კორინთო, მეგარა, იონიური ქალაქები, განსაკუთრებით ბევრი დასახლება იონიურმა მილეტმა დააარსა. კოლონიები, ანუ აპოიკიები, როგორც მათ თვით ბერძნები უწოდებდნენ, მათი დამფუძნებელი მეგროპოლისისაგან პოლიტიკურად სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ. მათი უმრავლესობა ჩვეულებრივი პოლისი იყო. მხოლოდ ზოგ შემთხვევაში, როდესაც დასახლება ძლიერი სახელმწიფოს გერიტორიაზე არსდებოდა, იგი სავაჭრო ფაქტორიის სტატუსსა და შემდგულ თვითმმართველობას სჯერდებოდა. კოლონიზაციის შედეგად ბერძნებმა ხელთ იგდეს საერთაშორისო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი გზები, რამაც დიდი გავლენა იქონია საბერძნეთის ეკონომიკაზე – არა მარტო ხელოსნობა, არამედ სოფლის მეურნეობაც საერთაშორისო ბაზარზე აეწყო. მკვეთრად იმატა საექსპორტო ღვინისა და ზეთის წარმოებამ, ხოლო მარცვლეული კულტურები, რომლებიც ადრე დიდი გაჭირვებით მოჰყადათ, იმპორტის სავნად იქცა სხვა ნელელულთან ერთად (ხე, ლითონი და სხვ.).

ძვ. წ. VII საუკუნეში მოიჭრა პირველი მონეტები, გაჩნდა ნამღვილი ფული, რომელმაც თანდათანობით შეცვალა მიწა სიმდიდრის კრიტერიუმის როლში. ფული მიწასთან შედარებით უფრო იოლი მოსაპოვებელი იყო. ზოგი მიწადაკარგული გლეხი იღბლიანი ვაჭარი აღმოჩნდა და თავის შეძლებით ბევრ დიდგვაროვანსაც გაასწრო. მეორე დარტყმა არისგოკრატიას სამხედრო საქმეში მომხდარმა გადაგრიალებამ მიაყენა – ომში

ძირითადი ფიგურა მძიმედ შეიარაღებული ქვეითი, პოპლიტი გახდა, რამაც პოლისში საშუალო შეძლების მოქალაქეთა მნიშვნელობა გაზარდა. ხელისუფლების შესანარჩუნებლად არისტოკრატებმა ვერ მოახერხა გაერთიანება. პაგარა პოლისებში ფუნქციონირებულ და არც თუ ძალიან მდიდარ წარჩინებულებს უჭირდათ მყარი სოციალური დასაყრდენის პოვნა. გარდა ამისა, ყოველ მათგანს პირველობა უნდოდა, ზოგი ადრევე ბრბოსაც კი ჩაუდგა სათავეში „თავისიანთა“ წინააღმდეგ და ხალხის ინტერესების დაცვის საბაბით საკუთარი ერთპიროვნული მმართველობა, გირანია დაამყარა. თავდაპირველად გერმინს გირანია არ ჰქონდა უარყოფითი ელფერი. ისტორიამ შემოგვიჩვენა გირანთა სახელები, რომელთა მოღვაწეობა პოლისისათვის სასიკეთო აღმოჩნდა. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ბერძენი ძნელად ეგუებოდა ერთი კაცის ხელისუფლებას, სხვისი ბრძანებების შესრულებას. ამიტომ გირანია იშვიათად ძლებდა ერთ თაობაზე მეტ ხანს. მმართველობის ეს ფორმა არ იყო სავალდებულო ეტაპი არისტოკრატიული პოლისების დემოკრატიზაციის გზაზე – პროცესი ზოგან უფრო მშვიდობიანად მიმდინარეობდა.

დემოსის, ხალხის ერთ-ერთი პირველი გამარჯვება არისტოკრატებზე კანონების ჩაწერა იყო. ასე მაგალითად, ათენში ხალხის ამბოხებისა და გირანიის დამყარების პირველ უშედეგო მცდელობას მოჰყვა დრაკონის კანონები (ძვ. წ. 624 წ.). მართალია, პირველი წერილობითი კანონები გრადიციული სამართლის ფიქსაციას არ გასცდენია და ათასი წლით უფრო ადრეულ შუამდინარულ კანონებთანაც შედარებით პრიმიტიულად გამოიყურებოდა, მათ გაჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება წარჩინებულ მოსამართლეთა თვითნებობა. კანონების ჩაწერის, განსაკუთრებით კი ახალშექმნილ კოლონიებში მათი შედგენის პროცესში ბერძნებმა აღმოაჩინეს, რომ კანონი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კი არ არის ღმერთების მიერ, არამედ, ისევე როგორც ნებისმიერი პრაქტიკული გადაწყვეტილება, მოქალაქეთა შეთანხმების შედეგია. ამას მოჰყვა ფიქრი კანონმდებლობის, სამართლის პრინციპებზე, სამოგადოებისა თუ სამყაროს კანონზომიერებებზე. შემთხვევითი არ არის, რომ ამ დროს ცხოვრობდა „შიდი ბრძენი“, რომელთაც ხალხმა ამა თუ იმ ფორმით წინამძღოლობა ჩააბარა: კორინთოს გირანი პერიანდროსი, ათენელი სოლონი, ქილონ სპარტელი, მილეტელი თალესი, ბრიას პრიენელი, პიტაკოს მიტილენელი, კლეობულოს ლინდოსელი.

ბრძენი მმართველის მოღვაწეობის მაგალითი კვლავ ათენის

ისგორიიდან შეიძლება მოვიგანოთ. ძვ. წ. 594 წელს სოციალური აფეთქების ზღვარზე მყოფ ათენში გამოსავლის მოძებნა სოლონს მიახდეს. ხალხის ძირითადი საკვივარი სავალ კაბალა იყო. ათენელთა ღიდი ნაწილის მიწები ვალების გადაუხდელობის გამო წარჩინებულების, ევპატრიდების ხელში აღმოჩნდა. ყოფილი მესაკუთრეები საკუთარ მიწაზე მოიჯარადეუბად მუშაობდნენ, ზოგი მონადაც გაიყიდა. სოლონმა გააუქმა ვალები (სეისახთია) და ათენელთა შელახული უფლებები აღადგინა. აიკრძალა ვალების გამო თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვა. შეიკვალა მეურნეობის ორიენტაცია სასაქონლო წარმოების სასარგებლოდ, რასაც საერთაშორისო ვაჭრობაში ათენელთა ოდნავ დაგვიანებული, მაგრამ აქტიური ჩართვა მოჰყვა. ევპატრიდების პოლიტიკურ პრივილეგიებს ღიდი დარტყმა მიაყენა მმართველობის სისტემის რეფორმამ. გაიზარდა სახალხო კრების (ეკლესია) მნიშვნელობა, შეიქმნა არჩევითი ორგანო – ოთხასის საბჭო (ბულე), რომელიც კრებებს შორის მიმდინარე საკითხებს წყვეტდა. მოქალაქეები ქონებრივი ცენზის (და არა წარმოშობის) მიხედვით გაიყვნენ ოთხ ჯგუფად, რაც განსაზღვრავდა მათ ადგილს ჯარში და მათ უფლებას, დაეკავებინათ ესა თუ ის თანამდებობა. სოლონის რეფორმებმა ათენი სახელმწიფოდ აქცია, ერთი მხრივ, უმრუნველყო მოქალაქეთა პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა და, მეორე მხრივ, გზა გაუხსნა ნაყიდი უცხოელი მონის შრომის ფართო გამოყენებას. „ბრძენმა მმართველმა“ ეს ყოველივე მისი არქონტად ყოფნის ერთ წელიწადში განახორციელა და აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა.

არქაულ პერიოდში მოღვაწეობდნენ პირველი ფილოსოფოსებიც – თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენე, პითაგორა, ქსენოფანე, პერაკლიტე, პარმენიდე. მათი შემოქმედების ძირითადი საკითხი სამყაროს პირველსაწყისი იყო, რის კვლევაშიც ისინი სრულიად მოსწყდნენ გრადიციულ რელიგიას და მითოლოგიას და აღმოსავლეთის მაღალი ცივილიზაციებისაგან შეთვისებულ თუ თავად ბერძენების პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას ემყარებოდნენ. ბერძენმა ფილოსოფოსებმა პირველად სცადეს ამ მასალის სისტემაში მოყვანა, მისი ანალიზი, რითიც მეცნიერების სხვადასხვა, ძირითადად საბუნებისმეტყველო დარგებს მისცეს დასაბამი.

ადამიანის სულიერი სამყარო და საზოგადოებრივი ცხოვრება არქაული პერიოდის პოეზიის საგანი გახლდათ. გასული, საგმირო ეპოქის შესაბამისი ჟანრი ეპოსი იყო, რომლის მწვერვალსაც ჰომეროსის პოემები წარმოადგენს – მათში ჟანრისათვის ჩვეული

სიუჟეტის მიღმა ღმერთებისა და გმირების სამყაროს მთელი ენციკლოპედია იმალება. პომეროსის უმცროსმა თანამედროვემ, პესიოდემ ეპოსისავე ფარგლებში მნიშვნელოვანი სიახლე შემოგვთავაზა – ავტორის პიროვნება ჩართო პოემებში. მისი „თეოგონიაც“, რომელსაც სისტემაში მოჰყავს ბერძენის მრავალრიცხოვანი ღმერთები და მათთან დაკავშირებული მითები, და დიდაქტიკური „სამუშაონი და ღღენი“, რომელიც ბერძენი გლეხის სამყაროს ასახავს, ავტობიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს. ახალი, მოუსვენარი, დაძაბული ეპოქის შვილი ლირიკაა. მოკლე, სხარტი და გულშიჩამწვდომი ფორმით პოეტი გვიზიარებს საკუთარ განცდებს, მსოფლმხედველობას. ლირიკა მეტრული საზომის, პოეტური ხერხებისა და თემატიკის დიდ მრავალფეროვნებას ვთავაზობს. არქაული ლირიკის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: არქილოქე პაროსელი, კალინე ეფესოელი, გირგეოსი, სიმონიდე, მიმნერმოსი, სოლონი, თეოგნიდე მეგარელი, ჰიპონაქტე, ალკეოსი, საფო, ანაკრეონტი, ალკმანი, სტესიქორე, იბიკოსი. აქ მათი შემოქმედების განხილვა შორს წაგვიყვანდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეზიის, საკანონმდებლო აქტებისა თუ ფილოსოფოსთა ნააზრევის წაკითხვა ბერძენთა უმრავლესობას შეეძლო. ყურადღების ღირსი ნაშრომები სწრაფად მრავლდებოდა და ვრცელდებოდა ხალხში.

კოლონიზაციური მოძრაობის შედეგად გაჩენილ ახალ პოლისებში საჭირო იყო არა მარტო სოციალური ცხოვრების რეგლამენტაცია, არამედ ქალაქის აშენებაც. ასე ჩდება დაგეგმარების პრინციპები – სად და როგორ უნდა აშენდეს ქალაქი, რომლებიც თანამედროვე ქალაქთმშენებლობისთვისაც არ კარგავენ აქტუალობას. ვითარდება გაძრების არქიტექტურა. ძე. წ. II ათასწლეულიდან გადმოყოლილი მეგარონი შეიცვალა ახალი ტიპის გაძრით, რომლის სამშობლოც სპარტაა. გაძრებთან არის დაკავშირებული ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარება. წარჩინებულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გაძრების აგებასა და მათ მორთვაში, ლაშქრობიდან დაბრუნებულები ნადავლის ნაწილს, ძირითადად ხელოვნების ნიმუშებს, ღმერთებს სწირავდნენ. განსაკუთრებით დიდი სიმდიდრე იყრიდა თავს ზოგადელინური მნიშვნელობის გაძრებში (მაგალითად, დელფოსელი აპოლონის ტაძარში), რომელთა მოწყობაზეც მთელი პოლისები ზრუნავდნენ. ზოგი გაძრის ტერიტორია ფაქტობრივად მუზეუმად იქცა. არქაიკაში გაჩნდა მონუმენტური სკულპტურა. თავდაპირველად იგი ხისგან იკვეთებოდა, ხშირად ირთებოდა სპილოს ძვლითა და იფარებოდა ლითონის ფირფიტებით. სხვადასხვა მასალის დამუშავების ტექნიკის

განვითარებასთან ერთად დაიწყო ქანდაკებების გამოკვეთა ქვისგან და ჩამოსხმა ბრინჯაოსაგან. ქანდაკებები, ტაძრების კედლების მსგავსად, მოხატული ყოფილა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მოხატულმა კერამიკამ, რომლის მიხედვითაც გვექმნება წარმოდგენა ბერძენ მხატვართა ოსტატობაზე. საკუთარი განდიდებისა და ხალხის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, გირანები მფარველობდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგს, პოლიტიკურად სახიფათო ფილოსოფიასა და პოეზიასაც კი. გირანთა კარზე საუკეთესო ინტელექტუალური, შემოქმედებითი ძალები იყრიდნენ თავს. ასე მაგალითად, პისისგრაგეს (ძვ. წ. 560-527 წწ.) დროს ათენში აკროპოლისის გამშვენებასთან ერთად ჩაიწერა ჰომეროსის პოემები.

პისისგრაგეს აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ და აღმშენებლობითმა საქმიანობამ ათენი საბერძნეთის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად აქცია. გირანიამ თავისი პოზიტიური შესაძლებლობები ამოწურა და პისისგრაგეს ვაჟებმა ველარ შეინარჩუნეს ხელისუფლება. ძვ. წ. 509 წელს კლისთენეს მიერ გატარებულმა რეფორმამ საბოლოოდ დაამკვიდრა დემოკრატია. ვათანაბრდა მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები (ისონომია), შემოღებულ იქნა პოლისის ახალი გერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, შესაბამისად, შეიცვალა ბუღეს შემადგენლობა და ფორმირების პრინციპები.

განვითარების განსხვავებული გზით წავიდა სპარტა, სადაც მომხდური დორიელები სამხედრო ელიტად იქცნენ და დაპყრობილ-დაყმევებული ადგილობრივი მოსახლეობის, პელოტების შრომის ხარჯზე ცხოვრობდნენ. ძვ. წ. IX საუკუნიდან შეიძლება სპარტაში სახელმწიფოს არსებობაზე საუბარი. ორი ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის შედეგად (ძვ. წ. VIII-VII სს.) სპარტამ დაიმორჩილა მესენია, რითიც საბერძნეთის ყველაზე დიდი პოლისი გახდა. ხსენებული ომების დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამოგადოებრივი წყობა, რომელსაც გრადიცია ლეგენდარული კანონმდებლის, ლიკურგოსის სახელს უკავშირებდა და, რომელმაც სერიოზული ცვლილებების გარეშე რამდენიმე საუკუნე იარსება. ყოველ სპარტელს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ლაკონიისა და მესენიის მიწა გლეხებითურთ თანაბრად დაუნაწილდა დროებით მფლობელობაში. მათი თანასწორობა სხვა ზომებითაც იყო განმტკიცებული: იდეალური მებრძოლის აღსაზრდელად მიმართული წერთნა, ცხოვრების ყველა სფეროს უმკაცრესი რეგლამენტაცია, სამეურნეო საქმიანობისა და საგარეო კონტაქტების შეზღუდვა.

სპარტელთა ცხოვრების წესი აისახა მათ არქიტექტურაშიც –

დორიული კაპიტელი ისევე განსხვავდება იონიურისაგან, როგორც პირქუში სპარტელი ჯარისკაცი ლალი და განებივრებული იონიელი მოქალაქისაგან. საგანგებო აღნიშვნის ღირსია სპარტელთა ლაპარაკის ხელოვნება. მათი მოკლე და საქმიანი ფრაზები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ აზრის გამოთქმის ეს სტილი დღესაც სპარტელთა მშობლიური მხარის სახელწოდების მიხედვით ლაკონურად იწოდება.

სპარტას სათავეში ორი მეფე ედგა, რომლებიც სარდლის, მოსამართლისა და ქურუმის ფუნქციებს ასრულებდნენ. უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობდა უხუცესთა საბჭო – გერუსია და სახალხო კრება. მაგრამ რეალურად ხელისუფლება ხუთი არჩევითი ეფორისაგან შემდგარ კოლეგიას პქონდა – ის აკონტროლებდა ლიკურგოსის კანონების განუხრელ შესრულებას ნებისმიერი სპარტელის მიერ. პოლისის მეურნეობა ემყარებოდა სრულიად უფლებო პელოტებსა და პიროვნულად თავისუფალ, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულ პერიეკებს. პელოტები მოსაულის მეექვსედს აძლევდნენ სახელმწიფოს, ხოლო პერიეკები მიწათმოქმედების გარდა, ვაჭრობითა და ხელოსნობით იყვნენ დაკავებული და რიგ შემთხვევაში მათ სამხედრო სამსახურიც ეკისრებოდათ. სპარტასთან მიახლოებული საზოგადოებრივი წყობა დამყარდა დორიელების მიერ დაკავებულ ზოგიერთ ოლქში: კრეტა, არგოსი, თესალია.

ისტორიამ ბერძნებს აცალა რამდენიმე საუკუნის მანძილზე თავის ნებაზე მოეწყოთ საკუთარი ცხოვრება, მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში მათ ძლიერი და სახიფათო მემობელი გამოუჩნდათ სპარსეთის იმპერიის სახით. ლიდის სამეფოს დაპყრობის შემდეგ სპარსელებმა თავიანთი ხელისუფლება იონიურ პოლისებზეც გაავრცელეს. იონიელები ამ ცვლილებებს მტრულად შეხედნენ, მაგრამ დამოუკიდებლობის დასაცავად გაერთიანება არ მოხერხდა. გენოსისა და ფოკეას მოსახლეობამ სპარსეთის „მონობას“ სამშობლოს მიგოვებაც კი ამჯობინა. დარიოს I-ის სკვითების წინააღმდეგ წარუმატებელმა ლაშქრობამ იონიელებს იმედი გაუჩინა. მართალია, დამარცხებული სპარსელებისათვის უკან დასაბრუნებელი გზის მოჭრა მათ ვერ შეძლეს, მაგრამ ძვ. წ. 500 წელს იონიაში აჯანყება დაიწყო, რომელსაც ათენი და ზოგიერთი სხვა ბერძნული პოლისიც ეხმარებოდა. დარიოსმა ამბოხება სასტიკად ჩაახშო და იონიელთა მოკავშირეების, პირველ ყოვლისა, ათენის დასჯა განიზრახა. ათენი ჯერ ქარიშხალმა იხსნა, როდესაც სპარსელთა ფლოტი დაღუწა, შემდეგ კი, ძვ. წ. 490 წელს, საკუთარ

მოქალაქეთა გმირობამ. მილგიადესის სარდლობით ათენელებმა მარათონის ველზე სძლიეს მგრის მრავალრიცხოვან ლაშქარს. დარიოსის სიკედილმა ბერძნებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ მათთვის ცხადი იყო, რომ სპარსელები მარცხს ადვილად არ შეეგუებოდნენ. საკუთარ ძალებში დარწმუნებული სპარტა მშვიდად ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას, ხოლო ათენი ახალი ბრძოლებისათვის სამზადისს შეუდგა. თემისგოკლეს წინადადებით დაიწყო სამხედრო ფლოგის მშენებლობა, რამაც გადაწყვიტა ომის ბელი და ათენის ომის შემდგომი აყვავება განაპირობა. ძვ. წ. 480 წელს საბერძნეთში შემოიჭრა სპარსელთა ძირითადი ძალები თვით მეფის, ქსერქსეს სარდლობით. „ისტორიის მამად“ წოდებული პეროდოტე, რომლის „ისტორია“ ბერძენ-სპარსელთა დაპირისპირების შესწავლის მთავარი წყაროა, გვამცნობს, რომ ქსერქსეს არმიამი მთელი მისთვის ცნობილი მსოფლიო იყო წარმოდგენილი მილიონობით მეზრძოლის სახით. მგრის რაოდენობა გადაჭარბებული უნდა იყოს, მაგრამ ცხადია, რომ ქსერქსემ საბერძნეთის წინააღმდეგ ძველი მსოფლიოს კვალობაზე არნახულად დიდი ლაშქარი შეკრიბა. პირველი ბრძოლა თერმოპილეს კართან მოხდა, სადაც სამასმა სპარტელმა მეფე ლეონიდასის მეთაურობით საკუთარი სიცოცხლის ფასად რამდენიმე დღით შეაყოვნა ქსერქსე. სპარსელებმა შუა საბერძნეთში შეაღწიეს და ათენიც აიღეს, მაგრამ თემისგოკლემ მოსახლეობისა და ფლოგის გადარჩენა მოახერხა. მან კუნძულ სალამინთან ბრძოლაში ჩაითრია სპარსეთის ფლოგი, რომელიც ფინიკიური და იონიური ხომალდებისაგან შედგებოდა და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. მომდევნო წელს თავის გამოჩენის ჯერმა ისევ სპარტელებს მოუწია. ფლოგსა და გამართულ მომარაგებას მოკლებული ქსერქსე პლაგეასთან ხმელეთზეც დამარცხდა და უკუიქცა. მართალია, ცალკეული შეტაკებები სპარსელებთან კიდევ ოცდაათი წლის მანძილზე ხდებოდა, მთავარი გამარჯვება უკვე მოპოვებული იყო: ბერძნებმა არა მარტო დაიცვეს საკუთარი თავისუფლება, არამედ ჩამოართვეს აღმოსავლეთს პირველობა, რაც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებმა დააგვირგვინა.

გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ბერძნებმა საბოლოოდ ირწმუნეს საკუთარი უპირატესობა სხვა ხალხებთან შედარებით, რაც, მათი აზრით, მათი პიროვნული თავისუფლებით, პოლისების დემოკრატიული წყობით იყო განპირობებული. ომის დროს დანგრეული ქალაქები მალე ისევ აღდგა და კიდევ უფრო დამშვენდა. ქალაქების სახეს განსაზღვრავდა საჯარო ნაგებობები, პირველ ყოვლისა, ტაძრები. არქაულ პერიოდში გაჩენილი ტაძრის

ტიპი დაიხვეწა, ბერძნებმა აღმოაჩინეს მთელისა და მისი დეგალების იდეალური პროპორციები, რაც არქიტექტურასა და სკულპტურაში ყველაზე თვალნათლივ გამოვლინდა. არქიტექტურული თვალსაზრისით, საინგერესო ნაგებობაა ბერძნული თეატრი, რომელიც დღესაც გვაოცებს ბრწყინვალე აკუსტიკით. თეატრმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კლასიკური პოლისის კულტურულ ცხოვრებაში. რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით იმართებოდა თეატრალური ფესტივალები, რომლებსაც აგონის, შეჯიბრების სახე ჰქონდა. თითოეულ მონაწილეს უნდა წარმოედგინა ერთჯერადი ჩვენებისათვის დაწერილი სამი გრაგედია და ერთი საგირული დრამა, გამარჯვებულის გამოვლენა მაყურებელს ჰქონდა მინდობილი. დრამა სინთეტური ქანრია, იგი აერთიანებდა პოეზიას, საგუნდო სიმღერას, მუსიკას, მხატვრობას. თავდაპირველად გუნდთან ერთად ერთი მსახიობი გამოდიოდა სცენაზე, შემდეგ მათი რაოდენობა გაიზარდა. კლასიკურ ეპოქაში ამ ქანრის უამრავი ნაწარმოები შეიქმნა, მათგან ჩვენამდე მცირე, მაგრამ, ალბათ, საუკეთესო ნაწილმა მოაღწია - ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს გრაგედიებმა, არისტოფანეს კომედიებმა. გრაგედია კარგად ცნობილი მითოლოგიური სიუჟეტების მხატვრულ დამუშავებას წარმოადგენდა, მაგრამ მასში აშკარად იგრძნობა როგორც ეპოქის სული, ასევე ავტორის პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა და ოსტატობა. ე.წ. ძველი ატიკური კომედია ძირითადად მძაფრ პოლიტიკურ საგირას მიმართა და ბერძნული დემოკრატიის ყველაზე მკაფიო გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

პოლისებს შორის პირველობა ათენმა იგდო ხელთ. ათენში დემოკრატიამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ კლისთენეს რეფორმების შედეგად მოქალაქეთა უფლებები გათანაბრდა, მეორე მხრივ, თემისგოკლეს თაოსნობით ძლიერი სამხედრო ფლოტის შექმნამ გაზარდა უღარიბეს მოქალაქეთა მნიშვნელობა პოლისისათვის: პოლიტიკების ფალანგასა და ცხენოსან ჯარს ხომ შეძლებულები ქმნიდნენ, ხომალდზე მენიჩბედ სამსახურს კი ღარიბიც ახერხებდა. მოქალაქეები არა მარტო განთავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან, არამედ ანაზღაურებასაც კი იღებდნენ პოლისის პოლიტიკურ თუ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. შესაბამისად, ათენში მოხერხდა მოქალაქეთა მეგ-ნაკლებად გათანაბრება არისტოკრატიულ სტანდარტთა დონეზე. სამაგიეროდ, უცხოელისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ათენის მოქალაქეობის მიღება. ასე მაგალითად, ძვ. წ. 443-429

წლებში არქონგ-სტრატეგოსის (მთაერსარდლის) როლში პოლისის რეალურმა ხელმძღვანელმა პერიკლემაც კი ვერ მოახერხა თავისი ცოლისათვის ათენელის სტატუსის მიცემა. ათენელის პრივილეგირებული მდგომარეობა დაცული იყო კანონებით და ემყარებოდა პოლისის შემოსავლის სამ წყაროს: ათენში მცხოვრებ, მაგრამ მოქალაქის სტატუსს მოკლებულ ეაჭარ-ხელოსანთა (მეგოიკოსთა) გადასახადებს, სახელმწიფო მონების შრომას და მნიშვნელოვანწილად, მოკავშირეთა გადასახადებს.

რაც შეეხება „კლასიკურ მონობას“, იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ათენის (და ზოგიერთი სხვა დემოკრატიული პოლისის) საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ არა განმსაზღვრელი. მონები, ალბათ, პოლისის მთელი მოსახლეობის 20-25%-ს შეადგენდნენ. სახელმწიფო მონები, ძირითადად, ლაერიონის ვერცხლის საბადოებში იყვნენ დასაქმებული, ხოლო კერძო საკუთრებაში მყოფნი შინამოსამსახურებად და ხელოსანთა შევირდებად გვევლინებიან. ეკონომიკის წამყვან დარგში – სოფლის მეურნეობაში – მონების შრომა თითქმის არ გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ თავისუფლებისმოყვარე ბერძენი „მონებად“ აღიქვამდა პირად თავისუფლებას მოკლებულ, დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანთა საკმაოდ ფართო წრეს – სკეითური წარმოშობის ათენელ „პოლიციელსაც“, სპარტელ ყმა-გლეხსაც (პელოგი), აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოთა მთელ მოსახლეობასაც და თანამედროვე ვაგებით მონასაც, ანუ ადამიანს, რომელიც თვითონ წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და, რომელსაც არც საკუთრება, არც არავითარი უფლებები არ გააჩნია.

ჯერ კიდევ სპარსელებთან ომის დროს, ათენის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, შეიქმნა „საზღვაო კავშირი“, რომლის ხაზინა კუნძულ დელოსზე მდებარეობდა და, რომელშიც მრავალი მღვისპირა პოლისი გაერთიანდა. თანდათანობით ათენმა მოკავშირეები დაიმორჩილა და ხაზინის ერთპიროვნული განმკარგველი გახდა – შევროვილი თანხა იხარჯებოდა არა მარტო კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე, არამედ ათენის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული მოთხოვნილებების შესაბამისად, თითოეული პოლისის გადასახადის ოდენობასაც ათენი ადგენდა და მათ ურჩობასაც მკაცრად სჯიდა. „მოკავშირეთა“ მიმართ ათენი, ფაქტობრივად, იმპერიულ ცენტრად იქცა.

ათენის გაძლიერებით შეშფოთებული სპარტა სათავეში ჩაუდგა ძირითადად ოლიგარქიული წყობის მქონე პოლისების გაერთიანებას, „პელოპონესოსის კავშირს“, რომელსაც საზღვაო ვაჭრობაში ათენის გრადიციული კონკურენტი კორინთოსიც

შეუერთდა. სპარსეთთან დაზავების შემდეგ ბერძნებს საერთო მტრის ხაგი გაუქრათ და ორ დაჯგუფებას შორის საომარი დაპირისპირება გარდაუვალი გახდა. ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ე.წ. „პელოპონესოსის ომში“ (ძვ. წ. 431-404 წწ.) ორივე მხარე საკუთარი უპირატესობის გამოყენებას ცდილობდა: სპარტა სახმელეთო ბრძოლებს ესწრაფვოდა და ათენის მოკავშირეებს აწიოებდა, პერიკლეს მიერ აგებულ მტკიცე გალავანს თავმეფარებული ათენელები კი ზღვიდან ესხმოდნენ თავს სპარტის მოკავშირეებს და მტრის დასუსტებას ეკონომიკური ბლოკადის მეშვეობით ცდილობდნენ. ომის პირველი ეტაპი უშედეგოდ დამთავრდა. ხანმოკლე მშვიდობის შემდეგ ბრძოლა განახლდა. ომის მეორე ეტაპზე ცენტრალურ ფიგურად პერიკლეს ნათესაეი და სოკრატეს მოწაფე, ნიჭიერი აენანტიურისტი ალკიბიადე გვევლინება. მასთან ურთიერთობაში ამკარად გამოჩნდა დემოკრატიის სისუსტე. სახალხო კრება ვერ გაერკვა, ათენის დემოკრატიისათვის სპარტა უფრო სახიფათო იყო, თუ ალკიბიადე. იგი არაერთხელ დაინიშნა სარდლად, წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ გაწვეულ იქნა უკან. საბრძოლო ოპერაციების ერთიანი გეგმის უქონლობამ, სარდლების ხშირმა ცვლამ და მოკავშირეთა უკმაყოფილებამ საბოლოოდ ათენის დამარცხება განაპირობა. ომმა სპარტაც ისე გამოუფიგა, რომ მან ველარ ისარგებლა გამარჯვებით და საბერძნეთი საკუთარი ხელისუფლების ქვეშ ვერ გააერთიანა. ათენმა სწრაფად მოიმორა გამარჯვებულთა მიერ თავსმოხვეული ე.წ. „30-ის გირანია“, დემოკრატია აღადგინა და თანდათანობით ძალები მოიკრიბა. სპარტის ჰეგემონიას ჯერ კორინთოსი აღუდგა წინ (ძვ. წ. 395-387 წწ.), შემდეგ კი თებე, დემოკრატიული ძალების დროშით. ეპამინონდასის სარდლობით თებელებმა ძვ. წ. 371 წელს მარცხი აგემეს აქამდე ხმელეთზე უძლეველ სპარტელებს, მაგრამ სარდლის სიკვდილის შემდეგ (ძვ. წ. 362 წ.) საბოლოო გამარჯვებას ველარ მიაღწიეს.

ჯერ კიდევ პელოპონესის ომის დროს გამოიკვეთა პოლისის კრიზისი, რომელიც საბერძნეთმა დამოუკიდებლად ვერ დაძლია: ერთი მხრივ, მომწიფდა შედარებით დიდი პოლიტიკური ერთეულების, სახელმწიფოების წარმოშობა, მეორე მხრივ, ბერძნებს პოლისი იდეალურ სტრუქტურად მიაჩნდათ და ფილოსოფოსთა პოლიტიკურ ნააზრევშიც კი მხოლოდ პოლისის დახვეწის, მისი მართვის ოპტიმალური ფორმების დადგენის სურვილს ვხედავთ (პლატონი, არისტოტელე). ცხადია, რომ ბერძნულ დემოკრატიას მხოლოდ მცირე გერიგორიაზე და მოქალაქეთა შეზღუდული რიცხვით შეეძლო არსებობა. დიდ სახელმწიფოში

ცალკეული მოქალაქის როლი და უფლებები შემცირდებოდა, სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესები გარკვეულწილად დასცილდებოდა ერთმანეთს. ასეთ ცვლილებებზე ბერძნები შეგნებულად ვერ წაყვიდოდნენ, მაგრამ კოლექტიურსა და ინდივიდუალურს შორის ბალანსი, რაზეც პოლისი იდგა, მაინც დაირღვა. ძვ. წ. V საუკუნეში ცხოვრების გართულებასთან, ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად სწრაფი ტემპით მიდიოდა მოქალაქეთა პროფესიონალიზაცია და, შესაბამისად, ახალი ჯგუფური ინტერესების გაჩენა. პოლისს სერიოზული დარცხმვა მიაყენა ფილოსოფიამაც. კლასიკურ ხანაში აღამიანით, მისი პრობლემებით პოეტების გარდა, ფილოსოფოსებიც დაინტერესდნენ. სოფისტებმა ყოველივეს საზომად აღამიანი გამოაცხადეს. სოკრატემ მათ დისკუსიაში მწიფობა დაუპირისპირა, მაგრამ პიროვნულის წინ წამოწევის წინააღმდეგ არ გაულაშქრია. ათენის ახლად აღდგენილი დემოკრატიის მიერ სოკრატეს სიკვდილით დასჯა (ძვ. წ. 399 წ.) პოლისის კრიზისის აღიარებადაც შეიძლება აღვიქვათ. ძვ. წ. IV საუკუნის სამეცნიერო თუ მხატვრული ამროვნების ბევრ სფეროს ეტყობა პიროვნულის პრიორიტეტი. ისტორიკოსები საკუთარი პოლისის წინააღმდეგ მებრძოლ მოქალაქეს არ აღიქვამენ მოღალატედ, მოქანდაკეები და მხატვრები იდეალურ, განყენებულ სილამაზეს წამიერი მოძრაობის გრაციასა და პორტრეტს ამჯობინებენ, კომედია არისტოფანეს პოლიტიკური სატირის ნაცვლად, ყოფითი სიტუაციებით აყინებს მაყურებელს და ეს ტენდენცია უკვე ელინისტურ ხანაში მენანდრეს შემოქმედებაში პოეზებს კულმინაციას. ეს ყოველივე მიუთითებს კულტურის განვითარების ახალ მიმართულებაზე, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობაშია პოლისთან.

ბერძნების მინაური კონფლიქტებით გარეშე ძალები სარგებლობდნენ. სპარსელებმა, რაც ასი წლით ადრე იარაღის ძალით ვერ მოიპოვეს, ახლა, ნაწილობრივ მაინც, დიპლომატიისა და ოქროს მეშვეობით მიიღეს – ბერძნულ საქმეებში აქტიურად ჩარევის საშუალება.

პოლისების დამოუკიდებლობისათვის სპარსეთზე უფრო სამიში აღმავლობის გზაზე მდგომი ჩრდილოელი მეზობელი, მაკედონია იყო. ბერძენთა მონათესავე და მათი კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი მაკედონია ფილიპე II-ის (ძვ. წ. 359-336 წწ.) მიერ გატარებული რეფორმების წყალობით ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ბერძნები ხელაგდნენ გაერთიანების აუცილებლობას, მაგრამ პოლისურ მოწყობას ვერ ელეოდნენ. გამაერთიანებელ იდეას

სპარსეთზე ლაშქრობა, მისი ქსერქეს ცოდების გამო დასჯა წარმოადგენდა. გამარჯვების იმელს შორეული თუ ახლო წარსულის მაგალითები იძლეოდა – გროას ომი, ბერძენ-სპარსელთა ომი, ქსენოფონის „ანაბასისში“ აღწერილი 10000 მოქირავნის თავგადასავალი.

სანამ ბერძნები ბკობდნენ, მოქნილი პოლიტიკოსი და ნიჭიერი სარდალი ფილიპე ნაბიჯ-ნაბიჯ ავრცელებდა თავის ხელისუფლებას საბერძნეთზე. თვით პოლისებში ფილიპეს მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. ერთნი იმედოვნებდნენ, რომ ფილიპე საბერძნეთის გააერთიანებს და სპარსეთის წინააღმდეგ პანელისურ ლაშქრობას მოაწყობს. საპირისპირო ბანაკისათვის, რომელსაც ათენელი ორაგორი დემოსთენე ეღვა სათავეში, მაკედონელთა შეჩერება იყო პირველი რიგის ამოცანა. ორაგორისა და მეფის ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დამთავრდა – ფილიპემ ქერონეასთან გამარჯვების შემდეგ (ძვ. წ. 338 წ.) საბერძნეთი დაიმორჩილა. პოლისებს შეუნარჩუნდათ გარკვეული თვითმმართველობა. დაიწყო სამზადისი აზიაში სალაშქროდ. ამ ჩანაფიქრის განხორციელება ფილიპეს აღარ ეწერა. მისი მკვლევლობის შემდეგ გახტი მის ვაჟს, ალექსანდრეს ერგო. ძვ. წ. 335-323 წლებში ალექსანდრეს ბრწყინვალე გამარჯვებების შედეგად მაკედონელები დაეუფლნენ მთელ სპარსეთის იმპერიას და ინდოეთამდეც მიაღწიეს. დაპყრობები მხოლოდ ალექსანდრეს სიკვდილმა შეაჩერა. ახალ მსოფლიო იმპერიას მისმა შემქმნელმა საფუძვლად სამი ერთიანობის პრინციპი დაუდო: პოლიტიკური, კულტურული და ენობრივი. იმპერიის პოლიტიკური ერთიანობა ალექსანდრეს სიკვდილისთანავე დაირღვა. მისი სარდლები დიდხანს ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას და საბოლოოდ სამფლობელოების დანაწილებას დასჯერდნენ. დანარჩენი ორი ერთიანობა – ბერძნული და აღმოსავლური კულტურების სინთეზი და ბერძნული ენის ხელოვნურად შექმნილი ზედიხალექტი, ე.წ. კოინე – უფრო დღევანდელი და პროდუქტიული აღმოჩნდა. მათ ემყარება ახალი, ელინისტური ცივილიზაცია.

მითი, მითოლოგია ძალიან ფართო თემაა. ძველი სამყარო განუყოფელია მითისგან. ის პრაქტიკულად ძველი ადამიანის აზროვნების წესია და მას ძალიან ბევრი ასპექტი აქვს. დღეს მე შემოვიფარგლები ერთი საკითხით – რამდენად შეიძლება მითოლოგიური ტექსტები გამოიყენოს ისტორიკოსმა ისტორიის რეკონსტრუქციის პროცესში, რა თავისებურებები და სირთულეები აქვს ამ სამუშაოს.

თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ ტერმინებზე. საერთოდ, კარგად ცნობილი სიტყვების დეუნიცია ძალიან ჭირს. ასეთებს განეკუთვნება მითიც. როდესაც ამ სიტყვას ვამბობთ, ყველასათვის თითქოს გასაგებია, რაზეა საუბარი, მაგრამ, თუ მოგვინდება ზუსტი დეუნიციის დადგენა, მივხვდებით, რომ ეს ძალიან დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული.

მითი ბერძნული სიტყვაა და ამბავს ნიშნავს. დღეს ეს ტერმინი, როგორც წესი, გამოიყენება გრადიციული ამბის, ძველი ამბის აღსანიშნავად.¹ მაგრამ სად გადის საზღვარი მითსა და ზღაპარს, მითსა და ისტორიას, მითსა და მხატვრულ ლიტერატურას შორის? ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ზღერული შემთხვევები რთული შესაფასებელია და მათი ინტერპრეტაცია ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ ეინ რა თვალსაზრისით ინტერესდება ამ მასალით.

ძველი სამყაროს მითები სხვადასხვა ქანრისა თუ მიზანდასახულების ტექსტებშია შემონახული. სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენელთა დამოკიდებულება ამ ტექსტებისადმი განსხვავებულია. ფილოსოფოსისათვის ნამდვილად ვერ ჩაითვლება მითად ყველა ის ტექსტი, რომლებსაც ჩვენ ფართო გაგებით მითს ვუწოდებთ. მისთვის პრინციპული განსხვავება არსებობს მითებსა, რომლებიც სამყაროს მოწყობას, მის გაჩენას, განვითარებას ხსნიან² და თქმულებებს შორის, რომლებიც გარკვეულ ისტორიას გადმოსცემენ, თუმცა მითოლოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ტექსტის შედგენის წესების დაკვირვით.

ფილოლოგისთვის მთელ ამ მასალას აერთიანებს ის, რომ საქმე გვაქვს ძველ ტექსტებთან. საერთოა როგორც ძველი ავტორების (ქურუმების, მწერლების, პოეტების, ისტორიკოსების) აზროვნებისა და ტექსტის შედგენის წესები, ასევე დღევანდელი მეცნიერების

¹ Burkert 1979: 5ff.

² იხ. მაგ. ბერიაშვილი 1991.

მეთოდოლოგია, რომლითაც ამ გექსტებს ვსწავლობთ.³ გარდა ამისა, ძალიან მცირერიცხოვანია ის გექსტები, რომლებიც სუფთა სახით მითს, ისტორიას ან მხატვრულ ლიტერატურას შეიძლება მივაკუთვნოთ. როგორც წესი, ერთ გექსტში ვხვდებით ამ ელემენტების თავისებურ შეხამებას. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ სამყაროში უკვე ნამდვილად არსებობს მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც მითის მხატვრულ დამუშავებას თუ მეცნიერულ ანალიზს ცთავაზობს, მითისა და თქმულების გამოცალკეება დანარჩენისაგან და, მითუმეტეს, ერთმანეთისაგან თვით ანტიკურ ავტორებთანაც არ ხერხდება.

ისტორიკოსს აინტერესებს ეს გექსტები ძველი სამყაროს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის და იგი ამ ორ პოზიციას შორის, ალბათ, სადღაც შუაში დგას. ერთი მხრივ, სიძველეების შესწავლისას ისტორიკოსისა და ფილოლოგის შრომა რამ გაჰყო – ორივე ძველ გექსტებს ჩაჰკირკიტებს. მეორე მხრივ, შინაარსობრივად სრულიად აშკარა და მკაფიოა განსხვავება საკუთრივ მითსა და თქმულებას შორის. განსხვავებულია ამ გექსტების (თუ გექსტების შესაბამისი პასაჟების) მიმართ დამოკიდებულებაც, თუნდაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

პირველ ყოვლისა, საკუთრივ მითს შევხვით – მითს ვიწრო გაგებით. მითი არის ამბები ღმერთის შესახებ, სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ. მოგეხსენებათ, ამგვარი მითები ყველა ხალხს აქვს და მეტ-ნაკლები სისრულით არის ჩვენამდე შემორჩენილი. ამ მითებში, ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის საინტერესო არის, თუ რა დროს არის ესა თუ ის ამროვნების წესი დადასტურებული. აქ შინაარსის მიზმას გარკვეულ მოვლენებთან ნაკლებად ვცდილობთ, მაგრამ ის უაქტი, რომ რომელიღაც საუკუნეში ეს გექსტი იწერება და გამოიყენება თავისთავად ძალიან ბევრის მთქმელია ისტორიკოსისათვის, ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების ეტაპის განსაზღვრისათვის. საინტერესოა, რა უუნქია აქვს ამ გექსტს, პასაჟს, სიუჟეტს. მითის თავდაპირველი, საკულტო დანიშნულებით გამოყენებაზე შეიძლება საუბარი, თუ იგი რიტუალშია ჩასმული და საკულტო ქმედებისას შესასრულებლად არის განკუთვნილი. ამგვარი გექსტი მრავლადაა შემორჩენილი ძველი აღმოსავლეთიდან. უკვე ძველ აღმოსავლეთში შეიძლება შევხვდეთ გექსტებს, რომლებიც, შეიძლება „კულტურული მემკვიდრეობის“ თუ „მხატვრული ლიტერატურის“ სფეროს

³ Gordesiani 1996: 365ff.

მივაკუთვნოთ. ანტიკური მითების დიდი ნაწილი ჩვენთვის სწორედ მათი მხაგერულად დამუშავებული ლიგერატურული ვერსიებითაა ცნობილი. ანტიკურობამ მოახერხა მითის ცოცხალი ფუნქციონირებისა და მისი მხაგერული დამუშავების თუ ანალიგიკური შესწავლის საოცარი შეზავება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მითის თეოლოგიური დამუშავება. ალბათ, ცოცხა უსერხულია ძველი ქერუმების მოღვაწეობის მიმართ ამ გერმინის – თეოლოგია – გამოყენება, მაგრამ იგი საკმაოდ ადეკვატურად გადმოსცემს მოვლენის შინაარსს.

ასეთი სახის გექსტებში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი მითის შინაარსი, ასევე ის დეტალებიც, რომლებიც უშუალოდ შინაარსზე არ (ან მინიმალურად) ახდენენ გავლენას, მაგრამ ასახავენ იმ ხორცმესხმას, იმ ვარიანტს, რომელიც გარკვეული დროის ნიმუშს წარმოადგენს. ამაზე შედარებით დაწვრილებით მინდა შევჩერდე, რადგან ძალიან ხშირად, ჩემი კოლეგები ზუსტად არ მიჯნავენ გექსტის ძირითად შინაარსს, ანუ სახელდობრ თვითონ იმ მითს, რომელიც ძალიან ძველი შეიძლება იყოს წარმოშობით, თვითონ არსს, რაც ამაში დევს და მის წერილობით გაფორმებას. ის უამრავი რეალია, რაც ასეთი გიპის გექსტებში გვხვდება, არის გარკვეული მითოლოგიების ხორცმესხმის, ქალაღდგე, თიხის ფირფიტაზე თუ ქვაზე გადატანის დროს დამატებული გარკვეული ელემენტი, რაც რასაკვირველია, შეიძლება დათარიღდეს კიდევ, შეიძლება დაუკავშირდეს გარკვეულ ისტორიულ მოვლენებს, მაგრამ, ალბათ, ეს არ არის მითის ძირითადი შინაარსი და ჩემთვის ძალიან არსებითია, რომ ეს ორი რამ იყოს გამიჯნული.

ავიღოთ ცნობილი ნოეს კიდობნისა და წარღვნის ამბავი. არა ერთი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი გვინახავს, სადაც მეცნიერები ცდილობენ აჩვენონ, თუ რა მოვლენასთან არის ეს დაკავშირებული. შეიძლება რომელიღაც კონკრეტულ გექსტში იყოს კიდევ მითითება გარკვეულ წყალდიდობაზე, მაგრამ პირადად ჩემთვის, სრულიად აშკარაა, რომ ეს იდეა კაცობრიობის წყლით განადგურებისა და შემდეგ ახლის შექმნისა, არის სწორედ იღვის დონეზე, ანუ წყალი არის ქაოსთან გაიგივებული, ხმელეთი კი კოსმიურ წესრიგთან. როდესაც ღმერთი ხელს ჩაიქნევს მის მიერ შექმნილ ქვეყანაზე, ის მთლიანად აბრუნებს მას ქაოსის მდგომარეობაში და შემდეგ ხდება ახალი სამყაროს შექმნა. სწორედ ამიგომ, როცა მთლიანად კაცობრიობაზე არის გაბრაზებული ღმერთი, ხდება მისი წყლით, წარღვნით მოსპობა და არა ცეცხლით ან რაღაც სხვა საშუალებით. რელიგიურ გექსტებში

გვხვდება ცოდვილის ან დამნაშავეის დასჯის სხვადასხვა მეთოდები, მაგრამ როდესაც მილიანობაში არის კაცობრიობა მოსასპობი, მიმართავენ წარღვნას. უნდა დაუკავშიროთ თუ არა ეს მაინცდამაინც იმ დიდ წყალდიდობას, რომელმაც სამხრეთ შუამდინარეთი მთლიანად დაფარა და ვთქვათ, მეოთხე ათასწლეულის მიწურულის, რომელიდაც შუმერი პრინცი ზღვაში გაიყვანა და ერთი თვე ახეგიალა? ალბათ, არა, იმიტომ, რომ ის გლობალური კატასტროფა, რომელიც ამ წარღვნის ნებისმიერ ვერსიაში არის აღწერილი, ალბათ, იმას თუ შეედრება, რამაც დინოზაურები გაანადგურა 65 მილიონი წლის წინ, იმიტომ, რომ აქ დედამიწის სრულ დაფარებაზე არის საუბარი. ეს ადამიანის მესხიერებაში არ უნდა იყოს შემორჩენილი. წარღვნის მოტივი იმიტომაც გადავიდა სხვა მითოლოგიებში – თუ ამ მოტივს სხვა ხალხებთან შუმერულიდან ნასესხებად ჩავთვლით, რომ იგი უნივერსალურ წარმოდგენებს შეესაბამებოდა. მსესხებელი მსოფლმხედველობრივად მზად იყო, რომ ეს შუმერული ამბავი გაეთავისებინა.

რელიგიურ-მითოლოგიური მინაარსის ტექსტებში არსებობს არა ერთი დეგალი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს კონკრეტულ ისტორიას. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითად ხეთური მითი ილუიანქეს შესახებ, რომელიც პრინციპულად თავისი მინაარსით არის სამყაროს შექმნის შედარებით პრიმიტიული ვერსია.⁴ ეს არის ორსერიიანი ბრძოლა ურჩხულსა და ღვთაებას შორის, როცა წარმატება მონაცვლეობით გადადის ხელიდან ხელში. ეს არის გარკვეულად წრიულ დროსთან დაკავშირებული – სემონების თუ ღღე-ღამის მონაცვლეობასთან და სავსებით ბუნებრივი არის ადამიანისთვის. იმ სამყაროს წესრიგი ასე წარმოდგება: ქაოსის და წესრიგის ძალები – ურჩხული და ღვთაება ერთმანეთს ებრძვიან, როდესაც იმარჯვებს ღმერთი, მაშინ არის კოსმიური წესრიგი დამყარებული, როცა იმარჯვებს ურჩხული, მაშინ ქაოსში ეფლობა სამყარო. ეს წრებრუნვა, როგორც ღღე-ღამეში ხორციელდება, ასევე – წლის მანძილზე. შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც წარმოვიდგინოთ, ვთქვათ ღმერთების მეფობისა და ქაოსის მეფობის პერიოდი ამ სამყაროში. ე. ი. ეს იღვა პრინციპულად უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე, ვთქვათ, ის მრავალთაობიანი, ისტორიულად დალაგებული ღმერთების ისტორია, რომელიც შუამდინარეთშიც გვაქვს და ბერძნებთან – სახელდობრ, პესიოდესთან. ბერძნების შემთხვევაში ავგორიც შეიძლება

⁴ Eliade 1996: 336; გატიშვილი 2002: 141.

დასახელდეს, ვინც მოიყვანა წესრიგში ეს მითები და დააღაგა ასე. შუამდინარეთშიც ჩანს ქურუმების გარკვეული მუშაობა, რომ ეს ასე დალაგებულიყო. სგადიალურად, ასეთი მითი სამყაროს წარმოშობისა – გველეშაპისა და ღმერთის ბრძოლა, არის ძალიან ადრეული, მაგრამ შემორჩენილია მე-13 საუკუნეში ჩაწერილი გექსტი. როგორც ჩანს, ის გადმოწერილია ერთი-ორი საუკუნით ადრეული ორიგინალიდან, და იქ არის ისეთი რეალიები, რასაც ამ გექსტზე მომუშავე ზოგიერთი მეცნიერი უკაემირებს კონკრეტულ ბრძოლას, ვთქვათ, ხეობსა და ქასქებს შორის, ან რომელიმე გეოგრაფიულ პუნქტს. ამ პუნქტებიდან ზოგი მართლაც არის მოხსენიებული გექსტში. რასთან შეიძლება გვექონდეს საქმე? შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ამ რეალიების – ბრძოლების, ქალაქების – მიხედვით უნდა დათარიღდეს მითი? ზოგი მეცნიერისათვის ეს ლოგიკა მისაღებია, მაგრამ ჩემი აზრით, ერთმანეთისგან გასაყოფია ორი რამ. თავისთავად იდეა, რომ სამყარო არის ჭიდილი სიკეთისა და ბოროტების ძალებს შორის, უნდა იყოს ძალზე ძველი. იგი, ალბათ, მაშინ გაჩნდა, როდესაც ადამიანმა აზროვნება დაიწყო და როდესაც მას საერთოდ, რაღაც კითხვა გაუჩნდა და ამ კითხვებზე პასუხი გასცა. რაც შეეხება ამ იდეის გექსტულურ გაფორმებას, ჩაწერას და გარკვეულად ხორცშესხმას, იქ, რასაკვირველია არის დეტალები, რომლებიც შეიძლება გამოდგეს თვითონ გექსტის ეერსიის დასათარიღებლად. დაახლოებით მსგავსი შემთხვევა გვაქვს უკვე ხურიგული წარმოშობის ხეთურ კოსმოგონიურ მითში. აქ უკვე სამყაროს წესრიგი ღვთაებების თაობებს შორის ბრძოლის შედეგად მყარდება. თუმცა გექსტი მემოთ ნახსენების თანადროულია, სგადიალურად ის გადმოსცემს ბევრად გვიანდელ მითს, რომელსაც ქურუმების თეოლოგიური მუშაობის კვალი ემჩნევა. ამ გექსტის დეტალები ძალიან ზუსტად არის მოცემული. დამარცხებული ქუმარბი გარბის ხურიგული ოლიმპოსიდან და მისი მოძრაობის მარშრუტი იმდენად ზუსტადაა აღწერილი, რომ მას დღესაც შეიძლება გაეყვით. მეტიც, შესაძლებელია ვიპოვოთ ამ მითის ერთი პერსონაჟიც. ქუმარბი შეეუღლება ერთ კლდეს და მისგან უჩნდება შვილი – გველეშაპი, რომლის მეშვეობითაც ის ცდილობს სძლიოს ახალი თაობის ღვთაებებს. ეს კლდე დღესაც შეიძლება ვნახოთ ვანის გბაში.⁵ რასთან გვაქვს საქმე? ეს გექსტი არის ხურიგული ეერსიის გადამღერება და ერთგვარი სახეცელილება ბაბილონურისა, ცნობილი „ენუმა ელიმის“ მოტივები აქ კარგად ჩანს. ბაბილონური,

⁵ Singer 2002: 129f.

თავის მხრივ, არის უფრო აღრეული შუმერული გექსტის არეკვლა და თუ ჩვენ იმ გექსტებს შევადარებთ, იქაც ღაღინახათ გარკვეულ განსხვავებას. შუმერულ – უფრო აღრეულ ფრაგმენტებში, დამოკიდებულება ღვთაებებს შორის უფრო ადამიანურია, უფრო ისეთია, როგორც პატრიარქალურ ოჯახს შეშვენის. ხოლო ამ მითის უფრო გვიანდელ ბაბილონურ ვერსიაში – ღმერთებს შორის ისეთი იერარქიაა, როგორც, ვთქვათ, ნაბუქოდონოსორის კარზე შეიძლება ყოფილიყო. გექსტის გადაწერისას ხდება ისეთი ღეგალების დამატება, რომლებიც შეესაბამება იმ ღროს და უკეთ არის აღქმადი, თუმცა გექსტის არსს არ სცელის. საღღაც, ალბათ, მესამე ათასწლეულის დასაწყისში შუმერ ქურუმებს მოუვიდათ თავში აზრად, რომ ისტორია რაღაცნაირად გაემართათ და ღვთაებების თაობები შემოღლოთ და ა. შ. ეს იღეა პროღუქტიული ხღება და იწყება მისი დახეწა. ზოგი ამ იღეას იყენებს და თავის გექსტს წერს, ზოგი რაღაც ორიგინალს იღებს და იმ ორიგინალიდან გაღმოთარგმნისას, რაღაც ღეგალებს უმაგებს, რომელიც მის ცხოვრებას უკეთ ესაღაგება და იმ ხალხისთვის უკეთ გასაგები შეიძლება იყოს. ამღენად, ასეთი გიპის ცელიღებები ერთი მითის სხვადასხვა ვერსიაში არის და ისინი ისტორიკოსისათვის ძალიან საინტერესოა.

ქურუმებისა თუ გაღამწერების მიერ შეგანიღ ცელიღებებს განსხვავებული მიზები შეიძლება ჰქონღეს. ზოგჯერ ისინი გაღამწერის თუ მთარგმნელის ორიგინალური ინტერპრეტაციის ან სულაც შეცღომის შეღეგია. ხშირია შეგნებულად შეგანიღი ცელიღებებიც, რომლებიც ასახვენ რელიგიური აზრის განვითარებას ან ემსახურებიან პოლიტიკური შეკვეთის შესრულებას. ეს ორი პროცესი ხშირად გაღაჯაჭეულია. ღიღი მსოფლიო რელიგიების მაგალითზე – ქრისტიანობა, ისღამი – კარგად ჩანს, რომ რელიგიური აზროვნების განვითარებამ შეიძლება გამოიწეიოს არსებითი პოლიტიკური ძვრები. ამის ცალკეული მაგალითი ძველ სამყაროშიც შეიძლება მოიღებნოს, მაგრამ უფრო თეაღნათღიე ჩანს ის შემთხვევები, როღესაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეთნიკური პროცესები – მცირე წარმონაქმნების გაერთიანება უფრო მოზრდილ სახელმწიფოდ, იმპერიების ჩამოყალიბება დაპყრობათა გზით, მოსახლეობის ეთნიკური თუ ღემოგრაფიული ცელიღებები – იწეეეს კულგის სფეროში ცელიღებათა საჭიროებას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ თეოლოგიურ სამუშაოს მოითხოვს. მართალია, პოლითეისტური რელიგიები თავის არსით შემწყნარებღურია – თუ კაცი უშვებს რამღენიმე ღვთაების არსებობას საკუთარ პანთეონში, მას არ

აწუხებს ის ფაქტი, რომ სხვას სხვა ღმერთები ჰყავს, მაგრამ რამდენიმე ხალხის თუ გრადიციის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანებისას მაინც დგებოდა მათი ღმერთების იერარქიის საკითხი – პირველი ადგილი ხომ მხოლოდ ერთი იყო. ამ პრობლემის დაძლევის რამდენიმე მოდელი არსებობს. კარგი გამოსავალი იპოვნეს ბერძნებმა. მათი რელიგიის ჩამოყალიბება მათ ერთ ხალხად ჩამოყალიბებას სდევდა თან და სამხრეთ ბალკანეთის უძველესი მოსახლეობისა და დაახლ. ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულს იქ მისული ინდოევროპელი გომების შერევის შედეგად მოხდა. ინდოევროპელთა უზენაეს ღმერთს, ცისა და სინათლის გამგებელს, ზევსის წინაპარს ადგილზე უზენაეს ღვთაებათა როლში ლოკალური მიწის ქალღმერთები დახვდნენ. ხალხებისა და გრადიციების შერწყმის პროცესში ზევსი შეეუღლა ადგილობრივ ქალღმერთს. უკვე პომეროსისა და პესიოდეს დროს, როდესაც ბერძნები ეცადნენ ლოკალური პანთეონების სისტემატიზაციის შედეგად ზოგადელინური შექქმნათ, ზევსის ოფიციალურ მეუღლედ მიკენის – გვიანბრინჯაოს ხანის საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი ცენტრის – უზენაესი ქალღმერთი პერა გახდა. სხვა მნიშვნელოვანმა ქალღმერთებმა ზევსის უახლოესი ნათესაეების ან საყვარლების ადგილი დაიკვიდრეს, ხოლო ზოგი ქალღმერთი დაემცრო მოკვდავ ქალამდე, რომელიც ზევსს თვალში მოუვიდა და რომელმაც მას გმირი ვაჟი გაუჩინა. სწორედ ამგვარი პროცესის შედეგად იქცა ელინთა უზენაესი ღვთაება ასეთ მექალთანედ, მით უმეტეს, რომ ეს არ ეწინააღმდეგებოდა წარმოდგენას ცის გამგებლის ნაყოფიერებასთან მჭიდრო კავშირის იდეას.

ეგვიპტეში პროცესი სხვაგვარად წარიმართა. აქ ქვეყნის ფორმირება ეთნიკურად მონათესავე პოლიტიკური ერთეულების, ე.წ. ნომების გაერთიანებით მოხდა. ამ ხალხის მსოფლალქმა პრინციპულად ერთი იყო, ჩვენამდე მოღწეული კოსმოგონიები ერთი მოდელის ფარგლებში ეტევა, თუმცა განსხვავებულად ლოკალური პანთეონები და კულტები. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტური რელიგიური ტექსტები უძველესი დროიდან გვაქვს, მათ უკვე ეტყობა ქურუმთა მუშაობის კვალი. ამის საუკეთესო დასტური ის გახლავთ, რომ შემორჩენილი კოსმოგონიები ღმერთისა და ურჩხულის მრავალსერიიან ბრძოლას კი არ გადმოგვცემს, არამედ სტადიალურად უფრო გვიანდელ, ისტორიულად დალაგებულ შესაქმნის ამბავს. ამგვარი ლოკალური კულტების საფუძველზე ზოგადეგვიპტურის შესაქმნელად ქურუმებმა სინკრეტიზმის მეთოდს მიმართეს – ერთმანეთს შეურწყეს პოზიციით ან ფუნქციით მსგავსი

ღვთაებები. ეს პროცესი ისე შორს წავიდა, რომ უზენაეს ქურუმთა ვიწრო წრეში გაჩნდა უმნიშვნელოვანესი იდეა: ყველა კულტი ერთი უნივერსალური ღმერთის გამოვლინების ფორმა იყო. ეს იდეა სახიფათოდ ჩაითვალა, პირველ ყოვლისა ქურუმთა ხელისუფლებისა და სიმდიდრისათვის, რის გამოც დიდი ხნის მანძილზე მას საიდუმლოდ ინახავდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეხნატონმა თავის ცნობილი რეფორმით გათქვა ეს საიდუმლო, მაგრამ ერთღმერთიანობამ მაშინ ვერ მოიკიდა ფეხი.

სინკრეტიზმი საკმაოდ გავრცელებულია ძველ რელიგიებში. მაგრამ ერთისა და მრავლის მორიგების სხვა გზაც არსებობს, რომელიც საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ხეთურ ტექსტებში.⁶ ხეთური ტექსტები საერთოდ ძალიან საინტერესოა რელიგიის ისტორიისათვის, რადგანაც ისინი თითქმის თანადროულია ხალხისა და მისი რელიგიის ჩამოყალიბებისა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უძველეს ეგვიპტურ და შუმერულ ტექსტებზე 1000-1500 წლით გვიანდელია, ისინი რელიგიის განვითარების ადრეულ სტადიას ასახავენ. ხეთი მეფეების თუ ქურუმების მიერ ნაპოვნი გზა შეესაბამება ანატოლიის ეთნიკურად ჭრულ სურათს და, გარკვეულწილად, ნაკარნახევია ლურსმული დამწერლობის თავისებურებებით. როგორც ცნობილია, ეს დამწერლობა შექმნეს შუმერებმა, მათგან კი წინა აზიის ბევრმა სხვა ხალხმა გადაიღო – სემიტმა ბაბილონელებმა და ასურელებმა, კაკასიელთა მონათესავე ხურიტებმა, ინდოევროპელებმა ხეთებმა და სხვ. დამწერლობა სილაბურ-იდეოგრაფიულია, ანუ სიგყვათა უმეტესობა ფონეტიკურად გადმოიცემა მარცვლების შესაბამისი ნიშნებით, მაგრამ ყველაზე ხშირად ხმარებული სიგყვებისათვის არსებობს ცალკე ნიშანი, იდეოგრამა. ამგვარი ნიშნებისათვის ჩვენ, როგორც წესი, მათი შუმერული ან აქადური მნიშვნელობა ვიცით. ყველა ხალხი, ცხადია, იდეოგრამებს საკუთარ ენაზე კითხულობდა. ღმერთების სახელების იდეოგრამებით გადმოცემა, ერთი მხრივ, კარნახობდა ხეთებს მათ დაჯგუფებას ფუნქციების მიხედვით, ერთგვარი ლექსიკონის შედგენას, მეორე მხრივ, ხეთების იმპერიაში შემავალ ხალხებს უადვილებდა ხეთური პანთეონის გათავისებებას. მშის, ამინდის თუ სხვა ღვთაების აღმნიშვნელი შუმეროგრამა ყველას საკუთარ ენაზე შეეძლო წაეკითხა და საკუთარ ღვთაებასთან გაეგიფებინა. ხეთური ტექსტებიდან ვიგებთ, რომ პოლიტიკურ ნებასა და თეოლოგიურ სამუშაოს შეიძლება საკმაოდ სწრაფი და არსებითი

⁶ რელიგიური მინაარსის ხეთური ტექსტებისა და მათში ასახული თეოლოგიური მუშაობის კვალის შესახებ უფრო ღვაწლურად იხ. ტატიშვილი 2001, Tatišvili 2004.

ცვლილებებიც გამოეწვია სახელმწიფო რელიგიაში. ცხადა, ამგვარ ცვლილებებს მაშინ რეფორმებს არ უწოდებდნენ, კაცი ვერ ბელადა თავისთვის მიეწერა ღვთაებრივი წესრიგის შეცვლა. შესაბამისად, რეფორმა მზადდებოდა და გარდებოდა გარკვეული წესების დაცვით ამა თუ იმ წარმოდგენებისა და კულტების დანერგვით, ერთი კულტის მეორით ჩანაცვლებით, რასაც ხშირად შესაბამისი მითოლოგიის შეთხზვაც სჭირდებოდა. შეიძლება ვიფიქროთ როგორც არსებული მითის ერთგვარ გრანსფორმაციაზე, ასევე სრულიად ახლის შექმნაზეც. ამდენად, პლატონზე ბევრად ადრე არსებობდა კონკრეტული მიზანდასახულებით, კონკრეტული კაცის მიერ შექმნილი მითები. ბუნებრივია, რომ ამგვარი მითების დათარიღება და მიზმა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებზე სავსებით შესაძლებელია.

ვიწრო ვაგებით მითისაგან, როგორც უკვე აღინიშნა, თქმულებას განასხვავებს ძირითადად ის, რომ მას ისტორიული მოვლენა უდევს (ან, შეიძლება ელოს) საფუძვლად. შესაბამისად, გარკვეული სიფრთხილისა და მეთოდოლოგიის დაცვით, ეს ტექსტები უნდა იყოს ისტორიკოსის კვლევის ობიექტი.

თქმულებებმა ჩვენამდე მხატვრულად გადამუშავებული, ერთგვარად სისტემატიზებული სახით მოაღწია. ერთის მხრივ, სინამდვილის მითოლოგიური აღქმა, რაც ამბის თავდაპირველ ვერსიას დაედო საფუძვლად და, მეორეს მხრივ, ამ ვერსიის გადამუშავება-სისტემატიზაცია, რომელიც ცალკეულ ავტორთა სუბიექტური მიზანდასახულებით იყო განპირობებული, ძალზე ამახინჯებს ისტორიული მოვლენის სურათს. მის მეტ-ნაკლები სიმუსკით აღსადგენად საჭიროა ჩვენს ხელთ არსებული ყველა ტიპის წყაროს საფუძვლიანი ანალიზი.

მითის როგორც თავისებური ისტორიული წყაროს მიმართ დამოკიდებულება საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა. ძველ საბერძნეთში მას, როგორც წესი, ნდობით უყურებდნენ, თუმცა საკმაოდ თავისუფლად ექცეოდნენ.

უკვე ეპოსი, რომელიც, შესაძლოა, მიკენურ ხანაში იღებს სათავეს,⁷ მითის მხატვრულ დამუშავებას გვთავაზობს. ჰესიოდე ამბობს, რომ მუშებმა გყუილის თქმაც იციან,⁸ რითიც თითქოს გრადიციულ ეპოსს უპირისპირდება და სანაცვლოდ სხვა გზას ირჩევს. იგი გადმოსცემს გრადიციულ ამბებს მინიმალური

⁷ შეიძლება ვაიხსენოთ აედის გამოსახულება ძე.წ. XIII საუკუნის მიკენურ ფრესკაზე და ცალკეული არქაული ფორმულები პომეროსის პოემებში. იხ. ქვემოთ.

⁸ Hesiod. Theog. 27-28.

მხატვრული გაფორმებით, მაგრამ ერთი ამბის უამრავ ლოკალურ ვერსიაში გარკვევისას მას მათი სისტემაში მოყვანა უწევს. შემთხვევითი არაა, რომ პეროდოგეს თანახმად, სწორედ პომპროსმა და პესიოდემ „შეუქმნეს ელინებს ღმერთების წარმოშობის ისტორია, დაარქვეს ღმერთებს სახელები, გაუნაწილეს მათ პატივი და ხელოვნება და აღწერეს მათი გარეგნობა“.⁹

კლასიკურ ხანაში ეხვდებით მითებისღამი ორგვარ დამოკიდებულებას:

ა. მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით, გრაგედიაში კარგად ნაცნობი მითოლოგიური სიუჟეტების დამუშავება ხდება ხელოვნათა ოსტატობის გამოვლენის ასპარეზი. პუბლიკის მიერ მოწონებული ნაწარმოებები, თავის მხრივ, ცვლიან მითის თავდაპირველ სახეს.

ბ. ისტორიული მწერლობა გვთავაზობს კრიტიკულ, მეცნიერულ მიდგომას, მაგრამ ვერ ბედავს შეეჭიდოს ლეგენდარული ხანის ისტორიის დეტალურ მეცნიერულ რეკონსტრუქციას. თუკიდიდე გვიხატავს პელოპონესოსის ომამდელი ბერძნული ისტორიის მრავალ სურათს, მაგრამ მხოლოდ გაკვრით ეხება ცალკეულ დეტალებს.¹⁰ პეროდოგე კი მათ ხშირად მიმართავს, რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შეეჩერდები, მაგრამ გაურბის ელადის ისტორიის მთლიანი სურათის გადმოცემას, რაც ერთგვარ გაოცებას იწვევს იმის ფონზე, რომ იგი საკმაოდ გაბმით და დეტალურად მსჯელობს ლიდიის, ეგვიპტის, სპარსეთის ისტორიაზე.

ელინისტური და რომაული ხანის მეცნიერებაში მითებთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებო დისკუსიები მიმდინარეობდა. მაგალითად, სტრაბონი თავის ცნობილ ნაშრომს სწორედ ამ საკითხის განხილვით იწყებს.¹¹

ახალი დროის მეცნიერებაში მითებთან მიმართებაში პირიქითი პროცესი მიმდინარეობს – თანამედროვე არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით თანდათანობით იძლევა ჯერ კიდევ 100 წლის წინ საყოველთაოდ გავრცელებული უკიდურესი სკეფსისი.

და მაინც ღიად რჩება კითხვა, გვაქვს თუ არა მითებში გვიანბრინჯაოს ხანის ისტორიის ძიების უფლება. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ზეპირ გადმოცემებში მხოლოდ უკანასკნელი 80-100 წლის შესახებ შეიძლება შემორჩეს მეტ-ნაკლებად ზუსტი მოგონება. ამდენად, ძველ ბერძნებს, რომლებსაც დამწერლობა და, შესაბამისად, მოვლენათა ფიქსაციის შესაძლებლობა ძვ.წ. VIII

⁹ Herod., II. 53. ციტაცია ქართული გამოცემის მიხედვით: ყაუხჩიშვილი 1975: 139.

¹⁰ Thuk. I 1-12.

¹¹ Strab. I.

საუკუნეში გაუჩნდათ, ვერ ექნებოდათ მწყობრი წარმოდგენა ძვ.წ. X საუკუნის მიწურულზე ძველი ამბების შესახებ.¹² ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია, მაგრამ ის მითოლოგიური ისტორიის კვლევისას სიფრთხილისაკენ უნდა მოგვიწოდებდეს და არა ამ კვლევაზე ხელის აღებისაკენ. თქმულებებში დაცული ინფორმაცია ისტორიული სანდოობის თვალსაზრისით ღიფერენციურულ მიდგომას მოითხოვს. ლეგენდარული ქალაქებისა თუ გმირთა აღჭურვილობის ცალკეული ელემენტების აღმოჩენა ადასტურებს ე.წ. ანტიკვარული ტიპის ინფორმაციის სისწორეს. სავსებით დასაშვებია, ისტორიული იყოს ზოგიერთი გმირის სახელიც. ყველაზე ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია მოვლენათა აღწერა, მათი ურთიერთკავშირი. მაგრამ აქაც საქმე გვაქვს ინფორმაციის გადასხვაფერებასთან, დამახინჯებასთან, ოღონდ არა პირწმინდა გამონაგონსთან. ბერძენი პოეტი – ეპიკოსი, ლირიკოსი თუ გრაგიკოსი – მღეროდა პუბლიკისათვის მეგ-ნაკლებად კარგად ცნობილი ამბის შესახებ და არ ცვლიდა მას იმაზე მეტად, რაც ნაწარმოების მიზანდასახულებას სჭირდებოდა. პოეტური გეპირი გრადიცაყ საკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა: ჰომეროსის ცალკეული ფორმულები, ზოგჯერ მთელი სტროფებიც, მიკენური ხანის ენას უფრო შეესაბამება, ვიდრე გეომეტრიულისას. სავარაუდოა, რომ მათ მზა სახით მოაღწიეს აქაველთა საგმირო ეპოსიდან.¹³ არც წერილობითი წყაროების არსებობაა სულ გამოსარიცხი. ბნელი წლები ხომ პირობითი სახელწოდებაა და ამ პერიოდის შესახებ თანამედროვე მეცნიერების ინფორმირებულობის ხარისხს შეესაბამება და არა იმ დროის ბერძენთა განათლების დონეს.

აქ ვეცდები შევებო ბერძნული მითოლოგიური ისტორიის შესწავლის ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხს და მოვიგანო ცალკეული მაგალითები.

1. ტექსტი მითოლოგიურ ჟანრს განეკუთვნება და მისი ბევრი ელემენტისათვის არაა სავალდებულო რეალური შესატყვისის ძებნა. მრავალი მითოლოგემა, მთარული სიუჟეტი თუ სიმბოლო ჟანრის თავისებურებას წარმოადგენს.¹⁴ სასურველია ისინი ამოვიცნოთ და გამოვაცალკევოთ იმ ისტორიული მარცვლისაგან, რომელსაც ტექსტში ვეძებთ. ცხადია, გარკვეული ისტორიული საფუძველი შეიძლება ჰქონდეს იმას, თუ რაგომ ირჩევენ ავტორები უფრო ხშირად ამა თუ იმ სიუჟეტს ან სიმბოლოს.

¹² Taplin 1989: 61ff.; Kullmann 1995: 57ff.

¹³ იხ. მაგ. West 1988; Ruijgh 1995; Latacz 1997: 28ff.

¹⁴ იხ. მაგ., ცანაფა 2005, სადაც პელოპიდების მითის მრავალი პასაჟის სწორედ მითო-რიტუალური წარმომბაა ნაჩვენები.

2. თქმულების ყველაზე სტაბილურ და ისტორიულად სანდო ელემენტს შეიძლება წარმოადგენდეს მთავარი პერსონაჟების სახელები და მათი დაკავშირება მათ ძირითად საგმირო საქმესთან, ამა თუ იმ ქვეყანასთან.

3. ნაკლებ სარწმუნოა მითითებები დროის მონაკვეთზე ან ნათესაურ კავშირებზე. მითს ახასიათებს პრეტენზია, არ დაგოვოს კითხვები თუ თეთრი ლაქები. შესაბამისად, საერთოდ ქრება დროის ის მონაკვეთი, რომლის შესახებაც ხალხის მახსოვრობამ ბევრი არაფერი შემოინახა. სხვადასხვა თაობის, ხშირად საუკუნეებით დამორებულ გმირებს, თუ მათ შორის შემაერთებელი რგოლი დაკარგულია, მითი მამა-შვილად აქცევს. ასეთი გმირის სახელი შეიძლება მთელ ეპოქაზე გავრცელდეს¹⁵ და მას მიეწეროს საუკუნეების მანძილზე მომხდარი ამბები, თუ ამ ამბებთან დაკავშირებით სხვა გმირის სახელი არაა შემორჩენილი. ასეა კრეგაზეც, სადაც ლამის ერთადერთ მეფედ მინოსი ჩანს და საქართველოშიც, სადაც ყოველი მეორე ციხე თამარის სახელს ატარებს, დამოუკიდებლად იმისგან, რეალურად როდისაა იგი აგებული.

შესაბამისად, თქმულებათა ერთი თაობა ყოველთვის კლასიკურ გრადიციამი მიღებულ 30-40 წელს როდი მოიცავს. ასე მაგალითად, კრეგისა და მიკენის ოთხასწლიანი ისტორია სამი თაობის მეფობაში ჩაეგია, ხოლო აგამემნონის „შეილიშვილი“ გისამენოსი ძვ.წ. X საუკუნეში ებრძოდა ღორიელებს. წინაბერძნულ კრეგაზე ძვ. წ. XV საუკუნემდე მეფობდა მინოსი; აქაველთა მიერ კუნძულის პირველ და მეორე დაპყრობებს შორის (ძვ.წ. 1450-1370) – დევკალიონი, რომელიც არგონავტთა შორისაც მოიხსენიება; უკვე მთლიანად მიკენური კრეგის (ძვ.წ. 1370-1200) მბრძანებლად კი იდომენევის გვევლინება. მსგავსი სურათია მიკენშიც: პელოპსი მცირე აზიიდან მიკენში ძვ.წ. XVI საუკუნის შუახანებში უნდა მოსულიყო საომარი ეტლით;¹⁶ აგრევისის მეფობა ძვ.წ. XV-XIV საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მოდიოდეს;¹⁷ ხოლო აგამემნონისა – ძვ.წ. XIII საუკუნეზე. სახელოვანი ისტორიის ფრაგმენტების მხაგერული გადამუშავებისა და სისტემატიზაციის პროცესში მინოსი აქაველი დევკალიონის მამა გახდა, პელოპსი – აგრევისის, ეს უკანასკნელი კი – აგამემნონის და

¹⁵ Schachermeyr 1983: 36f.

¹⁶ Schachermeyr 1983: 106ff.

¹⁷ ასე შეიძლება დათარიღდეს აგრევისის ერთ ხეთურ ტექსტში (KUB 14. 1) დედასტურებული ლაშქრობა მცირე აზიაში. მღრ. Schachermeyr 1986: 161ff.; Starke 2001: 38. სავარაუდოა, რომ მისი მეფობის დროს დაიმორჩილა მიკენმა კრეგა (დაახლ. ძვ.წ. 1370).

ა. შ.

4. მხატვრული სისტემატიზაციის შედეგი უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ საგმირო საქმეთა ერთ ნაირსახეობას, როგორც წესი, არსებითად ერთი თქმულება შეესაბამება. ასე მაგალითად, ძვ.წ. XV-XIII საუკუნეების წარმატებული დაპყრობითი ომებიდან ბერძნები მხოლოდ გროას ომს იხსენებდნენ, ხოლო საზღვაო ექსპედიციებიდან – არგონაუტების ლაშქრობას. ამ თუ მოგიერთ სხვა ლეგენდარულ სიუჟეტთან დაკავშირებულია გმირთა კატალოგებიც. ხშირად ეს კატალოგი ძალიან ხელოვნურია. ყველაზე კარგად ეს არგონაუტიკაში ჩანს. თუ გროას ომის შემთხვევაში ერთ ომში მრავალი მეფისა და გმირის ერთდროულად მონაწილეობა მაინცაღამაინც საეჭვოდ არ გამოიყურება, ერთ გემზე მენიჩბეებად მრავალი უფლისწულის ყოფნა სრულიად არარეალისტურია. ასევე აშკარად სხვადასხვა საზღვაო თავგადასავალთა ნაკრებს უნდა ასახავდეს არგონაუტების მარშრუტი კოლხეთიდან იოლკოსში. ნაკლებად წარმოსადგენია, რომ პელესპონტისა და ბოსფორის გზის მცოდნე არგონაუტებს ღუნაის აღმა აყოლა და აღკებზე ხომალდის გადათრევა მიეჩნიათ ოპტიმალურ გზად.

5. რეალური და ზღაპრული ელემენტების თანაფარდობას განსაზღვრავს გადმოცემული ამბის დაცობა მთხრობელისაგან თუ ტექსტის ავტორისაგან დროსა და სივრცეში. ზღაპრული ელემენტი ჭარბობს სამხრეთ საბერძნეთში მიკენის სამეფოს შექმნამდე (ძვ.წ. XVII საუკუნე) მომხდარი ამბების გადმოცემისას (მაგალითად, პერსევსი-მედუზა) ან ბერძნული სამყაროს პერიფერიებზე განვითარებული მოვლენების აღწერის დროს (მოგზაურთა თავგადასავალი).¹⁸ მიკენური ხანის ისტორია, თუნდაც არარეალური, საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება.

6. წყაროების სუბიექტურობა სრულიად ბუნებრივია და ემყარება როგორც ჟანრის შინაგან ლოგიკას, ასევე ამა თუ იმ ავტორის ჩანაფიქრს. მაგრამ მაინც, შესაძლებელია გამოიყოს ჩვენამდე მოღწეული ლეგენდების საერთო ტენდენციები:

ა. თითქმის მთლიანად იგნორირებულია ბნელი წლები – გროას ომიდან პერაკლიდების დაბრუნებამდე მხოლოდ ორ-სამ თაობას ასახელებენ, ისიც უფრო ლაკუნის შესავსებად. ეს არცაა გასაკვირი. მიკენური სამყაროს დაცემა, დამოუკიდებლად იმისაგან, იგი ზღვის ხალხების შემოსევით იყო გამოწვეული თუ ეკონომიკური კრიზისითა და შინააშლილობით, და შემდგომი საუკუნენახვერიანი უფერული ყოფა ვერ გახდებოდა ბერძნებისათვის მათი ისტორიის

¹⁸ ეს კანონზომიერება ჯერ კიდევ პლუტარქემ შენიშნა: *Plut. Thes. I.*

საამაყო ფურცელი.

ბ. მითებსა და მათ ლიგერატურულ ვერსიებში შერბილებულია ეთნიკური და კულტურული განსხვავებები აქაველებს, კრეცის მინოსურ მოსახლეობასა და გროვლებს შორის.¹⁹ რაც შეეხება ისტორიკოსებს, პეროდოტედან მოყოლებული, ისინი სათანადო ყურადღებას უთმობენ ცალკეულ გომთა წარმომავლობას, მითითებენ ეთნიკურ ცვლილებებზე ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობაში.

გ. იონიურ გრადიციში უგულებელყოფილია ჯერ აქაველთა, ხოლო შემდეგ ეოლიელთა მიერ ეგეოსის ზღვის კუნძულებისა და, განსაკუთრებით, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს კოლონიზაცია.

დ. მიჩქმალულია მიკენის წამყვანი როლი გვიანბრინჯაოს ხანის ეგეიდაში.²⁰

ისტორიული ელემენტების შემცველი ლეგენდები შეიძლება პირობით გავეყოთ ორ ჯგუფად:

1. წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტების ნარევს, რომელთაგანაც ისტორიული არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი;

2. გამოიყოფა ისტორიული ბირთვი.

ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცალკეულ, თუნდაც მრავალრიცხოვან ისტორიულ ელემენტთა არსებობა ერთ თქმულებაში კიდევ არ ნიშნავს მთელი ამბის რეალურობას²¹ და პირიქით, რეალური მოვლენის აღწერაში ბევრია გამოგონილი ან სულაც მლაპრული ელემენტი.

პირველი ჯგუფის ნიმუშად შემდეგი მესახება:

ოიდიპოსი და თებეს ციკლი

აქ ვხვდებით:

ა. ძველ სამყაროში ძალზე გავრცელებულ მოარულ სიუჟეტს – არასასურველი ბავშვი სასწაულებრივ გადარჩება და აღასრულებს მისთვის ნაწინასწარმეტყველებს. მდრ. სარგონ აქადელი, მოსე, რომულუსი, კიროსი, ქრისტე;

ბ. მლაპრულ ელემენტებს (სფინქსი) – ოიდიპოსის სფინქსთან გასაუბრება, ძვ.წ. XIII საუკუნის ვაზის მოხატულობით თუ ვიმსჯელებთ, უკვე მიკენურ ხანაში მითოლოგიის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

¹⁹ Schachermeyr 1983: 38f.

²⁰ იხ. ქვემოთ, აგრეთვე Gordesiani 2000: 151ff.

²¹ Полякова 1983: 112.

გ. მხატვრული დამუშავება – ოდიპოსის პირადი გრაგედია;
დ. ისტორიულ ფაქტებს – თებეს დანგრევა საომარი მოქმედებების შედეგად ძე.წ. XIII საუკუნეში (მითოლოგიური ქრონოლოგიით – გროას ომზე „ნახევარი“ თაობით ადრე) არქეოლოგიურადაც დასტურდება.²² ამ მოვლენათა ერთ-ერთი გმირის, ეტეოკლესის სახელი კი ხეთურ და მიკენურ ტექსტებში ჩანს.²³

ჰერაკლე

ამ საერთობერძული გმირის შესახებ შექმნილ თქმულებათა ციკლს ზღაპრულობის ელფერი დაჰკრავს და, ერთი შეხედვით, ამ ამბებს რეალურ მიკენურ ისტორიასთან არაფერი აქვს საერთო. მაგრამ, ჩემი აზრით, ჰერაკლეს თავგადასაველებში ისტორიული რეალობის გამოძახილი შეიძლება დაეინახოთ ორ ღონეზე:

ა. ცალკეული ამბები შეიძლება დაუკავშირდეს ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას, ძირითადად ძე. წ. XIV საუკუნისას, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად შეეჩერდები;

ბ. ჰერაკლეს ამბავი მთლიანობაში შეიძლება მიკენის ისტორიის მითოლოგიურ გააზრებად წარმოვიდგინოთ, სადაც გმირი ცალკეულ მეფეს ან სულაც მიკენის სახელმწიფოს განასახიერებს.

ზოგადელინური ჰერაკლეს ერთგვარ ატიკურ ვერსიას წარმოადგენს თემესი. მათ თავგადასაველებს შორის ხშირად შეინიშნება გარკვეული პარალელიზმი, თუნდაც კრეტულ ხარს ან ამორძალებს თუ გავიხსენებთ. მაგრამ ეს არ გამოორიცხავს თემესის ისტორიული პროტოტიპის, გვიანბრინჯაოს ხანის ატიკის გმირი მეფის არსებობას.

მეორე ჯგუფის თქმულებათა მაგალითებად შეიძლება შემდეგი მოვიხმოთ:

არგონავტების ლაშქრობა

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ავტორებისათვის არგონავტების

²² მეკლეართა ნაწილი თებეს ფირფიტებს და, შესაბამისად, სასახლის დანგრევას დაახლ. 1280-70 წლებით ათარიღებს (იხ. მაგ., Plath 1999, 245). იგი შეიძლებოდა აქაველთა შინაომების მსხვერპლი გამხდარიყო. უკანასკნელ ხანს კელაე ისმის მოსაზრება, რომ კალმეა, სხვა მიკენურ სასახლეთა მსგავსად, დაახლ. 1200 წელს განადგურდა, რასაც თითქოს 90-იან წლებში აღმოჩენილი ფირფიტები ადასტურებენ (Godart, Sacconi 1996: 101). დასაშვებია, თებეში ნგრევის ორი ფაზა ყოფილიყო და ტექსტების ნაწილი ერთს უკავშირდებოდეს, ნაწილი – მეორეს (Driessen 2008: 74ff.).

²³ KUB 14.3: PY An 654, Aq 64.

ძირითადი გმირობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ აქაველთაგან პირველებმა შეაღწიეს შავ ზღვაში.²⁴ გროადაში აღმოჩენილი უძველესი მიკენური კერამიკა, რაც აქაველთა მიერ შავი ზღვის ათვისების დასაწყისზე უნდა მიუთითებდეს, XV საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება.²⁵ ჩემი აზრით, არგონავტიკას სწორედ ძვ. წ. XV-XIV საუკუნეთა მიჯნაზე კოლხეთში საზღვაო ექსპედიცია დაედო საფუძვლად. სხვა ელემენტები, ისეთებიც კი, რომელთა ისტორიულობა მეგნაკლებად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს (მაგალითად, იოლკოსის კარის ინგრიგები), შესაძლოა, მას შერე მიკრობოდა. ცხადია, რომ არგონავტების ლაშქრობის ამბავს დროთა განმავლობაში ემატებოდა ან აკლდებოდა ესა თუ ის დეტალები. თქმულებამ, შესაძლოა, გააერთიანა რამდენიმე მნიშვნელოვან ექსპედიციასთან დაკავშირებული მოვლენები, რაზეც თუნდაც არგონავტების უკან დაბრუნების მარშრუტი უნდა მიუთითებდეს; იგი გადაეჯაჭვა სხვა რეალურ თუ გამოგონილ ამბებს და შეიქმნა მთელი ციკლი, რომლიდანაც ნამდვილი ისტორიის გამოცალკევება ძალზე ძნელია. აქ არც ვეცდები შევეჭიდო მითის (მით უმეტეს, თვით მოვლენის) თავდაპირველი სახის აღდგენას, ცალკეული პასაჟების თუ გმირთა სახეების ანალიზს და რამდენიმე ქრონოლოგიური შეუსაბამობის ჩვენებით შემოვიფარგლები:

არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძვ. წ. XV-XII საუკუნეებით დათარიღებული იოლკოსიდან იასონს გაუჭირდებოდა შუაბრინჯაოს ხანის კორინთოსის მეფის ასულის ცოლად შერთვა, ვერც მედია გაიწიბოდა ჯერაც უმვილო ეგევსს, რადგანაც ამ უკანასკნელის ვაჟის, თემევისის კრეტული თავგადასავალი ძვ. წ. XV საუკუნის დასაწყისზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ამ დროისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო უნდა მოედებოდა მინოსის თალასოკრატიას.

გროას ციკლი

მითების ისტორიულობის შესახებ დავა ხშირად დაიყვანება კითხვამდე, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს გროას ომი. ცხადია, ეს საკითხის გამარტივებაა. ილიადაში შეიძლება გამოვყოთ ისტორიული სინამდვილის ასახვის სხვადასხვა დონეები.²⁶

ცოდნის დღევანდელ დონეზე შესაძლებელია აღდგეს ერთის

²⁴ ლორთქიფანიძე 2002: 150.

²⁵ Mountjoy 1997: 275ff.

²⁶ საკითხს საუკუნეთა მანძილზე ურიცხვი გამოკვლევა მიეძღვნა. უკანასკნელ ხანებში გამოცემულ სპეციალურ მონოგრაფიათაგან დაეასახლებელი შემდეგს: Γιουδαი, Цимбурский 1996; Lalacz 2001.

მხრივ, ის სურათი, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის მიწურულს სახელოვანი ქალაქის ნანგრევებთან მისულ პოეტს უნდა ენახა, მეორეს მხრივ, გვიანბრინჯაოს ხანის ქალაქი, რომელიც ილიადის გმირებს უნდა დაელაშქრათ. პოემაში დაცული აღწერილობა საკმაოდ ზუსტად შეესაბამება ჰისარლიყის ბორცვის გათხრისას აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს ხანის ფენებს. ჰისარლიყის ბორცვისა და გროა/ილიონის გაიგივებას უკანასკნელ ხანებში მხარს უჭერს ხეთოლოგია: ფრანკ შტარკემ თითქოს საბოლოოდ დაამტკიცა ჰისარლიყ/(ვ)ილიონის ხეთური ტექსტების ვილუსასთან დაკავშირების მართებულობა.²⁷ ხეთური ტექსტების აღმოჩენისთანავე ყურადღება მიექცა მრავალ თანხვედრას ეპოსთან: თვით ქალაქის სახელის გარდა, მისი ერთ-ერთი მეფისა და ერთ-ერთი ღვთაების სახელებს (ალაქსანდ/ალექსანდრე და აპალიუნა/აპოლონი). ყველაზე შთამბეჭდავია თითქმის სრული დამთხვევა გროელთა მოკავშირეების ორ სიას შორის: ერთი ხეთების მეფე თუთხალიას სახელითაა შედგენილი,²⁸ მეორეს კი ჰომეროსი გვთავაზობს.²⁹

რაც შეეხება კონკრეტულ მოვლენას, ომს, მისი ისტორიულობის საკითხი დღეს ღიად რჩება.

გროას ომი აქაველთა ერთადერთი დიდი საგარეოპოლიტიკური აქციაა, რომელიც თქმულებებმა შემოინახა და, სავარაუდოა, რომ ის წარმატებულ საგარეო ლაშქრობათა ერთგვარ კრებულს წარმოადგენდეს. არ არის შემთხვევითი, რომ ომის თარიღი ანტიკური წყაროების მიხედვით სხვადასხვანაირად იანგარიშება და ძვ. წ. 1334-1135 წლებს შორის მერყეობს.³⁰ მასში შესაძლოა გაერთიანებული იყოს არა მარგო მიკენის ძლიერების ხანის, არამედ შემდგომი პერიოდის საომარი მოქმედებებიც. ასე მაგალითად, ეპოსში „მღვის ხალხების“ მიერ დაახლ. ძვ.წ. 1180 წ. გროა VII³¹-ს დალაშქერაში ბერძენთა მონაწილეობის კვალიც შეიძლება აღმოვაჩინოთ,³² გროადაში ეოლიელთა მოსვლისაც (ძვ.წ. 1050, გროა VII-ს დანგრევა) და ჰომეროსის მშობლიური სმირნას გარშემო ძვ.წ. VIII საუკუნეში იონიელთა და ეოლიელთა შორის

²⁷ Starke 1997.

²⁸ KUB 23.11.

²⁹ II. 2. 816-877.

³⁰ Cancik 2001: 174ff.

³¹ = VIIa ძველი კლასიფიკაციით (Korfmann 2004: 5f.).

³² შდრ. ერაგოსთენეს მიერ შემოთავაზებული და ანტიკურობაში ყველაზე ჰომეროსის თარიღი – 1184/3. იხ. Schachermeyr 1983, 32ff.

გამართული ბრძოლებისა.³³ და მაინც, მიმაჩნია, რომ ილიადას საფუძელად დაედო ერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვების ამბავი, რომელიც გამდიდრდა სხვა მეგ-ნაკლებად წარმატებული ლაშქრობების დეტალებით. როლის უნდა მომხდარიყო ომი, რომელსაც ბერძნები ძვ.წ. VIII საუკუნეში სიამაყით იხსენებდნენ? უდავოდ მიკენის ძლიერების ხანაში – ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებშია საძებარი. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, გვიანბრინჯაოს ხანაში ქალაქი ორჯერ ჩანს დანგრეული: გროა VIIh დაახლ. 1300 წელს და გროა VII – დაახლ. 1180 წელს.³⁴ ეს უკანასკნელი ნგრევა ამკარად სამხედრო აქციის შედეგია, მაგრამ ამ დროისათვის აქაველთა ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება უკვე აღარ არსებობდა. შესაბამისად, ერთადერთ შესაძლო თარიღად თითქოს ძვ.წ. 1300 წელი რჩება. მაგრამ მიმაჩნია, რომ სხვა შესაძლებლობებიც უნდა გავითვალისწინოთ. ცხადია, ეპოსში შურისმაძიებელ აქაველთა წარმატებული ლაშქრობა სრულ გამარჯვებად უნდა გამოიყურებოდეს – ქალაქის დანგრევა. კაცების დახოცვა, ქალების მონებად წაყვანა. მაგრამ ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში ომი დიპლომატიური გამარჯვებითაც შეიძლებოდა დასრულებულიყო, იქნებოდა ეს სავაჭრო გზებზე მიმოსვლის გარკვეული პრივილეგიები თუ კეთილგანწყობილი პრეტენდენტის აყვანა სამეფო ტახტზე. იქნებ სწორედ ასე უნდა გაგვეგო ტროას ცხენის შეგზავნით გამოწვეული ეფექტი.³⁵

ხეთური გექსტები არაერთ ბრძოლას მოიხსენიებენ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიძლება უცილობლად გავაიგივოთ ტროას ომთან. ასეთი ლაშქრობისათვის, ხეთური მასალიდან გამომდინარე, ძვ.წ. XIII საუკუნეში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეიძლება ვიპოვოთ:

ა. მურსილი მეორის წარმატებული დასავლური ლაშქრობების შემდეგ და მუვათალი-ალაქსანდუს ხელშეკრულებამდე, ე.ი. ძვ. წ. 1316-1280 წლებს შორის. არცაეასა და აქაველთა საყრდენი მილაგანდა-მილეგის შემუსვრის შემდეგ, მურსილის მეფობის მეორე ნახევარში ხეთების სამეფო შავი ჭირის ეპიდემიამ და ურჩმა მემობლებმა შეაწუხეს.³⁶ ამ დროს აქაველებს შეეძლოთ რევანშზე ეფიქრაი. ხსენებული ხელშეკრულების პრეამბულაში აღწერილი

³³ შდრ. Gauer 1997: 68f.

³⁴ Mountjoy 1999: 298.

³⁵ შდრ. ფ. შახერმეირის მიერ შემოთავაზებული ლოგიკური კავშირი: ცხენი – პოსეიდონი – მიწისძვრა. Schachermeyr 1984: 115.

³⁶ CTH 376 § 6 შმდ.

პერიპეტიები დღეს, სამწუხაროდ, აღარ იკითხება.³⁷ შესაძლოა, აქ ლაპარაკი ყოფილიყო გროა VI-ის აღსასრულზე.

ბ. ურხი-თემუბსა და ხათუსილი III-ს შორის დაპირისპირების დროს – 60-იან წლებში. ე.წ. თავაგალაგა-ეგეოკლეს წერილი წარმოადგენს ხათუსილი III-ის მცდელობას დიპლომატიური გზით მოაგეაროს ახიავას მეფესთან წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემები.³⁸ ამ წერილში ხეთების მეფე ახიავას მბრძანებელს მიმართავს როგორც თავის თანასწორ დიდ მეფეს – annawališ. მას მერე, რაც აგრევესმა თითქმის თანასწორის – kuriwanaš – სტატუსი მოიპოვა,³⁹ აქაველთა მეფის შემდგომი დაწინაურება მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური წარმატებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, შესაძლოა, გროას დალაშქვრით.

გ. თუთხალია IV-ის შემდეგ, მედიგერანული სამყაროს შემარყვევლი მოვლენების დაწყებისას – საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში. ამ ვარიანტს მხარს უჭერს პაროსის მარმარილო (ძვ.წ. 1209/8 წ.), ირიბ საბუთად შეიძლება მოეიხმოდ ის ფაქტიც, რომ პილოსის სასახლეში ძვ.წ. 1200 წლისათვის დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ აზიიდან ჩამოყვანილი ტყვე ქალები და ბავშვები,⁴⁰ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გროელთა რაზმებს მათ შორის ეერ ეხედებით...

გროას შესახებ თქმულებათა ციკლი და, მითუმეტეს, ამ თემაზე შექმნილი ეპოსი მხოლოდ გროას ომით არ შემოიფარგლება. მართალია, „ილიადის“ მოქმედება ათწლიანი ომის მხოლოდ თვენახევრიან მონაკვეთს შეესაბამება, თვით პოემა თავისი დროის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს: აქ ჩამოყალიბებულია აქაველთა მსოფლმხედველობა და ქცევის ნორმები („ზნეობრივ კოდექსზე“ საუბარი იმ დროისათვის არ უნდა იყოს გამართლებული); თავმოყრილია თქმულებები ღმერთებსა და გმირებზე, მათი გენეალოგია და თავგადასავლები, ცნობები ქვეყნებისა თუ ხალხების ისტორიიდან, აღწერილია როგორც ცალკეული ომები თუ ბრძოლები, ასევე სამხედრო ხელოვნება და აღჭურვილობა. „ოდისეა“ არა მარტო აგრძელებს „ილიადის“ სიუჟეტურ ხაზს, არამედ ავსებს მის მრავალფეროვან ცნობებს. ზემოჩამოთვლილ თემათა გარდა, აქ ოდისევსისა და გროას ომის სხვა გმირების სახლში დაბრუნების ამბების ფონზე, საკმაოდ საფუძვლიანადაა აღწერილი ბერძენთა მღვაოსნობა და ყოველდღიური „მშვიდობიანი“ ყოფა.

³⁷ CTH 76, §§ 4-6.

³⁸ KUB 14.3.

³⁹ KUB 14.1.

⁴⁰ PY Aa, Ab, Ad. მათ შესახებ დაწერილებით იხ. ქვემოთ.

ამდენად, პომეროსის ეპოსი არის არა მხოლოდ უბრწყინვალესი ლიტერატურის ნიმუში, არამედ აგრეთვე მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო – აქ ეძებენ ბერძნული მითოლოგიის და ისტორიის საწყისებს ძველბერძენი პეროლოგეც და თანამედროვე მკვლევარებიც.

ზემოთ მოგანილ მიმოხილვას, ცხადია, არ აქვს სისრულის პრეტენზია. შორს ვარ იმ ამრისგანაც, რომ ჩემი მეთოდოლოგიური დაკვირვებები გამოდგება მზა სახელმძღვანელოდ ამა თუ იმ მითოლოგიური ტექსტის დასამუშაებლად. მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ მითები ძალზე საინტერესო და თავისებური წყაროა ისტორიკოსისთვის და მათი კომპლექსური შესწავლა სხვა ტიპის წყაროებთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია ძველი სამყაროს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

ისტორიკოსის მითზე მუშაობის საკმაოდ საინტერესო სფეროა მითოლოგიური პარალელები. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ამგვარ კვლევას დამატებითი ხიბლი აქვს, რადგანაც იმედს გვიჩენს, რომ „დაკარგული ნათესაების“ პოვნაში დაგვეხმარება. მით უფრო მეტი სიფრთხილე და გამართული მეთოდოლოგიის მოშველიება გვმართებს, რომ ჩვენი კვლევა არ გასცდეს მეცნიერების ფარგლებს და სხვის სასაყილოდ არ იქცეს.

თეორიულად, მითოლოგიური პარალელები ორ ეთნო-კულტურულ სამყაროს შორის შეიძლება ოთხი ტიპისა იყოს:

1. შემთხვევითი;
2. ტიპოლოგიური, ე.ი. სტანდარტული, ზოგადადამიანური რეაქცია ამა თუ იმ გამოწვევაზე;
3. ნასესხობა, ე.ი. ერთი ეთნოკულტურული სამყაროდან მეორის მიერ სესხების შედეგად მიღებული მსგავსება;
4. ერთი საერთო წყაროდან მომდინარე. ამგვარი პარალელები შესაძარბებელ ერთეულთა გენეტიკურ კავშირზე უნდა მიუთითებდნენ.

როგორც წესი, ყველა პარალელისათვის მეცნიერები საფუძველს ეძებენ, თუმცა შემთხვევითობაც არაა გამოსარიცხი. ამიგომაც დავეუმატე პირველ პუნქტად ეს შესაძლებლობა სტანდარტულ სამწეერიან ჩამონათვალს.

პარალელების ძალზე მნიშვნელოვანი ჯგუფი იქმნება იმ საფუძველზე, რომ ადამიანს მთელ მსოფლიოში მსგავსი რეაქცია

აქვს ბუნების მოვლენებსა თუ მის წინაშე წარმოშობილ სტანდარტულ კითხვებზე. მ. ელიადეს ნაშრომები მშვენიერად წარმოაჩენს კაცობრიობის ერთიანობას მსოფლალქმის მრავალ ასპექტში. ყველა ადამიანი ასხეავენს ცასა და მიწას, ღღესა და ღამეს, სიკედილსა და სიცოცხლეს, ყველა დამოკიდებულია მშვესა და ამინდზე, ყველა ესწრაფვის კეთილდღეობას, სამართლიანობას, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, ყველას უჩნდება კითხვა „რაგომ?“, „როგორ?“. ხშირად ყველა ადამიანს ერთი პასუხი აქვს მის წინაშე დამდგარ კითხვებზე, ან, შესაძლო პასუხთა რაოდენობა სულ თითებზე ჩამოითვლება. ასეთ შემთხვევებში მსგავსებები ორი ხალხის რწმენა-წარმოდგენებს შორის მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ყველანი ადამიანები ვართ.

მსგავსებათა მიზეზი შეიძლება სესხებაც იყოს. ერთმა ხალხმა შეიძლება მეორისაგან შეითვისოს ენაც, კულტებიც და ბევრი სხვა რამ. აღსანიშნავია, რომ იდეებისა თუ ტექნოლოგიების გავრცელების ცენტრი ყოველთვის მაღალი ცივილიზაციის კერა როდია. სავსებით დასაშვებია მაღალგანვითარებულმა ქვეყანამ თუ ერმა სხვისგან შეითვისოს ის ელემენტები, რაც შემოქმედებითი ათვისებისა და გათავისების შედეგად მისი ცივილიზაციის განმსაზღვრელ ნიშნადაც კი იქცევა.

ცხადია, მსგავსებები ორ ხალხს შორის შეიძლება მათი ნათესაობის, მრავალსაუკუნოვანი მეზობლობის, მათი ერთი ეთნო-კულტურული სამყაროსადმი კუთვნილების შედეგიც იყოს. რიგ შემთხვევაში ამგვარი პარალელებისა და მათი მიზეზების დადგენა არც ისე რთულია. მაგრამ ჩვენთვის საკმაოდ აქტუალურია პარალელების ძიება ერთობ რთულად შესაძარებელ მასალაში. ჩვენს მეზობლად არსებული და მრავალი საუკუნის წინ გადაშენებული ცივილიზაციებისაგან მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლები და წერილობითი წყაროებია შემორჩენილი. ამ მასალაში ასახული რწმენა-წარმოდგენებს ვადარებთ ქართულთან, რომლის რეკონსტრუქციაც შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლებისა და უკანასკნელ საუკუნეებში ჩაწერილი ფოლკლორის საფუძველზე ხდება. უძველესმა ქართულმა მასალამ, რომელიც შეიძლება არც ყოფილიყო შემერულისა თუ ხეთურის თანადროული, განიცადა ელინიზმის, იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის გავლენა, ზოგ რიგულს კომუნისტური იდეოლოგიის კვალიც შეიძლება შევამჩნიოთ. ცხადია, რომ ამგვარი ერთეულების შედარებისას მსგავსება ცალკეული სახელის, სიმბოლოს თუ რიგულური ქმედების დონეზე ვერ იქნება შორსმიმავალი დასკვნების გაკეთების საფუძველი. მაგრამ მსგავსებათა სისტემატიკა, მათი

კომპლექსური კვლევა, სისტემის წარმომქმნელ ელემენტთა (მაგ., პანთეონის სტრუქტურა, სამყაროს დაყოფა ვერტიკალურ ზონებად) რეკონსტრუქცია და ურთიერთშედარება შეიძლება საკმაოდ პერსპექტიული აღმოჩნდეს ძველ სამყაროში ქართველთა მონათესავე ცივილიზაციების ძიების გზაზე.

II ნაწილი

საქართველო უკველეს წერილობით წყაროებში

კოლხეთი კველ ტექსტებში

ევრიპიდე, აპოლონიოს როდოსელი და ბევრი სხვა ბერძენი კლასიკურ და ელინისტურ ხანაში არგონავტების ლაშქრობის მიზნად კოლხეთს მიიჩნევდნენ. კოლხეთი მაშინ რეალური ქვეყანა იყო, რომელსაც, შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაციის დასაწყისიდან მოყოლებული, ბერძნებთან ინგენსიური სავაჭრო და კულტურული კონტაქტები ჰქონდა. უფრო ადრეული კონტაქტების ნაკვალები გამოჩნდა უკანასკნელი გათხრების დროს.¹

მაგრამ შეიძლება კოლხეთი ყოფილიყო ის ქვეყანა, რომელიც არგონავტებმა გროას ომზე ერთი თაობით ადრე მონახულეს?²

სამწუხაროდ, ამის პირდაპირი საბუთი, არც არქეოლოგიური და არც წერილობითი არ გავაჩნია და მხოლოდ ამგვარ შესაძლებლობაზე ლაპარაკის უფლება გვაქვს. 1984 წელს გიმ სევერინმა აჩვენა, რომ ბრინჯაოს ხანის ხომალდს შეეძლო პელესპონგოსსა და ბოსფორში დინების აღმა ცურვა.³

უკანასკნელ ხანებში მეორე ბერძნულმა არგომ გაიარა *Argo passi melousa*-ს გაკვალული გზა იოლკოსიდან (თანამედროვე ვოლოსი) კოლხეთამდე.

იოლკოსი მიკენური ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ძვ. წ. XV-XII საუკუნეებში. ვ. ადრიმი-სისმანის მიერ რეგიონში წარმოებული გათხრები უაღესად საინტერესო მასალას გვაწვდის.⁴ აქაურ დასახლებათა აღსასრული ახალ შუქს ჰფენს მიკენური სამყაროს დაქცევის საიდუმლოს, ხოლო იოლკოსში აღმოჩენილი ოქროს ნივთების ანალიზი (ჩაგარდა ლუერის ლაბორატორიაში) აჩვენებს ამ ოქროს მდინარიდან წარმოშობას, რაც ოქროს საწმისის ამბის სტრაბონისეულ ახსნას შეგვახსენებს.

მანფრედ კორფმანის ხელმძღვანელობით 1988 წლიდან წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გროაში დაადასტურა ცხოველი საზღვაო ვაჭრობა ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზებს შორის. სწორედ მასზე კონტროლს ემყარებოდა გროა VI-ის (ძვ. წ. XVII-XIII სს.) მნიშვნელობა და სიმდიდრე.⁵

¹ Licheli 2007.

² ექსპედიციის შესაძლო თარიღისათვის იხ. გორდეზიანი 1999ა: 22მმდ; Gordeziani 2007: 79 ff.

³ Severin 1985.

⁴ გათხრების შედეგებისათვის იხ. მაგ., Adrymi-Sismani 2007.

⁵ Korfmann 1997: 83ff.

ხეთების იმპერიის გარდა, რომელსაც აქაველები უფრო მოკლე გზითაც უკავშირდებოდნენ, შავ ზღვაზე მხოლოდ ერთი დასახლებული სანაპირო ქვეყანა იყო – ქვეყანა, რომელსაც მოგვიანებით კოლხეთს უწოდებდნენ.

დასაველეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალა გვაუჩქრებინებს, რომ ღივი პოლიტიკური წარმონაქმნი აქ უკვე XV საუკუნიდან არსებობდა.⁶

რა ერქვა ამ ქვეყანას?

B-ხაზოვანი დამწერლობის ამოკითხვის შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლხეთი ბერძნებისათვის უკვე მიკენურ ხანაში იყო ცნობილი. ეს მოსაზრება ემყარება სახელს ko-ki-da, ko-ki-de-jo, რომელიც კნოსოსის არქივის სამ გექსტშია დადასტურებული (ko-ki-da: KN Sd 4403, 4430, ko-ki-de-jo: KN Fh 5465). ამ სიგყვისათვის ზოგიერთი მეცნიერი გეთავაზობს წაკითხვას Κολλιδας, Κολλιδειος, თუმცა ეს არ არის ერთადერთი შესაძლო ვერსია.⁷ საქმე ისაა, რომ დამწერლობის თავისებურებები უშვებს წაკითხვის სხვადასხვა შესაძლებლობას.

განვიხილოთ ის გექსტები, რომლებშიც გეხვდება ჩვენთვის საინტერესო გერმინი.

KN Sd 4403 :] e-re-pa-te-jo , o-po-qi , ke-ra-ja-pi , o-pi-i-ja-pi 'ko-ki-da , o-pa' CUR 3// i-]qi-ja , / a-ja-me-na , e-re-pa-te , a-ra-ro-mo-te-me-na , a-ra-ru-ja [

„3 ეტლი, სპილოსძვლით ინკრუსტირებული, სრულად გაწყობილი/ გამართული, სპილოსძვლითა და რქით მორთული სადავეებით, K-ის ნაწარმი“.⁸

KN So 4430 : ko-ki-da , o-pa ne-wa // e-ri-ka , / o-da-twe-ta , a-ro₂-a ROTA ZE 22 MO ROTA 1

„K-ის ნაწარმი: ახალი, დაკბილული, გირიფის საუკეთესო ბორბლები ZE 22 MO 1“⁹

KN Fh 5465: ko-ki-de-jo qa[

ამ ფრაგმენტულ გექსტში მხოლოდ ერთი სიგყვაა სრულად შემორჩენილი.

სრულიად ამკარაა, რომ ჩვენთვის საინტერესო სახელი აქ ნათესაობით ბრუნვაშია. პირველ ორ გექსტში სიგყვა სახელობითის ფორმითაც შეიძლება გავიგოთ და ნათესაობითისაც.

⁶ შდრ. ლორთქიფანიძე 2002: 135 შმდ.

⁷ DMic I: 372sq.

⁸ შდრ. Docs²: 365ff.

⁹ შდრ. Hooker 1983: 164f.

გექსტების შინაარსის დასადგენად უმნიშვნელოვანესია გერმინ o-*pa*-ს მნიშვნელობის დადგენა. მეკლევართა ნაწილი მას სახელმწიფო, ფეოდალური ტიპის ვალდებულებად მიიჩნევს, ნაწილი – საწარმოდ, სახელოსნოდ.¹⁰ ჯ. კილენი, რომელმაც, რამდენადაც ვიცი, უკანასკნელმა მიუძღვნა ნაშრომი ამ გერმინს, ეთანხმება მ. ლეყენისა და ხ. მელენას მოსაზრებას, რომ იგი შეესაბამება ძველბერძნულ სიტყვას /*hopā*/ (nomen actionis იმავე ძირიდან რაც ἔπα), თუმცა მათგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს და მიიჩნევს, რომ ამ გერმინით სხვადასხვა პროლექციის დამუშავების საბოლოო ეტაპი უნდა აღინიშნებოდეს.¹¹ ამდენად, ნეიტრალური თარგმანი „K-ის ნაწარმი“ ყველაზე სწორად მეჩვენება, თუმცა არც ის შესაძლებლობაა გამოსარიცხი, რომ ეს სიტყვა მოცემულ კონტექსტში კონკრეტული ტექნიკური მნიშვნელობით იყოს ნახმარი.¹²

გექსტებიდან ვიგებთ, რომ *ko-ki-da* ერთგვარად დაკავშირებული იყო სასახლისათვის ძვირადღირებული პროლექციის – მდიდრულად მორთული საბრძოლო ეგლების წარმოებასთან.

ქნოსოსის არქივის დათარიღება სადავოა. თავდაპირველად, არტურ ევანსმა კრეგაზე აღმოჩენილი გექსტები დაახლ. ძვ.წ. 1400 წლით დაათარიდა. 50-იანი წლების ბოლოდან, სხვა არქივებთან ენობრივი მსგავსება საფუძვლად დაედო სხვა ვერსიის (1200 წ.) პოპულარობას. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური თუ გექსტოლოგიური კვლევის შედეგები თითქოს ისევ XIV საუკუნის დასაწყისის სასარგებლოდ მეტყველებენ.¹³ რამდენად შესაძლებელია, ძვ.წ. XIV საუკუნის დასაწყისის კრეგაზე სამეფო სასახლის სამსახურში ყოფილიყო კაცი წარმოშობით ან სახელად „კოლხი“?

ჩემი აზრით, ასეთი შესაძლებლობა არ არის გამოსარიცხი.

პირველ ყოვლისა, სსენების ღირსია ლექსიკური პარალელები წინაბერძნულ და ქართველურ სამყაროს შორის, რის შესახებაც არაერთხელ ყოფილა საუბარი სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ენობრივი პარალელები მიუთითებენ, სულ ცოცხა, მნიშვნელოვან კონტაქტებზე, მიგრაციებზე სამხრეთ კავკასიასა და ეგეოსის ზღვის აუზს შორის ბრინჯაოს ხანაში და საფუძველს იძლევიან ამ

¹⁰ იხ. მაგ., DMic II: 30sq.

¹¹ Killen 1999.

¹² შდრ. wozee – „მუშაობა“, რაც E კლასის გექსტებში მიწის ფლობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ვალდებულებას უნდა გულისხმობდეს.

¹³ იხ. მაგ., Plath 1999: 245ff.; Driessen 2008: 70ff.

რეგიონებში მოსახლე გომების ოდინდელი ნათესაობის შესახებ პიპოთეგებისათვის.¹⁴

მიკენური არქივების ტექსტები, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალზე იშვიათად მოიხსენიებენ სამეფოს ფარგლებს გარეთ მდებარე გეოგრაფიულ პუნქტებს.

არქეოლოგიური მასალიდან სრულიად აშკარაა, რომ მიკენურ სამყაროს ჰქონდა მჭიდრო საგაჰრო კონტაქტები ფინიკიასა და კვიპროსთან. ეს დასტურდება ტექსტებითაც, სადაც ამა თუ იმ საქონლის დასახასიათებლად ან ადამიანის საკუთარი სახელის როლში გამოიყენება ზედსართავეები: ფინიკიური, ფინიკიელი – *𐤏𐤍𐤊𐤁*: po-ni-ke-a (KN Ln 1568), po-ni-ke- (PY Ta 714, 722), po-ni-ki-ja/jo (KN);¹⁵ კვიპროსული, კვიპროსელი – *𐀀𐀃𐀆𐀇*: ku-pi-ri-jo (KN Fh 347, 361, 371, 372, 5446, 5447, Ga 517, 676, 677, Gg 995, K 773, X 468; PY Cn 131, 719, Jn 320, Un 443).¹⁶

ეგვიპტე, რომელიც ეგეოსური სამყაროსათვის ასევე მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო, წარმოდგენილია საკუთარ სახელად ნახმარი ზედსართავით – ეგვიპტელი – *𐤀𐤊𐤊𐤏𐤏𐤓𐤓𐤓* (KN Db 1105) – *Aigyptios*. შესაძლოა, ეგვიპტის სემიტური სახელწოდებიდან მომდინარეობდეს ამავე როლში ნახმარი მეორე სახელი – *mi-sa-ra-jo* (KN F 841).¹⁷ საინტერესოა, რომ „ეგვიპტელი“ კრეტულ ტექსტებში მხოლოდ ერთხელ (ან ორჯერ) გვხვდება. შესაბამისად, „კოლხის“ ერთჯერადი¹⁸ მოხსენიება ვერ გამოდგება კრეტულ აქაველთა მიერ კოლხეთის შესახებ ინფორმაციის უქონლობის საბუთად.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბრინჯაოს ხანის ხომალდს შეეძლო დარღანელისა და ბოსფორის დინების აღმა ცურვა და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე იმ ქვეყნის მიღწევა, რომელსაც, შესაძლებელია, კოლხეთი რქმეოდა. შესაბამისად, არგონავტების თქმულება შეიძლება ასახავდეს მიკენური ხანის, კერძოდ, ძვ.წ. XV-XIV საუკუნეების მიჯრის, ექსპედიციას კოლხეთში და ამ ქვეყნის სახელი შეიძლება დადასტურებული იყოს B-ხაზოვან ტექსტებში.

ამ მოსაზრების ირიბ საბუთად შეიძლება მოვიხსნოთ მიკენურ ტექსტებში დადასტურებული სახელები: Aiaia – *𐀀𐀃𐀆𐀇*: PY En 74/ Eo 160; Aiates – *𐀀𐀃𐀆𐀇𐀓*: KN Vc 7612; Athamas – *𐀀𐀓𐀆𐀇𐀓𐀓*: PY Cn 655;

¹⁴ დეგალურად იხ.: R. Gordeziani 2007.

¹⁵ DMic II, 138sqq.

¹⁶ DMic I, 405.

¹⁷ Cline 1991: 18; DMic I: 136, 454.

¹⁸ საესებით დასაშვებია, რომ ზემოთ მოტანილ სამივე კონტექსტში ერთი პიროვნება იგულისხმება.

Kretheus – ke-re-te-u: PY Ea 59 etc.; Amythaon – a-mu-ta-wo: PY Nn 831, KN V 756, TH Ug 9; Iason – i-wa-so: PY Cn 655; Mopsos – mo-ḡo-so: KN Dc 1381; Lynkeus – ru-ke-wo(-wo-wi-ja): PY Nc 1053.

სტ. ჰილერის მიერ შემოთავაზებული ამ სიდიდან¹⁹ ჩვენთვის საგანგებოდ საინტერესოა პირველი ორი სახელი. წერილი ლეთისმსახური, (te-o-ja do-e-ra) აიია ჩენს წინაშე წარმოღება კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთის მოიჯარადედ.²⁰ რაც შეეხება აიეგს (a₃-wa-ta), ეს სახელი კონტექსტის გარეშე გვხვდება.

სტ. ჰილერის სიას შეიძლება დაეუმატოთ ასევე ანთროპონიმი me-de-i-jo (KN B 800 – Μῆδεῖος), თონიმი i-pe-me-de-ja (PY Tn 316 – Ἰπεμέδεια), კრეტული ტოპონიმი ku-ta-to (Κύτατον, Κύταιον).²¹

ცხადია, არც კრეტელი თუ მესენიელი მწყემსები და მიწისმფლობელები იყენებდნენ არგონავტიკის გმირები და არც კრეტის კუტაიონი – კოლხთა საგახტო ქალაქი კუტაია/ქუთაისი, მაგრამ სახელთა ასეთი დამთხვევა შეიძლება მითის ადრეული ვერსიის არსებობის სასარგებლოდ მეტყველებდეს.

შემოთ მოგანილი მასალიდან გამომდინარე, შეიძლება გვთქვას, რომ B-ხაზოვან ტექსტებში კოლხეთის მოხსენიება საესებით დასაშვებია, თუმცა არ უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად.

მსგავსი პრობლემა ჩნდება ასურულ ტექსტებში კოლხეთის მოხსენიებასთან დაკავშირებით. ამ ტექსტებში დასტურდება ქვეყანა, რომლის სახელიც შეიძლება წავიკითხოთ როგორც *Kil-ḫi*, *Kir-ḫi* ან *Hab-ḫi*. პირველი მარცელის შესაბამის ნიშანს (𐎠) რამდენიმე ფონეტიკური მნიშვნელობა აქვს და წავიკითხვა კონტექსტგმა და მოკიდებული. უმრავლეს შემთხვევაში ამ სახელის მაგარებელი ქვეყანა მდებარეობს ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით. მისი

¹⁹ Hiller 1991: 214.

²⁰ PY En 74 : .20 pi-ke-re-wo , ko-to-na , ki-ti-me-na , to-so-de , pe-mo GRA 2 T 6/ .21 o-da-a₂ , o-na-te-re , e-ke-si , pi-ke-re-wo , ko-to-na/ .22 a₁-wa-ja , te-o-jo , do-e-ra , o-na-to , e-ke , to-so-de , pe-mo GRA T 1 – „P-ს საკუთარი ნაკვეთი, ამდენი სათესლე მარცალი 2.6, P-ს ნაკვეთის მოიჯარადეები (მოსარგებლები) არიან: „ლეთის მონა“ აიიას აქვს ამდენი სათესლე მარცალი 0.1...“ ; PY Eo 160: .1 pi-ke-re-wo , ko-to-na , ki-ti-me-na to-so-de , pe-mo GRA 2 T 6/ .2 a₃-wa-ja , te-o-jo , do-e-ra , e-ke-ḡe , o-na-to , pa-ro , pi-ke-re-we GRA T 1 – „P-ს საკუთარი ნაკვეთი, ამდენი სათესლე მარცალი 2.6, „ლეთის მონა“ აიიას აქვს იჯარით (ან სარგებლობაში) P-საგან ამდენი სათესლე მარცალი 0.1...“ მიკენური მიწისმფლობელობის სისტემისა და შესაბამისი გერმინოლოგიისათვის იხ. მაგ., გორდემიანი 1999: 27 შმლ. აგრეთვე ქვემოთ.

²¹ აქედან ნაწარმოებია ფორმები ku-ta-i-jo, ku-ta-i-si-jo, ku-ta-si-jo, ku-ta-ti-jo (Κυταῖος, Κυταῖσιος, Κυταῖσιος). იხ. DMic I, 412sq.

სახელი ზოგჯერ იწერება *Ha-ab-hi*, შესაბამისად, *Hab-hi* სწორი წაკითხვა უნდა იყოს.

ერთ შემთხვევაში იგივე ნიშნებით აღინიშნება ქვეყანა, რომელიც ეფრატის სათავესა და „მემო ზღვას“ (ან „დიდ ზღვას“) შორის უნდა მდებარეობდეს.

ტიგლათფალასარი I-ის წარწერა იუნკალუდან: „თუქელთიაფალ-ეშარა, მეფე ძლიერი, მეფე სამყაროსი, მეფე ასურეთისა, მეფე ქვეყნიერების ოთხივე მხარისა, რომელმაც დაიპყრო ნაირის ქვეყნები თუმიდან დაიაენიმდე, რომელმაც დაიპყრო კილხის ქვეყანა დიდ ზღვამდე“.²²

კიდევ რამდენიმე ტექსტში ტიგლათფალასარი გვამცნობს: „დავიმორჩილე ნაირის ვრცელი ქვეყნები თუმედან დაიაენიმდე, ხიმუა, პაიგერი, კილხი“ (KAH II, #71, 73) ან „დავიმორჩილე ნაირის ვრცელი ქვეყნები თუმედან დაიაენიმდე და მემო ზღვამდე“ (AKA I, 116).

შესაძლოა, რომ ასურეთის მეფე ტიგლათფალასარმა (ძვ. წ. 1115-1076) ნაირის ქვეყნებთან ომში მიაღწია შავ ზღვასა და კოლხეთს – *Kil-hi*.²³ აღსანიშნავია, რომ ტიგლათფალასარის ტექსტებში, სადაც კი ნიშანთა ეს შეთანხმება გვხვდება, არ არის არაერთი მითითება ვანის გბის სამხრეთით მდებარე მიწებზე, რაც *Hab-hi* წაკითხვის სასარგებლო არგუმენტი იქნებოდა. იმ მეფეებს კი, ვინც ამკარად *Hab-hi*-ს მოიხსენიებს, არ მიუღწევიათ შავ ზღვამდე.

ძვ. წ. VIII საუკუნის შუახანებში ურარტუს მეფე სარდური II ებრძოდა კულხას ძლიერ სამეფოს. მისი იდენტიფიკაცია ბერძნულ კოლხიდასთან საკმაოდ სარწმუნოა.²⁴

არქეოლოგიური და ენობრივი მასალა გვაფიქრებინებს, რომ მოსახლეობა და ქვეყანა (შესაძლოა, სახელმწიფოც) ერთი იყო დასავლეთ საქართველოში XIV, XII და VIII საუკუნეებში. ამ ქვეყნის სახელი შეიძლება ყოფილიყო კოლხეთი, რაც შეიძლება ასახულიყო ბერძნულ B-ხაზოვან, ასურულ და ურარტულ ლურსმულ და ბერძნულ ალფაბეტურ ტექსტებში.

²² ARAB I: 92.

²³ Меликишвили 1954: 22 и сл.

²⁴ Salvini 1995: 70.

COLCHIS IN ANCIENT TEXTS

Euripides, Apollonios Rhodios and many other Greeks in classical and Hellenistic times believed that Colchis was the target of the Argonauts' expedition. Colchis was then a real country which had quite intensive economical and cultural contacts with the Greek world since the Greek colonization of the Black Sea. Some traces of earlier contacts were found during last excavations.¹

But could Colchis be a country the Argonauts visited one generation earlier than the Trojan War, i.e. in the Late Bronze Age?²

Unfortunately we have no direct proof, whether written or archeological, of the expedition.

We can only speak about such a possibility.

In 1984, Tim Severin demonstrated that a Mycenaean ship could have sailed against the stream through Hellespontos and Bosporos.³ Now the second Greek Argo followed the route of the *Argo passi melousa* from Iolkos (Volos)⁴ to Colchis.

The archeological excavations in Troia headed by Manfred Korfmann and started in 1988 revealed traces of quite intensive maritime trade between the Mediterranean and the Black Sea regions. The importance and wealth of Troia VI (the XVII-XIII centuries B.C.) was based on its control.⁵ Apart from the Hittite Empire, which the Achaeans could reach by a shorter cut, in those times there was only one inhabited coastal land in the Black Sea region – the land which later was called Colchis. Archeological materials from western Georgia suggest that a large political entity could have been formed as early as the XV century.⁶

What was the name of this country?

After the Linear B texts were read, it was suggested that the name and the land of Colchis were known to the Greeks as early as the Mycenaean period. The assumption is based on the name *ko-ki-da*, *ko-ki-de-jo* found in three texts from the Knossos archive (*ko-ki-da*: KN Sd 4403, 4430, *ko-ki-de-jo*: KN Fh 5465). Some scholars read the word as *Kolchidas*, *Kolchideios*. However, this is not the only possible version.⁷ In fact,

¹ Licheli 2007: 109 ff.

² For the possible dating of the expedition s. L.Gordeziani 2007: 79 ff.

³ Severin 1985.

⁴ For the modern stage of excavations in Iolkos see Adrymi-Sismani 2007: 20 ff.

⁵ Korfmann 1997: 83 ff.

⁶ Cf. Лорджманцдзе 1989: 204 и слл.

⁷ DMic I: 372sq.

peculiarities of Mycenaean writing allow several ways of reading.

Let us consider the texts that include the word of our immediate interest:

KN Sd 4403 :] e-re-pa-te-jo , o-po-qo , ke-ra-ja-pi , o-pi-i-ja-pi 'ko-ki-da , o-pa' CUR 3// i-]qi-ja , / a-ja-me-na , e-re-pa-te , a-ra-ro-mo-te-me-na , a-ra-ru-ja [

„3 horse-chariots without wheels inlaid with ivory, fully assembled, equipped with bridles with cheek-straps decorated with ivory and horn, produced by ko-ki-da“.⁸

KN So 4430 : ko-ki-da , o-pa ne-wa // e-ri-ka , / o-da-twe-ta , a-ro₂-a ROTA ZE 22 MO ROTA 1

„produced by ko-ki-da: new, toothed wheels of willow, of superior quality“.⁹

KN Fh 5465: ko-ki-de-jo qa[

Only one word is fully preserved in this fragment.

It is absolutely clear that the word of our interest is used here in the genitive. In the first two texts, the word can be interpreted as either the nominative or the genitive case form.

We learn from the texts that *ko-ki-da* was somehow connected with the production of expensive articles – richly decorated war chariots for the court.

The dating of the Knossos archive is disputable. Arthur Evans was the first to date the texts discovered on Crete back to the 1400 B.C. Following the 1950s, linguistic parallels with other archives caused the popularity of another version (1200). Archeological or textological studies of the latest decade seem to testify again in favour of the outset of the XIV century.¹⁰ Is it possible that a man either coming from Colchis or called Colchian could have served for the royal palace on Crete in the XIV century B.C.?

In my opinion, such a hypothesis should not be ruled out.

The first argument to mention are lexical parallels between pre-Greek and Kartvelian environments, which have been highlighted several times in special literature. Those linguistic parallels speak at least of important contacts and migrations between the South Caucasus and the Aegean Sea region in the Bronze Age and offer grounds for the hypothesis on remote relationship between the tribes inhabiting the regions.¹¹

Owing to their specific character, Mycenaean texts mention the geographical areas outside their kingdom on a very rare occasion.

⁸ Cf. Docs²: 365ff.

⁹ Cf. Hooker 1983: 164f.

¹⁰ Plath 1999: 245ff.; Driessen 2008: 70ff.

¹¹ In detail see: R. Gordeziani 2007.

Archeological finds make it absolutely clear that the Mycenaean world enjoyed commercial contacts with Phoenicia and Cyprus. This is also attested by the texts where the following adjectives either specify a product or function as proper names of individuals: Phoenician, Phenicese, Cyprian, Cypriot.¹²

Egypt, another important partner of the Aegean world, is represented by an adjective used as a proper name – Egyptian – a₃-ku-pi-ti-jo (KN Db 1105) – *Aigyptios*. Presumably, the second name used in the same sense must have been derived from the Semitic name of Egypt – mi-sa-ra-jo (KN F 841).¹³ Interestingly, ‘Egyptian’ is used only once (or twice) in the Cretan texts. Therefore, the single mentioning of ‘Colchis’ can not serve as a proof to assert that the Cretan Achaeans had no idea about Colchis.

As already shown, a late Bronze Age ship could have sailed against the stream reaching a land in the eastern part of the Black Sea which could have been called Colchis. Consequently, the Argonaut legend may reflect an actual expedition of the Mycenaean period to Colchis and the name of the country could be mentioned in the linear B texts.

Almost the same problems appear with the name of Colchis in Assyrian texts. These texts mention the name of a country which may be interpreted as *Kil-ḫi*, *Kir-ḫi* or *Ḫab-ḫi*. The first syllabogram (𒀭) has different values and its reading depends on the context. In most cases the land with this name is located to the South-West of the Van Lake. Sometimes its name is written as *Ḫa-ab-ḫi*, so *Ḫab-ḫi* must be the correct reading.

But in some cases the same signs designate a land which could have been located between headwaters of Euphrates and the coast of the „Upper Sea“ or the „Great Sea“.

Gonjalu (Melazgerd) inscription: „Tiglath-pileser, the mighty king, king of the universe, king of Assyria, king of the four regions (of the world), conqueror of the lands of Nairi, from Tummi to Daiani, coqueror of *Kil-hi* to the Great Sea“.¹⁴

It is quite possible that the Assyrian king Tiglath-pileser (1115-1076 B.C.), fighting the Nairi-coalition, reached the Black Sea and the land of Colchis – *Kil-ḫi*.¹⁵

In the middle of the VIII century B.C., in the same region, the Urartian king Sarduri II fought against the strong kingdom of *Qulḫa*. Its identification with the Greek Colchis is quite certain.¹⁶

¹² DMic II: 138sqq.; DMic I: 405.

¹³ Cline 1991: 18; DMic I: 136, 454.

¹⁴ ARAB I: 92.

¹⁵ Меликшвили 1954: 22 и слл.

¹⁶ Salvini 1995: 70.

The archeological and linguistical material allows suggesting that the population and country (or even the state) in West Georgia was the same in the XIV, XII and VIII centuries B.C. The country could have had the same name – Colchis, which could be attested in the Linear B Greek, cuneiform Assyrian or Uartian and alphabetic Greek texts.

ძველადმოსავლური ქვეყნებიდან, რომელთა წერილობითი წყაროებიც ხელმისაწვდომია თანამედროვე მეცნიერებისათვის, ურარტუ ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული კავკასიასთან. მისი ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ურარტუ ფლობდა თანამედროვე სომხეთისა და ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვან ნაწილს. ეთნიკურადაც თვით ურარტელები ჩრდილო კავკასიელთა მონათესავენი იყვნენ, ხოლო მათი სამეფოს გერიგორია თითქმის მთლიანად თავსდება ანტიკურ ხანაში არმენიელთა განსახლების არეალში. შესაბამისად, ყველა ურარტულ ტექსტს აქვს გარკვეული მიმართება კავკასიის ისტორიასთან.

ქვემოთ ვთავაზობთ კომენტარებულ თარგმანებს იმ წარწერებისა, რომლებიც აღმოჩნდა ამიერკავკასიაში ან ასახავს ურარტელთა ლაშქრობებს ამ რეგიონში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ამიერკავკასიის“ ქვეშ აქ იგულისხმება თანამედროვე ამიერკავკასიის სამი სახელმწიფო და ტაო-კლარჯეთი. ცხადია, ასეთი საზღვარი საკმაოდ პირობითია, მაგრამ ქართველი მკითხველის პროტესტს, იმედია, არ გამოიწვევს. დაახლოებით ასევეა განსაზღვრული კავკასიის სამხრეთი საზღვარი ენციკლოპედიაში „ანტიკური კავკასია“ (Caucasus Antiquus), რომელსაც გამოსაცემად ამზადებს მკვლევართა ჯგუფი რისმაგ გორდემიანის ხელმძღვანელობით. ამ პროექტისთვის შესრულდა ქვემოთ მოტანილი თარგმანები, ხოლო ლეგალური კომენტარები დაეურთო სპეციალურად წინამდებარე გამოცემისათვის.

იშუუნისა და მენუას წარწერები

(ბვ.წ. 820-810)

1 (УКН 20, КУКН 31, СТУ А 3-4, სტელა ვანის სურბ პოლოსის ეკლესიის კედლიდან)

წინა მხარე: ...¹ იშუუნი სარდურის ძემ, მენუა იშუუნის ძემ უკუაგდეს² (ტომები) ლუშა,³ ქათარზა,⁴ ...⁵ მიაღწიეს (ქალაქ)

¹ შესაძლო აღდგენები: [ხალდის ძლიერებით გაილაშქრეს] (Арутюнян 2001: 31, 32); [ხალდის, ბატონს] (Меликишвили 1960: 131, 133).

² მ. სალვინი აქ აღადგენს 8მნას [h]a-[a]-i'-t-ს და შესაბამისადაც თარგმნის: „დაიპყრეს“ (Salvini 2008: 131, 132). უკანა მხარის მეათე სტრიქონში იგივე კონტექსტში გარკვევით იკითხება sa-n-i-du-t-ს (უკუაგდეს), რის გამოც სხვა შემთხვევებში ადრეულ გამოცემებში ეს უკანასკნელი სიტყვა აღდგება. მ. სალვინის წაკითხვა სწორი რომც იყოს, მილიანი ტექსტისა და მომღვენო

ანაშემდე⁶ და (ქალაქ) დიდ მაკურუმდე.⁷ ...⁸ (გომები) უიგერუხი,⁹ ლუმა, ქათარზა. ეთიუხის¹⁰ (ქეყენის) მეფეთა მაშველი ძალები (მათ) დასახმარებლად მოვიდნენ.

გაემართა (ღვთაება) ხალდი თავისი იარაღით უიგერუხის, ლუმას, ქათარზას, ეთიუხის (ქეყენის) მეფეთა წინააღმდეგ. ხალდი ძლევამოსილია, ხალდის იარაღი ძლევამოსილია.

გაემართნენ იმჟუნინი სარღურის ძე, მენუა იმჟუნინის ძე; უკუაგდეს (გომები) უიგერუხი, ლუმა, ქათარზა, ეთიუხის (ქეყენის) მეფეთა

გექსტების შინაარსიდან გამომდინარე, მაინც ვამჯობინებდი თარგმანს „ლაპარკებს, უკუაგდეს“.

³ გომი სამხრეთ კავკასიაში, საეარაულოდ, კლარჯეთის მემობლად. გ. მელიქიშვილი შესაძლოდ მიიჩნევს სახელის ლუმა-ლოსა ღაზებთან დაკავშირებას (Меликишвили 1959: 67, 210).

⁴ გომი სამხრეთ კავკასიაში. მის სახელს უკავშირებენ ბერძნულ Κατακλυσίς, ქართულ კლარჯეთს (Меликишвили 1959: 113, 210; Diakonoff, Kashkai 1981: 48). ამ და მომდევნო ტექსტებში კლარჯებისა და მათი მოკავშირეების აქტიუობა ისტორიულ კლარჯეთზე სამხრეთით ჩანს. მაგრამ ეს არ გამოორიხხავს იმ შესაძლებლობას, რომ მათი საშუალოდ ჩრდილოეთით კლარჯეთს მოიცავდა (Арутюнян 2001: 512). შესაძლოა, იმჟუნინისა და მენუას ტექსტები ასახავენ არა ამ გომების გერიგორიის დალაშქრას, არამედ მათი მარბიელი ძალების განდევნას ალაშქერგის მიდამოებიდან.

⁵ ნ. არუტუნინი აქ ლოგიკურად აღადგენს „უიგერუხი“ (Арутюнян 2001: 31, 32), თუმცა სხვაგან ჩამონათული სხვა თანამიმდევრობით გვხვდება: უიგერუხი, ლუმა, ქათარზა.

⁶ საეარაულოდ, თანამედროვე ალაშქერგი, რომლის მახლობლადაც აღმოჩნდა ტექსტი №3 (Меликишвили 1960, 417; Арутюнян 2001, 496).

⁷ Арутюнян 2001: 31, 33; Salvini 2008: 131-133. მღრ. Меликишвили 1960, 132-134: [ქუერუმდე]. საეარაულოდ, მღებარეობდა თანამედროვე ალაშქერგის მახლობლად.

⁸ ნ. არუტუნინი აღადგენს ta-nu-bi და გვთავაზობს ასეთ თარგმანს – „გზას მიეკლდევი (გომების ... წინააღმდეგ)“. თუმცა, ასეთი აღდგენა გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდება, რასაც მკვლევარი თვითონვე აღნიშნავს – ქვემდებარე და შემასმენელი რიცხვში არ არიან შეთანხმებული (Арутюнян 2001: 31-33).

⁹ გომი და ქეყენა სამხრეთ კავკასიაში. ნ. არუტუნინის აზრით, ანაშე-ალაშქერგი უიგერუხის ქალაქი იყო, შესაბამისად, ეს ქეყენა არაქსის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა (Арутюнян 2001: 528). როგორც უკვე აღინიშნა, ამ ტექსტში უიგერუხისა და სხვა გომების უკუგდებაზე საუბარი და არა მათ დაპყრობაზე, ხოლო სარღური II-ის ანალებში, სადაც უიგერუხის დაპყრობა აღწერილი (იხ. ქვემოთ), ანაშეს ვერ ვხვდებით. შესაბამისად, უიგერუხი უფრო ჩრდილოეთით შეიძლება იყოს საძიებელი – ჩილდირის ტბის აღმოსავლეთით, ვიუმრის მახლობლად. ამ სახელს ქართულ ოძრხესაც უკავშირებენ (Меликишвили 1959: 113).

¹⁰ ეთიუხი სხვაგან გვხვდება ეთიუნი ფორმითაც. სამხრეთ კავკასიის გომთა დიდი გაერთიანება, რომელიც ურარტუტ ტექსტებში მრავალ გომთან ასოცირდება (Меликишвили 1960: 426; Diakonoff, Kashkai 1981: 34; Арутюнян 2001: 505).

მამუელი ძალები. ... წარწერა (ქალაქ) ანამე... იქიდან მოვიდა: ...ათას 720 კაცი, ...ათას 670 ქალი, ...ას 26 ცხენი, 13540 (სული) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 20785 ცხვარი. ზემოთ ნახსენები (?)¹¹ ქალები და კაცები (ქალაქ) გუმუაში არიან მძევლად წაყვანილი (?).¹²

უკანა მხარე: ...¹³ ვინც ამ წარწერას დაამტკიცებს, ვინც მოსპობს, ვინც მიწაში დაფლავს, ვინც წყალში გადააგდებს, ვინც ადგილს შეუცვლის, ვინც მზისგან დაფარავს, ვინც სხვას აიძულებს ეს გააკეთოს, ეგყვის „მოსაჲ (წარწერა)“, სხვა ვინც იტყვის „მე ექენი (ეს)“, დაე ხალდი, ამინდის ღმერთი და მზის ღმერთი¹⁴ ნუ დაგოვებენ ნურც მას, ნურც მის სახელს, ნურც მის თესლს ამ მიწაზე.

2 (УКН 21, КУКН 32, СТУ А 3-5, სტელა სურბ პოვანესის ეკლესიიდან, ვანის მახლობლად¹⁵)

ხალდის, მეუფეს იმფუინი სარდურის ძემ, მენუა იმფუინის ძემ ეს სტელა აღუმართეს.

გაემართა (ღვთაება) ხალდი თავის იარაღით, დაამარცხა¹⁶ უიტერუხი, დაამარცხა ლუშა, დაამარცხა ქათარზა. ხალდი ძლევამოსილია, ხალდის იარაღი ძლევამოსილია.

¹¹ kamni, ი. დიაკონოვის აზრით, „წინანდელს, აღრე/ზემოთ მოხსენიებულს“ შეიძლება ნიშნავდეს (Дьяконов 1963: 55; Арутюнян 2001: 451).

¹² i-ni-ni gu-ar-dn-ni არ ითარგმნება. საეარაულოა, რომ ეს ფრაზა გყვეთა ბელზე უნდა მიუთითებდეს (Меликишвили 1960: 135). გყვეთა დიდი ნაწილის ღეპორტაცია და ურარტუს კუთხილ მიწებზე დასახლება ხდებოდა. რიგ შემთხვევაში ეს აღინიშნებოდა კიდევ ფორმულით „მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მიეუმატე“. დედაქალაქში გყვეების წაყვანის საგანგებოდ აღნიშვნა, ჩემი აზრით, მათ მძევლად აყვანას შეიძლება გულისხმობდეს.

¹³ სტრ. 1-20 იმეორებს წინა მხარის 9-42 სტრ. ტექსტს.

¹⁴ ხალდი, ამინდის ღვთაება და მზის ღვთაება ურარტული პანთეონის უმუნაესი ღმერთები იყვნენ. ცნობილია ამ ორი უკანასკნელის სახელებიც. ამინდის ღვთაებას თვითება ერქვა, მზის ღვთაებას კი – შიენი. შესაბამისად, მკვლევართა უმეტესობა ჩამონათვალს *Haldi *IM *UTU თარგმნის „ხალდი, თვითება, შიენი“. ხშირ შემთხვევაში ეს წაკითხვა სწორია და ფონეტიკური კომპლემენტებითაც არის გამყარებული. კრულის ფორმულებში უპირატესობა, ალბათ, უფრო ერთხილ, სიტყვა-სიტყვით თარგმანს უნდა მიენიჭოს: „ხალდი, ამინდის ღვთაება, მზის ღვთაება“. ღვთაებათა სახელების იდეოგრამებით გადმოცემა შეიძლება წარმოადგენდეს „შეგნებულ ორაზროვნებას“, რასაც წარწერის დაყვისათვის გარკვეული ეფექტი უნდა ჰქონოდა: ნებისმიერ მკითხველს, ურარტელი იქნებოდა ის თუ უცხოელი, იქ საკუთარი ღმერთები უნდა დაენახა.

¹⁵ სტელის უკანა მხარეზე იდენტური წარწერაა. იგი შეელომით ცალკე ტექსტად იქნა გამოქვეყნებული, რის შედეგადაც მას ცალკე ნომრები აქვს მინიჭებული აღრეულ კორპუსებში (УКН 22, КУКН 33).

¹⁶ ან „თავის იარაღს დაუმორჩილა“ (Арутюнян 2001: 35).

ხალდის ძალით გაემართინენ ლუშას (გომის წინააღმდეგ) იშფუინი სარდურის ძე, მენუა იშფუინის ძე. იშფუინი ძლევაგმოსილია, მენუა ძლევაგმოსილია. (მათ) ლამქარში (იყო) წნ საბრძოლო ეგლი, ...ათას 460¹⁷ მხედარი, 15760 ქვეითი.

წინ გაუძღვა ხალდი იშფუინი სარდურის ძეს, მენუა იშფუინის ძეს; (მათ) უკუაგდეს¹⁸ (გომები) უიგერუხი, ლუშა, ქათარზა, მივიდნენ (ქალაქ) ანაშემდე და (ქალაქ) დიდ მაკურუმდე.

3 (CTU A 3-6, პირაბაგი, ალაშქერგის მახლობლად)

გაემართა (ღვთაება) ხალდი თავის იარაღით, დაამარცხა ლუშა, დაამარცხა ქათარზა. ხალდი ძლევაგმოსილია, ხალდის იარაღი ძლევაგმოსილია.

გაემართნენ იშფუინი სარდურის ძე, მენუა იშფუინის ძე; მოსპეს (გომები) ლუშა, ქათარზა, დაიპყრეს ქვეყანა, მივიდნენ (ქალაქ) ანაშემდე. იმ მხარიდან მობრუნებულებმა იპოვეს ეს წყარო.

4 (YKH 23, KYKH 34, CTU A 3-7, გოპრაკ-კალე, ალაშქერგის მახლ. წარწერა ქვაზე)

გაემართა (ღვთაება) ხალდი თავის იარაღით, დაამარცხა ლუშა, დაამარცხა ქათარზა. ხალდი ძლევაგმოსილია, ხალდის იარაღი ძლევაგმოსილია.

გაემართნენ იშფუინი სარდურის ძე, მენუა იშფუინის ძე... მივიდნენ (ქალაქ) ანაშემდე...¹⁹

5 (KYKH 39a, CTU A 3-8, ოძასარი, ნახიჩევანი, წარწერა კლდეზე)

ხალდის ძალით იშფუინი სარდურის ძემ, მენუა იშფუინის ძემ დაიპყრეს (ქალაქი) არცინი, დაიმორჩილეს (ქალაქ) არცინის ქვეყანა, (ქალაქ) აიანინის ქვეყანა დაიპყრეს, მოაოხრეს.²⁰

¹⁷ „430“ (Salvini 2008: 135).

¹⁸ იხ. ზემოთ, შენ. 2.

¹⁹ დაზიანებულ გექსგს მ. სალვინი აღადგენს პირაბაგში ახლად აღმოჩენილი გექსგის (№3, CTU A 3-6) მიხედვით: „მოსპეს (გომები) ლუშა, ქათარზა, დაიპყრეს ქვეყანა, მივიდნენ (ქალაქ) ანაშემდე. იმ მხარიდან მობრუნებულებმა...“ (Salvini 2008, 136), ხოლო ჯ. მელიქიშვილი და ნ. არუტუნიანი №1 და №2 გექსგების მიხედვით: „უკუაგდეს (გომები) უიგერუხი, ლუშა, ქათარზა, მივიდნენ (ქალაქ) ანაშემდე და (ქალაქ) დიდ მაკურუმდე“ (Меликшвили 1960: 137; Арутунян 2001: 37).

²⁰ ამ ფრაზას ნ. არუტუნიანი სხეანაირად თარგმნის: „დაიპყრეს (ქალაქ) არცინის ქვეყანა, (ქალაქ) იშ[...], ქვეყანა, (ქალაქ) არციკუას ქვეყანა, (ქალაქ) აიანინის ქვეყანა დაიპყრეს, მოაოხრეს“ (Арутунян 2001: 56).

მალბა იყო (ადგილი, სადაც) ხალდის სგელა აღმართეს ფულუადის²¹ (ქვეყანაში). დაადგინეს: ფულუადის (ქვეყანაში) ხალდის შესწირონ ხარი (და) ცხვარი, ძროხა – ხალდის მეუღლეს.

მენუას წარწერები

(ძვ.წ. 810-785/80)

6 (УКН 30, КУКН 47, СТУ А 5-1, ცოლაკერგი, წარწერა ქვაზე) (ღვთაება) ხალდი გაემართა თავისი იარაღით, დაამარცხა²² ერიკუახი(ს²³ გომი), (ქალაქი) ლუხიუნი,²⁴ დასცა (ის) მენუას წინაშე. ხალდი ძღვევამოსილია, ხალდის იარაღი ძღვევამოსილია. ხალდის ძალით გაემართა მენუა იმფუინის ძე, წინ მიუძღვოდა ხალდი. მენუა ამბობს: მოვიდა ერიკუახის (გომის) ქვეყანა.²⁵ (ქალაქი) ლუხიუნი, სამეფო ქალაქი, რომელიც არაეის არასდროს აუღია, ხალდიმ მისცა მენუას იმფუინის ძეს. (მე) დაეიყარი (ქალაქი) ლუხიუნი, დავხარე (ქალაქი) ლუხიუნი.²⁶ მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც დაამგვრევს, ვინც სხვას აიძულებს (ეს) გააკეთოს, ვინც სხვა იტყვის: მე დაეიყარი (ქალაქი) ლუხიუნი, დაე მოსპონ ხალდიმ, ამინდის ღვთაებამ, მზის ღვთაებამ, ყველა ღმერთმა იგი მზისქვეშეთში, ნურც ვზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/ შეიფარებს.²⁷

²¹ როგორც ირკვევა ერთმანეთისაგან საკმაოდ მოშორებით აღმოჩენილი წარწერებიდან, სადაც ეს ქვეყანა მოიხსენიება, იგი მოიცავდა დიდ რეგიონს ჯულფადან ნახიჩევანში სეკენდელამდე ჩრდილო-დასავლეთ ირანში.

²² ან „თავის იარაღს დაუმორჩილა“. იხ. ზემოთ.

²³ ერიკუახი/ერიკუახი/ერიკუახი – გომი და ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში (Меликишвили 1960: 425; Diakonoff, Kashkai 1981: 31; Арутюнян 2001: 504).

²⁴ ქალაქი არარატის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე, თანამედროვე ცოლაკერგის მახლობლად, ერიკუახის ქვეყნის ცენტრი. საეარაულოდ იქვე აამენსეს ურარტელებმა ქალაქი და ციხე-სიმაგრე მენუახინილი.

²⁵ ამ ფრაზის სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს: „= მივალწი ერიკუახის ქვეყანას“ (Меликишвили 1960: 154); „მივიდა (ხალდი) ერიკუახის ქვეყანაში“ (Арутюнян 2001: 35); „დადგა ერიკუახის (რიჯიცი)“ (Salvini 2008: 184). არ არის გამორიცხული, აქ ერიკუახის ლაშქრის მენუას წინააღმდეგ გამოსვლაც იგულისხმებოდეს.

²⁶ 'a-al-du-bi ... me-si-ni pi-i – „მოვითავსე ხარკის ქვეშ“. ვ. მელიქიშვილი გვთავაზობს განსხვავებულ თარგმანს: „დაეინდე ... ხარკის გადახდის პირობით“ (Меликишвили 1960: 154), რომელიც ასევე დასაშვებად, რიგ შემთხვევაში კი, უპირატესადაც მიმაჩნია.

²⁷ კრულის ამ ფორმულის ბოლო ნაწილი არაა ნათარგმნი არც ერთ კორპუსში. ჩემი თარგმანი ეყრდნობა ცალკეული სიტყვების მეტ-ნაკლებად დადგენილ მნიშვნელობებსა და ლოგიკურ ინტერპრეტაციარეკონსტრუქციას. უფრო დეტალურად იხ. ქვემოთ.

7 (CTU A 5-2)²⁸

ხალდის ძალით მენუა იმჟუნის ძე ამბობს: როდესაც ხალდის ჭინკრის საძირკველი ჩაეყარე, როდესაც ხალდის ჭინკარი ავაგე, დავიჩოქე ხალდის წინაშე და შევევლრე მას. მოვიდა ერეკუახის ქვეყანა,²⁹ გავემართე ერეკუახის წინააღმდეგ, დავიპყარი ქალაქი ლუხიუნი ერეკუახის ქვეყნისა, მოვაოხრე ეთიუნის ქვეყანა. მენუა იმჟუნის ძე ამბობს: ქალაქი ლუხიუნი, ერეკუახის ქვეყნის სამეფო ქალაქი, რომელიც არაეის დაუპყრია, ხალდიმ გადასცა მენუას, იმჟუნის ძეს. დავიპყარი ლუხიუნი, დაეხარკე ეთიუნის ქვეყანა, 50 ათიათასი, ... ჭაბუკი, ქალი და კაცი, ზოგი დავხოცე, ზოგიც ცოცხლად წამოვიყვანე. 1733 ცხენი, 7616 (სული) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 15320 ცხვარი. ეს წილად ხედა მეფეს, სხვა ჯარიკაცებმა მოიტაცეს, როდესაც ქვეყანა დავიკავე. ხალდის ძალით მენუა იმჟუნის ძე ამბობს: გუშუას ჰარემში (?) აქამდე არასდროს სხვა მეფეს არ მოუყვანია ამდენი ქალი, მენუა იმჟუნის ძემ ქალაქ ლუხიუნიდან ზემოთ ხსენებული ქალები და კაცები გუშუაში (წაიყვანა მძევლად?), ქალები არიან ქალაქ აელიაში დირუნის (ქვეყნისა), ზემოთ ხსენებული კაცები ქალაქ აელიადან (?) არიან ქალაქ ალგუკუიაში ციადხინის (ქვეყნისა). ხალდის სიდიადით მენუა იმჟუნის ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი გუშუა ქალაქისა.

8 (YKH 36, KYKH 53, CTU A 5-3, წარწერა კლდეზე დღევანდელ იაზილიგაშში – სოფელი ჰასან-კალასა და დელიბაბას შორის, ქალაქ ერზერუმის რაიონში)³⁰

ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით ღიაუხის,³¹ ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ.³² ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა (სალაშქროდ) მენუა იმჟუნის ძე; წინ უძღოდა (მას) ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი ღიაუხის ქვეყანა, ქალაქი

²⁸ ეს გექსტი რეკონსტრუირებულია მ. სალვინის მიერ მრავალი წარწერისა და ფრაგმენტის შეერთების ვით: CTU A 5-2A+2B (=YKH 34, KYKH 51)+2C (YKH 38, KYKH 55)+2D (YKH 32+33+, KYKH 49+50+)+2E (YKH 35, KYKH 52+)+2F (KYKH 466+).

²⁹ იხ. შენ. 25.

³⁰ ძირითადად მისდევ გ. მელიქიშვილის თარგმანს (მელიქიშვილი 1990: 272).

³¹ ღიაუხი/ ღიაუხი უნდა შეესაბამებოდეს ბერძნ. τήχιος-სა და ქართულ გაოს. სავარაუდოა, რომ ასურული გექსტების დაიანენ იგივე პოლიტიკურ გაერთიანებას აღნიშნავდა (Меликшвили 1960: 424; Diakonoff, Kashkai 1981: 26; Арутюнян 2001: 503).

³² „თარაიუს ქვეყნის წინააღმდეგ“ (Salvini 2008: 190).

შამილუ,³³ სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავანგრე). მივედი შემეთის³⁴ ქვეყანამდე, ქალაქ გუა(მდე),³⁵ ქალაქი უტუხაი³⁶... მენუა ამბობს: უტუურში, მეფე დიაუხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე (მას) მოწყალედ მოვექეცი,³⁷ შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით,³⁸ მომცა მან ოქრო (და) ვერცხლი, მომცა ხარკი. ის გყვები (?), (რომლებიც) დაბრუნდნენ (მასთან), დამიბრუნა მან მთლიანად.³⁹ მენუა ამბობს: ...⁴⁰ 2 მეფე მე იქიდან მოვატყვე: ბალთულხის ქვეყნის (მეფე) (და) ქალაქ ხალდირიულხის⁴¹ ქვეყნის (მეფე). გამაგრებული ციგადელები, (რომლებიც კი იყო იმ)

³³ დიაუხის სამეფო ქალაქი, შესაძლოა „სასირო“ (ქვეთარაძე 2006, 36წმდ.).

³⁴ ნ. არუტუნიალის აზრით, უნდა წაეკითხათ „შემეს მთა“, რომელიც მოიხსენიება გიგანტოლოგურ I-ის ანალოგში. ეს მთა დიაოხის ქვეყანაში ან მის მახლობლად მდებარეობდა (Арутюнян 2001: 79). გ. მელიქიშვილი ამ ქვეყნის სახელს უკავშირებს შავშეთს (Меликишвили 1959: 205).

³⁵ შესაძლოა, თანამედროვე შივინი, ერზერუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით (Арутюнян 2001: 79).

³⁶ უტუხაი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს თანამედროვე უტუა/ ოხდას, რომელიც ოლთუს/ ოლთისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს (Арутюнян 2001: 529).

³⁷ si-lu-a-di ma-ku-ri. ნ. არუტუნიალი იმთავითვე ამ სიტყვების მელიქიშვილისეულ თარგმანს (Арутюнян 2001: 78), ხოლო მ. სალვინი ამ სიტყვებს არ თარგმნის (Salvini 2008: 191).

³⁸ შღრ. ზემოთ, შენ. 26.

³⁹ მ. სალვინი არც ამ სიტყვებს თარგმნის (Salvini 2008: 191). როგორც ჩანს, ლაპარაკი უნდა იყოს ურარტულან გაქეულ გყვეებზე, ვისაც გაოსთის ჰქონდათ თავი შეუარებული. ამ ტიპის ხალხის დაბრუნებას (ან დაბრუნების ვალდებულებას) სწორად გესვებით ძველდამოსავლურ ტექსტებში. გყვეთა დაბრუნება და დამხმარე ძალის მიწოდება, რაზეც შემდგომ პასაჟში უნდა იყოს ლაპარაკი, მოგვაგონებს ხეთური ხელშეკრულებების იმ ნაწილს. სადაც დიდი მეფის მიმართ „მოკავშირის“ თუ ეასალის ვალდებულებებია ასახული. მთლიანობაში ეს ტექსტი, მიუხედავად ზმნებისა „დავიპყარი“, „გადავწვი“, „დავანგრე“ – რაც მგრის დაწესებულების სტანდარტულ აღწერას წარმოადგენს, იმ შთაბეჭდილებას გოვებს, რომ მენუამ აიძულა დიაუხი, მისი „მოკავშირე“ გამსლარიყო. მენუას ვაჟი და მეგვიდრე არგიმთი კი უკვე ნამდვილად იპყრობს დიაუხს და მისი ლაშქრობის (თუ ლაშქრობების) შედეგად, ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, არსებობას წყევტს.

⁴⁰ სგრ. 19-23 გაბმულად ვერ ითარგმნება, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა ჩვენთვის ნაცნობია. აქ, როგორც ჩანს, ლაპარაკია დიაუხის მეფის მიერ ურარტულთათვის ცხენებისა და დამხმარე რაზმების მიწოდების შესახებ.

⁴¹ მ. სალვინი ამ სახელწოდებებს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ბალთუს გომის ქვეყნის და ქალაქ ხალდირის ქვეყნის“ (Salvini 2008: 191). ბალთუ/ ბალთულხი – დიაოხის გაერთიანებაში შემავალი გომი, სავარაუდოდ, ეფურაგის სათავესა და ჭოროხის შუაწელს შორის მცხოვრები (Арутюнян 2001: 500). ხალდირი/ ხალდირულხი უნდა უკავშირდებოდეს ჩილდირის ტბის მიდამოს (Арутюнян 2001: 507).

ქვეყანაში, მე იქიდან მოვვლიჯე. მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გასგებს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იცყვის: „მე გავაკეთე (ყველაფერი ეს)“, დაე მოსპონ ღვთაება ხალდომ, ღვთაება თეიმებაამ, ღვთაება შიფინიმ,⁴² (ყველა) ღმერთმა იგი მშის ქვეშ,⁴³ ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი საღმე წაიყვანს/ შეიფარებს.

9 (YKH 37, KYKH 54, CTU A 5-4, ზიენი, წარწერა ქვის ფილაზე, მისი ორი ფრაგმენტი ინახება საქართველოს მუზეუმში)

... მენუა ამბობს: დავიყარი ქალაქი შაშილუ, აღეუმართე ეს წარწერა ხალდის, ჩემს ბაგონს.

ხალდის ძალით მენუა იშუენის ძე, მეფე ძლიერი, მეფე ღიდი, მეფე ბიანილის (ქვეყნისა), მმართველი გუშუა ქალაქისა.

მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც დაამტკრევს, ვინც დამალავს, დაე მოსპონ ხალდომ, ამინდის ღვთაებაამ, მშის ღვთაებაამ, ყველა ღმერთმა იგი მშისქვეშეთში, ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი საღმე წაიყვანს/ შეიფარებს.

10 (YKH 31, KYKH 48, CTU A 5-27, ცოლაკერტი, წარწერა სამშენებლო ქვაზე)

ხალდის ძალით როდესაც მენუამ ერკუახის (გომის) ქვეყანა, როდესაც (ქალაქი) ლუხიუნის ქვეყანა (დაიპყრო)... ამ ადგილზე იმყოფებოდა (?), მენუამ ააგო ხალდის ჭიშკარი და ღიღებული⁴⁴ სიმაგრე.⁴⁵

მენუა ამბობს: [ქალაქი]⁴⁶ ავაშენე, სახელად (მენუახინილი)⁴⁷ დაეუღვინე.

11 (YKH 110, KYKH 136, CTU A 5-91, ბოსტანიჯი, სტელა წარწერით ორი მხრიდან, ჩამენებული ეკლესიის კედელში, ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში)

⁴² სიგყასიგყით „ამინდის ღვთაებაამ, მშის ღვთაებაამ“. შდრ. ზემოთ, შენ. 14.

⁴³ მომღვენო მონაკეეთს გ. მელიქიშვილი აღარ თარგმნის.

⁴⁴ ba-du-si-e ნ. არუგუნიანს ნათარგმნი აქვს „ღიღებულად“ (Аррутиия 2001: 74), ხოლო მ. სალენის, მსგავსი კონტექსტის ასურული ეერსიის (CTU A 5-44) გათვალისწინებით – „სრულყოფილად“ (Salvini 2008: 219).

⁴⁵ E.GAL საერთოდ სასახლეს ნიშნავს, მაგრამ ურარტულ ტექსტებში ძირითადად ციხე-სიმაგრეს აღნიშნავს.

⁴⁶ მ. სალენის აღდგენა (Salvini 2008: 219), შდრ. „სიმაგრე“ (Аррутиия 2001: 74).

⁴⁷ აღდგება მახლობლად ნაპოვნი ტექსტის CTU A 5-26 მიხედვით.

ხალდის ძალით მენუა იშუენის ძე ამბობს: ამ ადგილიდან ცხენი სახელად არციბი,⁴⁸ (რომელმაც იჯდა) მენუა, ვადახგა 22 წყრთაზე. მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას ადგილიდან გადააგდებს, დაე მოსპონ ხალდომ, ამინდის ღმერთმა, მზის ღმერთმა მისი ოჯახი და მთამომავლობა მზისქვეშეთში.

არგიშთი I მენუას ძის წარწერები (ბე.წ. 785/80-756)

12 არგიშთი I მენუას ძის მატიანე⁴⁹

12-1 (YKH 128 A 3, KYKH 174 A 3, CTU A 8-1 Ro)⁵⁰

ღვთაება ხალდის, მეუფეს, ეს წარწერა არგიშთი მენუას ძემ აღუმართა. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ღიდი, მეფე ბიაინილის ქვეყნისა, მეფე მეუფთა, ტუშუა – ქალაქის მმართველი.

არგიშთი ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც (მას) გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, ეგყვის (რა): „წადი (და) მოსპე (იგი)!“, სხვა ვინც იგყვის: „მე (ყოველივე ეს) გაუაკეთე“, დაე მოსპონ ღვთაება ხალდომ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ,⁵¹ (ყველა) ღმერთმა (თვით) იგი (და მისი) ოჯახი (?) მზის ქვეშ, ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/ შეიფარებს.

ღვთაება ხალდის სიძლიერით, ღვთაება ხალდის ბრძანებით, როდესაც ხალდომ არგიშთი მენუას ძეს მეფობა უბოძა, ავიდა იგი მამისეულ გახტმე. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუა ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიაინილის ქვეყნისა, მმართველი ტუშუა-ქალაქის, არგიშთი ამბობს: []უნიინი⁵² აჯანყდა. ღვთაება ხალდი

⁴⁸ შლრ. ქართ. „არწივი“.

⁴⁹ გამოცემები: YKH 127, 128, KYKH 173, 174, CTU A 8-1, 8-2, 8-3; ვანის კლდის დასავლეთ მხარეზე, ე.წ. „ხორხორის კლდეზე“, ამოკვეთილია არგიშთი I-ის უმარამაზარი, რამდენიმე სეუგად დაყოფილი წარწერა. მის მეორე ეგზემპლარს წარმოადგენს ვანში, სურბ საპაკის ეკლესიაში ნაპოვნი წარწერები ორ ქვაზე. ტექსტი აღადგინა და მოვლენათა თანმიმდევრობა აღადგინა გ. მელიქიშვილმა (Меликшвили 1960: 210-256). ტექსტებს შორის ამგვარი შესაბამისობა ღვინდება: YKH 128 B 1 – YKH 127, I 2-16; YKH 128 A 2 – YKH 127 II 25-50; YKH 128 B 2 I-13 – YKH 127 IV 14-41; YKH 128, B 2 14-36 – YKH 127, IV 42-66; YKH 128, B 2 37-43 – YKH 127, IV 67 – V 10; YKH 128, A 4 13-26 – YKH 127, V 70 – VI 20. ქვემოთ მე ძირითადად მივსდევ გ. მელიქიშვილის ქართულ თარგმანს (მელიქიშვილი 1990: 273-284) და მომაქვს ის ფრაგმენტები, რომლებიც კაეკასიის ფრონგს შეეხება.

⁵⁰ შესაეალი და მეფობის I წელი.

⁵¹ შლრ. მენ. 14.

⁵² აქაც და ორი სტრიქონით ქვემოთაც ნ. არუტუნიანი აღადგინა: „ეთიუნის ქვეყანა“

გაემართა (სალამქროდ) თავისი იარაღით(?), სძლია მან ქვეყანა..., დაამხო (იგი) არგიშთის წინაშე. ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის...

12-2 (УКН 128 В 1, КУКН 174 В 1, СТУ А 8-2 Во)⁵³

...მოვედი (?) ბიას⁵⁴ ქვეყნამდე... ხუმანის⁵⁵ ქვეყნამდე]. გაემართე მე (სალამქროდ) დიდის⁵⁶ ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას⁵⁷ წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადაეწვი. წარწერა დავედი ქალაქ ზუაში. წავედი მე ქვეყნის კართ⁵⁸ ამკალამის ქვეყნის წინააღმდეგ. 105 ციხე-სიმაგრე მე დავენგრე, 453 ქალაქი (კი) დაეწვი. სამი ქვეყანა მე იქიდან მოვეგლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივეუმატე: ქვეყანა კადა, ქვეყანა ამკალამი, ქალაქ შამილუეს ქვეყანა. 15181 ყრმა, 2734 მამაკაცი, 10604 დედაკაცი, 4426 ცხენი, 10478 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 73770 სული წერილფეხა რქოსანი პირუტყვი (მე წავიყვანე). 4 მეფე მე დავასაჭურისე – შამქის, არდარაქიხის, ბალთულხის (და) კაბილუხის მეფეები; (ჩემი) ოლქის მმართველები მე ადგილზე (=იქ) დავსვი. დიაუხის მეფე მე დავიმორჩილე, შევიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით.⁵⁹ (აი) რანაირი ხარკი მისცა არგიშთის დიაუხიელმა: 41 მინა სუფთა (?) ოქრო, 37 მინა ვერცხლი... ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი.⁶⁰ 300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათი ათასი სული წერილფეხა რქოსანი პირუტყვი. (აი) როგორი ხარკი... დიაუხიზე მე დაედე, რათა მას (ეს ხარკი) ეძლია ყოველწლიურად... მინა სუფთა (?) ოქრო, 10.000 მინა სპილენძი... ხარები, 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი...

ღვთაება ხალდი გაემართა (სალამქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან ეთიუნის ქვეყანას, დაამხო (იგი) არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) ძლიერია, ღვთაება ხალდის

(Арутюнян 2001: 194).

⁵³ მეფობის II წელი.
⁵⁴ ქვეყანა დიაუხის მეგობლად. ლოკალიზაციისათვის იხ. Меликишвили 1960: 423; Арутюнян 2001: 501.
⁵⁵ ქვეყანა დიაუხისა და კელხას მეგობლად, ზიეინის მახლობლად, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით (Меликишвили 1960: 429; Арутюнян 2001: 508).
⁵⁶ „ულდინის“ (Арутюнян 2001: 186; Salvini 2008: 330).
⁵⁷ შესაძლოა, თანამედროვე ზიეინი (Арутюнян 2001: 530).
⁵⁸ „ქვეყანა ნაბცი“ (Арутюнян 2001: 186), „ქვეყანა КА“ (Salvini 2008: 330).
⁵⁹ „დაეამარცხე (?) ხარკის გადახდის პირობით“ (Арутюнян 2001: 187), „ხარკი დაეუღვინე“ (Salvini 2008: 332).
⁶⁰ „აქლემი“ (Salvini 2008: 332).

სიძლიერით გაემართა (სალაშქროლ) არგიშთი მენუას ძე. წინ უძლოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი. არგიშთი ამბობს: ის მეფენი, (რომელნიც) ღიაუხიელ (მეფის) საშეელად მოვიდნენ – მე (მათი) განადგურება აღევსრულე. (ამ) წელს დაეიყარა მე ლუმას ქვეყანა, ქათარზას ქვეყანა, ერიახის⁶¹ ქვეყანა, გულუთახის⁶² ქვეყანა, დაეიყარა უიგერუხის ქვეყანა. მივედი (?) აფუნის⁶³ ქვეყანამდე. ლუმას ქვეყნის მეფე მე დაეასაჭურისე (?) (ხოლო) იგას⁶⁴ ქვეყნის (მეფე) – დაეიმორჩილე, დაგროვე თავის ადგილზე, ხარკი (მეფე) არგიშთის მან მისცა...

12-3 (УКН 127, КУКН 173, СТУ А 8-3: 12-22)⁶⁵

...⁶⁶ არგიშთი ამბობს: შევედრე(?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შიეინის (იმის შესახებ), რაც მე მეუფის სიღიადით მსურდა (?) (მომემოქმედა). იმავე წელს მე კვლავ(?) შევკრიბე მეომრები (და) გავემართე (სალაშქროლ) ღიაუხის (ქვეყნის) წინააღმდეგ. ღიაუხის მეფე მეფედ დაესვი. დაეიყარა შერიაზის ქვეყანა, ქალაქები ღაეწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრე; მივედი (?) ქალაქ ფუთემდე ... მარცხნივ – ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის⁶⁷ ქვეყანა. გავემართე (სალაშქროლ) შაბახაეს⁶⁸ ქვეყნის წინააღმდეგ, დაეიყარა მე ქვეყანა შაბახაე, მივედი (?) ქალაქ უმინაბითარნამდე, სირიშუთარას ქვეყანამდე, მთიან ქვეყანამდე. მარჯვნივ იგანის ქვეყნის ქალაქი მაკალთუნი მე შევიწყალე. გავემართე ერიახის ქვეყანაზე, წავედი (სალაშქროლ) აფუნის ქვეყნის წინააღმდეგ, დაეიყარა ქალაქი ურიეიუნი, უიგერუხის (გომის) სამეფო ქალაქი, 19255 ყრმა, 10140 მეომარი ცოცხლად, 23280 დედაკაცი, სულ 52675 ადამიანი (ამ) წელს, ერთნი გავეღიგე, სხვები ცოცხალი წავიყვანე. 1104 ცხენი გავდენე მე, (აგრეთვე) 35015 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი,

⁶¹ ქვეყანა თანამედროვე ვიუმრის მახლობლად (Меликишвили 1960: 425; Арутюнян 2001: 504).

⁶² ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში (Меликишвили 1960: 427; Арутюнян 2001: 506).

⁶³ ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში. ლოკალიზაციისათვის იხ. Арутюнян 2001: 493.

⁶⁴ იგა/იგანი/იგანიები ქვეყანა ჩილდირის ტბის მახლობლად (Меликишвили 1960: 430; Арутюнян 2001: 509).

⁶⁵ მეფობის II-III წლები.

⁶⁶ დამიანებულ პირველ სტრიქონებში ნ. არუტუნანი, მ. დიაკონოვზე დაყრდნობით, აღადგენს „არგიშთი ამბობს: ღვთაებრივი კანონის გამო დაღვნილია“ (Арутюнян 2001: 156).

⁶⁷ ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში (Меликишвили 1960: 442; Арутюнян 2001: 524).

⁶⁸ ქვეყანა ჩილდირის ტბის მახლობლად, სავარაუდოა, ქართული ჯაქახეთი (Меликишвили 1960: 446; Арутюнян 2001: 530).

ასიათას... ერთიათას 829 სული წერილზეა რქოსანი პირუტყვი. არგიმთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ღვთაება ხალდი გაემართა (სალამქროდ) თავისი იარაღით (?), სძლია მან აბილიანების⁶⁹ ქვეყანას, ანიშთირგაეს⁷⁰ ქვეყანას, კუარზანისა (და) ულთუზას⁷¹ ქვეყანას, დაამხო ისინი არგიმთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი – ძლიერია. ღვთაება ხალდის სიღიადით გაემართა (სალამქროდ) არგიმთი მენუას ძე. წინ უძლოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი.

არგიმთი ამბობს: დავიპყარი მე ეთიუნის ქვეყანა, მივედი მე... ქვეყნამდე, უღური-ეთიუხიმდე.⁷² კაცები (და) ქალები (იქიდან) გამოვდენე.

12-4 (УКН 127, КУКН 173, СТУ А 8-3: II 25-50)⁷³

ღვთაება ხალდი გაემართა (სალამქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან ეთიუნის ქვეყანას, სძლია ქალაქ კიხუნის⁷⁴ ქვეყანას, დაამხო (ისინი) არგიმთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის სიღიადით გაემართა (სალამქროდ) არგიმთი მენუას ძე. წინ უძლოდა (მას) ღვთაება ხალდი. არგიმთი ამბობს: დავიპყარი მე ქალაქ კიხუნის ქვეყანა, გბის ნაპირას მყოფი,⁷⁵ მივედი ქალაქ ალიშთუმდე,⁷⁶ კაცები (და) ქალები (იქიდან) გამოვრეკე მე.

ღვთაება ხალდის ბრძანებით არგიმთი მენუას ძე ამბობს: ქალაქი ირფუნი⁷⁷ მე აღემართე ბიანილის ქვეყნის ძლიერებისა (და) მგრული ქვეყნის დასათრგუნაჲად. მიწა უკაცრიელი იყო (და) არაფერი არ იყო იქ (წინათ) აგებული, ძღვევამოსილი საქმენი

⁶⁹ ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, სომხური აბეგვანქი (Меликишвили 1960: 415; Арутюнян 2001: 493).

⁷⁰ ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, არაქსის სათავესთან (Меликишвили 1960: 417; Арутюнян 2001: 496).

⁷¹ ნ. არტუნიანს კუარზანი ულთუზას მეფის სახელად მიაჩნია (Арутюнян 2001: 519).

⁷² „მივედი იშკიგულეს ქვეყნამდე, უღურის (გომამდე) ეტიუხის ქვეყნისა“ (Арутюнян 2001: 156-7. Salvini 2008: 333-4).

⁷³ მეფობის V წელი.

⁷⁴ ქალაქი თანამედროვე ლჩაშენის მახლობლად, სევანის ტბასთან (Меликишвили 1960: 437; Арутюнян 2001: 518).

⁷⁵ „ქალაქ კიხუნის ქვეყანა ზღვის სიღრმის მხარეს“ (Арутюнян 2001: 162); „ქალაქი კიხუნი და ქვეყანა სიღრმის, გბის მახლობლად“ (Salvini 2008: 336).

⁷⁶ ქალაქი სამხრეთ კავკასიაში, სავარაუდოდ, სევანის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე (Меликишвили 1960: 416; Арутюнян 2001: 495).

⁷⁷ ერებუნი/ერევანი

მოვიმოქმედე მე იქ, ხათესა (და) ცუჟანის⁷⁸ ქვეყნის 6600 მეომარი მე იქ დაეასახლე.

ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე ამბობს: შევევღრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიაინილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) მეუფის სიდიადით (მომემოქმედა). მისმინეს მე ღმერთებმა, იმავე წელს გავემართე მე (სალაშქროდ) უბურდას⁷⁹ ქვეყნის წინააღმდეგ. ის []ლუბურანის,⁸⁰ უბურდალხის⁸¹ ქვეყნის მეფის, ქვეყანა მე დავიყარი. ქალაქი ირღუა,⁸² სამეფო ქალაქი, დავიყარი მე, ქვეყანა უიშუშინი⁸³..., კაცები (და) ქალები იქიდან წამოვიყვანე. გავემართე (სალაშქროდ) ხახის⁸⁴ ქვეყნის წინააღმდეგ, ციხე-სიმაგრეები დაეანგრიე, ქალაქები დაეწვი, ქალაქები [] ხაუ []შუნის⁸⁵ მოსახლეობა მე (აგრეთვე) დაეწვი, 8648 ყრმა, 2655 ცოცხალი მამაკაცი, 8497 დედაკაცი, სულ 19790 ადამიანი ამ (წელს). ერთნი გავჟღიგე, სხვები ცოცხლად წაიყვანე. 232 ცხენი, ... ათას 803 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი აღეასრულე.

12-5 (YKH 127, KYKH 173, CTU A 8-3: V 33-81)⁸⁶

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან მანას⁸⁷ ქვეყანას, სძლია ეთიუნის ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე, ღვთაება ხალდი ძლიერია. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშთი მენუას ძე ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) მანას ქვეყნის წინააღმდეგ, ქვეყანა მე გაეაჩანაგე, ქალაქები

⁷⁸ აქ ლაპარაკია ჩრდილო სირიისა და მცირე აზიის გვიანხეთური სამეფოებისა და ჩრდილო მესოპოტამიის სოფენე-ეოქიდან დეპორტირებულთა ჩასახლებაზე.

⁷⁹ ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში (Мелухиавилу 1960: 444; Арутюнян 2001: 526).

⁸⁰ ნ. არტუნიანი მიიჩნევს, რომ ნიშნებს იშ და lu შორის არაფერი ეწერა, შესაბამისად, მეფის სახელი იკითხება „იშლუბურანი“ (Арутюнян 2001: 164). მ. სალვინი საერთოდ თავს იკავებს საწყისი ნიშნების აღდგენისაგან და გვთავაზობს „x-x-luburani“ (Salvini 2008: 335, 336).

⁸¹ იგივე, რაც უბურდას ან უბურდელეების ქვეყანა.

⁸² უბურდას საგახტო ქალაქი ირღუა, ნ.არტუნიანის აზრით, უნდა განვხსნავოთ იმავე სახელის ქალაქისაგან, რომელიც სარდური II-ის მაგინის მიხედვით უერღაინის მმართველის ქალაქად გვევლინება და სისიანის მახლობლად უნდა მდებარეობდეს (Арутюнян 2001: 510).

⁸³ „ქვეყანა უიშუშინის ემართაული“ (Арутюнян 2001: 162); „ქვეყანა უიშუში დაესაჯე“ (Salvini 2008: 336).

⁸⁴ ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში. ლოკალიზაციისთვის იხ. Арутюнян 2001: 507.

⁸⁵ „^{URU}bi[x]hauzuni“ (Арутюнян 2001: 161, Salvini 2008: 335).

⁸⁶ მეფობის XIII-XIV წლები.

⁸⁷ ასურული და ურარტული ტექსტების მანა – სამეფო ურმიისპირეთში.

დავწვი, ქალაქი შიმერიხადირი, სამეფო ქალაქი, გამაგრებული, ბრძოლით ავიღე; კაცები (და) ქალები იქიდან მე გაერეკე.

არგიშთი ამბობს: გავიგე ეთიუნის ქვეყნიდან (?) ქალაქ არდინის ლეთაება (კერპი) მოუტაციათ.⁸⁸ იმავე წელს მე კვლავ (?) შეეკრიბე ლაშქარი (და) შევევლრე (?) ლეთაება ხალდის, მეუფეს, ლეთაება თეიშებას, ლეთაება შივინის, ბიაინილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა მეუფის სიღიადით (მომემოქმედა); მისმინეს მე ღმერთებმა. გავემართე მე (სალაშქროდ) ეთიუნის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ერიახის ქვეყანა და ქათარბას ქვეყანა, მივედი იშკიგულუს⁸⁹ ქვეყნამდე; კაცები (და) ქალები (იქიდან) მე წავიყვანე ბიაინილის ქვეყანაში.

არგიშთი ამბობს: ლეთაება ხალდის სიღიადით გავემართე მე (სალაშქროდ) უიგერუხის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი უიგერუხის ქვეყანა: ქვეყანა გავაჩანაგე, ქალაქები დავწვი... ქალაქი ამეგუ [] (?)... ქვეყანა უიგერუხი... მე დავდგი წარწერა... სამეფო (?)... დაბრუნებისას (?)... ქვეშ (?) ზოგი გავკლიგე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. ათას ორას... ცხენი, 29504 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი; 60 ათას... სული წერილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გაერეკე. არგიშთი ამბობს: ლეთაება ხალდისათვის ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ლეთაება ხალდი გავმართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან თარიუნის ქვეყანას, მთიან ქვეყანას,⁹⁰ სძლია მან [ურმეს ქვეყანას]⁹¹, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე, ლეთაება ხალდი ძლიერია.

ლეთაება ხალდის სიღიადით არგიშთი ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) თარიუნის ქვეყნის წინააღმდეგ; 11 გამაგრებული ციგადელი ბრძოლით ავიღე; ლეთაება ხალდის... იქ... არგიშთი მენუას ძე ამბობს: ლეთაება ხალდიმ მომიძღვნა (?) მე ხუთუხი-ცა და ბრძოლაც. მრავალი ნაგებობა, ციხე-სიმაგრე მე დავწვი, დავანგრე. წარწერა მე იქ დავდგი, კაცები (და) ქალები მე იქიდან წამოვიყვანე.

⁸⁸ მ. სალვინი უთარგმნელად გოეებს სიტყვას *aštuuzi*, შესაბამისად, ითარგმნის: „ეთიუნის ქვეყანაშ მოიტაცა ქალაქ არდინის *aštuuzi*“ (Salvini 2008: 343), ხოლო ნ. არტუნიანს მიაჩნია, რომ აქ ეთიუნის ქვეყნის ქალაქ არდინიში მომხდარ მოვლენებზე უნდა იყოს საუბარი (Арутюнян 2001: 180).

⁸⁹ ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, ერიახის ჩრდილოეთით, კლარჯეთის მეზობლად (Меликшвилия 1960: 432; Арутюнян 2001: 511).

⁹⁰ მღრ. Арутюнян 2001: 178-9: „ქვეყანა ბა...“

⁹¹ ასე აღადგენენ ნ. არტუნიანი და მ. სალვინი (Арутюнян 2001: 178, Salvini 2008: 344).

12-6 (YKH 128 A 1, KYKH 174 A 1, CTU A 8-1 lato destro)⁹²

ღეთაება ხალდი გაემართა (სალაშქროლ) თავისი იარაღით. სძლია მან უტუფურმის, ღიაუხის ქვეყნის (მეფეს), სძლია მან აბნულუანის⁹³ ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღეთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია.

ღეთაება ხალდის სიღიაღით გაემართა (სალაშქროლ) არგიშთი მენუას ძე, არგიშთი ამბობს: ღიაუხის (ქვეყანა) კელაე (?) აჯანყდა; მეომრები მე შევეკრიბე (და) გავემართე ღიაუხის წინააღმდეგ. გამოცხადდა (?) ჩემს წინაშე ომით...⁹⁴

არგიშთი ამბობს: შევედრე (?) მე ღეთაება ხალდის, მეუფეს, ღეთაება თეიშებას, ღეთაება შიეინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ, რაც მე მსურდა (?) მომემოქმედა) მეუფის სიღიაღით...

13 (KYKH 174 C, CTU A 8-7, ხანაკი, წარწერა ქვაზე)

ხალდი გაემართა (სალაშქროლ) თავისი იარაღით, დაამარცხა თარიუნის ქვეყანა, (ქვეყანა) ... დასცა არგიშთის წინაშე. ხალდი ძლევამოსილია, ხალდის იარაღი ძლევამოსილია. გაემართა (სალაშქროლ) არგიშთი მენუას ძე, წინ წაუძღვა მას ხალდი.

არგიშთი ამბობს: დავიპყარი (მე) თარიუნელთა (ქვეყანა), წავედი ამ გზაზე და მივალწიე ხუშას (ქვეყანას), ბიას (ქვეყანას), მივედი აშკალაშის ქვეყანაში. ხალდის ბრძანებით არგიშთი ამბობს: ღიაუხის მეფე მაშინათვე (?) მოვიდა ჩემთან (ქალაქ) ახურიანის ოლქში. ლაშქარი უკუვაგდე, (ქალაქი) კა... გავანადგურე, ასეთი ნადავლი მოვიპოვე იქ:⁹⁵ 72 ათას 80 ყრმა, 7 ათასი ..., 11 ათასი ... ზოგი დაეხოცე, ზოგი ცოცხლად წამოვიყვანე, 6 ციხე დაეანგრიე, 50 ქალაქი დაეწვი.

არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი გუშუა-ქალაქისა.

⁹² მეუბის XIX წელი. მ. სალენის საეკვოდ მიაჩნია, რომ უტუფურმინი, რომელიც ჯერ კიდევ მენუას ებრძოდა, დაახლ. 20წლიანი ინტერვალით ორჯერ დაპირისპირებოდა არგიშთის. მისი აზრით, მაგიანის ორ ეერსიაში ერთი ლაშქრობა უნდა ასახულიყო (Salvini 1995: 59).

⁹³ მეფის ან გომის სახელი. შტრ. Арутиях 2001: 184: *p[a]-nu-lu-a-[ni], Salvini 2008: 326: *x-nu-la-a-[ni].

⁹⁴ ნ. არუტუნიანი ცდილობს ადაღვინოს ძალზე ფრაგმენტული სტრ. 20-21 და მთელი პასაჟისათვის ასეთ თარგმანს გეთავაზობს: „გამოცხადდა ჩემს წინაშე ივარაბ-ხეობის (ქვეყნის) ლაშქარი (ქალაქ) უარდა-ეარდას წინ“ (Арутиях 2001: 184).

⁹⁵ სიტყვისიტყვით: „ასეთი (ვაე)კაცობა ვაეაკეთე ჩაეიდინე“. ეს ფორმულა ხშირად უძღვის წინ სწორედ ნადავლის ჩამონათვალს.

ვინც ამ წარწერას მოსპობს, ღაე გაანადგურონ ის (ღეთაება) ხალღიმ, (ღეთაება) კუერამ მზისქეემეთში, ნურც გზა გარეთ (ქენება)...

14 (YKH 129a, KYKH 175a, CTU A 8-4, ვანი, ქვის ფრაგმენტი, საქართველოს მუზეუმი)
ერთიანად აღდგა... ეთიუნის (ქეყანა)... მახლობლად... ეთიუნის (ქეყანა)... მოვიღა ჩემს წინაშე...

15 (YKH 129b, KYKH 175b, CTU A 8-5, ვანი, ქვის ფრაგმენტი, საქართველოს მუზეუმი)
გულუთახის (ქეყანა), ბუ(ზუნიას⁹⁶ ქეყანა)... ანიშთერგას (ქეყანა)... არგიშთი ამბობს: შევეღრე(?) მე ღეთაება ხალღის, მეუფეს, ღეთაება თეიშებას, ღეთაება შიენის (იმის შესახებ), რაც მე მეუფის სიღიადით მსურდა (?) (მომემოქმედა). იმავე წელს გავემართე (ქეყანა) ...

16 (YKH 130, KYKH 176, CTU A 8-6, სარიკამიში, ძალიან ღამიანებული წარწერა, ინახება საქართველოს მუზეუმში)
...⁹⁷ ღაეიყარი ქალაქი ახურიანი, მივეღი ქალაქ⁹⁸ ამგუხინის ქეყანამღე, ქალაქი ამგუხინი ღაეიყარი. მთელი ეთიუნის ქეყანიღან მოვიღა ძღიერი ჯარი ... სამღვარი⁹⁹ ... არგიშთი ამბობს: შევეღრე(?) მე ღეთაება ხალღის, მეუფეს, ამინღის ღეთაებას, მზის

⁹⁶ ქეყანა ჩიღღირის გბის მახლობლად, გუმრის ჩრდილოეთით (Меликишвили 1960: 436; Арутюнян 2001: 502).

⁹⁷ პირეღ სტრიქონში ნ. არუტუნიაღი, ფ.ე. კონიგის კეღღაკეღღ, აღღღენს: „არგიშთი მენუას ძე“, ხოლო მეორე სტრიქონის აღსაწყისში – a-li „ამბობს“ (Арутюнян 2001: 200), თუმცა აქ მხოლოდ ერთი ნიშნის აღღღია. მომღენო ბუნღეანი პასაეის (სტრ. 2-8) თარგმანისას ძირითადად ეყერღნობი მ. საღეინის (Salvini 2008: 347). მქონღა პატიეი მასთან ერთად შემესწაღღა ეს წარწერა საქართველოს ეროენულ მუზეუმში, რისთეისაც ღიღ მადღობას ეუხღი ქ-ნ რუსუღან ღღღღერიძესა ღა ბ-ნ ღაეით ღორთიქიფანიძეს, ვისი წყაღობითაც მუზეუმში საუკეთესო სამუშაო პირობეღი გექონღა. თარგმანის სხეა ეერსიღეიბა: „ღაეიყარი ქალაქი ახურიანი, ქალაქ ამგუხინის ქეყანა ... ქალაქ ამგუხინის ბეღელი (?). ღაეიყარი მთელი ეთიუნის ქეყანა. მოვიღა ძღიერი ჯარი ...“ (Меликишвили 1960: 258), „ღაეიყარი (ქალაქი) ახურიანი ამგუხინის (გომის) ქეყენისა, მივეღი ... ამგუხინის (გომი) ღაეიყარი. მთელი ეთიუნის (ქეყენიღან) მოვიღა ძღიერი ჯარი ...“ (Арутюнян 2001: 200).

⁹⁸ ასე აღღღენს მკეღეეართა უმეგესობა სტრ. 3 ღა 5 აღსაწყისს. ნ. არუტუნიაღს მიაჩნია, რომ უნღა აღღღეს გომის ღეგერმინატიეი, რაც აღსახა კიღეე მის თარგმანში (Арутюнян 2001: 200).

⁹⁹ ასე თარგმნის მ. საღეინი სიგყეას ba-di-ni (Salvini 2008: 347).

ღვთაებას, ყველა ღვთაებას, მისმინეს ღმერთებმა. უკუვაგდე (მგერი), ვსდიე (მას) ქალაქ კალრახის¹⁰⁰ ქვეყნამდე...¹⁰¹

ხალდის ძალით არგიშთი მენუას ძე, ძლიერი მეფე, მეფე ბიანილის (ქვეყნისა), მმართველი გუშუა-ქალაქისა. არგიშთი ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც დაამტკერებს, დაე მოსპონ ხალდიმ, ამინდის ღვთაებამ, მზის ღვთაებამ...¹⁰²

17 (YKH 131, KYKH 177, CTU A 8-8, აბოვიანი, წარწერა კლდემ) ხალდი გაემართა, თავის იარაღით დაიმორჩილა ეთიუნის ქვეყანა. ხალდი ძლევამოსილია, მისი იარაღი ძლევამოსილია. ხალდის ძალით გაემართა არგიშთი მენუას ძე, დაიპყრო ულუანის ქვეყანა, ქალაქ დარანის ქვეყანა. ხალდის ძალით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი გუშუა ქალაქისა.

18 (YKH 132, KYKH 178, CTU A 8-9, გულიჯანი, წარწერა კლდემ) ხალდი გაემართა, თავის იარაღით დაიმორჩილა კულიანის გომის ქვეყანა, დასცა ის არგიშთის წინაშე. მიუძღოდა მას ხალდი. არგიშთი ამბობს: დაეიყარი ქალაქი ღურუბანი კულიანის გომის ქვეყნისა.

19 (YKH 133, KYKH 179, CTU A 8-10, მარმაშენი, წარწერა კლდემ) ხალდის ძალით არგიშთი ამბობს: დაეიყარი ერიახის გომის ქვეყანა, დაეიყარი ქალაქი ირდანიუნი იშკიგულუს ქვეყნამდე.

20 (YKH 134, KYKH 180, CTU A 8-11, ლჩაშენი, წარწერა კლდემ) ხალდის ძალით არგიშთი ამბობს: დაეიყარი ქალაქ კიეხუნის ქვეყანა, მივედი ქალაქ იშთიქუნიუმდე გბის¹⁰³ იმ¹⁰⁴ მხრიდან ...¹⁰⁵

¹⁰⁰ მ. სალეინი აღადგენს ქალაქის სახელს „კალბინა“ (Salvini 2008: 347).

¹⁰¹ საკმაოდ დაზიანებული ჩამონათვალი ნაღაელისა, ქალების ჩათვლით.

¹⁰² ბოლო სტრიქონები საერთოდ არ იკითხება, მაგრამ ცხადია, რომ აქ სტანდარტული კრულის ფორმულა უნდა ვიგულისხმოთ.

¹⁰³ სიტყვას šuini (šue) „გბა“ ნ. არუტუნიანი თარგმნის „ზღვად“ (Арутюнян 2001: 204). ტექსტში აშკარად სევანის გბა იგულისხმება, რომლის მახლობლადაც აღმოჩნდა ეს წარწერა.

¹⁰⁴ სტრ. 5-ის დასაწყისში კითხულობდნენ „KUR ša-na“. მ.სალეინის წაკითხვა – i-ša-na (Salvini 2008: 351) თითქოს ხსნის ფრაზის გაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

¹⁰⁵ სტრ. 6: li-me-i li-qi-i-š როგორც წესი, არ ითარგმნება. ნ. არუტუნიანის აზრით, ლიკიუ გოპონიმი უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, ეს სტრიქონი შეიძლება ითარგმნოს „ლიკიუს მახლობლად“ (Арутюнян 2001: 204).

არგიშთი, მეფე ძლიერი, მეფე ბიანილის (ქეყნისა), მმართველი გუშუა ქალაქისა.

21 (YKH 137, KYKH 188, CTU A 8-16, სარდარაბადი, წარწერა სამშენებლო ქვაზე)

ხალდის ძალით არგიშთი მენუას ძე ამბობს: დიდებული¹⁰⁶ ციხე-სიმაგრე ავაგე, სახელი დაუდგინე არგიშთიხინილი. მიწა უღაბური იყო, არაფერი არ იყო აქ ამენებული. მდინარიდან 4 არხი გავიყვანე, ვენახი და ბაღი გავაშენე, აქ საგმირო საქმეები ჩავიდინე.

არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის ქეყნისა, მმართველი გუშუა ქალაქისა.

22 (YKH 2 396-397, KYKH 195-196, CTU A 8-21, არინბერდი, წარწერები ქვაზე)

(ღვთაება) იუარმას¹⁰⁷ ეს სახლი არგიშთიმ მენუას ძემ აუგო. არგიშთი ამბობს: მიწა უღაბური იყო, არაფერი არ იყო აქ ამენებული. არგიშთი, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის (ქეყნისა), მმართველი გუშუა ქალაქისა.

23 (YKH 138, KYKH 197, CTU A 8-17A; წარწერა ქვაზე, ნაპოვნია არინბერდის გორაკზე ერევნის განაპირას)¹⁰⁸

ღვთაება ხალდის სიღიალით არგიშთი მენუას ძემ ეს დიდებული ციხე-სიმაგრე ააგო, დაუდგინა (მას) სახელად ქალაქი ირფუნი,¹⁰⁹ (ააგო იგი) ბიანილის ქეყნის ძლიერებისა (და) მგრული ქეყნის დასათრგუნავად. არგიშთი ამბობს: მიწა უკაცრიელი იყო; ვქმენ მე იქ დიდებული საქმეები.

ღვთაება ხალდის სიღიალით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანილის ქეყნისა, მმართველი გუშუა-ქალაქის.

24 (YKH 2 388, KYKH 200, CTU A 8-18, არინბერდი, წარწერა ქვაზე) ხალდის, ბაგონს, ეს სახლი არგიშთი მენუას ძემ აუგო, (ასევე) დიდებული ციხე-სიმაგრე, დაუდგინა (მას) სახელად ქალაქი ერეხუნი,

¹⁰⁶ აქ და ქვემოთ შესაძლებელია „დიდებულად, სრულყოფილად ავაგე“. იხ. ზემოთ, შენ. 44.

¹⁰⁷ მ. სალეინი ამჯობინებს წაკითხვას „იუშა“ (Salvini 2008: 357). ამ ღვთაებასთან დაკავშირებით იხ. Арутюнян 2001: 211.

¹⁰⁸ გ. მელიქიშვილის თარგმანი (მელიქიშვილი 1990: 285).

¹⁰⁹ იგივე „ერეხუნი“.

(აავგო იგი) ბიანინლის ქვეყნის ძლიერებისა (და) მგრული ქვეყნის დასათრგუნავად.

ხალდის სიღიადით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანინლის ქვეყნისა, მმართველი გუშუა-ქალაქის.

25 (YKH 2 389, KYKH 201, CTU A 8-19, არინბერდი, წარწერა ქვაზე) ხალდის, ბაგონს, ეს სახლი არგიშთი მენუას ძემ აუგო, (ასევე) დიდებული ციხე-სიმაგრე, დაუდგინა (მას) სახელად ქალაქი ერებუნი, (აავგო იგი) ბიანინლის ქვეყნის ძლიერებისა (და) მგრული ქვეყნის დასათრგუნავად. არგიშთი ამბობს: მიწა უკაცრიელი იყო; ვქმენ მე იქ დიდებული საქმეები. ხალდის სიღიადით არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანინლის ქვეყნისა, მმართველი გუშუა-ქალაქის.

26 (YKH 145, KYKH 214, CTU B 8-2, წარწერა ბრინჯაოს ფარზე, ნაპოვნია კარმირ-ბლურის გორაკზე ერევანში)¹¹⁰ არგიშთი მენუას ძის საიარალოსი(ა) ეს ფარი. არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანინლის ქვეყნისა, მმართველი გუშუა-ქალაქის. ღვთაება ხალდის, მეუფეს, ეს ფარი არგიშთი მენუას ძემ ქალაქ ირფუნიში მიუძღვნა. ღვთაება ხალდის სიღიადით არგიშთი, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანინლის ქვეყნისა, მმართველი გუშუა-ქალაქის.

27 (YKH 2 409, KYKH 235, CTU B 8-21, კარმირ-ბლური, წარწერა ბრინჯაოს სადგარზე) ხალდის, მის ბაგონს, ეს სკიერი (?) არგიშთი მენუას ძემ გაუკეთა (მამინ), როდესაც ერებუნი აავგო.

28 (YKH 2 386, KYKH 240, CTU A 8-12, გარნი, წარწერა ქვის ვეშაპზე) ხალდის სიღიადით არგიშთი¹¹¹ ამბობს: დავიპყარი გიარნიანის¹¹² (ქვეყანა), ...¹¹³ მგრის მთებიდან რომ დავბრუნდი, კაცები (და) ქალები წამოვიყვანე.

¹¹⁰ გ. მელიქიშვილის თარგმანი (მელიქიშვილი 1990: 285).

¹¹¹ მიუხედავად იმისა, რომ არგიშთი მამის სახელის ვარეშე მოიხსენიება, წარწერის პალეოგრაფიული თავისებურებები და ისტორიული კონტექსტი გვაძლევს უფლებას, ის არგიშთი I-თან გაეაგიგოთ (Аргушиян 2001: 225).

¹¹² მ. სალვინი კითხულობს ^{URU}ḫi-x-ri-ni-a-ni (Salvini 2008: 351), მაგრამ ეს არ გამოორიხება ამ პუნქტის ილენტიფიკაციას გარნისთან, სადაც აღმოჩნდა კიდეც ეს წარწერა.

სარღური II არგიშთის ძის წარწერება
(ძე.წ. 756-730)

29 სარღური II არგიშთის ძის მაგიანე¹¹⁴

29-1 (УКН 156, КУКН 242 D I + D II, СТU A 9-1 lato destro)¹¹⁵

ღეთაება ხალდი გაემართა (სალაშქროლ) თავისი იარაღით, სძლია მან მურინუს, უელიქუხის¹¹⁶ ქვეყნის მეფეს, სძლია ცინალიბის ლუეხუხის გომიდან,¹¹⁷ ქალაქ თულიხუს ქვეყნის მეფეს, სძლია მან აშურიწარარი ადაღინირარის ძეს, ასურეთის მეფეს, სძლია არმეს¹¹⁸ ქვეყანას, სძლია ქალაქ ნიხირიანის, ქვეყნის სამეფო ქალაქს, დაამხო ისინი სარღური არგიშთის ძის წინაშე. ხალდი ძლიერია, ღეთაება ხალდის იარაღი – ძლიერია, გაემართა (სალაშქროლ) სარღური არგიშთის ძე.

სარღური ამბობს: გაემართე მე (სალაშქროლ) უელიქუხის ქვეყნის წინააღმდეგ, დაეიყარო მე (ეს) ქვეყანა მთლიანად, ერთი ღლის განმავლობაში ხელთ ვიგდე მე (იგი). ციხე-სიმაგრეები დაეანგრეო, ქალაქები დაეწვი. ქალაქი [თა]რიუნი, სამეფო ქალაქი...

29-2 (УКН 155 A, КУКН 241 A, СТU A 9-3 I: 13-21)¹¹⁹

¹¹³ ნ. არღუნიანი კითხულობს „(მეფე) სიღუნის ქვეყანა“ (Армения 2001: 225), si-lu-ni ვგვს არ იწვევს, მის წინ, შესაძლოა დაეინახოთ კაცის ან გომის სახელის ღეტერმინატიე, ხოლო KUR ნიშნის ნაცულად მ.სალვინი კითხვის ნიშნით ადაღენს i-ia, შესაბამისად, სტრიქონს თარგმანის გარემე გოეებს (Salvini 2008: 351).

¹¹⁴ УКН 155, 156, КУКН 241, 242, СТU A 9-1, 9-3. ეანის კღდის ჩრღილო კალთამე „ხაზინე-კაისი“ ამოკეეთილია სარღური II-ის უზარმაზარი, რამღენიმე სეეკად დაყოფილი წარწერა, მის მეორე ეგემეშლარს წარმოაღვენს ეანში, სერბ საპაკის ეკლესიაში ნაპოენი წარწერები ორ ქეამე. გექსტი ადაღენა და მოეღენათა თანმიმღერობა დააღენა გ.მელიქიშვილმა (Меликишвили 1960: 273-305). ქეემოთ მე ძირითადაღ მიესღეე გ.მელიქიშვიღის ქართულ თარგმანს (მელიქიშვიღი 1990: 286-295) და მომაქეს ის ჟრაგვენტები, რომღებიც კაკეასიის ჟრონტს შეეხება.

¹¹⁵ დაახღ. ძე.წ. 753/752 წ.

¹¹⁶ უელიქუხი/უელიქუნი ქვეყანა სეენის გბის სამხრეთ-დასაეღეთ სანაპიროშე. შღრ. გღაქუნი (Меликишвили 1960: 444; Армения 2001: 527).

¹¹⁷ „ღუეხუს მეფეს“ (Salvini 2008: 315), შღრ. „ღუეხუს ძეს“ (Армения 2001: 225).

¹¹⁸ ქვეყანა თანამეღროე ღიარბეიწრის მახლობლაღ. გეხეღება ასურულ გექსტებშიც Arme ჟორშით. Arme/Urme ასოიწღება ასურული გექსტების შუპრიასთან. მისი ღელაქაღაქი ნიხირიანი დადასტურებულაა აგრეთეე ასურულ, მათ შორის, ძეღასურულ, კაპადოკიურ და ხეთურ გექსტებში (Меликишвили 1960: 420; Армения 2001: 497).

¹¹⁹ დაახღ. ძე.წ. 751/750 წ.

იმავე წელს მეორეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროდ) ეთიუნის ქვეყნის წინააღმდეგ, ლიკის ქვეყნის წინააღმდეგ. ქალაქი ელია, სამეფო ქალაქი აბიანის (გომის მმართველისა),¹²⁰ გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი. ქალაქი ირუია, სამეფო ქალაქი ირქუას (გომის მმართველისა),¹²¹ გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი. ქალაქი ირდუა, სამეფო ქალაქი უეირდას (გომის მმართველისა), გამაგრებული, ბრძოლაში, მე დავიპყარი. ქალაქი ფუნიიალხი მე დავიმონე, შევიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით,¹²² სარდურისათვის ხარკის მოსაცემად. ეს ოთხი ციხე-სიმაგრე ქვეყანაში მე დავიპყარი, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. 3500 ყრმა, 15000 ღვდაკაცი, 4000 მეომარი გამოვრეკე. 8525 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გამოვრეკე, 18000 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი გამოვრეკე.

29-3 (YKH 155 C, KYKH 241 C, CTU A 9-3 II)¹²³

[სარდური ამბობს:]¹²⁴ გავემართე (სალაშქროდ) კულხას¹²⁵ ქვეყნის წინააღმდეგ, ღვთაება ხალდის სიდიადით ხახანი, ხუშალხის ქვეყნის მეფე (მისი) ხალხი(თურთ) მე იქიდან წამოვიყვანე ტყვედ, გამოვრეკე (და) დავასახლე ჩემს ქვეყანაში. სარდური ამბობს: იმავე წელს (ჩემი) ჯარები გაემართნენ (სალაშქროდ) აბილიანის ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდის სიდიადით ერთი დღის განმავლობაში ქვეყანა მე ხელთ ვიგდე. ციხე-სიმაგრეები დავანგრეე, ქალაქები დაეწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის (აი) როგორი ვაჟკაცობა მე იქ ჩავიდინე. 2890 ყრმა მე წავიყვანე, 3496 მამაკაცი ცოცხლად, 6408 ღვდაკაცი მე გავრეკე, სულ 9904 ადამიანი – ზოგი გავკელიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე. 65 ცხენი მე გავრეკე, (ავრეთვე)... ათას 90 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 10897 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან ერიახის ქვეყნის მეფეს, სძლია აბილიანის ქვეყანას, დაამხო ისინი სარდური არგიშთის ძის წინაშე, ღვთაება ხალდი ძლიერია,

¹²⁰ "a-bi-a-sal-i-ni-i (Salvini 2008: 419).

¹²¹ იგივე ერ(ე/ი)ქუახი.

¹²² ან „დაეხარკე“. შდრ. ზემოთ, მენ. 26 და 59.

¹²³ დაახლ. ძე.წ. 750-745 წწ.

¹²⁴ Арутиян 2001: 234.

¹²⁵ იგივე კოლხეთი. იხ ზემოთ.

ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის სიღიაღით გაემართა (სალამქროდ) სარდური არგიშთის ძე. სარდური ამბობს: გაემართე მე (სალამქროდ) ერიახის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიყარე ერიახის ქვეყანა, ერთი დღის განმავლობაში მე (იგი) ხელთ ვიგდე. ფარული საწყობები (?), რომლებიც შექმნეს მამამ და პაპამ, და სადაც სიმდიდრე (?) იყო (შეკრებილი), რათა არასდროს (ურარტუს) მეფეებს (იგი) ხელთ არ ეგლოთ, ღვთაება ხალდის სამეფო ბრძანებით მე ას (?) ორმოცდაათი ფარული საწყობი დავიყარი; ტყველ წავეყვანე კაცები (და) ქალები; საქონლის (?) ჯოგი (?) მე იქიდან წავეყვანე. ქალაქები დავწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე ბიაინილის ქვეყანაში.

სარდური ამბობს: დაბრუნებისას გაემართე მე (სალამქროდ) აბილიანის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქები დავწვი (და) ქვეყანა გავაჩანაგე. მოვიდა მურინი, აბილიანის (მეფე), მოჰხვია (ხელები) სარდურის ფეხებს, ძირს დაემხო, მე (მას) მოწყალედ მოვექეცი (?), დაესვი (იგი) თავის ადგილზე, შევიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით. სარდური არგიშთის ძე ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს ვაქეცობა იქ ჩავიდინე: 7150 ადამიანი (ამ) წელს – ზოგი გაეკლიტე, ზოგიც ცოცხლები წავეყვანე; 500 ცხენი მე გავრეკე, (ავრეთვე) 8560 სული მსხვილფეხა (და) 25170 სული წერილფეხა რქოსანი პირუტყვი. (ყველაფერი) ეს წილად ხედა მეფეს, ხოლო რაც მეომრებმა ხელთ იგდეს, გაირეკეს ისინი ცალკე, როდესაც (დაპყრობილ) ქვეყანას მე ვგოვებდი. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

ღვთაება ხალდი გაემართა (სალამქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან რაშუინის, რუიშიანის ქვეყნის მეფეს, სძლია დიუცინი იგანიელს, ეთიუხის ქვეყნის მეფეს, დაამხო ისინი სარდური არგიშთის ძის წინაშე. სარდური ამბობს: ...¹²⁶

29-4 (УКХ 155 E, КУКХ 241 E, СТU A 9-3 IV, 1-35)¹²⁷

[]¹²⁸ იქ (არ) ყოფილა (?). სარდური არგიშთის ძე ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შიეინის, ბიაინილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც

¹²⁶ მოსდევს გრაფარეგული ფორმულა, რომელიც ასრულებს ლამქრობათა აღწერილობებს და შეიძლება დაახლოებით შემდეგს აღნიშნავდეს: „და შემდგომ მშვილობა და კეთილდღეობა დამყარდა“ (Меликишвили 1960: 213).

¹²⁷ დაახლ. ძე.წ. 747-745 წწ.

¹²⁸ ნ. არუტუნიანი აქ აღადგენს: „ფულუადის მეფე დამოუკიდებელი იყო, ხარკი არასდროს გადაუხდია მეფისთვის“ (Арутунян 2001: 240-1).

მე მსურდა (მომემოქმედა) მეუფის სიღიაღით მტრულ ქვეყნებში; მისმინეს მე ღმერთებმა, გამიხსნეს მე მათ გმა. მე წავედი; გავემართე მე (სალამქროდ) ფულუადის ქვეყნის წინააღმდეგ. მოვიდა (მტრის ლაშქარი) ჩემს წინააღმდეგ ომით; უკუვაგდე მე იგი, მივსდიე (?) ქალაქ ლიბლიუნიმდე.¹²⁹ ქალაქი ლიბლიუნი, სამეფო ქალაქი, გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი, წარწერა მე იქ დაედგი. ქალაქები დაეწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები იქიდან გამოვრეკე. ციხე-სიმაგრეები იქ ავაგე ბიაინილის ქვეყნის ძლიერებისა (და) მტრული ქვეყნის დასათრგუნავად. (დაპყრობილი) ქვეყანა ჩემს ქვეყანას შევეუერთე.

სარღური ამბობს: იმავე წელს მესამეჯერ (?) გავემართე მე (სალამქროდ) ერიახის ქვეყნის წინააღმდეგ. ქვეყანა დავიპყარი, ქალაქები დაეწვი (და) დავანგრე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე ბიაინილის ქვეყანაში. ციხე-სიმაგრეები მე იქ ავაგე, (ეს) ქვეყანა ჩემს ქვეყანას შევეუერთე. ღვთაება ხალდის სიღიაღით სარღური ამბობს: (აი) როგორი ვაეკაცობა ჩავიღინე მე იქ: 643ნ ყრმა იქიდან წაეიყვანე, 15553 ღელაკაცი გამოვრეკე, სულ 21.989 ადამიანი – ზოგი გავჟღიგე, ზოგიც ცოცხალი წაეიყვანე, 1613 ცხენი, 115 აქლემი, 16529 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გამოვრეკე, 37685 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი მე გამოვრეკე. სარღური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

29-5 (YKH 155 D, KYKH 241 D, CTU A 9-3 III)¹³⁰

[გავემართა სარღური]¹³¹ არგიშთის ძე. სარღური ამბობს: გავემართე მე (სალამქროდ) კულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ქვეყანა [დავიკავე],¹³² ქალაქი ილდამუმა, სამეფო ქალაქი [მემასი],¹³³ კულხახალის¹³⁴ ქვეყნის მეფისა, გამაგრებული, ბრძოლაში მე დავიპყარი. (მისი) მოსახლეობა დაეწვი, მეფის ნაცვალი¹³⁵ კულხას ქვეყნისა, რომელიც იყო იქ, მე მოვაკლევინე. რკინის ბეჭელი მოვამზადე, წარწერა დაედგი ქალაქ ილდამუმაში; ციხე-სიმაგრეები,

¹²⁹ ქალაქი თანამედროვე ირანის აზერბაიჯანში.

¹³⁰ ლახლ. ძე.წ. 744-740 წწ.

¹³¹ Арутюнян 2001: 238.

¹³² Salvini 2008: 423-4. შტრ. Арутюнян 2001: 238-9: 22 „ქალაქი დავიპყარი“.

¹³³ Арутюнян 2001: 238, Salvini 2008: 423.

¹³⁴ „კულხაელთა“ (Арутюнян 2001: 239), „კოლხების (კულხასი)“ (Salvini 2008: 424).

¹³⁵ ნ. არტუგუნბანი და მ. სალვინი „L'irdi-ს თარგმნიან როგორც „გარნიზონი“ (Арутюнян 2001: 239, Salvini 2008: 424).

ქალაქები დაეწვი (და) ღვეანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეეკე.

სარღური ამბობს: იმავე წელს მესამეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროლ) უიტირუხის ქვეყნის წინააღმდეგ. 3 ოლქის მმართველი მოხმობილ იქნა,¹³⁶ 3 ადგილას მე ვილაშქრე. ღვთაება ხალდის სიღიადით ქვეყანას მე ალყა შემოვარტყი, ერთი ღლის განმავლობაში მე (იგი) ხელთ ვიგდე. ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები (იქიდან) გამოვრეეკე. ქალაქ ურაიანის ციხე-სიმაგრე მე ავაგე, მეფის ნაცვალი¹³⁷ მე იქ ღვეტოვე (?), უიტირუხის ქვეყნის მეთვალყურე,¹³⁸ (?) მე იქ ღვესვი.

სარღური ამბობს: (აი) როგორი ვაქეაცობა ჩავიღინე მე: 8100 ყრმა წავიყვანე, 9110 ღეღაკაცი გამოვრეეკე, სულ 17200 ადამიანი – ზოგი გავქლიგე, ზოგიც ცოცხალი წამოვიყვანე. 1500 ცხენი გამოვრეეკე, (აკრეთვე) 17300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 31600 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. სარღური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი ღლის განმავლობაში აღეასრულე.

ღვთაება ხალდი გავემართა (სალაშქროლ) თავისი იარაღით, სძლია მან ოთხ მეფეს უედღური-ეთიუნის¹³⁹ ქვეყანაში: არკუკიუნის მეფე, კამანიის მეფე, ლუერუნიის მეფე...

29-6 (YKH 155 F, KYKH 241 F, CTU A 9-3 VI)¹⁴⁰.

ღვთაება ხალდის სიძლიერით სარღური არვიშთის ძე ამბობს:... მე შეეკრიბე მეომრები; შევეღრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ), რაც მე მსურდა (?) (მომემოქმედა) მეუფის სიღიადით მტრულ ქვეყანაში; მისმინეს მე ღმერთებმა. სარღური ამბობს: წავედი მე ეთიუნის ქვეყნის წინააღმდეგ. როდესაც (?) მე მივემართებოდი (?) ეთიუნის ქვეყნისაკენ, მარჯვნივ – ქვეყანა ერიახი მე შევიწყალე,¹⁴¹ მარცხნივ – ქვეყანა კურიანი.¹⁴² გავემართე

¹³⁶ šukuri – „ჩემთან ერთად“ (Girbal 2005: 163ff.; Salvini 2008: 424).

¹³⁷ ან „ღარნიმონი“.

¹³⁸ შ. დიაკონოვის აზრით, ^Lšia შეიძლება აღნიშნავდეს „მიკრიკს, მსგოვარს“ (Дьяконов 1963: 67), შ. არუტუნიანი და შ. სალვინი ამ სიტყვის თარგმანისაგან თავს იკავებენ (Арутюнян 2001: 239, Salvini 2008: 424).

¹³⁹ სევანის გბის პირას განლაგებული ქვეყნების საერთო სახელწოდება. აშკარაა კავშირი სახელთან ეთიუნი (Меликишвили 1960: 444; Арутюнян 2001: 526).

¹⁴⁰ დაახლ. ძე.წ. 742-739 წწ.

¹⁴¹ „დავიმორჩილე“ (Salvini 2008: 429). ნ. არუტუნიანი მთელ ფრაზას განსხვავებულად თარგმნის: „დავიმორჩილე ქვეყანა ერიახი, კურიანის ქვეყნის შემოზღად“ (Арутюнян 2001: 244)

მე (სალაშქროდ) იგანის ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან კაფურიანის, იგანის ქვეყნის მეფეს, ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. გაემართა (სალაშქროდ) სარდური. სარდური ამბობს: 35 ციხე-სიმაგრე (და) 200 ქალაქი ერთი ღღის განმავლობაში მე ხელთ ვიგდე. ციხე-სიმაგრეები დაევანგრიე, ქალაქები დაეწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები მე იქიდან წაიყვანე ბიანილის ქვეყანაში.

სარდური ამბობს: იმავე ლაშქრობისას გავემართე მე ფუმუნის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ალკანიას წინააღმდეგ, ქალაქ ცუდალას წინააღმდეგ, ციხე-სიმაგრეები დაევანგრიე, ქალაქები დაეწვი, ქვეყანა გავაჩანაგე.

დაბრუნებისას გავემართე მე ერიახის ქვეყნის წინააღმდეგ; ქალაქები დაეწვი, კაცები (და) ქალები იქიდან წამოვიყვანე, იქიდან შემოვბრუნდი (და) გავემართე იმთელუნის ქვეყნის წინააღმდეგ, კადიანის ქვეყნის წინააღმდეგ, აფუნის ქვეყნის წინააღმდეგ, აბილიანისის წინააღმდეგ. სარდური ამბობს: ლაშქარი მე გავუშვი (?), არც ერთი ოლქის მართველი არ ყოფილა მოხმობილი (?) (და) (მხოლოდ) ერთი რამზით (?) გავემართე მე (სალაშქროდ) უელიქუნის ქვეყნის წინააღმდეგ. დავიპყარი უელიქუნის ქვეყანა; 22 ციგადელი, გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი, ციხე-სიმაგრეები დაევანგრიე, ქალაქები დაეწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე ბიანილის ქვეყანაში. სარდური ამბობს: მოვიდა ჩემს წინაშე ნიღინი, უელიქუნის ქვეყნის მეფე, ძირს დაემხო; მე იგი მონად ვიქციე, შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით, სარდურისათვის ხარკის მისაცემად.

სარდური ამბობს: იმავე წელს მესამეჯერ (?) გავემართე მე (სალაშქროდ) არკუკინის ქვეყნის წინააღმდეგ, ვძლიე მე არკუკინის ქვეყანას, ადახუნის ქვეყანას, ლუიფრუნის ქვეყანას, ეშუმას ქვეყანას, კამნიის ქვეყანას, კუალბანის ქვეყანას, უხუნის ქვეყანას, თერიანის ქვეყანას; 20 ციგადელი, გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი, 120 ქალაქი ერთი ღღის განმავლობაში ხელთ ვიგდე; ციხე-სიმაგრეები დაევანგრიე, ქალაქები დაეწვი, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები იქიდან წამოვიყვანე.

¹⁴² ერიახისა და იგანის მეზობლობა მხარს უჭერს მის ლოკალიზაციას ჩილდირის გბის მახლობლად. შესაძლოა იგივე, რაც ასურული წყაროების გურიანია, რომელიც ურარტუსა და გამირას (კიმერილებს) შორის მდებარეობდა. (Меликишвили 1960: 438; Арутюнян 2001: 520). თუმცა, ასეთი გაიგივება არაა საეპიდემოლოგო (Salvini 1995: 86f.). სახელი შეიძლება ეხმოდება ეხმოდება მტკერის სახელწოდებას (Меликишвили 1960: 438; Diakonoff, Kashkai 1981: 71).

სარდური ამბობს: (ის) ხალხი, რომელიც (ჩემი) იარაღის (?) წინაშე (შინით) გაიქცა (?) (და) დაიკავა (?) უშქიანის მთა (?) და ბამნის მთა (?), მე (მათ) ალყა შემოვარტყი (?) (და) გაველიტე. სხვები (?) (კი), რომლებიც გაიქცნენ, ღვთაება თეიმებამ დაწვა. სარდური ამბობს: ცალკე კაცები (და) ქალები მეომრებს მივეცი. სარდური ამბობს: (აი) როგორი ვაქცაცობა მე იქ ჩავიდინე: 10000 ყრმა წამოვიყვანე, 4600 მამაკაცი ცოცხლად წამოვიყვანე, (აგრეთვე) 23200 დედაკაცი, სულ 37800 ადამიანი – ზოგი გაველიტე, ზოგიც ცოცხალი წავიყვანე, (აგრეთვე წავიყვანე) 3500 ცხენი, 40353 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (და) 214700 სული წერილფეხა რქოსანი პირუტყვი. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდისათვის მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

30 (CTU A 9-2 IV, სგელა ვანის მუზეუმიდან)

მე ეს საქმენი ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე. ხალდიმ გაილაშქრა თავისი იარაღით, სძლია უიგერუხის ქვეყანას, სძლია ფულუადის ქვეყანას ...

31 (YKH 160, KYKH 249, CTU A 9-6, ადამხანი, წარწერა კლდეზე)

ხალდის ბრძანებით სარდური არგიშთის ძე ამბობს: (ქალაქი) თულიხუნი, სამეფო ქალაქი, ცინალიბის, ლუეხუს ძისა, ბრძოლით დავიპყარი. ცინალიბი, მეფე, მის ხალხთან და ქალებთან ერთად წამოვიყვანე,¹⁴³ მივალწიე უღური-ეთიუნის ქვეყანას.

32 (YKH 161, KYKH 250, CTU A 9-7, ზაგალუ, წარწერა ქვაზე)

ხალდი გავმართა, თავის იარაღით დაიმორჩილა არკუკინის (გომის) ქვეყანა. სარდური ამბობს: გავმართე (და) დავიპყარი არკუკინის (გომის) ქვეყანა, მივალწიე ურტეხის ქვეყანამდე.

ხალდის სიღიადით სარდური, არგიშთის ძე, მეფე ძლიერი, მეფე ღიდი, სამყაროს მეფე, მეფეთა მეფე, მმართველი გუმუა-ქალაქის.

რუსა I სარდურის ძის წარწერები

(ძვ.წ. 730-713)

33 (YKH 265, KYKH 388, CTU A 10-1, ნორ-ბაიაზეთი. წარწერა ურარტული სიმაგრის კედლის ქვაზე)

¹⁴³ ასე თარგმნიან გ. მელიქიშვილი (Меликишвили 1960: 309) და მ. სალვინი (Salvini 2008: 434). შტრ. „ცინალიბი, ხალხის მეფე, დაეასაჭურისე“ (Арпуния 2001: 264).

ხალდის ძალით რუსა სარდურის ძე ამბობს: უელიკუხის (ქვეყნის) მეფე დავიმორჩილე, ყმად ვაქციე, ქვეყნიდან მოვაშორე,¹⁴⁴ იქ გამგებელი დავაყენე. ხალდის ჭიშკარი, დიდებული ციხე-სიმაგრე ავაგე, სახელად ხალდის ქალაქი დავუდგინე ბიანილის ქვეყნის ძლიერებისა (და) მგრული ქვეყნის დასათრგუნავად (?). რუსა სარდურის ძე, მეფე ძლიერი, რომელიც ბიანილის ქვეყანას მართავდა.

34 (УКХ 266, КУХ 389, СТУ А 10-2, წოვინარი, წარწერა კლდზე) ხალდის, ბატონის ძლიერებით მე, რუსა სარდურის ძემ ეს ქვეყნები ერთი ლაშქრობისას დავიმორჩილე, ყმად ვაქციე (ქვეყნების) ადახუნის, უელიკუხის, ლუერუხის, არკუკინის 4 მეფე გბის ამ მხარეს, (ქვეყნების) გურკუმელის, შანაგუაინის, თერიუშაინის, რიშუაინის, თარზუაინის, არიაინის, მამანის, ირკიმაინის, ელაინის, ერიელთუანის, აიღამანიუნის, გურიანის,¹⁴⁵ ალზირანის, ფირუაინის, შილაინის, უიდუაინის, აგეზაინის, ერიანის, აზამერუნის 19 მეფე გბის მეორე მხარეს მაღალ მთებში. სულ მგრის¹⁴⁶ 23 მეფე ერთ წელიწადში შევიპყარი, კაცები და ქალები ბიანილის (ქვეყანაში) გავრეკე. ხარკის (აკრეფის) წელს მივედი, ავაგე ეს სიმაგრეები, ასევე ეს დიდებული ციხე-სიმაგრე ავაგე, სახელად ამინდის ღეთაების ქალაქი¹⁴⁷ დავუდგინე ბიანილის ქვეყნის ძლიერებისა (და) მგრული ქვეყნის დასათრგუნავად. რუსა ამბობს: ვინც ამ წარწერას გაანადგურებს, მოსპოს მზის ღმერთმა მისი სახელი და მემკვიდრეობა მზისქვეშეთში.

არგიშთი II რუსას ძის წარწერა (ძვ.წ. VIII ს. მიწურული)

35 (КУХ 411, СТУ А 11-3, განააგი, სგელა)

ხალდის, მეუფეს ეს სგელა არგიშთი რუსას ძემ აღუმართა სიცოცხლისათვის. არგიშთი [ამბობს:] ...¹⁴⁸ ერთ ღღეში დავიმორჩილე ...

¹⁴⁴ შღრ. „ქვეყანა, ამას გარდა, მოვაწყე (?)“ (Salvini 2008: 495).

¹⁴⁵ შესაძლოა იგივე, რაც სარდური II-ის მაგიანის „კურიანი“ (Salvini 1995: 86f.).

¹⁴⁶ სღრ. 13-ში დაზიანებულ სიგყვას სულ სხედასხვაგვარად აღადგენენ. იხ. Меликишвили 1960: 329-30; Арутюнян 2001: 296-7; Salvini 2008: 496. ჩემი თარგმანი ეფუძნება მ. საღვინის აღღვენას.

¹⁴⁷ *IM-i URU, ნ. არუტუნიაინის აზრით, *Teišebai URU-ს გულისხმობს, განსხეუვებით ერეენის მასლობლად მღებარე *Teišebaini URU-სგან (Арутюнян 2001: 510).

¹⁴⁸ ნ. არუტუნიაინი აქ აღადღვენს გექსგს სხევა წარწერების (КУХ 406, 407/ СТУ А 11-1, 11-2) მიხედვით: „ღაე კქონღეს ხაღღისგან არგიშთი რუსას ძეს სიკეთე, -- ბეღნიერება, სიცოცხლე, სიხარკლი, ღღეება, ასევე ძაღაუღღება, ძღიერება,

წარსდგა ჩემს წინაშე ... ეთიუხის ქვეყნის მეფე, რომელიც¹⁴⁹ ... ქვეყანა ... ზოგმა ქალაქმა გაიგო ... ბრძოლებით მივალწვიე ... აქ [საგმირო საქმეები]¹⁵⁰ ჩავიღინე, კაცები, ქალები წამოვიყვანე, ქალაქები დაეწვი, ციხეები დავანგრიე ... ბრძოლა იყო, ცულუკუს ქვეყნის¹⁵¹ მხედრები¹⁵² იქიდან ქალაქ ირლუას წინ მოვიდნენ ჩემთან. მგერი¹⁵³ ყმაღ ვაქციე, იქ ხარკი დავუწესე. ხალღის ძალით გავემართე (?)¹⁵⁴ არგიშთი რუსას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი გუშუა-ქალაქისა. ხალღის ბრძანებით არგიშთი ამბობს: ...¹⁵⁵ წაველი სალაშქროდ ამ გზით (ქალაქ) ამუშაში,¹⁵⁶ კაცები, ქალები წაიყვანე ბიანილის (ქვეყანაში). არგიშთი ამბობს: ვინც (ჩემს) სახელს მოსპობს, ვინც თავის სახელს დასვათ, ...¹⁵⁷

ძლევაშოსიღება. ხალღის სიღადით“ (Арутюнян 2001: 325). მ. სალენი ამ აღღგენას არასწორად მიიჩნევს იმ ცალკეული ნიშნისა თუ სიგყვის საფუძეღღზე, რისი ამოკითხვაყ ხერხღღება (Salvini 2008: 540; Salvini 2009: 206 sqq.)

¹⁴⁹ a-i ან a-i-e – ამბობს (Salvini 2009: 209). სხვანაირად აღღღგენს და თარღღმნის ნ. არღღტუნაინი: „მომყა მე (მისი) ქვეყნის ხარკი“ (Арутюнян 2001: 325).

¹⁵⁰ ნ. არღღტუნაინის ლოღღიკური აღღღგენა (Арутюнян 2001: 325), რომელიც საყვისებთ შეფუღღრება კონღღექსტს.

¹⁵¹ სომღღური ცღღუკ, სეყანის გბის სამღღრეთ-აღღმოსაღღლეთით (Арутюнян 2001: 522).

¹⁵² marini, შღღრ. ხურიღღული marianne – ეღღლოსანი/ მხეღღარი. ნ. არღღტუნაინი დიაკონოღღსა და იყანოღღმე დაყრღღობით თარღღმნის „წარჩინებულნი“ (Арутюнян 2001: 325, 327), რითიყ არსი არ იყეღღება, მაღღრამ ჰასაღღის ინღღერჰრეღღაცია საღღაღო შეიღღღება იყოს.

¹⁵³ ან: „(მეფე?) ზაზინუ“ (Арутюнян 2001: 325).

¹⁵⁴ ახე თარღღმნის სიღღყავას ištēdi გ. მეღღიქიშეღღილი (Меликшвили 1960: 399). ნ. არღღტუნაინი ყრეღღი მსჯეღღობის შემღღღეფ ასიენის, რომ ეს ფორღღმა ištini-ს მიმართულეღღბით ბრუნეღღს უნღღა აღღღმნაღღღეს (Арутюнян 2001: 328). სამეფო გიღღულაღღურის ნაწიღღად სიღღყავა „აქეთ“ მწეღღი წარმოსაღღღენია. გრათარღღტეღღი გიღღული ჩასმულია სხეაღღსხეა მოქმეღღების აღწერათა შორის, რაყ არ გაღღორიღღცხავს შესაღღღღღღობას, რომ ištēdi მწნა იყოს. მ. სალენი თარღღმანში ამ სიღღყავას უყურაღღღობოღღ გოყეღღს (Salvini 2009: 209).

¹⁵⁵ მ. სალენინის აზრით, აქ მოიხსენიება „მშის ლეთაღღების გარღღნიღღონი“ – *UTU-ni-ni-ni ir-du-si (Salvini 2009: 209).

¹⁵⁶ მ. სალენინის აზრით, ამუშა საღღიღებღღია თანამეღღროყე მთიანი ყარაბაღღის გერიღღორიაღღზე. ეს ჰუნქტი მოიხსენიება ასეყე ანცაფში ნაპოენ ბრინჯაოს რეღღღღღღზე (CTU B 4-1, 4-2, 4-3): „ხალღის ბაღღონს, იმფუინი სარღღღურის ძემ, მენუა იმფუინის ძემ და ინუშუღღა მენუას ძემ (ეს ობიექტი) შესწირეღღს, როღღღსაყ ქალაქ ამუსეს ქვეყანა დაიპყრეღღს“ (Salvini 2009: 209-10).

¹⁵⁷ დასასრული დამიანებღღლია. ნ. არღღტუნაინი აღღღღგენს № 35 (КУКН 421, СТU А 12-8) გეღღყტის მიხეღღლეთ (Арутюнян 2001: 325, 329), ხოლო მ. სალენი ამეღღარად: „ღღღე მოსპოღღ ხალღიმ, ამინღღის ლეთაღღებამ და მშის ლეთაღღებამ მისი სახეღღი და მთაღღმოაღღღობა მშისქეღღემთში“ (Salvini 2009, 209).

რუსა II არგიშთის ძის წარწერები

(ძვ.წ. VII ს. დასაწყისი)

36 (УКН 281, КУКН 421, СТУ А 12-8, ზეარგნოცი, სგელა)

ხალდის, თავის ბაგონს, ეს სგელა რუსა არგიშთის ძემ აღუმართა. ხალდის ძალით რუსა არგიშთის ძე ამბობს: კუარლინის ველის (ქვეყნის) მიწა დაუმუშაებელი იყო, იქ არაფერი არ იყო. როგორც ხალდის მიბრძანა, მე ეს ვენახი გავაშენე, ყანა და ბაღი მოვაწყე, აქ ქალაქი დაეაარსე.¹⁵⁸ (მღინარე) ილდარუნიადან არხი გავიყვანე, მისი სახელია უმეშინი. როდესაც არხი რუსას ამ ველს მორწყავს, დაე ციკანი დაუკლან ხალდის, ცხვარი შესწირონ ხალდის მსხვერპლად, ცხვარი – ამინდის ღვთაებას, ცხვარი – მშის ღვთაებას, შესაწირი (?) – (ღვთაება) ანიკუს, როდესაც წყალი ... დაე ციკანი დაუკლან ხალდის, ცხვარი შესწირონ ხალდის მსხვერპლად, ცხვარი – ამინდის ღვთაებას, ცხვარი – მშის ღვთაებას, შესაწირი (?) – (ღვთაება) ანიკუს.

რუსა არგიშთის ძე, მეფე ძლიერი, მეფე ღიდი, სამყაროს მეფე, მეფე ბიანილის (ქვეყნისა), მეფეთა მეფე, მმართველი გუმუა-ქალაქისა.

რუსა არგიშთის ძე ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც დაამგვრევს, ვინც ადგილიდან გადააგდებს, ვინც მიწაში დაფლავს, ვინც წყალში გადააგდებს, ვინც სხვა იცყვის: „მე ჩავიღინე (ეს ყველაფერი)“, ვინც ჩემს სახელს წაშლის და საკუთარ სახელს დასვაძს, იქნება ბიანილელი თუ მგერი, დაე ხალდის, ამინდის ღმერთმა, მშის ღმერთმა, (ყველა) ღვთაებამ (მისი) არც სახელი, არც ოჯახი, არც შთამომავლობა არ დასტოვონ.

37 (УКН 283, КУКН 422, СТУ В 12-15, კარმირ-ბლური, წარწერა ბრინჯაოს საკეგის რგოლზე)

რუსა არგიშთის ძის საწყობისა (ქალაქ) თეიშებაინისა

38 (УКН 2 448, КУКН 424, СТУ А 12-2 I, კარმირ-ბლური, წარწერა ბაზალტის ბლოკებზე)

ხალდის, თავის ბაგონს, ეს გაძარი რუსა არგიშთის ძემ აუგო, ასევე უაზას¹⁵⁹ (გომის) ქვეყნის ქალაქ თეიშებაინის¹⁶⁰ ხალდის ღიღებული ჭიშკარი აღმართა, უძღვნა ხალდის. რუსა ამბობს: კლდე ციყაბო (?)

¹⁵⁸ „ქალაქის მოწყობა წამოვიწყე“ (Меликишвили 1960: 345), ან „ქალაქი ისევე ღაეიკავე“ (Арутюнян 2001: 345).

¹⁵⁹ ქვეყანა თანამედროვე არმავირის მახლობლად, არაქსის მარცხენა ნაპირზე (Меликишвили 1960: 421; Арутюнян 2001: 499).

¹⁶⁰ სიტყვასიტყვით „უაზას გომის ქვეყნის ამინდის ღვთაების ქალაქი“ ^m a-za-ni KUR-ni ⁴IM-ni URU. შტრ. СТУ В 12-15: ⁴Teišebaini URU.

იყო, მიწა – უღაბური, არაფერი აქ არ იყო აშენებული. როდესაც ხალდომ მე მეფობა მომცა და მამაჩემის გახტი¹⁶¹ დავიკავე, ხალდის ეს დიდებული ჭიშკარი ავაგე. დაე ჰქონდეს ხალდის მხრიდან, ხალდის ჭიშკრის მხრიდან სიხარული, დიდება, ასევე ძალაუფლება, ძლიერება, ძლევამოსილება რუსას, არგიშთის ძეს, ძლიერ მეფეს, სამყაროსა და ბიანილის მეფეს. რუსა ამბობს: ხალდის ჭიშკრის მხრიდან ... ბრძანება დავდგი. ასალ გაძარში (?) დაე დაუკლან ხალდის ციკანი, ხარი შესწირონ მსხვერპლად ხალდის, ცხვარი – ამინდის ღვთაებას, ცხვარი – მზის ღვთაებას, შესაწირი – (ღვთაება) ანიკუს, ძროხა – (ღვთაება) უარუბაინის, ცხვარი – ხალდის იარაღს, ცხვარი – ხალდის ჭიშკარს, ცხვარი – (ღვთაება) იარმას...¹⁶²

ძვ.წ. VII ს.-ის წარწერები თიხის უირფიტებზე კარმირ-ბლურიდან 39 (YKH 2 455, KYKH 428, CTU CT Kb-1)

სარღური რუსას ძემ უბრძანა შანიელ მევენახეს: (ქალაქ) კულნილის მიწა და ორი მსახური ... სახლითურთ დაუბრუნე ხუქა კუგუბილიელს. უედინელმა მერიქიფემ (?) და აბილიანიელმა ქვისმთელელმა წარწერები დაამზადონ.

ბეჭედი: სარღური რუსას ძე

40 (YKH 2 457, KYKH 433, CTU CT Kb-3)

მეფე ამბობს: უთხარი ხალდიბურას, „ვერცხლის კაცს“ ალუანის, მზარეულის შესახებ: სასურველი (?) იქნება (შენი) სიცოცხლე ღმერთისათვის. ერთი ქალი მუიდი, მზარეულს ცოლად მივეცი, ახლა სასახლიდან მეფემ დაუბრუნა (ის) ალუანის, მზარეულს...

ბეჭედი: ერიმენა სარღურის ძე

41 (YKH 2 456, KYKH 446, CTU CT Kb-4)

...სიგყვა გაუგზავნა: უთხარი ბუ...ლის, ბეჭდის მპყრობელს მწყემსი ქურგისათვის: სასურველი (?) იქნება (შენი) სიცოცხლე ღმერთისათვის. თათამ, ქალბატონის მსახურმა, ქალი მოიგაცა, არ უნდა დაბრუნება. ახლა ბატონს შეუსრულე – წადი, იპოენე, მოუყვანე.

ბეჭედი: რუსა რუსას ძე, ღედოფლის ვაჟის ბეჭედი.

¹⁶¹ სიგყეასიგყეთ: „ადგილი სამეფოდ გამოყოფილი“

¹⁶² შემდგომი სტრიქონების ზუსტი თარგმანი ჭირს, ლაპარაკი გარკვეულ მსხვერპლმეწირებასა და სხვა რიტუალურ მოქმედებებზე უნდა იყოს.

42 (YKH 2 463, KYKH 521, CTU CT Kb-10)

(ღეთაება) ეა-ს ქალაქს ვაზას (გომის) ქვეყანაში: ხბოს 26 ტყავი, ...
12 შალის განსაცმელი (?), 14 ცხერისა; 198 ..., 26 შალის განსაცმელი,
ცხერის 172 ტყავი, თხის 18 ტყავი.

ურარტული ტექსტების ენა ძირითადად ფორმულების ენაა. ტექსტების ბოლოს დართული კრულვა რამდენიმე სხვადასხვა ფორმულის მეშვეობით გადმოიცემა. ქვემოთ ერთ-ერთ მათგანს განვიხილავთ:

ᵐ(X)-še alie aluše ini DUB-te túlie aluše pitúlie aluše ainii inili dylie aluše ... túrinini ᵈHaldiše ᵈIM-še ᵈUTU-še DINGIR^{MES}-še maani ᵈUTU-ni piini mei arhi úruliáni mei inaini mei naraa aúie úlulie

„(მეფე) ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც დაამტკრევს, ვინც სხვას აიძულებს (ეს) გააკეთოს, ვინც ..., დაე მოსპონ ხალდიმ, ამინდის ღვთაებამ, მზის ღვთაებამ, ყველა ღმერთმა იგი მზისქვეშეთში, ...“

ეს ფორმულა სულ 23 ტექსტში გვხვდება, აქედან 6 ურარტუს ღელაქალაქ ტუმუაში¹ (თანამედროვე ვანი), 17 – სხვა პუნქტებში,² მათ შორის 5 სამხრეთ კავკასიაში (ყარსის, ერზერუმის, არდაჰანისა და არმავირის მახლობლად).³ ფორმულის პირველ ნაწილში იცვლება როგორც მეფის სახელი, ასევე შესაძლო შეცოდებათა ჩამონათვალი წარწერის ან მეფის ხსოვნის წინაშე, მეორე ნაწილი კი პრაქტიკულად უცვლელია, თუ არ ჩავთვლით ერთი სიტყვის ნიშნების სხვადასხვა კომბინაციის საშუალებით ჩაწერას.

წარწერისა და მეფის სახელის დაცულობის გარანტიად გვევლინებიან ხალდი, ამინდის ღვთაება, მზის ღვთაება და სხვა ღმერთები. ხალდი, ამინდის ღვთაება და მზის ღვთაება ურარტული პანთეონის უზენაესი ღმერთები იყვნენ. ცნობილია ამ ორი უკანასკნელის სახელებიც. ამინდის ღვთაებას თეიშება ერქვა, მზის ღვთაებას კი – შივინი. შესაბამისად, მკვლევართა უმეტესობა ჩამონათვალს ᵈHaldi ᵈIM ᵈUTU თარგმნის „ხალდი, თეიშება, შივინი“. ხშირ შემთხვევაში ეს წაკითხვა სწორია და ფონეტიკური კომპლემენტებითაც არის გამყარებული. განსახილველ ფორმულაში უპირატესობა, ალბათ, უფრო ფრთხილ, სიტყვა-სიტყვით თარგმანს უნდა მიენიჭოს: „ხალდი, ამინდის ღვთაება, მზის ღვთაება“.

¹ CTU A 5-25, 5-58, 5-68, 5-86, 8-3, 9-1.

² CTU A 5-1, 5-3, 5-4, 5-5, 5-6, 5-8, 5-10, 5-12A, 5-12B, 5-12C, 5-16, 5-22, 5-76, 8-7, 9-4, 9-13, 10-6.

³ CTU A 5-1, 5-3, 5-4, 8-7, 9-13.

ერთი მხრივ, იდეოგრაამები გვხვდება უმეტესწილად მხოლოდ -ჰე ფონეტიკური კომპლემენტით,⁴ რომელიც ერგატივის (მოთხრობითი ბრუნვის) დაბოლოებას წარმოადგენს და არაფერს გვეუბნება ფუძის შესახებ.

მეორე მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველი ფორმულის შემცველი გექსტები ძირითადად ტუშუადან მომორებით, ურარტელთა მიერ დაპყრობილ გერიტორიებზეა აღმოჩენილი. ურარტელების მეზობელთა უმეტესობას საკუთარი ამინდისა და მზის ღვთაებები უნდა ჰყოლოდათ. ასეთ შემთხვევაში, ღვთაებათა სახელების იდეოგრაამებით გადმოცემა ის შეგნებული ორაზროვნებაა, რომლითაც მაქსიმალური ეფექტი მიიღწეოდა. გრიადაში ^dHaldi ^dIM ^dUTU ურარტელი საკუთარ უზენაეს ღმერთებს დაინახავდა, ხოლო დაპყრობილი ხალხი, მაგ, დიაუხის მკვიდრნი – ურარტუსა და ადგილობრივი ღვთაებების ერთობლიობას და წარწერასაც მეტი რიღით მოეპყრობოდა.

აქ ისმის კითხვა, საერთოდ ვისთვის იწერებოდა ეს გექსტები. ზოგი მათგანი მაღლა კლდებზე ამოკვეთილი და წარწერის ნახვასა და წაკითხვას, კითხვის ცოდნის გარდა, გარკვეული ალპინისტური მომზადებაც სჭირდება. ეს წარწერები, შესაძლოა, ღმერთებისათვის დგებოდა. რაც შეეხება წარწერებს შენობათა კედლებსა და ცალკე სტელებზე, მათი წაკითხვა ადამიანებსაც უნდა შეძლებოდათ. კრულვის შესაძლო ადრესატად რომ მხოლოდ ურარტულის მცოდნე და ურარტელი არ ივარაუდებოდა, პირდაპირ ჩანს ერთი გექსტიდან (CTU A 12-8): „ვინც ..., იქნება ბიანილიელი თუ მტერი“.

ჩემი აზრით, ვინც არ უნდა ეგულისხმნათ გექსტის მკითხველად, მხოლოდ ღმერთები, თუ ასევე მოკვდავნიც, ამინდისა და მზის ღვთაებათა მოხსენიება სახელების გარეშე მხოლოდ ზრდიდა ამ ღვთაებათა ძალის მოქმედების არეალს.

საკმაოდ ბუნდოვანია ფორმულის უკანასკნელი ნაწილი *mei arhi úruliani mei inaini mei naraa aúie úlulie*, რომელსაც გ. მელიქიშვილი არ თარგმნის (Меликишвили 1960). მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა დაზუსტდა, ხოლო ზოგიერთთან დაკავშირებით სხვადასხვა ჰიპოთეზა გამოითქვა, ეს პასაჟი არ ითარგმნება უახლეს კორპუსებშიც (Арутюнян 2001, Salvini 2008).

ცალკეული სიტყვა ასე შეიძლება ითარგმნოს:

mei – (დაე) ნუ, არც, ნურც

⁴ გამონაკლისია CTU A 5-3, 5-16, სადაც გვხვდება ^DUTU-ni-še = ^DŠi-u-ni-še, რაც შესაძლოა მწერლის მექანიკური შეცდომაც იყოს.

arḥe/i – გზა, ბედი (შდრ. აქად. *alāktu*)⁵

úruliani – გარეთ (? შდრ. ur(u), ur-ul(u) – კეთება, დამუშავება, ვალდებულების მოხდა)⁶

ina(ini) – ღმერთი

nara – ხალხი

aúiei – სადმე (შდრ. ^DAui)

ú(u) – წაყვანა

ხოლო მთლიანობაში პასაჟის ქართული თარგმანი დაახლოებით ასე წარმოგიდგება:

„ნურც გზა გარეთ (ეწნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/ შეიფარებს.“

შეიძლება ამ ფრაზაში რამე აზრი დავინახოთ? ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია. მართალია, ძველ აღმოსავლეთში დადასტურებულ კრუღის მრავალ ფორმულაში ანალოგი თითქოს არ ჩანს,⁷ მაგრამ პასაჟი კარგად შეესაბამება პრიმიტიულ წარმოდგენებს სამყაროს მოწყობის შესახებ.

„მზისქვეშეთად“ განიხილება ის გერიტორია, რომელმედაც ვრცელდება ურარტელების (და მათ მიერ დაპყრობილი ხალხების) ღვთაებათა ძალაუფლება. ამის გარეთ არის ქაოსი, მაგრამ აგრეთვე სხვა გერიტორიები, სადაც სხვა ღმერთები და სხვა ხალხები ბატონობენ. სავარაუდოა, რომ კრუღის ფორმულა სწორედ სხვა, უცხო ხალხებისა და ღმერთების მიერ ცოდვილისთვის თავშესაფრის მიცემის შეზღუდვას უნდა გულისხმობდეს.

⁵ Арутюнян 2001: 435.

⁶ Арутюнян 2001: 473.

⁷ იხ. ხაზარაძე 2001 : 173 შმდ.

TO THE INTERPRETATION OF AN URARTIAN FORMULA

The language of the Urartian texts is basically the language of formulas. The curse closing the texts is expressed by several different formulas. Below, I will consider one of them:

^m(X)-še alie aluše ini DUB-te túlie aluše pitúlie aluše ainii inili dulie aluše ... túrinini ⁴Ḫaldiše ⁴IM-še ⁴UTU-še DINGIR^{MEŠ}-še maani ⁴UTU-ni piini mei arḫi úruliani mei inaini mei naraa aúie úlulie

‘(The king) says: (he) who will destroy this inscription, who will break it, who will make someone else do (this), who ..., may he be annihilated by Ḫaldi, the Weather Deity, the Sun Deity, all gods under the Sun, ...’

The inscription and the king’s name were supposed to be protected by Ḫaldi, the Weather Deity, the Sun Deity and other gods. Ḫaldi, the Weather Deity and the Sun Deity were the supreme gods of the Urartian pantheon. The Weather Deity was called Teišeba, and the name of the Sun Deity was Šiuni. Consequently, the majority of scholars translate the list ⁴Ḫaldi ⁴IM ⁴UTU as „Ḫaldi, Teišeba, Šiuni“. However, the formula in question possibly needs to be translated with more caution, word for word: „Ḫaldi, Weather Deity, Sun Deity“.

On the one hand, ideograms can mostly be found only with the phonetic complement -še, which is the ergative ending and carries no information about the stem.

On the other hand, the texts including the above-mentioned formula were by and large discovered away from Tušpa, on the territories occupied by the Urartians. The neighbours of the Urartians must mostly have had their own Weather and Sun deities. In this case, rendering the names of the deities with ideograms is to be understood as an intentional ambiguity aimed at the maximum effect. The Urartians would perceive the triad ⁴Ḫaldi ⁴IM ⁴UTU as their own supreme gods, while the conquered people would interpret it as the unity of the Urartian and local deities and would treat the inscription with more awe.

The final part of the formula is rather obscure: mei arḫi úruliani mei inaini mei naraa aúie úlulie. None of the corpora offers its translation although the meaning of its words, taken separately, has recently been specified.

The passage approximately translates as follows:

‘Neither shall (he have) a way out, nor shall the god or people lead (him) anywhere.’

Although neither of the numerous curse formulas found in the Ancient East shows any apparent parallels with the cited passage, the latter, anyway, clearly reflects the primitive ideas about the universe order.

The space „under the sun“ is regarded as the territory under the authority of the Urartian deities and the deities of the peoples conquered by the Urartians. Beyond this area there was a chaos, and other territories subject to the power of other deities and peoples. Presumably, the curse formula must refer to the restriction in offering a shelter to a sinner by other, foreign peoples and gods.

III ნაწილი

მიკროლოგიური კიბეანი

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სერ არტურ ევანსმა კრეგაზე ლეგენდარული მინოსის სასახლე აღმოაჩინა, მანვე შეისწავლა და გამოაქვეყნა სხვადასხვა სახის უცნობი დამწერლობის ნიმუშები. „მინოსური“ დამწერლობის სისტემები მთელი XX საუკუნის მანძილზე მოსვენებას არ აძლევენ მეცნიერებს. განსაკუთრებით პოპულარულია ფესტოსის დისკო, რომელიც მასზე აღბეჭდილი დამწერლობის ერთადერთი ნიმუშია. მისი გაშიფერის უამრავი ცდა იმთავითვე განწირული იყო. კიდევაც რომ მოხერხდეს მისი სწორად წაკითხვა, ამის დასაბუთება შესაძარებელი მასალის უქონლობის გამო შეუძლებელია. კრეგაზე ნაპოვნი ტექსტების უმრავლესობა შესრულებული იყო ე.წ. ხაზოვანი დამწერლობით. ევანსმა მისი ორი სახეობა გაარჩია: A და B. ამ უკანასკნელის ნიმუშები კონგინენტურ საბერძნეთშიც აღმოჩნდა – პილოსში, რომელიც 30-იან წლებში კარლ ბლეგენმა გათხარა, თებეში, მიკენში, გირინსში და სხვ. ე.წ. A-ხაზოვანი დამწერლობა ჯერაც გაუშიფრავია, ხოლო B-ხაზოვანი 1952 წელს ინგლისელმა მეცნიერებმა მ. ენტრისმა და ჯ. ჩედვიკმა გაშიფრეს.¹ სამეცნიერო სამყაროსათვის სრულიად მოულოდნელად, ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტების ენა ბერძნული აღმოჩნდა,² რითიც მიკენური ცივილიზაციის მაგარებელთა ეთნიკური ვინაობა დადგინდა, ხოლო მიკენური საზოგადოების შესწავლა მეტ-ნაკლებად მყარ საფუძველზე დადგა.

B-ხაზოვანი დამწერლობა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: სილაბოგრამებს, იდეოგრამებს, ზომა-წონისა და რიცხვით ნიშნებს.

სილაბოგრამები, მარცვლოვანი ნიშნები მოგანილია ცხრილში, სადაც მათ მიწერილი აქვთ პირობითი ნომრები და სავარაუდო ფონეტიკური მნიშვნელობები. ეს ნიშნები, როგორც წესი, ერთი მეორის მიყოლებით იწერებოდა და ჰქმნიდნენ სიტყვებს.

¹ Ventris, Chadwick 1953: 84-103. ამავე ავტორებმა 1956 წელს გამოაქვეყნეს სამასი რჩეული ტექსტი საფუძვლიანი კომენტარებით, რომლის მეორე, გადამუშავებული და შეესებულებული გამოცემა დღემდე ყველა მიკენოლოგის სამაგიდო წიგნია (*Docs*²). მ. ენტრისის გაშიფრა არ ყოფილა თავიდანვე საყოველთაოდ გამიარებული (იხ. მაგ., Hiller, Panagl 1986: 329ff.), მაგრამ დღეს იგი ეჭვს აღარ იწვევს.

² B-ხაზოვანი დამწერლობისა და ტექსტების უნისათვის იხ. მაგ.: *Docs*²: 28ff.; Palmer 1963: 1ff.; Hooper 1983: 35ff.; Plath 1999; Plath 2000; Bartonek 2003; ჩოთალიშვილი 2003; Palmer 2008; Duhoux 2011; Palaima 2011; Ruijgh 2011.

მარცვლოვან ნიშანთა ცხრილი

ა ⁰⁰ ა	ბ ⁰¹ ბ	გ ⁰² გ	დ ⁰³ დ	ე ⁰⁴ ე	ვ ⁰⁵ ვ	ზ ⁰⁶ ზ	თ ⁰⁷ თ	ი ⁰⁸ ი	კ ⁰⁹ კ
ლ ¹⁰ ლ	მ ¹¹ მ	ნ ¹² ნ	ო ¹³ ო	პ ¹⁴ პ	ჟ ¹⁵ ჟ	რ ¹⁶ რ	ს ¹⁷ ს	ტ ¹⁸ ტ	ც ¹⁹ ც
ძ ²⁰ ძ	წ ²¹ წ	ჭ ²² ჭ	ხ ²³ ხ	ყ ²⁴ ყ	შ ²⁵ შ	ჩ ²⁶ ჩ	ცხ ²⁷ ცხ	ცვ ²⁸ ცვ	ცძ ²⁹ ცძ
ცწ ³⁰ ცწ	ცჭ ³¹ ცჭ	ცხ ³² ცხ	ცყ ³³ ცყ	ცშ ³⁴ ცშ	ცჩ ³⁵ ცჩ	ცცხ ³⁶ ცცხ	ცცვ ³⁷ ცცვ	ცცძ ³⁸ ცცძ	ცცწ ³⁹ ცცწ
ცცჭ ⁴⁰ ცცჭ	ცცხ ⁴¹ ცცხ	ცცყ ⁴² ცცყ	ცცშ ⁴³ ცცშ	ცცჩ ⁴⁴ ცცჩ	ცცცხ ⁴⁵ ცცცხ	ცცცვ ⁴⁶ ცცცვ	ცცცძ ⁴⁷ ცცცძ	ცცცწ ⁴⁸ ცცცწ	ცცცჭ ⁴⁹ ცცცჭ
ცცცხ ⁵⁰ ცცცხ	ცცცყ ⁵¹ ცცცყ	ცცცშ ⁵² ცცცშ	ცცცჩ ⁵³ ცცცჩ	ცცცცხ ⁵⁴ ცცცცხ	ცცცცვ ⁵⁵ ცცცცვ	ცცცცძ ⁵⁶ ცცცცძ	ცცცცწ ⁵⁷ ცცცცწ	ცცცცჭ ⁵⁸ ცცცცჭ	ცცცცხ ⁵⁹ ცცცცხ
ცცცცყ ⁶⁰ ცცცცყ	ცცცცშ ⁶¹ ცცცცშ	ცცცცჩ ⁶² ცცცცჩ	ცცცცცხ ⁶³ ცცცცცხ	ცცცცცვ ⁶⁴ ცცცცცვ	ცცცცცძ ⁶⁵ ცცცცცძ	ცცცცცწ ⁶⁶ ცცცცცწ	ცცცცცჭ ⁶⁷ ცცცცცჭ	ცცცცცხ ⁶⁸ ცცცცცხ	ცცცცცყ ⁶⁹ ცცცცცყ
ცცცცცშ ⁷⁰ ცცცცცშ	ცცცცცჩ ⁷¹ ცცცცცჩ	ცცცცცცხ ⁷² ცცცცცცხ	ცცცცცცვ ⁷³ ცცცცცცვ	ცცცცცცძ ⁷⁴ ცცცცცცძ	ცცცცცცწ ⁷⁵ ცცცცცცწ	ცცცცცცჭ ⁷⁶ ცცცცცცჭ	ცცცცცცხ ⁷⁷ ცცცცცცხ	ცცცცცცყ ⁷⁸ ცცცცცცყ	ცცცცცცშ ⁷⁹ ცცცცცცშ
ცცცცცცჩ ⁸⁰ ცცცცცცჩ	ცცცცცცცხ ⁸¹ ცცცცცცცხ	ცცცცცცცვ ⁸² ცცცცცცცვ	ცცცცცცცძ ⁸³ ცცცცცცცძ	ცცცცცცცწ ⁸⁴ ცცცცცცცწ	ცცცცცცცჭ ⁸⁵ ცცცცცცცჭ	ცცცცცცცხ ⁸⁶ ცცცცცცცხ	ცცცცცცცყ ⁸⁷ ცცცცცცცყ	ცცცცცცცშ ⁸⁸ ცცცცცცცშ	ცცცცცცცჩ ⁸⁹ ცცცცცცცჩ
ცცცცცცცცხ ⁹⁰ ცცცცცცცცხ	ცცცცცცცცვ ⁹¹ ცცცცცცცცვ	ცცცცცცცცძ ⁹² ცცცცცცცცძ	ცცცცცცცცწ ⁹³ ცცცცცცცცწ	ცცცცცცცცჭ ⁹⁴ ცცცცცცცცჭ	ცცცცცცცცხ ⁹⁵ ცცცცცცცცხ	ცცცცცცცცყ ⁹⁶ ცცცცცცცცყ	ცცცცცცცცშ ⁹⁷ ცცცცცცცცშ	ცცცცცცცცჩ ⁹⁸ ცცცცცცცცჩ	ცცცცცცცცცხ ⁹⁹ ცცცცცცცცცხ































ისინი შეიძლება შეგვხედეს ცალკეც და მონოგრამის, ლიგატურის ნაწილის სახითაც. რამდენიმე მარცვლოვანი ნიშნის შერწყმის შედეგად მიღებული ლიგატურები გრანსლიტერაციაში მათი ფონეტიკური მნიშვნელობით გადმოიცემიან, მაგრამ, ჩვეულებრივი მარცვლებისგან განსხვავებით, მთაერული ასოებით.































ლიგატურების ნიმუშები

	KAPO
	KANAKO
	AREPA
	MERI
	TURO ₂

ცალკე მდგომი მარცვლოვანი ნიშანი წარმოადგენს სიტყვის შემოკლებას (როგორც წესი, სიტყვის ნაცვლად იწერება მისი პირველი მარცვალი), ხშირ შემთხვევაში, ჩვენთვის ამოუცნობს, ან იდეოგრამის დანამატს, განმარტებას.

იდეოგრამები ანუ ლოგოგრამები თავდაპირველად ადამიანის, ცხოველისა თუ ნივთის სურათს წარმოადგენდა. ზოგ მათგანში იოლია მნიშვნელობის ამოცნობა, ზოგიც დროთა განმავლობაში სქემატურ ნიშნად იქცა და კონტექსტის გარეშე ჩვენთვის გაუგებარია. იდეოგრამები გრანსლიტერაციაში მათი ლათინური შესატყვისებით გადმოიცემიან.

272 HORN (LUNA)		298 AMPHORA		230 SPEAR (PASTA)	
288 PAN		213 URN		274 ARROW (SAGITTAE)	
291 TRIPOD		213 DISH		232	
287 JAR		211 CONTAINER		230 DAGGER (FURSI)	
283 PITCHER		215 TWO HANDED CUPLET		210 CHARIOT (BIGAE)	
284 JAR		216 CUP		211 CHARIOT (MURRUS)	
285 JUGLET		216 ONE-HANDED CUPLET		210 WHEEL-LESS CHARIOT (CAPRUS)	
286 HYDRIA		227 BITTON		213 WHEEL (ROTA)	
287 TRIPOD HYDRIA		228 PAN		224 AVENUE (IACULUS)	
288 BOWL		228 LADLE		237	

100 MAN (VIR)		171 BANLEY (HORSUM)		118 WOOL (FLAMAS)	
102 WOMAN (MULIER)		122 OLIVE (OLIVA)		131 HORN (ICORNU)	
104 OUPH (ICERYU)		128 CYPHERUS (CYPEROS)		132	
106 HORSE (EQUUS)		129 FLOUR (FARINA)		133 ICECAP-TABLE	
107 OWE (OVIS)		130 OIL (OLEUM)		138	
108 RAM (OVIS)		131 WINE (VINUM)		139 CLOTH (FELI)	
107 GOAT (CAPRE)		140 IRONIZE (AES)		142 TUNIC (TUNICA)	
108 PIO (PIUS)		141 GOLD (AURUM)		184	
109 KO (BOVI)		142		187	
109 WHEAT (STRAMUM)		144 CROCUS (CROCUS)		188	

ზომა-წონის ერთეულები გრანსლიგერირებულია მთავრული ასოებით და წარმოდგენილია აქ კლების მიხედვით:

მშრალი საზომი (მოცულობა): T, V, Z.

სითხე (მოცულობა): S, V, Z.

წონა: L, M, N, P, Q.

L-ის გარდა, რომელიც „ერთეულად“ შეიძლება გაეიგოს, სხვა ყველა წილადია. „ერთეული“, როგორც წესი, გადმოიცემა გასაზომი პროდუქტის აღმნიშვნელი იდეოგრაფით, რომელსაც მოსდევს რიცხვი. მაგ., ჩანაწერი GRA 1 T 5 V 4 აღნიშნავს მარცელის (ხორბლის ან ქერის) ერთ ღიდ, 5 მეორე რიგის და 4 მესამე რიგის ერთეულს.

B-ხაზოვან დამწერლობაში დადასტურებულია თელის ათობითი სისტემა. გექსტეში მხოლოდ მთელი რიცხვებია დადასტურებული. წილადებს, A-ხაზოვანი დამწერლობისაგან განსხვავებით, ვერ ვხვდებით.

○	10000	○	1000	○	100	-	10		1
---	-------	---	------	---	-----	---	----	--	---

B-ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული გექსტები მარცხნიდან მარჯვნივ იწერებოდა. რამდენიმესტრიქონიანი გექსტის შემცველ ფირფიტებზე მწერლები პორიზონგალური ხაზებით გამოპყოფდნენ შინაარსობრივ ერთეულებს. გექსტი ზოგჯერ იყოფოდა პარაგრაფებად ცარიელი სტრიქონის დატოვების მეშვეობით. თუ ფრაზა სტრიქონზე არ ეტეოდა, სიგყვა გადაპქონდათ არა მომდევნო სტრიქონზე, არამედ პატარა ზომის ნიშნებით ძირითად გექსტს თავზე აწერდნენ. მწერალთა უმრავლესობა სიგყვებს გამოპყოფდა პატარა ვერტიკალური ხაზით. იშვიათად გვხვდება სიგყვათა ჯგუფის გამოპყოფი მოზრდილი ვერტიკალური ხაზი, იშვიათად, ჯვარიც. საჭიროების შემთხვევაში გექსტი გრძელდებოდა ფირფიტის მეორე მხარეზე, ან კიდებზე.

B-ხაზოვან დამწერლობაში აისახა ბერძნული ენის განვითარების ადრეული საფეხური. ასე მაგ., F, რომელიც კლასიკურ ბერძნულში გაქრა, მიკენურ გექსტებში საკმაოდ ხშირად გვხვდება (di-wo = Διφώς, ko-wo = κόρφος, wa-na-ka = Φάναξ), ხოლო q შეესაბამება ლაბიოველარებს k^w და g^w, რომლთა შემკვიდრედაც სხვადასხვა თანხმოვანი გახდა: β, δ, θ, τ, π, φ (მაგ., mo-qo-so = Μόψος, e-qe-ta = ἐπέτας, -qe = τε). რაც შეეხება წარწერათა ენის სხვა თავისებურებებს, ძნელი სათქმელია, უკავშირდებიან ისინი ენის

განვითარების სტადიას, „მიკენურ დიალექტს“ თუ დამწერლობის სპეციფიკას.

როგორც მარცვლოვანი ნიშნების ცხრილიდან ჩანს, 73 ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა მეგ-ნაკლებად დადგენილია. ნიშნები მხოლოდ ღია მარცვლებისათვის (ხმოვანი, თანხმოვანი + ხმოვანი, იშვიათად, თანხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი) არსებობდა. თუ მარცვალი შეიცავს ხმოვანი + თანხმოვანი ან თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი, მარცვლის ბოლო თანხმოვანი, როგორც წესი, არ იწერებოდა (მაგ., a-ku-ro = ἄκυρος, a-pi-me-de = ἄμφορῆς, ka-ko = χαλκός). მარცვალი თანხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი გადმოიყვამოდა ორი მარცვლოვანი ნიშნით. პირველი შეიცავს ჩამატებულ ხმოვანს, რომელიც მეორე მარცვლისას იმეორებს (მაგ., a-mi-ni-so = ἄμισός, ko-no-so = Κυσός, ku-ru-so = χρυσός).

სილაბარში შედის ხუთივე მარტივი ხმოვანი და მხოლოდ ორი დიფთონგი ai და au. პირველი მათგანი იშვიათად გვხვდება და მის ნაცვლად, როგორც წესი, a იწერება. სხვა დიფთონგები გადმოიყვამო ერთი ან ორი ნიშნით (მაგ., oi: o-no = ὄνοι, ko-to-na, ko-to-i-na = κτισία, eu: qa-si-re-u = βασιλεύς). B-ხაზოვან დამწერლობაში არ განირჩევა მოკლე და გრძელი e, o; არ აღინიშნება ფშვინვა (გარდა ერთი შესაძლო გამონაკლისისა — a₂ = ha, ra₂ = rha/rya (?)); არ განსხვავდება λ-ρ, γ-κ-χ, φ-π, β-π, რაც ზოგ შემთხვევაში მინოსური დამწერლობის გავლენით შეიძლება აიხსნას და რაც ხშირად ძალზე პრობლემატურს ხდის ამა თუ იმ სიტყვის ამოცნობას. ამას ერთეის ისიც, რომ ბოლო თანხმოვნის (n, s) იგნორირებით ხშირად გაურკვეველი რჩება სიტყვის სქესი და ბრუნვა.

ამ ხარვეზების გვერდით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ B-ხაზოვანს სხვა სილაბურ დამწერლობებთან შედარებით გარკვეული უპირატესობებიც აქვს:

ა. სილაბურ ნიშანთა რაოდენობა ასს არ აღემატება,

ბ. ერთ სილაბოგრამას აქვს მხოლოდ ერთი ფონეტიკური მნიშვნელობა,

გ. სილაბოგრამები და იდეოგრამები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც გრაფიკულად, ასევე ტექსტში მათი ხმარებით.

ჩემი აზრით, დამწერლობის ეს თავისებურებები უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მას არ გაუვლია ბუნებრივი განვითარების გზა და მისი გაჩენა ერთი ადამიანის (ან ადამიანთა ერთი ჯგუფის) ერთჯერადი შემოქმედებითი აქტის შედეგია.

დღეისათვის B-ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშები აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: კრეგა – ენოსოსი (KN), ხანია (KH), არმენოი (AR), მალია (MA), მამელუკო (MAM); არგოლისი – მიკენი (MY), გირინსი (TI), მიდეა (MI); მესენია – პილოსი (PY); ატიკა – ელევსინი (EL); ბეოგია – თებე (TH), კრეუსისი (KR), ორქომენოსი (OR).³

შემორჩენილია ძირითადად თიხაზე დატანილი ტექსტები:⁴

ა. პალმის ფოთლის ან ფურცლის ფორმის თიხის ფირფიტებზე,

ბ. ვაზებზე,

გ. ყუთებისა თუ კალათების ლუქებზე და ეტიკეტებზე.

ფირფიტებსა და ეტიკეტებზე ნიშნები ჩაჭდებულია (ამოკაწრულია), ვაზებზე – ფუნჯითა და საღებავით დატანილი.

ჩვენამდე მოღწეულია დაახლ. 5000 ტექსტი. ტექსტები გამოუმწვარ თიხის ფირფიტებზე იწერებოდა და შემორჩა მხოლოდ იმ ხანძრების „წყალობით“, რომლებმაც სასახლეები გადაწვეს. ფირფიტები მომდინარეობენ სასახლეთა არქივებიდან (KN, KH, PY, MY, TH, TI) და დრო, რომელსაც ისინი მოიცავენ, განისაზღვრება ერთი წლით. შესაბამისად, ტექსტები სასახლის საბოლოო (ან ერთ-ერთი) დანგრევის წელიწადს განეკუთვნებიან და წარმოადგენენ რამდენიმე თვის ანგარიშებს სამეურნეო წლის დასაწყისიდან ხანძრამდე. ჯ. ჩედვიკის გამოთვლებით პილოსის სასახლე მარტში დაიწვა, ენოსოსისა კი მაის-ივნისში.⁵ ტექსტების დიდ ნაწილს მკვლევართა უმრავლესობა დაახლ. ძვ.წ. 1200 წლით ათარიღებს, როდესაც მიკენური რეზიდენციები რაღაც ერთიანმა კატასტროფამ შეიწირა. ენოსოსის არქივის დათარიღება საკამათოა. სასახლის გათხრებისას მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი, რათა საბოლოო არჩევანი გაკეთდეს სამ შესაძლებლობას შორის: ძვ.წ. XIV საუკუნის დასაწყისი, XIII საუკუნის დასაწყისი თუ XIII საუკუნის ბოლო. ყველა არქივის ამკარა ენობრივი ერთობა თითქოს ქრონოლოგიურ ერთობაზეც უნდა მეტყველებდეს, მაგრამ ზოგიერთი შინაარსობრივი განსხვავება ენოსოსისა და პილოსის ტექსტებს შორის, მაგ., მიწისმფლობელობის სისტემაში, ჩემი აზრით, უფრო განვითარების განსხვავებულ საფეხურებს ასახავს, ვიდრე განსხვავებულ

³ ტექსტების უახლესი გამოცემებია: KN – COMIK; KT 5; PY – PTT; MY, TH, TI – TITHEMY; TH – TFC; KH – Hallager, Vlasakis 1990: 24-34; Hallager, Vlasakis 1992: 61-87; სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი ვაზები – CIV.

⁴ 2000 წელს ბერნსტორფში (გერმანია) აღმოჩნდა ქარვის ორი ნივთი ზედ B-ხაზოვანი ნიშნებით (Moosauer, Bachmaier 2005: 7, 103ff.).

⁵ Chadwick 1976: 188f.

მიმართულებას.⁶ ვარდა ამისა, კნოსოსის ადმინისტრაცია თითქმის მთელ კუნძულს აკონტროლებდა, რაც მხოლოდ დიდი სასახლიდან იქნებოდა შესაძლებელი. ასეთი სასახლე ძვ.წ. XIV საუკუნის დასაწყისში ჩანს დანგრეული, შესაბამისად, კნოსოსის არქივის ტექსტებიც ამ დროს უნდა განეკუთვნებოდნენ. სავარაუდოა, რომ ძვ.წ. 1370 წელს კნოსოსის სასახლის დანგრევის შემდეგ მიკენური კრეტის დედაქალაქი ხანია იყო.

თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აქამდე ცნობილი ტექსტები ორასზე მეტი წლის განმავლობაშია შედგენილი.⁷ ყველაზე ძველი უნდა იყოს კნოსოსიდან მომდინარე ტექსტები, რომლებიც ე.წ. №124 ხელს ეკუთვნის (დაახლ. ძვ.წ. 1420-1400). დაახლ. ძვ.წ. 1375-1350 წლებით თარიღდება კნოსოსის დანარჩენი ტექსტები და ხუთი ტექსტი პილოსიდან (ხელი № 91). ხანიას, მიკენისა და თებეს ტექსტების დიდი ნაწილი დაახლ. ძვ.წ. 1280 წელს უნდა იყოს შედგენილი, ხოლო ფინალური კატასტროფის თანამედროვედ (დაახლ. ძვ.წ. 1200 წ.) შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე ტექსტი მიკენიდან და გირინსიდან, წარწერიანი ვაზების დიდი ნაწილი და პილოსის არქივის ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა.

B-ხაზოვანი დამწერლობა ძირითადად სასახლეებში გამოიყენებოდა. შესაძლოა, რომ მიკენში აღმოჩენილი ტექსტები სასახლის არქივს არ ეკუთვნოდნენ. მიუხედავად ამისა, ეს ტექსტები იმავე გიპისაა, რაც სასახლის არქივებში არსებული მიმდინარე ანგარიშები. სავარაუდოა, რომ ხანგრძლივად შესანახი ინფორმაცია იწერებოდა სხვა მასალაზე (პაპირუსი, ტყავი, ხე), რომელიც ბედის ირონიით მოსპო თიხის ფირფიტების გადამრჩენმა ხანძარმა. იმ მოსაზრებისათვის, რომ B-ხაზოვანი დამწერლობა მარტო მიმდინარე სამეურნეო ანგარიშების შესადგენად არ გამოიყენებოდა და სხვა ქანრის თუ გიპის ტექსტებიც უნდა არსებულიყო, მრავალი არაპირდაპირი საბუთი მოგვეპოვება. მათ შორის, წერა-კითხვის მცოდნეთა საკმაოდ დიდი რიცხვი სასახლეებში: პილოსისა და კნოსოსის არქივებში მეცნიერები განარჩევენ მრავალ ათეულ ხელწერას.⁸ სავარაუდოა, რომ ტექსტებს აღგენდნენ არა მხოლოდ პროფესიონალი მწერლები, არამედ თვით სხვადასხვა რანგის მოხელეებიც.⁹ ზოგს მხოლოდ ორიოდ ლოკუმენტის შედგენა თუ

⁶ Gordesiani 1995: 18 Anm. 68. იხ. აგრეთვე ქვემოთ.

⁷ Plath 1999, 245; Driessen 2008: 69ff.

⁸ მრავალი სტატიის ვარდა ამ საკითხს ორი მონოგრაფიაც მიეძღვნა: Olivier 1967; Palaima 1988. იხ. აგრეთვე Palaima 2011.

⁹ შტრ. მაგ., Plath 2000: 248.

უწევდა და, საეჭვოა, წერა-კითხვა მხოლოდ ამ მიზნით ესწავლა. შეიძლება გავიხსენოთ მინოსურ კრეგაზე A-ხაზოვანი დამწერლობის შედარებით ფართო გავრცელებაც და ჰომეროსის მინიშნებაც (γράψας ἐν πίνακι πικτᾶν (II. 6. 169) – „დაწერა რა დაკეცილ დაფაზე“), რომელიც ეგეოსის ზღვის აუზში უკანასკნელი აღმოჩენების შუქზე უფრო სანდოდ გამოიყურება: გროაში აღმოჩნდა ძვ.წ. XI ს.-ის საბეჭდავი ლუვიური იეროგლიფებით შესრულებული წარწერით, რომელიც „მწერალს“ ეკუთვნოდა; ხოლო სანაპიროს მახლობლად – ჩაძირული ხომალდი (ძვ.წ. XIV ს.), რომელსაც ძირითადად „საკანცელარიო საქონელი“ გადაჰქონდა.

ტექსტები არქივების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. მიკენში, თებესა და გირინსში ძალზე ცოტა ტექსტი გადარჩა. ტექსტების უდიდესი ნაწილი კრეგაზეა ნაპოვნი (ენოსოსის არქივი), მაგრამ ისინი ძალზე მოკლე და ფრაგმენტულია. პილოსის არქივი ყველაზე უკეთ არის შემონახული და ძირითად საყრდენს წარმოადგენს მიკენური საზოგადოების ზოგადი სურათის აღსადგენად.

შემორჩენილი ტექსტების თემატიკა სასახლის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ტექსტების შედგენის მიზანი მათ გაშიფერაბდეც გასაგები იყო. მოკლე, რამდენიმე სტრიქონიანი ტექსტები, იდეოგრამებითა და რიცხვითი ნიშნებით თითქმის ყოველი სტრიქონის ბოლოს მხოლოდ სამეურნეო ანგარიშები თუ იქნებოდა. სწორედ ხსენებული იდეოგრამების საფუძველზე ე. ბენეტმა მოახდინა მათი დაჯგუფება ე.წ. კლასებად. თითოეული კლასის მივინთ დამატებითი კრიტერიუმების (მაგ, ფირფიგის ფორმა და ზომა, მეორე იდეოგრამის ხმარება და სხვ.) გათვალისწინებით გამოიყო სერიები. ეს წმინდა მექანიკური დაყოფა საკმაოდ ზუსტად დაემთხვა შინაარსობრივსაც, რის გამოც ეს კლასიფიკაცია უმნიშვნელო ცვლილებებით დღემდე გამოიყენება. ყოველი ტექსტის ნომერი შედგება ოთხი ასოსა და ერთი რიცხვისაგან. პირველი ორი მთავრული ასო აღმოჩენის ადგილის შემოკლებაა, მესამე, ასევე მთავრული, კლასს აღნიშნავს, მეოთხე კი, უკვე პაგარა, მესამესთან ერთად – სერიას. რიცხვი ტექსტის საინვენტარო ნომერია.

ახალ გამოცემებში ვხვდებით შემდეგ სერიათა კლასებს:

აღამიანის აღმნიშვნელი იდეოგრამები (*100 – კაცი, *102 – ქალი) აერთიანებს A და B (PY: Aa, Ab, Ac, Ad, Ae, An, Aq; KN: Ag, Ai, Ak, Am, Ap, As; MY: Au; KN: B) კლასების სერიებს. რიგ შემთხვევაში, კაცისა და ქალის იდეოგრამებს თან ახლავს სხვა იდეოგრამებიც, რაც გათვალისწინებულია ტექსტის ამა თუ იმ

სერიისათვის მიკუთვნებისას. ეს ტექსტები შეიცავენ სხვადასხვა სახის სიებს დაწყებული გაურკვეველი დანიშნულებით შედგენილი მაღალი რანგის პირთა ჩამონათვალიდან და დამთავრებული სამხედრო. თუ სამუშაო რაზმების აღწერილობით. ადამიანის აღმნიშვნელი იდეოგრამები გვხვდება ასევე სხვა კლასების ტექსტებშიც, რომელთა კლასიფიკაციისათვის სხვა იდეოგრამები თუ დამატებითი კრიტერიუმები იქნა უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეული.

შინაური ცხოველების აღმნიშვნელი იდეოგრამები აერთიანებს C და D (PY: Cc, Cn, Cr; KN: Ca, Ce, Ch, Co, C; KN: Da, Db, Dc, Dd, De, Df, Dg, Dh, Dk, Dl, Dm, Dn, Do, Dp, Dq, Dv, D) კლასების სერიათა ტექსტებს, რომლებიც ასახავენ სასახლის აქტივობას მეცხოველეობის სფეროში.

მარცვლეულის აღმნიშვნელი იდეოგრამა განსაზღვრავს E (PY: Ea, Eb, Ed, En, Eo, Ep, Eq, Er, Es; KN: E; MY: Eu; TI: Ef; PY: Fa, Fg, Fn, Fr; KN: Fh, Fp, Fs, F; MY: Fo, Fu) კლასის სერიებს. ტექსტების შინაარსი მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მიწისმფლობელობის სისტემას, ასევე სასახლის შემოსავალ-გასავალს.

როგორც მარცვლეული, ასევე სხვა პროდუქტები, რომლებსაც იღებს ან გასცემს სასახლე გვხვდება F, G (PY: Fa, Fg, Fn, Fr, Gn; KN: Fh, Fp, Fs, F, Ga, Gg, Gm, Gv, G; MY: Fo, Fu, Ge, Go) კლასების სერიებში.

ლითონის – ბრინჯაოსა და ოქროს – იდეოგრამები განაპირობებენ ტექსტების გაერთიანებას J (PY: Ja, Jn, Jo) კლასის სერიებში.

განსაცმლის იდეოგრამა განსაზღვრავს L (PY: La; KN: Lc, Ld, Le, Le, Ln, L; MY: L) კლასს, ხოლო სხვადასხვა ჭურჭლის იდეოგრამები – T (PY: Ta, Tn) კლასს.

სხვადასხვა გიპის სამხედრო აღჭურვილობას მოიცავენ R, S (PY: Sa, Sh; KN: Ra, R, Sc, Sd, Se, Sf, Sg, Sk, So, Sp) კლასების სერიები.

დანარჩენი კლასებისათვის დამახასიათებელია: ა. იდეოგრამები, რომელთა ამოცნობა გრაფიკული მოხაზულობის საფუძველზე არ ხერხდება; ბ. მარცვლოვანი ნიშნით ან ლიგატურით გადმოცემული იდეოგრამები; გ. სხვადასხვა იდეოგრამების გიპიური კომბინაციები. რიგ შემთხვევაში, ტექსტების გაშიფურის შემდეგაც ამ იდეოგრამების მნიშვნელობის და, შესაბამისად, ტექსტების შინაარსის თუ სერიის თავდაპირველი დანიშნულების ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება.

K (KN: K); M (PY: Ma, Mb, Mn; KN: Mc, M); N (PY: Na, Ng, Nn; KN: Nc, Np); O (PY: Ob, On; KN: Oa, Od, Og; TH: Of; MY: Oe, Oi); P (PY: Pa, Pn; KN: Pp); Q (PY: Qa); R (KN: Ra, R); U (PY: Ua, Ub, Un; KN: Uc, Uf, U; TH: Ug; MY: Ue, Ui); V (PY: Va, Vn; KN: Vc, Vd, V; MY: V).

არქივში ერთად შენახული ლოკუმენტების საკლასიფიკაციო ეტიკეტები ერთიანდებიან W (PY: Wa, Wr; KN: Wb, Ws; MY: Wt),¹⁰ ხოლო მოხატულ ვაზებზე შესრულებული წარწერები – Z (PY: Za; TH : Z; MY: Z) კლასში. X (PY: Xa, Xn; KN: Xd, Xe, X; MY: X) კლასის სერიები მოიცავენ ძალზე დაზიანებულ, კლასიფიკაციის მიღმა დარჩენილ ტექსტებს.

ამგვარი კლასიფიკაცია საკმაოდ მოსახერხებელია. ერთი კლასის თუ სერიის კომპლექსური შესწავლა აიოლებს ტექსტების შინაარსში გარკვევას. ამავე მიზნით, უკანასკნელ ხანებში ტექსტებს აჯგუფებენ ასევე მწერლის ხელისა და აღმოჩენის ადგილის მიხედვით. ძალზე მნიშვნელოვანია ლოკუმენტაციის წარმოების ზოგად თავისებურებებში გარკვევა. ამა თუ იმ სიგყვის გამოყოფა მისი შედარებით დიდი ზომის ნიშნებით ჩაწერის ან იდეოგრაფით დუბლირების მეშვეობით, სიგყვების თანამიმდევრობა ფრაზაში, როგორც წესი, ტექსტის შედგენის მიზანდასახულებამე მიუთითებენ.

B-ხაზოვან ტექსტებზე მუშაობისას შემდეგი სირთულეებია გასათვალისწინებელი:

1. დამწერლობის სისტემა, რომელიც არაინდოევროპული „მინოსური“ ენისათვის შექმნილი A-ხაზოვანიდან მომდინარეობს, ცუდად ესადაგება ბერძნულ ენას, რის გამოც, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი სიგყვისა თუ კონტექსტის გაგება ჭირს;

2. ტექსტები ღებობდა არა მკითხველთა ფართო წრისათვის, არამედ სასახლის ადმინისტრაციის შინაური ხმარებისათვის. ამდენად, მწერალი ცდილობდა ზუსტად და ლაკონურად გადმოეცა ინფორმაცია, რის გამოც მისთვის გასაგები ბევრი ნიუანსი ტექსტებში ასახვას ვერ ჰპოვებდა;

3. ქრონოლოგიური ჩარჩოს სივიწროვის გამო ტექსტებში მოცემულია საზოგადოების „ფოტოგრაფიული სურათი“, რომელიც თითქმის არაფერს გვეუბნება საზოგადოებრივი განვითარების გენდენციებზე და მათი კვლევა უფრო მეტად ლოგიკური სპეკულაციების სფეროში რჩება.

¹⁰ ამ ტიპის ლოკუმენტებისა და მინოსურ-მიკენური საბეჭდავებისათვის იხ. მაგ., Palaima 1987: 249-266.

პილოსის არქივიდან მომდინარე ტექსტები Er 312, 880 და მათი ერთგვარად პარალელური Si 718 ძალზე მნიშვნელოვანია არა მარტო მიწისმფლობელობის სისტემის, არამედ ასევე სამეფოს უმენაესი ხელისუფლების სტრუქტურის დასადგენად.

Er 312

- .1 wa-na-ka-te-ro , te-me-no [
- .2 to-so-jo pe-ma GRA 30
- .3 ra-wa-ke-si-jo , te-me-no GRA 10
- .4 *vacat*
- .5 te-re-ta-o[]to-so pe-ma GRA 30
- .6 to-so-de , te-re-ta VIR 3
- .7 wo-ro-ki-jo-ne-jo , e-re-mo
- .8 to-so-jo , pe-ma GRA 6[
- .9 *vacat*

„მეფის ტემენოსი – ამდენი თესლი – ხორბალი 30, ლავაგეტის ტემენოსი – ხორბალი 10, ტელესტების ამდენი თესლი – ხორბალი 30, ტელესტი კი ამდენი – 3 კაცი, worokijonejo eremo – ამდენი თესლი – ხორბალი 6“¹

Er 880

- .1 e-]ke-ra₂[-wo ki-]ti-me-no , e-ke
- .2 sa-ra-pe-do[pe-]pa₂-te-me-no
- .3 to-so [] GRA 30[] *vacat*
- .4 to-so-de , []to² , pe-ma GRA 42[
- .5 to-sa , we-je[]1100[
- .6 to-sa-de , su-za[]1100[
- .7 *vacat*
- .8 ku-su-to-ro-qa , to-so , pe-ma 94
- .9-.10 *vacant*

„ეხელაონს აქვს ორი კტიმენა (ტიპის ნაკვეთი), სარაპედაში (?) ხეხილით გამუნებული (?)² ამდენი (თესლი) – ხორბალი 30[, ამდენი [] თესლი – ხორბალი 42[, ამდენი ეაზი – 1100 (ძირი), ამდენი ლელვის (ხე) – 1100. სულ ამდენი თესლი – 94“.

¹ ტექსტის უახლესი გამოცემები (ავტოგრაფია, გრანსლიტერაცია, გრანსკრიფტია, თარგმანი) – Bartonek 2003: 512f.; Duhoux 2008: 304ff.

² [a-ki-ti-]to (Chadwick 1987: 83).

³ Bartonek 2003: 514.

Un 718

- .1 sa-ra-pe-da , po-se-da-o-ni , do-so-mo
- .2 o-wi-de-ta-i , do-so-mo , to-so , e-ke-ra₂-wo
- .3 do-se , GRA 4 VIN 3 BOS^m 1
- .4 tu-ro₂ TURO₂ 10 ko-wo , *153 1
- .5 me-ri-to , V 3
- .6 vacat
- .7 o-da-a₂ , da-mo , GRA 2 VIN 2
- .8 OVIS^m 2 TURO₂ 5 a-re-ro , APERA V 2 *153 1
- .9 to-so-de , ra-wa-ke-ta , do-se ,
- .10 OVIS^m 2 me-re-u-ro , FAR T 6
- .11 VIN S 2 o-da-a₂ , wo-ro-ki-jo-ne-jo , ka-ma
- .12 GRA T 6 VIN S 1 TURO₂ 5 me-ri[
- .13 vacat [] 1 V 1

„სარაპედაში (?) პოსეიდონისთვის შესაწირი. აი, რა ნახეს: შესაწირი ამდენი ეხელაონმა მისცა: ხორბალი 4, ღვინო 3, ხარი 1, ყველი 10, ტყავი 1, თაფლი V3. შემდეგ დამოსმა: ხორბალი 2, ღვინო 2, ცხვარი 2, ყველი 5, ნელსაცხებლები V2, ტყავი 1. ამდენი ლაეაგეგმა შესწირა: ცხვარი 2, ფქვილი T6, ღვინო S2, შემდეგ worokijonejo kama(-დან): ხორბალი T6, ღვინო S1, ყველი 5, თაფლი.“

ხელწერისა (მწერალი 24) და გრამატიკული თავისებურებების მიხედვით Er 312 და 880 ერთი დოკუმენტის ნაწილები უნდა იყოს.⁴

ეს არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც იხსენიება მეფისა და მის შემდგომ მეორე პირის, ლაეაგეგის მულობელობა – τήμενος.

პირველ ყოვლისა, შეეხები იდეოგრამას *120 – GRA, რომელიც პილოსის არქივის E კლასის სერიების ტექსტებში მიწის ნაკვეთის მახასიათებლად გვევლინება. იგი, ისევე როგორც იდეოგრამა *121, უდავოდ აღნიშნავს რომელიღაც მარცვლულ კულტურას – ხორბალს ან ქერს,⁵ რომელიც მიეკნურ სამყაროში მოცულობით იზომებოდა.

⁴ Palmer 1963: 216.

⁵ აღნიშნული იდეოგრამების პირობითი მნიშვნელობები (*120 – ხორბალი, *121 – ქერი) ჯერ კიდევ მ. ვენტრისმა შემოგეთაყაზა (Ventris 1954: 5). PY An 128 ტექსტის საფუძველზე, სადაც თითქოს ჩანს ამ იდეოგრამებით აღნიშნული მარცვლულის ღირებულებათა შეფარდება 1:2. ლეონარდ ჯალმერმა მხარი დაუჭირა მის მოსაზრებას (Palmer 1963: 96). აქედან მომდინარეობს იდეოგრამების ლათინური სახელები: *120 – GRAnum, *121 – HORDeum. საკითხის მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე, რთუ ჯალმერმა საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენა, რომ იდეოგრამებმა მნიშვნელობები უნდა გაცვალონ (Palmer 1992). ჩემთვის ეს საკითხი არ არის იმდენად პრინციპული, რომ შეეცალო იდეოგრამების დადგენილი სახელწოდებები, ხოლო ქართულ

დადასტურებულია შემდეგი ერთეულები: GRA, T, V, Z. ეს უკანასკნელი მიწისმფლობელობის ამსახველ გექსტებში არ გვხვდება. მათ შორის ასეთი შეფარდებაა: $GRA = 10 T$, $T = 6 V$, $V = 4 Z$. ჯ. ჩელვიკი აღნიშნავს, რომ ერთეულთა შეფარდებებით მიკენური საწყაო კლასიკური ხანისას უახლოვდება. გარდა ამისა, არქეოლოგებს მრავლად აქვთ აღმოჩენილი მიკენური ჭურჭელი, რომლის მოცულობა კლასიკური ხანის მცირე ერთეულისას შეესაბამება. ამ ერთეულისათვის მკვლევრები გვთავაზობენ ორ სხვადასხვა შესაძლო მნიშვნელობას და, შესაბამისად, მიკენური დიდი ერთეული, რომელსაც ჯ. ჩელვიკი მედიმნად მიიჩნევს, შეიძლება მოიცავდეს 93,1 ან 64,8 ლიტრ მარცვალს.⁶ სხვადასხვა გამოთვლებით მიკენური მედიმნისათვის გვთავაზობენ ასევე სხვა რიცხვით მნიშვნელობებსაც: 120, 60, 48 ლიტრი,⁷ 90 ლიტრი.⁸ პილოსსა და კნოსოსში გაცემული რაციონების (თუ ნაგურალური ანაზღაურების) შესწავლის საფუძველზე რ. ჯალმერი მხარს უჭერს ჯ. ჩელვიკის მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ ვარიანტს – 96 ლიტრი,⁹ რაც საკმაოდ დამაჯერებლად მიმაჩნია.

PY E კლასის გექსტებში მიწის ნაკვეთის მახასიათებლად გამოდის ფორმულა e-ke to-so-de pe-mo GRA (ან მისი შემოკლებული ვარიანტი e-ke GRA), რაც სიგყვა-სიგყვით შემდეგს ნიშნავს: „აქვს ამდენი თესლი“. pe-mo ან pe-ma (მდრ. PY Er, აგრეთვე KN Ga, სადაც იგი ქინძის თესლს აღნიშნავს) – $\sigma\acute{\epsilon}\rho\mu\alpha$ – „თესლი“ გაიგივება ეკუთვნის ელ. ბენეტს¹⁰ და ის საყოველთაოდაა გამოიარებული. ისმის კითხვა, რა მნიშვნელობით იხმარება ეს ფორმულა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით?

მ. პარუსი მიმოიხილავს სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებებს გერმინ pe-mo-ს შემცველი გექსტების დანიშნულების შესახებ და ასე აჯგუფებს მათ:¹¹

a) pe-mo-ს პირდაპირი გაგებიდან გამომდინარე გექსტებში უნდა ასახულიყო:

1. სასახლის მიერ მარცელის იჯარით გაცემა მომხმარებლის-

თარგმანში ნეიტრალურ „მარცვალს“ ვამჯობინებ.

⁶ Chadwick 1976: 105.

⁷ Paroussis 1985: 45.

⁸ Was 1977: 35.

⁹ Palmer 1989: 115. ი. დიუუ, არა მარტო იზიარებს ამ აზრს, არამედ გექსტების თარგმანში პირდაპირ ცელის დიდ საწყაო ერთეულს 96 ლიტრით (Duhoux 2008).

¹⁰ Bennett 1956: 119.

¹¹ Paroussis 1985: 44.

თვის,¹²

2. სასახლის ბელელში სათესლე მარცვლის მომარაგება,¹³

3. მარცვლის ყოველწლიური მოსავალი,¹⁴

4. სასახლისათვის გადასახადი.¹⁵

ბ) pe-mo- სიმბოლური მნიშვნელობით შეიძლება გამოიყენებო-
ლოს:

1. მიწის კადასტრში,¹⁶

2. ფართობის საზომ ერთეულად.¹⁷

PY E კლასის გექსტების უმრავლესობისათვის თვითონ მ. პარუსი ამ უკანასკნელ ვარიანტს იზიარებს.¹⁸ ცხადია, რომ ზოგ შემთხვევაში GRA მარცვლის რეალურ რაოდენობას აღნიშნავს. ასეთებია სხვადასხვა შესაწირების თუ გადასახადების (მაგ., do-so-mo: PY Es 644 +, o-pa: KN E, F¹⁹), მოსაელის (a-ma: KN E, F), რაციონების (PY Ab) აღმწერი გექსტები. მაგრამ ამ გექსტებში გერმინი pe-mo არ გვხვდება. ფორმულა pe-mo GRA გვხვდება მხოლოდ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით და უნდა აღნიშნავდეს დასათესი მარცვლის რაოდენობას.²⁰ მიწის ნაკვეთის დასახასიათებლად რომ მართლა დასათესი მარცვლის რაოდენობა გამოიყენება და არა მოსავალი, ნათლად ჩანს თუნდაც PY Es სერიიდან. we-da-ne-wo do-e-ro-ს აქვს GRA T 4 (Es 650.6), ხოლო მისი გადასახადების თუ შესაწირების ჯამი (Es 644.6 + Es 703) არის GRA T 4 V 5. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნით შედგენილებად ჩავთვლით მიწისმფლობელობის სისტემის ამსახველ გექსტებს, ზემოხსენებული ფორმულა e-ke to-so-de pe-mo GRA შეიძლება:

1. არ წყვეტდეს კავშირს რეალობასთან და აღნიშნავდეს კონკრეტულ ნაკვეთზე დასათესად საჭირო მარცვლის რაოდენობას, შესაბამისად წარმოდგენას გვიქმნიდეს მხოლოდ ნაკვეთის მოსალოდნელ პროდუქტიულობაზე;

2. მიუთითებდეს ნაკვეთის ფართობზე.

მეცნიერთა ნაწილი მხარს უჭერს პირველ ვარიანტს. ჯ. ჩელვიკი,

¹² Docs²: 236.

¹³ Brown 1956: 388.

¹⁴ Furumark 1954: 37.

¹⁵ Webster 1960: 90; Docs²: 238.

¹⁶ Masai 1967: 114.

¹⁷ Bennett 1956: 119; Docs²: 130-132, 236-237; Palmer 1963: 100; Deroy, Gerard 1965: 11-12; Mele 1979: 27.

¹⁸ Paroussis 1985: 44.

¹⁹ გერმინის სხვადასხვა ინტერპრეტაციისათვის იხ. მაგ., DMic II: 30sq.; ასევე ქვემოთ.

²⁰ Bennett 1956: 119.

თუმცა თითქოს მეორე შესაძლებლობისაკენ იხრება, აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ხარისხის მიწებზე დასათესი მარცელის რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რის გამოც მიწის საზომი მიკენური ერთეულის რეალური მნიშვნელობის დადგენა შეუძლებელია.²¹ გ. პოლიაკოვა თავისი მონოგრაფიის დიდ ნაწილს აგრარულ ურთიერთობებს უძღვნის, მაგრამ ამ საკითხზე ცალკე არ ჩერდება. მისი დამოკიდებულება ზემოხსენებული ფორმულის შინაარსის მიმართ ჩანს wo-ro-ki-ji-no-e-jo e-re-mio ნაკვეთის ხასიათის დადგენისას. e-re-mio ნიშნავს უკაცრიელ, უდაბურ ადგილს, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ნაკვეთი დასათესი მარცელის რაოდენობით იზომება, მკვლევარი ვარაუდობს, რომ აქ სახნავ მიწასთან უნდა გვექონდეს საქმე.²²

ჩემი აზრით, მიწის საზომ მიკენურ ერთეულებს არ უნდა ჰქონდეთ კავშირი ამა თუ იმ ნაკვეთზე დასათესად რეალურად საჭირო მარცელის რაოდენობასთან და ისინი უნდა წარმოადგენდნენ განსაზღვრულ ფართობის ერთეულებს. ასეთი მგვიცების საფუძვლად მიმაჩნია ორი რამ:

1. პილოსის არქივიდან მომდინარე გექსტები, რომლებიც მიწის-მფლობელობის სისტემას ასახავენ, საკმაოდ მრავალფეროვანია. სავარაუდოა, რომ გექსტების ცალკეული სერიები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო მათში ასახული სიტუაციით, არამედ ასევე მათი შედგენის პრინციპით, დანიშნულებით.²³ ასეთ ვითარებაში უფრო ბუნებრივი ჩანს უნივერსალური საზომი ერთეულების გამოყენება.

2. გექსტიდან PY Er 880 ვიგებთ, რომ e-ke-ra₂-wo-ს აქვს ორი ნაკვეთი და ბალ-ვენახი, „ამდენი თესლი: GRA 30[, ამდენი თესლი: GRA 42[, 1100 ძირი ვაზი და 1100 ლეღვის ხე. სულ თესლი: 94“. მიუხედავად იმისა, რამდენი ერთეული დაემაგება e-ke-ra₂-wo-ს სახნავი მიწების ფართობს (ლ.რ. პალმერი, პ. დე ფილიო და ჯ. ჩელევიკი²⁴ ავსებენ 94-მდე, შესაბამისად, 52+42 და 50+44, ხოლო პილოსის გექსტების კორპუსში აღნიშნულია, რომ მხოლოდ მეორე ნაკვეთის ზომა – 42 შეიძლება გაიზარდოს 54-მდე²⁵), საბოლოო ჯამში, გამოყვანილი დასათესი მარცელის რაოდენობით, მოიცავს ვენახსაც და ხეხილის ბაღსაც. ამ აზრისაა ს. პილერიც, რომელიც უფრო მორსაც მიდის და მიიჩნევს, რომ KN Gv გექსტებში

²¹ Chadwick 1976: 110.

²² Полякова 1978: 92.

²³ Полякова 1978: 16.

²⁴ Palmer 1963: 216; de Fidio 1977: 77; Chadwick 1987: 83.

²⁵ PTT I: 136.

აღწერილი ხეხილის ბაღების ფართობი გექსტში KN E 849 GRA ერთეულებითაა გადმოცემული.²⁶ ჯ. ჩედვიკის შედარებით ძველ მონაცემებს (1 მედიმნი = 96 ლიგრს) ეყრდნობა ი. დიუუ მიკენური მიწის საზომი ერთეულის დასადგენად.²⁷ შესადარებლად მას მოჰყავს ერთ ჰექტარზე დასათესად საჭირო ხორბლის რაოდენობა კასიგების ხანის მესოპოტამიაში (31,8ლ.) და კლასიკურ საბერძნეთში (175ლ.). აგეორის აზრით, ჩვენი საძიებელი რიცხვი უნდა იყოს, შესაბამისად, არანაკლებ 5485 კვ.მ-ისა და არაუმეტეს 30180 კვ.მ-ისა. გექსტი KN F 852 აფიქრებინებს მას, რომ პირველი მნიშვნელობა უფრო ახლოს უნდა იყოს მიკენურ სინამდვილესთან. აქედან გამომდინარე, მიკენური მედიმნი 5485 კვ.მ ფართობის ნაკვეთს შეესაბამება. მ. პარუსი კრიტიკის გარეშე იღებს ამ რიცხვს და პირობით ამრგვალებს მას 0,6 ჰა-მდე.²⁸ ჩემი აზრით, ეს რიცხვი ძალზე დაბალია. ყველაზე მცირე ნაკვეთის ფართობი მხოლოდ 100 კვ.მ გამოდის და ეს ზომა კიდევ უფრო შემცირდება, თუ მიკენური მედიმნი 65, 60 ან სულაც 48 ლიგრ მარცვალს შეიცავდა. არც გექსტის KN F 852 დამოწმება მარწმუნებს ი. დიუუს მიერ შემოთავაზებული რიცხვის სისწორეში. იქ ვკითხულობთ: da-wo a-ma e-pi-ke-re GRA 10000 – „da-wo-ში მოწეული მოსავალი, GRA 10000“. da-wo იყო მიკენური კრეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი.²⁹ შესაძლოა, გექსტში აღნიშნული რაოდენობა მარცვლისა მის ოლქში მოეყვანათ. არ არის გამორიცხული, რომ ეს მარცვალი რამდენიმე ოლქიდან შეეგროვებინათ. ამდენად, da-wo-ში შეგროვილი მარცვლის რაოდენობასა და ერთ ჰექტარზე დასათესი მარცვლის ნორმას შორის უმუშალო კავშირს ვერ ვხედავ. გ. პეტინატოსა და პ. ეეტკოლდის გამოკვლევაში მოგანილია ცხრილი, რომლიდანაც ჩანს, რომ შუამდინარეთში მარცვლეულის ხარჯი ლაგაშის პირველი დინასტიის ხანიდან ახალბაბილონურ ხანამდე 28,6 ლ/ჰა-დან 114,5 ლ/ჰა-მდე გაიზარდა და ეს გენდენცია საერთოა ხორბლისა და ქერისათვის.³⁰ სავარაუდოა, რომ საბერძნეთშიც მსგავსი გენდენცია ყოფილიყო და კლასიკური ხანის ნორმა 175 ლ/ჰა პილოსის სამეფოსას არ უნდა შეეფერებოდეს. პირობით შეიძლება

²⁶ Hiller 1983 : 192; Palmer 1992 : 493.

²⁷ Duhoux 1974 : 275qq.

²⁸ Paroussis 1985 : 45.

²⁹ II ათასწლეულის კრეტის გეოგრაფია საფუძვლიანად და მრავალმხრივ არის განხილული მონოგრაფიაში: McArdlur 1993. პილოსის სამეფოს გეოგრაფიისათვის იხ. მაე, Parker 1993.

³⁰ Petinato, Waetzold 1975: 281.

ჩავთვალთ, რომ B-ხაზოვანი ტექსტების to-so-de pe-mo GRA 1 = 1 პა. ასეთი დაშვების ირიბი საბუთი შეიძლება შემოსხენებულ Er 880 ტექსტშიც დაინახოთ. ლელის ხეებისა და ვაზის ძირების რაოდენობათა შეფარდება აფიქრებინებს ს. პილერს, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ხეილის კულტურებს მიკენურ სამყაროში, რომ ტექსტში შერეული ბალ-ვენახია მოხსენიებული, სადაც თითო ხემე თითო ძირი ვაზია აშვებული.³¹ მსგავსი ბალებისათვის ნორმა პექტარზე 80-დან 150 ხემდე მერყეობს, რაც ჩვენს შემთხვევაში 7,3-დან 13,75 პა-მდე ფართობს შეესაბამება. საყურადღებოა, რომ საშუალო რიცხვი – 10 პა ემთხვევა განსხვავებას ტექსტში მოცემულ ჯამურ ფართობსა (94) და შედარებით მიუკერძოებლად აღდგენილ სახნავი მიწების ფართობს³² შორის: 94 – 84 = 10.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგი მკვლევრის აზრით, დასათვისი მარცელის რაოდენობა ფართობის საზომ ერთეულად კნოსოსის არქივშიც გამოიყენებოდა. ჩემთვის ეს დაშვება არ არის მიუღებელი, თუმცა მეგ დასაბუთებას მოითხოვს. კნოსოსის Uf სერიის ტექსტებში საზომ ერთეულად გამოიყურება ილეოგრამა DA. ნაკვეთები ძირითადად DA 1-ით აღინიშნება. ზოგ შემთხვევაში მას თან ახლავს PA 1, რაც DA-ს წილად (მეოთხედი ან მეექვსედი) არის მიჩნეული.³³ PA, შესაძლოა შეესაბამებოდეს plethron – *πλάθειον-ს, რომლის ზომებიც კლასიკურ საბერძნეთში 7,23-დან 12,75 აკრამდე მერყეობდა. ზოგ შემთხვევაში მფლობელობის მახასიათებლად გვხვდება აგრეთვე DA 5, DA 7. შესადარებლად მოვიყვან ტექსტს PY An 830+907.6 : ko-re-te-ri-jo ke-ke-me-no DA 30. ეს მონაცემები თითქოს მხარს უნდა უჭერდეს ი. დიუს მოსაზრებას DA ილეოგრამის საზომ ერთეულად გამოყენების შესახებ. ეს ილეოგრამა უნდა შეესაბამებოდეს სიგყვას δάμαρ, რაც, შესაძლოა, ცოლსაც, ოჯახსაც და საოჯახო მეურნეობასაც ნიშნავდა. სავსებით დასაშვებია, რომ ამ უკანასკნელი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ილეოგრამას გარკვეულ ეგაპზე საშუალო მეთემის ნაკვეთის ფართობის გადმოცემის ფუნქცია შეეძინა. ი. დიუს ტექსტზე PY En 609 დაყრდნობით აღგენს მის ზუსტ მნიშვნელობასაც: DA 1 = 0,46/0,5 პა.³⁴ რაც შეეხება ტექსტს PY En 609, მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვემოთ შევხები. აქ მხოლოდ აღინიშნავ, რომ მის

³¹ Hiller 1983: 195.

³² 30+42+[12] შტრ. ზემოთ.

³³ იხ. მაგ., Duhoux 1974 : 34sqq.; Hiller 1983 : 177

³⁴ DA=0,9 GRA (Was 1977: 35).

დასაწყისში დადასტურებული da-ma-te DA 40 En სერიის ჯამსაც შეიძლება გვაცნობდეს და En-Ep სერიათა წყვილისასაც. მაშინ DA 1 = GRA 2 T 4.³⁵ მაგრამ სულ სხვა სურათს ხედავთ გირინსიდან მომდინარე ერთ ფრაგმენტულ ტექსტში TI Ef 2: Iq-u-ko-ro DA 1 to-sa-pe-mo GRA 6.³⁶ შესაბამისად, ეს იდეოგრამა კონკრეტულ საბომ ერთეულს არ უნდა წარმოადგენდეს.

ლოკუმენტში Er 312+880 ჩამოთვლილ პირთა ნაწილი გვხვდება ასევე ტექსტში Sn 718, რომელიც ამ პირთა მიერ პოსეიდონისათვის გადახდილ შესაწირს აღნუსხავს. ორი ტექსტის პერსონაჟებს შორის საგულისხმო დამთხვევა-განსხვავებების სწორ ინტერპრეტაციაზე ბევრი პრობლემის გადაჭრაა დამოკიდებული.

განვიხილოთ ტექსტებში ჩამოთვლილ პირთა ვინაობა.

1. wa-na-ka – ἄναξ პილოსის მეფე უნდა იყოს.³⁷ ეს გერმინი ტექსტებში საკმაოდ იშვიათად გვხვდება და ღვთაების მიმართაც შეიძლება იყოს ნახმარი. განსახილველი ტექსტის გარდა კიდევ მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება მეგ-ნაკლები დარწმუნებით ითქვას, რომ რეალურ მმართველთან გვაქვს საქმე.³⁸ იგი ნიშნავს მოხელეს (Ta 711)³⁹ და ათავისუფლებს სოფელს გადასახადისაგან (Na 334).⁴⁰ ინფორმაცია ძალზე მწირია იმისათვის, რომ მის ფუნქციებსა და ხელისუფლებაზე ვიმსჯელოთ. ჩვენს ცოდნას აქაველ მეფეთა შესახებ არქეოლოგიური მასალა და მითო-პოეტური ტრადიცია ავსებს. მეფეები ფლობდნენ დიდ ქონებას, იყვნენ მათი ბრწყინვალე სასახლეების სრულუფლებიანი პატრონები და მემკვიდრეობით გადასცემდნენ ხელისუფლებას, რომელიც გარკვეულად შეზღუდული იყო უხუცესთა საბჭოსა და სახალხო კრების მიერ. ამ ორგანოთა შესაბამისი გერმინები ke-ro-si-ja (κερουσία) და da-mo (δάμοϛ) B-ხაზოვან ტექსტებშიც დასტურდება, მაგრამ არა სამეფოს, არამედ მისი ცალკეული ოლქებისა თუ

³⁵ შტრ. Ruijgh 1987: 319.

³⁶ ტექსტი მოტანილია შემდეგი გამოცემების მიხედვით: *TITHEMY*; Hooker 1983: 150.

³⁷ ეს შეხედულება თითქმის საყოველთაოდაა გამოარებული. იხ. მაგ., Shlmerdine 2008: 127ff. შტრ. Hooker 1979: 111; Hooker 1987: 259, სადაც უარყოფილია ანაქსის პილოსის მეფედ წარმოდგენის იდეა და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ტიტულის მაგარებელი სამეფოში რამდენიმე უნდა ყოფილიყო, „დიდი ანაქსით“ – მეფით სათავეში.

³⁸ კ. ეუნდსამი მიიჩნევს, რომ ეს გერმინი ყველა კონტექსტში მხოლოდ მეფეს აღნიშნავს (Wundsam 1968: 39).

³⁹ ტექსტის შესაძლო ინტერპრეტაციათა მიმოხილვისათვის იხ. მაგ., Полякова 1978: 218. აქ მოტანილი ინტერპრეტაცია ეკუთვნის ე.პ. ოლივიეს (Olivier 1967a) და ღვთისათვის დისკუსიას აღარ იწვევს (Shlmerdine 2008: 128).

⁴⁰ ტექსტის ამგვარი ინტერპრეტაციისთვის იხ. Docs²: 300.

თემების ღონეზე. არქივში საქმის წარმოების თავისებურებები გვაფიქრებინებს, რომ ფორმალურად სასახლის ოიკოსური მეურნეობა არ იყო სახელმწიფო მეურნეობისაგან გამიჯნული.⁴¹ ჩემი აზრით, შეიძლება მეფის, სასახლისა და სახელმწიფოს ინტერესები გაავიგივოთ⁴² და მეფის ხელისუფლების ფარგლები და ფუნქციები არქივის თემატიკით განვსაზღვროთ – არქივში ფიქსირებული ყველა სფერო საზოგადოებრივი ცხოვრებისა მეფის მიერ უნდა ყოფილიყო მართული ან კონტროლირებული. თუ ამ დებულებას გავიმიარებთ, პილოსის მეფის შემდეგი ფუნქციები შეიძლება გამოვყოთ: სახელმწიფო საკუთრების უზენაესი მესაკუთრე, მთავარსარდალი, უზენაესი ქურუმი და, ალბათ, უზენაესი მოსამართლე.⁴³

2. ra-wa-ke-ta – λαφαγέτας პილოსში მეფის შემდგომ ყველაზე დაწინაურებულ პირად გვევლინება. რას ემყარება ეს მტკიცება? პირველ ყოვლისა, მხოლოდ ამ ორ პირს აქვს მიწის განსაკუთრებული ნაკვეთი – τέμενος, მხოლოდ ამ ორი პირისადმი კუთვნილებით შეიძლება იყოს მოხსენიებული თავისუფალი კაცი, მიწისმფლობელი. ra-wa-ke-ta (λαφαγέτας) ჩანს კულტის სფეროშიც (Un 219, Un 718), გარკვეულად დაკავშირებული იყო ფლოტთან (An 724), სახელმწიფო გადასახადებთან (Na 245, Mb 140). ტექსტების თანახმად, თითქმის სრული პარალელიზმია მეფისა და ლავაგეტის ფუნქციებს შორის: ლავაგეტი მეფესთან ერთად გვხვდება, მსგავს კონტექსტებში და მხოლოდ ქონების მახასიათებელი რიცხვითი მონაცემებით ჩამოუვარდება მას. მათზე დამოკიდებული ჩანს სხვადასხვა ხალხი, რომელთა მფლობელობის სტატუსი და ლოკალიზაცია განსხვავებულია.

შედგენილი ტერმინის (λαός + ἄρχω) სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა „ლაოსის, ხალხის წინამძღოლი“ უნდა იყოს. ტიტული მის სარღლობაზე უნდა მიუთითებდეს.⁴⁴ მეფის შემდგომ მეორე პირი,

⁴¹ Полякова 1978: 268.

⁴² Deger-Jalkotzy 1983: 100.

⁴³ შლრ. PY Ep 704.5.6/Eb 297, სადაც არის მინიშნება სამართლებრივ ღვაწლურად იხ. ქვემოთ.

⁴⁴ იხ. მაგ., Docs²: 300; Palmer 1963: 83; Heubeck 1966: 65; Kerschensteiner 1970: 43; DMic II: 230 sqq. იქვე ბიბლიოგრაფია. პ. ვან ეუანგერი წინააღმდეგია მიკენური ტექსტებისა და პომეროსის ლაძ-ის სამხედრო ფენად გაგებისა. მისი აზრით, ეს ტერმინი არასოდეს აღნიშნავდა თავისუფალი, სამხედრო ვალდებულების მქონე მოსახლეობის ერთობლიობას. პომეროსთან ის უფრო „პრობოს“ შესატყვისი უნდა იყოს, რითიც უახლოვდება ელინისტური ხანის მნიშვნელობას. ამდენად, ეჭვს ქვეშ დგება ლავაგეტის სამხედრო ფუნქციაც (van Effenterre 1977: 365sq.; შლრ. აგრეთვე Полякова 1978: 223). ჯ. ჰუკერიც მიიჩნევს, რომ ლაძ ზოგადად ხალხს ნიშნავს, და

სარდალი, შესაძლოა მემკვიდრე უფლისწული ყოფილიყო.⁴⁵ ფ. გმნიტყერის აზრით, ლაეაგეგი ხალხის მოხელეა და არა მეფის.⁴⁶ კიდევ უფრო აღრმავებს წინააღმდეგობას მეფესა და „ხალხის წინამძღოლს“ შორის კ. ეუნდსამი, რომელიც მიიჩნევს, რომ ლაეაგეგი იყო არა სარდალი, არამედ არისტოკრატიის (ლადჯ) წარმომადგენელი, მისი ინტერესების დამცველი სამეფო დინასტიის წინაშე. შესაბამისად, პარალელიზმს მეფისა და ლაეაგეგის ფუნქციებს შორის მეკვლევაო სსნის არისტოკრატიის მისწრაფებით აკონტროლებდეს მეფეს.⁴⁷

ჩემი აზრით, ამა თუ იმ მოხელის მდგომარეობის განსაზღვრისას შეუძლებელია გარკვეული ლოგიკური სპეკულაციების თავიდან აცილება, თუ თვით გერმინიც (ანუ მისი მნიშვნელობა კლასიკურ ბერძნულში) და B-ხაზოვან ტექსტებში მისი ხმარების კონტექსტებიც ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებენ მის ფუნქციაზე. აღსანიშნავია, რომ მიკენურ სამყაროში და, კერძოდ, პილოსში, სამხედრო, საერო თუ სასულიერო ხელისუფლება არ უნდა ყოფილიყო გამიჯნული. მოხელეებს მრავალი განსხვავებული ფუნქცია ჰქონდათ და ტექსტები არ გვეხმარებიან იმის გარკვევაში, ამა თუ იმ თანამდებობას ძირითადად რა საქმე შეესაბამებოდა. სამეფოს მცირე მასშტაბის გამო ზოგიერთი დიდმოხელე შედარებით უმნიშვნელო დავალებებსაც ასრულებდა, რაც ასევე ართულებს სასახლის ადმინისტრაციაში ზუსტი იერარქიის დადგენას. იგივე ლაეაგეგის გამორჩეული მდგომარეობა ძირითადად ერთი ტექსტიდან (Er 312) ჩანს. სხვა ტექსტებში იგი ერთ-ერთ წარჩინებულთაგანად გვევლინება.

მეფის შემდგომ მეორე პირი, თითქმის გათანაბრებული მეფესთან, თეორიულად შეიძლება იყოს:

- ა. უზენაესი ქურუმი;
- ბ. ტახტის მემკვიდრე;
- გ. მხედართმთავარი;
- დ. არისტოკრატიის წინამძღოლი, მეფის ღესპოტიის შემზღვევის გარანტი;
- ე. დაპყრობილი პოლიტიკური ერთეულის დინასტიის წარმომადგენელი, რომელიც მორჩილების საფასურად ინარჩუნებს

არა ჯარს. გერმინის ამგვარი გააზრება და, შესაბამისად, ლაეაგეგის სამხედრო ფუნქცია უფრო დიუმეზილის თეორიის გამოყენების სურვილიდან უნდა მომდინარეობდეს, ვიდრე ტექსტებიდან (Hooker 1987: 262).

⁴⁵ შლრ. Chadwick 1967: 112; Ruijgh 1987: 321.

⁴⁶ Gschnitzer 1981: 16.

⁴⁷ Wundsam 1968: 58ff.

უფლებათა გარკვეულ ნაწილს.⁴⁸

გამომდინარე იმავე ლოგიკიდან, რომელსაც მეფის ფუნქციების გასარკვევად მიემართეთ, მიმაჩნია, რომ სამეფო არქივის დიდი ინტერესი ლავაგეგისა და მისი „ქვეშევრდომების“ მიწებისადმი მათზე მეფის ხელისუფლების გავრცელებას უნდა ნიშნავდეს. ამ მოსაზრებას კარგად ეთანხმება გექსტი KN As 1516, რომლის მიხედვითაც, კრეგაზე ლავაგეგის რეზიდენცია ღელაქალაქში, კნოსოსში იყო. აქ მას იგივე მდგომარეობა უნდა ჰქონოდა, რაც სხვა ქალაქებში ბასილევსებს.⁴⁹ თუ პილოსის სამეფოში აქაველი მეფისა და აქაველთავე დამოუკიდებელი არისტოკრატიის თავკაცის თანამშრომლობა კიდევ დასაშვებია, მიკენელთა მიერ დაპყრობილ მინოსურ კრეგაზე ანალოგიური ურთიერთობების წარმოდგენა ძნელია. შესაბამისად, ლავაგეგი, თუ ოდითგანვე არა, გექსტების შედგენის მომენტისათვის მაინც, მეფის მოხელე უნდა ყოფილიყო.

თუმცა ლავაგეგი საკულტო, უფრო სწორად, საკულტო-სამეურნეო გექსტებშიც ჩანს, მისი მონაწილეობა ამ სფეროში ძირითადად პოსეიდონთანაა დაკავშირებული, ხოლო მეფეს პილოსის სხვა მნიშვნელოვან ღვთაებებთან ერთადაც ვხვდებით. საკულტო პერსონალის, ღმერთების კუთვნილი მიწის, საქონლისა და სახელოსნოების, ღვთაებათა და ქურუმთათვის გაღებული შესაწირის ღებალური აღნუსხვა არქივის მიერ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ უზენაესი ქურუმი თვით მეფე იყო.

პილოსის არქივის გექსტებში არ გვხვდება სამეფოს მთლიანი ლაშქრის აღწერილობა, შესაბამისად, არ გვაქვს პირდაპირი ცნობები, თუ ვინ იღვა მის სათავეში. მაგრამ აქაც, სასახლის ინტერესი საბრძოლო აღჭურვილობისადმი, სასაზღვრო რაზმებისა და ფლოგისადმი, ასევე ბერძნული ისტორიული გრადიციისა და არქეოლოგიის მონაცემები მეფის სასარგებლოდ მეტყველებენ. თუმცა, წარჩინებულთა ძირითადი საქმე მიკენურ საბერძნეთში ომი იყო და, ამდენად, ლავაგეგს აუცილებლად ექნებოდა სამხედრო ფუნქციები. ის ლაშქრის ერთ-ერთი წინამძღოლთაგანი მაინც უნდა ყოფილიყო, შესაძლოა, მეფის მოადგილე მთავარსარდლის პოსტზე.

გექსტებში არ არის არავითარი მითითება რამე ნათესაურ კავშირზე მეფესა და ლავაგეგს შორის, მაგრამ ეერც ამის საწინააღმდეგო ცნობას ვხვდებით. პირიქით, როგორც ცნობილია,

⁴⁸ შტრ. ვაშაკიძე 1991: 127 შმდ.

⁴⁹ ამ გექსტის საფუძველზე, რ. კასტლედენი კრეგის რეალურ მმართველად სწორედ ლავაგეგს მიიჩნევს, ხოლო ანაქს მხოლოდ საკრალური მეფის ფუნქციას მიაწერს (Castleden 1994: 24), მაგრამ ბერძნულ სამოგალოებაში ამგვარი რამ მისალოდნელი არ არის.

სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს სამეფო კარზე, ჩეულებრივ, მაღალი თანამდებობები ეკავათ, ხოლო პომეროსის თანახმად, ხანდაზმული მეფის ნაცვლად აქაველთა გაერთიანებულ ლაშქარში თავიანთი რაზმები უფლისწულებს მიჰყავდათ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩემი აზრით, ლავაგეტი მეფის მოხელე უნდა ყოფილიყო, შესაძლოა, სარდალიც და ტახტის მემკვიდრეც.

მ. ლინდგრენის აზრით, რასაც მ. დეგერ-იალკოცი იზიარებს, პილოსის ლავაგეტს we-da-ne-u ერქვა.⁵⁰ მართლაც, we-da-ne-u კიდეც სამ პირთან ერთად, რომლებიც მხოლოდ საკუთარი სახელებით მოიხსენიებიან (a-ko-so-ta: 'Αλκείτα⁵¹ a-ke-o: 'Αλκεος⁵² a-pi-me-de: 'Αμφιμόδι⁵³), სამეფოს ერთ-ერთ უწარჩინებულეს მოხელედ გვევლინება და მოგიერთ შემთხვევაში ლავაგეტის მსგავს კონტექსტში გვხვდება (შდრ. მაგ., An 610, An 724).

3. te-re-ia. ეს გერმინი უნდა შეესაბამებოდეს ბერძნ. τελεστᾶς-ს, რაც კლასიკურ ხანაში ქურუმის ტიტულს წარმოადგენდა და უნდა მომდინარეობდეს სიკყვისაგან τέλιος – „შესრულება, ბოლო, სამსახური“.⁵⁴ მიკენურ ტექსტებში ამ გერმინით აღნიშნული ხალხი მსხვილ მიწისმფლობელებად გვევლინებიან. მათი ნაკვეთების უმრავლესობა აღრიცხულია En/Eo სერიათა ტექსტებში, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. განსახილველ დოკუმენტში მათი მიწის კატეგორიის აღმნიშვნელი გერმინი არ შემორჩა. ასეთად მეხუთე სტრიქონში ლ. დერუა და მ. ჟერარი აღადგენენ te-me-ne-a-ს,⁵⁵ მაგრამ ჯერ კიდეც ლ. რ. პალმერმა აჩვენა, რომ მეფისა და ლავაგეტის მიწები ტექსტში თავისუფალი სტრიქონითაა გამოყოფილი სხვა ნაკვეთებისაგან, რის გამოც მათი ერთი კატეგორიისადმი მიკუთვნება გამართლებული არ უნდა იყოს.⁵⁶ გ. პოლიაკოვა აქ აღადგენს გერმინს ko-ro,⁵⁷ რომელიც ტექსტში Eq 146 არის დადასტურებული. მკვლევარს ეს გერმინი ესმის არა როგორც საკუთარი სახელი⁵⁸ ან გოპონიმი,⁵⁹ არამედ ჯაპიც-გერმინის ასეთი გააზრება სავსებით დასაშვებია, მაგრამ ძნელი

⁵⁰ Lindgren 1973: II 134; Deger-Jalkotzy 1978: 72.

⁵¹ Palmer 1963: 81f.; Ilievski 1979: 138.

⁵² Docs, 415; Ilievski 1979, 138. სხვა შესაძლო წაკითხვებისათვის იხ. DMic I: 37.

⁵³ Ventris, Chadwick 1953: 93.

⁵⁴ MG V I: 248; DMic II: 338 sq. იქვე ბიბლიოგრაფია.

⁵⁵ Deroo, Gerard 1965: 71.

⁵⁶ Palmer 1963: 215.

⁵⁷ Полякова 1978: 57.

⁵⁸ Palmer 1963: 430.

⁵⁹ Lindgren 1973: II 144.

სათქმელია, ნიშნავს ის ზოგადად მიწას, თუ კონკრეტული კატეგორიის ნაკვეთს.

ტექსტებში საკმაოდ მცირე ინფორმაციაა გელესტების დასაქმების სფეროს შესახებ, თუმცა ზოგიერთის პროფესია მოიხსენიება: ქურუმი, მწყემსი, მეფის მეთუნე; ერთი, შესაძლოა, მოხელეც ყოფილიყო. მიწისმფლობელობის სისტემის ამსახველი სერიების გარეთ თვით გერმინი არ გვხვდება, მაგრამ ზოგიერთი გელესტის საკუთარი სახელი მეორდება სხვა ტექსტებშიც.⁶⁰ ამათგან უცილობლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტექსტში An 192 მოხსენიებული pe-re-*qo-ta* En/Eo სერიიდან ცნობილი გელესტია. ამ ტექსტში, რომელიც ჩვენთვის გაურკვეველი მიზნით შედგენილ სიას წარმოადგენს, ჩამოთვლილია 16 პირი. მათგან ისინი, ვისი ვინაობის დადგენაც მეტ-ნაკლები სიმუსკით ხერხდება, საკმაოდ მაღალი თანამდებობრივი და სოციალური სტატუსის ხალხია. კიდევ ოთხი გელესტის საკუთარი სახელი მეორდება არასამიწათმფლობელო კონტექსტში. ამ შემთხვევებშიც, თუ იდენტიფიკაცია დასაშვებია, გელესტებს მაღალი მდგომარეობა უნდა ჰქონოდათ. შესაბამისად, გელესტების პლებეურ პროფესიებში მათ თანამდებობაზე მითითება უნდა დაეინახოთ: „მწყემსი“ სინამდვილეში მწყემსების უფროსი უნდა ყოფილიყო, „მეთუნე“ – სამეფო სახელოსნოს ხელმძღვანელი.⁶¹

მიკენოლოგიაში გელესტთა არისტოკრატიისადმი მიკუთვნება საკმაოდ გაზიარებულია, მაგრამ მკვლევართა შორის დავის საგანს წარმოადგენს მათი ადგილი იერარქიულ კიბებზე და მეფესთან მიმართებაში. ასე მაგ., ა.ი. ტიუმენევი გელესტებს გვაროვნულ არისტოკრაციას მიაკუთვნებს,⁶² ჯ. ჩედეიკი, ლ.რ. პალმერი და ჯ. პუკერი – ფეოდალურს.⁶³ კ. ვუნდსამისათვის გელესტები, სამეფოს მნიშვნელოვან მოხელეებთან (*da-mo-ko-ro, du-ma*) ერთად ჰქმნიან არაერთგვაროვან მსახურეულ ფენას, რომელიც წვრილ აზნაურთა და აღზევებულ მეთემეთაგან არის შემდგარი.⁶⁴

ჩემი აზრით, დიდი მოხელეებისა და გელესტების მოთაქვება არისტოკრაციის ყველაზე დაბალ საფეხურზე და, მით უფრო, წარჩინებულთა და მეთემეთა შორის, არ უნდა იყოს გამართლებული. სამეურნეო არქივის ტექსტები სამეფოს უმაღლეს მოხელეებს მხო-

⁶⁰ Lindgren 1973: II 144f.

⁶¹ Palmer 1963: 193; Deger-Jalkotzy 1978: 89; მაგრამ მღრ. Полякова 1978: 90; Paroussis 1985: 88.

⁶² Тюменев 1959: 26.

⁶³ Chadwick 1976: 76; Palmer 1963: 85; Hooker 1981: 135.

⁶⁴ Wundsam 1968: 147ff.

ლოდ საკუთარი სახელით ან თანამდებობით მოიხსენიებენ და არა მათი სოციალური მდგომარეობის შესაბამისი სრული გიგულაგურით, მაგრამ ეს არქივის სპეციფიკის შედეგია და არა ასეთი გიგულების არარსებობისა. თანადროული ხეთური მასალის მიხედვით, სამეფოს დიდი მოხელეები სამეფო, ან სხვა უწარჩინებულესი საგვარეულოების წარმომადგენლები იყვნენ.⁶⁵ ბუნებრივი იქნებოდა, ანალოგიური მდგომარეობა გვეგულისხმა მიკენური სამყაროსათვისაც. რაც შეეხებათ გელესტებს, მეფისა და ლავაგეტის გვერდით მოხსენიებული სამი პირი, ასევე ქურუმი *pe-re-qi-ta*, ალბათ ვერ ჩაითვლებიან წერილი მსახურული ფენის წარმომადგენლებად. გექსტი *Ed 411*, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, გელესტებს მიწისმფლობელობასთან მიმართებაში ერთიან სოციალურ ფენად უნდა წარმოგვიდგენდეს. ჩემი აზრით, *τελεστής* არის ზოგადი გიგული მეფის სამსახურში მყოფ წარჩინებულთათვის, ვინც ამ სამსახურისათვის მფლობელობაში მიწის ნაკვეთს იღებს,⁶⁶ თანამდებობრივ იერარქიაში ზუსტი საფეხურის მითითების გარეშე.

4. *e-ke-ra₂-wo* (*Ἐχελάωv*)⁶⁷ არის პილოსის სამეფოში ყველაზე მსხვილი მიწისმფლობელი, მისი ნაკვეთების საერთო ფართობი სამჯერ აღემატება მეფის გემენოსს. გექსტში *Sn 718* მისი შესაწირი პოსეიდონისადმი მეგია, ვიღრე თემის (*da-mo*) ან ლავაგეტის. შესაძლოა მისი სახელი უნდა აღდგეს გექსტში *Sn 219*, რომელიც სხვადასხვა ღვთაებების, ქურუმებისა და მოხელეებისათვის გაღებულ ნელსაცხებლებს აღრიცხავს. *An 610*, *An 724* გექსტების თანახმად, *e-ke-ra₂-wo* გარკვეულად დაკავშირებული ჩანს ფლოგისათვის მენიჩბეთა გაყვანასთან. ფრაგმენტულ და ბუნდოვან გექსტში *An 724 e-ke-ra₂-wo* ლავაგეტთან და კიდევ სამ დიდ მოხელესთან ერთად იხსენიება. მეორე შემთხვევაში (*An 610*) აღრიცხულია მენიჩბეთა რაზმები. მათი უმრავლესობა დახასიათებულია დასახლებული პუნქტის, სოციალური ან პროფესიული ჯგუფისადმი კუთვნილებით. მხოლოდ ორი რაზმი აღინიშნება კერძო პირის სახელით: *e-ke-ra₂-wo* – 40 კაცი, *we-da-ne-u (=ra-wa-ke-ta)* – 20 კაცი.⁶⁸

⁶⁵ Otten 1988: 9, 53.

⁶⁶ შღრ. Carlier 1987: 65ff.: გელესტებს, თავდაპირველად მაინც, მფლობელობის სანაცვლოდ ეკისრებოდათ ხალხის, ღამოსის სამსახური.

⁶⁷ სახელის წაკითხვისათვის იხ. Leukart 1992.

⁶⁸ ჯ. ჩედვიკი მიიჩნევს, რომ ამ პირის მიერ *ki-ti-ta* (*κίτις*) კატეგორიის ხალხის გაყვანა სამხედრო სამსახურში წარმოადგენს *ki-ti-mo-na* მიწის ფლობასთან დაკავშირებული ვალდებულების მოხდას (Chadwick 1987: 82ff.).

შემორჩენილი მონაცემების მიხედვით, e-ke-ra₂-wo იყო ყველაზე შეძლებული პირი პილოსში და მისი ფუნქციები მხოლოდ საკულტო და სამხედრო სფეროებში ვლინდება, რის გამოც მას მოხელედ ვერ ჩავთვლით. ჯერ კიდევ მ. ენგერისმა და ჯ. ჩედვიკმა, განხილული მასალის საფუძველზე, გამოთქვეს მოსაზრება, რომ e-ke-ra₂-wo პილოსის მეფე უნდა ყოფილიყო.⁶⁹ ამ აზრს ბევრი მიკენოლოგი იზიარებს, მისაღებია იგი ჩემთვისაც.

ამის საწინააღმდეგოდ, ლ.რ. პალმერი თვლიდა, რომ ა. Er 312 და Er 880 ერთი დოკუმენტის ნაწილებია და ბ. მეფისა და e-ke-ra₂-wo-ს ნაკვეთების კატეგორია განსხვავებულია, რაც უნდა გამორიცხავდეს ამ ორი პირის გაიგივებას.⁷⁰ მაგრამ მ. პარუსის აზრით, ჰომეროსთან მეფის მფლობელობაში გემენოსის გარდა შედიოდა სახნავი (ἀρουρα) და ხეხილის ბაღი (φυτὰλια). ეს ფაქტი კარგად ეთანხმება Er 312+880 ტექსტის მონაცემებს: თუ e-ke-ra₂-wo-ს პილოსის მეფედ ჩავთვლით, მას აქვს te-me-no + ki-ti-me-na + sa-ra-pe-do pe-pu₂-te-me-no.⁷¹

მეფისა და e-ke-ra₂-wo-ს გაიგივების საწინააღმდეგოდ სხვა არგუმენტებს იშველიებს კ. ვუნდსამი: ა. სრული პარალელიზმი Er 312 და S^h 718 ტექსტებს შორის არ დასტურდება; ბ. გაუგებარია, რატომ მოიხსენიება მეფე ხან გიგულით, ხანაც საკუთარი სახელით; გ. ტექსტში S^h 219 მოიხსენიება როგორც e-ke-ra₂-wo, ასევე wa-na-ka, თუმცა ორივე სიტყვა დამახინჯებულად წერია. რადგანაც e-ke-ra₂-wo არც მეფე და არც მოხელე არ უნდა ყოფილიყო, იგი მკვლევარს სამეფო ოჯახის წევრად მიაჩნია.⁷²

ძნელი წარმოსადგენია, რომ მეფის ნათესავს, მის ქვეშევრდომს მეტი მიწა ჰქონდეს, ვიდრე თვით მეფეს. როგორც უკვე აღინიშნა, კ. ვუნდსამს wa-na-ka ყველა შემთხვევაში მეფედ ესმის, რის გამოც ამ ტერმინის e-ke-ra₂-wo-ს გვერდით გამოჩენა მისთვის მეფისა და e-ke-ra₂-wo-ს გაიგივების საწინააღმდეგოდ არგუმენტია. მაგრამ, საფიქრებელია, რომ ტერმინს ორი მნიშვნელობა აქვს – „მეფე“ და „ღმერთი“. საკულტო, ან საკულტო-სამეურნეო თემატიკის ტექსტებში იგი სწორედ მეორე მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს. მართლაც,

⁶⁹ Docs²: 417. შემდგომში ჯ. ჩედვიკმა შეიცვალა აზრი. იხ. Chadwick 1987: 78ff. ეს გაიგივება დღემდე საღისკუსია, იხ. Shelmerdine 2008: 129.

⁷⁰ Palmer 1963: 216.

⁷¹ Paroussis 1985: 30; ა. ფურუმარკე დაყრდნობით მ. ლინდგრენი მიიჩნევს, რომ sa-ra-pe-da არის ტექნიკური ტერმინი, რომელიც A-ხაზოვან ტექსტებში დადასტურებული ტერმინისაგან sa-ra/sa-ro, sa-ra₂ მომდინარეობს და ბერძნული τέλειος-ის სინონიმია (Lindgren 1979: 85).

⁷² Wundsam 1968: 77ff.

ტექსტში Sn 219 e-ke-ra₂-wa სხვადასხვა მოხელეთა გარემოცვაშია, wa-na-ka კი – ღმერთების. ტერმინ wa-na-ka-ს ორი მნიშვნელობით შეიძლება იყოს გამოწვეული საკულტო ხასიათის ტექსტებში მეფის მოხსენიება საკუთარი სახელით და არა ტიტულით, რაც ორაზროვნებას გამოიწვევდა. სხვა ხასიათის ტექსტებშიც მეფის მხოლოდ სახელით ან ტიტულით მოხსენიება არ უნდა იყოს წარმოუდგენელი, რადგანაც სხვა პირების მიმართ დასტურდება ამგვარი პრაქტიკა. ასე მაგ., ტექსტიდან Ta 711 ვიგებთ, რომ da-mo-ko-ro-ს ერქვა a-u-ke-wa. სხვაგან ის მხოლოდ სახელით ან მხოლოდ თანამდებობით იხსენიება. თუ პილოსის ლაეაგეგს we-da-ne-u ერქვა, აქაც იგივე მდგომარეობაა. მეფის შემთხვევაში შეიძლება შეენიშნოთ შემდეგი კანონზომიერება: ტექსტებში, სადაც ის სამეფო ფუნქციებს ასრულებს – ნიშნავს მოხელეს, ათავისუფლებს გადასახადისაგან, ფლობს სამეფო ტემენოსს, ის ტიტულით მოიხსენიება, ხოლო სადაც კერძო პირის როლში გამოდის – ფლობს კერძო ნაკვეთს, აწედა, ალბათ, საკუთარი მფლობელობის ტერიტორიიდან, რაგმს ფლოგისათვის, მონაწილეობს კულტმსახურებაში – საკუთარი სახელით.

მეფისა და e-ke-ra₂-wa-ს გაიგივების საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება ვერც არასრული პარალელიზმი Er 312 და Sn 718 ტექსტებს შორის. იმისთვის, რომ ერთი ტექსტის ლაეაგეგი მეორისას გავუთანაბროთ, wo-ro-ki-jo-ne-jo e-re-mo – wo-ro-ki-jo-ne-jo-ს, ხოლო მეფე – e-ke-ra₂-wa-ს, სრულებითაც არ არის საეაღლებულო სამი ტელესტისა და დამოსის, თემის იგივეობა. ამ უკანასკნელი გათანაბრების უარყოფაში სავსებით ვეთანხმები კ. ვუნდსამს.

ამ ვრცელი განმარტებების შემდეგ დაუბრუნდეთ განსახილველი ტექსტების ინტერპრეტაციას. მეფისა და ლაეაგეგის მფლობელობათა გვერდით ლოკუმენტში იხსენიება საკულტო დანიშნულების ნაკვეთი (wo-ro-ki-jo-ne-jo e-re-mo/ka-ma)⁷³ და სამი წარჩინებული მოხელის (te-re-ta – τερεσται) მფლობელობა. რა აერთიანებს ამ ნაკვეთებს?

უდაუოა, რომ Er 312-ის ტელესტები გამოირჩევიან რიგითი ტელესტებისაგან, როგორც მფლობელობის ზომით, ასევე მეფის გვერდით მოხსენიებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ პილოსის არქივი საკმაოდ სრულადაა შემონახული, ეს მნიშვნელოვანი მოხელეები კიდევ სადმე უნდა ჩანდნენ. ტექსტებში მხოლოდ საკუთარი სახელებით მოიხსენიება ხუთი პირი, რომელთა კუთვნილება ცენტრალური ხელისუფლებისადმი ეჭვს არ იწვევს: e-

⁷³ DMic II: 446 sq. იქვე ბიბლიოგრაფია.

ke-ra₂-wo, we-da-ne-u, a-ko-so-ta, a-ke-o, a-pi-me-de. ამათგან ორი – e-ke-ra₂-wo და we-da-ne-u – მკელეეართა ნაწილის მიერ, ჩემი აზრით, სამართლიანად, პილოსის მეფედ და მხედართმთავრად არიან მიჩნეული. დიდია ცდუნება, დარჩენილი სამი პირი Er 312 ტექსტის სამ ანონიმურ ტელესტს დავეუკავშიროთ. სავარაუდოა, რომ სამეფოს უზენაესი მოხელეები სამეფო საგვარეულოს წევრები იყვნენ⁷⁴ და, შესაბამისად, ღოკუმენტი Er 312+880 სამეფო საგვარეულოს მულობელობათა აღწერილობას მოიცავს.⁷⁵ ღოკუმენტის ამგვარ ინტერპრეტაციას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მისი ერთგვარად პარალელური ტექსტი Sn 718, რომელიც აღწერს მეფე ეხელაონის, ხალხის (da-mo) ანუ თემის, სარდლისა და საკულტო ნაკეთის შესაწირს პოსეიდონისათვის. აქ თითქოს თემი მემოხსენებული ღოკუმენტის სამ ტელესტს ენაცვლება, რაც ამ უკანასკნელთა სამეფო ოჯახისადმი კუთვნილებას უნდა გამორიცხავდეს. მაგრამ, ასეთი გაიგივება გარკვეულ დაბრკოლებას აწყდება როგორც da-mo – te-re-ta დაკავშირების სხვა ტექსტებიდან გამოყვანის თვალსაზრისით (იხ. ქვემოთ), ასევე განსახილველ ტექსტებშიც. Er 312-ში ტელესტებს მესამე პოზიცია უჭირავთ მეფისა და სარდლის შემდეგ, ხოლო შემწირველთა სიაში დამოსი მეორე ადგილზეა, მეფესა და სარდალს შორის. გარდა ამისა, შეფარდებები ერთის მხრივ, მეფისა და ტელესტების ნაკეთებს შორის და მეორეს მხრივ, მეფისა და დამოსის შესაწირთა რიცხვით მონაცემებს შორის საკმაოდ განსხვავებულია. სავარაუდოა, რომ ტექსტში Sn 718 დამოსი არა სამი ტელესტის ერთობლიობაა, არამედ თემი, რომელიც გარკვეულ კავშირშია მეფის მიწასთან. შესაძლოა, ამ თემის წევრებს ეკისრებოდათ ფლოტში სამსახური (მღრ. An 610) და მეფის მიწის დამუშავება.

⁷⁴ Killen 1979: 176ff.

⁷⁵ Gordesiani 1995: 8.

პილოსის უკანასკნელი დელოჟალი

ბერძნულ მითო-პოეტურ გრადიციაში ქალთა როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია. თქმულებათა გმირ ქალებს ბევრად უფრო მაღალი და დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე ქალებს კლასიკურ ხანაში. გავიხსენოთ თუნდაც პესიოდეს „ქალთა კატალოგი“. სამეფო გვარის ქალთან, მით უმეტეს, დელოჟალთან ქორწინება ხშირად სამეფო ხელისუფლების მიღების გზად გვევლინება. მაგ: პელოფსი საგრფოს ხელის მოსაპოვებლად შეჯიბრებაში მონაწილეობს, ამარცხებს სასიმაძროს და ეუფლება ქალსაც და სამეფოსაც; მენელაოსი სპარგის მეფე ხდება ელენეს შერთვის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ელენეს ძმებიც ჰყავდა; ეგისტოსი მიკენის მეფე ხდება არა აგრეესის მკვლელობის, არამედ აგამემნონის მოკვლისა და კლიტემნესტრასთან შეუღლების შემდეგ. განსაკუთრებით საინტერესოა პენელოპეს შემთხვევა. მისი მეუღლის, ოდისეუსის დაკარგვის შემდეგ ტახტის პრეტენდენტად გვევლინებიან არა მეფის მამა და ყოფილი მეფე ლაერტესი, არა უფლისწული ტელემაქოსი, არამედ დელოფლის ხელის მთხოვნელები.

ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის შეიძლება მოიძებნოს ახსნა, გამომდინარე კონკრეტული სიტუაციიდან ან ქანრის მოთხოვნებიდან. თქმულებათა გმირი ქალების ნაწილი წინაბერძნული წარმოშობის ქალღმერთები უნდა იყვნენ, რომელთაც ბერძნულ პანთეონში ვეღარ მოეძებნათ ადგილი. მოკედავის რანგამდე დამცრობილ ქალღმერთთა კატეგორიას, პირველ ყოვლისა, უნდა განეკუთვნებოდნენ ის ქალები, რომლებმაც ზევსს ვაჟკაცი გაუჩინეს (მაგ, ევროპე, დანაე, ალკმენე). ტახტის მოპოვება სამეფო გვარის ქალთან ქორწინების შედეგად, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, ასახავდეს მეფე-ქურუმის ხელისუფლებას, დაფუძნებულს ქალღმერთთან საკრალურ ქორწინებაზე (მაგ, ელენე). 2002 წლის 7 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში პროფ. რ. შმიგ-ბრანდტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გმირთა ეპოქის საბერძნეთში არსებობდა მეფესა და უზენაეს ქურუმ ქალს შორის საკრალური ქორწინების რიტუალი, რომლითაც სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია თუ კურთხევა ხდებოდა. სწორედ ამ მოხსენებამ

მიზიდავს მიკენურ ტექსტებში დედოფლის ძიებისაკენ¹ დიდი სასულიერო და საერო ხელისუფლებით აღჭურვილი პირი დოკუმენტებში რაღაც ფორმით უნდა ასახულიყო.

B-ხაზოვან ტექსტებში მართლაც ვხვდებით საკმაოდ მაღალი სამოგადოებრივი მდგომარეობის ქალებს. მაგრამ თუ დედოფალი B-ხაზოვან ტექსტებში მართლაც ჩანს, ის მხოლოდ გერმინით po-ti-ni-ja (potnia, „ქალბატონი“) შეიძლება მოიხსენიებოდეს. მეცნიერთა აზრით, ტექსტების უმრავლესობაში ეს გერმინი ქალღმერთს უნდა აღნიშნავდეს, ცალკეულ ტექსტში შესაძლებელია იგი დედოფალს ან სხვა წარჩინებულ ქალბატონსაც გულისხმობდეს.²

რიგ შემთხვევაში, გერმინი საკუთარ სახელთან ან ეპითეტთან ერთად გვხვდება. კნოსოსის არქივის ტექსტებში დადასტურებულია a-ta-na-po-ti-ni-ja (KN V 52), da-pu-ri-to-jo po-ti-ni-ja (KN Gg 702, Oa 745); მიკენში: si-to-po-ti-ni-ja (MY Oi 701); პილოსში: po-ti-ni-ja a-si-wi-ja (PY Fr 1206), e-re-wi-jo-jo-po-ti-ni-ja (PY Vn 48), po-ti-ni-ja i-qe-ja (PY An 1281), u-po-jo po-ti-ni-ja (PY Fn 187, Fr 1225, 1236). a-ta-na-po-ti-ni-ja ათენას უნდა აღნიშნავდეს, „ლაბირინთის ქალბატონი“ (da-pu-ri-to-jo po-ti-ni-ja), შესაძლოა, ჰერა იყოს, ხოლო „პურის ქალბატონი“ (si-to-po-ti-ni-ja) – დემეტრე. „ცხენების ქალბატონი“ (po-ti-ni-ja i-qe-ja) რომელიღაც მებრძოლ ქალღმერთს შეიძლება გულისხმობდეს, მაგ., ათენას. დანარჩენების შესაძლო იდენტიფიკაცია ამა თუ იმ ქალღმერთთან კიდევ უფრო ჰიპოთეტურია.

ტექსტების სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელისა და ეპითეტის გარეშე მოხსენიებული „ქალბატონი“ უნდა განსხვავდებოდეს ზემოხსენებულ „ქალბატონთაგან“. ვის შეიძლება გულისხმობდეს მიკენური ტექსტების po-ti-ni-ja სახელის ან ეპითეტის გარეშე? ჯ. ჩელვიკის აზრით, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მწერლისათვის გასაგები იყო, რომელ ქალღმერთს ეხებოდა საქმე.³ მიმაჩნია, რომ ერთი არქივის ფარგლებში ყველა შემთხვევაში po-ti-ni-ja სახელისა და ეპითეტის გარეშე ერთ ფიგურას გულისხმობდა – სახელმწიფოს უზენაეს ქალღმერთს ან დედოფალს.

¹ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შემდეგი პუბლიკაციების შეესებულ და გადამუშავებულ ვერსიას: გორდესიანი 2002; Gordesiani 2007a.

² DMic II: 160 sqq.

³ Chadwick 1976: 92 f.

განვიხილოთ ამ გერმინის ხმარების კონტექსტები. მასალის უკეთ აღსაქმელად ისინი თემაგურად იქნება დაჯგუფებული.

1. ხშირად „ქალბატონი“, სხვა ლეთაებებისა და მაღალი რანგის პირთა მსგავსად, შეწირულების, ძღვენის მიმღებად გვევლინება: KN : Gg 702, Oa 745, MY : Oi 701, 702, 704, PY : Fr 1206, 1225, 1231, 1235, 1236, Tn 316, Un 219, TH : Of 36.

KN Gg 702

1. pa-si-te-o-i / me-ri *209^{VAS} 1

2. da-pu₂-ri-to-jo / po-ti-ni-ja 'me-ri' *209^{VAS} 1

„ყველა ლეთაებას 1 ქოთანი თაული, ლაბირინთის ქალბატონს 1 ქოთანი თაული“

MY Oi 701

3. si-to-po-ti-ni-ja *190 [

4. po-ro-po-i * 190 10

5. ka-na-pe-u-si *190 6

6. no-pu₂-ta do-ke-ko-o-ke-ne *190 5

7. [ku-wa]-no-wo-ko-i *190 2

„პურის ქალბატონს X (ერთეული ან ცალი პროლექტისა, რომელიც აღინიშნება იდეოგრამით) *190, ავგურებს (?)⁴ – 10, მთელავეს – 6, ლილაქვაზე მომუშავე ოსტაგებს – 2“.

MY Oi 702

2.]po-ti[*190 3

3.]ne-ja , po-po-i *190 5

4. ku-wa]-no-wo-ko-i *190 2

„ქალბატონს – 3, ავგურებს (?)⁵ – 5 ..., ლილაქვაზე მომუშავე ოსტაგებს – 2“.

MY Oi 704

1. po-ti-ni-ja *190 15

2. ka-na-pe-u-si *190 6

3. ko-o-ke-ne-i[

4. ku-wa-no[-wo-ko-i

⁴ DMic II: 148.

⁵ შესაძლოა po-po-i იგივეა, რაც წინა გვესტის po-ro-po-i, შდრ. DMic II: 140.

„ქალბატონს – 15, მთელავენს – 6, კოოსელებს (?)⁶ ...
ლილაქეაზე მომუშავე ოსტატებს ...“.

PY Fr 1225

1. e-ra-wo , u-po-jo , po-ti-ni-ja
2. we-a₂-no-i , a-ro-pa OLE+A S I

PY Fr 1231

1. po-ti-ni-ja , di-pi[-si-]jo-i , [
2. ke-se-ne-wi-jo []OLE S I[

PY Fr 1235

1. wa-na-so-i , wa-na-ka-te , pa-ko[-we] OLE+PA I
2. wa-na-so-i , po-ti-ni-ja , pa-ko-we OLE+PA v I

PY Fr 1236

pa-ki-ja-no-jo , a-ko-ro , u-po-jo , po-ti-ni-ja , OLE+PA S I V I

ამ სერიის ტექსტებში აღრიცხულია სხვადასხვა მიმღებთათვის, მათ შორის, პოსეიდონის, wa-na-ka-სა და „ქალბატონისათვის“ განკუთვნილი გარკვეული კატეგორიის ზეთი. მკვლევართა დიდ ნაწილს ტექსტები საკულტო დანიშნულებისად მიაჩნია. შესაბამისად, ზეთის მიმღებნი ღვთაებებად არიან მიჩნეული და სადავო გერმინებიც რელიგიურ სფეროს უკავშირდება. ჩემთვის საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება კ. ვუნდსამის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ტექსტები საკულტო-სამეურნეო ხასიათისაა და მოიცავს არა ზეიმებისა თუ რიტუალების აღწერილობას, არამედ მხოლოდ სხვადასხვა ღვთაებებისა და მეფისათვის განკუთვნილი ზეთის აღნუსხვას.⁷ ძალზე საინტერესოა, რომ მკვლევარს, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, ამ ტექსტების wa-na-ka მეფედ მიაჩნია და არა ღმერთად, ხოლო wa-na-so-i /*wa-na-sa⁸ – შესაბამისად, სასახლედ. wa-na-ka-ს ყველა შემთხვევაში მეფედ გაგებას მხარს უჭერს გ. პალაიმა.⁹ განსახილველი ტექსტების ამგვარი გააზრების პირობებში უცნაურად

⁶ შტრ. DMic I, 379.

⁷ Wundsam 1968: 24 ff.

⁸ შესაძლო მნიშვნელობებისათვის იხ. DMic II: 403 sqq.

⁹ Palaima 1995: 119ff.

გამოიყურება თარგმანის ის ვარიანტი, რომელსაც კ. ვუნდსამი აქ მოგანილი ტექსტებისათვის გვთავაზობს.¹⁰

Fr 1231: „potnija-სათვის მსხვერპლშესაწირად D-ს მცხოვრებთაგან,¹¹ საუცხოო (უცხოელთათვის, სგუმრებისთვის განკუთვნილი) ზეთი...“;

Fr 1235: „სასახლეს მეფის პირადი მოხმარებისათვის ზეთი..., სასახლეს potnija-სათვის მსხვერპლშესაწირად ზეთი...“.

ჩემს მიერ გამოყოფილი ჩანართები სრულიად ზედმეტია და ემსახურება მოკვდავ მეფესა და ქალღმერთს შორის განსხვავების გამოკვეთას. მაგრამ სერიის „საკულტო-სამეურნეო ინტერპრეტაცია“, ვფიქრობ, უშვებს ტექსტებში, განსაკუთრებით ტექსტში Fr 1235, საკულტო ფუნქციების მქონე დედოფლის დანახვას. ყოველ შემთხვევაში, სერია არაფერს გვთავაზობს „მეფისა“ და „ქალბატონის“ განსხვავებული ღვთაებრიობის ხარისხის საეპარაულოდ.

PY Un 219

1. e-ke-ra-ne , tu-wo 2 O 1[
2. pa-de-we , O 1 pa-de-we , O 1
3. ka-ru-ke , PE 2 KA 1 O 6
4. te-qi-jo-ne , O 1 a-ke-ti-ri-ja-i , KA 1
5. a-ti-mi-te , O 1 da-ko-ro-i , E 1
6. di-pte-ra-po-ro , RA 1 O 3 ko-ro[] 1
7. a-na-ka-te , TE 1 po-ti-ni-ja[
8. e-[] U 1 e-ma-a₂ , U 1 pe-[
9. a-ka-wo-ne , MA 1 pa-ra-[] 2
10. ra-wa-ke-ta , MA 1 KO 1 [] ME 1 O 1 WI 1
11. KE 1

მიცემით ბრუნვაში მდგომი ტერმინებით აღინიშნებიან სხვადასხვა პროდუქციის მიმღებნი:

1. e-ke-ra-ne – შესაძლოა, იგივე e-ke-ra₂-wo, რომელსაც ზოგი მკვლევარი პილოსის მეფედ მიიჩნევს.¹²

2. pa-de-we – ღვთაება ან თანამღებობის პირი.¹³

¹⁰ Wundsam 1968: 31.

¹¹ di-pi-si-jo სადავო ტერმინია. შესაძლო მნიშვნელობებისათვის იხ. DMic I: 175sq.

¹² ღვთაურად იხ. ზემოთ.

¹³ DMic II: 66.

3. ka-ru-ke – „მაცნე“.

4. te-qi-jo-ne – სავარაუდოა, დაწერილობის ვარიანტი სიგყვისა te-qi-ri-jo-ne, რომელიც ადამიანთა ჯგუფის მახასიათებლად გვხვდება ტექსტებში PY Fn 187, Vn 851;¹⁴ a-ke-ti-ri-ja-i – ქალთა ჯგუფის მახასიათებელი არაერთ B-ხამოვან ტექსტში.¹⁵

5. a-ti-mi-te – არტემისი; da-ko-ro-i – კულტმსახურთა გარკვეული კატეგორია.

6. di-pte-ra-po-ro – თანამდებობის პირი.¹⁶

7. a-na-ka-te – შესაძლოა, თავისებური დაწერილობა მეფის ტიტულისა: wa-na-ka-te. თუ გაეითვალისწინებთ, რომ ტექსტში გვხვდება სხვა სიტყვათა თავისებური გრანსკრიფცია (სგრ. 1, 4), ეს შესაძლობობა არაა გამოსარიცხი. po-ti-ni-ja – ქალბატონი. ცხადია, ძნელი სათქმელია, ამ სტრიქონში მიწიერი მეფე-დედოფალი იგულისხმება, თუ ღვთაებრივი წყვილი.

8. e-ma-a₂ – პერმესი.

9. a-ka-wo-ne – მაღალი რანგის მოხელის საკუთარი სახელი.

10. ra-wa-ke-ta – ლავაგეტი, სარდალი, მეფის შემდგომ მეორე პირი პილოსის სამეფოში.¹⁷

TH Of 36

1. no-ri-wo-ki-de ku LANA I a-ke-ti-ra₂, wa-na-ka[-te-ra]¹⁸

2. po-ti-ni-ja, wo-ko-de, a-ke-ti-ra₂ ku LANA I

ამ სერიის ტექსტებში საუბარია მატყლის გაცემაზე სხვადასხვა პირთათვის. მოცემულ ტექსტში გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ცალკეულ სიტყვათა ბრუნვის დადგენა, რაც ართულებს მთელი ფრაზის გაბმულ თარგმანს. ასე მაგ, no-ri-wo-ki-de შეიძლება იყოს სათაური (ე.წ. რუბრიკა) მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში (დაბოლოება -ides), გოპონიმი ალატიეში (-inde) ან მიმღები პიროვნება მიცემითში (-idei).¹⁹ იმის გათვალისწინებით, რომ ეს ტერმინი გვხვდება პილოსის ტექსტებშიც ადამიანთა ჯგუფის მახასიათებლად, შეიძლება მესამე ვარიანტს მივანიჭოთ უპირატესობა.

¹⁴ DMic II: 334.

¹⁵ DMic I: 42.

¹⁶ DMic I: 176 sq.

¹⁷ ლეტალურად იხ. ზემოთ.

¹⁸ აღდგენისათვის იხ. Hooker 1983: 155.

¹⁹ იქვე.

თუმცა, იმავდროულად, ეს გერმინი აქ სათაურადაც ან ორივე სტრიქონის გამაერთიანებლად მაინც უნდა გვევლინებოდეს.

a-ke-ti-ra₂ შეიძლება იდგეს მხოლოდითი რიცხვის სახელობით ან მიცემით ბრუნვაში ან მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში. ეს გერმინი, რომელიც პროფესიას უნდა აღნიშნავდეს, ხშირად გვხვდება ტექსტებში ამა თუ იმ წარმოებასთან დაკავშირებით. ამ ჯგუფის ადამიანებს, როგორც ჩანს, პროდუქციის დამზადების ფინალური სტადია ეხებოდათ. ძნელი სათქმელია, რა კავშირში არიან ეს ადამიანები მეფესთან. თუ ჯ.თ. ჰუკერის აღდგენას მივიღებთ, ისინი სამეფო (ან საგაძრო, თუ wa-na-ka აქ ღმერთს გულისხმობს) სახელოსნოს მუშაკებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. მთელ ტექსტში ყველაზე ნაკლებად პრობლემატურია სიტყვათშეთანხმება – „ქალბატონის სახლს/-ში“. მეცნიერთა უმრავლესობა აქ ქალღმერთის გაძარს ხედავს, მაგრამ, შესაძლოა მეურნეობაც²⁰ იგულისხმებოდეს და დედოფლის სასახლეს.²¹

მთლიანობაში ტექსტი ამგვარად შეიძლება გავიგოთ: გარკვეული ტიპის მაგყლი ეძლევა გადასამუშავებლად ბატონის (მეფის ან ღმერთის) და „ქალბატონის სახლის“ (დედოფლის ან ქალღმერთის) სახელოსნოთა მუშებს. მათი მოხსენიება ორი გერმინით, შესაძლოა, სამუშაოს ტიპს, სახელოსნოს სპეციალიზაციას (no-ri-wo-ki-de) და დამუშავების სტადიას (a-ke-ti-ra₂) შეესაბამებოდეს.

PY Tn 316

1. po-ro-wi-to-jo

2-3. pu-ro { i-je-to-qe , pa-ki-ja-si , do-ra-qe , pe-re , po-re-na-qe // a-ke , po-ti-ni-ja AUR *215^{VAS} MUL 1

4. ma-na-sa , AUR *213^{VAS} 1 MUL 1 po-si-da-e-ja AUR *213^{VAS} 1 MUL 1

5. ti-ri-se-ro-e , AUR *216^{VAS} 1 do-po-ta AUR *215^{VAS} 1

6-10. pu-ro { *vacat*

v.1-3 pu-ro { i-je-to-qe , po-si-da-i-jo , a-ke-qe , wa-tu // do-ra-qe , pe-re , po-re-na-qe , a-ke // AUR *215^{VAS} 1 MUL 2 qo-wi-ja , [] ko-ma-we-te-ja

²⁰ Palmer 1976: 443.

²¹ Jasink-Ticchioni 1980: 206; Hiller 1989: 58.

v.4-7 pu-ro {i-je-to-qe , pe-re-swa-jo , i-pe-me-de-ja-qe di-u-ja-jo-qe // do-ra-qe , pe-re-po-re-na-qe , a , pe-re-swa AUR *2/3^{VAS} I MUL I // i-pe-me-de-ja AUR *2/3^{VAS} I di-u-ja AUR *2/3^{VAS} I MUL I // e-ma-a₂ , a-re-ja AUR *2/6^{VAS} I VIR I

v.8-.11 pu-ro {i-je-toqe , di-u-jo , do-ra-qe , pe-re , po-re-na-qe a-ke // di-we AUR *2/3^{VAS} I VIR I e-ra AUR *2/3^{VAS} I MUL I // di-ri-mi-jo di-wo , i-je-we , AUR *2/3^{VAS} I [] vacat // vacat

„ნაოსნობის/ყვავილობის თვეში“²²

პილოსი: გაგზავნილნი არიან (ან მიდიან), ძღვენი მიაქვთ და მსხვერპლი მიჰყავთ ქალბატონს I ოქროს თასი და I ქალი, ma-na-sa-s I ოქროს თასი და I ქალი, პოსიდაეიას I ოქროს თასი და I ქალი, სამ გმირს I ოქროს თასი, do-po-ta-s I ოქროს თასი.

პილოსი.

პილოსი: გაგზავნილნი არიან (ან მიდიან), პოსეიდონის სამლოცველოში და მიჰყავთ ქალაქს, ძღვენი მიაქვთ და მსხვერპლი მიჰყავთ I ოქროს თასი და 2 ქალი, qo-wi-ja , [] ko-ma-we-te-ja.

პილოსი: გაგზავნილნი არიან (ან მიდიან), პერსეფონესთვის (?), იფიმედეასა და ღვიასთვის ძღვენი მიაქვთ და მსხვერპლი მიჰყავთ: პერსეფონეს I ოქროს თასი და I ქალი, იფიმედეას I ოქროს თასი და I ქალი, ღვიას I ოქროს თასი და I ქალი, პერმეს არეიოსს I ოქროს თასი და I კაცი.

პილოსი: გაგზავნილნი არიან (ან მიდიან), ზევსის სამლოცველოში, ძღვენი მიაქვთ და მსხვერპლი მიჰყავთ: ზევსს I ოქროს თასი და I კაცი, პერას I ოქროს თასი და I ქალი, di-ri-mi-jo ზევსის ვაჟს (ან ქურუმს) I ოქროს თასი“.

ამ უაღრესად საინტერესო და სადავო ტექსტში აღწერილია რიტუალი (პროცესია თუ მსხვერპლშეწირვა), რომელიც ჩატარდა პილოსში, ნაოსნობის/ყვავილობის თვეში და რომლის დროსაც სხვადასხვა ღმერთებს შესწირეს ოქროს ჭურჭელი და თითო ადამიანი (ქალღმერთს – ქალი, ღმერთს – კაცი).²³ პილოსის ერთ-ერთ

²² შტრ. Hooker 1983: 160. po-ro-wi-to ტექსტებში Fr 1221, 1232 საკუთარი სახელი შეიძლება იყოს.

²³ გაურკვეველია, ვინ იყვნენ ეს პირები ღმერთებისადმი მათ შეწირვამდე და რა ბედი ეწვეათ მათ შემდგომ, რას ნიშნავს „შეწირვა“. ს. ლურიეს, გვიანდელი პარალელების გათვალისწინებით, მონის ღმერთისათვის შეწირვა მისი განთავისუფლების ერთ-ერთ ფორმად წარმოუდგენია (Мурзе 1957: 16), მაგრამ აქ არც პრიმიტიული, სისხლიანი მსხვერპლშეწირვაა გამოსარიცხი და არც ვარკვეული რიტუალი, რომლის ძალითაც ეს პირები კულტის მსახურები, ქურუმები ხდებოდნენ. შტრ.

უმთავრეს საკულგო ცენტრში – სუაგიანეში (pa-ki-ja-si) შეწირულებათა მიმღებთა შორის პირველ ადგილზეა „ქალბატონი“. მას მოსდევენ: 4. ქალღმერთები ma-na-sa, po-si-da-e-ja (პოსეიდონის მღვდრობითი შესაგყვისი), 5. ti-ri-se-ro-e („სამი გმირი“), do-po-ta.

ფირფიცის მეორე გვერდზე მოიხსენიება პოსეიდონის სამლოცველო (v.1 po-si-da-i-jo), რომელთანაც გარკვეულ კავშირში უნდა იყოს მომდევნო სტრიქონების (2-3) ძღვენი – ოქროს ჭურჭელი და ორი ქალი. qo-wi-ja, ko-ma-we-te-ja ნივთების აღწერილობაც შეიძლება იყოს, შეწირულ ქალთა სახელებიც და შეწირულების მიმღებ ქალღმერთთა ეპითეტებიც.²⁴

შემდეგ აბზაცში (v.4-7) შეწირულებათა მიმღებებად გვევლინებიან ქალღმერთები pe-re-swa (პერსეფონე ?), i-pe-me-de-ja, di-u-ja (ზევის მღვდრობითი შესაგყვისი) და პერმესი (e-ma-a₂ a-re-ja).

და ბოლოს (v.9-10) ვხვდებით ზევის სამლოცველოს (di-u-jo), სადაც შეწირულებებს იღებენ ზევი (di-we), პერა (e-ra) და ზევის ვაჟი (di-ri-mi-jo di-wo i-je-we) ან ზევის ქურუმი (di-ri-mi-jo di-wo i-je-[re]-we).

2. გვევლინება ამა თუ იმ საკუთრების პატრონად:

PY Cc 665

ne-wo-pe-o , po-ti-ni-ja OVIS^m 100 SUS 190

„N-ში²⁵ ქალბატონის 100 ვერძი, 190 ღორი“. პილოსის არქივიდან მომდინარე დიდი კლასი გექსტებისა (C) მოიცავს მთელ სამეფოში გაბნეული საქონლის დეგალურ აღწერილობას. სავარაუდოა, რომ სასახლე ამ საქონლის უზენაესი მფლობელი იყო, მაგრამ გექსტებში ვხედავთ ერთგვარ მინიშნებას იმაზე, ესა თუ ის ჯოჯი სასახლის მეურნეობის რომელ სექტორს ეკუთვნოდა. ე.წ. „უპატრონო“ ჯოჯები პირადად მეფისა უნდა ყოფილიყო, სახელმწიფო საკუთრებას, „მწყემსის“ გარდა, მაღალი რანგის მოხელეც, ე.წ. „შემგროვებელი“ მეთვალყურეობდა. საგაძრო, ღეთაებათა საკუთრებაც სასახლის საკუთრების ერთ-ერთ ფორმად გვევლინება. ასეთ შემთხვევებში,

ΠΠC: 145, 147; DMic II: 143: po-re-na მიძღვნილსაც შეიძლება ნიშნავდეს და მსხვერპლსაც. ადამიანის, ალბათ, მონის, მსხვერპლად შეწირვისათვის იხ. მაგ., Weber 1989: 43.

²⁴ იხ. DMic I: 375; II: 211sq.

²⁵ ne-wo-pe-o, გექსტებში (Aa 786, Ab 554, Ad 688) მისი პოზიციიდან გამომდინარე, ალბათ, ტოპონიმად უნდა გაეიფოთ. ამ შედეგნილი სიტყვის პირველი ნაწილი ne-wo (vefo-) ამკარად „ახალს“ ნიშნავს. იხ. DMic I, 473; Chadwick 1988: 85.

ტექსტებში მესაკუთრედ ლეთაება სახელდება. მოცემული ტექსტი, შეიძლება, სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებოდეს, თუმცა, ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმ შესაძლებლობას, რომ აქ დედოფლის საკუთრებაზე იყოს საუბარი.²⁶

PY Fn 187

1. a-pi-te-ja HORD[]N/ 2
2. po-si-da-i-jo-de HORD[]N/ T 1
3. ka-ru-ke HORD[]FAR
4. pa-ki-ja-na-de HORD T 1[]N/ T 1
5. ka-ru-ke HORD T 1 V 3 N/ T 1 V 3
6. de-do-wa-re-we HORD T 1
7. ku-ri-na-ze-ja HORD T 2 N/ T 2
8. u-po-jo-po-ti-ni-ja HORD T 5 N/ T 4
9. o-pi-tu-ra-jo HORD T 3
10. au-to- *34-ta-ra HORD T 1
11. a-ma-tu-na HORD T 1
12. te-qi-ri-jo-ne HORD V 3
13. u-do-no-o-i HORD T 3
14. po-te-re-we HORD T 4 N/ T 4
15. a-ke-ti-ri-ja-i HORD T 5V 3
16. ka-ru-ke HORD T 5 V 3
17. i-so-e-ko HORD T 2 [[V 3]]
18. po-si-da-i-je-u-si HORD T 1 V 3
19. *34-ke-ja HORD T 1 V 3 N/ [
20. a-ro-ja [HORD] V 3 (21) ka-ru-ke HORD T 1 V 3

Fn სერიის ტექსტები აღრიცხავს სხვადასხვა სოციალური (წოდებრივი თუ თანამდებობრივი) მდგომარეობის ხალხისათვის ე.წ. რაციონის (სინამდვილეში, ალბათ შრომის ანაზღაურების) გაცემას.²⁷ სერიის ტექსტებს აერთიანებს მარცვლეულის იდეოგრამა *121, რომლის პირობითი მნიშვნელობაა „ქერი“. რიგ შემთხვევაში მარცვლეულთან ერთად გაცემა ლეღვის ჩირი, ან გეთისხილი, რაც მეტად შეიძლება გაედეს რაციონს. მოცემულ ტექსტში პროდუქტების ნაწილი იგზავნება პოსეიდონის სამლოცველოსა და სფაგიანეში (2.

²⁶ Jasink-Ticchioni 1980: 214.

²⁷ უფრო ლეგალურად იხ. გორდემიანი 1999: 91 შმდ.

po-si-da-i-jo-de, 4. pa-ki-ja-na-de); მიმღებთა შორის არიან: ka-ru-ke მაცნე, o-pi-tu-ra-jo „ჭიშკრის მცეელი“, u-do-no-o-i „წყლის მომგანნი“, უკვე არაერთხელ მოხსენიებული a-ke-ti-ri-ja-i, po-si-da-i-je-u-si პოსეიდონის სამლოცველოს პერსონალი. დანარჩენი გერმინები შეიძლება გაგებულ იქნას საკუთარ სახელებად ან თანამდებობისა თუ პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვებად. ჩემი აზრით, მერვე სტრიქონში (u-po-jo-po-ti-ni-ja, შდრ. Fr 1225, 1236: u-po-jo po-ti-ni-ja) იგულისხმება არა რომელიღაც ქალღმერთი, რაც უნიკალური იქნებოდა Fn სერიაში, არამედ „ქალბაგონის“ სამსახურში მყოფი გარკვეული კატეგორიის ხალხი, რომლის მეგნაკლებად სრულ კმაყოფას სასახლე იღებდა თავის თავზე.

PY An 1281

1. po-]ti-ni-ja , i-qe-ja
2.]-mo , o-pi-e-de-i
3. a-ka , re-u-si-wo-qe VIR 2
4. au-ke-i-ja-te-we [[i-qe-ja VIR]]
5. o-na-se-u , ta-ni-ko-qe VIR 2
6. me-ta-ka-wa , po-so-ro VIR 1
7. mi-jo-qa [] e-we-za-no VIR 1
8. a-pi-e-ra[]to-ze-u VIR 1
9. po-ti]-a-ke-si , po-ti-ni-ja , re-si-wo VIR 1
10. au-ke-i-ja-te-we[]ro VIR 1
11. mi-jo-ka , ma-ra-si-jo[] VIR 1
12. me-ta-ka-wa , ti-ta-ra-[] VIR 1
13. a-pi-e-ra , ru-ko-ro VIR 1

ეს ტექსტი აღმოჩენილია პილოსის სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ სახელოსნოში და სამუშაო ძალის სიას უნდა წარმოადგენდეს. მუშები მოიხსენიებიან სახელებით, მაგრამ, სავარაუდოა, დათვლის გასაიოლებლად, მათ სახელებს კაცის იდეოგრამა და რაოდენობა მოსდევს. ისინი გარკვეულად უკაეშირდებიან მხოლოდ სახელით, იდეოგრამისა და რიცხვის გარეშე მოხსენიებულ პირებს: au-ke-i-ja-te-we, me-ta-ka-wa, mi-jo-qa, a-pi-e-ra. ეს უკანასკნელი მუშებისათვის რაციონების გაცემის

ტექსტებშიც (Fn 50, 867) გვხვდებიან როგორც მსახურთა (do-e-ro)²⁸ ჯგუფების პაგრონები. ხსენებულ პირთა დაქვემდებარებაში მყოფი სამუშაო ძალა ორ ღოკუმენგში სხვადასხვაგვარადაა აღწერილი, რის გამოც ამ ჯგუფების იდენტიფიკაცია სათუთა. და თუ მაინც ორ სერიაში ერთსა და იმავე რამზებზეა საუბარია, რა მიმართებაში არიან „მსახურები“ მათ „პაგრონებთან“? მიკენურ სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემის განხილვისას მე რაციონებისა (Fn) თუ მეტალურგიული საქმის (Jn) ამსახველ ტექსტებში მოხსენიებული კერძო პირთა do-e-ro მივიჩნეე ამ პირთა ყმებად, რომელთა შრომითი საქმიანობა სასახლეს პაგრონის ვალდებულებათა ანგარიშში უნდა ჩაეთვალა.²⁹ განსახილველი ტექსტი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. როგორც ეს სახელიდან au-ke-i-ja-te-we ჩანს, „პაგრონები“, მათ შორის, „ცხენების ქალბატონი“ ან „ქალბატონი ჰიპეა“, მიცემით ბრუნვაში დგანან, რაც მათთვის სამუშაო ძალის გადაცემაზე მიუთითებს. თუ მეორე სტრიქონის პირველ სიტყვას აღვადგენთ do-soj-mo, მაშინ ტექსტი შეიძლება ასე გავიგოთ: „ქალბატონ ჰიპეას ძღვენი/შესაწირი მის სამლოცველოში – 2 კაცი, ავგვიანთევსს – 2 კაცი, ... (ქალაქ) პ.-ში „ქალბატონს“ – 1 კაცი, ავგვიანთევსს – 1 კაცი ...“³⁰ ქალღმერთსა და მის ქურუმებს სწირავენ ადამიანებს, რომლებიც მათი, ე.ი. ტაძრის ყმები ხდებიან. მაგრამ მეორე სტრიქონში შეიძლება აღვადგინოთ ასევე a-toj-mo (ბრძანება) – „ამქარი“ ან i-qe-ja a-to-mo (შღრ. i-za-a-to-mo)³¹ – „ეგლების დამამზადებელი“, რაც კარგად ესადაგება ტექსტის სახელოსნოს გერიგორიაზე აღმოჩენას. ასეთ შემთხვევაში, po-tij-a-ke-si ასევე პროფესიის თუ დასაქმების სფეროს აღმნიშვნელად შეიძლება გავიგოთ. ამგვარი ინტერპრეტაცია ავგვიანთევსსა და ქალღმერთის სხვა ქურუმებს სახელოსნოს ზედამხედველებად აქცევს, ხოლო მათ „ყმებს“ – სასახლის მიერ გაწვეულ თავისუფალ ან არათავისუფალ ხელოსნებად. თუ სწორედ ეს ხალხი მოიხსენიება ტექსტში Fn 50 როგორც do-e-ro, ეს მათ სოციალურ სტატუსზე კი არ

²⁸ ტერმინთან დაკავშირებით უფრო ღებალურად იხ. გორდემიანი 1999, ავრეთეე ქეემოთ.

²⁹ გორდემიანი 1999: 98 შმღ.

³⁰ Docs²: 483.

³¹ Shelderdine 1987: 340f.

უნდა მიუთითებდეს, არამედ მათ დროებით სამსახურებრივ დაქვემდებარებაზე.

TH Of 36

.2 po-ti-ni-ja , wo-ko-de ...

როგორც უკვე აღინიშნა, „ქალბატონის სახლი“ დელოფის სასახლესაც შეიძლება გულისხმობდეს და ქალღმერთის გაძარსაც. ორივე შემთხვევაში „ქალბატონის“ საკუთრების მოხსენიებასთან გვაქვს საქმე.

3. გვხვდება გაურკვეველ კონტექსტებში:

PY Vn 48

2. ki-ka-ne , wi-jo-de 3 ma-me[
3. to[]-ja-[] , e-re-wi-jo-po-ti-ni-ja 1
4.]-ra-si-ne-wi-ja 1 ki-wo-na-de 1
5.]-se-ja 1 tu-ra-te-u-si 2
6.]wo-no-wa-ti-si 2
7.]ta 6 ka-ra-wi-po-ro 5

ტექსტში e-re-wi-jo-po-ti-ni-ja მოიხსენიება დასახლეული პუნქტებისა (ki-ka-ne wi-jo-de, ki-wo-na-de) და კულტის მსახურთა თუ მოხელეთა (tu-ra-te-u-si, wo-no-wa-ti-si, ka-ra-wi-po-ro³²) გვერდით. ძნელი სათქმელია, რას აღნიშნავენ რიცხვები.

KN V 52

1. a-ta-na-po-ti-ni-ja 1 u[
2. e-nu-wa-ri-jo 1 pa-ja-wo-ne 1 po-se-da[-o-ne (*lat. inf.*) [[e-ri-nu-we pe-ro]]

ტექსტში ჩამოთვლილია ღვთაებების სახელები: „ათენას, ქალბატონს 1 ..., ენუვალიოსს 1, პაივონს 1, პოსეიდონს ..., [[ერინისს]]“

KN K 875

1.] , qa-si-re-wi-ja , di-pa , a-no-wo-to [
2. pe-ri-ta , qa-si-re-wi-ja , di-pa , a-no-wo-to [
3. wi-na-jo , qa-si-re-wi-ja , di-pa , a-no-wo-to [
4. i-da-i-jo , qa-si-re-wi-ja , di-pa , a-no-wo-to [
5. sa-me-ti-jo , qa-si-re-wi-ja , di-pa , a-no-wo-to [

³² ქურუმის ტიტული – *κλῆριτικός – „გასაღების მპყრობელი“ იხ. DMic I: 324.

6. i-je-re-wi-jo , qa-si-re[-wi-]ja , a-no-wo-to *202^{VAS} 10 po-ti-ni[

„... ბასილია – უყურო თასი[, p-ის ბასილია – უყურო თასი[, w-ის ბასილია – უყურო თასი[, i-ის ბასილია – უყურო თასი[, s-ის ბასილია – უყურო თასი[, i-ის ბასილია – 10 უყურო თასი (*202) ქალბატონ[“ სხვადასხვა პირთა საკუთარი სახელით მოხსენიებული ბასილია მოცემულ ტექსტში გარკვეული ტიპის თასების შემწირველად წარმოგიდგება. ბასილია გვხვდება კნოსოსისა და პილოსის ტექსტებში. ჩემი აზრით, ის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთგვარი ორგანო იყო, რომელიც ტექსტებში ძირითადად სახელმწიფო ვალდებულებათა მოხდის კონტექსტში ჩნდება.³³

KN M 729

1.]ma-wo, *146 I

2.]po-ti-ni-ja[

KN X 444:]-sa po-ti-ni-ja[

4. ხშირად გვხვდება მისგან ნაწარმოები ტერმინი po-ti-ni-ja-we/wi-jo, რომელიც, მკვლევართა დიდი ნაწილის თანახმად, უნდა გადმოსცემდეს ამა თუ იმ პირის ან ქონების „ქალბატონის“ საკუთრებაში ყოფნის აზრს, თუმცა ამ ფორმის ნათესაობითი ბრუნვის ფორმად გააზრება გარკვეულ სირთულეებს აწყდება და, შესაბამისად, არსებობს მისი ინტერპრეტაციის სხვა ვარიანტებიც.³⁴

ტერმინი შეიძლება განსაზღვრავდეს ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს ან საკუთრებას:

PY : Eb 364 / Ep 613, Eq 213, Jn 310, 431, Qa 1299, Un 249

KN : DI 930, 933, 943, 946, 950, 7147, 7503, 7771, Dp 997, 7742, G 820, 7606

PY Eb 364=Ep 613+1131.14

we-ra-jo po-ti-ni-ja-we-jo , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na , ko-to-na , to-so , pe-mo GRA T 2

³³ უფრო ლეტალურად იხ. გორდუზიანი 1999: 110 შმდ., აგრეთვე, DMic II: 190.

³⁴ იხ. DMic II: 161sqq.

„W-ს, ქალბატონისას, აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი, ამდენი დასათესი მარცვალი (=2000 კვ.მ)“. პილოსის არქივის Eb/Ep, Eo/En, Ed სერიათა გექსტები წარმოგვიდგენენ ერთ-ერთი ოლქის მიწების კადასტრს. ჩემი აზრით, აქ საუბარია სამეფო/სახელმწიფო მიწებზე, რომლებიც მოხელეებსა თუ სასახლეზე გარკვეულწილად დამოკიდებულ პირებს ურიგდებოდა სხვადასხვა პირობით.³⁵

ეს სისტემა გექსტების შედგენის მომენტისათვის უკვე მოძველებული ჩანს და უამრავ გამონაკლისს ეხედებით. შესაბამისად, მხოლოდ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ „ქალბატონის“ დაქვემდებარებაში მყოფი პირი გარკვეული ტიპის ნაკვეთის მოსარგებლე/ მოიჯარადე³⁶ გვევლინება, ვერ ვიმსჯელებთ მისი სოციალური სტატუსის შესახებ. იგი „ღვთის მსახურების“ რანგისაც შეიძლება იყოს და იმ მოხელეებისაც, რომლებიც მოიხსენიებიან გერმინით „მეფისა“ (wa-na-ka-te-ro : Eb 903, En 74, 609, Eo 160, 276, 371). მათგან ერთი გელესტია, ე.ი. წარჩინებული.

PY Eq 213

1. o-wi-de , a-ko-so-la , to-ro-qe-jo-me-no , a-ro-u-ra , a₂-ri-sa
2. a-ke-re-wa , o-ro-jo , to-so-de , pe-mo GRA 8
3. o-da-a₂ , e-ri-no-wo-to , o-ro-jo , to-so-de , pe-mo GRA 20
4. o-da-a₂ , ko-tu-wo , o-ro-jo , to-so-de , pe-mo GRA 20
5. o-da-a₂ , po-ti-ni-ja-we-jo-jo , o-te-pe-o-jo , o-ro-jo , to-so-de , pe-mo GRA 6
6. o-da-a₂ , ko-no , o-ro-jo , to-so , pe-mo GRA 40

„აი რა ნახა ალქსიოგასმა სახნავი მიწების საინსპექციო მოგზაურობისას ...“ შემდეგ მოდის ჩამონათვალი სხვადასხვა

³⁵ უფრო დეტალურად იხ. გორდემიანი 1999: 58 შმდ., აგრეთვე ქვემოთ.

³⁶ გექსტებში გერმინოლოგიურად არ არის გამოიჩენილი მეფის, თემის ან კერძო პირის მფლობელობაში მყოფი მიწების იჯარა და სარგებლობა სამსახურის პირობით. ორივე შემთხვევაში ნაკვეთის სტატუსია o-na-to, მოსარგებლე-მოიჯარადეთა – o-na-te-re. ჩემი აზრით, მაინც იყო გარკვეული სხვაობა მეფის, თემის ან რომელიმე დიდმოხელის მიერ სამსახურის პირობით ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემასა და ერთი კერძო პირის მიერ მეორისაგან ნაკვეთის იჯარით აღებას შორის. ეს განსხვავება აისახა ქვემოთ მოგანილ თარგმანებში, სადაც o-na-to ხან სარგებლობადაა ინტერპრეტირებული, ხანაც იჯარად.

დასახლებული პუნქტების მიწებისა,³⁷ მათ შორისაა o-te-pe-o-ji, რომელიც დახასიათებულია, როგორც „ქალბატონისა“. სავარაუდოა, რომ მთელი დასახლება „ქალბატონს“ ეკუთვნოდა, არა მხოლოდ ტექსტში მოხსენიებული ექვსპექტარიანი ყანა.

PY Jn 310

1.]a-ke-re-wa ...

14. po-ti-ni-ja-we-jo , ka-ke-we , ta-ra-si-ja , e-ko-te

15. i-ma-di-jo AES M 2 tu-ke-ne-u AES M 3 16.] AES M 3 i-wa-ka AES M 3

17. a-]ta-ra-si-jo , pu₂-si-ja-ko l

„A-ში ... ქალბატონის მჭედლები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო შეკვეთა (მოსდევს ჩამონათვალი), რომელთაც არ აქვთ სახელმწიფო შეკვეთა (მოსდევს ჩამონათვალი)“

PY Jn 431

16. a-pe-e-ke , ka-ke-we , po-ti-ni-ja-we-jo , ta-ra-si-ja , e-ko-te

17. ko-za-ro AES M 6 a-ke-wa-ta AES M 3 sa-ke-re-u AES M 6

18. we-we-si-jo AES M 3 ko-ta-wo AES M 3 da-u-ta-ro AES M 6 19.

vacat

20. to-so-de , ka-ko AES M 27

21. *vacat*

22. to[-so-de]a[-ta-]ra-si-jo , ka-ke-we , ka-si-re-u l du-ku-so [l

23. ko[] l e-u-wa-ko-ro l ke-we-no l a-ta-o l

24.]wa-ti-ro l me-ri-wa-[.] l

25.] i-je-ref[]VIR 10 to-sa-no-jo VIR 5

26. VIR] l a-mu-ta-wo-no VIR 3 l

„A-ში ქალბატონის მჭედლები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო შეკვეთა (მოსდევს ჩამონათვალი), სულ 27 ერთ. ბრინჯაო, მჭედლები, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფო შეკვეთა (მოსდევს ჩამონათვალი), ქურუმისა 10 კაცი, T-სი 5 კაცი, A-სი 31 კაცი“.

შესაძლოა, აქ იგულისხმებოდეს სახელმწიფო შეკვეთის მიცემა როგორც „ქალბატონის“ მეურნეობის კუთვნილი სახელოსნოსათვის, ასევე „ქალბატონის“ კუთვნილი მჭედლებისათვის. გამომდინარე

³⁷ დამოუკიდებლად იმისაგან, ზუსტად რას აღნიშნავს o-ro-ji (შდრ. DMic II: 49) – „საზღვარს“, „ტერიტორიას“, „ჯამს“, თუ კილევ სხვა რამეს, ტექსტში აშკარად მიწაა აღნუსხული.

იქიდან, რომ ტექსტებში მჭედლები უფრო დამოუკიდებელ მეწარმეებად ჩანან, ვიდრე სახელმწიფო, საგაძრო თუ კერძო სახელოსნოთა მუშებად, მეორე შესაძლებლობა უფრო სავარაუდოდ მიმაჩნია. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, გაურკვეველია, რას ნიშნავს „ქალბატონის კუთვნილი“ მჭედელი.

PY Qa 1299

ka-e-se-u , po-ti-ni-ja-wi-jo *189 1

„K, ქალბატონისა, 1 (ცალი ან ერთეული პროდუქტისა, რომელიც აღინიშნება იდეოგრამით) *189“

PY Un 249

1a. po-ti-ni-ja-we-jo

1. pi-ra-jo , a-re-pa-zo[-o] ku-pa-ro₂ AROM 2 T 5

2. wi-ri-za LANA 2 [] *157 10

3. [] KAPO T 6

„ქალბატონისა / ფილაიოსი, ნელსაცხებელთა დამამზადებელი, არომატიზებული ზეთი .../ (გარკვეული კატეგორიის) მაგყლი .../ ზეთისხილი ... “. სავარაუდოა, რომ „ქალბატონს“ ეკუთვნოდა ნელსაცხებელთა დამამზადების სახელოსნო, რომლის მასალით მომარაგება აისახა ამ ტექსტში.

KN DI 946

A. po-ti-ni-ja-we-jo OVIS^f 70 LANA 7

B. ke-u-sa / si-ja-du-we , o ki OVIS^m 70 o LANA 7

„ke-u-sa / ქალბატონისა 70 ცხვარი, 7 ერთ. მაგყლი, si-ja-du-we-ში 70 ვერძი, 7 ერთ. მაგყლი“. si-ja-du-we აშკარად გოპონიშია. ke-u-sa, ალბათ, მწყემსის სახელი უნდა იყოს, ვისაც ტექსტში აღნუსხული ცხვრების მოვლა და მათგან საჭირო რაოდენობის მაგყლის მიღება ევალებოდა. აქ და ამავე სერიის კიდევ შვიდ ტექსტში საქონლის პატრონად „ქალბატონი“ გვევლინება.

KN G 820

1.]na , e-ko-si , a-pi , ku-do-ni-ja / pa-sa 'ki-ri-ta' LUNA 1

2. ja-]pu₂-wi-ja-qe , pa₃-ko-we-i-ja-qe LUNA 4

3.]-ti-ja , ku-ta-ti-ja-qe , po-ti-ni-ja-we-ja , a-pu , ke-u-po-de-ja

4.]LUNA 4

„... აქეთ კუდონიას მახლობლად სულ ქერი: 1 თვ(ისა) / (ქალებს) ja-pu₂-დან და pa-ko-we-დან: 4 თვ(ისა)/ (ქალებს) x-დან და ku-ta-to-დან „ქალბატონის“ (კუთვინილ) ke-u-po-de-ja -ს/ 4 თვ(ისა)“.

ke-u-po-de-ja აშკარად ქალების მახასიათებელია. იგი წარმოადგენს მდებრობითი სქესის ფორმას პილოსის არქივში დადასტურებული სიგყვისათვის ke-u-po-da. ლრ. პალმერს ამ გერმინებით აღნიშნულ პირთა საქმიანობად განწმენდის მსხვერპლშესხურება მიაჩნია.³⁸ მაგრამ თუ პილოსში მხოლოდ ერთი ke-u-po-da გვხვდება და მისი სოციალური მდგომარეობა საკმაოდ მაღალი უნდა იყოს,³⁹ განსახილველ გექსტში ქალები მოიხსენიებიან ქერის რაციონის კონტექსტში, რაც მათ დაბალი რანგის სამუშაო ძალასთან მიახლოებულ მდგომარეობაზე უნდა მიუთითებდეს.

ცალკეულ გექსტში, სურვილისამებრ, შეიძლება ქალღმერთიც დაეინახოთ და დედოფალიც. პილოსის არქივი ყველაზე სრულადაა შემონახული და, შესაბამისად, ყველაზე უკეთ გამოდგება სტრუქტურათა რეკონსტრუქციისათვის. საკვლევი გერმინის შინაარსის დასაზუსტებლად პერსპექტიულად მიმაჩნია „ქალბატონის“ (ეპითეგის ან სახელის გარეშე) გამოჩენის კონტექსტების შეღარება პილოსის ორი დიდი ბატონის – მეფისა და პოსეიდონის მოხსენიების კონტექსტებთან.

1. მეფე მოიხსენიება მხოლოდ გიგულით ან მხოლოდ საკუთარი სახელით, პოსეიდონი – მხოლოდ საკუთარი სახელით (თუ wa-na-ka-ს მის გიგულად არ ჩაეთვლით, რაც არ უნდა იყოს გამართლებული), „ქალბატონი“ – ხან მხოლოდ გიგულით, ხანაც გიგულითა და ეპითეგით (po-ti-ni-ja a-si-wi-ja, e-re-wi-jo-jo-po-ti-ni-ja, po-ti-ni-ja i-qe-ja, u-po-jo po-ti-ni-ja), რაც გექსტებში სხვადასხვა „ქალბატონების“ გამოჩენას გვაფიქრებინებს.

2. სამივე გვევლინება შეწირულებათა მიმღებად.

3. მეფისა და „ქალბატონის“ კუთვნილებად მოიხსენიებიან ცალკეული ადამიანები, მათ საკუთრებას წარმოადგენს მიწა, საქონლის ჯოგები, სახელოსნოები. ამის საპირისპიროდ, პოსეიდონი სამლოცველოების პატრონია და მას საკუთარი ქურუმი ჰყავს.

³⁸ Palmer 1963: 303, 427.

³⁹ Lindgren 1973: II 79f.

4. პოსეიდონი და „ქალბატონი“ ერთად გვხვდებიან ტექსტებში PY Fn 187, Tn 316, KN V 52. აქედან ორგან (PY Fn 187, KN V 52) „ქალბატონი“ სახელით ან ეპითეგით მოიხსენიება, ხოლო ტექსტში Tn 316 ამ ორ ლეთაებრივ პერსონაჟს საკმაო მანძილი აცილებს და მათთვის განკუთვნილი შესაწირი სხვადასხვა სამლოცველოში მიაქვთ. რაც შეეხება მეფესა და „ქალბატონს“, ისინი გვერდიგვერდ გვხვდებიან ტექსტებში PY Fr 1235, Un 219, TH Of 36 და აშკარად წყვილის შთაბეჭდილებას გოვებენ.

5. მხოლოდ მეფეს ვხვდებით ტექსტებში (PY Na 334, Ta 711) მოქმედ პირად, ე.ი. რეალურ ადამიანად.

და ბოლოს, პოსეიდონს ვხვდებით მხოლოდ პილოსისა და კნოსოსის არქივების ტექსტებში (კნოსოსში მხოლოდ ორჯერ V 52, X 5560), ხოლო მეფესა და „ქალბატონს“ თითქმის ყველგან.

საინტერესოა, რომ გასული საუკუნის მიწურულს თებეს გათხრებისას აღმოჩენილ და ახლადგამოქვეყნებულ ტექსტებში უზენაეს ქალღმერთად ma-ka (mater gaia) გვევლინება და არა po-ti-ni-ja. ეს ტერმინი ამ არქივში საერთოდ არ ჩანს. პილოსისა და თებეს არქივების შედარება მთლად კორექტული შეიძლება არ იყოს, მაგრამ, ჩემი შთაბეჭდილებით, თებელი „ღმერთების დედა“ პილოსელ პოსეიდონს უფრო მეტად ჰგავს, ვიდრე პილოსის „ქალბატონს“.

შედარებამ ცხადყო, რომ „ქალბატონი“ ბევრად უფრო ახლოს დგას მეფესთან, ვიდრე პოსეიდონთან, რაც შესაძლოა, ამ ტერმინით, რიგ შემთხვევაში მაინც, დედოფლის აღნიშვნის სასარგებლოდ მეტყველებდეს.

თუ ჩემს მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ po-ti-ni-ja სახელისა და ეპითეგის გარეშე დედოფალს უნდა აღნიშნავდეს, რეალობას შეესაბამება, პილოსის კარგად შენახულ არქივში მისი სახელიც შეიძლება იყოს შემორჩენილი. მსგავსად მეფისა, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ხან ტიტულით მოიხსენიება, ხანაც საკუთარი სახელით, დედოფალიც ზოგან კერძო პირად შეიძლება მოგვევლინოს.

ასეთი ქალბატონის ძიებისას ჩვენს ყურადღებას e-ri-ta i-je-re-ja = i-je-re-ja pa-ki-ja-ni-ja⁴⁰ მიიპყრობს.

⁴⁰ გაიგივებისათვის იხ. ქვემოთ, ასევე: Lindgren 1973: I 51, 142; Duhoux 2008: 296.

Ae 303

.a i-je-ro-jo

pu-ro , i-je-re-ja , do-e-ra , e-ne-ka , ku-ru-so-jo MUL 14

„პილოსი: ქურუმი ქალის მსახურები წმინდა ოქროსათვის, 14 ქალი“

საეარაულოა, რომ ამ ქალებს ეკისრებოდათ გარკვეული პასუხისმგებლობა გაძრის ოქროზე.⁴¹ კადასგრის მიხედვით, ქურუმი ქალი e-ri-ta და მისი პერსონალი სფაგიანეს ოლქში იყვნენ. ფ. გრიჩი ამ ტექსტში ქურუმის „მონების“ პილოსში გამოჩენას ხსნის საგანგებო სიტუაციით, როდესაც საფრთხის მოლოდინში გაძრის საგანძური პილოსის სიმაგრეში გახიზნეს.⁴²

En 609⁴³

1. pa-ki-ja-ni-ja , to-sa⁴⁴ , da-ma-te , DA 40

2. to-so-de , te-re-ta , e-ne-e-si VIR 14

10. a-ma-ru-ta-o , ko-to-na , ki-ti-me-na , to-so-de , pe-mo GRA 2 T 3

11. o-da-a₂ e-ko-si a-]ma-ru-ta-o , ko-to-na , o-na-te-re

12. so-u-ro te-o-jo do-]e-ro , o-na-to , e-ke , to-so-de , pe-mo GRA T 3

13. e-do-mo-ne-u te-o-]jo , do-e-ro , o-na-to , e-ke , to-so-de , pe-mo GRA T 1

14. e-sa-ro te-o-jo do-]e-ro , o[-na-to]e-ke[to-so-de]pe-mo GRA V 3

15. wa-na-ta-jo te-re-ta o-]na-to , e-ke , to-so-de , pe-mo GRA T 1

16. e-ra-ta-ra i-je-re-ja do-e-ra]pa-ki-ja-ni-ja , o-na-to , e-ke , to-so-de , pe-mo GRA T 1

17. po-so-re-ja te-o-jo do-e-ra]o-na-to , e-ke , to-so-de , pe-mo GRA T 1 V 3

18. i-je-re-ja pa-ki-ja-na o-na-]to , e-ke , to-so-de , pe-mo GRA T 3

⁴¹ Palmer 1963: 127; Docs²: 166; Лепухин 1963: 174.

⁴² Trisch 1958: 411. საერთოდ, მეცნიერები ცდილობენ აღმოაჩინონ პილოსის ტექსტებში ექსტრემალური სიტუაციის, მოახლოებული დასასრულის გამოძახილი (იხ. მაგ, Alin 1977: 31ff.; de Fidio 1987: 127ff.; Hooker 1982: 209ff.). ლ. ბაუმბახი აღნიშნავს, რომ ცალკეული ტექსტები ან სერიები შეიძლება არც გამოდგეს საკმარის საბუთად, მაგრამ მთლიანობაში არქივი გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ პილოსი უბედურებას ზღვიდან ელოდა (Baumbach 1983: 40). მაგრამ, შეიძლება, ამ შთაბეჭდილებას მოეღვენათ შემდგომი განვითარების ცოდნა გვიქმნიდეს და არა პილოსის ფირფიტები.

⁴³ ამ ტექსტის 10-18 სტრიქონებს შეესაბამება ტექსტი Eo 224.

⁴⁴ to-so (Ruijgh 1972: 94).

„სფაგიანეში ამდენი სახლი,⁴⁵ DA 40, მათ შორის, გელესტი⁴⁶ 14 კაცი...

ა-ს მფლობელობაში ნაკვეთი, ამდენი დასათესი მარცვალი, (=2,3კა). ა-ს ნაკვეთის მოსარგებლებებს (მოიჯარადეებს) კი აქეთ: ს-ს, ღეთის მსახურს აქეს იჯარა ამდენი დასათესი მარცვალი (=3000კვ.მ), ე-ს, ღეთის მსახურს აქეს იჯარა ამდენი დასათესი მარცვალი (=1000კვ.მ), ე-ს, ღეთის მსახურს აქეს იჯარა ამდენი დასათესი მარცვალი (=500კვ.მ), w-ს, გელესტს აქეს იჯარა ამდენი დასათესი მარცვალი (=1500კვ.მ), ე-ს, სფაგიანეს ქურუმის მსახურს აქეს იჯარა ამდენი დასათესი მარცვალი (=1000კვ.მ), p-ს, ღეთის მსახურს აქეს იჯარა ამდენი დასათესი მარცვალი (=1500კვ.მ), სფაგიანეს ქურუმს აქეს იჯარა ამდენი დასათესი მარცვალი (=3000კვ.მ)“

Ep 539⁴⁷

7. me-re-u , i-je-re-ja , do-e-ro , o-na-to , e-ke , pa-ro , [po-to-]re-ma-ta⁴⁸
 , ka-ma-e-wel]o-u-qe , wo-ze , to-so pe-mo GRA []V 2

8. te-te-re-u , i-je-re-ja , do-e-ro , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na , ko-to-na
 , pa-ro , da-mo , to-so[]pe-mo GRA V 3

9. pu-[.]da-ka , ka-pa-ti-ja , do-e-ro , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na , ko-
to-na , pa-ro , da-mo , to-so pe-mo GRA T 3 V 3

10. e-ni-to-wo[]a-pi-me-de-o , do-e-ro , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na ,
ko-to-na , pa-ro , da-mo to-so pe-mo GRA T 1

11. to-wa-te[-u] a-pi-me-de-o[]do-e-ro , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na[]
ko-to-na , pa-ro , da-mo to-so pe-mo GRA T 8⁴⁹

12. wi-dwo-i-jo , a-pi-me-de-o , do-e[-ro] , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na ,
ko-to-na , pa-ro[]da-mo , to-so, pe-mo GRA T 2

⁴⁵ da-ma-te შეიძლება აღნიშნავდეს ოჯახს, საოჯახო შეურნეობას, ნაკვეთს (იხ. DMic I: 151, გორდემიანი 1999: 59). „სახლი“ ოპტიმალურ თარგმანად ჩავთვალე.

⁴⁶ τῆλετός, ჩემი აზრით, აღნიშნავდა სამეფო სამახურში მყოფ პირს, ვინც ამ სამსახურისათვის იღებდა მიწის ნაკვეთს მფლობელობაში. ლეგალურად იხ. ზემოთ.

⁴⁷ აქ მოგანილ გექსტებს გააჩნია შესაგვეისები Eb სერიაში: Ep 539.8 – Eb 1176; Ep 539.9 – Eb 954 ± 963 ± 985; Ep 539.10 – Eb 1187; Ep 539.11 – Eb 1188; Ep 539.12 – Eb 1186; Ep 539.13 – Eb 477; Ep 539.14 – Eb 473. Ep 704.1 – Eb 294; Ep 704.2 – Eb 416 ± 957; Ep 704.3 – Eb 339 + 409; Ep 704.5-6 – Eb 297; Ep 704.7-8 – Eb 338.

⁴⁸ Lejeune 1966: 262; Ruijgh 1987 : 308 აღადგენენ [po-to]-re-ma-ta (Πτολεμάτας).

⁴⁹ Ruijgh 1987 : 312: მწერლის შეცდომაა, უნდა იყოს GRA I T 4.

13. we-te-re-u , i-je-re-u , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na , ko-to-na , pa-ro , da-mo[] vacat[] to-so , pe-mo GRA 2 T 3

14. a-pi[-me-]de , e-ke , e-to-ni-jo , ke-ke-me[-na-o ko-]to-na[-o] to-so , pe-mo GRA 4 T 6

„... მ-ს, ქურუმის მსახურს აქვს იჯარა კამაევს ჯგოლემბასისგან, არ მუშაობს,⁵⁰ ამდენი დასათესი მარცვალი (...), t-ს, ქურუმის მსახურს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისგან ამდენი თესლი (=500კვ.მ), e-ს, ღეთის მსახურს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი დასათესი მარცვალი (=500კვ.მ), p-ს, კარპათიას (გასაღების მპყრობელის) მსახურს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი დასათესი მარცვალი (=3500კვ.მ), e-ს, ამფიმედის მსახურს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი დასათესი მარცვალი (=1000კვ.მ), t-ს, ამფიმედის მსახურს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი დასათესი მარცვალი (=8000კვ.მ), w-ს, ამფიმედის მსახურს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი დასათესი მარცვალი (=2000კვ.მ), w-ს, ქურუმს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი თესლი (=2,3ჰა), ამფიმედს აქვს პრივილეგირებულ სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი ამდენი დასათესი მარცვალი (=4,6ჰა).“

Ep 704

1. o-pe-to-re-u , qe-ja-me-no , e-ke , ke-ke-me-na , ko-to-na , to-so , pe-mo[]GRA 2 T 5

2. u-wa-mi-ja , te-o-jo , do-e-ra , o-na-to , e-ke-qe , i-je-re-ja , ke-ra , to-so pe-mo GRA T 1 V 3

3. e-ri-ta , i-je-re-ja , o-na-to , e-ke , ke-ke-me-na , ko-to-na , pa-ro , damo , to-so , pe-mo GRA T 4

4. ki-ri-te-wi-ja , o-na-to , e-ko-si , ke-ke-me-na , ko-to-na[]pa-ro , damo , to-so , pe-mo GRA T 9

5. e-ri-ta , i-je-re-ja , e-ke , e-u-ke-to-qe , e-to-ni-jo , e-ke-e , te-o , damo-de-mi , pa-si , ko-to-na-o ,

⁵⁰ კამაევის, გარკვეული ტიპის ნაკვეთის მფლობელის სტატუსი გულისხმობდა ვალდებულებათა მოხდას. „არ მუშაობს“ აღნიშნავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობას, ან მისგან განთავისუფლებას.

6. ke-ke-me-na-o , o-na-to , e-ke-e , to-so pe-mo GRA 3 T 9

7. ka-pa-ti-ja , ka-ra-wi-po-ro , e-ke , ke-ke-me-no , o-pe-ro-sa , du-wo-u-pi , wo-ze-e , o-u-wo-ze ,

8. to-so[pe-mo GRA]4

„o-ს, ქურუმს⁵¹ აქვს საჯარო მიწის ნაკვეთი, ამდენი დასათესი მარცვალი (=2,5ჰა), u-ს, ღეთის მსახურს აქვს სარგებლობაში ქურუმის საჩუქარი (?) ამდენი დასათესი მარცვალი (=1500კვ.მ), e-ri-ta-ს, ქურუმს აქვს სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი დასათესი მარცვალი (=4000კვ.მ), ki-ri-te-wi-ja-ს აქვთ სარგებლობაში საჯარო მიწის ნაკვეთი თემისაგან ამდენი თესლი (=1,9ჰა), ქურუმი ქალი e-ri-ta ფლობს და იფიცებს, რომ მას აქვს ღეთაების e-to-ni-ჯი, თემი კი (ამბობს), რომ ეს არის საჯარო მიწის ნაკვეთები სარგებლობაში, ამდენი დასათესი მარცვალი (3,9ჰა), გასაღების მპყრობელ კარპათიას აქვს საჯარო მიწის 2 ნაკვეთი, ვალდებულია ორჯერ იმუშაოს, არ მუშაობს, ამდენი დასათესი მარცვალი (=4ჰა).“

Ed 317

1. o-da-a₂ , i-je-re-ja , ka-ra-wi-po-ro-qe , e-qe-ta-qe[[]]

2. we-te-re-u-qe , o-na-ta , to-so-de , pe-mo , GRA 21 T 6

„ამგევარად, ქურუმ ქალს, გასაღების მპყრობელს, მხლებელსა და w-ს (აქვთ მიწა) სარგებლობაში, ამდენი დასათესი მარცვალი, 21,6 ერთეული“

Qa 1300

i-|je-re-ja *189 2

„ქურუმი ქალი *189 2“

Un 6

1. po-se-da[-o-ne] SUS + KA 1 SUS^f 2

3. pe-re-*82 BOS^f 1 OVIS^f 1 SUS + KA 1 SUS^f 2

4. pe-re-*82 BOS^f 1 OVIS^f 1 SUS + KA 1 SUS^f 2

⁵¹ qe-ja-me-ni დაუდგენელი თანამდებობის იუ სტატუსის აღმნიშვნელი გერმინია (იხ. DMic II : 193). გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტექსტში შემდგომში მხოლოდ კულტმსახურთა მფლობელობებია აღნუსხული, ეს გერმინიე ქურუმის ერთგვარი ნაირსახეობის აღმნიშვნელად შეიძლება ჩაეთვალოს.

6. *146 37 *166 +WE [] LANA 5

7. AREPA S 1 V 1[

8. BOS^m 2 BOS^f 2 OVIS^x[

v.1.]i-je-re-ja TELA+TE[

v.2. ka-]ra-wi-po-ro TELA+TE[

„პოსეიდონს – 1 ღორი, 2 დედალი ღორი, პერსეფონეს (?)⁵² – 1 ძროხა, 1 ცხვარი, 1 ღორი, 2 დედალი ღორი, ... მაგყელი 5, ზეთი S1 V1, 2 ხარი, 2 ძროხა, ცხვარი ... ქურუმი ქალი – სამოსი, გასაღების მყარობელი – სამოსი“

როგორც ვნახეთ, ეს ქალბატონი ფლობს მიწის საკმაოდ მოზრდილ ნაკვეთს (Eb 297, 339+409, Ed 317, Ep 704), ხელმძღვანელობს სატაძრო პერსონალს (i-je-re-ja do-e-ra/ro Ae 303, Eb 1176, En 609, Eo 224, Ep 539), გვევლინება მსხვერპლის შემწირველად ან ძღვენის მიმღებად (Un 6). სასახლის ერთ-ერთი მოხელე ამ ქალბატონის მფლობელობას აჯგუფებს ორი ქურუმისა და ეგლოსანთა სარდლის მიწებთან (Ed 317). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი შედარება:

	wa-na-ka	e-ke- ra ₂ -wo	po-ti-ni- ja	e-ri-ta i-je- re-ja pa-ki- ja-ni-ja
მიწისმფლობელობა: წოდების შესაბამისი ნაკვეთი	Er 312		Eq 213	
მიწისმფლობელობა: ნაკვეთი პირად მფლობელობაში		Er 880		Eb 297, 339+409, Ed 317, Ep 704
საკუთრება	მთელი „უპატრონო“ საკუთრება		Cc 665	
შეწირულებათა მიღება	Un 219	Un 219	Un 219	Un 6 ?
შეწირულებათა		Un 718		Un 6 ?

⁵² აშკარად რომელიღაც ღვთაებაა. გამომდინარე შესაწირის სქესიდან, ალბათ, ქალღმერთი. უფრო ღებალურად, იხ., DMic II : 108.

გაცემა				
*189 (Qa)		Qa 1292		Qa 1300
ადამიანები მათ გამგებლობაში	Eb 903, En 74, 609, Eo 160, 276, 371		Eb 364 / Ep 613, Jn 310, 431, Qa 1299, Un 249	
პერსონალი მათ დაქვემდებარებაში		An 610, 724		Ae 303, Eb 1176, En 609, Eo 224, Ep 539

როგორც გაბულიდან ჩანს, არსებობს გარკვეული პარალელიზმი, ერთი მხრივ, მეფესა და „ქალბაგონს“, მეორე მხრივ, e-ke-ra₂-wo-სა და e-ri-ta-ს შორის. შესაბამისად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მეფე-დედოფალი სახელმწიფო და სასულიერო ფუნქციების აღსრულებისას მოიხსენიებიან გიგულით, ხოლო იმ კონტექსტებში, სადაც ისინი კერძო პირებად გვევლინებიან – საკუთარი სახელით.

მაგრამ e-ri-ta-ს დედოფლად წარმოდგენას ერთგვარად ეწინააღმდეგება მისი ორი განსხვავებული მახასიათებელი – po-ti-ni-ja და i-je-re-ja, აგრეთვე მისი ნაკვეთის სტატუსის გარშემო ამტყდარი დავა (Eb 297/Ep 704), რომელიც, შესაძლოა სასამართლოს გასარჩევად ვახდა.

საინტერესოა, რომ ამ ქალბაგონის საკუთარი სახელი, ისიც თანამდებობასთან ერთად, მხოლოდ ერთ ტექსტში მოიხსენიება (Ep 704 – e-ri-ta i-je-re-ja). სრულიად უღაგოა, რომ იგივე ქურუმი ქალი იგულისხმება ამ ტექსტის ცალკეული სტრიქონების შესაბამის ტექსტებში (Eb 297, 339+409, 416) და შემაჯამებელ ტექსტში (Ed 317) – გამომდინარე რიცხობრივი მონაცემებიდან. არქივის ტექსტებში კიდევ რამდენიმე შემთხვევაში ვხვდებით ქურუმ ქალს (i-je-re-ja) სახელის ან სხვა მახასიათებლის გარეშე (Ae 303, Qa 1300, Un 6). რამდენიმე პარალელურ ტექსტში „ქურუმ ქალს“ ენაცვლება

„სფაგიანეს ოლქის ქურუმი ქალი“ (Eb 1176/Ep 539, En 609/Eo 224). არქივის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა ამ ქურუმი ქალის ერთმანეთთან და e-ri-ta-სთან გაიგივება სრულიად ბუნებრივია.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოხელეები მეფის საკუთარი სახელის პარალელურ კონტექსტში ამ ქალბატონის თანამდებობის აღმნიშვნელ ტერმინს იყენებენ. ისინი თითქოს გაურბიან მისი სახელის მოხსენიებას და იგი მხოლოდ კერძო დავასთან დაკავშირებითი ჩნდება.

Ep 704

5. e-ri-ta , i-je-re-ja , e-ke , e-u-ke-to-qe , e-to-ni-jo , e-ke-e , te-o , da-mo-de-mi , pa-si , ko-to-na-o ,

6. ke-ke-me-na-o , o-na-to , e-ke-e , to-so pe-mo GRA 3 T 9

Eb 297

1. i-je-re-ja , e-ke-qe , e-u-ke-to-qe , e-to-ni-jo , e-ke-e , te-o

2. ko-to-no-o-ko-de , ko-to-na-o , ke-ke-me-na-o , o-na-ta , e-ke-e

3. GRA 3 T 9 V 3

„ქურუმი ქალი e-ri-ta ფლობს და იფიცებს, რომ მას აქვს ღვთაების e-to-ni-jo,“ მისი ოპონენტი კი ირწმუნება, რომ ეს „არის საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთების o-na-to“.⁵³

ტექსტის ორ ვერსიას შორის საყურადღებო სხვაობა შეიმჩნევა: თუ ერთ შემთხვევაში ქურუმი ქალის ოპონენტად (ან ოპონენტებად) ko-to-no-o-ko გამოდის, მეორეში ამ ტერმინს da-mo ენაცვლება. კტონუხი მიწისმფლობელია, მიწისმფლობელია ასევე თემიც, დემოსი. პარალელური ვერსიებიდან გამომდინარე, ტექსტში Eb 297 დადასტურებული ko-to-no-o-ko შეიძლება გავიგოთ, როგორც თემის მიწისმფლობელთა კოლეგია,⁵⁴ ან როგორც თვითონ თემი, იური-

⁵³ თარგმანისა და ინტერპრეტაციის ვარიანტებისათვის იხ. Полякова 1978: 65 н сл.; Duhoux 2008: 300ff.

⁵⁴ ტექსტში Ep 301 ke-ke-me-na მიწის ფლობასთან დაკავშირებით 12 პირი მოიხსენიება ტიტულით ko-to-no-o-ko (მათ შორის არიან En/Eo სერიათა წყვილიდან ნაცნობი ტელესტებიც). მ. ლეჟენის აზრით, ისინი შეადგენდნენ თემის, დამოსის კოლეგიას, რომელიც დაუპირისპირდა ქურუმ ქალს. Lejeune 1965: 12 sq.; Docs²: 449. ერთის მხრივ, ტელესტების კტონუხებთან, მეორეს მხრივ კი, კტონუხების დამოსთან თავისთავად საეჭვო გაიგივება არ უნდა გვაძლევდეს ტელესტების ერთობლიობის თემთან იდენტურობის მტკიცების უფლებას (Wund-

დიული პირი.⁵⁵ დაპირისპირების არსი ბუნდოვანია. ქურუმ ქალს მისი მიწით სარგებლობაში არაეინ ეცილება,⁵⁶ მაგრამ ღაეა შეიძლება ნაკეეთის კუთენილებასაც შეეხებოდეს – ღვთაების e-to-ni-ji თუ საზოგადოებრივი (სათემო ?) მიწის o-na-to – ღა მის სგატუსსაც – o-na-to თუ e-to-ni-ji. თემი შეიძლება ნაკეეთზე უზენაეს უფლებასაც იჩემებდეს ღა სარგებლობასთან დაკეეშირებულ ვალდებულებათა შესრულებასაც ითხოვდეს – ოთხ ჰექტარამდე მიწით მოსარგებლეს ხომ wo-ze-e ეკისრებოღა, რისგანაც e-to-ni-ji-ს მფლობელი თავისუფალი იყო.⁵⁷ ვალდებულებათა მატარებელი ნაკეეთები გამიჯნული ჩანს საკუთრივ „სათემო“ მიწისაგან (pa-ro da-mo), რის გამოც, თუ თემს საერთოდ მიწის უზენაეს მფლობელად არ ჩავთვლით, გასაკვირია მისი ღაინტერესება ქურუმი ქალის ვალდებულებებით. ჩემი აზრით, ამგვარი ღაინტერესების საფუძველი მიკენური სამეფოების საერთო ვალდებულებათა სისტემაში შეიძლება ღაინახოთ. როგორც ცნობილია, ცალკეულ სოფლებსა თუ მთელ ოლქებს ეკისრებოღათ კოლექტიური გადასახადები, რომელთა ნაწილისაგანაც ისინი თავისუფლდებოდნენ, თუ თემის ცალკეული წევრები ან წევრთა ჯგუფები სასახლის საგანგებო ღავალეზას ასრულებდნენ. საეარაუღოა, რომ თემის ხარჯზე ან მისი სახელით გაეემული მიწის სანაცვლოდ მფლობელი სასახლეს/მეფეს უწევღა გარკვეულ სამსახურს, ხოლო თემს სამაგიეროდ კოლექტიური გადასახადი უმსუბუქდებოღა. შესაბამისად, თემი ღაინტერესებული უნღა ყოფილიყო, რომ ქურუმი ქალის ნაკეეთი საზოგადოებრივი მიწის სარგებლობად ჩათვლილიყო ღა მის მფლობელს wo-ze-e ვალდებულების შესრულება დაეისრებოღა.

მაგრამ როგორ შეჰბეღა თემმა უზენაეს ქურუმ ქალსა ღა დედოფალს გარკვეულ ვალდებულებათა მოხღის მოთხოვნა ღა რატომ აღნუსხა ეს ფაქტი სასახლის მოხელემ?

ამ სიგუაეის ასახსნელად შეიძლება ხეთური პარალელები გამოგვადგეს. როგორც ცნობილია, ღიღი დედოფლისა ღა თაეანანას სგატუსს⁵⁸ ქალი მეფის პირველ ცოლად გახღომით იღებღა ღა

sam 1968 : 77f.).

⁵⁵ Полякова 1978: 67.

⁵⁶ შღრ. „შემაჯამებელი“ სერიის ტექსტი Ed 317, საღაც ქურუმი ქალის უფლება მის ნაკეეთზე არ არის ევვს ევემ დაეენებული.

⁵⁷ Deger-Jalkotzy 1978: 54f.; DMic I: 259.

⁵⁸ Tawananna-ს მიეძღვნა სპეციალური მონოგრაფია (Bin-Nun 1975) ღა მრავალი

ინარჩუნებდა მას მეუღლის გარდაცვალების შემდეგაც. ახალი მეფის მეუღლე ვერ გახდებოდა თავანანა, სანამ ამ სტატუსის მქონე ძველი დედოფალი ცოცხალი იყო. ეს სტატუსი, როგორც ჩანს, პატივის გარდა, გარკვეულ რეალურ ხელისუფლებასაც გულისხმობდა, რითიც ახალ მეფეებს გარკვეული პრობლემები ექმნებოდათ. ხათუსილი I-ს იარაღით ხელში მოუწია თავანანას წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მურსილი II და მუვათალი II სასამართლოს მეშვეობით ცდილობდნენ მტრულად განწყობილი დედინაცულების უვნებლყოფას.

შესაძლოა, პილოსის ტექსტებშიც მსგავსი სიტუაცია აისახა. მეფესა და „ქალბაგონს“ შორის დაძაბული ურთიერთობა შეიძლება გამხდარიყო საფუძველი ამ უკანასკნელის მფლობელობისათვის სტატუსის და, შესაბამისად, დაბეგერის რეჟიმის შესაცვლელად. ზ. დეგერ-იალკოცის აზრით, თემის თუ მიწისმფლობელთა ჯგუფის პრეგენზიის არსი სწორედ დაბეგერის რეჟიმს უკავშირდება.⁵⁹ „ქალბაგონის“ გარშემო შექმნილი ვითარების გამოძახილი შეიძლება იყოს ისიც, რომ ტექსტების შემდგენელი მოხელეები მას ძირითადად „ქურუმ ქალად“ მოიხსენიებენ. მისი საკუთარი სახელი, როგორც უკვე აღინიშნა, ნაკვეთის გარშემო დაეასთან დაკავშირებით ჩნდება, ხოლო მის საპატიო ტიტული – po-ti-ni-ja მხოლოდ იმ შემთხვევებში, სადაც ამ ტერმინს სხვა ვერ ჩაანაცვლებდა.

სტატია. მიუხედავად ამისა, მისი სტატუსის შეფასებაში ხეთოლოგები არ არიან ერთიანი. იხ. მაგ., Carruba 2005: 167ff.

⁵⁹ Deger-Jalkotzy 1978 : 54f.

DIE LETZTE KÖNIGIN VON PYLOS

Die Frauen spielen eine wichtige Rolle in griechischen Sagen. Oft war für den Helden Heirat einer Frau aus königlicher Familie der Weg zum Thron. Diese Tatsache könnte man als Genresbesonderheit betrachten: das ist ein allgemein verbreitetes Motiv in Sagen und Märchen. Aber die Intensität und Vielfalt der Bearbeitungen dieses Motivs lässt denken, dass es auch eine andere Lösung zu suchen ist. Es gibt mehrere Beispiele. Von denen scheint mir der Fall von Penelope höchst interessant zu sein: als Odysseus verschwunden war, wurde sein Nachfolger nicht in seiner Familie (sein Vater und ehemaliger König Laertes, sein zwanzigjähriger Sohn Telemachos), sondern unter den Freiern der Königin gesucht. Für jeden einzelnen Fall könnte man konkrete Erklärung finden. Einige dieser Frauen, in erster Linie, wahrscheinlich diejenigen, die dem Zeus Söhne gebaren, sollten ursprünglich lokale vorgriechische Göttinnen sein, die im gemeingriechischen Pantheon keine göttliche Stellung gefunden haben. Heirat einer Gottheit oder ihrer Priesterin dürfte der Legitimation sogar einer erbten Macht dienen. Die Königin mit priesterlichen Funktionen sollte auch in den Linear B Texten ihre Spuren hinterlassen. Eine Königin, wenn sie in den mykenischen Texten überhaupt erwähnt ist, kann nur durch *po-ti-ni-ja* (*potnia*) bezeichnet sein. In einigen Fällen ist unter diesem Terminus eine Göttin gemeint, in anderen aber könnte man auch eine hochgestellte Dame sehen.¹ A.M. Jasink hat m.E. überzeugend gezeigt, dass *Potnia* in meisten Fällen die Königin bezeichnet.² *a-ta-na-po-ti-ni-ja* (KN V 52), *da-pu-ri-to-jo po-ti-ni-ja* (KN Gg 702, Oa 745); *si-to-po-ti-ni-ja* (MY Oi 701); *po-ti-ni-ja i-qe-ja* (PY An 1281) waren wahrscheinlich Göttinnen, aber bei *Potnia* ohne Eigennamen oder Epitheta könnte es (besonders im Pylos) um eine Königin mit kultischen Funktionen handeln.

Die Stellung der *Potnia* in den pylischen Texten könnte man im Vergleich der *Potnia*-Kontexte mit den Erscheinungskontexten von zwei grossen Herren – des Königs (*Wanax*) und des Hauptgottes *Poseidon* bestimmen:

1. Der König wird entweder nur mit dem Titel oder nur mit dem Eigennamen erwähnt, Poseidon – nur mit dem Namen, die Herrin erscheint

¹ DMic II: 160 sqq.

² Jasink-Ticchioni 1980, 205 ff., Jasink 2004: 185 ff.

mal nur mit dem Titel, mal mit dem Titel und Epitheta (*po-ti-ni-ja a-si-wi-ja*, *e-re-wi-jo-jo-po-ti-ni-ja*, *po-ti-ni-ja i-qe-ja*, *u-po-jo po-ti-ni-ja*), was für die Existenz verschiedener Herrinnen sprechen könnte.

2. Alle drei sind Rezipiente der Gaben.

3. Einzelne Personen sind als dem König oder der Herrin gehörend bezeichnet (*wanakatero*, *potinijawejo*). Ihnen gehören Landparzellen, Vieh, Werkstätte. Poseidon hat dagegen eigenen Priester und eigene Heiligtümer.

4. Poseidon und *Potnia* sind selten zusammen erwähnt (PY Fn 187, Tn 316, KN V 52). Im knossischen Text handelt es sich um die Göttin Athena, in den anderen ist die Relation zwischen den beiden unklar. Was den König und *Potnia* in den Texten wo sie zusammen erscheinen (PY Fr 1235, Un 219, TH Of 36), betrifft, gewinnt man den Eindruck, dass sie ein Paar bilden.

5. Nur der König erscheint als handelnde Person (PY Na 334, Ta 711).

6. Poseidon ist nur in Pylos und Knossos bezeugt, der König und die Herrin fast in allen Archiven.

7. In dem neuentdeckten thebanischen Archiv scheint *ma-ka / mater gaia*³ die Hauptgöttin zu sein, nicht *Potnia*. Obwohl dieses Archiv mit dem pyllischen nicht ganz vergleichbar ist, scheint mir die Stellung der thebanischen Muttergöttin der des Poseidons näher zu sein als der der pyllischen Herrin.

Dieser Vergleich lässt annehmen, dass die *Potnia* dem König viel näher stand als dem Hauptgott. Mit diesem Terminus wurde in einigen Fällen (besonders in den Texten, wo er ohne Eigennamen oder Epitheta erscheint) die Königin mit kultischen Funktionen bezeichnet.

Wenn das stimmt, wäre es sinnvoll im relativ gut aufbewahrten pyllischen Archiv den Eigennamen der Königin zu suchen. Die Priesterin *e-ri-ta*⁴ scheint die beste oder sogar die einzige Kandidatur zu sein. Als Argument dafür könnte man folgende Vergleichstabelle anziehen:

³ Zur Gleichsetzung s. TFC I : 317; Hiller 2003 : 233.

⁴ *e-ri-ta i-je-re-ja* = *i-je-re-ja pa-ki-ja-ni-ja*. Zur Gleichsetzung s. z.B., Lindgren 1973: I 51, 142; Duhoux 2008: 296.

	wanaka	ekera ₂ wo	potnija	erita ijereja pakijanija
Amtlicher Landbesitz	Er 312		Eq 213	
Landbesitz (privat)		Er 880		Eb 297, 339+409, Ed 317, Ep 704
Eigentum	das ganze „besitzerlose“ Eigentum		Cc 665	
Rezipient der Gabe	Un 219	Un 219	Un 219	Un 6 (?)
Spende		Un 718		Un 6 (?)
*189 (Qa)		Qa 1292		Qa 1300
Als ihnen „gehörend“ bezeichnete Leute	Eb 903, En 74, 609, Eo 160, 276, 371		Eb 364 / Ep 613, Jn 310, 431, Qa 1299, Un 249	
Untergeordnetes Personal		An 610, 724		Ae 303, Eb 1176, En 609, Eo 224, Ep 539

Die Tabelle zeigt bestimmte Ähnlichkeit in Erscheinungskontexten einerseits von dem König und der *Potnia*, andererseits von *e-ke-ra₂-wo* und *e-ri-ta*. Im Fall des Königs könnte man in den pylischen Texten folgende Besonderheit bemerken: wenn er in seiner königlichen Funktion gezeigt wird, steht im Text sein Titel *wa-na-ka*, wenn er als Privatperson fungiert, dann sein Eigenname *e-ke-ra₂-wo*.⁵ Vielleicht gilt das gleiche auch für die Königin.

⁵ Gordesiani 1995: 7; Palaima 1995: 119ff.

Gegen die Identifikation der Priesterin *e-ri-ta* mit der Königin spricht ihre Erwähnung mit zwei verschiedenen kultischen Titeln (*po-ti-ni-ja* und *i-je-re-ja*) und der Rechtsstreit um den Status ihrer Parzelle (Eb 297/Ep 704).

Es ist beachtenswert, dass der Eigenname dieser Dame nur einmal in den Texten bezeugt ist, auch da zusammen mit dem Titel: Ep 704 – *e-ri-ta i-je-re-ja*. Es ist nicht strittig, dass in den Texten Eb 297, 339+409, 416, Ed 317 dieselbe Priesterin erwähnt ist. Eine Priesterin ohne Namen oder Epitheta erscheint noch in drei Texten (Ae 303, Qa 1300, Un 6). In den Paralleltexten Eb 1176/Ep 539, En 609/Eo 224 entspricht der *i-je-re-ja* einer Redaktion *i-je-re-ja pa-ki-ja-ni-ja* der anderen. Die Spezifik der Archivführung lässt mich denken, dass in allen diesen Fällen eine Dame gemeint ist.

Falls *e-ri-ta* doch die Königin war, entsteht die Frage, warum die Schreiber sie lieber als Priesterin darstellen und ihren Eigennamen nur in Zusammenhang mit dem Rechtsstreit nennen.

Laut dem Text (Ep 704/Eb 297) schwörte *e-ri-ta*, dass ihr Grundstück ein *e-to-ni-jo* der Gottheit war. Ihre Opponenten (in einer Version die Gemeinde, in anderer – die Landbesitzer) behaupteten dagegen, dass diese Parzelle den Status *ko-to-na-o ke-ke-me-na-o o-na-to* – Nutzung des öffentlichen Landes hatte. Diese Form der Landnutzung war mit bestimmten Verpflichtungen (*wo-ze-e*) verbunden, wovon der *e-to-ni-jo*-Status befreite.⁶

Aber wie hat eine Gemeinde gewagt von der Königin Erfüllung bestimmter Verpflichtungen zu verlangen und warum wurde diese Anklage vom Palastbeamten registriert?

Bei Beantwortung dieser Frage könnten die Beispiele einiger hethitischen *Tawanannas* hilfreich sein. Bekanntlich erlangte eine Frau den Status der Grosskönigin und *Tawananna*⁷ nachdem sie den Grosskönig heiratete und behielt den Titel auch nach dessen Tod. Der Frau des neuen Grosskönigs war diese Würde versagt solange die alte Grosskönigin lebte. Sie hatte wahrscheinlich bestimmte Macht, die dem neuen König Probleme bereitete. Hattušili I. hatte mit der *Tawananna* militärische Auseinandersetzung, Muršili II. und Muwatalli II. haben durch Gericht versucht die schlechtgesinnten Stiefmütter zu neutralisieren. Die pylischen Texte könnten ähnliche Situation widerspiegeln. Gespannte Beziehungen

⁶ Deger-Jalkotzy 1978: 54 ff.; DMic 1: 259.

⁷ Trotz mehreren Werken bleibt die Interpretation des Titels bzw. der Bezeichnung strittig. S. z.B., Carruba 2005: 199 ff.

zwischen dem König und der *Potnia* könnten zu Änderungen im Status und Taxation ihrer Grundstücke führen. Auch die Beamten erwähnten die Königin meist als *i-je-re-ja*, ihr Eigenname erscheint nur beim Rechtsstreit, ihr Ehrentitel *Potnia* – nur in den Fällen wo er nicht ersetzt sein könnte.

პილოსის არქივმა შემოინახა გექსტების დიდი ჯგუფი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის მიკენური მიწისმფლობელობის სისტემის შესახებ. ამ გექსტებს აერთიანებს იდეოგრამა *120 – GRA, რომლის შესახებაც ბევრთ დაწერილებით იყო ლაპარაკი. ამ გექსტებს განეკუთვნება დოკუმენტი Er 312+880, რომელიც სამეფო ოჯახის სამფლობელოთა აღწერილობად მიმაჩნია, დაუდგენელი სტატუსის მფლობელობათა ჩამონათვალი (Eg სერია), პოსეიდონის კულტთან დაკავშირებული მიწები, საიდანაც შესაწირს პოსეიდონი, სასახლე და რამდენიმე სხვა ადრესატი იღებდა (Es სერია).

სისტემის შესასწავლად ყველაზე მნიშვნელოვანია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული სერია, რომლებიც პილოსის სამეფოს ერთი ოლქის მიწებს აღწერენ (Ep/Eb, En/Eo, Ed).¹ ეს გექსტები ტრაფარეტულია. ბევრთ რამდენიმე ნიმუში უკვე მოვიგანე. ამიგომ აქ მათთან დაკავშირებული პრობლემატიკის მიმოხილვითა და მათი ინტერპრეტაციით შემოვიფარგლები.

გექსტები მოიცავენ პირად მფლობელობასა თუ სარგებლობაში მყოფი სხვადასხვა კატეგორიის მიწის ნაკვეთების აღწერილობას. ფირფიტების დიდი ნაწილი ერთიანდება სერიათა წყვილებში Ep/Eb, En/Eo. Eb და Eo სერიები მოიცავენ მოკლე გექსტებს, რომელთა შინაარსიც, ძირითადად უცვლელად, გადატანილია, შესაბამისად, Ep და En სერიების დიდ, შემაჯამებელ გექსტებში. Ed სერიის გექსტებში ნაჩვენებია სხვადასხვა პრინციპით დაჯგუფებული მსგავსი კატეგორიის მფლობელობათა ჯამური ფართობი.

თითქმის საყოველთაოდ არის გაზიარებული მოსაზრება, რომ მოკლე გექსტები წინასწარ, მოსამზადებელ ინფორმაციას შეიცავენ ამა თუ იმ პირის ნაკვეთებზე, ხოლო „შემაჯამებელი“ გექსტები უკვე საბოლოო ვერსიას წარმოადგენენ.² ე.ლ. ბენეტი მიიჩნევს, რომ არსებობდა დოკუმენტების სამი პარალელური სერია – პირველადი, მეორადი და საბოლოო. მისი აზრით, Eb სერია პირველადია, მისი შესაგყვისი მეორადი დოკუმენტები დაკარგულია, ხოლო Ep ფინალური ვერსიაა. სერიათა მეორე წყვილი მეორად და საბოლოო დოკუმენტებს მოიცავს.³

¹ მათი მსგავსია ასევე Ea სერია, რომელიც სხვა ოლქის მიწებს მოიცავს და რომელშიც იგივე გერმინოლოგია დასტურდება. ამ სერიასთან დაკავშირებით იხ. მაგ. Lejeune 1974; Ruijgh 1984; Krigas 1987: 23ff.; Deger-Jalkotzy 1988.

² იხ. მაგ., Полякова 1978: 12.

³ Bennett 1983: 42f.

მოსამზადებელ და საბოლოო დოკუმენტებს შორის განსხვავება-
თაგან, პირველ ყოვლისა, ალსანიშნავია ზმნის (e-ke / $\text{X}\chi\text{e}$, $\text{X}\chi\text{ei}$ /აქეს)
ხმარების თავისებურება: En, Ep სერიებში, როგორც წესი, იგი e-ke
ფორმით გვხვდება, ხოლო Eb, Eo სერიებში მას დაერთვის
ენკლიტიკური -qe, რომლის ინტერპრეტაცია სადაეოა.⁴ მკვლევართა
უმრავლესობა იზიარებს ლ.რ. პალმერის მოსაზრებას, რომ
„მოსამზადებელი“ სერიების e-ke-qe და „საბოლოო“ ვერსიის e-ke
შინაარსობრივად განსხვავებიან ერთმანეთისაგან. ლ.მ. ჯონსი
გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით.⁵ მისი
აზრით, ენკლიტიკური -qe(-qe) არ უნდა შეიყვანოს დასამტკიცებლად
წარდგენის გაგებას.⁶ პარალელური სერიების ტექსტების შედგენის
თანამიმდევრობაზე მსჯელობისას იგი შენიშნავს, რომ ტექსტში Eo
224.2-3 თავდაპირველად ეწერა a-ma-ru-ta, შემდეგ მწერალს ეს
სახელი წაუშლია და თავზე დაუწერია pa-ra-ko, ხოლო En 609-ში
შესაბამის ადგილას (.10, შმდ.) კვლავ a-ma-ru-ta იგულისხმება.⁷
ლ.მ. ჯონსს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ტექსტის ორი ვერსიის შედგენის
განმავლობაში მიწის მოზრდილ ნაკვეთს თავის
„მოიჯარაღებინა“ ორჯერ შეეცვალათ პაგრონი.⁸

სხვა, შედარებით უმნიშვნელო განსხვავებები, რომლებსაც
ტექსტებში ვხვდებით, შეიძლება გამოწვეული იყოს მწერლის
სტილით,⁹ საბოლოო დოკუმენტის შედგენის პრინციპით, ან იმ
ცვლილებებით, რაც დოკუმენტის ორი ვერსიის შედგენის შორის
პერიოდში მოხდა. რიც შემთხვევაში ტექსტების ორ, ზოგჯერ სამ
ვერსიას შორის გერმინოლოგიური განსხვავებები გვეხმარება
ლაკონური ტექსტების ინტერპრეტაციაში, მრავალრიცხოვანი
ბუნდოვანი გერმინების მეტ-ნაკლებად ზუსტ გაგებაში.

დოკუმენტის დასაწყისს წარმოადგენს ზემოხსენებული ტექსტი
En 609, რომლიდანაც ვიგებთ, რომ En და მასთან დაკავშირებული
სხვა სერიები პილოსის სამეფოს ერთ-ერთი ოლქის, pa-ki-ja-ni-ja-ს

⁴ DMic I: 206f.

⁵ Jones 1966: 245ff.

⁶ შდრ. Ruipérez 1987.

⁷ აქ გასათვალისწინებელია ტექსტების შედგენის განსხვავებული პრინციპი: Eo სერიაში მფლობელის შემდეგ ჩამოთვლილი არიან მისი „მოიჯარაღები“, მფლობელის სახელი ყოველ სტრიქონში მეორდება. En სერიაში მფლობელის სახელის სხვანების შემდეგ ჩნდება ფრაზა „და მისი მოიჯარაღები არიან“, რასაც მოსდევს „მოიჯარაღეთა“ ჩამოთვლა უკვე მფლობელის სახელის მოხსენიების გარეშე.

⁸ შდრ. აგრეთვე Docs²: 247.

⁹ Eb, Eo – ხელი 41, En, Ep – ხელი I.

(Σφαγιαία) მიწებს აღწერენ. მის პრეამბულაში იხსენიება da-ma-te DA 40 და te-re-ta VIR 14. შემდეგ მოსდევს გერმინებით te-re-ta და o-na-te-re აღნიშნულ პირთა მიწების ჩამოთვლა. ნაკვეთების ფართობები გადმოცემულია პილოსისათვის ჩვეული სათესლე მარცელის ერთეულებით. ამრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს da-ma-te DA 40.¹⁰ მკვლევართა უმრავლესობა da-ma-te-ს კითხულობს, როგორც δάμαρτες, რომლის შემოკლებადაც, როგორც უკვე აღინიშნა, ითვლება DA, თუმცა ასეთი გაიგივება არც არის საეალდებულო. შენიშნულია, რომ რიცხვი 40 შეესაბამება En სერიაში მოხსენიებულ პირთა რაოდენობას: 14 te-re-ta¹¹ და 26 o-na-te-re. ამდენად, da-ma-te DA 40 იყო გაგებული, როგორც 40 მოხელე (მღრ. du-ma/da-ma), 40 ოჯახი ან საოჯახო მეურნეობა.¹² ამის საპირისპიროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის ცდები DA იდეოგრამის მიწის საზომ ერთეულად, მიწის ნაკვეთად წარმოდგენისა. ი. დიუსს მოსაზრებას ზემოთ უკვე შევეხე, ხოლო უკანასკნელად, რამდენადაც ვიცი, მსგავსი ჰიპოთეზა წამოაყენა ჰ. ოტამ ბერლინში 1986 წელს Eirene-ს კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში. მას მიაჩნია, რომ ტექსტი Eo 444 არის ჩამოჭრილი ფირფიტიდან En 609. ამით იგი ახერხებს აღმოაჩინოს მეთოთხმეტე „დაკარგული“ te-re-ta, ხოლო o-na-te-re-თა ნაკვეთების რაოდენობა მთელ ლოკუმენტში იზრდება ორმოცამდე. შესაბამისად, da-ma-te DA 40 შეიძლება გავიგოთ, როგორც 40 საოჯახო მეურნეობა (14 te-re-ta და 26 o-na-te-re. თითოეული მეურნეობა შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაკვეთისაგან) ან 40 ნაკვეთი, მაგრამ ვერც ერთ

¹⁰ დისკუსიისათვის იხ. Полякова 1978: 26ff.; Ruijgh 1987.

¹¹ En 609-ში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასახელებულია გელესტო რაოდენობა – 14 კაცი. მთელ სერიაში მხოლოდ 13 გელესტია, ერთ მათგანს ორი ნაკვეთი აქვს, ამდენად ნაკვეთების რაოდენობა თითხმეტია. Eo 224, Eo 444 ტექსტიდან სამი კანდიდატურაა „დაკარგულ“ გელესტად ჩასათვლელად: pa-ta-ko, ta-ta-ro, pe-re-qa-ta pe-qa-ta; Ep 613.4.-5/Eb 149+940 წყვილიდან – te-re-ta su-ko po-ro-du-ma (Lejeune 1974a: 247sqq.; Ruijgh 1987: 309). გ. პოლიაკოვა (Полякова 1978: 40 შმდ. იქვე საკითხისა და ბიბლიოგრაფიის ვრცელი მიმოხილვა) მეთოთხმეტე გელესტად pe-re-qa-ta pe-qa-ta-ს მიიჩნევს. იგივე აზრამდე მიდის პ. ოტაც, ოღონდ სხვა არგუმენტაციით (იხ. ქვემოთ). გელესტების მიწების ჯამური ფართობი En სერიაში არის GRA 31 T 4 V 2. თუ Eo 444 მართლა En სერიის ნაწილია, ეს რიცხვი 2-3 პექტარით იზრდება, მაგრამ განსხვავება Ed 411 ტექსტში მოცემული გელესტთა მიწების ჯამური ფართობისაგან (GRA 44 T 2) საგრძობია. ამ სხვაობას კარგად შეავსებდა te-re-ta su-ko po-ro-du-ma-ს 103ა, თუმცა ამ შემთხვევაში მთლად გარკვეული არ არის, გვაქვს თუ არა სხვადასხვა კატეგორიის ნაკვეთების შეჯამების უფლება.

¹² იხ. მაგ., Ruijgh 1972: 96sq.; Mele 1979: 25.

შემთხვევაში ამ ტექსტში იდეოგრამას *DA* ნაკვეთის საზომ ერთეულად ვერ გავიგებთ. მ. ლეენსა და კ. რუიჰს მიაჩნიათ, რომ ტექსტის შესავალი ფრაზა განეკუთვნება არა მარგო ამ სერიას, არამედ, შემაჯამებელი ტექსტის Ed 411 მსგავსად, სერიათა ორივე წყვილს.¹³ შესაბამისად, *DA* 40 ადამიანთა თუ ნაკვეთთა ბევრად უფრო ფართო წრეშია საძებნელი. კ. რუიჰის აზრით, *DA* (წინაბერძნული δάμαρ-δύμαρ) აქაც, ისევე, როგორც ყველა სხვა B-ხაზოვან ტექსტში „უფროსს, ბატონს“ აღნიშნავს. En-Ep სერიათა ტექსტებში ასეთებად მას მიაჩნია ყველა „პირველი რიგის მფლობელი“, გარდა „მონებისა“ (do-e-ro): 14 te-re-ta (En) + 12 ko-to-no-o-ko (Ep 301) + 10 ka-ma-e-u (Ep 613.1-13) + 5 პირი (Ep 539.13-14; Ep 704.1-8). როგორც ვხედავთ, ჯამი 41 გამოცდის, მაგრამ ერთი ka-ma-e-u არის te-o-იო do-e-ro, რის გამოც „ბატონთა“ კატეგორიას არ ეკუთვნის. მკვლევარი ვარაუდობს, რომ KN Uf სერიის ტექსტებშიც *DA* „ბატონია“, ხოლო *PA* (πάλλαξ) – მისი „მოიჯარადე“, პილოსის ტექსტების o-na-te-re-ს შესაყვეისი.¹⁴

მფლობელობის ძირითად აღმნიშვნელ გერმინად B-ხაზოვან ტექსტებში გვევლინება ko-to-na (KN Uf სერიის ტექსტებში ko-to-i-na = κτοίνα) – ნაკვეთი. სერიათა წყვილი En/Ep მოიცავს ko-to-na ki-ti-me-na კატეგორიის მიწების აღწერილობას. ეს მიწა პირობით კერძო საკუთრებადაა მიჩნეული. κτιμένα ნიშნავს „დასახლებულს, კულტივირებულს“. ლ.რ. პალმერის აზრით, ეს არის ათვისებული ყამირი, რომელიც შემდეგ იქცა კერძო საკუთრებად.¹⁵ ა.ი. ტიუმენევიც გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ki-ti-me-na არის wo-wo მიწის მიღებისა და ათვისების შედეგად მიღებული საკუთრება.¹⁶ ko-to-na ki-ti-me-na-ს საკუთრებად გაგებას ნაწილობრივ მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ნაკვეთის გვერდით მოიხსენიება მისი პაგრონის სახელი ნათესაობით ბრუნვაში. Ep სერიის ტექსტებში აღნიშნულია ამ ტიპის ნაკვეთების მფლობელის სახელი და ფართობი, შემდეგ მოდის მოიჯარადეთა თუ მოსარგებლეთა (o-na-te-re) სია სარგებლობაში გაცემული ნაწილის (o-na-to) ზომის ჩვენებით.¹⁷ „მოიჯარადეები“ დახასიათებულნი არიან სტატუსის, პროფესიის ან სხვა რამ ნიშნით. En სერიის ოთხ ტექსტში (En 609, 74, 659, 467)

¹³ Lejeune 1974a : 247sqq.; Ruijgh 1987 : 311sqq.

¹⁴ Ruijgh 1987.

¹⁵ Palmer 1963 : 186.

¹⁶ Тюменев 1959a : 31.

¹⁷ o-na-to, o-na-te-re გერმინების სხვადასხვა ინტერპრეტაციისათვის იხ. მაგ., Krigas 1987 : 34; Deroy 1989; DMic II : 26.

გაერთიანებულია ეს მონაცემები. გექსტის En 609 შესავალში ნახსენები თოთხმეტი კაცი აღინიშნება ტერმინით te-re-ta. მათი რიცხვი ემთხვევა მთელ ლოკუმენტში აღნუსხულ ki-ti-me-na კატეგორიის ნაკვეთების რაოდენობას. გარდა ამისა, ერთ-ერთი მიწათმფლობელი, wa-na-ta-ji გექსტში En 609.15/Eo 224.5 გვევლინება სხვა მფლობელის „მოიჯარადედ“. ამ კონტექსტში იგი დახასიათებულია ტერმინით te-re-ta. აქედან გამომდინარე, ko-to-na ki-ti-me-na-ს ყველა მფლობელი მიჩნეულია te-re-ta-დ. En/Eo სერიათა წყვილისათვის ეს დასკვნა გამართლებული ჩანს, მაგრამ საეჭვოა, მისი ყველა შემთხვევაზე გავრცელება შეიძლებოდეს. მემოთ არაერთხელ ნახსენებ გექსტში Er 880 ამ ტიპის ორ¹⁸ ნაკვეთს ფლობს ეხელაონი, Ea სერიის გექსტებში (71, 756, 781, 817, 821) აღრიცხულ ki-ti-me-na-თა მფლობელებიც არ მოიხსენიებიან ტერმინით te-re-ta, ხოლო გექსტებში Ed 411, Eq 146, Er 312, სადაც ტელესტების მიწებზეა საუბარი, ნაკვეთის კატეგორია არ არის აღნიშნული. ტელესტთა ნაკვეთების კატეგორია არც კნოსოსის არქივიდან მომდინარე გექსტებშია (Uf 839, 970, 990) განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ კნოსოსის გექსტებში არ დასტურდება თვით ტერმინი ki-ti-me-na, რის შესაძლო მიზეზებზეც ქვემოთ შეეჩერდები. გარდა ამისა, ზოგიერთი ტელესტი Ep/Eb სერიათა წყვილის გექსტებში გვევლინება სხვა კატეგორიის ნაკვეთის მფლობელად (Ep 613.4/Eb 149) ან „მოიჯარადედ“ (Ep 301). ამდენად, ტელესტები არ შეიძლება გავეთანაბროთ ko-to-na ki-ti-me-na-ს მფლობელებს, თუმცა ამ სოციალური სტატუსის პირთა მჭიდრო კავშირი გარკვეული ტიპის მფლობელობასთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს და მიწისმფლობელობითი ურთიერთობების ამსახველი გექსტების საფუძველზე ტელესტების ერთიან სამოგადოებრივ ფენად წარმოდგენა არ უნდა აწყდებოდეს სერიოზულ სირთულეებს.¹⁹

Ep/Eb სერიათა წყვილი ეძღვნება ke-ke-me-na ko-to-na კატეგორიის მიწების აღწერას. თუმცა ტერმინის ზუსტი თარგმანი ჭირს,²⁰ ის უნდა აღნიშნავდეს სამოგადოებრივ მიწას. განსხვავებით ki-ti-me-na მიწების აღწერილობისაგან, ხსენებულ სერიებში მიწისმფლობელობითი ურთიერთობებისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის დიდი მრავალფეროვნებაა დადასტურებული.

ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმულაა²¹ X o-na-to e-ke ke-

¹⁸ ან ერთს, თუ .4 სტრიქონში a-ki-ti-|to-ს აღვადგენთ.

¹⁹ მღრ. Ποлякова 1978: 51; Wundsam 1968: 147.

²⁰ მღრ. DMic I: 337შმდ., იქვე ბიბლიოგრაფია.

²¹ მიწისმფლობელობის სისტემის ამსახველ გექსტებში გამოყენებული ფორმულები

ke-me-na ko-to-na pa-ro da-mo (ერთ შემთხვევაში – Ea 803 – pa-ro da-mo-ს ენაცვლება da-mi-jo,²² რაც აზრს არ ცვლის) – „აქვს სარგებლობაში (ან იჯარით, თუმცა ამ შემთხვევაში სიტყვასიტყვითი თარგმანი „სარგებლობა“ შეიძლება შინაარსითაც უფრო ზუსტი გამოდგეს) ke-ke-me-na ნაკვეთი ხალხისაგან“. ამის გვერდით გვხვდება აგრეთვე ke-ke-me-na ko-to-na a-no-no (Ep 301.1), ანუ რომელიც არ არის სარგებლობაში ვაცემული და ke-ke-me-na ნაკვეთები პირად მფლობელობაში (Ep 301.8-14, Ep 704.1..7). ასეთ შემთხვევებში არ აღინიშნება, რომ პიროვნებას ნაკვეთი „ხალხისაგან“ ჰქონდეს. ორივე გიპის ნაკვეთების ფლობის პირობებში განსხვავება არ შეინიშნება, უფრო სწორედ, მხოლოდ ფორმულის დონეზე: ერთ შემთხვევაში ფლობის აზრი გადმოცემულია ნათესაობითი ბრუნვის მეშვეობით (En/Eo), მეორეში – გზნით „აქვს“ (Ep/Eb). Ea სერიაში, სადაც ფორმულების სიწმინდე ნაკლებადაა დაცული, საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთის ფლობა აღინიშნება ორივენაირად, ხოლო ზოგჯერ ნაკვეთის კატეგორია საერთოდ არ მოიხსენიება. კერძო მფლობელობაში მყოფი ორივე გიპის ნაკვეთის ნაწილი შეიძლება ვაცემულ იქნას სარგებლობაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ Ep/Eb სერიების ტექსტებში მფლობელის მიერ ke-ke-me-na მიწის იჯარით ვაცემის ფაქტი არ არის დადასტურებული.

საზოგადოებრივი მიწის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს ka-ma,²³ თუმცა ის არსად არ იწოდება არც ke-ke-me-na-დ და არც ko-to-na-დ. გერმინ ka-ma-ს შემცველი კონტექსტები არ არის ატებული ერთიანი ფორმულით და საკმაოდ ბუნდოვანია. ამდენად, მათზე ღირს საგანგებოდ შეჩერება. ძირითადი ტექსტია Ep 613 (Eb სერიის შესაბამისი ტექსტებითურთ). გარდა ამისა, ტექსტში Ep 539.5, .7 დადასტურებულია X o-na-to e-ke pa-ro Y ka-ma-e-we wo-zo-te / ou-qe wo-ze, ხოლო ტექსტში Ea 28 X e-ke ka-ma.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს გერმინი ka-ma-e-u. მისი წარმოებისა (kama+eus) და Ep 613.6/Eb 177 პარალელური კონტექსტების წყვილის საფუძველზე, კამავესი შეიძლება ჩაითვალოს ka-ma გიპის ნაკვეთის მფლობელად. ეს ნაკვეთი შეიძლება სარგებლობაშიც გაიყვს. ასეთ დროს, ალბათ, უნდა განვასხვავოთ o-na-to ka-ma, რომლის პატრონიც არ მოიხსენიება და o-na-to ka-ma pa-ro X / pa-ro ka-ma-e-we. პირველ შემთხვევაში სარგებლობის პირობები

შესახებ დაწერილებით იხ. Полякова 1978: 14 შმდ.

²² DMic I: 390.

²³ ამ კატეგორიის მიწასთან დაკავშირებით იხ. მაგ., Cataudella 1971: DMic I: 309sqq.

უახლოვდება მფლობელობისას და ასეთი ნაკვეთით მოსარგებლე პირს შეიძლება ეწოდოს კამაეესი. მეორე შემთხვევაში კამაეესის მიერ ნაკვეთის იჯარით გაცემასთან უნდა გეჭონდეს საქმე. ka-ma გიპის ნაკვეთის ფლობასთან დაკავშირებულია ვალდებულება wo-ze-e/te-re-ja-e, რაც როგორც მფლობელს, ასევე მოსარგებლე-მოიჯარადეს ეკისრებოდა. ვალდებულებათა აღმნიშვნელი ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა უცნობია.

te-re-ja-e-სათვის შეღარებით გაზიარებული წაკითხვაა *τελειδν და ეს მზნა წარმოსდგება ძირისაგან tel-. ზოგი მკვლევარი მასში გარკვეულ გადასახადს ხედავს,²⁴ ზოგიც შესაძლო მნიშვნელობად „სამსახურს, სამსახურის გაწევას“ მიიჩნევს.²⁵

wo-ze-e მკვლევართა უმრავლესობისათვის დაკავშირებულია წყრუა მზნასთან, რაც ზოგადად „მუშაობას“ აღნიშნავს.²⁶ ლ.რ. პალმერი ხედავს მასში კონკრეტულ ტერმინს waikj-, რომელიც დადასტურებულია გვიანდელ კრეტაზე.²⁷ მეცნიერებმა თავიდანვე მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ეს ორი ტერმინი შინაარსით ახლოს დგას ერთმანეთთან და შეიძლება ენაცვლებოდეს ერთმანეთს,²⁸ მაგრამ მათ შორის რაღაც ნიუანსებში განსხვავება უნდა იყოს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ორი ტერმინი არ იარსებებდა.²⁹ მათ ეგიმოლოგიაზე დაყრდნობით ისინი ზოგადად შეიძლებოდა გვეთარგმნა როგორც „მუშაობა, სამსახური“.³⁰ უფრო კონკრეტული აზრი შეიძლება იდოს ტერმინში te-ra-pi-ke (Eр 613.8).³¹

ტექსტებში აღნიშნულია ვალდებულებათა შესრულება-შეუსრულებლობა. ვალდებულების სრული ფორმულა ასე უნდა გამოიყურებოდეს: o-pe-ro du-wo-u-pi wo-ze-e/te-re-ja-e – „ვალდებულია ორჯერ ან ორგვარად იმუშაოს/იმსახუროს“. იგი გვხვდება მხოლოდ სამჯერ, ვალდებულებათა ნაწილობრივი (Eр 613.1-2) ან სრული შეუსრულებლობის (Eр 613.4, Eр 704.7) შემთხვევაში. უფრო ხშირად აღინიშნება მხოლოდ შესრულება-არშესრულების ფაქტი (wo-ze, o-u-wo-ze), მაგრამ, ე.ლ. ბენეცის სამართლიანი დაკვირვებით, ამ შემთხვევებშიც სრული ფორმულა

²⁴ Dero, Gerard 1968: 56.

²⁵ Palmer 1963: 52ff.; Carlier 1987: 65sq.; DMic II: 336sq.

²⁶ Docs², 593; Ilievski 1966: 239; Ruipérez 1956: 157; Palmer 1963: 204, 464; Dero, Gerard 1968: 55; Полякова 1978: 78; DMic II: 451sq.

²⁷ Palmer 1963: 204.

²⁸ Docs², 254; Palmer 1963: 204.

²⁹ Deger-Jalkotzy 1978: 54.

³⁰ დისკუსიისათვის იხ. DMic II: 336-7, 451-2; Полякова 1978: 74ff.

³¹ Dero, Gerard 1965: 55.

შეიძლება აღვადგინოთ.³² du-wo-u-pi ირიბი ბრუნვაა რიცხვითი სახელისა – „ორი“, მაგრამ მისი როლი ფორმულაში სადავოა.³³ ზოგს მიაჩნია, რომ აქ ორი ნაკვეთის ფლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზეა საუბარი, ზოგს კი – რომ აქ ორმაგი ვალდებულება შეიძლება ვიგულისხმოთ.

პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მოჰყავთ ტექსტების წყვილი Eb 338/ Ep 704.7. ერთ ვერსიაში ვკითხულობთ: ... აქვს ორი ნაკვეთი, ვალდებულია „იმუშაოს“, არ „მუშაობს“..., მეორეში კი – აქვს ნაკვეთები (გამოყენებულია დუალისის ფორმა), ვალდებულია „ორჯერ იმუშაოს“, არ „მუშაობს“...

სხვა შემთხვევებში ძნელი სათქმელია, ორ ნაკვეთთან გვაქვს საქმე, თუ ერთთან, და, შესაბამისად, უფრო ბუნებრივია, რიცხვი ორი თვით ვალდებულების მახასიათებლად ჩაითვალოს.

მკვლევართა უმრავლესობა ამ გერმინების უკან აგრარულ სამუშაოებს ხედავს. გ. პოლიაკოვა უფრო შორს მიდის და ჰამურაბის კანონებთან და ზოგიერთ ანტიკურ ავტორთან პარალელების გაელებით ცდილობს კიდევ დააკონკრეტოს ამ გერმინთა მნიშვნელობა.³⁴ ჩემი აზრით, პილოსის არქივის ტექსტების ეანრი საკმაოდ განსხვავდება არა მარტო ჰესიოდესა და ეარონის ნაწარმოებების, არამედ ასევე ჰამურაბის კანონების ეანრისაგან. გარდა ამისა, აღნიშნული ვალდებულებები პილოსის ტექსტებში აღრიცხული მიწების მხოლოდ მცირე ნაწილთან არის დაკავშირებული და გარკვეულწილად ებმის როგორც ნაკვეთის, ასევე მფლობელის სტატუსს. აქ რომ მიწის მოვლა-პატრონობაზე სასახლის ბრუნვა იგულისხმებოდეს, გაუგებარია, რატომ არ აინტერესებდა სასახლეს მიწების უდიდესი ნაწილის ბედი. არ გამოვირცხავ, რომ wo-ze-e მიწაზე მუშაობასაც ვულისხმობდეს, მაგრამ მფლობელის მიერ მისი ნაკვეთის დამუშავება სასახლისათვის პირველ რიგში ნატურალური გადასახადის თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო საინტერესო. ზ. დეგერ-იალკოცი ძალზე ბუნდოვანი და ფრაგმენტული An 724 ტექსტის ინტერპრეტაციისას გამოთქვამს აზრს, რომ wo-ze-e/te-re-ja-e გარკვეულ სამსახურთან (მოცემულ შემთხვევაში – ფლოგში) უნდა იყოს დაკავშირებული.³⁵ ჯ. ჩედვიკი ამ ტექსტის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, მაგრამ მისთვისაც მიწის ფლობის

³² Bennett 1956: 128.

³³ Bennett 1956: 128; Lejeune 1958: 214; Palmer 1963: 204; Morpurgo Davies 1966: 199; Лурье 1957a: 174; Полякова 1978: 74.

³⁴ Полякова 1978: 74.

³⁵ Deger-Jalkotzy 1978: 53f.

პირობა სამხედრო სამსახურია.³⁶

ჩემი აზრით, ორმაგი ვალდებულება კამავესისათვის ორგეარ სამსახურს ნიშნავდა, კერძოდ, ნაგურალურ გადასახადსა და შრომით ბეგარას.³⁷

საინტერესოა, რა გიპის ნაკვეთების ფლობა-სარგებლობასთან დაკავშირებით და რა სოციალური სტატუსის ადამიანებს ეკისრებოდათ ზემოხსენებული ვალდებულებები.

1. ka-ma. როგორც მის მფლობელს, ასევე მოსარგებლეს ენიჭებოდა კამავესის გიგული. შესაბამისად, კამავესების ნაკვეთები, მოიხსენიებიან ისინი სპეციალური აღნიშვნის გარეშე (Eb 152, Ep 613.13/Eb 839), თუ აღინიშნებიან რამე სხვა გერმინით (Ep 539.5, 7, Ep 613.3, Eb 862, Ed 236), შეიძლება ka-ma გიპის ნაკვეთებს მივაკუთვნოთ.

2. ზოგიერთი ke-ke-me-na ko-to-na მფლობელობაში (Ep 704.7/Eb 338) და სარგებლობაში (მაგრამ არა ის ნაკვეთები, რომლებიც ღემოსის სახელით გაიყმა. Ep 613.3, Eb 862, Ed 236). საინტერესოა, რომ სამივე შემთხვევაში ნაკვეთის პატრონი კამავესად იწოდება.

3. ნაკვეთის კატეგორია არ არის აღნიშნული: ა) Ea 309 – ძალზე დაზიანებული გექსტია, რომლისგანაც შემორჩა მხოლოდ jwo-ze GRA 10[; ბ) Ep 613.4/Eb 149+940 (ეს აღდგენა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სადავოა); გ) Eb 152, Ep 613.13/Eb 839 – მფლობელი არის კამავესი, შესაბამისად, ნაკვეთი ალბათ ka-ma-ს კატეგორიას განეკუთვნება.

როგორც ვხედავთ, ამ სამ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთგადაფარებია. პარალელურ გექსტებში ერთი და იგივე ნაკვეთი ზოგჯერ სხვადასხვანაირად მოიხსენიება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არის. მართლაც, ყველა ზემოთ მოგანილი გექსტი, გარდა Ea 309-ისა, გაერთიანებულია დოკუმენტთა ერთ სერიამში, ხოლო Ed სერიის შემაჯამებელ გექსტებში, ერთის მხრივ, ყველა „მომუშავე“ კამავესის ნაკვეთი (Ed 236) და მეორეს მხრივ, სამი ქურუმისა და „მხლებლის“ (e-ge-ta) ნაკვეთები (Ed 317), რომლებიც Ep/Eb სერიამში სხვადასხვა გერმინებით აღინიშნებიან (o-na-to, e-to-ni-jo, ke-ke-me-na ko-to-na), იწოდებიან o-na-to ke-ke-me-na ko-to-na. ამ მხრივ, ka-ma, o-na-to ka-ma, o-na-to ke-ke-me-na ko-to-na, e-to-ni-jo, ke-ke-me-na ko-to-na „მფლობელობაში“ ქმნიან ნაკვეთების ერთ ჯგუფს, რომელიც გარკვეულწილად უპირისპირდება თემის სახელით გაცემულ

³⁶ Chadwick 1987: 82ff.

³⁷ Gordesiani 1995: 13.

სარგებლობებს – o-na-to ke-ke-me-na ko-to-na pa-ro da-mo. საინტერესოა, გექსტებში Ed 236 და 317 აღრიცხული მიწების ფართობთა ჯამი (GRA 30 T 2 V 3 + GRA 21 T 6 = GRA 51 T 8 V 3) საკმაოდ ახლოს დგას გექსტში Ed 411 დადასტურებულ კამაეესთა მიწების ჯამურ ფართობთან (GRA 58 T 2).³⁸ ამდენად, არაუფერი უნდა უშლიდეს ხელს, რომ Ed 411-ის ka-ma-e-we ჩავთვალოთ უფრო ფართო მნიშვნელობით ნახმარად, ვიდრე ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში. აქ საქმე ყველა იმ პირთან უნდა გვექონდეს, ვისაც მფლობელობაში ან სარგებლობაში აქვს საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთი, ოღონდ არა თემისაგან. ამგვარი დასკვნის საფუძველს გარკვეულწილად თვით ეს გექსტიც გვაძლევს, რადგანაც კამაეესების გვერდით მოიხსენიებიან ერთის მხრივ, გელესტები, ko-to-na ki-ti-me-na-ს მფლობელები, ხოლო მეორეს მხრივ, „ღვთის მსახურები“;³⁹ რომლებიც თემის მიერ გაცემული მიწების უდიდეს ნაწილს იღებენ სარგებლობაში. განხილული გექსტებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ „საზოგადოებრივი მიწის ფონდი“ – ke-ke-me-na – იყოფოდა ორ ჯგუფად: თემის მიერ სარგებლობაში გაცემულ ნაკვეთებად და პირობით მფლობელობებად, რომელთა შორისაც, თავის მხრივ, ასევე ორი ნაირსახეობა განირჩევა – ნაკვეთები, რომელთა პატრონებიც ასრულებდნენ მფლობელობა-სარგებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს (wo-ze-e/te-re-ja-e. Ed 236) და ნაკვეთები, რომელთა პატრონებიც თავისუფლებოდნენ ამ ვალდებულებებისაგან ან არ ასრულებდნენ მათ (Ed 317, Ed 901).

საყურადღებოა, რომ wo-ze-e ვალდებულებულება ეკისრებოდა მხოლოდ საკმაოდ მოზრდილი საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთის მფლობელს. როგორც წესი, ასეთი ნაკვეთების ფართობი 1 ჰა-ს აღემატებოდა. ამის საპირისპიროდ, საზოგადოებრივი მიწის იმ ნაკვეთების ფართობი, რომელთა ფლობაც არ იყო ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული, ძირითადად 0,5 ჰა-ზე ნაკლები იყო. ეს ბუნებრივიცაა, თუ „ორმაგი“ ვალდებულებიდან ერთ-ერთს ნატურალურ გადასახადად ჩავთვლით. გარდა ნაკვეთის ზომისა და სტატუსისა, ვალდებულებათა დაკისრება დამოკიდებული იყო

³⁸ ეფიქრობ, დაახლ. 5,35ჰა სხვაობა (58,2 – 51,85) შეიძლება დაიფაროს Ep/Eb სერიათა გექსტებში გაბნეული საზოგადოებრივი მიწის მფლობელობებით, მაგ., Ep 301.8-.14 (მღრ. Docs²: 452f.); Ep 613.10.,11. არ არის გამორიცხული, რომ ისინი, ან მათი ნაწილი მაინც, შეჯამებული იყოს გექსტში Ed 901. აქ ნახსენები ტერმინის ko-to-ne-ta (მღრ. DMic I: 391; Ruijgh 1987: 315: ko-to-ne-ta=ko-to-no-o-ko) მეტ-ნაკლებად ზუსტი მნიშვნელობა უცნობია.

³⁹ და მათთან გათანაბრებული საკულტო სფეროსთან დაკავშირებული ყველა do-ro, ე.ი. ქურუმების მსახურებიც (Ruijgh 1987: 316).

აგრეთვე მფლობელის სტატუსზე. ასე მაგალითად, ka-na-ს ფლობა-სარგებლობისას სამი გელესგის მიმართ არავეითარი ვალდებულება არ იხსენიება: pe-re-qi-ta (Ep 613.10/Eb 159), pa-ra-ko (Ep 613.11/Eb 173). საინტერესოა, რომ ვალდებულებათაგან თავისუფალია არა მარტო pa-ra-ko, არამედ მისი „მოიჯარადეც“), ა-ti-ji-qi (Eb 156+157). ძნელი სათქმელია, ვალდებულებებისაგან განთავისუფლება ამ პირთა გელესგობის გამო მოხდა, თუ სხვა რამ მიზეზით. pe-re-qi-ta-ს ნაკვეთს ახლავს განმარტება si-ri-ji ra-ke,⁴⁰ ხოლო კამავესი pa-ra-ko დახასიათებულია სტატუსის აღმნიშვნელი მეორე გერმინითაც – ko-to-no-o-ko.⁴¹ შესაძლოა, სწორედ კტონუსის სტატუსი ათავისუფლებდა საზოგადოებრივი მიწის მფლობელს wo-ze-e ვალდებულებისაგან. სხვა შემთხვევაში გაურკვეველია ამ კონტექსტში და ასევე ტექსტში Ep 301 ამ გერმინის გამოჩენა. ტექსტში Ep 613.8 კამავეს sa-sa-wo-ს არ ეკისრება wo-ze-e ვალდებულება, რადგანაც, მას, როგორც ჩანს, სხვა ტიპის სამსახური უნდა გაეწია (e-pi-qi to-me te-ra-pi-ke, რაც შეიძლება ამგვარად ითარგმნოს: „და ამის გარდა მისთვის მსახურობს“ ან „ემსახურება ღმერთს“⁴²).

საზოგადოებრივი მიწის დიდი ნაკვეთის ფლობა-სარგებლობა შეიძლება არ მოითხოვდეს wo-ze-e ვალდებულების შესრულებას თვით ნაკვეთისათვის მინიჭებული e-to-ni-ji სტატუსის გამოც. e-to-ni-ji „პრივილეგირებულ სარგებლობად“ შეიძლება გავიგოთ.⁴³ ასეთ ნაკვეთს ფლობს დიდმოსელე a-pi-me-de (Ep 539.14/Eb 473). მსგავსი ნაკვეთის ფლობაზე პრეგენზიას აცხადებს ქურუმი ქალი e-ni-ta (Ep 704.5.,6 /Eb 297): იგი „ფლობს და იფიცებს, რომ აქვს ღვთაების e-to-ni-ji,“ მისი ოპონენტი კი ირწმუნება, რომ ეს ნაკვეთი არის

⁴⁰ Deroy 1988: 59 sqq.

⁴¹ გერმინი ამკარად მიწისმფლობელს აღნიშნავს (ko-to-no-o-ko = ko-to-na e-ke), მაგრამ მკვლევართა შორის არ არის ერთსულოვნება იმ საკითხში, თუ რა მიწისას და რა კონკრეტული პირობით. ის შეიძლება ნიშნავდეს: მიწის მესაკუთრეს (Лурье 1957a: 233, 235, 384; Deroy. Gerard 1965: 15), პატრონს კერძო საკუთრებაში მყოფი მიწისა, რომელიც ტექსტებში არ აისახა (Wundsam 1968: 164), ki-ti-me-na-ს მფლობელს, ე.ი. გელესგს (Palmer 1963: 430), ki-ti-me-na ან ke-ke-me-na ნაკვეთის მფლობელს (Понякова 1978: 65), სტატუსს, რომელიც ენიჭება საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთის მფლობელს ან „მოიჯარადეს“ და ათავისუფლებს მას wo-ze-e ვალდებულებისაგან (Deger-Jalkotzy 1978: 67). იხ. აგრეთვე DMic I: 392.

⁴² Krigas 1987: 32.

⁴³ Deger-Jalkotzy 1978: 54; DMic I: 259.

სამოგადოებრივი მიწის o-na-to.⁴⁴ უმნიშვნელო განსხვავებათა გარდა გექსტის ორ ვერსიას შორის საყურადღებო სხვაობაც შეიმჩნევა: თუ ერთ შემთხვევაში ქურუმი ქალის ოპონენტად (ან ოპონენტებად) ko-to-no-o-ko გამოდის, მეორეში ამ ტერმინს da-mo ენაცვლება. კტონუსი მიწისმფლობელია, მიწისმფლობელია ასევე თემიც, ღემოსი. პარალელური ვერსიებიდან გამომდინარე, გექსტში Eb 297 დადასტურებული ko-to-no-o-ko შეიძლება გაეიგოს, როგორც თემის მიწისმფლობელთა კოლეგია,⁴⁵ ან როგორც თვითონ თემი, იურიდიული პირი.⁴⁶ დაპირისპირების არსი ბუნდოვანია. ქურუმ ქალს მისი მიწით სარგებლობაში არავენ ეცილება,⁴⁷ მაგრამ დაეა შეიძლება ნაკვეთის კუთვნილებასაც შეეხებოდეს – ღეთაების e-to-ni-ji თუ სამოგადოებრივი (სათემო ?) მიწის o-na-to – და მის სტატუსსაც – o-na-to თუ e-to-ni-ji. თემი შეიძლება ნაკვეთზე უზენაეს უფლებასაც იჩემებდეს და სარგებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულებასაც ითხოვდეს – ოთხ ჰექტარამდე მიწით მოსარგებლეს ხომ wo-ze-e ეკისრებოდა, რისგანაც e-to-ni-ji-ს მფლობელი თავისუფალი იყო.⁴⁸ როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვალდებულებათა მაგარებელი ნაკვეთები გამიჯნული ჩანს საკუთრივ „სათემო“ მიწისაგან (pa-ro da-mo), რის გამოც, თუ თემს საერთოდ მიწის უზენაეს მფლობელად არ ჩავთვლით, გასაკვირია მისი დაინტერესება ქურუმი ქალის ვალდებულებებით. ჩემი აზრით, ამგვარი დაინტერესების საფუძველი მიკენური სამეფოების საერთო ვალდებულებათა სისტემაში შეიძლება დაეინახოს. როგორც ცნობილია, ცალკეულ სოფლებსა თუ მთელ ოლქებს ეკისრებოდათ კოლექტიური გადასახადები, რომელთა ნაწილისაგანაც ისინი თავისუფლდებოდნენ, თუ თემის ცალკეული წევრები ან წევრთა ჯგუფები სასახლის საგანგებო დავალებას ასრულებდნენ.⁴⁹

⁴⁴ თარგმანისა და ინტერპრეტაციის ვარიანტებისათვის იხ. Полякова 1978: 65 и сл.

⁴⁵ გექსტში Ep 301 ke-ke-me-na მიწის ფლობასთან დაკავშირებით 12 პირი მოხსენიება გიგულთ ko-to-no-o-ko (მათ შორის არიან En/Eo სერიათა წყვილიდან ნაცნობი ტელესტებიც). მ. ლეენის აზრით, ისინი შეადგენდნენ თემის, დამოსის კოლეგიას, რომელიც დაუპირისპირდა ქურუმ ქალს. Lejeune 1965: 12 sq.; Docs²: 449. ერთის მხრივ, ტელესტების კტონუსებთან, მეორეს მხრივ კი, კტონუსების დამოსთან თავისთავად საეჭვო გაიგივება არ უნდა ვეაძლევედეს ტელესტების ერთობლიობის თემთან იდენტურობის მტკიცების უფლებას (Wundsam 1968: 77f.).

⁴⁶ Полякова 1978: 67.

⁴⁷ შღრ. „შემაჯამებელი“ სერიის გექსტი Ed 317, სადაც ქურუმი ქალის უფლება მის ნაკვეთზე არ არის ეჭვს ქვეშ დაყენებული.

⁴⁸ Deger-Jalkotzy 1978: 55.

⁴⁹ შღრ. PY Ma, Na სერიები. უფრო დაწერილებით იხ. ქვემოთ. მარცხელის

სავარაუდოა, რომ თემის ხარჯზე ან მისი სახელით გაცემული მიწის სანაცვლოდ მფლობელი სასახლეს/მეფეს უწევდა გარკვეულ სამსახურს, ხოლო თემს სამაგიეროდ კოლექტიური გადასახადი უმსუბუქდებოდა. ამ კონტექსტში საინტერესოა ე. კრიგასის აზრი ka-ma-e-we-s da-mo-სთან გაიგივების შესახებ.⁵⁰ მართლაც, ცალკეულ კამავესთა ვალდებულებების ჯამისაგან შეიძლება შედგეს თემის კოლექტიური ვალდებულება. შესაძლოა, სასახლე დეგალურად აღწერდა მხოლოდ მის უშუალო სიახლოვეში მყოფ მიწას, ხოლო დანარჩენი ოლქებისათვის მსგავს აღრიცხვას ლოკალური ხელისუფლება აწარმოებდა,⁵¹ მიწისმფლობელობის ფორმები კი ყველა ოლქში მეგ-ნაკლებად მსგავსი იყო. მაგრამ, ჩემი აზრით, სფაგიანიას ოლქი საკმაოდ განსხვავდებოდა სხვათაგან, სწორედ სასახლესთან უშუალო კონტაქტის გამო და მასში დადასტურებულ მფლობელობით ურთიერთობებს მექანიკურად სხვა თემებზე ვერ გადავიტანთ.

მემოტიქულიდან გამომდინარე, wo-ze-e ვალდებულებისაგან განთავისუფლება ხდებოდა:

1. მფლობელის სტატუსის გამო (ko-to-no-o-ko),
2. ნაკვეთის სტატუსის გამო (e-to-ni-jo),
3. მფლობელის მიერ განსაკუთრებული დავალების შესრულების გამო.

შესაძლოა, აღნიშნვა o-u-wo-ze ასევე საგანგებო განთავისუფლებას ნიშნავდა. შესაძარებლად შეიძლება გამოდგეს PY Ma, Na სერიების გადასახადთა სიების o-u-di-do-si, რაც e-re-u-te-ro-სთან ერთად განთავისუფლების ფორმად შეიძლება ჩაითვალოს.⁵² გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასახლის გადაწვის მომენტისათვის მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული ვალდებულებების რეალური შესრულების ანგარიში ჯერ ვერ შედგებოდა. არ ჩანს არც სანქციები „შესრულებლობის“ გამო,⁵³ ხოლო ტექსტში Ed 317 „ურჩი“ ქურუმი ka-pa-ti-ja-s (მდრ. Ep 704.7.8) ნაკვეთი დაჯგუფებულია იმ ნაკვეთებთან ერთად, რომლებიც ამა თუ იმ მიზნის გამო თავისუფალნი იყვნენ ვალდებულებათა შესრულებისაგან. განთავისუფლების ფორმათა ასეთი

გადასახადი პილოსში არ ჩანს. რადგანაც სასახლე წლის დასაწყისში დაიწვა, მოსავლის აღებაზე. კრეტიდან ამგვარმა ტექსტებმა მოაღწია ჩვენამდე. მდრ. KN E, F სერიები. მათ შესახებ იხ. Godart 1968.

⁵⁰ Krigas 1987: 31.

⁵¹ de Fidio 1987: 135.

⁵² Mele 1976: 121.

⁵³ მდრ. ტექსტი An 724 და მისი შესაძლო ინტერპრეტაცია: Deger-Jalkotzy 1978: 53ff.

მრავალფეროვნება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ რაღაც ერთიანი წესი ჯერ არ ჩამოყალიბებულა და ყოველი კონკრეტული შემთხვევა ცალკეულ გამონაკლისად აღიქმებოდა სასახლის მხრიდან, თუმცა ასეთი გამონაკლისების ჯამი საბოლოოდ მთელი ka-ma ტიპის მიწის თითქმის ნახევარს აღწევს (283ა 58-დან).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კნოსოსის არქივში მიწისმფლობელობის სისტემის ამსახველი ტექსტები პილოსთან შედარებით გაცილებით მცირერიცხოვანი და ფრაგმენტულია, რის გამოც მათ მთელი სისტემის შესასწავლად მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ. პირად სარგებლობა-მფლობელობაში მყოფი ნაკვეთები აღწერილია Sf სერიის ტექსტებში, რომლებიც შინაარსის მიხედვით ოთხ ქვეჯგუფს ქმნიან. პილოსის „კადასტრისაგან“ განსხვავებით, ხსენებული სერიის ყველა ტექსტისათვის დამახასიათებელია ნაკვეთის ლოკალიზაცია – მითითებულია კრეტის ოლქი, სადაც ესა თუ ის ნაკვეთი მდებარეობდა. ნაკვეთების უმრავლესობა მეზღვრებასთან ჩანს დაკავშირებული: ზოგიერთს ერქვა კიდევ ბალი (pu-te-ri-ja), ხოლო ზოგიც მეზღვრეს (pu-te) ჰქონდა ჩაბარებული ჩვენთვის უცნობი პირობით. პილოსის არქივიდან ცნობილი მიწისმფლობელობითი ტერმინოლოგიიდან კრეტულ ტექსტებში გვხვდება ko-to-i-na, ke-ke-me-na, te-re-ta. ს. პილერი შემოხსენებულ სტაგიაში⁵⁴ გამოპყოფს ტექსტების ოთხ ჯგუფს, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიის მიწის ნაკვეთებს აღნუსხავენ:

1. მეზღვრეს (pu-te) მიერ დაკავებული, ალბათ სასახლის კუთვნილი ბალები;
2. ko-to-i-na – pu-te-ri-ja, რომლის მფლობელადაც რიგ შემთხვევაში te-re-ta გვევლინება;
3. ke-ke-me-na;
4. სხვადასხვა.

მეორე და მესამე ჯგუფის ტექსტებიდან გამომდინარე, ს. პილერი სრულ პარალელიზმს ხედავს კნოსოსისა და პილოსის სამეფოების მიწისმფლობელობით ურთიერთობებს შორის. ტელესტებისა თუ სხვა პირების (ალბათ, ტელესტების მოიჯარადეების) მფლობელობაში მყოფი ბალ-ვენახით დაკავებული ნაკვეთებისთვის ის აღადგენს ეპითეტს ki-ti-me-na, ხოლო ke-ke-me-na მიწები ასევე ko-to-i-na-დ, ანუ ნაკვეთებად მიაჩნია და მათ დამოსის, თემის გაცემულად თვლის. მაგრამ, ჩემი აზრით, მხოლოდ მწერლის სტილის თავისებურებით არ უნდა იხსნებოდეს ის ფაქტი, რომ

⁵⁴ Hiller 1983: 184ff.

კნოსოსის არქივი არ იცნობს გერმინს ki-ti-me-na, ხოლო საზოგადოებრივი მიწა ნაკვეთად (ko-to-i-na) არსად იხსენიება. აქ შეიძლება გარკვეული კანონზომიერება დავინახოთ, რომლის გამოსაკვეთადაც კვლავ პილოსის ტექსტებს უნდა მივებრუნდეთ.

მიწისმფლობელობის სისტემის ამსახველი ტექსტებისა და მათში დაკული გერმინების სწორი ინტერპრეტაციისათვის უნდა დადგინდეს ტექსტების შედგენის მიზანი. პირველ ყოვლისა, ისმის კითხვა, ვისთვის დგებოდა ეს ტექსტები, ვინ იყო მიწის უზენაესი მფლობელი – მეფე თუ ხალხი?

ტექსტებში აღწერილი მიწის ნაკვეთების უმრავლესობის მფლობელი კერძო პირი იყო, დამოსი საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთების მხოლოდ გარკვეული ნაწილის გამგებლად ჩანს, ხოლო მეფის პირადი სამფლობელო საერთოდ განყენებულად დგას. ბერძნული ისტორიული გრადიციის თანახმად, გემენოსი ეძლეოდათ მეფეებსა და გმირებს ხალხისაგან. შესაძლოა, მიკენური სახელმწიფოებრიობის დასაწყისში (ან მისი მოსპობის შემდეგ, როდესაც თემის წინამძღოლი ბასილევსი თანდათანობით მეფემდე აღმკვდა) ეს ასეც ყოფილიყო, მაგრამ ტექსტების შედგენის მომენტში ასეთი პრაქტიკა მხოლოდ რიგუალის დონემზე თუ იქნებოდა შემორჩენილი. დამოსი საკმაოდ დამცრობილი სამეურნეო-ადმინისტრაციული ერთობა უნდა ყოფილიყო, რომლის ხარჯზეც ადგილობრივი არისტოკრატია – ბასილევსები და მეფის მოხელეები იღებდნენ მიწებს, ხოლო მეფე – სასახლის სრულუფლებიანი პატრონი. ამდენად, სავარაუდოა, რომ სასახლის არქივი ინტერესს სწორედ სამეფო (=სახელმწიფო) მიწის მიმართ იჩენდა. ამ მიწის ნაწილი უშუალოდ მეფეს ეკუთვნოდა, დიდი ნაწილი კი მის ქვეშევრდომებს ურიგდებოდა სხვადასხვა პირობით. მიუხედავად არქივის ფრაგმენტულობისა, შეიძლება გამოვთვალოთ, რომ პილოსის არქივში აღწერილ ნაკვეთთა ფართობი ნკვ. კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ცხადია, რომ ეს მთელ სამეფოში დამუშავებული მიწის მხოლოდ მცირე ნაწილია. დანარჩენი მიწა თემებისა და, სავარაუდოა, კერძო მფლობელების ხელში იყო. ის არ განიხილებოდა სამეფო/სახელმწიფო მეურნეობის უშუალო ნაწილად და, შესაბამისად, არც აისახა E კლასის სერიათა ტექსტებში, თუმცა PY Ma, Na და KN E, F, Mc, Nc კოლექტიური გადასახადების სიები ცხადყოფენ, რომ მეფის ხელისუფლება გარკვეულ სარგებელს მთელი სამეფოს მიწებიდან იღებდა.

სამეფო მიწებზე მსხდომ პირთა მფლობელობისა თუ სარგებლობის აღსანიშნავად B-ხაზოვან ტექსტებში საკმაოდ

დახვეწილი და მრავალფეროვანი გერმინოლოგია გვხვდება.⁵⁵ მაგრამ თუ მიწათმფლობელობითი ურთიერთობების კონკრეტული ფორმების შესაგყვისი გერმინები ფართოდაა წარმოდგენილი, მკაცრი იურიდიული შინაარსის მქონე გერმინებზე დანამდვილებით ვერაფერს ვიგყვით. საქმე ისაა, რომ ტექსტების შემდგენელებს მხოლოდ კონკრეტული ინფორმაცია აინტერესებდათ. ეს ძალზე ართულებს მიკენელ ბერძენთა იურიდიული წარმოდგენების დადგენას და მიწისმფლობელობის სისტემის აღდგენას პიპოთეკურს ხდის.

მკელევართა შორის დავის საგანია მიკენურ სამყაროში მიწაზე კერძო საკუთრების საკითხი. ზოგი საერთოდ უარყოფს ადმინისტრაციული რეჟიმის პირობებში კერძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობას.⁵⁶ ამის საპირისპიროდ, მიკენოლოგთა უმრავლესობა ko-to-na ki-ti-me-na-ში კერძო საკუთრების სპეციფიურ ფორმას ხედავს.⁵⁷ მე, როგორც უკვე აღინიშნა, ვიხრები იმ აზრისაკენ, რომ მიწაზე კერძო საკუთრება მიკენურ სამყაროში არსებობდა, მაგრამ ეს მიწა არ აისახა სასახლის არქივის ტექსტებში,⁵⁸ რომლებიც მხოლოდ სამეფო/სახელმწიფო საკუთრებას მოიცავენ. ჩემი აზრით, გ. პოლიაკოვა სავსებით მართებულად ყოფს სამეფო მიწასთან დაკავშირებულ პირებს ორ ჯგუფად: მფლობელებად და მოსარგებლელებად.⁵⁹ ამ იურიდიულ ცნებებს შეესაბამება გერმინები ko-to-no-o-ko და o-na-te-re. მაგრამ ასეთი დაყოფა საკმაოდ სქემატურია და სრულად ვერ ასახავს რთულ მიწათმფლობელობით ურთიერთობებს, ხოლო სხვა გერმინები სამართლებრივის გარდა შეიცავენ აგრეთვე „ისტორიულ-სამეურნეო“ შინაარსსაც. ასე მაგ., მ. პარუსი⁶⁰ გვთავაზობს გერმინების ki-ti-me-na, ke-ke-me-na, ka-ma მნიშვნელობათა გააზრების სამ ღონეს:

⁵⁵ მიკენური მიწათმფლობელობითი გერმინოლოგიისათვის, გარდა ზემოთ მოტანილისა, იხ. ასევე Duhoux 1976: 7sqq.

⁵⁶ Vlachos 1974: 98.

⁵⁷ იხ. მაგ., Полякова 1978: 17ff.

⁵⁸ შლრ. Wundsam 1968: 165.

⁵⁹ Полякова 1978: 99ff.

⁶⁰ Paroussis 1985: 36.

	ki-ti-me-na	ke-ke-me-na	ka-ma
სამართლებრივი	კერძო	საზოგადოებრივი	საზოგადოებრივი
სამეურნეო	დიდი ხნის მანძილზე დაკავებული	ღროებით გამოყოფილი	შეკვეთით ათვისებული
წმინდა სამიწათმოქმედო	კულტივირებული	ანეული	გამოფიტული ან ცუდი ხარისხის

თუმცა შემოთავაზებული მნიშვნელობებიდან ყველა შეიძლება არ იყოს გასამიარებელი, ცხადია, რომ ეს გერმინები ასახავენ არა მარტო ნაკვეთების სტატუსს, არამედ გარკვეულწილად მათ წარმომავლობასა და ხარისხსაც. იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ არქივი მხოლოდ სამეფო მიწებს მოიცავს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეფე აძლევდა ki-ti-me-na-ს მსახურეულ არისტოკრატებს სამსახურისათვის ხანგრძლივ ან სამუდამო მფლობელობაში (რითიც ის საკუთრებას უახლოვდება), ხოლო ke-ke-me-na და ka-ma ეძლეოდათ სხვადასხვა კატეგორიის პირებს სხვადასხვა პირობით ღროებით (ხანმოკლე) მფლობელობასა თუ სარგებლობაში სახელმწიფო, მოგჯერ სათემო მიწის ხარჯზე.⁶¹ უზენაესი მესაკუთრის ვინაობის დადგენაზე დიდად არის დამოკიდებული ნაკვეთების გაცემის პირობებისა ნაკვეთების ფლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა საკითხი. სამეფო მიწის გაცემის პირობა სამეფო სამსახური უნდა ყოფილიყო. მეფესთან მჭიდროდ დაკავშირებულ მსახურეულ ფენას - ძირითადად, ტელესტებს - ki-ti-me-na ნაკვეთები ეძლეოდა. ke-ke-me-na აგრეთვე სამსახურისათვის ანაზღაურებას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა უფრო დაბალი რანგის ან ღროებით სამსახურში აყვანილ პირთათვის (ცხადია, არის გამონაკლისიც, როდესაც საზოგადოებრივი მიწის დიდ ნაკვეთებს დიდმოხელეები ფლობდნენ). სავარაუდოა, რომ ამ ნაკვეთების მფლობელებსა თუ მოსარგებლებს არ ეკისრებოდათ ვალდებულება wo-ze-e. ამის საპირისპიროდ, საზოგადოებრივი მიწის ნაირსახეობის, ka-ma-ს ფლობა ან იჯარა გულისხმობდა ხსენებულ ვალდებულებათა

⁶¹ შლრ. Hiller 1983: 184ff., Killen 1985: 244ff., Paroussis 1985: 101. სადაც მიწის განაწილების პრინციპებზე მსგავსი აზრია გამოთქმული, ოღონდ მ. პარუსის არქივიმ აღწერილი მიწის უზენაეს მფლობელად დამოსი მიაჩნია.

მოხდას, ანუ ნატურალური გადასახადის გადახდას და პერიოდულ შრომით სამსახურს.

მიუხედავად იმისა, რომ B-ხაზოვანი ტექსტები მიკენური საზოგადოების სტატიკურ და ცალმხრივ „ფოტოსურათს“ წარმოადგენენ, ეუიქრობ, რომ არქივებში დაცული დახვეწილი ტერმინლოგია შეიცავს გარკვეულ მითითებას მიწისმფლობელობით ურთიერთობათა განვითარების გენდენციებზე.⁶² ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მფლობელობის კონკრეტულ კატეგორიათა სახელწოდებებში შეიძლება ამ ნაკვეთების თავდაპირველი სამეურნეო დახასიათება დაეინახოთ. სავარაუდოა, რომ ke-ke-me-na კატეგორიის მიწის, შესაძლოა, სახელმწიფო სახნავი მიწის მთელი ფონდის საწყისი უნდა ვეძებოთ სათემო მიწებში, რომლებიც open field სისტემით მუშაუდებოდა⁶³ და ყოველწლიურ გადანაწილებას ექვემდებარებოდა. მყარ, ხანგრძლივ მფლობელობაში მყოფი ნაკვეთი (κτοίνα) ამ დროისათვის მხოლოდ მრავალწლიანი კულტურებით (მაგ., ბალ-ვენახი) უნდა ყოფილიყო დაკავებული.⁶⁴ ცხადია, რომ ke-ke-me-na მიწიდან მეფის სამსახურში მყოფ პირთათვის წილის გამოყოფის შემდეგ ის ნაკვეთად, მფლობელობად (κτοίνα) გადაიქცეოდა, მაგრამ რიგ შემთხვევაში ინარჩუნებდა ძველ სახელწოდებასაც სტატუსის აღსანიშნავად. სწორედ ke-ke-me-na ko-to-na-საგან ვასარჩევად უნდა დამატებოდა მსახურეულ წარჩინებულთა მფლობელობაში მყოფ ნაკვეთებს ეპითეგი ki-ti-me-na, სხვანაირად ძნელი ასახსნელია გაეგოლოგიური გამოთქმის ko-to-na ki-ti-me-na არსებობა. ამ მოსაზრების ირიბ საბუთად შეიძლება შედგენილ ტერმინებში მათი ნაწილების თანამიმდევრობაც⁶⁵ გამოდგეს: პირველ ადგილზე პირველადი ტერმინი დგას, მეორეზე კი გვიანდელი დანამატი. ჩემი აზრით, ენოსოსის არქივის Sf სერიის ტექსტებში სწორედ მიკენური საზოგადოების განვითარების უფრო ადრეული ეტაპია ასახული, როდესაც ke-ke-me-na გადანაწილებად სახნავს წარმოადგენდა, ხოლო მსახურეული წარჩინებულების ფენა მეფისაგან ბალ-ვენახით დაფარულ ნაკვეთებს (κτοίνα) იღებდა მფლობელობაში.

პილოსის ტექსტებში მიწის ცალკეულ კატეგორიათა აღმნიშვნელი ტერმინები უნდა ასახედნენ განსხვავებებს უფრო მეტად მფლობელობის, ვიდრე მიწის დამუშავების ფორმებს შორის.

⁶² Gschnitzer 1981: 21ff.

⁶³ Wundsam 1968: 165.

⁶⁴ Hiller 1983: 176ff.

⁶⁵ შდრ. Panagl 1973.

ამაზე უნდა მიუთითებდეს თუნდაც გერმინთა წყვილი ko-to-no-o-ko – o-na-te-re (მფლობელები – მოიჯარადეები ან მოსარგებლები), რომელიც მიწის ყველა ძირითად კატეგორიასთან გვხვდება. სავარაუდოა, რომ არსებობდა გარკვეული შესაბამისობა ნაკვეთის სტატუსსა და მისი მფლობელის (ან მოსარგებლის) სოციალურ სტატუსს შორის. ამგვარი მტკიცების საფუძველს, გარდა ტექსტებიდან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილებისა (დოკუმენტების შედგენის პრინციპები, ცალკეული კატეგორიის ნაკვეთების დაჯგუფება და სხვ.), უნდა იძლეოდეს ტექსტი Ed 411, სადაც ჩამოთვლილი არიან te-re-ta, ka-ma-e-we და te-o-jo do-e-ro მათი მიწების ფართობის ჯამური რაოდენობით კატეგორიის ჩვენების გარეშე.⁶⁶ ეს გერმინები არ არის ერთი რიგის. ტელესტი წოდებრივი, სოციალური სტატუსია და უნდა ნიშნავდეს მეფის სამსახურში მყოფ წარჩინებულს, რომელიც ამ სამსახურისათვის იღებს მიწას მფლობელობაში (ძირითადად ko-to-na ki-ti-me-na). კამაევსი მიწისმფლობელობის გარკვეულ ფორმასთან დაკავშირებული გერმინია და ამ თვალსაზრისით სადაც შუაში დგას წმინდა სოციალურ (te-re-ta) და წმინდა მფლობელობით (ko-to-no-o-ko) გერმინებს შორის. რაც შეეხებათ „ღვთის მსახურებს“ (te-o-jo do-e-ro/ra) და მათთან მიახლოებულ მდგომარეობაში მყოფ, მსგავს კონტექსტებში მოხსენიებულ ki-ri-te-wi-ja-ს, ქურუმისა და დიდმოხელის e-qe-ta a-pi-me-de-ს მსახურებს, ამ ჯგუფებს წოდებრივ-სოციალურის გარდა გარკვეულად პროფესიულ-თანამდებობრივი ელფერიც დაჰკრავთ, პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ ისინი მხოლოდ პილოსის მახლობლად მდებარე ოლქში ჩანან და და გარკვეული გიპის სამეფო სამსახურთან უნდა იყვნენ დაკავშირებული. მათ ძირითადად o-na-to ke-ke-me-na ko-to-na pa-ro da-mo ეძლევათ.

პირობით, სასახლის მიმდებარე ოლქისათვის მაინც, ეს სამი ჯგუფი შეიძლება სოციალურ ჯგუფებად ჩავთვალოთ. თუ მფლობელისა და მისი ნაკვეთის სტატუსებს შორის შესაბამისობის საკითხს მიუვბრუნდებით, პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ტელესტები ფლობდნენ ko-to-na ki-ti-me-na-ს, კამაევსებს ეძლეოდათ ka-ma მფლობელობასა თუ სარგებლობაში, ხოლო „ღვთის მსახურებს“ – საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთი სარგებლობაში (o-na-to ke-ke-me-na ko-to-na pa-ro da-mo). მაგრამ ტექსტების დეტალური განხილვა სხვა სურათს აჩვენებს: სამივე სოციალური ჯგუფის

⁶⁶ შტრ. Ленцман 1963: 178.

წარმომადგენლებს შეიძლება ჰქონდეთ სამივე კატეგორიის მიწა; არ ღვინდება ზუსტი შესაბამისობა მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული ორი რიგის გერმინთა ჯგუფებს შორის (ko-to-no-o-ko/o-na-te-re – te-re-ta/ka-ma-e-w/te-o-jo do-e-ro); ერთსა და იმავე პირს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კატეგორიის მიწა სხვადასხვა პირობით. საკითხს ისიც ართულებს, რომ დაუდგენელია კერძო პირისაგან მიწის „იჯარით“ აღების (o-na-to) სოციალური თუ სამეურნეო შინაარსი, მისი მსგავსება-განსხვავება ანონიმურად ან დამოსისაგან გაცემულ სარგებლობასთან (o-na-to) მიმართებაში.

ფ. გშნიტცერი, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანად, ასეთ მდგომარეობას მიკენურ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებით ხსნის.⁶⁷ ამ პროცესში თანდათანობით ისპობა არა მარტო სამეურნეო განსხვავება სხვადასხვა კატეგორიის მიწებს შორის, არამედ სამართლებრივიც. განსხვავებული კატეგორიის ცალკეული ნაკვეთების ერთი პირის ხელში მოქცევით იქმნება ახალი ტიპის მეურნეობები, რასაც უნდა გაეჩინა ზოგადად „მფლობელის“ ცნება, მისი შესაბამისი გერმინი (ko-to-no-o-ko) და სტატუსი, რომელიც ტელესტების პრივილეგიებს მფლობელთა უფრო ფართო წრეზე ავრცელებდა.⁶⁸ ცვლილებების საფუძველი შეიძლებოდა როგორც წმინდა სამეურნეო წინსვლა, ასევე დემოგრაფიული მაგებაც ყოფილიყო.⁶⁹ ამ უკანასკნელს უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოებრივი მიწების (ke-ke-me-na, ka-ma) გაცემა „კერძო“ ტიპის მფლობელობაში, ასევე კერძო პირების მფლობელობაში მყოფი სხვადასხვა ტიპის ნაკვეთებიდან გაცემული სახელმწიფო კონგროლს (აღრიცხვას) დაქვემდებარებული „იჯარის“ გაჩენა. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო როგორც მფლობელის, ასევე სასახლის ინტერესები და „მოიჯარადე“ გარკვეულ ვალდებულებებს ორივეს წინაშე კისრულობდა, თუმცა მფლობელისაგან მისი პირადი დამოკიდებულება არ არის სავარაუდო. ერთი და იგივე პირი შეიძლება რამდენიმე მფლობელისაგან იღებდეს „იჯარით“ ნაკვეთს,⁷⁰ ზოგჯერ მოიჯარადის სოციალური თუ თანამდებობრივი მდგომარეობა აღემატება მფლობელისას.⁷¹ ამდენად, o-na-to

⁶⁷ Gschnitzer 1981: 21 ff.

⁶⁸ Gordesiani 1995: 18. შტრ. Degcr-Jalkotzy 1978: 68.

⁶⁹ Gschnitzer 1981: 25.

⁷⁰ ასეთი შემთხვევა საკმაოდ ხშირია. ყველაზე თვალნათლივ მაგალითად შეიძლება გამოვლენო კრეტესის დიდი მეურნეობა, რომელიც სხვადასხვა ტიპის იჯარა-სარგებლობათაგან შედგებოდა (Ea 59, Ea 304, Ea 305. სულ დაახლ. GRA 16).

⁷¹ მაგ., Eb 156+157, სადაც ტელესტი „ღეთის მსახურის“ მოიჯარადე გვევლინება.

თავდაპირველად სამოგადოებრივი მიწის ნაკვეთით სარგებლობის ამსახველი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ შეეძინა „იჯარის“ მნიშვნელობაც.⁷²

გ. პოლიაკოვას სგატისტიკაზე⁷³ დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პილოსში მფლობელისა და ნაკვეთის სგატუსებს შორის ზემოთ მოგანილი, Ed 411 ტექსტის საფუძველზე რეკონსტრუირებული შესაბამისობა ჯერ კიდევ ძირითადად ძალაში იყო, ხოლო მისგან განსხვავებული სიტუაციები იმდენად მრავალფეროვანია, რომ, ვალდებულებათაგან განთავისუფლების მსგავსად, ცალკეულ, თუმცა მრავალრიცხოვან გამონაკლისებად შეიძლება ჩაითვალოს.

ამდენად, მიკნური მიწისმფლობელობის სისტემის განვითარებაში კნოსოსისა და პილოსის არქივებიდან მომდინარე ტექსტების საფუძველზე, მფლობელისა და ნაკვეთის სგატუსებს შორის შესაბამისობათა სამი თანამიმდევრული ეტაპი შეიძლება გამოიყოს:

I ეტაპი – ძვ.წ. XIV საუკუნის დასაწყისი (კნოსოსის არქივის მიხედვით)

1. მსახურეული წარჩინებულები (te-re-ta) – ნაკვეთი/ბად-ვენახი მფლობელობაში (ko-to-i-na/pu-te-ri-ja),

2. სხვა (ჩვენთვის უცნობი) სგატუსის პირები – სამოგადოებრივი სახნავი მიწის (ke-ke-me-na) ნაწილი, ალბათ, ერთი წლით სარგებლობაში.

II ეტაპი – ძვ.წ. XIII საუკუნის მიწურული (პილოსის არქივის მიხედვით)

1. მსახურეული წარჩინებულები (te-re-ta) – ნაკვეთი მფლობელობაში (ko-to-na ki-ti-me-na)

2. მსახურეული ფენა (ka-ma-e-u) – სამოგადოებრივი მიწის ნაკვეთი შრომითი ბეგარისა და ნაგურალური გადასახადის პირობით მფლობელობაში ან სარგებლობაში (ka-ma ან ke-ke-me-na ko-to-na)

3. te-o-jo do-e-ro – o-na-to ke-ke-me-na ko-to-na pa-ro da-mo (სამოგადოებრივი მიწის ნაკვეთი სარგებლობაში, გაცემული თემის

⁷² იხ. DMic II: 26. შტრ. Derooy 1989: 126: შესაძლოა, ასეთი „სარგებლობა“ გულისხმობდა გადასახადს (o-no, o-na. შტრ. Gallagher 1988), როგორც ყიდვისას. მიწის გაქირავება მისი გაყიდვის აკრძალვის გვერდის აელის საშუალებადღაც შეიძლება ჩაითვალოს.

⁷³ Полякова 1978: 108 и сл.

მიერ/ხარჯზე)

III ეტაპი – ძვ.წ. XIII საუკუნის მიწურული (პილოსის არქივის მისეღვით)

1. მფლობელი (ko-to-no-o-ko) – ნაკვეთი მფლობელობაში (ko-to-na)

2. მოსარგებლე, მოიჯარადე (o-na-te-re) – ნაკვეთი სარგებლობაში (o-na-to).

საინტერესოა, რომ აღრეული და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, გვიანდელი შესაბამისობები მეტ პარალელს პოულობენ პოსტმიკენურ ბერძნულ სინამდვილესთან, ვიდრე მეორე ეტაპისა, რომელიც სწორედ მიკენური სასახლეების ფუნქციონირების თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემა

სასახლის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებული მიწების ფლობასთან დაკავშირებული ვალდებულება wo-ze-e/ te-re-ja-e, როგორც უკვე აღინიშნა, მიმაჩნია ორმაგ ვალდებულებად. გარკვეული ტიპის ნაკვეთის ფლობა-სარგებლობისათვის გარკვეული სტატუსის მქონე პირი ვალდებული იყო:

ა. დაემუშავებინა ნაკვეთი და გაეღო ნაგურალური გადასახადი,

ბ. შეესრულებინა გარკვეული სამოგადოებრივი სამუშაო, რომელიც, ალბათ, ყოველი პირისათვის ინდივიდუალურად განისაზღვრებოდა.

სავარაუდოა, რომ, როგორც წესი, მიწისმფლობელებს ორივე სახის ვალდებულება ეკისრებოდათ, თუმცა ზოგჯერ სასახლე ვალდებულებათა მხოლოდ ერთი სახის მოხდას მოითხოვდა.¹ შესაძლოა, ამგვარი პრაქტიკის მაგალითთან გვექონდეს საქმე Es სერიის ტექსტებში, სადაც დაფიქსირებულია მხოლოდ ნაგურალური გადასახადი – do-so-mo (დიძჲძ – „გადასახადი, შესაწირი“).

გერმინით do-so-mo, როგორც ჩანს, აღინიშნებოდა ნებისმიერი სახის ნაგურალური გადასახადი.² ასე მაგ., ტექსტში Un 718 აღრიცხულია მეფის, ლავაგეტის, საკულტო დანიშნულების ნაკვეთისა და თემის შესაწირი ჰოსეიდონისადმი. ამ შემთხვევაში ძნელია იმის თქმა, „სახელმწიფო ვალდებულებასთან“ გვაქვს საქმე თუ არა, თუმცა რეალურად გადასახადები და შესაწირები სასახლეში შედიოდა.

Wa 730 და Wa 731 დოკუმენტთა კრებულის ეტიკეტებია. მათში ამ გერმინის გამოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ დიძჲძ ვალდებულების საკმაოდ გაერცელებული ფორმა იყო. მართლაც, იგივე ძირიდან ნაწარმოები მზნური ფორმები (di-do-si, do-ke, do-se, do-so-si, di-do-to, de-do-me-na, o-di-do-si, o-u-di-do-si) ხშირად გვხვდება როგორც პილოსის, ასევე კნოსოსისა და მიკენის არქივებშიც. საინტერესოა, რომ ტექსტებში ფიქსირებულია როგორც გადახდის, ასევე გადაუხდელობის (o-di-do-si, o-u-di-do-si) შემთხვევები, რითიც do-so-mo wo-ze-e-სთან სიახლოვეს აელენს.

რადგანაც მზნა δίνδαι ზოგადად „მიცემას“ ნიშნავს, შორს ვარ იმ ამრისაგან, რომ ტექსტებში იგი ყველა შემთხვევაში საყოველთაო სახელმწიფო ვალდებულების, გადასახადის მნიშვნელობით

¹ შღრ. Ep 613: ... o-pe-ro du-wo-u-pi-de te-re-ja-e e-me-de te-re-ja.

² გერმინისა და მისი შესაძლო, კონკრეტული, ვიწრო მნიშვნელობისათვის იხ. DMic I: 192sq.

გავიგოთ. ზოგჯერ შეიძლება მსხვერპლშეწირვაზე ან რამე გარიგებაზე იყოს საუბარი, მაგრამ, ძირითადად, სწორედ სახელმწიფო გადასახადები უნდა იგულისხმებოდეს. მათ ეძღვნება დოკუმენტთა დიდი ჯგუფები (PY Ma, Na, KN Mc, Nc), რომლებიც მიკენოლოგთა შორის ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენენ.³ პირველ ყოვლისა, დავის საფუძველია ტექსტებში დადასტურებული იდეოგრამები, რომელთა მუსტი მნიშვნელობის დადგენა არ ხერხდება.

PY Ma სერიის ფირფიტები აღრიცხავენ ექვსი სხედასხვა სახის გადასახადს, რაც აღინიშნება იდეოგრამებით *146,⁴ RI, KE, *152, O, ME.⁵ მიუხედავად იმისა, რომ ტექსტების მუსტი შინაარსის დადგენა არ ხერხდება, შეიძლება ითქვას, რომ ეს სერია მიკენური საქმის წარმოების ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ნიმუშია და მიუთითებს საგადასახადო საქმის მაღალ სტანდარტზე. თითოეული ფირფიტა ეძღვნება პილოსის სამეფოს ერთი ოლქის გადასახადებს. როგორც წესი, ტექსტის პირველ სტრიქონში მოცემულია ოლქის გადასახადები წონით (RI, KE, O) ან რაოდენობით (*146, *152, ME), შემდეგ აღირიცხება რეალურად მიღებული რაოდენობა (a-pu-do-si), გადაუხდელობა (o-u-di-do-si), შეღავათები (a-ne-ta-de) და ვალები (pe-ru-si-no o-pe-ro).⁶ მჭედლებისა და სამხედრო კონტექსტებში მოხსენიებული ku-re-we და ma-ra-ne-ni-jo კატეგორიის ხალხის მიერ ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა, სავარაუდოა, მათ განთავისუფლებას ნიშნავდა სხვა ვალდებულებათა შესრულების გამო.

ჯერ კიდევ მ. ვენგრისმა და ჯ. ჩედეიკმა შენიშნეს,⁷ რომ სხვადასხვა ოლქებში შეფარდება გადასახდელი პროდუქტების სახეობებს შორის უცვლელია: 7: 7: 3: 15: 150. შორეული პროვინციის ოლქები უფრო მეტს იხდიდნენ, ვიდრე მახლობელისა, რაც, ალბათ, მათი სასოფლო-სამეურნეო თავისებურებებით უნდა აიხსნას. მდიდარი რიცხობრივი მასალა იძლევა საშუალებას, პილოსის სამეფოში პოლიტიკურ-აღმინისგრაციული ერთეულების გარდა საგადასახადო ოლქებიც გამოიყოს და დადგინდეს გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ზოგიერთი

³ მიმოხილვისათვის იხ. Mcle 1976: 118sq.; მიკენურ საგადასახადო სისტემისათვის – de Fidio 1982.

⁴ ჯ. კილენის აზრით, ეს იდეოგრამა სელის მზა პროდუქციას, ალბათ, განსაცემლს უნდა აღნიშნავდეს. Killen 1988: 183.

⁵ სერიისათვის, გარდა ციტირებულისა, იხ. აგრეთვე Lejeune 1979.

⁶ ცალკეული ტერმინებისათვის იხ. DMic, ვალებისათვის – Killen 1984: 173ff.

⁷ Docs²: 290.

თავისებურება.⁸

PY Na სერია ხასიათდება იდეოგრამით SA, რომელიც PY Nn 228 ტექსტის თანახმად, სელის საზომი ერთეული უნდა ყოფილიყო. ტექსტებში გვხვდება ცალკეული დასახლებული პუნქტების მიერ გადასახდელი სელის რაოდენობის შესახებ აღნიშვნა. ზოგიერთ ტექსტში აღინიშნება აგრეთვე გადასახადისაგან განთავისუფლება (to-sa-de e-re-u-te-ra/o) ან გადაუხდელობა (to-sa-de o-u-di-do-si). ორივე სახის ჩანაწერი ამ კონკრეტული ვალდებულებისაგან განთავისუფლების სხვადასხვა ფორმებს უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ გაურკვეველია, რაში მდგომარეობს განსხვავება. ტექსტებში დავალიანების ან რეალური შემოსავლის შესახებ არაფერია თქმული, რის გამოც ისინი წინასწარი დაგეგმვის ხასიათის დოკუმენტებს უნდა წარმოადგენდნენ. სადავოა სელის რა პროდუქტი აღინიშნება იდეოგრამით SA – დაუმუშავებელი სელი, ნართი, გილო თუ თესლი. ლ.რ. პალმერი,⁹ ამოდის რა Na სერიის ზოგიერთ ტექსტსა და An სერიის ე.წ. o-ka ჯგუფის ტექსტებს შორის რიცხობრივი დამთხვევებიდან, ამ უკანასკნელი ვარიანტისაკენ იხრება და ვარაუდობს, რომ რაზმის თითოეულ წევრს ეძლეოდა 1 ერთეული რაიონის (გასამრჯელოს) სახით. ამის საპირისპიროდ, ჯ. ჩედვიკი მიიჩნევს,¹⁰ რომ ტექსტებში სელის გადასახადზე საუბარი, ხოლო ზემოსხენებული დამთხვევები აუიქრებიანებს მას, რომ რაზმელები იმავდროულად ფლობდნენ მიწას, რომლიდანაც უხდიდნენ სახელმწიფოს – სელის წარმოების მონოპოლისტს – სელის პირველად პროდუქტს. ეს მოსაზრება სრულიად ბუნებრივად გამოიყურება: თემის წევრებს, მიწათმფლობელებს, ეკისრებოდათ სამხედრო სამსახურიც და ნაგურალური გადასახადიც.

KN Nc სერია PY Na სერიას მასში დადასტურებული იდეოგრამით ენათესავება. არის განსხვავებებიც: კნოსოსში სელი რაოდენობის ნაცვლად წონის ერთეულებით იზომება, ხოლო დასახლებული პუნქტების ნაცვლად მის აღმნიშვნელ იდეოგრამასთან ერთად კერძო პირთა სახელები მოიხსენიება. გაურკვეველია, ეს პირები სელის გადახდელები არიან, მიმღებები, თუ გადასახადთა ამკრეფები. ჯ. კილენი აღნიშნავს, რომ პილოსშიც და კნოსოსშიც სელის წარმოება სამხედრო საქმესთან ჩანს დაკავშირებული – პილოსში რიცხობრივი დამთხვევაა სამხედრო რაზმების წევრებისა და სელის ერთეულების რაოდენობებს შორის, ხოლო კნოსოსის

⁸ იხ. მაგ, Wyatt 1962: 21ff.; Sheldermine 1973: 261ff.; Hiller, Panagl 1986: 194ff.

⁹ Palmer 1963: 306ff.

¹⁰ Docs²: 295, 468; Killen 1985: 248; მღრ. Hiller, Panagl 1986: 202f.

სასახლეში Nc სერიის გექსტები ე.წ. არსენალში ინახებოდა.¹¹ შესაბამისად, კრეგამე SA შეიძლება სელის საბოლოო პროდუქტიც იყოს, რომელიც სამხედრო აღჭურვილობის დამზადებას ხმარდებოდა.

KN Mc სერია ხასიათდება იდეოგრამებით *150, CAP^f, *142, CORN. მათი რიცხობრივი შეფარდებები მყარია: 5: 3: 2: 4. თითოეულ გექსტში მოიხსენიება კერძო პირი (საეარაულოა, შემგროვებელი) და დასახლებული პუნქტი. ფირფიცები არსენალშია აღმოჩენილი და სამხედრო საქმისთვის საჭირო ცხოველურ პროდუქტებს უნდა აღრიცხავდნენ.¹² ეს სერია შედარებით ვიწრო დანიშნულებისა ჩანს და მისი მოგანა საყოველთაო სახელმწიფო ვალდებულებებზე საუბრის დროს არც ღირდა, რომ არა მნიშვნელოვანი სიახლოვე პილოსის საგადასახადო სისტემასთან.

PY Ma და KN Mc სერიებში აღრიცხული სხვადასხვა პროდუქტების რაოდენობრივი შეფარდებები მყარია და საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან, რაც საფუძველი გახდა ე-პ. ოლივიესათვის, რომ „მიკენური საგადასახადო კანონის“ არსებობა ეყარაუდა.¹³ მისი აზრით, არსებობს კოეფიციენტები თითოეული სახის გადასახადისათვის, რომელზედაც მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამრავლებისას მიიღება ამა თუ იმ პუნქტის მოსახლეობის რაოდენობა. მაგრამ ნატურალური გადასახადის, თანაც მისი რაღაც კონკრეტული სახეობის, რაოდენობის დადგენისას სასახლეს უნდა გაეთვალისწინებინა არა მარტო მოცემული გერიტორიის მოსახლეობის რაოდენობა, არამედ ასევე მისი ზომა და სამეურნეო შესაძლებლობები, ასევე საკუთარი მოთხოვნილებები.¹⁴ „ოლივიეს წესი“ ჩვენთვის იმდენადაა საყურადღებო, რომ ის დროსა და სივრცეში ერთმანეთისაგან დაშორებულ ორ მიკენურ სამეფოში მსგავს საგადასახადო სისტემაზე მიუთითებს, თუმცა, გარკვეული კორექტივებით, მისი გამოყენება სხვადასხვა გაანგარიშებებისათვის სავსებით დასაშვებია.

პილოსის მოსახლეობის რაოდენობის გამოსათვლელად Ma სერიასთან შედარებით მეტ მასალას Na და Jn სერიათა მონაცემების შეპირისპირება უნდა გვაძლევდეს. ერთის მხრივ, Jn სერიიდან ვიცით ცალკეულ პუნქტებში მჭედელთა რაოდენობა, მეორეს მხრივ,

¹¹ Killen 1964: 33.

¹² Hiller, Panagl 1986: 204ff.

¹³ Olivier 1974: 23sqq.

¹⁴ Hiller, Panagl 1986: 209ff.

Na სერია გვიჩვენებს ამა თუ იმ პუნქტის საერთო გადასახადის შეფარდებას იმ წილთან, რომელიც მჭედლებს არ გადაუხდიათ, ანუ რომლის გადახდისაგან ისინი განთავისუფლდნენ. ალბათ, ერთ სოფელში მეტ-ნაკლებად მსგავსი სამეურსეთო პირობები უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, მჭედელთა წილის შეფარდება საერთო გადასახადთან უნდა ემთხვეოდეს მჭედელთა რიცხვის შეფარდებას ამ სოფლის მოსახლეობის საერთო რიცხვთან. ამ მეთოდით ჯ. ჩედვიკმა პილოსის სამეფოს მოსახლეობის საერთო რიცხვი გამოთვალა – დაახლ. 50 000.¹⁵

კოლექტიური სახელმწიფო გადასახადების გვერდით პილოსის სამეფოში უნდა ყოფილიყო კოლექტიური შრომითი ბეგარაც, რაც, ჩემი აზრით, PY Ac და An სერიებში აისახა. Ac სერიაში მოკლე ტექსტებია, რომლებშიც აღირიცხებოდა ცალკეული პუნქტებიდან გამოცხადებულ და არგამოცხადებულ მამაკაცთა რიცხვი. მათი სტატუსი და შეკრების მიზანი არ არის აღნიშნული, რაც აფიქრებინებს ი. ლენცმანს, რომ აქაც, Ad სერიის ტექსტების მსგავსად, მონები უნდა იგულისხმებოდნენ.¹⁶ ჩემი აზრით, ამ კაცების მონური სტატუსის სამტკიცებლად არაერთარი საფუძველი არ გვაქვს. ტექსტები აღმოჩნდა ე.წ. ჩრდილო-აღმოსავლეთ სახელოსნოში. ჯერ კიდევ მათი პირველი პუბლიკაციისას აღინიშნა გარკვეული რიცხობრივი დამთხვევები Ac და Ma სერიებს შორის:¹⁷ ცალკეული პუნქტებიდან გამოყვანილ მამაკაცთა რაოდენობა ხშირად ემთხვევა ამავე პუნქტებიდან გადასახადის სახით ასაღებ პროდუქტს, რომელიც გადმოცემულია იდეოგრამით *146. აქედან გამომდინარე, ს. შელმერდინი კაცების ვალდებულებას a-pu-do-si ტიპისად მიიჩნევს.¹⁸

ხოლო მათი შეკრების მიზნის მოუხსენიებლობა სხვადასხვაგვარად შეიძლება აიხსნას:

ა. ისინი წარმოადგენენ არაკვალიფიციურ სამუშაო ძალას, გამოდიან შრომითი ბეგარის მოსახდელად, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ კონკრეტული დავალება. შესაძლოა, ტექსტი An 1282, რომელიც იმავე სახელოსნოშია ნაპოვნი, ასახავს მათ დანაწილებას ოსტატის ზედამხედველობით შექმნილ პროფესიულ ჯგუფებში.¹⁹

ბ. ისინი გამოდიან სასახლის კანცელარიისათვის კარგად ცნობი-

¹⁵ Chadwick 1976: 68. იხ. ასევე Tegyey 1987: 358. სადაც არქეოლოგიური მასალების გათვალისწინებით, იგივე მონაცემია მიღებული.

¹⁶ Источник 1963: 161. Ad სერიის შესახებ იხ. ქვემოთ.

¹⁷ Blegen, Lang 1962: 190.

¹⁸ Shelmerdine 1987: 340.

¹⁹ Shelmerdine 1987: 340f.

ლი საქმისათვის, რომლის აღნიშვნის საჭიროება არ იყო – მეფის მამულში მუშაობა,²⁰ სამხედრო სამსახური ან სხვა.

PY An სერიაში კაცის აღმნიშვნელი იდეოგრამა (*100 – VIR) აერთიანებს მრავალ განსხვავებული ხასიათის გექსგს, რომელთა შედგენის მიზანი ხშირად ჩვენთვის გაურკვეველია. ზოგ გექსგში დაჯგუფებული არიან ხელოსნები. შესაძლოა, აქ მათ მიერ სახელმწიფო შრომითი ბეგარის მოხდასთანავე გვეკონდეს საქმე (მაგ., An 18). Ac სერიისაგან განსხვავებით, აქ მათი პროფესიები მოიხსენიება. რიგ შემთხვევაში, ოსტატები სათითაოდ არიან დასახელებული.

აშკარად სახელმწიფო ბეგარის, სახელდობრ, სამხედრო ვალდებულების მოხდა აისახება ე.წ. o-ka გექსგებსა (An 657, An 656, An 519, An 654, An 661) და მენიჩბეთა გექსგებში (An 1, An 610, An 724). ე.წ. o-ka გექსგების საკმაოდ განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს.²¹ მე ვიზიარებ ჯ. ჩედვიკის მოსაზრებას,²² რომ ეს სასაზღვრო დაცვის რაზმებია, რომლებიც პილოსის სამეფოს საზღვაო საზღვარს აკონტროლებდნენ.²³ რაზმების მეთაურები და ოფიცრები საკუთარი სახელებით მოიხსენიებიან. ისინი წარჩინებულები და, შესაბამისად, პროფესიონალი სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ – არისტოკრატიის მონაწილეობა სამხედრო საქმეში მათი მუდმივი სამსახური და პრივილეგია იყო.²⁴ რიგითი რაზმელების მხოლოდ რაოდენობა, ან რაოდენობა და გაურკვეველი მნიშვნელობის ჯგუფური სახელწოდებაა დადასტურებული. სავარაუდოა, რომ აქ რიგითი მოსახლეობის დროებით სამხედრო სამსახურზე უნდა იყოს საუბარი.

მენიჩბეთა (e-re-ta) შემთხვევაში სიტუაცია თითქოს კიდევ უფრო ნათელია. გექსტი An 1 აღრიცხავს სხვადასხვა პუნქტებიდან პლეერონში მიმავალ მენიჩბეებს. გექსტში An 610 აღრიცხულია სხვადასხვა დასახლებული პუნქტებიდან, ასევე Ἐχελάψα-ისა (მეფე)

²⁰ თაქდაპირველად მე ამ აზრისა ვიყავი (Gordesiani 1995: 14), მაგრამ ახლა უფრო დამაჯერებლად ეთელი პირველ ვარიანტს.

²¹ იხ. მაგ., Deroy 1968; Hiller, Panagl 1986: 117ff.; Mühlestein 1983; Uchitel 1984: 136ff.; Hooker 1987: 261f.; DMic II: 19f.

²² Chadwick 1976: 176. მღრ. Tegye 1987: 357ff.: რეგულარული ჯარი.

²³ მღრ. van Effenterre 1991: 87sq. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს გომონიმზე e-ra-po ri-me-ne (claphon limenei. An 657.12). რომელიც ვერ იქნება „ირმების ნავსადგური“. მაგრამ თუ მას, კრებაზე დადასტურებული მსგავსი გომონიმის გათვალისწინებით, „ირმის წყაროდ“ გავივთ, იგი შინაარსს შეიძენს. ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ მდინარე ნელაზე გადასასვლელის დაცვაც საეხებით ბუნებრივი იქნებოდა.

²⁴ Wundsam 1968: 121f.

და we-da-ne-u-s (ლაეაგეგი) მიერ გამოყვანილ მენიჩბეთა რიცხვი. ორივე გექსტი სოფლის კოლექტიურ ვალდებულებებზეა საუბარი. სასახლეს აინტერესებდა, რამდენი კაცი მოვა და არა, ვინ კონკრეტულად.

საინტერესოა, რომ თითოეული პუნქტიდან გამოსული ხალხი მოიხსენიება როგორც ki-ti-ta და me-ta-ki-ti-ta. აქედან პირველთა რაოდენობა ყოველთვის მეტია. ტერმინები ახლოს დგას მზნასთან კაიჯა, აგრეთვე ტერმინებთან ki-ti-me-na, ko-to-na, რაც საფუძველს გვაძლევს, ისინი გავიგოთ, როგორც „მკვიდრი მოსახლეობა“ და „შემდეგ ჩამოსახლებულები“. მოსახლეობის ამგვარი დაყოფა კლასიკური პოლისის სოციალურ ფენებს მოგვაგონებს, მაგრამ პილოსის სამეფოში ორივე ჯგუფი ვალდებული იყო სახელმწიფო სამსახურში გასულიყო.

ძალზე დაზიანებული გექსტი An 724 ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევების შესახებ გვამცნობს. აქ ვხვდებით როგორც კოლექტიური ვალდებულების დარღვევის ფაქტს და ამაზე პასუხისმგებელი მაღალი თანამდებობის პირის ვინაობას, ასევე, შესაძლოა, ინდივიდუალური ვალდებულებისათვის თავის არიდებას და, თუ მ. დეგერ-იალკოცის დაუჯერებთ, სასახლის მხრიდან შესაბამის სანქციებსაც.²⁵

როდესაც სახელმწიფო შრომითი ბეგარის ფორმად სამხედრო სამსახურს განვიხილავ, უნდა აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება არა მოსახლეობის საერთო სახალხო ლაშქარში გასვლა ომის დროს, არამედ სპეციალური სამხედრო სამსახური სასამღვრო რაზმებსა და ფლოტში.

ცხადია, შრომითი ვალდებულება ენოსოსის არქივიშიც უნდა იყოს დადასტურებული, მაგრამ, გექსტების ფრაგმენტულობის გამო, ჭირს კონკრეტული დამაჯერებელი მაგალითის მოგანა. ვფიქრობ, რომ კრეტაზე, პილოსის სამეფოსაგან განსხვავებით, სამხედრო სამსახურში,²⁶ ალბათ, მხოლოდ აქაველები მიდიოდნენ – ადგილობრივ მოსახლეობას ისინი იარაღს არ მიაწოდებდნენ. შრომითი ბეგარა სამეფო მიწებსა და სახელოსნოებში მუშაობით იფარგლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ძალის აღწერილობებს ენოსოსის არქივიდან მომდინარე გექსტებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით, ვერ ხერხდება მისი სამუშაოდ გაყვანის პირობების ზუსტად დადგენა. ამის მიზეზი კრეტული საქმის წარმოების თავისებურებაა.²⁷

²⁵ Deger-Jalkotzy 1978: 53.

²⁶ ი. გეგვის აზრით, პილოსის ლაშქრის აღწერილობას ენოსოსის არქივში შესაბამება გექსტი B 1055. Tegye 1987: 358..

²⁷ Tegye 1987: 361ff.

ცალკეულ ოლქებში გადასახადების აკრეფითა თუ სამეურნეო საქმიანობის გაძლიერებით დაკავებული ჩანან ე.წ. „შემგროვებლები“.

ეს სახელწოდება პილოსის გექსტებიდანაა აღებული: PY Cn სერია აღწერს მრავალრიცხოვან ჯოგებს, რომელთა გარკვეული კავშირი სასახლის მეურნეობასთან ეჭვს გარეშეა. ჯოგებზე უშუალოდ პასუხისმგებელ პირთან („მწყემსები“) ერთად რიგ შემთხვევაში მოიხსენიება მეორე საკუთარი სახელიც, ნათესაობით ბრუნვაში. პილოსში ამ როლში ოთხი კაცი გვხვდება – a-ke-o, a-ko-so-ta, a-pi-me-de, we-da-ne-u.²⁸ მ. ვენგრისმა და ჯ. ჩედეიკმა მათ „შემგროვებლები“ (collectors) უწოდეს, გექსტებში დადასტურებული გერმინების a-ko-ra (ἀγορά PY Cn 40, Cn 45, Cn 254, Cn 453, Cn 599, Cn 600, Cn 643, Cn 655, Cn 719), a-ke-re (ἀγείρει PY Cc 660) გამო.²⁹ KN C და D კლასების ანალოგიური ხასიათის გექსტებში მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებზეც იგივე სახელწოდება გავრცელდა. გექსტების ფრაგმენტულობის გამო ჭირს მათი ზუსტი სიის დადგენა.³⁰ სამაგიეროდ, კნოსოსის არქივი უფრო მრავალფეროვან მასალას გვთავაზობს მათი ფუნქციების განსასაზღვრელად: მათ სახელებს სხვადასხვა სერიებში ვხვდებით საქონლის ჯოგებთან,³¹ მაგყლთან,³² ქსოვილებთან³³ და სამუშაო ძალასთან³⁴ ერთად. უდავოა, რომ ისინი მეურნეობას განაგებდნენ – საქონელს, სახელოსნოებს, სხვადასხვა რანგის დამოკიდებულ ადამიანთა შრომას, მაგრამ მათი სტატუსი, მიმართება სასახლესთან და მათზე მიწერილ ქონებასთან დისკუსიის საგანს წარმოადგენს. მკვლევართა მიერ ეს პირები მიჩნეულნი არიან:

ა. აღნიშნული ქონების პაგრონებად,³⁵

ბ. სასახლის ქონების მოქირავენ-მოსარგებლებად,³⁶

გ. სასახლის მოხელეებად, რომლებსაც სახელმწიფო ქონების

²⁸ ჯ. კილენის აზრით, მათ გარდა, ამ კატეგორიის ხალხი პილოსში სხეაც არის. Killen 1979: 176ff.

²⁹ Docs²: 200ff.

³⁰ შტრ. Bennet 1992: 94; Carlier 1992: 163.

³¹ KN Da-Dg, Dn სერიები. მათთან დაკავშირებით იხ. მაგ., Olivier 1967b; Olivier 1972; Olivier 1988.

³² KN Dk სერია. მასთან დაკავშირებით იხ. მაგ., Killen 1969.

³³ KN L სერიები. მათთან დაკავშირებით იხ. მაგ., Killen 1974, Killen 1979.

³⁴ KN Ak სერია. მასთან დაკავშირებით იხ. მაგ., Killen 1988; ასევე ქვემოთ.

³⁵ Palmer 1963: 165; Bennet 1992: 97ff. ჯ. ბენეტი „შემგროვებლებს“ უფრო აღრეულ ნაშრომში მოხელე-მედამხედელებად (overseers) თვლიდა, შემდგომ შეიცვალა აზრი, თუმცა აღიარებს, რომ მათი საკუთრება სასახლის მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო.

³⁶ „bénéficiaires“: Olivier 1967b: 84; „élite économique“: Driessen 1992: 207sq.

მართვა ეკისრებოდათ.³⁷

ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ყველაზე სარწმუნოდ მიმაჩნია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კნოსოსსა და პილოსში „შემგროვებელთა“ მდგომარეობა, შესაძლოა, განსხვავებული ყოფილიყო. თუ პილოსის სამეფოში მათი ცენტრალური ადმინისტრაციისადმი კუთვნილება ეჭვს არ უნდა იწვევედეს, კრეტაზე ისინი სასახლისაგან მეტად დამოუკიდებელნი ჩანან.

თეორიულად, სახელოსნოში დაქირავებული მუშებიც შეიძლება მუშაობდნენ, სახელმწიფო ვალდებულების მოსახდელად გამოსული მეთემეებიც და დამოკიდებული ან ნახევრად დამოკიდებული ხალხიც (ყმები, მონები).³⁸ თუ კრეტელ „შემგროვებლებს“ სასახლის მოხელეებად ჩავთვლით, მათ სახელოსნოებში დაკავებული სამუშაო ძალის დიდი ნაწილი ბეგარის ანგარიშში მომუშავე მეთემეები უნდა ყოფილიყვნენ. მსხვილ კერძო მეურნეობათა კუთვნილ სახელოსნოებში კი, ალბათ, ძირითადად, პატრონის ყმებს უნდა ემუშაეთ.

სახელოსნოში (ან მეურნეობის სხვა სფეროში) ამა თუ იმ პირის მუშაობის პირობის დასადგენად ვერ გამოდგება მისთვის „რაციონის“ გაცემის ფაქტი. საკუთარი სახლისაგან მოწყვეტილ ნებისმიერი კატეგორიის მუშას დასჭირდებოდა ჭამა. სამაგიეროდ, რიგ შემთხვევაში, ტექსტებში დადასტურებულია გერმინები, რომლებიც ვალდებულების ხასიათზე უნდა მიუთითებდნენ. ერთ-ერთი მათგანია o-pa, რომელიც, ხ. მელენას აზრით, ხელოსნებისათვის დაწესებულ ვალდებულებათა კომპლექსის გარკვეულ ტიპს აღნიშნავს.³⁹ მასში შედიოდა როგორც შრომითი ბეგარა, ასევე გადასახადი. მეცნიერი მიიჩნევს, რომ o-pa გადასახადი განსხვავდებოდა do-so-mo / a-pu-do-si ვალდებულებისაგან და გადამხდელისათვის ერთგვარად უკეთეს პირობებს გულისხმობდა. ს. შელმერდინიც მოსახლეობის მიერ

³⁷ Carlier 1992; Godart 1992. პ. კარლიე მიიჩნევს, რომ ელინისტური ეგვიპტის გადასახადების ამკრებთა მსგავსად, კრეტელ „შემგროვებლებს“ შეეძლოთ წინასწარ გადაეხადათ სასახლისათვის ფარებისა და სახელოსნოებისაგან მოსალოდნელი შემოსავალი, რეალური მოგებიდან კი თვით ენახათ ხიერი. ლ. გოდარის აზრით, ამ პირებს კნოსოსის მბრძანებლის კარზე მაღალი მდგომარეობა ეჭირათ და შეეგიძლია მათ „პრინციები“ ეუწოლოთ. უფრო ადრე მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ჯ. კილენმა (Killen 1979: 176ff.). მან პილოსის, კნოსოსისა და თებეს „შემგროვებლები“ სამეფო საგვარეულოს წევრებად მიიჩნია. პილოსის დიდმოხელეთა მიმართ ამგვარი ვარაუდი სავსებით მართებულად შეჩვენება (იხ. ზემოთ).

³⁸ მღრ. Shelmardine 1987: 337.

³⁹ Melena 1983.

ვალდებულებათა მოხდის სხვადასხვა სისტემების არსებობას ვარაუდობს: ta-ra-si-ja (corvée)/ a-pu-do-si, o-pa, wo-ze-e.⁴⁰ ცხადია, გექსტები იძლევა ამ ვალდებულებათა სისტემების გამოყოფის და მათ შორის გარკვეულ განსხვავებათა დანახვის უფლებას, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ტერმინები და მათი შემცველი ლოკუმენტები არ არის ერთი რიგის.

B-ხაზოვან გექსტებში ძველი სამყაროსათვის ცნობილი ვალდებულებების ორივე ფორმაა დადასტურებული – ნატურალური გადასახადი და შრომითი ბეგარა.

ნებისმიერი გადასახადი თუ შესაწირი აღინიშნებოდა ტერმინით do-so-mo. შესაძლოა, მხოლოდ სახელმწიფო გადასახადების მიმართ გექნიკურ ტერმინად იხმარებოდა a-pu-do-si. ორივე ტერმინი გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური გადასახადების (ოლქების, სოფლების, პირთა ჯგუფების) ვალდებულებათა ფიქსაციისას. რიგ შემთხვევაში მას ენაცვლება o-pa, რაც, ჩემი აზრით, a-pu-do-si-ს კი არ უპირისპირდება, არამედ აკონკრეტებს. ზოგ გექსტში, სადაც ასევე გადასახადი უნდა იგულისხმებოდეს (მაგ., PY Cn 1287), შესაბამისი ტერმინი საერთოდ გამოტოვებულია და „მწერალი“ მხოლოდ მიღებული პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის ფიქსაციას სჯერდება. PY Ma, Na სერიებშიც გადასახადის აღმნიშვნელი ტერმინის აღდგენა მხოლოდ ვალდებულებათა შეუსრულებლობის, ან მათგან განთავისუფლების შესახებ მინაწერის საფუძველზე ხდება.

შრომითი ვალდებულების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, თუ ასეთად wo-ze-e-ს არ ჩავთვლით, საერთოდ არ არის დადასტურებული. ეს არც არის გასაკვირი. გექსტების უმრავლესობა დგებოდა არა ზოგადად ბეგარის მოხდის, არამედ კონკრეტული სამხედრო თუ სამეურნეო დავალების შესრულებაზე კონკროლისათვის. შესაბამისად, ჯარისკაცების, მენიხბეებისა და არაკვალიფიციური მუშების სიის შედგენისას სასახლეს მხოლოდ რაოდენობა აინგერესებდა – კოლექტიური აღრიცხვა, ხოლო პროფესიონალების (ოფიცრებისა და ხელოსნების) შემთხვევაში – რაოდენობაც და სახელიც – ინდივიდუალური აღრიცხვა. აქაც, ჩემი აზრით, o-pa გვევლინება არა ბეგარისაგან განსხვავებულ, პრივილეგირებულ ვალდებულებად, არამედ მის კონკრეტულ სახეობად. სრულიად ბუნებრივია, რომ ხელოსანი ბეგარის მოსახდელად მისი კვალიფიკაციის შესაბამის სახელოსნოში გაეწვიათ და არა რიგით მენიხბედ ანდა შავ მუშად.

შესაბამისად, მე ვერ ვხედავ პრინციპულ განსხვავებას ვერც

⁴⁰ Shclmerdine 1987: 337ff.

სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნულ ვალდებულებათა სახეობებს, ვერც კოლექტიურ და ინდივიდუალურ ვალდებულებებს შორის. ყველა შემთხვევაში მიწისმფლობელს, თემის წევრს ეკისრებოდა ორმაგი ვალდებულება – wo-ze-e, რომლის კონკრეტული მნიშვნელობა ბუსტდებოდა ცალკეული პირისათვის მისი შესაძლებლობებისა და სასახლის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ვალდებულებათა ფორმების მრავალფეროვნების შთაბეჭდილება იქმნება სხვადასხვა დანიშნულებით შედგენილი ტექსტებიდან.

კოლექტიური ვალდებულებები აღირიცხებოდა ცალ-ცალკე გადასახადისა (PY Ma, Na) და სამუშაოს სახეობათა (PY Ac, An 1, 610) მიხედვით. კერძო პირის მიმართ აღინიშნებოდა მის მიერ ზოგადად ვალდებულებათა შესრულება-არშესრულება, ვალდებულებათა შინაარსის დაუმსგებლად (PY Ea, Ep/Eb, Ed). სავარაუდოა, რომ თითოეულ ოლქსა თუ თემში მსგავსად ფიქსირდებოდა მეთიემეთა ვალდებულებები ადგილობრივი ხელისუფლის მიერ. სასახლე საკმაოდ კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ და, საჭიროებისდა მიხედვით, ხან გარკვეული რაოდენობის ანონიმურ მუშახელს თხოულობდა, ხანაც კონკრეტულ ხელოსნებს.

აღრიცხვის ეს წესი, როგორც ჩანს, გულისხმობდა კომპენსაციის შესაძლებლობას და უზრუნველყოფდა როგორც კონკრეტული საქმის შესრულებას, ასევე კონკრეტული პირის მიერ სავალდებულო რაოდენობის პირობითი (ნებისმიერ სახის) სამუშაოს შესრულებას.

ჟი სერიიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო შეკვეთის მიღების შემთხვევაში მჭედლები თავისუფლდებოდნენ ნატურალური გადასახადებისაგან. სამაგიეროდ, შინ შესასრულებელი შეკვეთის გარეშე დარჩენილი მჭედელი იხდიდა გადასახადს და ის შეიძლებოდა სასახლის კუთვნილ სახელოსნოში სამუშაოდ გაეყვანათ. ამდენად, ხელოსანთა ვალდებულება – ორმაგი o-pa მე მიმარჩნია ზოგადი ორმაგი wo-ze-e-ს კონკრეტულ სახეობად, რომლისგანაც განთავისუფლება სპეციალური დავალების, ta-ra-si-ja-ს მიღებით შეიძლებოდა.

თუმცა სასახლის მიერ შორეული სოფლებიდან მჭედელთა ბეგარის მოსახდელად გაწვევის შესახებ ჟი სერიის ტექსტებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ An სერიის ზოგიერთ ტექსტში დადასტურებული ხელოსანთა სიები ასეთ პრაქტიკაზე უნდა მიუთითებდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გარკვეული დამთხვევა ორ ტექსტს შორის. ჟი 431.25 ვინმე to-sa-იო-ს დაქვემდებარებაში მყოფ ხუთკაციან ჯგუფს მოიხსენიებს a-ta-ra-si-იო მჭედელთა შორის.

გექსტში Fn 79.4 ეს პირი მარცვლეულის მიმღებთა შორის ჩანს. ადვილზე, საკუთარ სახლში მომუშავე მჭედლისათვის პროდუქტებით ანაზღაურების მიცემა არ მიმაჩნია რეალურად. მაგრამ, სრულიად ბუნებრივია, რომ სასახლის მიერ სამუშაოდ გაწვეული ხალხისათვის დამატებითი გასამრჯელო თუ არა, ყოველდღიური საკვები მაინც მიეცათ.

აქ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო Fn სერიის გექსტებში აღრიცხული, გრადიციულად რაციონად წოდებული მარცვლეული – რაციონი თუ ხელფასი. ამ კითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა პირობით მუშაობდნენ აქ ჩამოთვლილი პირები სასახლეში. დაქირავებულ მუშას ხელფასი უნდა მიეღო, ვალდებულებათა მოხდის ანგარიშში გაწვეულ გლეხსა და მუდმივად სასახლეში მყოფ არათავისუფალ პერსონალს – რაციონი. სამწუხაროდ, გექსტები საკმაოდ დამიანებულია და რიცხვითი მნიშვნელობები ყოველთვის არ არის შემორჩენილი, რიგ შემთხვევაში უცნობია ამა თუ იმ ჯგუფის რაოდენობრივი შემადგენლობა, ასევე სამუშაოს ხანგრძლივობა. თუ PY An 7, Wa 114, KN Am 819, E 777, E 847 გექსტების პარალელები მოვიხმეთ, ეს უკანასკნელი ერთი თვით შეიძლებოდა განგვესაზღვრა.⁴¹ რიცხობრივ მონაცემთა ნაკლებობა არ გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ:

ა. განსხვავებულა თუ არა სხვადასხვა რანგის პირთა ნორმა;⁴²

ბ. იყო თუ არა გაცემული ნორმა საკმარისი ადამიანის გამოსაკვებად, რაც რაციონისათვის სავალდებულო პირობაა.

ზოგ გექსტში, სადაც მარცვლეულთან ერთად ლეღვი (სავარაუდოა, ლეღვის ჩირი) ან მეთისხილი გვხვდება, შესაძლოა რაციონზეც იყოს საუბარი, მაგრამ მხოლოდ მარცვლეულის გაცემა „ხელფასს“ უნდა გავუთანაბროთ. არ არის გამორიცხული, რომ მარცვლეული აქაც, მიწისმფლობელობის გექსტების მსგავსად, პირობით ერთეულად გამოიყენებოდეს.⁴³

⁴¹ PY An 7: o-pi-me-ne /opi menei/, Wa 114: me-ni-jo /menion/, KN Am 819, E 777, E 847: LUNA I. რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, დღიური ნორმაც იყოს დაფიქსირებული: HORD Z 3. იხ. Chadwick 1988: 73. ურის III დინასტიის ხანის დოკუმენტებშიც დროის ძირითადი სააღრიცხვო მონაკვეთი ერთი თვე იყო, მაგრამ შრომითი ვალდებულების მოსახდელად გაწვეულ ხალხს სხვადასხვა ხანგრძლივობის სამუშაო ეკისრებოდა: წლის მანძილზე ჯამში რამდენიმე თვე. რიგ შემთხვევაში მოისხენიება არასრული სამუშაო თვე, რომელიც 10 ან 15 შრომა-დღისაგან შედგებოდა და ანაზღაურებაც შესაბამისად ვაიცემოდა. შემგრული სახელმწიფო მეურნეობისათვის იხ. მაგ, Шарашидзе 1986; შარაშენიძე 1998.

⁴² შტრ. დისკუსია ჯ. ჩედვიკსა და ლ. რ. ჰალმერს შორის (Chadwick 1979: 26ff.).

⁴³ Palmer 1963: 98ff.; შტრ. Шарашидзе 1986: 62.

სასახლისა და მისგან დაშორებული პუნქტების სამეურნეო ურთიერთობების ამსახველ ტექსტებში, მათ შორის, Jn და Fn სერიების ლოკუმენტებშიც ჩნდება ბასილევსის ფიგურა – qa-si-re-u (წათლანც).

პილოსის არქივის ტექსტებში ოთხი პირი პირდაპირ მოიხსენიება გიგულით qa-si-re-u: a-pi-qo-ta (Jn 431), e-ri-ko-wo (Jn 845), pa-qo[si-jo] (Jn 601), a-ke-ro (Jo 438). ეს უკანასკნელი სამეფოს მნიშვნელოვან მოხელეებთან ერთად ოქროს გარკვეულ რაოდენობასთან არის დაკავშირებული. დანარჩენ სამს, როგორც ჩანს, მჭედელთა მიერ ta-ra-si-ja-ს შესრულებაზე ზედამხედველობა ეკისრებოდა. ტექსტებში ისინი მოიხსენიებიან შეკვეთის მქონე მჭედლების შემდეგ, მაგრამ გაცემული ბრინჯაოს საერთო რაოდენობის წინ. ამ კონტექსტების მიხედვით, ბასილევსი მჭედელთა გაერთიანების უფროსად შეიძლება წარმოვიდგინოთ.⁴⁴ ტექსტების უმრავლესობაში იგი არ არის მოხსენიებული. მ. ლინდგრენი მიიჩნევს, რომ ბასილევსი ცენტრალური ხელისუფლების მოხელეა, რომელიც ზოგჯერ საინსპექციო მივლინებაში იგზავნება.⁴⁵ მ. ლანგი, რომლის ამრითაც, qa-si-re-u მჭედელთა ამქრის მეთაურია, ზოგ ტექსტში მის მოუხსენიებლობას ისე ხსნის, რომ რამდენიმე სოფლის მჭედლები ერთ ამქარში ერთიანდებოდნენ.⁴⁶ გ. პოლიაკოვა მიიჩნევს, რომ ზოგ შემთხვევაში ბასილევსი მჭედელთა შორისაა და გიგულის გარეშე მოიხსენიება.⁴⁷

კიდევ ხუთი ბასილევსი გვხვდება რაღაც გიპის გაერთიანების, qa-si-re-wi-ja-ს მეთაურის როლში: a-ki-to-jo qa-si-re-wi-ja (Fn 50, Fn 867), ke-ko-jo qa-si-re-wi-ja, a-ta-no-ro qa-si-re-wi-ja (Fn 50), a-pi-ka-ra-do-jo qa-si-re-wi-ja (Pa 389), a-ta-wo-no qa-si-re-wi-ja (Pa 889). a-ta-wo გვხვდება ტექსტში An 192 სამეფოს მნიშვნელოვან ფუნქციონერთა სიაში, ხოლო a-ki-to – ტექსტში Fn 79, მარცველულისა და ზეთისხილის მიმღების როლში. Fn სერიის ტექსტებში ბასილევსებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ხალხის⁴⁸ ადგილსამყოფელი არ არის განსაზღვრული, რაც არქივის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ პილოსში ლოკალიზაციაზე უნდა მიუთითებდეს. სავარაუდოა, რომ ისინი დედაქალაქში ასრულებდნენ გარკვეულ სამუშაოს და იქვე იღებდნენ ანაზღაურებას.

⁴⁴ Palmer 1963: 442; Lang 1966: 397ff.; Hiller 1972: 63; შდრ. Heubeck 1966: 67ff.; O'Neil 1970: 11ff.; Schmidt-Brandt 1968: 87; MGv II: 160.

⁴⁵ Lindgren 1973: II 127ff.

⁴⁶ Lang 1966: 397ff.

⁴⁷ Полякова 1978: 233 и сл.

⁴⁸ qa-si-re-wi-ja რომ აღამიანთა ჯგუფს მოიცავს, ჩანს ტექსტიდან KN As 1516.

ზემოთ ვნახეთ, რომ მჭედელთა ჯგუფის თავიანთი, to-sa-ni (Jn 431) ტექსტში Fn 79, qa-si-re-u a-ki-to-s მსგავსად, პროდუქტების მიმღებთა რიცხვშია. a-pi-ji და o-tu-wo-we ტექსტში An 261 ke-ro-si-ja-s (γεροσια) ხელმძღვანელებად გვევლინებიან, ხოლო ტექსტში Jn 725 – მჭედლებად.⁴⁹ ეს და სხვა მსგავსი მაგალითები ბადებენ ამრს, ერთის მხრივ, qa-si-re-wi-ja-სა და ke-ro-si-ja-ს იდენტურობის, მეორეს მხრივ, ამ ორგანიზაციათა მეტალურგიასთან მჭიდრო კავშირის შესახებ.⁵⁰

პირველ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იდენტური ცნებების განსხვავებული გერმინებით გადმოცემა არ არის მიკენური ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელი. ეს ორი ორგანიზაცია ჰგავს ერთმანეთს შემდეგი ნიშნებით:

- ა. წარმოადგენს მამაკაცთა ჯგუფს;
- ბ. მოიხსენიება მისი ხელმძღვანელის სახელით;
- გ. დაკავშირებული ჩანს სახელმწიფო შრომითი ვალდებულებების მოხდასთან;

დ. მათი მუდმივი ადგილსამყოფელი დედაქალაქი არ უნდა იყოს. ჩემი ამრით, ამ ორგანიზაციების ლოკალიზაცია სასახლის გარეთ, მათი ცენტრისაგან გარკვეული დამოუკიდებლობა, აძლევდა მათ სასახლეების ნგრევის ეპოქაში გადარჩენის შანსს. მათი აღმნიშვნელი გერმინების უცილობელი მსგავსება კლასიკურ ბერძნულ გერმინებთან, რომლებიც „ბნელ წლებამდე“ მაინც უნდა აღიოდნენ, იმაზე მიუთითებს, რომ მიკენური სამყაროს დაღუპვამ ამ გერმინთა შინაარსზე მინიმალური გავლენა იქონია. სავარაუდოა, რომ βασιλευს მიკენურ ხანაშიც გვარის, თემის უხუცესს, წინამძღოლს,⁵¹ ნიშნავდა (იხ. ქვემოთ). მათ ეკისრებოდათ გარკვეული პასუხისმგებლობა მათი თემის თუ სოფლის მიერ სასახლის წინაშე სამეურნეო ვალდებულებათა შესრულებამდე, რაც აისახა არქივის მასალებში. ბასილევსის ნათესაე-ახლობლები და მსახურები უნდა შეადგენდნენ მის ოიკოსს – qa-si-re-wi-ja-ს,⁵² ხოლო

⁴⁹ თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ საკუთარ სახელთა დამთხვევა არ არის საკმარისი სხვადასხვა ტექსტებში მოხსენიებულ პირთა გასაიგივებლად. ასეთი დამთხვევები გვხვდება როგორც თვით Jn სერიის შიგნით (ანუ სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები მჭედლები სეხნიები იყვნენ), ასევე პილოსისა და კნოსოსის არქივებს შორისაც (მღრ. Hiller, Panagl 1986: 178).

⁵⁰ Palmer 1963: 138ff.; Lindgren 1973: II 127f.; Πολυκοβα 1978: 233. ამ აღამიანების სოციალური სტატუსი სადავოა: ისინი „მონებიც“ შეიძლება იყვნენ და თავისუფლებიც. მღრ. Lindgren 1973: II 178f.

⁵¹ Bartonc 1964: 153; Wundsam 1978: 115; Ruijgh 1967: 127; DMic II: 189f.

⁵² ამგვარი ინტერპრეტაციით შეიძლება მივიღოთ ნ. კაზანსკის თარგმანი „მეფის სასახლე“. მღრ. ППС: 118, 128.

ke-ro-si-ja (ყეროსიძე), ალბათ, უხუცესთა საბჭოს უნდა აღნიშნავდეს. გერუსიის ხელმძღვანელი აუცილებლად ბასილევსი არ უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ რიგ შემთხვევაში თემის უხუცესთა საბჭოს სათავეში პრივილეგირებული და პატივცემული პროფესიის წარმომადგენელი, მჭედელი, მდგარიყო.

PY Aa, Ab სერიების გექსტებში¹ აღწერილია ქალებისა და ბავშვების რაზმები. მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს PY Ad სერია, რომელიც კაცებისა და ბიჭების სიებს შეიცავს, დაზიანებული გექსტი An 292, ასევე ქალებისა და ბავშვების სიით და გექსტი Fg 253, რომელშიც, სავარაუდოა, ქალების რაციონის ჯამური რაოდენობაა მოცემული. გექსტები ტრაფარეტულია, ამიტომ მათ აქ არ მოვიგან და ზოგად მიმოხილვასა და სტატისტიკას დაუჯერდები.

Aa სერიის გექსტები შედგენილია მსგავსი ფორმულით: 1. მარცვლოვანი ნიშნებით დაწერილი ერთი ან ორი სიტყვა (ჯგუფის მახასიათებელი და ტოპონიმი); 2. ქალის იდეოგრამა და რიცხვი; 3. ko-wa /korwa(i), გოგო(ები)/ და რიცხვი; ko-wo /korwos, korwoi, ბიჭ(ები)/ და რიცხვი (ბავშვებთან დაკავშირებული მონაცემები ზოგიერთ გექსტს აკლია); 4. იდეოგრამები DA, TA.

სერია მოიცავს 49 ფირფიტას, მათგან 39 კარვალაა შენახული. ისინი ქმნიან ორ ქვეჯგუფს. 37 ფირფიტა (ნომრებით 240 და ზემოთ) ეკუთვნის ერთ ხელს (1), ხოლო დანარჩენი 12 (ნომრები 60-სა და 98-ს შორის) – მეორეს (4).

Ab სერია ერთი ხელითაა ნაწერი (21). 49 ფირფიტიდან მხოლოდ 25 შემონახა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. გექსტები იმავე ფორმულითაა შედგენილი, რაც Aa სერიისა, ბოლოში ემატება მარცვლისა და ლედვის იდეოგრამები² რიცხვითი მნიშვნელობებითურთ. ერთ გექსტში მარცვლეულისა და ლედვის რაოდენობა თანაბარია. Ab სერიის გექსტების დასაწყისი სიტყვები ხშირად თანხვდება Aa სერიის დიდი ქვეჯგუფის გექსტებისას. ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ Ab გექსტების დიდი ნაწილი იწყება სიტყვით pu-ro, რომელიც Aa სერიაში გამოტოვებულია.

Ad სერიის 40 გექსტიდან 33 დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ყველა ერთი ხელითაა ნაწერი (23). მათ განხილულ სერიებთან აკავშირებს რაზმის მახასიათებელი სიტყვა, რომელიც აქ ნათესაობით ბრუნვაშია. შემდეგ მოდის ko-wo; კაცის იდეოგრამა და რიცხვი, ko-wo და რიცხვი. ორი უკანასკნელი

¹ მათ შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს. უკანასკნელად, რამდენადაც ვიცო, ისინი საფუძვლიანად მიმოიხილა ჯ. ჩედვიკმა: Chadwick 1988.

² NI, ლედვის იდეოგრამა ჩირს უნდა გულისხმობდეს (Palmer 1989 : 98).

მონაცემიდან ერთ-ერთი შეიძლება აკლდეს.³ სერიის ზოგიერთ ფორფიტაზე ვხვდებით ასევე სიგყვას o-pe-ro, ან მის აბრევიატურას o, რასაც მოსდევს კაცის იდეოგრამა და რიცხვი. ეს სიგყვა ყველა სხვა კონტექსტში დეფიციტის აღმნიშვნელია, აქაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ რაზმის წევრი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ არის აღვილზე.

სამი სერიის ტექსტები შეიძლება დაჯგუფდეს ამგვარად:⁴

1. Aa სერიის ღიდი ნაწილი (ხელი 1) შესაბამის Ab, Ad ტექსტებთან ერთად.

ა. პილოსში – 28 ჯგუფი;

ჯგ	1	2	3	4	5	6	7
Aa	785	815	804	-	240	701	854
Ad	-	666	690	671	677	315	-
Ab	388	564, 1105	580	210	-	515	563, 1100
ჯგ	8	9	10	11	12	13	14
Aa	788	792	770	354	506	955	764
Ad	679	683	675	680	390	-	-
Ab	-	189	194	372	562	575	789
ჯგ	15	16	17	18	19	20	21
Aa	1180	695	777	313	662	795	891
Ad	380, 689	357	691	663[+] 674			694
Ab	573	560	899	417[+] 1050	745, 746	558	578
ჯგ	22	23	24	25	26	27	28
Aa	-	-	-	807	783	699	762
Ad	-	-	667	686	676	684	318 [+]420

³ რიგ შემთხვევაში აკლია მხოლოდ კაცებისა თუ ბიჭების რაოდენობა. სხვა ტექსტებიდან პარალელების მოხშობის საფუძველზე ჯ. ჩედვიკი შესაძლებლად მიიჩნევს აქ 0-ის ან 1-ის აღდგენას, თუმცა უფრო პირველი ვარიანტისაკენ იხრება. Chadwick 1988: 45f.

⁴ Chadwick 1988: 47ff.

Ab	186	555	356[+] 1049	586	553	190	217
----	-----	-----	----------------	-----	-----	-----	-----

ბ. მახლობელი პროვინციის სხვა პუნქტებში – 7 ჯგუფი;

ჯგ	29	30	31	32	33	34	35
Aa	772	752, 779	786	775[+] 956	1182	717	798
Ad	670	-	688	685	-	-	-
Ab	379	355	554	277	-	1099	382

2. Aa სერიის მცირე ნაწილი (ხელი 4) შესაბამის Ad გექსტებთან ერთად.⁵

ა. ლეკტორონში – 6 ჯგუფი;

ჯგ	36	37	38	39	40	41
Aa	85	89	-	63	98	62
Ad	290	-	326	668	669	308

ბ. შორეული პროვინციის სხვა პუნქტებში – 8 ჯგუფი.

ჯგ	42	43	44	45	46	47	48	49
Aa	96	95	94	60	93	-	76	61
Ad	697	687	672	-	295	921	678	664

ამ ჯგუფებს გარეთ რჩება კიდევ ფრაგმენტები: Aa 759, 860, 863, 987, 1178, Ad 681, 700, 1450, Ab 468, 559, 581, 582, 584, 585, 946, 978, 1102, 1103, 1109, 1112, 1113, 1115.

სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებით, ჯ. ჩედევიკი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის 80 პროცენტმა მოაღწია ჩვენამდე. შესაბამისად, სტატისტიკურ დაკვირვებას გექსტებზე ბევრ კითხვამე პასუხის გაცემა შეუძლია.

⁵ Ab-ში შესატყვისი აკლია. ამის მიზეზად ჯ. ჩედევიკს ის მიაჩნია, რომ გექსტების შედგენა მგრის შემოსევის გამო ვეღარ მოესწრო (Chadwick 1988 : 64). ხოლო ლ.რ. პალმერის აზრით, ეს გექსტები შორეული პროვინციის ცენტრში, ლეკტორონში ინახებოდა (Palmer 1963 : 113).

პირველ ყოვლისა, ქალებისა და ბავშვების ურთიერთმიმართების შესახებ: ცხადია, რომ Ad სერიის ტექსტებში ko-wo ორი განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება: პირველად იგი ვაჟიშვილს აღნიშნავს, მეორედ – ბიჭს. სავარაუდოა, რომ ქალებთან ერთად ჩამოთვლილი გოგო-ბიჭებიც (Aa, Ab) მათი შვილები უნდა ყოფილიყვნენ.

ტექსტების შესწავლის საწყის ეტაპზე დადგინდა, რომ ქალის რაციონი იყო თვეში GRA T 2, ბავშვისა – GRA T 1.⁶ თორმეტ/თოთხმეტ წელს გადაცილებულისთვის ზრდასრული ქალის ნახევარი პორცია არ უნდა ყოფილიყო საკმარისი, ამდენად ტექსტებში აღრიცხულნი უნდა იყვნენ მხოლოდ თორმეტ/თოთხმეტ წლამდე ბავშვები.⁷ ამ ასაკს გემოთ გოგო ქალის კატეგორიაში გადადიოდა (Aa, Ab), ხოლო ვაჟი – კაცის (Ad).

Ab სერიის ტექსტებში, როგორც წესი, დადასტურებულია მარცვლეულისა და ლეღვის ქალებისა და ბავშვებისათვის დადგენილ ნორმაზე ოდნავ მეტი რაოდენობა. განსხვავება დაკავშირებული ჩანს იდეოგრამებთან TA, DA. ლ. რ. პალმერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რაზმებს მიჩენილი ჰყავდათ ზელამხედველები – ქალი (TA) და კაცი (DA).⁸ ჯ. ჩელვიკს დასაშვებად მიაჩნია, რომ DA ასევე ქალი ყოფილიყო.⁹ ამ აბრევიატურების შესაძლო წაკითხვებია: TA – ταμία, DA – da-ma/du-ma, δάμαρ.¹⁰ ταμία-ს „რაციონი“ იყო T 2, δάμαρ-ის – T 5 (ან, შესაბამისად, T 4, T 7, თუ მათ რაზმის ქალთა რიცხვში ჩავთვლით). თუ სტანდარტული რაციონი ნორმალური მომუშავე

⁶ Docs: 157: ქალის რაციონი იყო თვეში GRA T 2, ბავშვისა – GRA T 1. GRA T 2 მიკენურ სამყაროში გავრცელებულ თეიურ რაციონად გვევლინება. შდრ. MY Au 658.4, PY An 128.11. უკანასკნელი ტექსტის საფუძველზე დადგინდა შესაბამისობა: GRA 2 = HORD 4, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „ხორბალთან“ ერთად, Ab სერიის მსგავსად, შესაძლოა, აქაც (დაზიანებული სტრ. 12) გაიყვანა ლეღვი, რომელიც არანაკლებ კალორიულია. შესაბამისად, GRA T 2 + N/ T 2 = HORD T 4. Palmer 1989 : 98f.

⁷ ენოსოსის არქივის ტექსტები განარჩევენ ორი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს. მასალის სიმცირის გამო ძნელია თუნდაც ვარაუდის გამოთქმა იმის შესახებ, რა ასაკს შეეფერება ეს ჯგუფები.

⁸ Palmer 1963 : 116.

⁹ Chadwick 1988 : 88. An 292, მისი აზრით, წარმოადგენს პურის გამნაწილებლისათვის (si-to-wo-ko) შედგენილ სიას, რომელშიც ქალთა რაზმები ზელამხედველების გარეშე მოიხსენიებიან. Aa, Ab სერიათა პარალელურ ტექსტებში რომელიმე ზელამხედველის მოკლება-დამატება ხშირად ქალთა რაოდენობის ერთით შეცვლას იწვევს. ეს ფაქტები შეიძლება იმეცარადაც გავიგოთ, რომ ზელამხედველები ქალთა რიცხვში იგულისხმებოდნენ.

¹⁰ Chadwick 1988 : 71ff. შდრ. Ruijgh 1987 : 309ff.

ქალისათვისათვის მეტ-ნაკლებად საკმარისი იყო, მასზე 2,5-ჯერ (მითუმეტეს, 3,5-ჯერ) მეტი პროდუქტი უკვე აშკარად ვეღარ ჩაითვლება რაციონად – აქ შრომის ანაზღაურებასთან უნდა გვექონდეს საქმე.

ცხადია, გაცემული საკვების რაოდენობის შესაფასებლად სასურველი იქნებოდა მიკენური ერთეულების აბსოლუტურ მნიშვნელობათა ცოდნა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მიკენური მედიმნის მნიშვნელობა სპეციალურ ლიტერატურაში 48 ლიტრიდან 120 ლიტრამდე მერყეობს. რუთ პალმერმა ამ მნიშვნელობის დამუსტება სწორედ „რაციონების“ შემუშავებით სცადა და გაიზიარა ჯ. ჩელეიკის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი – 96ლ.¹¹ თუ Ab სერიის რაციონები ამ მონაცემზე დაყრდნობით განვიხილეთ, ქალი საჭირო კალორიების 128 პროცენტს იღებდა, ბავშვი – 71-ს. შესაბამისად, ერთშილიანი დედა თავსაც ირჩენდა და შვილსაც არაფერს დააკლებდა.¹² რუთ პალმერისავე უფრო გვიანდელ გამოკვლევაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იდეოგრაფით *120 (GRA) აღინიშნებოდა არა ხორბალი, არამედ ქერი.¹³ ამ შემთხვევაში ქალებისა და, განსაკუთრებით, ბავშვების რაციონი აღარ გამოიყურება დამაკმაყოფილებლად. დანაკლისის შესაფასებლად ორი შესაძლო წყარო მესახება: ა. ისინი სასახლისაგან ყოველდღიურად იღებდნენ რაღაც მალეუჭებად პროდუქტსაც, რაც გექსტებში არ აისახა;¹⁴ ბ. მათ ჰქონდათ სასახლისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი საკუთარი მეურნეობა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქალების დიდ რაოდენობას პილოსში, ეს უკანასკნელი ნაკლებ დასაჯერებელია.

ქალებისა და ბავშვების საერთო რაოდენობა 1500-ს აღწევს, მათგან ნახევარი პილოსშია. ცხადია, სასახლე ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა. შესაძლოა, გექსტებში დადასტურებული გერმინი ke-re-za დედაქალაქში მყოფ ქალთა ბანაკს აღნიშნავდეს.¹⁵

ქალების სოციალური სტატუსი გექსტებში არ არის აღნიშნული, ზოგიერთი რაგში ქალთა წარმომავლობით მოიხსენიება, რაც სხვა არგუმენტებთან ერთად, აფიქრებინებს ფ. გრიჩს, და მის კეალდაკეალ ი. გარლანს, რომ კრიზისულ ვითარებაში პილოსს მიაწყდნენ ლტოლვილები, რომელთა დასაქმება და საკვებით

¹¹ Palmer 1989 : 115.

¹² Palmer 1989 : 108.

¹³ Palmer 1992.

¹⁴ შტრ. Weber 1989 : 222. კლასიკურ ათენში მონების ძირითად საკვებს ქერის პური, ლელი, თევზი და ღვინო წარმოადგენდა.

¹⁵ Chadwick 1988 : 77.

უმრუნველყოფა აისახა ტექსტებში.¹⁶

ამის საპირისპიროდ, მკვლევართა უმრავლესობისათვის ქალების დამოკიდებული, მონური სტატუსი ეჭვს არ იწვევს.¹⁷ ტერმინი *do-e-ra* ანალოგიური რაზმების მიმართ დადასტურებულია მხოლოდ კნოსოსის არქივის მოგიერთ ტექსტში. განსახილველ ტექსტებში ამ ტერმინის მოუსხენიებლობა, ალბათ, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სასახლის მოხელეთათვის ქალთა სტატუსი ისედაც ცხადი იყო. თუმცა არც ის შესაძლებლობაა გამოსარიცხი, რომ პილოსში მონებს არ ეწოდებოდათ *do-e-ro*. დანარჩენი სამუშაო ძალისაგან განსხვავებით, რომელიც სახელმწიფო სამსახურში პერიოდულად გაჰყავდათ, ქალები ანაზღაურებას კი არ იღებდნენ, არამედ მეგნაკლებად სრულ რაციონს. თუ ზედამხედველებს არ ჩავთვლით, არ შეიმჩნევა გრადაცია შრომის რაოდენობისა თუ კვალიფიკაციის მიხედვით: ტყვეც იმდენს იღებს, რასაც მხევალი ან ფეიქარი, საერთოდ არ აღირიცხება შესრულებული სამუშაო, რაც დაქირავებული ან ვალდებულების მოსახდელად გასული მუშის საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო.¹⁸ სამაგიეროდ, სასახლე ზრუნავს გოგონების პროფესიულ დახელოვნებაზე.¹⁹ მხოლოდ ვაყების შემთხვევაში ვხვდებით აღნიშნვას მათი დანიშნულების ადგილას არყოფნის შესახებ, მაგრამ არ არის აუცილებელი, ეს ფაქტი მათი პირადი თავისუფლებით აიხსნას.²⁰ მონაც შეიძლებოდა გარკვეული დავალებით სადმე გაეგზავნათ. საგულისხმოა, რომ „არგამოცხადებულთა“ შორის მხოლოდ კაცები არიან და არა ბიჭები.²¹ ერთ ტექსტში, ალბათ, ჩანს მათი არყოფნის მიზეზი: ისინი მენიჩბეებად მსახურობენ (*Ad 697: e-ref[-ta] qe-ro-me-no*),²² ვაყების დასაქმების სფერო, როგორც წესი, არ არის აღნიშნული. შესაძლოა, ტექსტების შედგენის მომენტისათვის ის არც იყო განსაზღვრული. საეარაულოა, ისინი ჯერ არ იყვნენ რამე პროფესიაში დახელოვნებული და, საჭიროებისდა მიხედვით, სხვადასხვა შავ სამუშაოს ასრულებდნენ. ახალგაზრდა კაცებისა და ბიჭების გაერთიანება რაზმებად მათი დედების პროფესიების

¹⁶ Tritsch 1958: 423ff.; Garland 1982: 40.

¹⁷ იხ. მაგ., Лещман 1963; Chadwick 1988: 90ff. შდრ. Killen 1988, სადაც ქალები მოიხსენიებიან ნეიტრალური სახელწოდებით „დამოკიდებული სამუშაო ძალა“.

¹⁸ შდრ. PY Un 1322, სადაც მარცვლეული და ლეღვი ამკარად რაღაცის საფასურად (*o-no*) გაიყება. Killen 1988: 181.

¹⁹ იხ. მაგ., KN Ak 781: *di-da-ka-re=* δῖδακάει (DMic I: 171).

²⁰ შდრ. Tritsch 1958: 423f.

²¹ Лещман 1963: 157.

²² Chadwick 1988: 87f.

მიხედვით ძნელად ესადაგება „ლგოლეილთა თეორიას“ და ამ პირთა არათავისუფალი სტაგუსის უცყუარი ნიშანი უნდა იყოს.²³

თითოეული რაგმის მახასიათებელი გერმინი შეიძლება აღნიშნავდეს ქალების დასაქმების სფეროს, პროფესიას (a-ke-ti-ra₂, a-pi-qo-ro, a-pu-ko-wo-ko, a-ra-ka-te-ja, e-ke-ro-qo-no, i-te-ja-o, me-re-ti-ra₂, ne-we-wi-ja, no-ri-wo-ko, o-pi-ro-qo, o-ti-ra₂, pa-wo-ke, pe-ki-ti-ra₂, ra-pi-ti-ra₂, ra-qi-ti-ra₂, re-wo-to-ro-ko-wo, ri-ne-ja, te-pe-ja-o) ან წარმომავლობას (a-swi-ja, ki-ni-di-ja, ki-si-wi-ja, ku-te-ra-o, mi-ra-ti-ja, ra-mi-ni-ja, ze-pu₂-ra₃, ti-nwa-si-ja-o, ki-ma-ra, ko-ro-ki-ja). რიგ შემთხვევაში ქალების მახასიათებელი გერმინი შეიძლება გავიგოთ მათი „პაგრონის“ საკუთარი სახელიდან ნაწარმოებად: we-we-si-je-ja (Aa 762), pa-ke-te-ja (Aa 662+), a-so-qi-je-ja (Ad 689), ka-ru-ti-je-ja-o (Ad 671), a-da-ra-te-ja (Aa 785), ko-ma-we-te-ja (Tn 316 v.3),²⁴ me-ti-ko-ri-ti-ja, ka-pa-ra₂-de, to-sa-me-ja-o. მართლაც, გექსტებში დასტურდება მამაკაცთა სახელები, რომლებიც ნათესაობით ბრუნვაში ამ ფორმებს უნდა გვაძლევდნენ. ასევეა თებუმიც და კრეგაბეც, სადაც ქალთა რაგმების ნაწილის „პაგრონებად“ მაღალი რანგის მოხელები, ე.წ. „შემგროვებლები“ გვევლინებიან. მაგრამ არც პილოსელი „შემგროვებლები“ – a-ke-o, a-ko-so-ta, a-pi-me-de, we-da-ne-u, არც ბასილევსები არ ჩანან „პაგრონების“ რიცხვში. a-da-ra-te-ja მხოლოდ ერთი ქალის მახასიათებელია და მეტად სავარაუდოა, მის საკუთარ სახელს წარმოადგენდეს,²⁵ ვიდრე უკავშირდებოდეს სახელს *a-da-ra-to, დადასტურებულს მხოლოდ პაგრონიზში a-da-ra-ti-jo (PY An 656.14, Aq 218.6). სახელები we-we-si-jo, pa-ke-ta, a-so-qi-jo, ko-ma-we-ta მხოლოდ კნოსოსის არქივიდან ვიცით. თუ ამ სახელების მაგარებელი პირები პილოსშიც მნიშვნელოვანი მოხელები იყვნენ, გაუგებარია, რაგომ არ შემორჩა მათი კვალი საკმაოდ კარგად შენახულ არქივში. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისინი იყვნენ შედარებით დაბალი რანგის მოხელები, იმ სახელოსნოთა ხელმძღვანელები, რომლებსაც სასახლემ მიამაგრა სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი. თეორიულად დასაშვებია ისიც, რომ კერძო პირთა საკუთრებაში მყოფ ქალებს გარკვეული ხანი სასახლისათვის ემუშავნათ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათი ანაზღაურება უნდა განსხვავდებოდეს „უპაგრონო“ ანუ სასახლის საკუთრებაში მყოფი ქალების რაციონისაგან და საეჭვოა ისინი სასახლეს ბავშვებიანად გაეწვია სამუშაოდ.

²³ Ленцман 1963: 158; Chadwick 1988: 90f. შდრ. Tritsch 1958: 423f.

²⁴ Killen 1979: 176ff.

²⁵ Chadwick 1988: 78.

ქალები, რამდენადაც პროფესიულ გერმინოლოგიაში გარკვევა ხერხდება, სასახლეში შინამოსამსახურეები იყენენ (a-pi-qi-ro,²⁶ me-re-ti-ra₂, re-wo-to-ro-ko-wo), ან სამეფო სახელოსნოებში მაგყლსა და სელს ამუშავებდნენ (მაგ., a-ke-ti-ra₂, a-pu-ko-wo-ko, a-ra-ka-te-ja, i-te-ja, pe-ki-ti-ra₂, ra-pi-ti-ra₂, ri-ne-ja).²⁷ მათ შორის ეხვლებით პროფესიულ ჯგუფებზე განაწილების გარეშე დარჩენილებსაც (o-pi-ro-qi) და გყვეებსაც (ra-wi-ja-ja).²⁸

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქალების წარმომავლობა. პილოსის სამეფოს და მისი მიმდებარე გერიგორიის მკვიდრებად მხოლოდ ti-nwa-si-ja გვევლინებიან. აქაველთა სამფლობელოებიდან შეიძლება ყოფილიყენენ ასევე ki-ma-ra და ko-ro-ki-ja. დანარჩენები საკმაოდ შორეული მიწებიდან მოხვედრილან პილოსში: ki-ni-di-ja, mi-ra-ti-ja, ra-mi-ni-ja, a-*r4-ja (a-swi-ja), ze-pu₂-ra₃, ki-si-wi-ja, ku-te-ra₃ – კნიდოსი, მილეგი, ლემნოსი, ასია,²⁹ ძეფირია (ჰალიკარნასოსი),³⁰ ქიოსი, კითერა . ამ პუნქტების ინგენსიური კონგაქტები მიკენურ სამყაროსთან არქეოლოგიურადაც დასტურდება. ძნელი სათქმელია, ეს კონგაქტები ვაჭრობით იფარგლებოდა, თუ მიკენური ხელისუფლება ვრცელდებოდა მთელი ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. ნებისმიერ შემთხვევაში საეჭვოა, რომ ლგოლიელ ქალებს პილოსში ამდენად დამორებული პუნქტებიდან ჩაეღწიათ. KN Ai 1037, B 822, B 988 ტექსტების გათვალისწინებით, სადაც „ნაყიდი მონები“ იხსენიებიან, პილოსშივე ქალების წარმოშობა ყიდვით შეიძლება აიხსნას.³¹

შემორჩენილ ტექსტებში სულ 648 ქალი და მათი 983 შვილი

²⁶ a-pi-qi-ro=ἀπιπίοισι. ტექსტში PY Fr 1205 ისინი ზეთის მიმღებად გვევლინებიან და, შესაძლოა, „მხვეალ ქალღმერთებად“ მიეჩნით. TH Of 34 (a-pi-qi-ro, ne-wa, ko-tu-ro₂, DA, LANA 3 [[PA I]]/a-ra-ka-te-ja, pa-ra-ja LANA 1) რელიგიური შინაარსისადაც შეიძლება ჩაითვალოს და საწარმოოდაც. შდრ. Killen 1985: 289, 295; Hiller 1987: 239ff.

²⁷ ცალკეულ გერმინებთან დაკავშირებით იხ. მაგ., Chadwick 1988: 77; DMic. u. ლენცმანი მიიჩნევს, რომ ქალების მრავალრიცხოვან პროფესიათაგან ზოგიერთი მაინც მიწათმოქმედებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (Περσων 1963: 156, 186), რაც თითქოს არ დასტურდება.

²⁸ Sheldermine 2008: 139. გერმინის სხვა ინტერპრეტაციებიც არსებობს: „ყანაში მომუშავენი“ და ეონიკონი „ლაეილები“ (DMic II: 233.). გყვეები (hipparaš=ASTRU – დაჭერილი, დაკეტილი) სეთურ საზოგადოებაში დამოკიდებულთა ყველაზე დამყრობილ კატეგორიას შეადგენდნენ და, შესაძლოა, ნაყიდი მონები ყოფილიყენენ. Güterbock 1972: 95.

²⁹ ეს პუნქტი შეიძლება იყოს სეთური ტექსტების Aššura, გვიანდელი ასოსი (Stärke 1997: 456).

³⁰ სტრაბონის თანახმად, ჰალიკარნასოსის ძველი სახელი იყო Ζεφύρια (Str. 14.656).

³¹ Chadwick 1988: 92.

(ცალკე აღრიცხული ვაყების ჩათვლით) მოიხსენიება. აქედან 217 ქალი და მათი 232 შვილი უცხო წარმოშობისაა. ამას შეიძლება დაემატოს ჯგ. 18 (26/29), თუ მის მახასიათებელ გერმინს (ra-wi-ja-ja) ეთნიკონად ან (სხვადასხვა პუნქტებიდან ჩამოყვანილი) ტყვეების აღმნიშვნელად გავიგებთ.

საეჭვოა, რომ ქალები მონათა ბაზარზე შეილებიანად ეყიდათ. ამდენად, ვისაც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების შეილები ჰყავს, დიდი ხნის წინ ნაყიდი უნდა იყოს. მეორეს მხრივ, ვაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო 15-20 წლის მანძილზე სტაბილურად შენარჩუნებული ქალების დაყოფა წარმომავლობის ნიშნით. ჯ. ჩედვიკი მიიჩნევს, რომ ამგვარ დაჯგუფებას პუმანიგარული მიზეზები უნდა ჰქონოდა, პირველ რიგში, სალაპარაკო ენის ერთიანობა.³² მაგრამ სასახლეს ეს ქალები სამუშაო ძალად სჭირდებოდა და მათი პილოსში ჩამოყვანიდან გარკვეული აკლიმატიზაციის გავლის შემდეგ პროფესიულ რაზმებში უნდა დაენაწილებინა. მილეგელ ქალთა ერთი ნაწილის შემთხვევაში ასეთი გადანაწილება თითქოს დასტურდება (Ad 380: mi-ra-ti-ja-o a-ra-te-ja-o, Ad 689: mi-ra-ti-ja-o a-so-qi-je-ja). ზოგ სხვა ჯგუფსაც ეთნიკური მახასიათებლის გარდა პროფესიულიც ახლავს (Ad 326: ri-ne-ja a-*64-ja; Ab 194, Ad 675 ki-si-wi-ja o-nu-ke-ja; Ad 664 ze-pu₂-ra-o ri-ne-ja-o). სტატისტიკური მონაცემებით ეს ჯგუფები გარკვეულად განსხვავდებიან დანარჩენებისაგან:

	MUL	kowa	kowo	VIR	kowo
„პაგრონიანი“	32	8	21	11	7
„პაგრონიანი“ +	96	34	53	36	14
პროფესიული	329	329	146	131	51
პროფესიული +	410	370	195	165	77
ტყვე	26	7	7	15	0
უცხოელი	145	59	49	27	4
უცხოელი + ტყვე	171	66	56	42	4
შერეული	72	30	25	18	20
სულ უცხოელი	217	89	74	45	24
სულ უცხოელი + ტყვე	243	96	81	60	24
წარმომავლობის გარეშე	405	287	198	173	64
სულ	648	383	279	233	88

³² Chadwick 1988: 92.

1. „უცხოელი“ ქალები მთელი პერსონალის მესამედს შეადგენდნენ, მაგრამ 49-დან მხოლოდ 10 რაზმში ერთიანდებოდნენ (როგორც წარმომავლობით, ასევე პროფესიით ან „პაგრონის“ სახელით მოხსენიებული – შერეული – რაზმები რიცხობრივი მონაცემებით თითქოს უფრო ახლოს დგანან „პროფესიულ“ რაზმებთან);

2. „უცხოელი“ ქალებისა და მათი შვილების რაოდენობათა შეფარდება თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე დანარჩენი ქალების შემთხვევაში – 217/232 და 431/751 (ან, თუ „ტყვეებსაც“ „უცხოელებად“ ჩავთვლით, 243/261 და 405/722). განსაკუთრებით საგრძნობია ეს განსხვავება დელებისა და ზრდასრული ვაჟების რაოდენობების შეფარდებათა შედარებისას – $217/45=4,8$ და $431/188=2,3$ (ან $243/60=4,5$ და $405/173=2,3$). ამ ნიშნითაც „შერეული“ რაზმები უფრო ახლოს დგანან „წმინდა პროფესიულ“ რაზმებთან, ვიდრე მხოლოდ წარმომავლობით მოხსენიებული.

ეს მონაცემები უნდა მიუთითებდნენ „უცხოელი“ ქალების დანარჩენთაგან გარკვეულად გამორჩეულ მდგომარეობაზე, რაც მხოლოდ მცირე დროის მანძილზე უნდა შენარჩუნებულიყო.³³ ჩემი აზრით, ეს ქალები და ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ აქაველების მიერ სამხედრო ლაშქრობებიდან ჩამოყვანილი ტყვეები.³⁴ სწორედ ამგვარი ბედის ემინიათ „ილიადაში“ გროელ ქალებს და დაპყრობილი თუ მხოლოდ დალაშქრული ტერიტორიებიდან მოსახლეობის დეპორტაციის პრაქტიკა ხეთურ წყაროებში საკმაოდ კარგადაა დადასტურებული.³⁵ ტყვეები ჯერ წარმომავლობის მიხედვით ერთიანდებოდნენ შედარებით დიდ ჯგუფებში, შემდეგ ხდებოდა მათი დაყოფა პროფესიების მიხედვით. საყურადღებოა, რომ პილოსის სამეფოში იმყოფებოდა ქალთა რამდენიმე (ალბათ, სხვადასხვა დროს ჩამოყვანილი) ჯგუფი მილეგიდან, სულ 70 ქალი. ქალთა უფრო მოზრდილ ჯგუფს უფროსი ასაკის ვაჟები არ ჰყავთ, განსხვავებით უკვე პატარა, პროფესიულ რაზმებად დაყოფილი მილეგელებისგან. დროთა განმავლობაში თანამემამულეები

³³ შტრ. Chadwick 1988: 54; Ab 186-ს არ გააჩნია შესატყვისი სხვა სერიებში, რის გამოც ლემნოსელ ქალთა ეს ჯგუფი ახალშექმნილად შეიძლება ჩაითვალოს.

³⁴ Weber 1989: 46.

³⁵ NAM.RA= $\$$ ALLATU=amuwalaš – დეპორტირებულები ხეთური საზოგადოების დამოკიდებულთა საკმაოდ სოლიდურ ფენას შეადგენდნენ. Güterbock 1972: 94; Korošec 1972: 106. ჟ. გრიოი წინააღმდეგია პილოსის სასახლის ქალთა რაზმების ხეთების სამეფოში მყოფ დეპორტირებულბთან შედარებისა იმ საფუძველზე, რომ NAM.RA ძირითადად კაცებს გულისხმობდა. Tritsch 1958: 432.

სცილდებოდნენ ერთმანეთს და, საჭიროებისდა მიხედვით, ერთიანდებოდნენ წმინდა პროფესიულ ჯგუფებში. ამდენად, მხოლოდ პროფესიის ან სახელოსნოს უფროსის სახელით მოხსენიებული რაზმებიც ძირითადად უცხო წარმომავლობის გყვეთაგან შედგებოდა. ამ მოსამრების ირიბ საბუთად შეიძლება მოვიგანოთ ტექსტი Ad 684, სადაც ვაჭების რაზმის განსამზღერისას მოიხსენიებიან როგორც დედები (პილოსში მყოფი მრთველები ti-nwa-to-დან), ასევე მამები (მენიჩბეები a-pu-ne-we-დან). ti-nwa-to³⁶ ზღვიდან დაშორებული პუნქტია, a-pu-ne-we კი, ცხადია, სანაპირო ზოლშია საქებარი. ეს ფაქტი, ალბათ, ქალების შემთხვევით კავშირებზე უნდა მიუთითებდეს და არა სტაბილური ოჯახების არსებობაზე. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქალების ეს ჯგუფი სამხედრო ნადავლის სახით ჩამოიყვანეს ხსენებულმა მენიჩბეებმა. შემდეგ ქალები ti-nwa-to-ში გაანაწილეს სამუშაოდ, ბოლოს კი იქიდან, უკვე ადგილობრივი მრთველების სახელით, დედაქალაქში გადმოიყვანეს.

პილოსიდან ეგეოსის ზღვის დიდი კუნძულებისა და მცირე აზიის მთელი დასავლეთ სანაპიროს დალაშქერა ნაკლებ სავარაუდოა. ვფიქრობ, არაბერძნულ მიწებზე განლაგებული მიკენური საყრდენი პუნქტები პერიოდულად ამარაგებდნენ კონტინენტურ ცენტრებს მცირე სამხედრო ოპერაციების შედეგად დატყვევებული ქალებითა და ბავშვებით. წარმომავლობის მიხედვით დახასიათებული რაზმები ამგვარად უნდა მოხვედრილიყვნენ პილოსში. თუმცა, არაა გამორიცხული, ქალები წარმოადგენდნენ პილოსის მეფის წილს მიკენის დიდი მეფის ხელმძღვანელობით მოწყობილი ფართომასშტაბიანი ომის ნადავლიდან. განსაკუთრებით დამაფიქრებელია პროფესიული ნიშნით მოხსენიებულ ქალთა და მათ შვილთა რაოდენობა – 405/722. ეს რიცხვები მეკობრეთა ნადავლისათვის საკმაოდ მაღალია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სხვა არქივები თითქმის არ იცნობენ ამგვარ რაზმებს,³⁷ პილოსში ამ ქალთა ყოფნა ახსნას მოითხოვს.

ტყვეების ადაპტაცია, მათი ეთნიკური რაზმიდან პროფესიულში გადასვლა გარკვეულ დროს მოითხოვდა. „კაცის“ კატეგორიის

³⁶ საინგერესოა, რომ გერმანიაში აღმოჩენილ ქარვის საბეჭდავზე წერია pa-nwa-ti, ე.ი. ანაბეჭდი იქნება ti-nwa-pa (Moosauer, Bachmaier 2005: 107), რაც, რამდენადაც ეიცი, არაფერს ნიშნავს, მაგრამ მოგვაგონებს ამ გოპონიშს.

³⁷ კრეგაზე ეთნიკურ-გეოგრაფიული ნიშნით დახასიათებული რაზმები ადგილობრივი წარმომავლობისა ჩანან. სავარაუდოა, რომ წინაბერძნული მოსახლეობა ჯერ არ იყო ასიმილირებული დამპყრობლების მიერ და მას სასახლის მეურნეობაში მუშაობას აიძულებდნენ.

შეიღებების დიდი რაოდენობა უნდა მიუთითებდეს, რომ ტექსტების შედგენის მომენტი სათვლის ქალები სულ ცოცა 10-12 წელი მაინც იმყოფებოდნენ პილოსში. შესაბამისად, მათი ჩამოყვანის თარიღი თითქმის ემთხვევა გროას ომის ერთ-ერთ შესაძლო თარიღს, რომელსაც პაროსის მარმარილო გვთავაზობს. სხვა წყაროები არ ადასტურებენ ამ თარიღს, მაგრამ არც უარყოფენ მას.

ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ პილოსის ტექსტები აღწერენ ნესტორის მიერ გროას ომიდან ჩამოყვანილ ტყვეებს.

მიქენური სამყაროს პოლიტიკური ისტორიის საკვლევად გვაკლია ძირითადი წყარო – წერილობითი. როგორც ვნახეთ, შემორჩენილი გექსგები ძალზე თავისებური ხასიათისაა – მოხელეთა შავი ჩანაწერები, რომლებიც ერთ არასრულ წელს მოიცავენ სამეურნეო წლის დასაწყისიდან ხანძრამდე. ისინი ბევრს არაფერს გვეუბნებიან პოლიტიკური ისტორიის შესახებ, არა მხოლოდ ისტორიული მოვლენები, ხშირად მეფის სახელიც კი ჩვენთვის უცნობი რჩება. ასეთ ვითარებაში ჩვენს ხელთაა პრეისტორიის მკვლევარის ძირითადი წყარო – არქეოლოგიური მასალა, აგრეთვე ბერძნული თქმულებები და მიქენური სამყაროს ორიოდ მოხსენიება მეზობლების, ეგვიპტელებისა და ხეთების მიერ. ეს ყოველივე გვაძლევს საშუალებას, მიქენური ისტორია დაახლოებით ისე აღვადგინოთ, როგორც ზემოთაა წარმოდგენილი, საბერძნეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვის ფარგლებში.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მიქენური ქრონოლოგიის საფუძვლები უკანასკნელ წლებში შეარყია სანგორინის კატასტროფის გადართარილებამ (დენდრო)რადიოკარბონულ მონაცემებზე დაყრდნობით.¹ მიმანია, რომ ისეთი სერიოზული გეოლოგიური კატასტროფის დროს, როგორც სანგორინისა იყო, რადიაციული ფონიც უნდა დარღვეულიყო, რაც არ გვაძლევს უფლებას, ხელალებით უარყოთ ძველი ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც ეგვიპტესთან სინქრონიზმებს ეფუძნებოდა.

სანგორინის დაღუპვის შემდეგ, როდესაც არ უნდა მომხდარიყო ეს – ძვ.წ. 1628 თუ დაახლ. 1500 წელს, მინოსური ცივილიზაციის მზე თანდათან ჩაესვენა და ეგვიდა მიქენური პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

საყოველთაოდ გაზიარებული პასუხი კითხვაზე, იყო მიქენური საბერძნეთი ერთიანი სახელმწიფო თუ იგი მრავალი დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროსაგან შედგებოდა, არ არსებობს. საკმარისი საფუძველი გვაქვს რაღაც გიპის ერთობის სავარაუდოდ:

1. დიდი კულტურული ერთობა, რომელიც არქეოლოგიურ მასალაში აშკარად ჩანს – არქიტექტურა, კერამიკა, მხატვრობა და სხე.
2. ენობრივი ერთობა, ყოველი შემთხვევისათვის, დამწერლობისა და საქმის წარმოების ენის ერთიანობა.
3. ბერძნების ეროვნული ერთიანობის გრძნობა. როგორც ცნობილია, მიქენური პერიოდის შემდეგ ბერძნებს არ ჰქონიათ

¹ de Fidio 2008: 83ff.

არამც თუ ერთიანი სახელმწიფო, არამედ არც მყარი სამხედრო კავშირი. სხვადასხვა ტალღებად საბერძნეთში მოსულ, განსხვავებულ დიალექტებზე მოლაპარაკე და განსხვავებულ მწყევლეებათა მქონე ბერძნულ გომებს ამ გრძნობის გასაჩინად, ვფიქრობ, რაღაც ეგაპზე ერთი პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში უნდა ეცხოვრათ.

4. ჰომეროსის ცნობა აქაველთა სამხედრო კავშირის შესახებ.

ეჭვს არ იწვევს, რომ ამ ერთობის ცენტრი მხოლოდ მიკენში შეიძლებოდა ყოფილიყო.² მაგრამ რას წარმოადგენდა მიკენური სამყარო სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით? B-საზოვან ტექსტებში ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვხედავთ. პილოსისა და კნოსოსის არქივები მხოლოდ სასახლის დაქვემდებარებაში მყოფ ოლქებზე გვამცნობენ და არ ეხებიან მიკენურ სამეფო-სამთავროთა შორის პოლიტიკურ თუ სამეურნეო ურთიერთობებს. ჩემი აზრით, ეს ფაქტი ვერ გამოდგება მიკენური სამყაროს პოლიტიკური ერთიანობის საწინააღმდეგო არგუმენტად.³ კნოსოსის არქივის ადრეულ დათარიღებას (ძვ.წ. 1370 წ.) თუ მივიღებთ, არც არის მოსალოდნელი, რომ ტექსტებში კრეგის მიკენზე დამოკიდებულება ასახულიყო. იმ დროისათვის კნოსოსისა და მიკენის მბრძანებელთა შორის დაძაბული ურთიერთობა უნდა ყოფილიყო, რასაც მოჰყვა კიდევ კუნძულის მეორე დაპყრობა აქაველ ბერძენთა მიერ. გვიანი დათარიღების (ძვ.წ. 1200 წ.) გაზიარების შემთხვევაშიც, კრეტაზე, ისევე როგორც პილოსში, არქივის თემატიკა (მიმდინარე სამეურნეო ანგარიშები) და ტექსტების შექმნის დრო (უკანასკნელი რამდენიმე თვე კატასტროფის წინ) უზღუდავდა მწერლებს შესაძლებლობას, რამე მოეთხროთ ჩვენთვის მათ სასახლესა და მიკენს შორის დამოკიდებულებათა შესახებ.⁴ ადგილობრივ მმართველს სჭირდებოდა ინფორმაცია მის ქვეშევრდომთა მიერ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, და არა მიკენის მეფის წინაშე საკუთარ ვალდებულებათა ფიქსაცია. თუ ასეთი დოკუმენტები არსებობდა, მათ ალბათ, ხელშეკრულებათა სახე უნდა ჰქონოდათ, როგორც ეს ხეთების სამეფოში იყო.

ერთიანი და ძლიერი მიკენური სახელმწიფოს არსებობის სასარგებლოდ არგუმენტებს თანადროული ტექსტები გვთავაზობენ:

² იხ. მაგ., Desborough 1964: 218; Schachermeyr 1986: 53f.

³ Deger-Jalkotzy 1978: 38; მღრ. Полякова 1983: 108; Schachermeyr 1986: 70ff.

⁴ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტექსტში PY Va 15 მოხსენიებული გიგული pe-re-ku-wa-na-ka („უფროსი მეფე“ ან „ულის მეფე“) ეკუთვნის მიკენის მეფეს. რომელიც პილოსს რაღაც რიტუალში მონაწილეობის მისაღებად ესტუმრა (Stella 1965, 51). ტექსტთან დაკავშირებით იხ. Chadwick 1992.

1. ძვ.წ. XIII ს.-ის ხეთური ტექსტებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ახიავას (Ahhijawa) „დიდი მეფე“ ეგვიპტის, ბაბილონის, ასურეთისა და ხეთების „დიდი მეფეების“ სწორად იყო აღიარებული.⁵ თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ გიგულის მიღმა განსხვავებული ხასიათის სამეფო ხელისუფლება იდგა, ყოველი მათგანი დიდ სახელმწიფოს განაგებდა. ხეთური ტექსტების Ahhija/Ahhijawa-ს როგორც აქაელებთან გაიგივება, ასევე მუსტი ლოკალიზაცია სადავოა,⁶ მაგრამ, ჩემი აზრით, ხეთებისაგან დასავლეთით მდებარე, ძველი სამყაროს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო მხოლოდ მიკენური საბერძნეთი თუ იქნებოდა.⁷

2. ამ მონაცემებს კარგად აესებს ეგვიპტური მასალა. ამენჰოტეპ III-ის (ძვ.წ. XIV ს.) ქანდაკების კვარცხლბეკზე შესრულებული წარწერა დანაელთა ქვეყნის (Tj-nj = Tanaja) ქალაქთა შორის მოიხსენიებს ჩვენთვის კარგად ცნობილ მიკენურ ცენტრებს, თუმცა არ იძლევა ამ ქვეყნის ძლიერების შეფასებას.⁸

3. ხეთურ და ეგვიპტურ წყაროებს ერთგვარად ეხმიანება პილოსის არქივიც: ხეთებისა და Ahhijawa-ს ურთიერთშეხების ზონიდან (კნიდოსი, მილეტი, ლემნოსი, ასია, ძეფირია /პალიკარნასოსი, ქიოსი) ნესტორის სასახლეში ჩაყვანილი ტყვე ქალებისა და ბავშვების დიდი რაოდენობა შეიძლება პილოსის სამეფოს Ahhijawa-ს შემადგენლობაში ყოფნაზე მიუთითებდეს.

4. პილოსის სამეფოში „მესამღერები“ მხოლოდ სანაპირო მოლს,⁹ ანუ „იმპერიის“ საგარეო საზღვარს დარაჯობდნენ. ეს უაქტი კარგად ესადაგება არქეოლოგიურ მასალას: მიკენი იყო რეგიონის უძველესი და უძლიერესი რეზიდენცია, დანარჩენები უფრო გვიან გაჩნდნენ და მიკენსა და გირინსთან შედარებით ნაკლებად იყვნენ გამაგრებული.¹⁰

5. B-ხაზოვანი ტექსტები მიკენური სამყაროს რთულ სოციალურ

⁵ KUB 14. 3; KUB 23. 1.

⁶ ეს გაიგივება ეკუთვნის Ahhijawa-ს ტექსტების პირველ გამოცემულს ე. ფორერს. 30-იანი წლებიდან მოყოლებული ამ მოსაზრებისადმი დამოკიდებულება ხშირად იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის იყვნენ უკიდურესი პოზიციების მომხრეები. შლრ. მაგ, Schachermeyr 1986; Ünal 1991: 16ff.; Garelli 1997: 317sqq.; Haider 1997: 123, შენ. III. Ahhijawa-ს აქაელებთან დაკავშირების მომხრეთა შორის არ არის ერთიანობა იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება მასში: მიკენის „იმპერია“, რომელიმე ბერძნული სახელმწიფო, თუ ზოგადად ბერძნული გომები. იხ. მაგ, Marazzi 1992; Beckman 2011: 1ff.

⁷ შლრ. Garelli 1997: 319; Starke 1997: 450f.

⁸ იხ. მაგ, Cline 1991: 25.

⁹ Chadwick 1976: 157; Deger-Jalkotzy 1978: 14ff. შლრ. van Effenterre 1991: 87sqq.

¹⁰ Schachermeyr 1986: 71.

და მმართველობით სტრუქტურებს ასახავენ. ამ სტრუქტურათა და შესაბამისი გერმინოლოგიის ერთიანობა აქაველთა მიერ ძვ.წ. XV ს-ში დაპყრობილ კრეტასა და კნოსოსის სასახლის საბოლოო დანგრევის შემდეგ წარმოქმნილ ბერძნულ პილოსის სამეფოში მხოლოდ ამ სტრუქტურათა ერთ ცენტრში გაჩენითა და იქიდან გავრცელებით შეიძლება აიხსნას.

იცნობდა თუ არა ბერძნული გრადიცია მიკენის იმპერიას? ერთი შეხედვით, არა. გროას ომი პირველ და ერთადერთ საერთობერძნულ წამოწყებად ითვლებოდა.¹¹ ყველა გმირს როდი უნდოდა საომრად წასვლა, ზოგმა ხრიკსაც კი მიმართა, რომ შინ დარჩენილიყო, მაგრამ გინდარევისადაღმი მიცემული ფიცის საფუძველზე იძულებული გახდა ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო. ლაშქარს აგამემნონი სარდლობდა. რაგომ სარდლობდა გროაზე სალაშქროდ მიმავალ აქაველებს არა ომში უშუალოდ დაინგერესებული მენელაოსი (და არც უპირველეს გმირად აღიარებული აქილეუსი, რაც შემთხვევითი გაერთიანებისას იქნებოდა მოსალოდნელი) არამედ მიკენის მეფე აგამემნონი.¹² შესაძლოა, მენელაოსის უფროსი ძმა მისი საგვარეულოსადაღმი მიყენებული შეურაცხყოფისათვის შურისძიებას პირადი ღირსების საქმედ მიიჩნევდა. მაგრამ ის იყო აგრეთვე ბერძენ მეფე-მთავართა შორის უძლიერესი¹³ და მის გამორჩეულ მდგომარეობას ზევსის კვერთხიც განამტკიცებდა.¹⁴

ძნელი სათქმელია, რამდენად გაცნობიერებულად, მაგრამ პომეროსი „ილიადაში“ განასხვავებს გერმინოლოგიურ დონეზე მმართველის სამ ტიპს:

1. წვირლ ერთეულთა მეფე-მთავრები, მაგ, ოდისევსი, ზოგადად წარჩინებულთა მსგავსად, მოიხსენიებიან გერმინით βασίλευς;
2. შედარებით მოზრდილ ერთეულთა მეფეები, რომელთა სასახლეების არსებობა არქეოლოგიურადაც დასტურდება (მაგ, ნესტორი, იდომენეუსი) – ἄναξ;
3. მიკენის მეფე და აქაველთა მთავარსარდალი აგამემნონი – ἄναξ ἀνδρῶν.¹⁵

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი მმართველთა ტიპები არ არის პოეტური ფანტაზიის ნაყოფი და მათ შორის იერარქიას მარტო

¹¹ Thuk. 1. 3.

¹² შტრ. Taplin 1989: 61ff.: აგამემნონის წამყვანი როლი გვიანდელ კომენტატორთა ინტერპრეტაციის შედეგია.

¹³ Thuk. 1. 9.

¹⁴ II. 2. 107.

¹⁵ Schachermeyr 1986: 61.

დიდი საგარეო ომის ღროს არ უნდა ეარსება.¹⁶ შესაძლოა, ნესგორის მიერ ნახსენები შეთანხმება, ფიცი, ხელშეკრულება¹⁷ იმ სამოკავშირეო თუ ვასალურ ხელშეკრულებათა გამოძახილი იყოს, რომლებიც აქაველთა სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთობებს არეგულირებდა.

მიკენური სამყაროს პოლიტიკურ ერთიანობას ეხმიანება ასევე ბერძნების საერთო სახელები (ἀχαιοί, δαῖοι, ἀργεῖοι), განსაკუთრებით, დასახელება არგოსის გამოყენება. სხვადასხვა კონტექსტებში იგი აღნიშნავს ქალაქ არგოსს, მის ოლქს – არგოლისს, პელოპონესოსის ნახევარკუნძულს და მთელ საბერძნეთსაც კი.¹⁸

იმპერიის იდეა არც ბნელი წლებისა და არც ბერძნული პოლისისათვის არ იყო აქტუალური. ნებისმიერ პოლისს მის დამაარსებლად ღმერთი ან გმირი ერჩივნა დაენახა, ვიდრე მიკენელი მოხელე. შესაბამისად, თქმულებათა შექმნისას აქცენტები შეიცვალა, მაგრამ მათში მრავალი დეგალი შემორჩა, რაც იმპერიის არსებობაზე მიუთითებს. აქ რამდენიმე მაგალითს შეიძლება დავსჯერდეთ:

მცირე აზიიდან მოსულმა პელოპსმა სამხრეთ საბერძნეთი დაიპყრო და მას საკუთარი სახელი მისცა – პელოპონესოსი.¹⁹ მის სახელს უკავშირდება ოლიმპიური თამაშები გრიფილიაში და სამეფო დინასტია არგოლისში. მაგრამ ამისათვის მას თითქმის მთელი ნახევარკუნძული უნდა დაეპყრო.

ათენელები ამაყობდნენ იმით, რომ მხოლოდ მათ გაბედეს პერაკლიდებს დადევნებული ევრისტეისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რითიც ატიკა მიკენელთა ყმობას (δουλοσύνη παρά Μυκηναίω) გადაარჩინეს.²⁰

ავამეზონის უზენაესობაზე მეტყველებს ისიც, რომ სპარტელებს

¹⁶ კომეროსთან მეფეებისა და წარჩინებულთა საერთო სახელია βαισιεύς. მის გვერდით ვხვდებით გერმინს αἰαί. ამ გიგულით ძირითადად ავამეზონი (49-ჯერ, მეტწილად ჟორმულაში αἰαί ἀσβῆς), მაგრამ ასევე სხვა მეფეებიც (ილომენეუსი, მენელაოსი, ნესგორი – 3, პელები – 2, გეეკროსი – 1) მოიხსენიებიან. B-ხაზოვან ტექსტებში qa-si-re-u (βαισιεύς) მხოლოდ გეგაროენულ არისტოკრატობას აღნიშნავდა. პილოსისა და კნოსოსის მეფეების გიგული კი უნდა ყოფილიყო wa-na-ka – αἰαί. საეარაულოა, რომ მიკენის მეფესაც იგივე ან ამ გერმინისაგან წარმოებული გიგული ჰქონოდა. შტრ. αἰαί ἀσβῆς და pe-re-ku-wa-na-ka (იხ. Stalla 1965: 51).

¹⁷ II. 2. 339ff.

¹⁸ შტრ. Strab. 8. 6. 6.

¹⁹ Herod. 7. 11; Thuk. 1. 9.

²⁰ Herod. 9. 27.

თავი გარკვეულად მის მემკვიდრეებად მიაჩნდათ.²¹

მიკენის ჰეგემონიის გარკვეული კვალი ჰერაკლეზე თქმულებათა ციკლშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. ბერძნული მითოლოგიის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა დიდი ხანია მწვეავე დისკუსიებს იწვევს. უკვე პეროლოგე მას ხან წინაბერძნულ ლეთაებად წარმოგვიდგენს,²² ხანაც ძვ.წ. XIV საუკუნის ისტორიულ გმირად. ჰერაკლე აქაველი გმირების, საბრძოლო ეტლზე ამხედრებული რაინდების რიგებს არ უნდა განეკუთვნებოდეს. მასთან დაკავშირებული თქმულებები შეიძლება უძველესი, მიკენამდელი არგოლიდიდანაც მომდინარეობდეს, ჩრდილოეთ საბერძნეთიდანაც (დორიელები) ან სულაც ცალკეული ლეგენდების ხელოვნურ ნაკრებსაც წარმოადგენდეს.²³ ჰერაკლეს კულტის აღზევება და ჩვენამდე მოღწეული სახით ჩამოყალიბება „ბნელი წლების“ „იდეოლოგიური“ შემოქმედების შედეგი უნდა იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ჰერაკლეს ციკლში გარკვეული ისტორიული რეალობის გამოძახილი შეიძლება დავინახოთ.

მიუხედავად თვით პერსონაჟის ზღაპრულობისა, პერსეიდების მიკენურ-არგოსული დინასტიის წარმომადგენელი ჰერაკლე ოსტატურად არის ჩასმული მიკენური ხანის რეალიათა კონტექსტში. სადავოა, როდის მიეწერა მას ესა თუ ის ლაშქრობა ადგილობრივ ან საერთობერძნულ გრადიციამში, მაგრამ თვით ეს ლაშქრობები კარგად ესადაგება მიკენის ისტორიას. ასე მაგ., პილოსის სასახლისა და სამეფოს წარმომობა ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მის ნელეიდებთან ბრძოლასა და ნესტორის მეფედ დასმას შეიძლება დაეუკავშიროთ,²⁴ მისი აზიური თავგადასავლის (გროა და ამაზონთა სამეფო) კვალი კი ერთ ხეთურ ტექსტში აღმოვაჩინოთ, თუმცა იქ აქაველ სარდალს ათარსია-აგრეესი ჰქვია.²⁵ მიკენური სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდის და საგარეო ექსპანსიის ასახვა შეიძლება იყოს მიკენის მეფის, ევრისტევის დაეალებათა გეოგრაფიის თანდათანობითი გაფართოვება.²⁶ ნემეა და ლერნა არგოლისში, ერიმანთოსი, კერინეა, სტიმფალოსი, ელისი პელოპონესოსში, კრეტა, თრაკია, მცირე აზია, ესპანეთი, აფრიკა და შემდეგ კიდევ უფრო შორს, ქვეყნის დასალიერამდე.

²¹ შლრ. Herod. 7. 159.

²² Herod. 2. 43f.

²³ Schachermeyr 1983: 335ff.

²⁴ შლრ. Blegen, Lang 1962: 145.

²⁵ KUB 14.1. შლრ. Schachermeyr 1986: 161ff. ამავე დროს (SH II - IIIA1) განეკუთვნება გროაში ნაპოვნი პირველი მიკენური კერამიკა.

²⁶ შლრ. Kirk 1976: 184.

ჩემი ამრით, ბერძნებს მიკენი და მისი იმპერია მთლიანად არ დავიწყებიათ. პოლისურმა გრადიციამ დიდ შეუეთა ბრწყინვალეობა და ძლევამოსილება ძირითადად ჰერაკლეს, ნაწილობრივ სხვა გმირებს – თემვესი, აქილეუსი, ოდისეუსი და სხვ. გადასცა, მთელი სიბინძურე კი მეტ-ნაკლებად ისგორიულ მმართველებს – პელოპსი, ეერისტეუსი, აგრეუსი და თიესტესი, აგამემნონი და ეგისტე – დაუტოვა.

მემოთქმულიდან გამომდინარე, თქმულებებიცა და მიკენური ტექსტებიც მცირე პოლიტიკურ ერთეულთა შედარებით დამოუკიდებლობას უსვამენ ხაზს, მაგრამ იმპერიის არსებობის სამტკიცებლად გარკვეულ ირიბ საბუთს მრავლად გვაწვდიან. შესაბამისად, არ უნდა დავინახოთ წინააღმდეგობა წყაროთა ცალკეულ ჯგუფებს შორის, რომლებიც აქაველთა სახელმწიფოებრიობას განსხვავებულად სატავენ. ეგვიპტელებისა და ხეთებისათვის საბერძნეთი ერთიანი და ძლიერი ქვეყანაა, პილოსის არქივი მხოლოდ საკუთარი საქმეებით ინტერესდება და მიკენს სულაც არ ახსენებს, ხოლო პომეროსი აქაველი გმირების ერთობას წარმოგვიდგენს.

განხილული მასალა მაფიქრებინებს, რომ მიკენური სამეფოები უკვე არსებული იმპერიის წიაღში აღმოცენდნენ. ცალკეული მიკენური სამეფოები ალბათ განსხვავებული გზებით წარმოიშვნენ. მიკენის მეფეს შეეძლო ახლადდაპყრობილი ტერიტორია თავისი ნათესავის ან წარჩინებული ქვემეგრდომისათვის ებოძებინა სამართავად;²⁷ რომელიმე აქაველ გმირს თავისი ინიციატივითაც შეეძლო ბერძნულ თუ არაბერძნულ ოლქს დაპატრონებოდა.²⁸ ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი უნდა შეეფერებოდეს კრეტის პირველ დაპყრობას აქაველთა მიერ. ზოგი სამეფო, მაგ., პილოსისა, მცირე სამთავროების თუ თემების სინოიკიზმის (გაერთიანების) შედეგად ჩანს გაჩენილი. მაგრამ ყველა შემთხვევაში აქაველი გმირი მეფის ტიტულს (wa-na-ka – ონაქ) თუ უშუალოდ მიკენის „დიდი მეფისაგან“ არა, მისი თანხმობით მაინც იღებდა.²⁹

იმპერიის ტერიტორიის ზრდის პარალელურად ძლიერდებოდა

²⁷ შლრ. II. 9. 150, სადაც აგამემნონი აქილეუსს მესენიურ ქალაქებს კპირდება. სტრაბონისაგან განსხვავებით, რომელიც აქედან შორსმიმავალ დასკენებს აკეთებს (Strab. 8. 4. 1), მე მხოლოდ ქალაქების ბოძების ფაქტზე მინდა ყურადღების გამახვილება.

²⁸ რისი წარუმატებელი ცდაც (Tawagalawa-Eteokles-ის მიერ ძეწ. XIII საუკუნეში) უნდა ასახულიყო ხეთების მეფის მიერ ახიავას მეფისადმი ვაგზავნილ წერილში (KUB 14. 3. Schachermeyr 1986: 196ff.).

²⁹ შლრ. Thomas 1970: 184. აქ შეიძლება ისევ ჰერაკლეს მიერ ნელიედების დამარცხების შემდეგ პილოსის სამეფოს ნესტორისათვის გადაცემა ვაენისნოთ.

სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია. მიკენური სამეფო-სამთავროების მიკენზე დამოკიდებულების ზუსტი ხარისხი ძნელი შესაფასებელია, მაგრამ შესაძლოა ვასალურ ურთიერთობებზე საუბარი.³⁰ ჩემი აზრით, მიკენური სამყარო ერთ იმპერიას წარმოადგენდა, რომელიც ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში თითქმის მთელს ეგვიპტეზე ბატონობდა და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ვასალურ სახელმწიფოებს მოიცავდა.

დაახლ. ძვ.წ. 1200 წელს მიკენურ სასახლეთა და დასახლებათა დიდი ნაწილი განადგურდა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კატასტროფა აღამიანთა ქმედებას უკავშირდება,³¹ მაგრამ დამნაშავეის ვინაობა მკვლევართათვის უცნობია. გრადიციულად მიკენური სამყაროს დანგრევა ღორიელებს მიეწერებოდა. შემდეგ პოპულარული გახდა ე.წ. „ზღვის ხალხების“ ვერსია.³² მაგრამ, შესაძლოა, რომ „ზღვის ხალხების“ როლი რამსეს III-ის მიერაა გაზვიადებული საკუთარი გამარჯვების განსაზღვრებად და მათ არ მიუძღვით ძირითადი ბრალი ხეთებისა და აქაველების სახელმწიფოთა მოსპობაში.³³ გარე ფაქტორების გარდა, ნგრევის საფუძველი შეიძლება შინააშლილობა და ეკონომიკური კრიზისიც გამხდარიყო.³⁴ ფაქტია, რომ მიკენური ცივილიზაციის აგონია მთელ საუკუნეს გრძელდებოდა³⁵ და მხოლოდ მას შემდეგ, ძვ.წ. XI-X საუკუნეებში ხდება ჯერ ჩრდილო-დასავლური გომების, ეტოლიელების, ხოლო მოგვიანებით ჩრდილოელ ღორიელთა ჩამოსახლება – „ჰერაკლიდების დაბრუნება“. მოსახლეობის ერთი ნაწილი კატასტროფას ემსხვერპლა, ნაწილიც ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროსა და კვიპროსზე გადასახლდა³⁶ – ე.წ. ეოლიური და იონიური კოლონიზაცია. აქაველებმა საბერძნეთის მხოლოდ რამდენიმე ოლქი შეინარჩუნეს, მათ შორის ატიკა. პელოპონესოსში დარჩენილი აქაველები ღორიელებმა დაიპყრეს

³⁰ შტრ. Schachermeyr 1986: 74ff.

³¹ Alin 1977: 31ff; Civ.Eg.: 451ff. მიმოხილვისათვის იხ. Полякова 1983: 92 и сл.

³² იხ. მაგ., Schachermeyr 1984: 164ff.; Lehmann 1985.

³³ Kuhn 1995: 1386ff.; შტრ. Garelli 1997: 216sqq.

³⁴ იხ. Hooker 1982: 209ff.; de Fidio 2008: 103ff.

³⁵ ამ პერიოდს გვიანპელადური (მიკენური) III C ეწოდება. ძვ.წ. XII საუკუნის შუახანებში მიკენურმა ცივილიზაციამ თითქოს სული მოითქვა და ერთგვარ კეთილდღეობას მიაღწია (Schachermeyr 1984: 195ff.), მაგრამ ბრწყინვალე სასახლეებისა და, შესაბამისად, დიდი პოლიტიკური ერთეულების აღდგენა ვეღარ მოხერხდა (მიმეგებისათვის იხ. მაგ., Полякова 1983: 92 и сл.).

³⁶ პელოპონესოსის შოგ რეგიონში, მაგ., მესენიაში, მოსახლეობა 10 %-მდე შემცირდა. Desborough 1964: 1ff. აქაველთა ნაწილი ჩაება ე.წ. „ზღვის ხალხთა“ დიდ მიგრაციებში, რაც, შესაძლოა ეგვიპტურ ტექსტებში აისახა.

და დაიყმევეს.

„ბნელმა წლებმა“ ბერძნებს მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა. პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევის, დემოგრაფიული კატასტროფის, კულტურულ ღირებულებათა მივიწყების პარალელურად მათ რკინის დამუშავება ისწავლეს. რკინა ბრინჯაოს ხანაში ყველაზე ძვირფას და იშვიათ ლითონად ითვლებოდა, მაგრამ მას მერე, რაც მისი გამოდნობის ტექნოლოგია ცნობილი გახდა, მან სწრაფად განდევნა ბრინჯაო. რკინა მოსახმარადაც უკეთესი აღმოჩნდა და დასამუშავებლადაც. მან მიწათმოქმედის შრომაც გააიოლა და შორეული ქვეყნებიდან ნელეულის შემოტანის საჭიროებაც მოხსნა, რაც ნგრევისა და მიგრაციების ტალღის მინელების შემდეგ დაწყებულ სამეურნეო აღმავლობაში სასახლის ბიუროკრატიულ აპარატს ადგილს აღარ უტოვებდა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველ პლანზე ადამიანი გამოდის. ასე დასრულდა საბერძნეთის ისტორიაში სასახლეების პერიოდი და დაიწყო ახალი – პოლისური.

მიკენურ პოლიტიკურ ერთეულთა აღმინისგრაფიულ და სოციალურ სტრუქტურებზე ძირითადად პილოსის არქივის მონაცემების მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა.

პილოსის მეფის გიგული wa-na-ka (ἄναξ) უნდა ყოფილიყო,¹ ხოლო სახელი – e-ke-ra₂-wo (Ἐχελάφω). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პილოსის მეფის შემდეგი ფუნქციები შეიძლება გამოვყოთ: სახელმწიფო საკუთრების უზენაესი მესაკუთრე, მთავარსარდალი, უზენაესი ქურუმი და, ალბათ, უზენაესი მოსამართლე. ფუნქციათა მსგავსი წრე უნდა ჰქონოდათ კნოსოსის ანაქსასაც და მიკენის დიდ მეფესაც. ფუნქციების მიხედვით აქაველი მბრძანებლები უახლოედებიან მათ ახლოაღმოსავლელ კოლეგებს, მაგრამ, ერთის მხრივ, ბერძნული მითო-პოეტური გრადიცია და, მეორეს მხრივ, მიკენური და აღმოსავლური სამეფო გიგულაგურის შედარება მნიშვნელოვან განსხვავებებზე მიუთითებენ. მიუხედავად იმისა, რომ wa-na-ka მეფის გიგულის გარდა ლეთაებასაც შეიძლება აღნიშნავდეს, მიკენელი მეფეები არ უნდა ყოფილიყვნენ გაღმერთებული.² ძველი აღმოსავლეთის მბრძანებელთაგან განსხვავებით, რომლებიც ქეეყნის, ან საერთოდ ქეეყნიერების მეფეებად იწოდებოდნენ და ღმერთებად (მაგ., ფარაონი ეგვიპტეში) ან ნახევრადღმერთებად³ ცხადდებოდნენ, მიკენის მეფე მხოლოდ გმირი და კაცთა წინამძღოლი იყო – ἄναξ ἄνδρῶν. ეს გერმინოლოგიური განსხვავებები ნაწილობრივ შეიძლება ბერძნული სულის, აზროვნების თავისებურებებითაც აიხსნას, მაგრამ გარკვეულ რეალურ განსხვავებასაც უნდა ასახავდეს ამ საზოგადოებათა სოციალურ სისტემებს შორის.

ძველი აღმოსავლეთის მსგავსად, მიკენურ სამყაროშიც მეფე ქეეყანას სასახლიდან მართავდა.

არქეოლოგების მიერ გათხრილი მიკენური ხანის სასახლეების კომპლექსები მოიცავენ სხვადასხვა დანიშნულების სათავესოებს: მეფის საცხოვრებელსა და სატახტო დარბაზს; კანცელარიას ანუ არქივს, სადაც ფირფიგების დიდი ნაწილი აღმოჩნდა; საკულტო ინვენტარით გაწყობილ ოთახებს – „ტაძარს“, მრავალრიცხოვან სახელოსნოებსა და საწყობებს. ზოგი სათავესო დანიშნულება მასში

¹ მის შესახებ დაწერილებით იხ. ზემოთ.

² Wundsam 1968: 39; მაგრამ შდრ. Tovar 1961: 101ff.; Walcot 1967: 53ff..

³ მაგ, ხეთების მეფე მხოლოდ სიკედილის შემდეგ „ხდებოდა ღმერთი“, მაგრამ სიკოცხლემივე მას ღმერთებსა და აღამიანებს შორის ეკავა ადგილი. შდრ. Goetze 1957: 89.

ნაპოვნი ფირფიტების გექსგებიდანაც ჩანს. სასახლეში ძვირფასეულობისა და იარაღის გარდა ინახებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია ბევრად მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს თვითონ სასახლეს დასჭირდებოდა. სავარაუდოა, რომ აქ იყო გაცელის ცენტრი, „ბაზარი“. ვაჭრობა ფულის არარსებობის პირობებში სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო. სასახლეები, რომელთა არქივებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, „ამოსაელური“ ტიპის ცენტრებს წარმოადგენდნენ, ანუ იქ კონცენტრირებული იყო არა მარტო ქვეყნის საერო და სასულიერო ხელისუფლება, არამედ მისი სამეურნეო მართვის სადავეებიც.

სასახლის ძირითადი სამეურნეო ფუნქციები ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. საკუთარი ოიკოსური მეურნეობის გაძღოლა;
2. გაცელის ცენტრის ორგანიზაცია:
 - ა. ხელოსნებისათვის ნელელულისა და შეკვეთების მიცემა;
 - ბ. პროდუქციის განაწილება და ანგარიში;
3. სახელმწიფო მეურნეობის ორგანიზაცია.⁴

სასახლის ძირითად ფუნქციას მეურნეობაში – იყოს სამეფოს გაცელითი ცენტრი – გექსგები საკმაოდ კარგად აშუქებენ (გარდა საგარეო ვაჭრობისა⁵). პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია სასახლის ძირითადი შემოსავალი ნაგურალური გადასახადის სახით, რომელიც ნაწილობრივ ხელოსანთა და მოხელეთა შრომის ანაზღაურებას ხმარდებოდა, ნაწილობრივ სხვა პროდუქციამე გასაცვლელად ან გადასანაწილებლად გამოიყენებოდა.⁶ აქ ჩნდება კითხვა, რომელმე პასუხიყ დღეს ჳირს, მაგრამ რომელიც ძალმე მნიშვნელოვანია მიკენური სამყაროს სოციალ-ეკონომიკური ისტორიისათვის: ქვეყნის მთლიანი აგრარული პროდუქციის რა ნაწილი გადიოდა სასახლის ხელში გადასანაწილებლად?

გაცელითი ცენტრის ფუნქცია წარმოადგენს ირიბ საბუთს იმისათვის, რომ სასახლისაგან მეგ-ნაკლებად დამოუკიდებელი კერძო და სათემო მეურნეობის არსებობა ვივარაუდოთ.⁷ სურვილისამებრ,

⁴ Wundsam 1968: 66; Brockmeyer 1972: 16.

⁵ Killen 1985: 262ff. ; Killen 2008 : 181ff.

⁶ Killen 1985: 252.

⁷ Wundsam 1968: 66ff. ი. დიაკონოვის აზრით, სასახლის გვერდით ძველ შუამდინარეთშიყ თემების, დიდი ოჯახების კერძო მეურნეობები არსებობდა (Diakonoff 1972: 43f.). ი. გელბი კი მიიჩნევს, რომ აღრუელ შუამდინარეთშიყ და მიკენურ სამყაროშიყ სასახლის უშუალო კონტროლს დაუქვემდებარებელი მეურნეობა წარჩინებულთა ოიკოსებში ერთიანდებოდა (Gelb 1972: 89ff.). თუმეყ ძე.წ. III ათასწლეულის მესოპოტამიაში ბუნებრივი პირობები და სასახლე, ალბათ, არ იძლეოდნენ დიდი არასახელმწიფოებრივი სექტორის არსებობის

ცალკეულ ტერმინთა სადაო ინგერპრეგაციებზე დაყრდნობით, ამგვარ მეურნეობათა კვალი ტექსტებშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ: წარჩინებულთა ოიკოსები (qa-si-re-wi-ja) კერძო მეურნეობის ტიპს უნდა განეკუთვნებოდნენ. ინდივიდუალური მფლობელების შთაბეჭდილებას ასდენენ ki-li-ta-დ წოდებული გლეხებიც, ხოლო თემებზე დაკისრებული კოლექტიური გადასახადები და ზოგიერთი ცალკეული ჩანაწერი⁸ სათემო, კოლექტიური საკუთრების არსებობაზე მიგვითითებენ.

ძირითადი განსხვავება მიკენურ და ასლოდმოსაელურ, კერძოდ, შუამდინარულ სასახლეებსა და ტაძრებს შორის მდგომარეობს ზემოთ მოტანილი სქემის მესამე პუნქტის შინაარსში.⁹ შუამდინარეთში, როგორც ცნობილია, სასახლის/ტაძრის ორგანიზატორული ფუნქცია, პირველ ყოვლისა, საირიგაციო სისტემების მომსახურებასა და სახელმწიფო/სატაძრო მიწების დასამუშაველად სამუშაო ძალის დარაზმვაში ელინდებოდა. ეგოსურ სამყაროში მიწათმოქმედება ოდითგანვე წერილი, ინდივიდუალური მეურნეობის საქმე იყო, ხოლო სასახლეებს სხვა მისია ეკისრებოდა – ლითონის შემოტანა.¹⁰

საინგერესოა გავადევნოთ თვალი, თუ კონკრეტულად როგორ აისახა სასახლის სამეურნეო მოღვაწეობის ცალკეული სფეროები თუ სექტორები წყაროებში.

ჰომეროსის ეპოსში სასახლე მხოლოდ დიდი ოიკოსური მეურნეობის გამგებლად გვევლინება,¹¹ ხოლო პილოსისა და კნოსოსის არქივებიდან მომდინარე B-ხაზოვანი ტექსტები ძირითადად სასახლის ორგანიზაციული საქმიანობით ინგერესდებიან და მეფის მეურნეობას თითქმის არ ახსენებენ. ამ ფაქტის ახსნა სხვადასხვაგვარად შეიძლება:

ა. მეფის პირადი მეურნეობა უმნიშვნელოა და ტექსტები მის ერთხელ (PY Er 312) მოხსენიებას სჯერდებიან;¹²

ბ. პილოსის არქივი იყო საერთო-სახელმწიფოებრივი და არა მეფის/სასახლის;¹³

გ. მეფის მეურნეობა არ იყო ფორმალურად გამოყოფილი

საშუალებას (მდრ. Меликишвили 1985: 3 и сл.).

⁸ მაგ. გავრცელებული ფორმულა e-ke o-na-to ke-ke-me-na ko-to-na pa-ro da-mo; ko-re-te-ri-jo ke-ke-me-no DA 30 (PY An 830+907.6).

⁹ შუამდინარულ და ეგოსურ სასახლეთა მსგავსება-განსხვავებისათვის იხ. მაგ. Тюменев 1959: 58 и сл.

¹⁰ Brockmeyer 1972: 16.

¹¹ Austin, Vidal-Naquet 1977: 41.

¹² Тюменев 1959: 71.

¹³ Лурье 1957: 9.

საერთო-სახელმწიფო მეურნეობისაგან.¹⁴ ეს უკანასკნელი მოსაზრება, გამოთქმული გ. პოლიაკოვას მიერ, სავესებით სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ ვთელი, რომ გარდა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მართვაში სასახლის ორგანიზატორული ფუნქციის ჩვენებისა, რასაც მკვლევარი წარმატებით ართმევს თავს,¹⁵ შესაძლებელია სახელმწიფო მეურნეობის ცალკეულ სექტორთა გამოყოფაც:

1. სასახლის ოიკოსური მეურნეობა,
2. საგაძრო მეურნეობა,
3. სახელმწიფო მეურნეობა.

ზემოთ შევეცადე მეჩვენებინა, რაგომ მიმაჩნია მეფე სახელმწიფო საკუთრების უზენაეს მესაკუთრედ. მარტივად რომ ვთქვათ, გექსტებში მოხსენიებული მთელი საკუთრება მისი (ანუ სასახლის) უნდა ყოფილიყო. ამ ქონების მიკუთვნება სახელმწიფო მეურნეობის ზემოთ ჩამოთვლილი სექტორებისადმი დიდ სირთულეებს აწყდება იმის გამო, რომ „მწერლები“ მათთვის თავისთავად ცხად მონაცემებს არ ინიშნავენ. შესაბამისად, გაძარი გექსტებში, შესაძლოა, ერთხელ მოიხსენიება (PY Jh 629)¹⁶, ხოლო სასახლე, ალბათ, არც ერთხელ: qa-si-re-wi-ja (βασιλεία), როგორც ეს ზემოთ მოგანილი მასალიდან ჩანს, ნამდვილად ვერ იქნება პილოსის მეფის, wa-na-ka-ს სასახლე,¹⁷ გექსტებში დადასტურებული ფორმებიდან wa-na-se-wi-jo, wa-na-so-i რეკონსტრუირებული *wa-na-sa¹⁸ – საეჭვოა, რომ იყოს. ფრაზის დასაწყისში მოხსენიებული pu-ro (პილოსი) ან ko-no-so (ენოსოსი) „ქალაქსაც“¹⁹ შეიძლება აღნიშნავდეს და სასახლესაც.

¹⁴ Полякова 1978: 268.

¹⁵ Полякова 1978: 258 II сл.

¹⁶ na-wi-jo (vdf iow) შეიძლება გაძარსაც (vadz) ნიშნავდეს და გემსაც (vadz), მაგრამ პირველი უფრო სეარაულოა. შდრ. Hooker 1983: 111; Leukart 1979; Hiller 1979.

¹⁷ შდრ. ППС: 118, 128.

¹⁸ შდრ. Wundsam 1968: 30; ამ გერმინში ქალღმერთიც შეიძლება დაენახოთ და დედოფალიც. შდრ. DMic II: 402ff.

¹⁹ ენოსოსის სასახლის გარშემო დაახლ. 270 კა-ზე ნაგებობათა კვალი ჩანს. ა. ევანისის აზრით, ქალაქი მის ნავსადგურ ამნისოსთან ერთად 100000-მდე მაცხოვრებელს იტევდა. არქეოლოგიური გათხრები ძირითადად სასახლით იფარგლება, რის გამოც ძნელი სათქმელია, მთელი ეს ტერიტორია ერთ დიდ ქალაქს ეკუთვნოდა, თუ მასზე რამდენიმე მომცრო დასახლება იყო (შდრ. Kolb 1984: 51ff.). ვუიქრობ, ენოსოსი ნამდვილ ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს (შდრ. Castleden 1994: 67ff.). ამის საპირისპიროდ, მიკენური ხანის კონგინენგურ საბერძნეთში ქალაქები არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ გექსტებში დადასტურებულია ტერმინი wa-tu (დატუ – ქალაქი), მიკენური ცენტრები, მაგ., პილოსი, მისი 2500 მაცხოვრებლით (შდრ. Chadwick 1976: 68), მხოლოდ კარგად

საკუთრების, სახელოსნოების, პერსონალისა თუ გადასახადების მიკუთვნება გაძრისადმი შეიძლება გექსტში ღმერთების მოხსენიების საფუძველზე მოხდეს.²⁰ პილოსში გაძარს ეკუთვნოდა: მიწა (Es სერია), po-li-ni-ja-ს²¹ მჭვლები, ცალკეულ ღვთაებათა და ქურუმთა „მონები“, ღმერთებისა და ქურუმებისათვის განკუთვნილი შესაწირი,²² შესაძლოა, CII სერიის გექსტებში მოხსენიებული საქონლის ნაწილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიკენურ სამყაროში სასახლისაგან დამოუკიდებელი საგაძრო მეურნეობა არ არსებობდა. თვითონ გაძარიც, ალბათ, სასახლის კომპლექსს ეკუთვნოდა²³ და მის უზენაეს ქურუმად მეფე ითვლებოდა, ხოლო „გაძრის საკუთრება“ რიგუალების ჩაგარებასა და საკულტო პერსონალის უზრუნველყოფას ხმარდებოდა.

გექსტების მიხედვით კიდევ უფრო ძნელია სასახლის ოიკოსურ მეურნეობასა და სახელმწიფო მეურნეობას შორის ზღვარის გაღება. ჩემი აზრით, მეფის ოიკოსური მეურნეობა მოიცავდა სასახლეს მასში მყოფ მხეველთა ჯგუფთან ერთად (Aa, Ab სერიის ქალები, რომლებიც პილოსში იმყოფებოდნენ და რომელთა პროფესიებიც სასახლის მომსახურებას შეეფერებოდა); მეფის პირად მიწას (Er 312+880, სულ 124 ჰა), რომელსაც ამუშავებდნენ, ალბათ, ნაწილობრივ „მონები“, ნაწილობრივ თავისუფალი მეთემეები (სახელმწიფო შრომითი ვალდებულების მოხდის ანგარიშში); საქონელი (CII სერიის „უპატრონო“ ჯოგები²⁴); გექსტებში პირდაპირ

გამაგრებულ სამეფო რეზიდენციებს წარმოადგენდნენ.

²⁰ ზოგჯერ ძნელი სათქმელია, ესა თუ ის გერმინი ღვთაებას აღნიშნავს, თუ აღამიანს – wa-na-ka-ს შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, ორივე შესაძლებლობა დასაშვებია, ხოლო ზოგიერთი სიტყვის ამოცნობა ჭირს. მიკენურ გექსტებში ეხედებით კლასიკური ეპოქიდან ცნობილ ღმერთებსაც: ზეფსი, პერა, პოსეიდონი, ათენა, არტემისი, პერმესი, არესი, ღირინუ, ეილეთითა, ერინისი, ენიალოსი. მკვლევართა უმრავლესობას ქალღმერთად მიაჩნია ასევე გექსტებში ხშირად დადასტურებული po-li-ni-ja – „ქალბატონი“, მაგრამ გაურკვეველია, ეს გერმინი ცალკე ღვთაებას აღნიშნავს, რომელიმე კონკრეტული ქალღმერთის ეპითეტია, თუ ნებისმიერი ქალღმერთის მიმართ შეიძლება იყოს ნახმარი. ზოგი მეცნიერი მას დედოფლის გიგულად მიიჩნევს. შდრ. DMIC II: 160ff.

²¹ თუ აქ დედოფალი არ იგულისხმება.

²² გექსტებში სხვადასხვა მეწირულებათა მიმდებებლ მოიხსენიებიან ღმერთები, ქურუმები, მოხელეები. სავარაუდოა, რომ ამ უკანასკნელთ საერო ფუნქციების გარდა საკულტოც გააჩნდათ და სხენებულ კონტექსტებში ისინი ქურუმებს უთანაბრდებიან.

²³ შდრ. Civ.Eg.: 525sq.

²⁴ Palmer 1963: 165. „პატრონიანი“ ჯოგები, ენოსოსის მსგავსად, სახელმწიფო საკუთრება უნდა ყოფილიყო, ხოლო „პატრონები“ – მოხელეები. შდრ. Killen 1969: 38; Полякова 1978: 208; Bennet 1992.

თუ ირიბად დადასტურებულ სახელოსნოთა ნაწილი.²⁵ საკუთარი მეურნეობის გარდა მეფეს შემოსავლის სხვა მნიშვნელოვანი წყაროც ჰქონდა: საგარეო ვაჭრობასა და მეტალურგიაზე კონტროლი, გადასახადებისა²⁶ და შესაწირის ნაწილი.

ამდენად, სახელმწიფო მეურნეობის გემოთ გამოყოფილი სექტორები მეტ-ნაკლებად თანაბრად ფლობდნენ მიწას, საქონელს, სახელოსნოებს, იყენებდნენ თავისუფალ თუ არათავისუფალ მუშახელს, კრეფდნენ გადასახადებსა და იღებდნენ შესაწირებს.

მეურნეობის სამივე სექტორის გაძლოლა ეკისრებოდათ ცენტრალური ადმინისტრაციის მოხელეებს:

პილოსში მეფის შემდგომ მეორე პირი იყო ra-wa-ke-ta (𐎠𐎡𐎴𐎠𐎢𐎡) „ლაოსის, ხალხის წინამძღოლი“. იგი, ჩემი აზრით, სარდალი და მემკვიდრე უფლისწული უნდა ყოფილიყო. პილოსის ლაეაგეგს, ალბათ, we-da-ne-u ერქვა. მას, როგორც გემოთ ვნახეთ, მრავალფეროვანი სამეურნეო და საკულტო ფუნქციები ჰქონდა. e-ke-ra-wa-სა (მეფე) და we-da-ne-u-ს (უფლისწული) გარდა პილოსის არქივის ტექსტები ცენტრალური ხელისუფლების კიდეც სამ მნიშვნელოვან მოხელეს მოიხსენიებენ მხოლოდ საკუთარი სახელებით – a-ko-so-ta, a-pi-me-de, a-ke-o. ჩემი აზრით, ისინიც სამეფო ოჯახის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. a-ko-so-ta ძირითადად სასახლის ადმინისტრაციული საქმიანობით იყო დაკავებული და, შესაძლოა, სამეფო კანცელარიის უფროსად წარმოვიდგინოთ,²⁷ a-pi-me-de ეგლოსანია, სავარაუდოა, ქურუმიც, ხოლო a-ke-o მეცხოველეობის სფეროში მოღვაწეობს, მაგრამ მათი თანამდებობების ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება. მაღალი რანგის მოხელეთა სამეურნეო ფუნქციებში არ შეინიშნება სპეციალიზაციის კვალი, ანუ ტექსტების მიხედვით „დარგობრივი სამინისტროების“ არსებობას ვერ დავუშვებთ. ტექსტებში შედარებით კარგად არის გამოკვეთილი მათი, ისევე, როგორც სხვა მრავალრიცხოვანი მოხელის საკონტროლო ფუნქცია, პასუხისმგებლობა კონკრეტული დავალების შესრულებაზე. რიგ შემთხვევაში ეს ფუნქცია თვით თანამდებობის ადმინისტრაციული გერმინიდანაც ჩანს, ხშირად მასზე დოკუმენტის შედგენის წესი მიგვანიშნებს – უშუალო შემსრულებელი და შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები პირველ

²⁵ ძნელია განვასხვავოთ სამეფო და სახელმწიფო სახელოსნოები, თუ კ. ვუნდსამის პიპოთემას არ გავიზიარებთ (მდრ. Wundsam 1968: 30f.). სახელოსნოთა დიდი ნაწილი უნდა ყოფილიყო სასახლის კონტროლს დაქვემდებარებული და არა მისი საკუთრება.

²⁶ მდრ. ტექსტი PY Na 334 და მისი შესაძლო ინტერპრეტაცია: Docs²: 300.

²⁷ Palmer 1965: 107.

პოზიციამია, მაკონგროლებელი, პასუხისმგებელი მოხელე კი მეორეში (მღრ. მაგ., TA, DA იდეოგრაფებით წარმოდგენილი ზედამსედელები PY Aa, Ab სერიების ტექსტებში, e-qe-ta – o-ka/სასაზღვრო რაზმებთან მიმართებაში, qa-si-re-u/ბასილევსი – PY Jn სერიაში, და „დიდი ოთხეული“ – a-ko-so-ta, a-pi-me-de, a-ke-o, we-da-ne-u – PY Cn სერიაში).

ცენტრალური ხელისუფლების, სასახლის მოხელეები იყვნენ „მწერლებიც“. მათი ვიწრო სპეციალიზაცია და დიდი რიცხვი მათ მიერ შედგენილი ტექსტების რიცხვთან შედარებით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში დაკავებული მოხელეები თვითონ იკეთებდნენ საქმიან ჩანაწერებს. პილოსში „მწერალთა“ უმრავლესობა მეურნეობის ცალკეულ დარგებში იყო დასაქმებული. ამის საპირისპიროდ, კნოსოსის „მწერლები“, ძირითადად, აღწერდნენ ცალკეული ოლქებისა თუ „შემგროვების“ დაქვემდებარებაში მყოფ „არასპეციალიზებული დეპარტამენტების“ სამეურნეო საქმიანობას. ეს ფაქტი ორ სამეფოში საქმის წარმოების თავისებურებებსაც შეიძლება ასახავდეს და მეურნეობის ცენტრალიზაციის ხარისხში განსხვავებასაც.²⁸ მოხელეთა შორის სასახლეში პროფესიონალი მწერლებიც იქნებოდნენ.

პილოსის სამეფო იყოფოდა ორ პროვინციად და 16 ოლქად („მახლობელ პროვინციაში“ – de-we-ro-a₃-ko-ra-i-ja – 9, „შორეულში“ – pe-ra₃-ko-ra-i-ja – 7). პროვინციები უფრო ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები იყო, ოლქები – ადმინისტრაციულ-ფისკალური. თითოეულ ოლქს სათავეში ედგა ko-re-te, რომელსაც მოადგილედ ჰყავდა (po-ro-ko-re-te).²⁹ ოლქები შედგებოდა ერთი ან, იშვიათად, რამდენიმე დასახლებისა და მიმდებარე ტერიტორიისაგან.³⁰ მაღალი რანგის მოხელე da-mo-ko-ro „მახლობელი პროვინციის“ ფარგლებში მოღვაწეობდა, მაგრამ გაურკვეველია, გამგებლის³¹ თუ ცენტრიდან მოვლენილი ინსპექტორის როლში. პროვინციის დონის მოხელე იყო du-ma (თითო პროვინციაში თითო), ასევე გაურკვეველი მდგომარეობისა.

²⁸ Tegye 1987: 361ff.

²⁹ ამ ტერმინებისათვის იხ. DMic I: 380sq.; II: 147.

³⁰ საუარაულოა, რომ კრეგაზეც მსგავსი ადმინისტრაციული დაყოფა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ერთი მხრივ, მასალის ფრაგმენტულობა და, მეორე მხრივ, კნოსოსის სასახლის მწერალთა „თავმდაბლობა“ (ტექსტებში თვით მეფე ერთხელაც კი არ მოიხსენიება) ართულებს სახელმწიფო და ადმინისტრაციულ საზღვრების დადგენას. მღრ. Tegye 1987: 365f.

³¹ მღრ. Palmer 1963: 89.

ყოველი შემთხვევისათვის ოლქების გამგებლები არ უნდა ყოფილიყვნენ მის დაქვემდებარებაში.³²

აქ მინდა დაეუბრუნდე კითხვას სამეფოს მთელს მეურნეობაში სახელმწიფო მეურნეობის წილის საკითხს, რისთვისაც მეგნაკლებად ხელმოსაჭიდ მასალას მიწისმფლობელობის სისტემის ამსახველი ტექსტები გვაძლევენ.³³ კრეტული მასალა ფრაგმენტულია და თანაც ისეთ შთაბეჭდილებას გოვებს, თითქოს მინოსის სასახლის პაგრონი მიწისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენდა, ვიდრე პილოსის მეფე. პილოსში მეფის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებული მიწა სამეფოს 16 ოლქიდან ძირითადად მხოლოდ ერთშია თავმოყრილი და სავარაუდოა, რომ მთელი დამუშავებული მიწის მცირე ნაწილს შეადგენს. ტექსტებში აღწერილი მიწის ჯამური ფართობი დაახლ. 600 ჰექტარია. დაზიანებული ან დაკარგული დოკუმენტების გათვალისწინებით ეს რიცხვი შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდოს. აქედანაც დიდი ნაწილი მოხელეებს ურიგდებოდა სხვადასხვა სამსახურის პირობით და სასახლეს მოსაყვანილი მხოლოდ მეფის პირადი ნაკვეთიდან, სახელმწიფო ყანებიდან (Eq 213) და ზოგიერთი ka-ma-დან თუ შეუვიდოდა. ამდენად, რაც მიწათმოქმედების ძირითად პროდუქციას შეეხება, სასახლე მას ამკარად ცალკეული თემებისაგან და კერძო მფლობელობებიდან გადასახადის სახით იღებდა. სამწუხაროდ, შედარებით სრულად შემონახული პილოსის არქივი არ შეიცავს მსგავს მონაცემებს. სასახლე ძირითადი კულტურების მოსაყვლის ალების სემონის წინ დაინგრა, ხოლო არქივში მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო წლის დოკუმენტაცია ინახებოდა. მარცვლეულის მოსაყვლის შესახებ ცნობებს ვხვდებით კნოსოსის არქივში (KN E, F სერიები), მაგრამ აქ გაურკვეველია როგორც დოკუმენტების შედგენის მიზანი, ასევე ის, თუ რა გერიგორიაზე მოწეული მოსაყვალი მიეწერება ამა თუ იმ პუნქტს. სავარაუდოა, რომ სასახლე მხოლოდ თავისი საჭიროებებისათვის სამყოფ მარცვლეულს თუ სხვა პროდუქტს აგროვებდა გადასახადების სახით, ნაწილს თვითონ მოიხმარდა, ნაწილსაც ვაჭრობასა და შრომის ანამლაურებაში ხარჯავდა, ხოლო მოსახლეობა თავის გამოსაკვებად, დასათესად თუ გასაცვლელად საჭირო პროდუქციას თვითონ განაგებდა. მიკენური სასახლეების ჩარევა მიწათმოქმედებასა და აგრარული პროდუქციის გადანაწილებაში ბევრად ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ისეთი სასახლეებისა, რომელთა მონაწილეობის გარეშე მიწის ფონდის დიდი ნაწილი

³² Wundsam 1968: 94.

³³ მათზე დაწერილებით იხ. ზემოთ.

საერთოდ ვერ დამუშავდებოდა და რომელთა მეურნეობაც, ალბათ, თითქმის მთელ სახელმწიფოს მოიცავდა – მაგ., ძვ.წ. III ათასწლეულის ეგვიპტესა და შუამდინარეთში.³⁴ შესაბამისად, ნაკლები იქნებოდა მეფის როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ძალაუფლება.

რაც შეეხება მოსახლეობის სოციალურ სტრატეფიკაციას, ტექსტებში ხშირად ძნელი გასარჩევია, რას აღნიშნავს ესა თუ ის ტერმინი, სოციალურ თუ თანამდებობრივ მდგომარეობას.³⁵ შესაბამისად, ჩემს მიერ შემოთავაზებული დაყოფა მოხელეებად და წარჩინებულებად საკმაოდ პირობითია.

არ არის გასაოცარი, რომ სამეურნეო ანგარიშები არ გვაცნობენ წარჩინებულთა აღმნიშვნელ ზოგად ტერმინს. კ. ვუნდსამს ასეთად ლადც (დადასტურებულია მხოლოდ კომპოზიტებში, ra-wa-ke-ta და საკუთარი სახელები) მიაჩნია.³⁶ კარგად ნაცნობ ტერმინთაგან ტექსტებში გვხვდება qa-si-re-u (ბათილენც), რომლის ინტერპრეტაციაც სადაფოა. პილოსის არქივის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბასილევსი ხელოსანთა, სახელდობრ, მჭედელთა ამქრის მეთაური იყოს ან მეტალურგიაზე პასუხისმგებელი მოხელე. ამ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი რჩება, როგორ უნდა აღზევებულიყო ეს თანამდებობა მიკენურ სასახლეთა მოსაპობის შემდეგ სამეფო სიმაღლეებამდე. საეარაუდოა, რომ ბათილენც აქაველთათვისაც იმავეს ნიშნავდა, რასაც ჰომეროსთან – გვარის, თემის უხუცესს, წინამძღოლს, წარჩინებულს.³⁷ ბასილევსები მეფის (wa-na-ka) ვასალები იყვნენ და ომში მიყვებოდნენ მას, მათვე ეკისრებოდათ გარკვეული პასუხისმგებლობა მათი თემის თუ სოფლის მიერ სასახლის წინაშე სამეურნეო ვალდებულებათა შესრულებაზე. სწორედ ამ კუთხით ჩანან ისინი არქივის მასალებში.

ტერმინის ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს უნდა უჭერდეს ტექსტი PY Aq 64, სადაც სამწუხაროდ დაზიანებული სათაური qa-si]-re-wi-jo-te (ბათილენოთეც) მაღალი მდგომარეობის მრავალ პირს აერთიანებს.³⁸ მათ შორის არიან ასევე mo-ro-qa. დამოუკიდებლად იმისაგან, როგორ უნდა წავიკითხოთ ეს სიტყვა, იგი სოციალურ სტატუსს უნდა აღნიშნავდეს, რაც იმავე ტექსტიდან (Aq 64) ჩანს: ku-ru-me-no მოიხსენიება ორმაგი გიგულით, mo-ro-qa და i-te-re-wa ko-re-te. ეს

³⁴ Меликишвили 1985: 3 н сл.

³⁵ ამა თუ იმ მიკენური ტერმინის ბერძნული წაკითხვის და მისი ზუსტი შინაარსის დადგენის მეთოდოლოგიისათვის იხ. Lindgren 1979.

³⁶ Wundsam 1968: 58. შტრ. van Effenterre 1977; Hooker 1987: 260ff.

³⁷ ამ ტერმინის შესახებ დაწერილებით იხ. ზემოთ.

³⁸ შტრ. Lindgren 1973: II 128f.

უკანასკნელი გერმინი ყოველთვის დასახლებული პუნქტის სახელთან ერთად იხმარება და, როგორც უკვე აღინიშნა, მის გამგებელს, ე.ი. თანამდებობას ნიშნავს. mo-ro-qa ყოველთვის საკუთარ სახელთან ერთად დგას და ამ გერმინით დახასიათებულ პირებს სხვადასხვა, ხშირად სამხედრო ფუნქციების მაგარებლებად ეხვდებით. B-ხამოვანი ტექსტების ლაკონური სტილისათვის უჩვეულო ორმაგი ტიგული მსოლოდ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხსენებული გერმინები სხვადასხვა რიგისაა, ერთი ku-ra-me-no-ს თანამდებობას აღნიშნავს, მეორე კი – სოციალურ სტატუსს.³⁹

თუმცა ბასილევსის სამხედრო ფუნქცია ტექსტებში არ დასტურდება, წარჩინებულთა სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა მონაწილეობა სამხედრო საქმეში ეჭვს გარეშეა. ასე მაგ., ერთი mo-ro-qa სასაზღვრო დაცვის რაზმს ხელმძღვანელობს, მეორე ასეთივე რაზმის ოფიცერია. სავარაუდოა, რომ რაზმებში ოფიცრებად ძირითადად არისტოკრატია მსახურობდა. როგორც ჩანს, რაზმების კონგროლი და საფრთხის შემთხვევაში სასახლის უსწრაფესი ინფორმირება ეგლოსნებს ეკისრებოდათ. e-ge-ta (ἐγένεα) – (მეფის) მხლებელი,⁴⁰ რომელიც რაზმზე იყო გაპიროვნებული, მისი მაღალი სოციალური სტატუსის გამო სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებოდა. ეგლოსნები მეფის უახლოეს გარემოცვასა და საყრდენს, ომში ძირითად დამრგყმელ ძალას წარმოადგენდნენ.⁴¹

წარჩინებულთა კიდევ ერთი ჯგუფი აღინიშნებოდა გერმინით te-re-ta (τερετα). ისინი პილოსის კვალობაზე მსხვილი მიწისმფლობელები იყვნენ. ჩემი აზრით, ეს ტიგული აერთიანებდა მთელ მსახურულ არისტოკრატიას, რომელიც სამსახურისათვის მეფისაგან მიწას იღებდა.⁴²

მეფისაგან მეგ-ნაკლებად დამოუკიდებელი გვაროვნული არისტოკრატის საერთო სახელი უნდა ყოფილიყო qa-si-re-wi-jo-te,⁴³ რომელიც qa-si-re-u-ს, mo-ro-qa-ს და შესაძლოა სხვა,

³⁹ Lindgren 1973: II 99.

⁴⁰ ამ ფუნას მიუძღვნა ძალზე საყურადღებო სპეციალური გამოკვლევა – Deger-Jalkotzy 1978, რომლის ძირითად დებულებებსაც ვიზიარებ. მხლებელთა სხვაგვარი გააზრებისათვის იხ. Uchitel 1988.

⁴¹ ეგლოსნების, მხედრების საგანგებო მნიშვნელობისათვის ძველი სამყაროს „უფოლაღურ“ სახელმწიფოებში იხ. მაგ. Cornelius 1972.

⁴² შდრ. Deger-Jalkotzy 1983: 103ff.; DMic II: 338. მათ შესახებ დაწერილებით იხ. ზემოთ.

⁴³ ირიბი საბუთი qa-si-re-wi-jo-te – te-re-ta (ვასალი – მსახური) ოპოზიციისა შეიძლება ტექსტში KN B 779 დაინახოთ.

ძნელადინტერპრეტირებად გერმინებს შორის ჩამალული გიგულების მფლობელებს მოიცავდა. ამ სოციალურ ჯგუფთა შორის იერარქიის დადგენა შეუძლებელია, რადგანაც რიცხვითი მონაცემები, რომლებიც მოხელეთა თანამდებობრივი მდგომარეობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია, აქ ვერ გამოგვადგება. გვაროვნული არისტოკრატია ტექსტებში მხოლოდ სასახლის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით მოიხსენიება.

ბუნებრივია, მიკენურ სამყაროში გვაროვნული და მსახურეული არისტოკრატია არ იყო მკვეთრად გამიჯნული. პილოსის არქივის ტექსტებში მოხსენიებული qa-si-re-u და mo-ro-qa მეფის სამსახურში დგანან ან მის რამე კონკრეტულ დაეალებას ასრულებენ, ხოლო გიგულის გარეშე მოხსენიებული მნიშვნელოვანი მოხელეები, რომელთა მიწაც ტექსტებში არ ჩანს, შეიძლება უმიწო (შდრ. a-ko-toni) მხლებლებიც ყოფილიყვნენ და გვაროვნული არისტოკრატის წარმომადგენლებიც.

სამწუხაროდ, არ გვაქვს საკმარისი მასალა პილოსის და კნოსოსის სამეფოებში წარჩინებულთა ცალკეული ფენების მდგომარეობის ერთმანეთთან სრულფასოვნად შესადარებლად, მაგრამ ზოგიერთი განსხვავება მაინც ჩანს. ასე მაგ., მეფის მხლებლები (ἐπίται) პილოსის სამეფოში ან სასახლეში ან ჯარის ნაწილებში იმყოფებოდნენ და არ ჩანან ადმინისტრაციულ თუ სამეურნეო საქმიანობაში ჩართული (გამონაკლისი მხოლოდ a-pi-mo-de-a, მაგრამ იგი, როგორც უკვე ვნახეთ, არ იყო რიგითი მხლებელი). ამის საპირისპიროდ, კრეტაზე მხლებელთა ერთი ნაწილი სხვადასხვა ოლქებში გამგებლებად გვევლინებიან. სავარაუდოა, რომ კრეტის აქაველმა მბრძანებელმა მიკენის დიდ მეფეს მიბაძა და ქვეყნის ნაწილები თავის ერთგულ წარჩინებულ თანამებრძოლებს დაურიგა.⁴⁴ გარდა ამისა, დაპყრობილ ტერიტორიაზე სამხედრო ადმინისტრაციის შემოღება გამართლებული უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ ტელესტების მდგომარეობაც ორ სამეფოში განსხვავდებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, კრეტაზე პირობითი მიწისმფლობელობის სისტემა ნაკლებად განვითარებული ჩანს, ვიდრე პილოსში. შესაბამისად, პილოსში გიგული ἑλεσταις მსახურეული არისტოკრატის უფრო ფართო წრეს აერთიანებდა და მიწისმფლობელი მოხელეც მეტი იყო. ეს განსხვავებები ნაწილობრივ სამეფოთა თავისებურებებს უკავშირდება, ნაწილობრივ – აქაველთა საზოგადოების ერთიანი

⁴⁴ Deger-Jalkotzy 1978: 198.

განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, მაგრამ ისინი არ იძლევა საფუძველს მიკენურ კრეცასა და მესენიაში სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკურ სისტემათა დასაწახად.

სამაგიეროდ, წარჩინებულთა სახელდებული სოციალური ფენების, პირველ რიგში, თვით გიგულების არსებობა უნდა მიუთითებდეს მნიშვნელოვან განსხვავებაზე მიკენურ და ძველალმოსავლურ სამყაროთა შორის. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხეთების სამეფოშიც კი, რომელიც აღმოსავლეთში ენობრივადაც და სოციალური სისტემითაც მიკენტან ყველაზე ახლოს იდგა, ასეთი გერმინები დადასტურებული არ არის. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ ერთი ხეთური გექსტი (KUB IX 34 IV 8-18), რომელიც, გ. ვიორგაძის აზრით, ხეთური საზოგადოების სოციალურ ფენათა ჩამონათვალს შეიცავს.⁴⁵ გექსტში თავისუფალი ადამიანები განირჩევიან ერთმანეთისაგან მხოლოდ თანამდებობრივი მდგომარეობით, წმინდა სოციალური ჯგუფების აღმნიშვნელი გერმინები კი არ ჩანს.⁴⁶ ეს ფაქტი ასახავს არა მარტო აზროვნების ბერძნულ და აღმოსავლურ წესებს შორის განსხვავებას, არამედ გარკვეულ სხვაობასაც მიკენისა და აღმოსავლეთის წარჩინებულთა რეალურ მდგომარეობაში.⁴⁷

არქივში დაცული ფირფიგები ძირითადად სასახლის პერსონალს, მოხელეებსა და მსახურებს გვაცნობენ, რიგითი ადამიანები კი ჩრდილში რჩებიან. პილოსის სამეფოს 50000-იანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, რიგითი მეთემეების, „ხალხის“ აღსანიშნავად, არისგოკრატიის მსგავსად, ერთიანი გერმინი გექსტებში დადასტურებული არ არის. da-mo = δᾶμοις, δῆμοις (ხალხი) თემის გიპის ორგანიზაციას უნდა ნიშნავდეს. მიკენური ხანის თემის შიდა სტრუქტურაზე გექსტები თითქმის არაფერს ამბობენ, მაგრამ ცალკეული მინიშნებები მეთემეთა სოციალურ თუ პროფესიულ დიფერენციაციამზე მაინც მოგვეპოვება. ადამიანთა ჯგუფების მახასიათებელ მრავალრიცხოვან – ძირითადად, პროფესიის აღმნიშვნელ – გერმინთა შორის ყურადღებას იპყრობს ki-ti-ta და me-ta-ki-ti-ta (PY An 610). ერთის მხრივ, ეს გერმინები ახლოს დგანან მიკენურ მიწისმფლობელობით გერმინოლოგიასთან (იხ. ზემოთ), მეორეს მხრივ, მოგვაგონებენ კლასიკური ბერძნული პოლისის მოსახლეობის დაყოფას მკვიდრ „მოსახლეებად“ და შემდეგ

⁴⁵ Гюоргадзе 1991: 108 и сл.

⁴⁶ ძველ აღმოსავლეთში ადამიანთა ჯგუფებისა თუ კლასების აღმნიშვნელი გერმინებისათვის იხ. მაგ., Steiner 1972.

⁴⁷ შლრ. Deger-Jalkotzy 1983: 106.

„ჩამოსახლებულებად“ (მღრ. οἰκιστὴς – μέτοικος).⁴⁸ ორი გერმინის არსებობა ორი განსხვავებული სოციალური ფენის არსებობას უნდა გულისხმობდეს. შესაძლოა, მიწას ისინი სხვადასხვა უფლებით ფლობდნენ. დასაშვებად მიმაჩნია ki-ti-ta-ს მფლობელად, ხოლო me-ta-ki-ti-ta-ს მოიჯარადე-მოსარგებლელ წარმოდგენა. მაგრამ სასახლის მხრიდან მათ თანაბრად ეკისრებოდათ სამხედრო სამსახური ფლოგში. გქესტებში მენიხბეთა დიდი ნაწილის სახელმწიფო სამსახურში გასვლაზე პასუხისმგებელი პირი არ მოიხსენიება, რაც, ალბათ, მათ პიროვნულ თავისუფლებაზე უნდა მიუთითებდეს. მხოლოდ ორი ჯგუფი ჩანს მეფისა და სარდლის უშუალო დაქვემდებარებაში. შეიძლება დაისვას საკითხი მათი და, მათთან ერთად, სასახლის სამსახურში მყოფი სამუშაო ძალის სოციალური სტატუსის შესახებ. ი. გელბი მათ, ურის III დინასტიის ხანის გურუშებისა (gurush) და სპარტელი ჰელოტების მსგავსად, ყმებად მიიჩნევს.⁴⁹ ჩემი აზრით, კრეტაზე კიდევ შეიძლება დაეუშვათ გურუშებისა თუ ჰელოტების მსგავსი ფენების არსებობა, მაგრამ პილოსის სამეფოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისუფალი გლეხობა უნდა ყოფილიყო. თავისთავად, გურუშებისა და ჰელოტების გათანაბრებაც შეიძლება არ იყოს მართებული: ჰელოტები ხომ ბერძნებისათვის დინსიცის ნაირსახეობას წარმოადგენდნენ, ხოლო გურუშები არ განეკუთვნებოდნენ არაჰ კატეგორიას. მათ ერთგვარად აერთიანებთ ადგილი „საწარმოო ურთიერთობებში“. ორივე ფენა სახელმწიფო მიწაზე ზის და სახელმწიფოსათვის აწარმოებს სოფლის მეურნეობის ძირითად პროდუქციას. ქვეყანათა გეოგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე, გურუშებს ცენტრალიზებულ სახელმწიფო მეურნეობაში უწევდათ მუშაობა, ხოლო ჰელოტებს ცალკე ნაკვეთები ეძლეოდათ, საიდანაც სპარტიატებს მოსავლის გარკვეული ნაწილი მიჰქონდათ. ამის საპირისპიროდ, მესენიელი გლეხები საკუთარ მიწაზე იხდნენ და იხდიდნენ თავისუფალთათვის დამახასიათებელ ვალდებულებებს,⁵⁰ მათ შორის სამხედროსაც. მსგავსი ვალდებულებები მოქალაქეებს ანტიკურ თუ თანამედროვე „თავისუფალ საზოგადოებებშიც“ აქვთ სამემოსავლო გადასახადისა და სავალდებულო სამხედრო ან შრომითი სამსახურის სახით. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ სამხედრო ან შრომითი ვალდებულების მოსახდელად მხოლოდ საჭირო რაოდენობის ხალხი

⁴⁸ Duhoux 1976: 20.

⁴⁹ Gelb 1972: 82ff.

⁵⁰ მიკენურ ვალდებულებათა სისტემის შესახებ დაწერილებით იხ. ზემოთ.

გაჰყავდათ, ხოლო გადასახადები თითქმის მიუღლ მოსახლეობას მოიცავდა (Ma, Na სერიები). ტექსტებში ფისკალური ერთეულების მიერ კოლექტიური გადასახადების გადახდაზე პასუხისმგებელი პირი არაა მითითებული. საეარაულოა, რომ ეს ფუნქცია ოლქის გამგებლებსა და ბასილევებს ეკისრებოდათ. ალბათ, მათვე უნდა უზრუნველყოთ სხვადასხვა სამუშაოზე ხალხის დადგენილი რაოდენობის გაყვანა.

თავისუფალი გლეხების გარდა მიკენურ სამყაროში მოსახლეობის გარკვეულ, ალბათ, მცირე ნაწილს დამოკიდებული ხალხიც შეადგენდა. პილოსის სამეფოში, როგორც უკვე აღინიშნა, სასახლე ძირითადად გყვეთაგან დაკომპლექტებულ მონათა რაზმებს ფლობდა, ხოლო წარჩინებულთა თიკოსებში ყმების დასაქმება შეიძლება ვივარაუდოთ. ვფიქრობ, კრეტაზე ნახევრადთავისუფალი, ყმური სტატუსის პირთა რაოდენობა უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მესენიაში.

მიუხედავად იმისა, რომ B-ხაზოვანი ტექსტები მიკენური სამოგადოების სტატიკურ და ცალმხრივ „ფოგოსურათს“ წარმოადგენენ, შესაძლებლად მიმაჩნია მათ საფუძველზე სამოგადოებრივი განვითარების ეტაპები და ტენდენციები გავაშუქოთ.

აქ, პირველ ყოვლისა, მინდა მიკენური სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბების საკითხს შევეხო. როგორც ცნობილია, მიკენურ ცივილიზაციას ეგვიდაში არაინდოევროპული, წინაბერძნული ცივილიზაციები უსწრებდნენ წინ, რომელთა გავლენა მიკენურ კულტურასა და ყოფაზე უდავოა. მნიშვნელოვანია წინაბერძნული ლექსიკის წილი ბერძნულ ენაში – დაახლ. 5000 სიტყვა. ამ ფონზე საინტერესოა, რა სოციალური სტრუქტურები მიიღო მიკენურმა სამოგადოებამ წინამორბედი ცივილიზაციებისაგან და რა შეიძლება მის საკუთარ შემოქმედებას მიეწეროს. ძე.წ. II ათასწლეულის ეგვიდის განვითარების ისტორიული კონტექსტი, ვფიქრობ, ნებას გვაძლევს ამ მიზნით სოციალური ტერმინების წარმომოხაზვა (როგორც ეტიმოლოგია, ასევე ამა თუ იმ პირიდან ტერმინის წარმოების მექანიზმი) შევისწავლოთ. ჩემს მიერ განხილული ტერმინების უმრავლესობა ბერძნული აღმოჩნდა. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ისეთი ტერმინები, რომლებიც არ მიუთითებენ რაღაც კონკრეტულ, მაღალგანვითარებულ სოციალურ წყობაზე: wa-na-ka, qa-si-re-u, do-e-ro, o-na-to, o-ka, ka-ma, e-re-mo – „მეფე“, „მსახური/მონა“, „სარგებლობა“, „რაზმი“, „ყამირი“ – ათვისებული

თუ აუთენტიკულობა.⁵¹ ტერმინები, რომლებიც მოხელეებს, სოციალურ ფენებს, მიწისმფლობელობის ფორმებს აღნიშნავენ, ბერძნული არიან,⁵² რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მიკენური სოციალური სტრუქტურები ბერძნული საზოგადოების წიაღში ჩამოყალიბდნენ.⁵³ აქედან გამომდინარე, შეიძლება დავადგინოთ ტექსტებში ასახული სოციალური სტრუქტურების გაჩენისა და განვითარების ქრონოლოგიური ჩარჩოები: ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი, როდესაც ბერძნები ეგვიპტეში მოვიდნენ და ძვ.წ. XIII საუკუნის ბოლო, რომლითაც პილოსის არქივი თარიღდება. ვიცით მიკენური ისტორიის სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც: მიკენის აღზევა – XVII-XVI სს., საბრძოლო ეგლის გამოჩენა – XVI ს., კრეტის პირველი დაპყრობა აქაველთა მიერ – XV ს., კნოსოსის სასახლის საბოლოო დანგრევა და პილოსის სამეფოს წარმოქმნა – XIV ს.⁵⁴

ლოკალური მეფე-მთავრებისა (βασιλευς) და უხუცესთა საბჭოს (γερονται) ინსტიტუტები უძველეს დროს უნდა გაჩენილიყო. თავდაპირველად ბასილევსი ხალხის, შესაძლოა, არჩევითი⁵⁵ წინამძღოლი, მისი მოხელე იყო და მისგან მიწის ნაკვეთს (τέμενος) იღებდა.⁵⁶ თანდათანობით მოგი წარმატებული ბასილევსი ხალხის მბრძანებლად და მიწის უზენაეს მესაკუთრედ უნდა ქცეულიყო, რასაც შეესაბამება გიგული ძვანჯ.⁵⁷ თუ ჩვენამდე მოღწეული ტექსტების შექმნის დროისათვის კიდევ არსებობდა გრადიენა ხალხის მიერ მეფისათვის გემენოსის მიცემისა, ასეთი პრაქტიკა მხოლოდ რიგუალის დონეზე თუ იქნებოდა შემორჩენილი. შესაძლოა, ბასილევსები მოელი მეორე ათასწლეულის მანძილზე მიწას თემისაგან იღებდნენ, რაც აისახა კიდევ ჰომეროსთან. ძვანჯ გიგულის და შესაგყვისი გიპის ხელისუფლების გაჩენა, ალბათ, წინაბერძნული კულტების შეთვისებას უნდა დავუკავშიროთ.⁵⁸ ამ

⁵¹ შლრ. DELG; DMic.

⁵² ბერძნული ენაში ძირითადი ინფორმაცია, წარმოება – აშკარად ბერძნული.

⁵³ შლრ. Deger-Jakotzy 1983: 111. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ასე დაყენება, სიმარტივის და მომხიბლავობის მიუხედავად, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსალურ მეთოდად სხვადასხვა ხალხების სოციალური ისტორიის კვლევისას.

⁵⁴ ამ მოვლენათა თარიღებისთვის იხ. Schachermeyr 1984; შლრ. აგრეთვე *Civ. Eg.*

⁵⁵ შლრ. მუმერული LUGAL, სიგყვა-სიგყვით „კაცი დიდი“, რაც თავდაპირველად არჩევით სარდალს, შემდგომში კი მეფეს აღნიშნავდა.

⁵⁶ შლრ. Gschnitzer 1981: 15.

⁵⁷ შესაძლოა, ეს გიგული მესაკუთრის გაცებასაც შეიცავდა (Vlachos 1974: 95).

⁵⁸ შლრ. ტატიშვილი 2001: 104შმდ. ინფორმაციები ნუსიგების მეფე ანთა (ძვ.წ. XVIII ს.) „დიდი მეფის“ მდგომარეობის მოსაპოვებლად ხათურ ღვთაებათა დახმარებას მიმართავს და მათ კულტებს ნერგავს ნესას პანთეონში. ხათურ რწმენა-

მოვლენების თანადროულად მიმჩნია მიკენის ციხე-სიმაგრის აგება (ძვ.წ. XVII ს.).

სამეფო ხელისუფლების ხასიათის შეცვლა მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას აჩქარებდა და ახალი სოციალური ფენების გაჩენას იწვევდა. პირველ რიგში, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი გვაროვნული არისტოკრატიის გვერდით, ნაწილობრივ, მის საპირისპიროდ, წარმოიშვა მსახურეული არისტოკრატია; ჩამოყალიბდა ბიუროკრატიული ადმინისტრაციული აპარატი; თემები გარკვეულწილად დაექვემდებარნენ სახელმწიფო მმართველობას. ამ პროცესების ძვ.წ. XVII-XVI სს.-ით დათარიღების ირიბ საბუთს თვითონ გექსტები გვთავაზობენ – ენოსოსისა და პილოსის არქივებში ასახულ სამოგადოებათა შორის მნიშვნელოვანი მსგავსების წყარო მხოლოდ კრეგის პირველ დაპყრობამდე, ძვ.წ. XVI-XV საუკუნეთა მიჯნის მიკენში შეიძლება ვეძებოთ.⁵⁹ ორი არქივის მონაცემებს შორის ბევრი განსხვავებაც არის. ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის მიზეზი ცალკეა დასადგენი.

შესაბამისად, ძვ.წ. XV საუკუნისათვის უკვე ძირითადად ჩამოყალიბდა მიკენური მმართველობის სისტემა დახვეწილი სამოხელეო აპარატით, უკვე არსებობენ არისტოკრატიის ცალკეულ ფენათა შესაგყვისი გიგულები (βασίλεις, τελεστὰς, ἐπίετας, μο-ρο-qa). მიწისმფლობელობითი ურთიერთობები ამ დროისათვის არ უნდა ყოფილიყო დიდად განსხვავებული სამეფო და სათემო სექტორში: წარჩინებულები ბალ-ვენახებს ფლობდნენ, ხოლო სახნავი მიწის ფონდი ყოველწლიურ გადანაწილებას ექვემდებარებოდა. სამეფო დომენში მიწისმფლობელობის სავარაუდო განვითარების შემდგომ ეტაპებს უკვე პილოსის არქივში ვხვდებით.

აღამიანისათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ მოვლენისათვის სახელის დარქმევის, მისი კლასიფიკაციის სურვილი. ეს სრულიად ბუნებრივიცაა, რადგანაც თუნდაც ძალიან პირობითი სახელი, ძალიან პირობითი მოთავსება მეტ-ნაკლებად მსგავს მოვლენათა ჯგუფში გვეხმარება აღვიქვათ ეს მოვლენა, შევიქმნათ რაღაც

წარმოდგენებში მას, უპირველეს ყოვლისა, სამეფო ხელისუფლების კონცეფცია – ნახევრადგადმერთებული მეფე – უნდა მოსწონებოდა. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ აქაველი ბელადი თავის გიგულად ირჩევს არაბერძნულ სიტყვას. რომელიც B-ხაზოვან გექსტებში და კომეროსთან ღმერთსაც აღნიშნავს და მეფესაც.

⁵⁹ წმინდა თეორიულად ის შესაძლებლობაც არსებობს, რომ კრეგის მეორე დაპყრობის შემდეგ აქაველებს იქაური სტრუქტურები გადმოეღოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში სოციალური ტერმინოლოგია ძირითადად „მინოსური“, არაინდოევროპული იქნებოდა.

ორინტირები მასში გასარკვევად. მაგრამ ზოგჯერ შედარებით ზუსტი კლასიფიკაცია იმდენად ზოგადია, რომ ძნელია ვთქვათ, აქვს თუ არა მას აზრი, ხოლო შედარებით დანაწევრებული კლასიფიკაცია მეგისმეგად არაზუსტი და სუბიექტურია. ამის გამო თანამედროვე მეცნიერებაში ხშირად საერთოდ გაურბიან კლასიფიკაციებსა თუ ლეფინიციებს, მაგრამ ყველა მეცნიერს გულის სიღრმეში მაინც აქვს საკუთარი სახელდებისა და დაჯგუფების სისტემა, რაც ზოგჯერ მათ პუბლიკაციებშიც კპოვებს ასახვას. ცხადია, მსგავსი სიტუაციაა მიკენოლოგიაშიც, სადაც B-ხაზოვან ტექსტებთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული პრობლემის საფუძვლიანი და დეტალური შესწავლის გვერდით პერიოდულად ახლდება ხოლმე დისკუსია ზოგადად მიკენური საზოგადოების რაობის, მარქსისტული გერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მისი სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის განსაზღვრის გარშემო.

ხსენებული დისკუსიის ფარგლებში მიკენური საზოგადოება მოიხსენიებოდა, როგორც მონათმფლობელური, ფეოდალური ან ძველალმოსავლური ტიპისა.

მონათმფლობელობის თემის, ცხადია, საბჭოთა მარქსისტული ისტორიოგრაფია უჭერდა მხარს. აქაც ორი მიმდინარეობა გამოიყოფა. ერთნი მიკენურ საზოგადოებას საბერძნეთის სოციალური განვითარების გენერალური ხაზის ფარგლებში განიხილავდნენ,⁶⁰ მეორენი კი აღნიშნავდნენ დიდ მსგავსებას მიკენურ და აღმოსავლურ მონათმფლობელობას შორის.⁶¹ გარდა წინასწარ მოცემული ზოგადთეორიული დოგმისა, რომ პირველი კლასობრივი საზოგადოება მონათმფლობელური უნდა იყოს, მიკენური საბერძნეთის ამგვარ შეფასებას გარკვეულწილად ტექსტების მონაცემებიც უჭერდნენ მხარს: ყველაზე სრულად შემონახული (დაახლ. 75%) პილოსის არქივის ფირფიტები მოიხსენიებენ სულ დაახლ. 2500 პირს, რომელთაგანაც, სულ ცოტა, 1500 ადამიანს ტექსტებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ do-e-ro / ბისაღჲ ჰქვია; ოლქები პილოსის სამეფოში, თემისა და მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების სახელწოდებები ასევე კლასიკურ პოლისთან ასოციაციას იწვევენ. როგორც უკვე აღინიშნა, სამეფოს მოსახლეობის რიცხვი 50000-მდე უნდა ყოფილიყო,⁶² რაც მნიშვნელოვნად ცვლის შეფარდებას თავისუფალ და არათავისუფალ მოსახლეობას შორის, ხოლო იმ პირების მონური სტატუსიც, ვისაც ტექსტებში პირდაპირ ეწოდება do-e-ro / ბისაღჲ, ეჭვს იწვევს.⁶³ მიკენურ

⁶⁰ იხ. მაგ., Лурье 1957.

⁶¹ იხ. მაგ., Ленинман 1963.

⁶² Chadwick 1976: 68.

⁶³ Bartonek 1964: 155; Wickert 1967: 596ff.

„მონობაზე“ შექმნილი ყველაზე ვრცელი გამოკვლევის ავტორი, ი. ლენცმანი აღიარებს, თვით გერმინი რომ არა, ამ პირებს მონებად ეერ ჩაეთვლიდით.⁶⁴ რაც შეეხება ქალთა და ბავშვთა რაზმებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან ჩვენს წარმოდგენებს მონების შესახებ, ისინი ძირითადად სასახლის მომსახურების სფეროში უნდა ყოფილიყვნენ დასაქმებული და არა ეკონომიკის წამყვან დარგში, სოფლის მეურნეობაში.⁶⁵ ყოველივე მემოთქმული, ალბათ, არ გვაძლევს უფლებას, მიკენური სამოგადოება მონათმფლობელურად ჩაეთვალოთ, მითუმეტეს, რომ დღეს მონობა აღარც კლასიკური ათენისთვის მიიჩნევა განმსაზღვრელ ნიშნად.⁶⁶ არგუმენტაცია, რომელიც საბჭოთა მეცნიერებს მოჰქონდათ მიკენის ადგილის დასადგენად მონათმფლობელური ფორმაციის შიგნით, ინარჩუნებს თავის აქტუალობას, როდესაც დისკუსია ამ ფორმაციის გარეთ გადის და ისმის კითხვა, ძვ.წ. XIII ს.-ის მიწურულის კატასტროფამდე მიკენი განვითარების დასავლურ, ფეოდალურ გზას ადგა, თუ აღმოსავლურს, შესაბამისად, რამდენად მნიშვნელოვანია სხვაობა მიკენურ და კლასიკურ ბერძნულ სამოგადოებებს შორის.

ბუნებრივია, რადგან ასეთი კითხვა საერთოდ ისმის, მიკენურ სამოგადოებაში ორივე ხსენებული მოდელის ნიშნები სახებია. ეჭვს არ იწვევს, რომ სასახლეები, რომელთა არქივებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, „აღმოსავლური“ ტიპის ცენტრებს წარმოადგენდნენ, ანუ იქ კონცენტრირებული იყო არა მარტო ქვეყნის პოლიტიკური, არამედ სამეურნეო მართვის სადავეები. შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნას, თითქოს სასახლის კონტროლის გარეშე ქვეყანაში საერთოდ არაფერი კეთდებოდა.⁶⁷ მეცნიერთა ერთი ნაწილი, სწორედ ამიგომ, მიკენურ სამოგადოებას „აღმოსავლური დესპოტიის“ ტიპისად მიიჩნევს, თუმცა ამ ცნების გამოსახატავად საკმაოდ განსხვავებული გერმინები გამოიყენება.⁶⁸

დასავლური, ფეოდალური სისტემის ნიშანთაგან პილოსის არქივის ტექსტებში ყურადღებას იპყრობს მიწისმფლობელობის სისტემა, პირობითი, მრავალსაფეხურიანი მფლობელობითა და შესაბამისი დახვეწილი, თუმცა ჩვენთვის ხშირად გაუგებარი

⁶⁴ Лсницман 1963: 181.

⁶⁵ იხ. მაგ., Chadwick 1988: 43ff.

⁶⁶ იხ. მაგ., Weber 1989: 197f., აგრეთვე ქვემოთ.

⁶⁷ იხ. მაგ., Полякова 1983: 89 и сл.; სასახლის ამგვარ როლს კარგად ასახავს გერმინი Palaststaat, რომელიც მიკენოლოგთა შორისაც პოპულარულია. იხ. მაგ., Deger-Jalkotzy 1987: 137ff.

⁶⁸ იხ. მაგ., Finley 1957; Bartonck 1964: 159; Меликшвили 1985: 8; Killen 1985: 241ff.; de Fidio 1992.

გერმინოლოგიით. ამ ტექსტებზე დაყრდნობით იყო ცდები მიკენურ საზოგადოებაში ეასალიტეტის ინსტიტუტის არსებობის დასაბუთებისა.⁶⁹

ორივე პოპიციის კონგრარგუმენტებიც მრავლადაა B-ხაზოვან ტექსტებში, რაშიც ზემოთ მოგახილი მასალა გვარწმუნებს. მაგრამ უდავოა, რომ მიკენურ საზოგადოებაში შეიმჩნევა როგორც დასაეღურ-ფეოდალური, ასევე აღმოსაეღური სოციალური მოღელის ნიშნები. მათი თანაარსებობა არ მეჩვენება გასაოცრად, რადგანაც ორივე მოღელი ტიპოლოგიურად ახლოს დგას და პირობით ფართო გაგებით ფეოდალურად შეიძლება ჩაითვალოს. ორივეში მეურნეობა პოლიტიკური ხელისუფლების მიერ იმარაება, კერძო საკუთრება და პირადი თავისუფლება ორივეში შეზღუდულია. მათ შორის განსხეავეება მმართველობის ფორმებში მდგომარეობს. „აღმოსაეღეთში“ მთელი ძალაუფლება მეფესა და მის ბიუროკრატიულ აპარატს ეკუთვნოდა, „დასაეღეთში“ კი სამხედრო არისტოკრატისა.⁷⁰ კონკრეტული ისტორიული, გეოგრაფიული თუ სამეურნეო პირობების გამო მიკენურ სამყაროში გარკვეული წონასწორობა დამყარდა ბიუროკრატისა და სამხედრო არისტოკრატის შორის. ძნელი სათქმელია, კატასტროფა რომ არა, ეს წონასწორობა განეითარების რომელი მიმართულების სასარგებლოდ დაირღეოდა. სასახლეების დანგრეეამ და ჩეეული მმართველობის სისტემის მოშლამ გზა გაუსნა დასაეღურ მოღელს, ხოლო ფირფიტებში ასახული საზოგადოება, თუ მისთვის აუცილებლად გვინდა სახელის დარქმეეა, შეიძლება ფართო გაგებით ადრეფეოდალურად ჩავთვალოთ.

⁶⁹ Palmer 1963: 85, 190ff.

⁷⁰ Меликишвили 1988: 3-34.

უკანასკნელ წლებში ჩვენი ისტორიული მეცნიერება არნახული გემით ვითარდება. იდეოლოგიური პრესის მოხსნის შემდეგ ძალზე სწრაფად დაიძლია ძველი სააზროვნო სისტემის ფარგლებში ყველაფრის უკუღმა წარმოჩენის საყმაწვილო სენი და დღეს ბევრ სფეროში უკვე შემდგარად შეიძლება ჩაითვალოს სალი, კრიტიკული გადაზრება, ახლებურად დაისვა პრობლემები, გაჩნდა ახალი თემატიკა, მიმართულებები.

ამ ფონზე შედარებით ნელა იცვლება დამოკიდებულება ძველი ისტორიის ისეთი კარდინალური საკითხისადმი, როგორცაა მონობა.¹ ამას აქვს თავისი ახსნა: ერთი მხრივ, ძველი ისტორია ყველაზე ნაკლებად იყო იდეოლოგიზებული და მისი „განთავისუფლება“ რევოლუციური გზით არ წასულა, მეორე მხრივ, ძველ სამყაროში მონობა რეალურად არსებობდა, რის საბუთსაც მეცნიერი თუ ფართო საზოგადოება, საბჭოთა დროის სახელმძღვანელოების გარდა, ანტიკურ წყაროებშიც ხედავს და თანამედროვე ამერიკულ ფილმებშიც. მაგრამ არც „ოდისეა“ და არც „სპარტაკი“ თუ „გლადიატორი“ არ წარმოადგენს მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის საბუთს, რაც, სამწუხაროდ, ხშირად გვაევიწყდება.

რა არის მონათმფლობელობა – მსოფლიო ისტორიის უნივერსალური საფეხური, ბერძნულ-რომაული საზოგადოების თავისებურება, თუ საერთოდ ფიქცია? ამ კითხვის პასუხად სოციალურმა ისტორიამ უნდა დაადგინოს მონობის არსი და მასშტაბები ცალკეულ ქვეყნებსა თუ ეპოქებში და, ამის საფუძველზე შეაფასოს, რამდენად შეიძლება მონობა ამა თუ იმ საზოგადოების ძირითად, განმსაზღვრელ მახასიათებლად ჩაითვალოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური მონობის შესწავლა თავიდანვე იდეოლოგიურ ბრძოლასთან იყო დაკავშირებული. მისდამი ინტერესის გაღვივება აბოლიციონისტურმა მოძრაობამ განაპირობა,² რამაც ერთგვარად განსაზღვრა კვლევის მიმართულება. XIX საუკუნის შუახანების პროგრესული

¹ ანრი ვალონის ცნობილი გამოკვლევებიდან მოყოლებული დღემდე ანტიკურ მონობას რამდენიმე ათასი ნაშრომი მიუძღვნა. 1983 წლამდე ამ თემატიკაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა სრული ბიბლიოგრაფია გამოცემულია ცალკე წიგნად (Vogt, Bellen 1983). პრობლემატიკისა და ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. მაგ. Brockmeyer 1979; Garlan 1982; Weber 1989.

² ანტიკური მონობის შესწავლის საქმეში თანამედროვე იდეოლოგიის როლისათვის იხ. Finley 1980.

საზოგადოებრიობის უარყოფითი დამოკიდებულება ამერიკული მონობისადმი გავრცელდა ანტიკურ მონობაზეც. მართალია, ანტიკურობისგან განსხვავებით, ამერიკაში პაგრონი და მონა განირჩეოდნენ კანის ფერთა და ცივილიზებულობის ხარისხით, მაგრამ ამ თვალშისაცემ გარემოებაზე ძლიერი აღმოჩნდა საკითხისადმი ემოციური მიდგომა და სიგყვის ძალა: ორივე ინსტიტუტს ერთი გერმინით (მონობა) მოიხსენიებდნენ და მოხდა მათი გაიგივება. ამერიკელი მონების განთავისუფლების შემდეგაც ამ ფაქტორებმა შეინარჩუნეს ქმედითობა – XX საუკუნის მკვლევარი, რა მიმდინარეობის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო, ანტიკური ტექსტებით დაინტერესებამდე დიდი ხნით აღრე იგებდა სიგყვის „მონა“ მნიშვნელობას და ცრემლსაც ღვრიდა „ბიძია თომას ქოხის“ კითხვისას.

ამ ერთგვარად საერთო საფუძელის მიუხედავად, ცალკეული მეცნიერებისა და სხვადასხვა მიმდინარეობების წარმომადგენელთა დამოკიდებულება ანტიკური მონობის პრობლემისადმი ფრიად განსხვავებულია.

პრობლემა ნაწილობრივ ლეფინიციაში მდგომარეობს, უფრო სწორად, გერმინების „მონა“, „მონობა“ ყველასათვის მისაღები ლეფინიციის არარსებობაში. პარადოქსია, რომ ერთი შეხედვით თავისთავად გასაგები ცნებები ძნელად ექვემდებარებიან ბუსგ განმარტებას. ფ. ნიცშეს სიგყვებით რომ ვთქვათ, განმარტებადი მხოლოდ ის არის, რასაც ისტორია არა აქვს.³ შესაბამისად, ნახსენებ პრობლემატიკაზე მომუშავე მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოდ თავს არიდებს ლეფინიციის მოცემას,⁴ ზოგიც განმარტების თავის ვერსიას იძლევა. ყველასათვის მონა არათავისუფალია, მაგრამ იმისდა მიხედვით, ვის რა კუთხით აინტერესებს ანტიკური მონობა, ვინ რა კრიტერიუმებს ანიჭებს უპირატესობას სოციალური პრობლემების განხილვისას, „მონათა“ სახელის ქვეშ არათავისუფალთა სულ სხვადასხვა კატეგორიები ერთიანდებიან. მარქსისგულ საბჭოთა მეცნიერებაში „მონა“ კლასობრივ მახასიათებლად იყო მიჩნეული, ხოლო კლასის გამოყოფის მთავარ კრიტერიუმად – ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მდგომარეობა საწარმოო ურთიერთობებში.⁵ თვითონ კ. მარქსისათვის, XIX საუკუნის სხვა მეცნიერთა მსგავსად, ძირითადი ამოსავალი ამერიკული მონობა იყო, ისიც ცალმხრივად, მისი პოლიტიკური მოსაზრებების

³ F. Nietzsche: „Definierbar (ist) nur das, was keine Geschichte hat.“ *Geschichtliche Grundbegriffe*: XXIII.

⁴ იხ. მაგ., Garlan 1982: 37.

⁵ იხ. მაგ., Diakonoff 1972: 42.

შესაბამისად გააზრებული. შემდგომში მან და განსაკუთრებით ფ. ენგელსმა მექანიკურად განაერყეს ეს დებულებები ძველ სამყაროზე, ცალკეული საზოგადოებებისადმი ჯეროვნად დიფერენცირებული მიდგომის გარეშე.⁶ საბჭოთა კავშირში, სადაც მარქსიზმი ოფიციალური იდეოლოგია იყო, კლასიკოსთა ცალკეული გამონათქვამების აბსოლუტიზაციისა და ლოგებულებად ქცევის შედეგად მთელი ძველი სამყარო მონათმფლობელურად მოინათლა,⁷ ხოლო ნებისმიერი არათავისუფალი ამ სამყაროში – მონად.⁸ XX საუკუნეში ანტიკური მონობის შესწავლის საქმე კვლავ წინ წასწია იდეოლოგიურმა ბრძოლებმა. სწორედ მათ უნდა ეუმადლოდეთ ძველ სამყაროში მონობის საკითხებისადმი მიძღვნილ უაღრესად საინტერესო პუბლიკაციათა სამი, ერთგვარად ურთიერთდაპირისპირებული სერიის არსებობას.⁹

სოციალური ისტორიის მთავარი საკითხი არის უთანასწორობა ადამიანებს შორის, პირველ ყოვლისა, უფლებრივი და ქონებრივი უთანასწორობა.¹⁰ ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც რეალურ ქონებას, ასევე საკუთრების უფლებას, რაც წოდებრიობის პრინციპით დაყოფილ საზოგადოებაში, ე. ი. ძველსა და შუასაუკუნეებრივში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული პიროვნულ და პოლიტიკურ უფლებებთან. მონა, რომელიც თვითონ არის საკუთრების ობიექტი, ანუ სხვისი საკუთრება, ცხადია, მოკლებულია როგორც უფლებებს, ასევე ქონებას. თითქოს აქ უნდა დაგვესრულებინა ცნების განმარტებაზე საუბარი, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებაში საგულისხმო კანონზომიერება შეიმჩნევა: სოციოლოგები ამა თუ იმ პირის მონობას მისი რეალური მდგომარეობით უფრო განსაზღვრავენ, საუბრობენ რა ფსიქოლოგიურ მონობაზე,

⁶ Backhaus 1974: 241 ff.

⁷ Wiedemann 1981: Preface.

⁸ მაგალითისათვის გამოვეადგება 40-იანი წლებიდან მოყოლებული „ძველი ისტორიის“ ნებისმიერი სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ჩემთვის ცნობილია ერთადერთი გამონაკლისი – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.

⁹ მაინცის სერიის „ანტიმარქსისტულ“ სახეს განსაზღვრავს მისი ფუძემდებლის, ი. ფოგტის ნაშრომი (Vogt 1965); ძირითადად, თანამედროვე დასავლური მარქსიზმის პოზიციებზე დგას ბემანსონის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სერია, რომელიც ცალკეულ მონოგრაფიებთან (მაგ., Lazzaro 1993) ერთად მონობისადმი მიძღვნილი კონფერენციების მასალებსაც (*Actes 1971, 1972, 1973, Esclavage*) გამოსცემს; საბჭოთა სერიისათვის დამახასიათებელია მისი პირველივე მონოგრაფია Лешман 1963, რომელიც ლოგებებისადმი „ერთგულებას“ შესავლისა თუ დასკვნის ცალკეული საეაღდებულო ფრაზებით ამოსწურავს, მთლიანობაში კი საკმაოდ ობიექტურ და საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს.

¹⁰ Gschnitzer 1981: 5f.

არალეგალურ მონობაზე თანამედროვე პირობებშიც კი და ა.შ.¹¹ ისტორიკოსების უმრავლესობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ არავენ უგულვებლყოფს განსხვავებას „მონობის“, „არათავისუფლების“ ანტიკურ და თანამედროვე აღქმას შორის,¹² მონა მაინც ისაა, ვისაც გექსტში ასე პქვია.¹³ საკითხისადმი ორივე მიდგომა გამართლებულია: ერთი ემყარება სოციალური სტრატეფიკაციის დღევანდელ პრინციპებს, მეორე კი – თვით შესასწავლი საზოგადოებისას.¹⁴ მაგრამ, ალბათ, ამა თუ იმ ძველი ინსტიტუტის არსში გასარკვევად სასურველია ორივე მეთოდის ერთობლივი გამოყენება.

მიმაჩნია, რომ ანტიკური, კერძოდ ბერძნული „მონობის“ შესწავლის ერთ-ერთი პერსპექტიული გზაა სწორედ „მონების“ აღმნიშვნელი ტერმინებისა და ამ ტერმინების შემცველი კონტექსტების ანალიზი. ამ ტერმინთა შორის უმნიშვნელოვანესია ბინსიდ, რომელიც არათავისუფლების ძირითადი, სამართლებრივი ასპექტის გამოხატაველია და კლასიკური ხანის ბერძნულში სწორედ ის უპირისპირდება ტერმინს ღლადმერიც ლოგიკურ ოპოზიციამი „თავისუფალი-არათავისუფალი“. მასალა შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ამ ტერმინს და მისი მნიშვნელობის გარკვეულ ცვლილებებს მიკენური ეპოქიდან გვიანანტიკურობამდე.¹⁵

ტერმინ do-e-ro-ს შემცველი B-ხაზოვანი გექსტები პილოსისა და კნოსოსის სამეფო სასახლეების არქივებიდან მომდინარეობენ. ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც თემატურად, ასევე დაცულობის ხარისხითაც. პილოსში შემორჩა მრავალი თემატურად მსგავსი გექსტისაგან შემდგარი რამდენიმე სერია. კრეტული გექსტები ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ, სამწუხაროდ მცირერიცხოვანი და ფრაგმენტული. ორივე არქივში ერთობ დაზიანებული და არაფრისმთქმელი დოკუმენტებიც გვხვდება. ასე მაგ., გექსტში PY Eq 1451 მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ტერმინი do-e-ro შემორჩა, ბევრად მეტი არც გექსტიდან KN B 5984

¹¹ შლრ. მაგ. BE 20: 356ff.; *Staatslexikon* 7: 97ff.; EDS: 269; Patterson 1982; Meillassoux 1989.

¹² იხ. მაგ. Garelli 1972: 75sq. მეკლევარი აღნიშნავს, რომ ძველი გექსტების სოციალური ტერმინოლოგია ასახავს იურიდიულ სტრატეფიკაციას, რომელიც სშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალურისაგან.

¹³ შლრ. მაგ. Brockmeyer 1979, Gschnitzer 1964, 1976, 1981, Sereni 1976, Wiedemann 1981.

¹⁴ შლრ. Diakonoff 1972: 41f.

¹⁵ იხ. Gordesiani 1999, ასევე ქვემოთ.

გადარჩენილა:]-გი [/]-ქი do-e-ro VIR[, სადაც -ქი, სავარაუდოა, ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სიგევის დაბოლოებაა, ალბათ, „პაგრონის“ სახელისა. ტექსტებში do-e-ro, როგორც წესი, „პაგრონის“ სახელით მოიხსენიება, ზოგჯერ საკუთარი სახელითაც. ამ ფორმალური ნიშნის მიხედვით მ. ლინდგრენი ორ ჯგუფად აერთიანებს მათ,¹⁶ ხოლო გ. პოლიაკოვა უფრო დეტალურ დაჯგუფებას გეთავაზობს „პაგრონის“ ვინაობის (ან რაობის) გათვალისწინებით:¹⁷

1. კავშირი პაგრონის სახელთან არა გვაქვს – te-o-ქი do-e-ro და ცალკეულ კონკრეტულ დვთაებათა მონები;

2. დამოსის მონები (მხოლოდ კნოსოსი);

3. მონები, რომლებსაც სასახლე აგმაენის კერძო პირის განკარგულებაში;

4. კერძო პირთა მონები:

ა. აღმინისგრაციის წარმომადგენელთა;

ბ. ქურუმთა;

გ. გაურკვეველი მდგომარეობის პირთა;

დ. ნაყიდი მონები (მხოლოდ კნოსოსი).

ცხადია, რომ ასეთი მიდგომა თითქოს კარგ საფუძველს ქმნის მიუკერძოვებელი ანალიზისათვის. მაგრამ როგორც do-e-ro-ს საკუთარი სახელით მოხსენიების დაყოფის კრიტერიუმად აღიარება, ასევე პაგრონის ვინაობის დადგენა უკვე გარკვეული ანალიზის შედეგია. ამიგომ წინამდებარე ნაშრომში სხვა პრინციპი ავირჩიე. ქვემოთ წარმოდგენილია ყველა B-ხაზოვანი ტექსტი ან ტექსტების ჯგუფი (სერია), სადაც გერმინი do-e-ro არის დადასტურებული. მსგავსი შინაარსის დოკუმენტები ერთად განიხილება, რაც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად გავადენოთ თვალი სამოგადოებრივი ცხოვრების ერთ სფეროს და მასში დაკავებულ do-e-ro-თა გარკვეულ კატეგორიას.

რადგანაც მიკენური do-e-ro-სა და კლასიკური¹⁸ დიოსკორის

¹⁶ Lindgren 1973: 36.

¹⁷ Полякова 1978: 172.

¹⁸ საბერძნეთის ისტორიაში „კლასიკური პერიოდი“ გრადიციულად ძე.წ. V-IV საუკუნეებს ეწოდება, მაგრამ ზოგ მკვლევარს „არქაიკა“ და „კლასიკა“, ალბათ, სამართლიანად, ერთი პერიოდის ნაწილებად მიაჩნია (იხ. მაგ., Kitto 1957, 79; R. Gordesiani 1999: 56ff.). კიდევ უფრო ფართო ქრონოლოგიური ჩარჩო აქვს ამ ცნებას მიკენოლოგთათვის – ძველი საბერძნეთი მიკენის შემდგომ (მდრ. McArthur 1993: 19). აქ „კლასიკური“ სწორედ ამ აზრით იხმარება. ძნელი სათქმელია, რამდენად ღრმავა უფსკრული მიკენურ და კლასიკურ ბერძნულ სამოგადოებებს შორის. იხ. მაგ., Gschnitzer 1979; Morpurgo Davies 1979. სოციალური გერმინოლოგიის ანალიზის საფუძველზე მკვლევარები ამ საკითხთან

იგივეობა ექვს არ იწვევს, სასურველია შესწავლილ იქნას ამ უკანასკნელი გერმინის მნიშვნელობის მუსტი საზღვრები და ცვლილებები საუკუნეთა მანძილზე.

მიკენის სოციალურ ისტორიაში „მონობის“ პრობლემა¹⁹ სწორედ ისეთია, რომელიც ძველი სამყაროს სოციალური განვითარების კონტექსტში შესწავლას მოითხოვს. B-ხაზოვანი ტექსტების ანალიზი ამ თვალსაზრისით შეიძლება სასარგებლო გამოდგეს ზოგადად ძველ სამყაროში „მონობის“ საკითხის ახლებურად გასაშუქებლად, ანტიკური და აღმოსავლური „მონობის“ ურთიერთმიმართების დასადგენად. ქვემოთ შევეცდები შევუბნო ამ საკითხსაც, თუმცა პრობლემასთან დაკავშირებული ზღვა მასალის – წყაროებისა თუ სამეცნიერო ლიტერატურის – საფუძვლიანი ანალიზის პრეტენზია არა მაქვს. პარალელურ მასალას ძირითადად მიკენოლოგიისათვის ვიყენებ და თუ მიღებული შედეგები საინტერესო გამოდგა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვისაც, ამ ნაშრომის მიზანს მიღწეულად ჩავთვლი.

ჰილოსის არქივის E კლასის სერიათა ტექსტები, რომლებშიც მიწისმფლობელობის სისტემაა ასახული, წარმოადგენენ დოკუმენტთა ყველაზე დიდ ჯგუფს, სადაც საკვლევი გერმინი დასტურდება.

Es 644

- .1 ko-pe-re-wo , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 7
- .2 a-re-ku-tu-ru-wo-no , we-te-i-we-te-i GRA T 9 V 3
- .3 se-no , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 2
- .4 o-po-ro-me-no , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 1[
- .5 a₁-ki-wa-ro , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T[
- .6 we-da-ne-wo , do-e-ro , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 1 V 2
- .7 wo[-ro-ti-ja-o] do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 3 V 2
- .8 ka-ra-i] , do-so[-mo] , we-te-i-we-te-i GRA V 3
- .9 a-]ne-o , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 2 V 3

დაკავშირებით საპირისპირო დასკვნებაზე მივიდნენ.

¹⁹ მიკენური „მონობის“ პრობლემა საკმაოდ დამუშავებულია. მას ეძღვნება რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა: Лыпе 1957; Tritsch 1958; Lejeune 1959; Лехман 1963; Debord 1973; Gschnitzer 1976; Mele 1976; Chadwick 1988; ქართულ ენაზე იხ. ალექსიშვილი 1971: 151-161. გარდა ამისა, ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც do-e-ro გვხვდება, არაერთი მეცნიერის ყურადღების ცენტრში მოქცეულა, თუმცა ხშირად სხვა მიზანდასახულების გამო. ამ ნაშრომების და მათში გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა შესაბამის ტექსტების ინტერპრეტაციისას უფრო მოსახერხებელი იქნება.

- .10 ?ru-ko-u-ro do-so-]mo , we-te-i[-we-]te-i[GRA]V[
 .11 o-ka] , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 2 V 1
 .12 pi-ro-ta-wo , do-so-mo , we-te-i[-we-]te-i GRA T 2 V[
 .13 ku-da-ma-ro , do-so-mo , we-te-i-we-te-i GRA T 2[

Es 650

- | | |
|--|-------------------------------|
| .1 ki-ri-ti-jo-jo , ko-pe-re-u | e-ke , to-so-de pe-mo GRA 6 |
| .2 a-re-ku-tu-ru-wo, | e-ke , to-so-de pe-mo GRA 7 |
| .3 se-no | e-ke to-so-de pe-mo , GRA 1 |
| .4 o-po-ro-me-no | e-ke to-so-de, pe-mo, GRA 4 |
| .5 a ₃ -ki-wa-ro , a-te-mi-to , do-e-ro | e-ke to-so-de pe-mo GRA 1 |
| .6 we-da-ne-wo , do-e-ro | e-ke to-so-de pe-mo GRA T 4 |
| .7 wo-ro-ti-ja-o | e-ke to-so-de pe-mo GRA 2 |
| .8 ka-ra-i e-ke , to-so-de pe-mo | GRA T 3 |
| .9 a-ne-o | e-ke to-so-de pe-mo GRA 1 T 5 |
| v.1 ru-ko-wo-ro | e-ke to-so-de pe-mo GRA 1 T 4 |
| .2 o-ka | e-ke to-so-de pe-mo GRA 1 T 2 |
| .3 pi-ro-ta-wo | e-ke to-so-de pe-mo GRA 1 T 2 |
| .4 ku-da-ma-ro | e-ke to-so-de pe-mo GRA 1 T 2 |
| .5 pi-ro-te-ko-to | e-ke to-so-de pe-mo GRA [[]] |
| .6-8 vacant | |

Es 703

- .1 we-da-ne-wo , do-e-ro , po-se-da-o-ne GRA T 3
 .2 *34-ke-te-si , do-so-mo GRA V 1
 .3 we-da-ne-wo do-so-mo GRA V 1
 .4 di-wi-je-we , do-so-mo GRA V 1
 .5 vacant

Es სერიის დანარჩენი ტექსტები (645, 646, 647, 648, 649, 651, 652+1453, 653, 726, 727, 728, 729) იმავე ტიპისაა, რაც 703.

Eq 1451

- supra mutila*
 .1]do-e-ro,[
infra mutila

En 74

- .1 ru-*83-o , ko-to-na [] ki-ti-me , to-so-de , pe-mo GRA 1 T[5
Jი სერია ძირითადად (გარდა ტექსტებისა Jი 829, Jი 881) მჭედელთა (ka-ke-u – κἀκκευς) სიებს შეიცავს. ტექსტებში ერთი დასახლებული პუნქტის მჭედლები ერთად არიან ჩამოთვლილი. მათ შორის განირჩევა ორი ჯგუფი, რომელთაგანაც ერთი ხასიათდება როგორც ta-ra-si-ja e-ko-te (ταλασίαν ἔχοντες), ხოლო მეორე – a-ta-ra-si-jo (ἀταλάσιος). ta-ra-si-ja e-ko-te ჯგუფის თითოეული წევრის გასწვრივ აღინიშნება ბრინჯაოს გარკვეული რაოდენობა. ჯგუფს მოსდევს ჯამური რაოდენობა ბრინჯაოსი (to-so-de ka-ko, to-so-de e-pi-da-to ka-ko pa-si, to-so-de e-pi-da-to – ἐπίδατος), ზოგჯერ ბასილევსის (qa-si-re-u) სახელიც (Jი 845, Jი 431, Jი 601). შემდეგ ჩამოთვლილი არიან a-ta-ra-si-jo ka-ke-we. სავარაუდოა, რომ ამ ჯგუფში ერთიანდებიან ასევე do-e-ro. ორი ამჟამად მჭედელთა ჯგუფშია ჩართული (Jი 431.11–qe-ta-ko-jo do-e-ro, Jი 750.13 – e-u-we-te-ro do-e-ro, შესაძლოა მათ მივათვალოთ ასევე Jი 431.25–26] i-je-re[] VIR 10 to-sa-no-jo VIR 5 / VIR] | a-mu-ta-wo-no VIR 31), დანარჩენ შემთხვევებში ისინი თითქოს გამოყოფილნი არიან (Jი 310, 605, 706 – to-so-de do-e-ro), მაგრამ არც მათ და არც მჭედლებს ბრინჯაოს რაოდენობა არა აქვთ მიწერილი. ისინი სხვა მჭედლებისაგან განსხვავებით მოიხსენიებიან არა საკუთარი, არამედ პაგრონის სახელით.

ტექსტების სწორი გაგება დიდად არის დამოკიდებული გერმინის

⁸¹ PTT I: 180.

ta-ra-si-ja მუსტი მნიშვნელობის დადგენაზე. სრულიად აშკარაა, რომ ეს ტერმინი მჭიდრო კავშირშია ბრინჯაოსთან, მაგრამ ამ კავშირის ხასიათი დაუდგენელია. მკვლევრები სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ვეთავაზობენ.⁸²

1. ლითონის განაწილება სასახლის მიერ:

ა. გარკვეული რაოდენობის ლითონის დამუშავების ვალდებულება, pensum;⁸³

ბ. „სახელმწიფო შეკვეთა“ ბრინჯაოს დამუშავებაზე, რაც გარკვეულ პრივილეგიას წარმოადგენდა და ასეთი „შეკვეთის“ მქონე მკვლელებს სახელმწიფო გადასახადებისაგან ათავისუფლებდა;⁸⁴

2. მკვდელთა გადასახადი;⁸⁵

3. საკრალური კოროპორაციის წევრობა, რაც სამუშაოს ალების უფლებას იძლეოდა.⁸⁶

უკანასკნელი შესაძლებლობა ყველაზე ნაკლებად მისაღებია. ტექსტების „ეკონომიკური პრინციპიდან“ გამომდინარე, არ უნდა იყოს მოსალოდნელი, რომ ასხვავებდნენ სახელმწიფოს, ან სხვა ინსტიტუციის მიერ „შემოწმებულ, ატესტირებულ“ და „შეუმოწმებელ“ მკვლელებს. ერთ ჯგუფს რაღაც აქვს, მეორეს კი არა, ე.ი. ერთი პრივილეგირებულია. არ არის აუცილებელი, რომ პრივილეგირებული ის იყოს, ვისაც „აქვს“.⁸⁷ ta-ra-si-ja შესაძლოა, ვალდებულებასაც ნიშნავდეს – სამუშაოს ან გადასახადს.

ta-ra-si-ja-ს გადასახადად გაგების სასარგებლო არგუმენტებად მოჰყავთ ლითონის არათანაბარი განაწილება მკვლელებზე და მისი რაოდენობის სიმცირე.⁸⁸ მაგრამ ერთი მკვდლისათვის მიცემული მინიმალური რაოდენობა, რომელიც ტექსტებში დასტურდება – 1,5 კგ, სულაც არ არის ცოტა, თუ მისგან 1,5-2 გ. წონის ისრისპირები იყო დასამზადებელი.⁸⁹ ბევრ შემთხვევაში ლითონის გაცილებით დიდ რაოდენობებზეა საუბარი. თავისი წყობით ტექსტები გადასახადების გადახდის უწყისებს არ გვანან. ასეთ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა თვით ტერმინი *ταλαντίαν ἔχουσες* –

⁸² მიმოხილვისათვის იხ. Hiller 1972; Duhoux 1976: 69sqq.; DMic II: 317.

⁸³ Docs : 352; Palmer 1963 : 279 ; Killen 2008 : 194.

⁸⁴ Lejeune 1961 : 409sqq.

⁸⁵ Pugliese Carratelli 1963.

⁸⁶ Hurst 1968: 92sqq.

⁸⁷ Hiller 1972: 54.

⁸⁸ Pugliese Carratelli 1963: 242ff. შდრ. Hooker 1982: 209ff., სადაც ბრინჯაოს რაოდენობის სიმცირე მიკენურ სამყაროში მოახლოებული ეკონომიკური კატასტროფის ნიშნად არის მიჩნეული.

⁸⁹ Docs: 356.

„გადასახადის მქონენი“. გადასახადი კი არ „აქვთ“, მას იხდიან.⁹⁰ ასევე საუკუოა „გადამხდელ“ და „გადასახადებისაგან თავისუფალ“ მჭედელთა გვერდით „მსასურების/მონების“ მოხსენიება, გაურკვეველია გადასახადის დაკისრების პრინციპი და სხვ. ტერმინი ta-ra-si-ja გვხვდება სხვა სერიათა ტექსტებშიც: KN Lc 535, L 642, So 4442, MY Oe 110. იგი ყველგან გარკვეულ მასალასთან ჩანს დაკავშირებული და არსად არ უნდა ნიშნავდეს გადასახადს, უფრო მასალის მიცემას მისი შემდგომი დამუშავების ვალდებულებით.⁹¹ ზემოთ მოგანილი ტექსტიდან არ ჩანს, თუ რა პროდუქცია უნდა დამზადებულიყო მჭედლებზე განაწილებული ბრინჯაოსაგან. შესაძლოა, ამ საკითხს ტექსტი Jh 829 ჰყენდეს შუქს: სახელმწიფოს ფუნქციონერებს მოაქვთ ბრინჯაო ისრისა და შუბისპირების დასამზადებლად.

Jh 829 და Jh 881, ასევე სერიის ზოგიერთი ტექსტი წარმოადგენს დუბლეტს, მაგრამ მათ შორის არის გარკვეული საგულისხმო განსხვავებებიც, რომლებიც ბადებს კითხვას ლოკალურ ინფორმაციასა და ცენტრალურ დაგეგმვას შორის მიმართების შესახებ.⁹² აქ პრინციპულად ორი შესაძლებლობაა: ადგილიდან წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე დგება გეგმა, ან გეგმა წინა წლის შედეგების გათვალისწინებით იქმნება და შემდეგ მუსტდება ადგილებიდან მოსული ახალი ინფორმაციით. ს. ჰილერის აზრით, ტექსტების უმრავლესობა ადრეული დოკუმენტის საფუძველზე შედგენილი გეგმაა, ხოლო Jh 658 და Jh 692 რეალური შესრულების დროს მომხდარ ცვლილებებს ასახავენ. მსგავსად დგებოდა გადასახადის ტექსტებიც: Jh 829 – წინასწარი გეგმა, შემდგომი ცვლილებები – Jh 881 (თუმცა ძალიან დაზიანებულია და ჭირს ზუსტად თქმა).⁹³

დასაშვებია, რომ ტექსტებში Jh 829 და Jh 881 აღნუსხული ლითონი სწორედ ამ სერიის დანარჩენი ტექსტების მჭედლებს უნაწილდებოდა.⁹⁴ მსგავსი მაგალითები ძველადმოსავლურ

⁹⁰ Hiller 1972: 60.

⁹¹ შტრ. Hiller 1972: 60f.: ta-ra-si-ja ნელელუსაც შეიძლება აღნიშნავდეს და მზა პროდუქციასაც. ამის საპირისპიროდ, იხ. Uchitel 1991: 196: მხოლოდ ნელელუი. საბოლოო პროდუქციის დამზადებაზე მუშაობდნენ a-ke-te-re („finishers“, a-ke-ti-ri-ja-ს მამრობითი შესატყვისი. ამ ტერმინისათვის იხ. ასევე Hurst 1968: 92sqq.; Tegey 1968: 5ff.; Killen 1979: 166f.), რის გამოც არ იღებდნენ ნელელულს – ta-ra-si-ja.

⁹² შტრ. Tegey 1968.

⁹³ Hiller 1972: 65ff.

⁹⁴ Hiller 1972: 62.

გექსტებში ხშირად გვხვდება. მიკენურ სამყაროშიც, სადაც მეურნეობის ცენტრში სასახლე იდგა, ამგვარი პრაქტიკა სავსებით ბუნებრივად გამოიყურება. სასახლე იმპორტის და გადასახადების სახით იძენდა ნელელულს, რომელსაც სამეფოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მკვლელებს ადგილზევე დასამუშაებლად უნაწილებდა.⁹⁵ ასეთ შემთხვევაში სასახლე დაინტერესებული იყო არა მარტო ნელელულისა და მისი მიმღების აღრიცხვით, არამედ მკვდელთა სრული სიითაც. ჩემი აზრით, მკვდელთა სრული სიის და, მათ შორის, ta-ra-si-ja-ს მქონეთა მუსტი აღრიცხვა სასახლეს საშუალებას აძლევდა სწორად დაეგეგმა ლითონის წარმოებაც და გადასახადებიც. ta-ra-si-ja-ს გარეშე დარჩენილი მკვდელები ასრულებდნენ რიგითი მეთემის შესაბამის ვალდებულებებს – ამუშავებდნენ მიწას, იხდიდნენ სელისა (PY Na) თუ სხვა სახის ნაგურალურ გადასახადებს, და მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში ta-ra-si-ja-ს მისაღებად. მკვდელები, რომელთაც დაეკისრათ სასახლის შეკვეთის შესრულება, გარკვეული დროის მანძილზე თავისუფლებოდნენ სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან.⁹⁶ გადასახადები, რომლებიც მათ უნდა გადაეხადათ, აკლდებოდა მათი სოფლისათვის დადგენილი კოლექტიური გადასახადის ოდენობას (მდრ. PY Ma, Na სერიები). შესაბამისად, ta-ra-si-ja არც პრივილეგიაა და არც მძიმე ვალდებულება. იგი უფრო საგანგებო შეკვეთაა, რომლის შესრულებაც ათავისუფლებს სხვა ვალდებულებათაგან, ე.ი. ხდება ერთის კომპენსაცია მეორით.

როგორც აღინიშნა, მკვდელთა სიებში do-e-ro ან a-ta-ra-si-jo ka-ke-we ჯგუფში არიან ჩართული, ან ცალკე ჯგუფად (to-so-de do-e-ro) გამოყოფილი, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მათ გასწვრივ ბრინჯაოს რაოდენობა არ არის აღნიშნული, ე.ი. მათ „სახელმწიფო შეკვეთა“ არ ეძლევათ. თავისთავად, „შეკვეთის“ მიღება, როგორც ვნახეთ, არ უნდა წარმოადგენდეს პრივილეგიას. შესაბამისად, მხოლოდ ამ ნიშნით do-e-ro-თა სოციალურ მდგომარეობაზე ვერაფერს ვიცევით. ქურუმებისა და ღმერთების do-e-ro, როგორც ზემოთ

⁹⁵ Uchitel 1991: 199: ta-ra-si-ja/ a-ta-ra-si-ja ოპოზიციის გვერდით შეიძლება დაინახოთ ta-ra-si-ja/ ke-ri-mi-ja ოპოზიციაც, რომელიც სახლში დამზადებულსა და სახელოსნოს ნაწარმს შორის სხვაობას უნდა შეესაბამებოდეს. ამ საკითხზე იხ. ასევე ქვემოთ.

⁹⁶ Lejeune 1961: 409. მდრ. Mele 1976: 124. მკვლევეარი ვერ ხელავს საუბუძელს იმისათვის, რომ „განთავისუფლებული“ მკვდელები „სახელმწიფო შეკვეთის მქონე“ მკვდელებთან გაეაიგივოთ.

აღინიშნა, არ ჩამოუვარდებოდნენ სოციალურად მიკენური სამოგადოების სხვა ფენებს. მჭედლები ასეთი პირების თანასწორუფლებიანი მეუღლეები იყვნენ (An 607),⁹⁷ თუმცა არ არის ნათელი, თვით ეს მჭედლები განეკუთვნებოდნენ თუ არა do-e-ro კატეგორიას.⁹⁸ განსახილველ სერიაში do-e-ro კატეგორიის მჭედლებს ეწოდებათ არა ka-ke-we, არამედ მჭედელთა do-e-ro. ისინი მოიხსენიებიან იმ პირის სახელით, ვის მიმართაც გარკვეულ დაქვემდებარებაში არიან, რის გამოც ისინი სოციალურად „პაგრონზე“ დაბლა უნდა მდგარიყვნენ, თუმცა საკუთარი სახელის გარეშე მოხსენიება კიდევ არ ნიშნავს მონურ სტატუსს.⁹⁹

ვინ არიან Jh სერიის do-e-ro-თა „პაგრონები“?

ექვს შემთხვევაში პაგრონი არ ჩანს მჭედელთა სიებში და, შესაბამისად, არც არის მჭედელი. ექვს შემთხვევაში პაგრონი „შეკვეთის მქონე“ მჭედელია, ხოლო კიდევ ორში – „შეკვეთის არამქონე“. do-e-ro-თა ამ ჯგუფისადმი კუთვნილება არაფრისმთქმელია ta-ra-si-ja-ს შინაარსის დასადგენად, მაგრამ იმაზე მიუთითებს, რომ ამ გერმინით პრივილეგია აღინიშნება თუ დაგვირთვა, do-e-ro-ს „პაგრონის“ ta-ra-si-ja-ში წილი არ აქვს.

მამინ საერთოდ რაგომ არიან do-e-ro ამ გექსტებში მოხსენიებული და როგორ გავიგოთ იმ do-e-ro-თა მდგომარეობა, ვისი „პაგრონიც“ არ არის მჭედელი?

PY Jh სერიის გექსტების სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემის კონტექსტში განხილვიდან ჩანს, რომ სასახლე დაინტერესებულია მთელი პერსონალით. ის მჭედელი, რომელიც არ მიიღებს „შეკვეთას“, არ თავისუფლდება გადასახადებისაგან და შეიძლება გაწვეულ იქნას სახელმწიფო სახელოსნოში სამუშაოდ. სამუშაოზე do-e-ro-ს ვაყვანის ირიბ საბუთს Fh სერიაში ვხვდებით.¹⁰⁰ ორივე შემთხვევაში do-e-ro პაგრონის გარეშე ეწევიან სამეურნეო

⁹⁷ Pugliese Carratelli 1963: 250.

⁹⁸ იხ. ზემოთ.

⁹⁹ Tritsch 1958: 406.

¹⁰⁰ Fh სერიაში მოხსენიებულ კერძო პირთა „მონების“ ვაიგივება გექსტში An 1281 ჩამოთვლილ, მათი პაგრონების დაქვემდებარებაში მყოფ პირებთან საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ არა უღაო. შლრ. Sheldermine 1987: 341. ზოგიერთ გექსტში (Ac 142, Ac 344, Ub 1318, Vn 1191) ასევე გვხვდება ორ-ორი საკუთარი სახელი, რომელთაგანაც ერთი ნათესაობით ბრუნვაშია, მეორე – სახელობითი. 8. დეგერ-იალკოცის აზრით, ამ შემთხვევებშიც მონები იეარაულება (Deger-Jalkotzy 1978: 77). მაგრამ ნათესაობითი ბრუნვა შეიძლება აღნიშნავდეს არა მხოლოდ პაგრონისა და საკუთრების დამოკიდებულებას, არამედ ზოგადად დაქვემდებარებასაც და ნათესაურ კავშირსაც. შლრ. ko-wo (Ac 142, Ac 1014), i-65 (Ac 344).

საქმიანობას, მაგრამ არქივს მაინც პაგრონის სახელი უფრო აინტერესებს, ვიდრე კონკრეტული შემსრულებლისა.¹⁰¹ როგორც ჩანს, პაგრონს ეკისრებოდა ამ საქმიანობაზე გარკვეული პასუხისმგებლობა.¹⁰² სავარაუდოა, რომ „მსახურის/მონის“ მიერ სასახლისათვის გარკვეული სამუშაოს შესრულება მისი „პაგრონის“ ვალდებულებათა ანგარიშში იწერებოდა.¹⁰³ აქაც აღრიცხვის ორმაგი პრინციპი შეიძლება დავინახოთ: ერთის მხრივ, სასახლეს აინტერესებს „მსახურის/მონის“ პროფესია და, შესაბამისად, მისგან კონკრეტულ საქმეს მოითხოვს, ხოლო მეორეს მხრივ, პაგრონისათვის ფიქსირდება ზოგადად ვალდებულებათა (ან მათი გარკვეული ნაწილის) მოხდა.

KN C 911

- .1 ma-mi-di-zo / pi-ri-to-jo OVIS^f 40[
- .2 [..]-ro , da-nu-wo OVIS^f 100[
- .3 po-ri-wo , / su-ki-ri-ta-jo , wo-we-u CAP^m 180
- .4 ja-ru , / pa-ta-ti-jo , do-e-ro , CAP^f 230
- .5 a-du-po-to , / qi-ko-we-e , do-e-ro , CAP^f 90
- .6 qa-di-ja , / po-ku-te-ro , da-mo , ‘do-e-ro’ CAP^f 70
- .7 da-[..] / po-ku-ta CAP^f 130
- .8 ra-wa-ni , / po-ku-ta , ra-ri-di-jo OVIS^m 190
- .9 o-mi-ri-so , / ta-so , do-e-ro OVIS^m 50
- .10 [..]-so , / a-pi-me-de-o , po-ku-ta ‘ra-ri-di-jo’ OVIS^f 140
- .11 ku-jo [/] ta-so // do-e-ro OVIS^f 100
- .12 a-*56-da-ro / ka-ta-mi-jo , do-e-ro OVIS^x[(prob. f []100)
- .13 a-ra-ko , / ra-ri-di-jo , do-e-ro OVIS^m 100[(prob. 120)
- .14-.17 *vacant*

KN C 912 + 5027

¹⁰¹ ს. შელმერდინს, ტექსტის An 1281 მისეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, „მონათა პაგრონები“ ჩრდილო-აღმოსავლეთ სახელოსნოს შეღებულელებად მიაჩნია, ხოლო მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირები, დამოუკიდებლად მათი სტატუსისაგან – ხელოსნებად. Shelderdine 1987: 341. თუ „პაგრონი“ მოხელეა, მისი „მონაც“ მოხელედ შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგრამ, ჩემი აზრით, ტექსტი არ იძლევა საფუძველს „პაგრონების“ სახელოსნოში ყოფნის ვარაუდისა: „თავისუფალი“ ხელოსნებიცა და „მონებიც“ დათვლილნი არიან, ხოლო „პაგრონები“ არ შედიან ამ სათვალავში.

¹⁰² შლრ. Dandamayev 1972: ბაბილონში „მონები“ ფლობდნენ უძრავ და მოძრავ ქონებას, მათ გააჩნდათ პირადი უფლებები და ეკონომიკაში თავისუფალთა თანასწორ პარტნიორებად გამოდიოდნენ, მაგრამ იურიდიულად ქონების მესაკუთრედ და „მონის“ საქმიანობაზე პასუხისმგებლად პაგრონი ითვლებოდა.

¹⁰³ შუამდინარეთში მსგავსი პრაქტიკისათვის იხ. Мелюкшашвили 1985: 12.

- .1] re-ko-no-jo
- .2 pu-wo / po-ku-ta // da-we-ro OVIS^m 270
- .3 wa-du-na-ro , / po-ku-ta OVIS^m 110
- .4 [.] -qa-to , / pa-[]te-re[] OVIS^x 140[
- .5 pu-na-to , do-e-ro , e-te-wa-tu-wo [[OVIS^m]] OVIS^m 80
- .6 i-ro-to , []na-jo OVIS^m 80
- .7 qa-sa-ko , / [.] -wa-so OVIS^m 170
- .8 ka-sa-ro , / a-da-wa-si-jo OVIS^m 60
- .9 di-[] OVIS^m 140[
- .10 a-nu-no[/]jo-te[] OVIS^m 80
- .11 ko-to , / po-ku[] OVIS^f 100[
- .12]re-to / ka-[
- .13 *inf. mut.*
- v.1 su-pu-wo / do-e-ro-jo OVIS^x[]70 CAP^f 40
- .2 to-so OVIS^m 900 [

KN C 915

- .A] OVIS^f 10 [
- .B] pa-ro , a-pi-qa-ta / pa-ro , do-e-ro CAP^f 10[

კნოსოსის არქივიდან მომდინარე ეს ტექსტები, შესაძლოა, გვიანმინოსურ II პერიოდს განეკუთვნებოდნენ. მათი შინაარსი საკმაოდ იოლი გასაგებია: ჩამოთვლილია სხვადასხვა პირები, რომელთა სახელების გასწვრივ აღნიშნულია საქონლის, ძირითადად, ცხვრების გარკვეული რაოდენობა. სიების შედგენის მიზნით გაურკვეველია.¹⁰⁴ აქ შეიძლება სასახლის შემოსავალიც (გადასახადები – დაგეგმვა ან რეალური შესრულება) იგულისხმებოდეს და გასავალიც (ანაზღაურება გარკვეული სამსახურისა), სხვათა საკუთრებაც და მსახურეულ პირთათვის სამეფო ფარებზე პასუხისმგებლობის დაკისრებაც. სერიის ტექსტების უმრავლესობისათვის ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ყველაზე რეალურად მჩვენება.

განსახილველ ტექსტებში ჩამოთვლილ პირთა საკუთარ სახელებს რიგ შემთხვევაში ერთვის მათი სოციალური თუ თანამდებობრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი გერმინები: po-ku-ta, ra-ri-di-jo, wo-we-u, do-e-ro. გერმინების ზუსტი მნიშვნელობის დადგენა არ ხერხდება. ra-ri-di-jo, შესაძლოა, ანთროპონიმიდან ნაწარმოები ზელსართავი სახელი იყოს, po-ku-ta და wo-we-u კი

¹⁰⁴ KN C სერიისათვის იხ. მაგ., Baumbach 1992.

აშკარად ადამიანთა ჯგუფის მახასიათებლებია,¹⁰⁵ მაგრამ ვერ ვიგყვით, წმინდა პროფესიული თუ, მიკენური do-e-ro-ს მსგავსად, სოციალურ-თანამდებობრივი. ყოველი შემთხვევისათვის ეს პირები მათ გვერდით მოხსენიებულ „მონებზე“ მაღალი სტატუსისა არ ჩანან.

ერთ შემთხვევაში do-e-ro თემისადმი კუთვნილებით არის დახასიათებული.¹⁰⁶ „მსახურების/მონების“ დანარჩენ „პაგრონთა“ ვინაობის დადგენა არ ხერხდება, რადგანაც ისინი სხვა ტექსტებში აღარ გვხვდებიან. შესაძლოა, ისინი იყვნენ კერძო პირები და სასახლის წინაშე ვალდებულების მოხდის ანგარიშში მათი ყმები სამეფო ჯოგებს მწყემსავენენ. მაგრამ უფრო სარწმუნოდ მეჩვენება აზრი, რომ „პაგრონებიც“ და მათი „მონებიც“ სასახლის სამსახურში იღვნენ. ამაზე უნდა მიუთითებდეს, ერთის მხრივ, KN C სერიის საკუთარი სახელები, მეორეს მხრივ, KN C სერიის გარკვეული მსგავსება ენოსოსისა და პილოსის არქივების მესაქონლეობასთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან ტექსტებთან.

ა. ენოსოსის არქივში დადასტურებულ საკუთარ სახელთაგან უმრავლესობა არაბერძნული წარმოშობისაა.¹⁰⁷ განსახილველ სიებში ცალკეული ბერძნული სახელები გვხვდება როგორც „პაგრონებს“, ასევე „მონებს“ შორის. აქაველთა მიერ დაპყრობილ მინოსურ კრეტაზე ძნელი წარმოსაღგენია არაბერძენი ბაგონის ბერძენი ყმა.

ბ. მართალია, განსახილველი სამი ტექსტის „მონათმფლობელები“ არ არიან მკვლევართა მიერ კრეტელ „შემგროვებელთა“ სიაში შეტანილი, მაგრამ შეიძლება მათ უუნქციებს შორის გარკვეული სიახლოვე ვივარაუდოთ. როგორც უკვე აღინიშნა, მათ „მონებს“ დაბალი რანგის მოხელეებად ვთვლი. ისინი შეიძლება PY Cn სერიის „მწყემსებს“ გაუუთანაბროთ. მეურნეობაში დასაქმებულ მოხელეთა, „შემგროვებელთა“ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა სამუშაო ძალა – ქალები, რომელთა „მონურ“ სტატუსზე სამი ტექსტი უნდა მიუთითებდეს:

KN Ai 824

.1 a-pi-qo-i-ta / do-e-ra MUL 32 ko-wa, me-zo-e 5 ko-wa me-wi-jo-e 15

.2 ko-wo me-wi-jo-e 4

¹⁰⁵ *DMic* II: 136, 224. 449; Baumbach 1992: 59f.

¹⁰⁶ qa-di-ja po-ku-te-ro da-mo do-e-ro. სავარაუდოა, რომ თემის „მონა“ Q. იყო იმპედროულად po-ku-ta (Baumbach 1992: 60). თემის მონების გაჩენა ს. ლურიუს მონობის განვითარების მაღალი საფეხურის დასტურად მიაჩნია (Лурье 1957: 11).

¹⁰⁷ Baumbach 1992: 62.

„a-pi-qi-i-ta (Ἀμφιόιτας) მსახურები/მონები: 32 ქალი, 5 დიდი გოგო, 15 პაგარა გოგო, 4 პაგარა ბიჭი“

„პაგრონის“ ვინაობა დაუდგენელია. შესაძლოა, აქ იგივე პირი მოიხსენიებოდეს, ვინც ტექსტებში KN C 915, C 941 (a-pi-qi-ta).¹⁰⁸ KN Ai, Ak სერიათა ფრაგმენტულ ტექსტებში მრავალი ასეთი ჯგუფია აღრიცხული. რიგ შემთხვევაში დიდმოხელის სახელს ვხვდებით (მაგ., Ak 615 a-ni-qi-ta), ზოგჯერაც რაზმი „პაგრონის“ გარეშეა ნახსენები. „უპაგრონო“ საქონლისა და სახელოსნოების მსგავსად, ასეთი რაზმები სასახლის უშუალო დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყვნენ.¹⁰⁹

KN Ai 1036

- .1]*56-so-jo, / a-mi-ni-so, // do-e-ra
- .2] *vacat*

KN Ak 7024¹¹⁰

- .1] 2[
- .2]ko-wo, me[
- .3] do-e-ra MUL [

ფირფიტები ძალზე დამიანებულია და მხოლოდ ორი სერიის კონტექსტში იძენს შინაარსს. ქალებისა და ბავშვების რაზმების აღმნუსხველ ტექსტებს პილოსის არქივშიც ვხვდებით. თუმცა, პილოსის ტექსტებში ტერმინი do-e-ri არაა დადასტურებული. ეს ტექსტები ზემოთ საგანგებოდაა განხილული.

KN Ai 1037, B 822, B 988 ტექსტების გათვალისწინებით, სადაც „ნაყიდი მონები“ იხსენიებიან, პილოსშიც ქალების წარმოშობა ყიდვით შეიძლება აიხსნას.¹¹¹

ნაყიდი მონების არსებობა, როგორც წესი, საზოგადოებაში მაღალგანვითარებული მონობის ინსტიტუტის ნიშნად არის მიჩნეული. Chattel slavery, l'esclavage marchandise სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად კლასიკური მონობის სინონიმდაც გამოიყენება.¹¹² ამიგომ მკვლევართა ყურადღება თავიდანვე მიიპყრო ენოსოსის არქივიდან მომდინარე შემდეგმა ლოკუმენტებმა:

¹⁰⁸ *DMic* 1: 83sqq.

¹⁰⁹ Palmer 1963: 165f.

¹¹⁰ შესაძლოა, იმავე ფირფიტის ნაგები, რაც Ak 7022. KT 4, 16.

¹¹¹ Chadwick 1988: 92.

¹¹² იხ. მაგ., Gelb 1972; Finley 1980: 68f.; Garlan 1982: 37sqq.

KN Ai 1037

.1 ?do-]e-ra we-ka-sa[

.2]qi-ri-ja-to, [

KN B 822

.1a]

po-da-qe-re-si-je-wo

.1b]pi-ro / si-ra-ko , qi-ri-ja-to // ku-te-ro / ku-ro-jo , do-e-ro , VIR I

.2] *vacat***KN B 988 + 5761 + 7040 + 7601 + III-36¹¹³**

.a pa-qo-si-jo , si-ra , qi-ri-ja-to , [

.b ka-ra-na-ko , / ko-ma[-we-]to , do-e-ro , VIR I [

qi-ri-ja-to ის იშვიათი გამონაკლისია, რომლის თავდაპირველი გაიგივება ბერძნულ ფორმასთან (πρίατο – „იყიდა“)¹¹⁴ საღისეუსიო არ გამხდარა. შემოთ მოგანილი ტექსტების გარდა ეს ზმნა გვხვდება კიდევ მინიმუმ ერთ ფირფიტაზე (KN Ai 5976), ალბათ, ასევე მონასთან დაკავშირებით.¹¹⁵ Ai 1037 მეგად დაზიანებულია იმისათვის, რომ მისი შინაარსის გარკვევა მოხერხდეს. we-ka-sa, შესაძლოა, epγ- ძირს დაეუკავშიროთ და, შესაბამისად „მონა ქალის“ მახასიათებელი უნდა იყოს.¹¹⁶ ორი დანარჩენი ლოკუმენტის ბრწყინვალე მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ე.-პ. ოლივიე შემდეგ დასკვნებამდე მივიდა:

1. მიკენურ ეპოქაში დგებოდა მონების ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები, რომლებიდან ამონაწერსაც წარმოადგენენ განსახილველი ტექსტები.

2. მათი შედგენისას სასახლის აღმინისტრაცია თვით მონით იყო დაინტერესებული, რაზეც მიუთითებს დიდი ნიშნებით დაწერილი მისი სახელი, კაცის იდეოგრამის თანხლებით.

3. საეარაუდოა, რომ მონები სასახლის ხარჯით არიან ნაყიდი.

4. ფირფიტები, ალბათ, წარმოადგენდნენ სამეს ან ცნობას, რომლითაც ახალი პერსონალი სასახლეში მოდიოდა.

5. განსხვავებით ფირფიტების უმრავლესობისაგან, რომლებიც მხოლოდ მომენტის მდგომარეობას აუიქსირებენ, ამ ტექსტებში ასახულია მოქმედება – ყიდვის კონტრაქტი. თუმცა გაურკვეველია

¹¹³ ტექსტი ე.-პ. ოლივიეს ახალი აღდგენის მიხედვით: Olivier 1987.

¹¹⁴ Furumark 1954: 20.

¹¹⁵ Olivier 1987: 487, n. 31. ჯ. კილენი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მონა ქალის გაყიდვაზე იყოს საუბარი დაზიანებულ ტექსტში KN Ai 982. Killen 1988: 168.

¹¹⁶ *DMic* II: 418.

მნიშვნელობა გერმინისა si-ra-(ko); თვით მზნური ფორმის „იყიდა“ ზუსტი სემანტიკა; ასევე do-e-ro-ს სოციალური სტატუსი.¹¹⁷

ორივე ტექსტი შედგენილი ჩანს ერთი ფორმულით: A-მ იყიდა B, C-ს მონა, I კაცი. კონტრაქტთან შედარებით ამ ტექსტს აკლია შემდეგი მონაცემები: თარიღი, ადგილი, „თანხა“, მოწმეები. ამგვარი ამონაწერი მართლაც „მონის პირადობის მოწმობას“ მოგვაგონებს და საკმაოდ სერიოზული საბუთია მიკენურ სამყაროში იურიდიული შინაარსის დოკუმენტების არსებობის სასარგებლოდ. წერილობითი კონტრაქტების ფონზე აღარც დაწერილი კანონების არსებობა უნდა გამოირიყოს.¹¹⁸

კნოსოსის სასახლის ე.წ. ჩრდილოეთ კარიბჭესთან ამ ტექსტების აღმოჩენა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ან მყიდველი, ან გამყიდველი სასახლესთან იყო დაკავშირებული და მის ინტერესებში მოქმედებდა. pi-ro (B 822 „მყიდველი“) სხვა ტექსტებში არ ჩანს. მის მიერ „ნაყიდი მონის“ ყოფილი პატრონის სახელი (ku-ro₂, Κύριος,¹¹⁹ Κυλλός, Σκύλλος¹²⁰) კნოსოსის არქივში კიდევ ორჯერ არის დადასტურებული (As 603.3; U 4478.17), თუმცა ამ პირთა გაიგივება სათუთა. მეორე საბუთში მოხსენიებული „მყიდველისა“ და „გამყიდველის“ სახელებიც მეორდება ტექსტებში: pa-qi-si-jo da-*22-to-ს ოლქში გვევლინება „მწყემსად“ (Dq 441), ხოლო ko-ma-we(-ta) – იქვე „შემგროვებლად“ (Ap 618, B 798, C 913, Dk 920, Dk 931, Dk 1049, Dv 1272, Dv 5278, Dv 8562, Le 5629). თუ ამგვარი იდენტიფიკაცია გავიზიარეთ, სასახლისაგან მომორებით მყოფმა ერთმა მოხელემ მეორისაგან „იყიდა მონა“, რომელიც სასახლეში აღმოჩნდა. რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში „მონის ყიდვა“? სავარაუდოა, რომ მეურნეობის ერთი ქვეგანაყოფიდან მეორეში „მონის“ გადაყვანის შემთხვევაში მის ყოფილ „პატრონს“¹²¹ გარკვეული მატერიალური კომპენსაცია ეძლეოდა.

საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, განსხვავება პილოსისა და კნოსოსის ტექსტებს შორის. კრეტაზე ეთნიკურ-გეოგრაფიული ნიშნით დახასიათებული რაზმები ადგილობრივი წარმომავლობისა ჩანან. სავარაუდოა, რომ წინაბერძნული მოსახლეობა ჯერ არ იყო ასიმილირებული დამპყრობლების მიერ და მას სასახლის მეურნეობაში მუშაობას აიძულებდნენ. შესაძლოა, ამას

¹¹⁷ Olivier 1987: 497sq.

¹¹⁸ შტრ. Thomas 1984.

¹¹⁹ Docs²: 558.

¹²⁰ Ilievski 1979: 143.

¹²¹ „პატრონი“ შეიძლება მონის ან ყმის ნამდვილი პატრონიც იყოს და სასახლის მოხელეც, რომელსაც სასახლის მონების შრომის წარმართვა ევალებოდა.

უკავშირდებოდეს „რაციონების“ მხოლოდ მარცვლეულით გაცემა.¹²² ექსპლოატაციის ეს ფორმა მეგ სიახლოვეს იჩენს შუამდინარულთან¹²³ და ღორიულთან (პელოგები და მისთანა), ვიდრე „კლასიკურ მონობასთან“. ხომ არ შეიძლებოდა პილოსისა და კნოსოსის ქალთა მდგომარეობას შორის განსხვავებით აგეეხსნა ტერმინ do-e-ra-ს მხოლოდ კრეტულ ტექსტებში გამოჩენა? მაშინ ეს ტერმინი ვერ იქნება „მონის“ აღმნიშვნელი, რადგანაც თუ პილოსში საერთოდ არიან მონები, ისინი მხოლოდ Aa, Ab სერიების ქალები და მათი შეილები უნდა იყვნენ.

საკვლევი ტერმინი გვხვდება ასევე შემდეგ ფრაგმენტებში, რომელთა შესახებაც ჭირს რამე კონკრეტულის თქმა. „პაგრონთა“ სახელებისაგან მხოლოდ დაბოლოებები შემოგვრჩა, რის გამოც არ ხერხდება აქ მოხსენიებული პირების მიკუთვნება do-e-ro-თა რომელიმე ჯგუფისადმი.

KN B 5984

.a]-qo [

.b]-jo do-e-ro VIR[

KN Ap 628 + 5935

.1A vac.[

.1B]-ja , / a-ke-wo ‘do-e-ra’ MUL 4 [[ko]] [

.2]ro , / do-e-ra [MUL] 1 di-qa-ra[

.3]ne-o , / do-e-ra MUL [

KN Xe 5877 + 6031 + 8521

.1]-jo ‘a-ka-to[‘] do-e-ro [

.2] vest. / i-ta-no // do-e-ro [

.3] vestigia [

¹²² იხ. მაგ., KN Am 819, E 847+5739+7341. პირველ ტექსტში, რუთ პალმერის აზრით, გაცემული მარცვლეული ვერ დააკმაყოფილებდა მუშების მოთხოვნილებებს და რაღაც დანამატი აუცილებელი იქნებოდა. ეს ნორმა უახლოვდება პელოგებისას, მაგრამ ჩამორჩება კატონის მიერ მონებისათვის განსაზღვრულ მამთრის რაციონს. Palmer 1989: 112.

¹²³ იხ. მაგ., Шарашнидзе 1986.

როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, პილოსისა და კნოსოსის არქივებიდან მომდინარე B-ხაზოვანი გექსტების do-e-ro (διόλος - διύλος - „მონა“) აერთიანებს დაბალი სოციალური რანგის დამოკიდებულ ადამიანთა სხედასხვა ფენებს. do-e-ro, როგორც წესი, პაგრონთან ერთად მოიხსენიება. ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სიკყეა, რომელიც ამ გერმინს უშუალოდ წინ უძღვის, პაგრონის სახელია ან მისი თანამდებობისა თუ სტატუსის აღმნიშვნელი გერმინი. ამა თუ იმ პირის სტატუსს განსაზღვრავს არა მარტო (და შესაძლოა, არა იმდენად) გერმინი do-e-ro, არამედ ის, თუ ვის ემსახურება იგი და რა სახის სამსახურს ასრულებს. შესაბამისად, თვით აქაველთა გავებით, ეს გერმინი, ცალკე აღებული, შეიძლება არც ყოფილიყო გარკვეული სოციალური მდგომარეობის ამსახველი. სტატუსის ან თანამდებობის შესატყვისი იყო გექნიკური გერმინი, ფორმულა „do-e-ro x-ისა“, რომლის მნიშვნელობაც ცალკეა დასადგენი ყოველი x-ისთვის.

1. ღმერთებისა და ქურუმების do-e-ro, ჩემი აზრით, საკულტო პერსონალს, დაბალი რანგის ქურუმებს წარმოადგენდნენ. ისინი დაკავებული იყვნენ სასახლის კომპლექსში არსებულ „ტაძარში“, ან ლოკალურ სამლოცველოებში. რიგ შემთხვევაში, ისინი იგზავნებოდნენ სასახლიდან რომელიმე დასახლებულ პუნქტში, სავარაუდოა, გარკვეულ რიგუალებში მონაწილეობის მისაღებად. მათი სტატუსი გარკვეულ თანამდებობას შეესაბამება, მაგრამ მემკვიდრეობით გადადის მშობლიდან შეილზე, რის გამოც „თანამდებობრივ-წოდებრივად“ შეიძლება ჩაითვალოს.

2. te-o-jo do-e-ro („ღვთის მსახურები, მონები“) მხოლოდ სასახლესთან კავშირში ჩანან და, შესაბამისად, სასახლის (ალბათ, საკულტო) პერსონალს შეადგენდნენ.

პიროვნულად ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლები შეიძლება არც ყოფილიყვნენ არათავისუფალნი. სამსახურისათვის მათ ეძლეოდათ სარგებლობაში მიწის ნაკვეთები, რომლებიც ზომით მხოლოდ წარჩინებულთა ნაკვეთებისაგან განსხვავდებოდნენ. გექსტი PY Ed 411 გვაუჩქრებინებს, რომ te-o-jo do-e-ro და, ალბათ, მათთან გათანაბრებული, ცალკეული ღმერთებისა და ქურუმების do-e-ro, სასახლის მიმდებარე ოლქში მოსახლეობის ერთ-ერთ ფენას შეადგენდნენ.¹²⁴

3. მაღალი რანგის მოხელეთა do-e-ro, სავარაუდოა, არ უნდა განვიხილოთ ერთიან ფენად. მათი გარკვეული ნაწილი მიმაჩნია

¹²⁴ Ленцман 1963: 178.

მოხელეებად,¹²⁵ რომელთა მდგომარეობა te-o-jo do-e-ro-სას უახლოვდება. მოხელეები შეიძლება ყოფილიყვნენ ასევე ფისკალურ თუ სამეურნეო ხასიათის ტექსტებში საკუთარი სახელით მოხსენიებული, ღიდმოხელეთა დაქვემდებარებაში მყოფი do-e-ro.¹²⁶ მაღალი რანგის მოხელეებს ჰყავდათ აგრეთვე საკუთარი, ან სასახლის მიერ მათი ზედამხედველობა-პასუხისმგებლობის ქვეშ გაგზავნილი do-e-ro – ყმები თუ მონები.¹²⁷ როგორც ჩანს, ამ გიპის პირთა გადაყვანა მეურნეობის ერთი უჯრედიდან მეორეში გარკვეულ საფასურად ხდებოდა, რაც აისახა გერმინში qi-ri-ja-to do-e-ro.¹²⁸

4. კერძო პირთა do-e-ro-ს მდგომარეობის განსაზღვრისათვის სასურველია პაგრონის ვინაობის დადგენა. თუ პაგრონი მოხელეა, do-e-ro, კონტექსტისა და მიხედვით, მოხელეც შეიძლება იყოს, ყმაც და მონაც. შემორჩენილი ტექსტების მიხედვით, „კერძო პირთა“ do-e-ro მუშაობდნენ სასახლისათვის ან თავიანთ პაგრონებთან ერთად, ან ცალკე და სასახლისაგან ისევე იღებდნენ გასამრჯელოს, როგორც თავისუფლები. მათი დამოკიდებული მდგომარეობა მხოლოდ იქიდან ჩანს, რომ ისინი პაგრონის სახელით მოიხსენიებიან და არა (ან, იშვიათად) საკუთარით. საფარაუდოა, რომ მათი შრომა პაგრონს ეთვლებოდა სასახლის წინაშე ვალდებულების მოხდის ანგარიშში.

5. ძირითადად პროფესიული ნიშნით მოხსენიებულ და დაჯგუფებულ ქალთა და მათ ბავშვთა რამდენიმე ყველაზე უკეთ ესადაგებიან ჩვენს წარმოდგენებს მონათა შესახებ.¹²⁹ თუმცა მრავალრიცხოვან ტექსტთაგან ქალების მიმართ მხოლოდ სამგან გვხვდება გერმინი do-e-ra, რაც შეიძლება სამგვარად აიხსნას:

ა. გერმინი do-e-ra გამოგოვებულია, რადგანაც მწერლისათვის ქალების სტატუსი ისედაც ცხადი იყო;

ბ. ქალთა უმრავლესობა არ იყო მონა;

გ. ქალების უმრავლესობა მონა იყო, მაგრამ სწორედ ეს სტატუსი არ აღინიშნებოდა გერმინით do-e-ro/ra.

ტექსტებში დადასტურებულ, გერმინ do-e-ro-ს შემცველ ფორმულათა შესაბამისობა სოციალური დიფერენციაციის ამსახველ

¹²⁵ a-pi-me-de-o/e-qe-si-jo do-e-ro (PY Ep 539.10-12; Ed 847); we-da-ne-wo do-e-ro (PY Es 644, 650, 703. თუმცა, სერიის საკულტო კონტექსტის გამო ეს პირი, შესაძლოა, მივიჩნიოთ ლაეაგეტის „თანამემწედ“ მის მიერ პოსეიდონის ქურუმის ფუნქციის განხორციელებაში, ე.ი. წერილ ქერუმად).

¹²⁶ PY Cn 1287, KN C 911, C 912, C 915.

¹²⁷ KN Ai 824.

¹²⁸ KN Ai 1037, B 822, B 988.

¹²⁹ KN Ai, Ak, PY Aa, Ab, Ad.

თანამედროვე გერმინებთან სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

	თავისუფალი მსახურეული ფენა	ნახევრადთავი სუფალი ყმა	არათავისუფალი მონა
te-o-ji do-e-ro	+		
ღეთაებათა d.	+		
ქერუმთა d.	+		
მოხელეთა d.	+	?	+
კერძო პირთა d.		+	?
qi-ri-ja-to d.		?	+
da-mo d.	?		
(do-e-ra) ?	?		+

შესაბამისად, B-ხაზოვანი ტექსტების do-e-ro შეიძლება გავიგოთ, როგორც ზოგადად „დამოკიდებული“, „დაქვემდებარებაში მყოფი“, ხოლო ყველაზე მისაღებ თარგმანად მიმაჩნია „მსახური“. ტექსტების უმრავლესობაში გერმინი არა იმდენად სოციალურ სტატუსზე, რამდენადაც სამსახურებრივ დაქვემდებარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მხოლოდ რიგ შემთხვევაში, გამომდინარე ამ პირთა რეალური მდგომარეობიდან, შესაძლებელია მათი პირადი თავისუფლების გარკვეული შეზღუდვა ვივარაუდოთ – პატრონის მაგივრად ან მისი სახელით მომუშავე კაცი ყმას მოგვაგონებს, ხოლო სასახლეში მომუშავე ქალები და, შესაძლოა, „ნაყიდი მონები“ – ნამდვილ მონებს.

მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკური ოპოზიციის „თავისუფალი-არათავისუფალი“ ორივე წევრი B-ხაზოვან ტექსტებში თითქოს დასტურდება, თვით ასეთი მკვეთრი დაპირისპირების მიკენურ სამოგადოებაში არსებობის ვარაუდი გამართლებული არ უნდა იყოს.¹³⁰

საყურადღებოა, რომ B-ხაზოვან ტექსტებში ნებისმიერი სოციალური კატეგორიის კაცებისა და ქალების აღსანიშნავად მხოლოდ თითო ილევოგრამა არსებობს: *100 – „კაცი“ და *102 – „ქალი“;

¹³⁰ Лурье 1957: 24; Лурье 1957a: 285; Bartonek 1964: 159.

ხოლო ლურსმული დამწერლობა იცნობს იდეოგრამათა წყვილებს LÚ-İR(ARÁD), SAL-GEMÉ. ამ დამწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს დაკვირვება შეიძლება არც გამომდგარიყო არგუმენტად, რომ არა ამ იდეოგრამების დეტერმინატივების როლში ხმარება. ა. მაგ., ადამიანთა ჯგუფი ^{GIS}TUKUL დეტერმინატივით LÚ თავისუფალ მსახურულ ფენას ეკუთვნის, მის გარეშე კი – ყმებისას.¹³¹

რაც შეეხება გერმინს e-re-u-te-ro (ἐξέρπειρος), ის B-ხაზოვან ტექსტებში ნიშნავს მხოლოდ გადასახადებისაგან თავისუფალი თემის მდგომარეობას. თავისუფალი ადამიანის სტატუსის აღმნიშვნელი გერმინი მიკენურ სამყაროში უცნობია, ხოლო ცალკეულ პირთა განთავისუფლება კონკრეტული ვალდებულებებისაგან სხვადასხვანაირად აღინიშნება.¹³² მსგავსი სიგუაჲაა ხეთურ მასალაშიც. arawa-ვალდებულებათაგან თავისუფალს ნიშნავს, ხოლო უფრო გვიან ჩნდება ტექსტებში arawanni-, აშკარად პირველი გერმინიდან ნაწარმოები, თავისუფალი ადამიანის სტატუსის გაგებით.¹³³ ორივე შემთხვევაში ცნება „თავისუფალი“ თითქოს ვალდებულებათაგან „განთავისუფლებული“-საგან მომდინარეობს და თავდაპირველად სოციალურად „არათავისუფლის“, „მონის“ საპირისპირო მნიშვნელობისა არ უნდა ყოფილიყო. ეს გარკვეულ წინააღმდეგობაშია იმ ფაქტთან, რომ დაპირისპირება „თავისუფალი-არათავისუფალი“ დამახასიათებელი ჩანს ინდოევროპული ხალხებისათვის¹³⁴ და გერმინებს arawa-, ἐξέρπειρος ეძებნება ინდოევროპული ეტიმოლოგია. მართალია, ერთი ზოგადინდოევროპული აღმნიშვნელი „თავისუფლების“ ცნებისა არ არსებობს, მაგრამ ამ ოჯახის ყველა ენაში სულ რამდენიმე გზაა, რითაც იქმნება გერმინები „თავისუფლის“ აღსანიშნავად, და ისინიც შინაარსით „ჩემიანის, ჩვენიანის“ გაგებამდე აღის.¹³⁵ შესაბამისად, „თავისუფალი“ საზოგადოების, თემის, გომის წევრიდან უნდა მომდინარეობდეს და არა „განთავისუფლებულისაგან“.

¹³¹ Гиоргадзе 1991: 87 и сл.

¹³² განიხილავს რა ვალდებულებათაგან განთავისუფლების სხვადასხვა ფორმებს, ა. მელე მიღის დასკვნამდე, რომ მიკენურ საზოგადოებაში „თავისუფლება“ არის სასახლის მიერ მინიჭებული დროებითი პრივილეგია. იგი მხოლოდ იმდენად შეიძლება გაეიგოთ „მონობის“ საპირისპირო ცნებად, რამდენადაც „მონებს“ ეს პრივილეგია არ ეძლეოდათ. Mele 1976: 125.

¹³³ ამ მსგავსებაზე ყურადღება მიმაქციენინა ბაგონმა გ. ვიორვაძემ. იხ. ასევე HED: 116ff.

¹³⁴ Benveniste 1993: 253ff., Гамкрелидзе, Иванов 1984: 476f.

¹³⁵ Benveniste 1993: 253ff.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ შუმეროგრამის IR ხეთური წაკითხვა საერთოდ უცნობია, ხოლო ბერძნული გერმინის ეტიმოლოგია დაუდგენელია.¹³⁶ ჰესიხიოსის გლოსის თანახმად, *δις* *αἰ*-ს, ხოლო *δις* *αἰ* *δ* *μ* *εἰ*-ს *οἰ* *κ* *ο* *υ* *ε* *ν* *εἰ* *δ*-ს უკავშირდება. მაგრამ B-ხამოვანი ტექსტები შეიცავენ ფორმას *do-e-ro*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამოსავალი *δις* *αἰ* *δ* *μ* *εἰ* *δ*-ს შესაძლოა **dowel*- ან **dosel*- იყოს.¹³⁷ ამ უკანასკნელის ინდო-ირანულ *dasa*-სთან დაკავშირება ე. ბენვენისტის ნაკლებ სარწმუნოდ მიაჩნია,¹³⁸ ფ. გმნიტერს კი დამაჯერებლად.¹³⁹ გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ *do-e-ro* დორიელთა სახელიდან მოდის და ეს გომები მიკენურ ხანაში უკვე სამხრეთ საბერძნეთში ცხოვრობდნენ და აქაველების მორჩილებაში იყვნენ.¹⁴⁰ ე. ბენვენისტი გერმინის მცირეაზიურ წარმოშობას ვარაუდობს,¹⁴¹ მაგრამ მისი მიმართება ლუვიურ *ḫutarli*-სთან¹⁴² გაურკვეველია.¹⁴³ საერთოდ, „მონის“, „არათავისუფლის“ აღმნიშვნელ გერმინებად ინდოევროპულ ხალხებთან გამოიყენება უცხო სახელები ან უცხო სახელები,¹⁴⁴ სიტყვები, რომლებიც შინაარსით „უცხო“, „გაჭირვებულის“ გაგებად აღის,¹⁴⁵ ე.ი., მექანიზმი ასეთი გერმინების წარმოებისა მსგავსია, თვითონ სიტყვები კი – განსხვავებული. არ არის სავალდებულო, ამ მექანიზმში რაღაც მხოლოდ ინდოევროპელებისათვის დამახასიათებელი დაინახოთ. არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ ოპოზიციის „ჩემიანი-უცხო“ ორივე წევრი სინქრონულად წარმოშობს „თავისუფალისა“ და „მონის“ შესაგყვის გერმინებს. მეტიც, „უცხოდან“ ბევრი სხვადასხვა გერმინი იქმნება, „მგერიცა“ და „მეგობარიც“¹⁴⁶ მათ შორის.

შესაბამისად, „თავისუფალი“ და „მონა“ თავიდანვე და ყველგან ოპოზიციურ გერმინებად არ უნდა გაჩენილიყვნენ. იქ, სადაც რომელიმე გომი თავისი მსგავსი გომების გარემოცვაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნებრივად გადადის ევოლუციის ერთი საფეხურიდან მეორეზე, „თავისუფლისა“ და „მონის“ ცნებები შეიძლება მეტ-ნაკლებად ერთდროულად ჩამოყალიბდნენ და საკმაოდ სწრაფად

¹³⁶ DELG: 294. შტრ. Boisacq 1950: 198; Tovar 1970: 318ff.

¹³⁷ Benveniste 1993: 283.

¹³⁸ Benveniste 1993: 284.

¹³⁹ Gschnitzer 1976: 7.

¹⁴⁰ Szemerényi 1982: 73ff.

¹⁴¹ Benveniste 1993: 284.

¹⁴² ე. ლაროშის (Laroche 1959: 49) აზრით, *ḫutarli*- ლუვიურად „მონას“ ნიშნავს.

¹⁴³ Гамкрелидзе, Иванов 1984: 479.

¹⁴⁴ Гамкрелидзе, Иванов 1984: 281.

¹⁴⁵ Гамкрелидзе, Иванов 1984: 479.

¹⁴⁶ Benveniste 1993: 281f.

ლოგიკური ოპოზიციაც შექმნან. მაგრამ განვითარების ასეთი გზა არც ხეთებს გაუვლიათ და არც ბერძნებს. მესამე-მეორე ათასწლეულების მიჯნაზე ისინი ხედებიან შედარებით მაღალი ცივილიზაციების გავრცელების არეალში, რაც აჩქარებს მათ განვითარებას და საკმაოდ სწრაფად ისინი ქმნიან მრავალსაფეხურიანი იერარქიისა და მეტ-ნაკლებად ძლიერი სამეფო ხელისუფლების მქონე საზოგადოებებს. ასეთ საზოგადოებაში „თავისუფლება“ ძალზე პირობითია. თანასწორთა ერთობა იშლება განსხვავებულ უფლება-მოვალეობათა მქონე ფენებად. სრულიად „თავისუფალი“ მხოლოდ მეფე რჩება, ხოლო რიგითი კაცი ფასობს არა რაღაც კოლექტივის, თემის, გომის წევრობით, არამედ მდგომარეობით სამეფო კარზე, ვალდებულებები აღარ წარმოადგენენ პრივილეგიას და იქცევიან ხარკად და ბეგარად.¹⁴⁷ შესაბამისად, „კარგია“ ვალდებულებათაგან „განთავისუფლება“ და „განთავისუფლებული“ ხდება „თავისუფალი“. სწორედ ასე შეიძლება გავიგოთ ხეთურში თანამიმდევრული მწკრივი ara- arawa- arawanni-. რაც შეეხება ხეთების „მონებს“,¹⁴⁸ ისინი, როგორც წესი, იყვნენ არა საზოგადოების ღიფერენციაციის პროდუქტი, არამედ უცხოელები, ძირითადად, სამხედრო ნადავლი. მთელს ძველ აღმოსავლეთში „მონები“ გარედან მოჰყავთ და შემდგომში ხდება მათი დიდი ნაწილის თანდათანობითი ინტეგრაცია საზოგადოებაში.¹⁴⁹ შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ პირის როგორც „თავისუფალი“, ასევე „მონური სტატუსი“ დროებითია.

ამდენად, აღნიშნულ საზოგადოებებში „თავისუფალსა“ და „არათავისუფალს“ შორის არ არის მკვეთრი ზღვარი. ოპოზიცია მათ შორის შერბილების, წაშლისაკენ მიდის და არა გამოკვეთისაკენ.

მართალია, ჰომეროსის ეპოსში ტერმინი დიῦλος არ გვხვდება, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ პოეგისათვის ეს სიტყვა უცხო არ იყო. ამ მტკიცების საფუძველს იძლევა იმავე ძირიდან ნაწარმოები

¹⁴⁷ ამგვარი საზოგადოებრივი განვითარების ექსტრემალურ ნიმუშებად შეიძლება მოიხსნათ ურის III დინასტიის დროის შუმერი, სადაც სასახლემ, გ. მელიქიშიელის აზრით, gurš-ების, მოსახლეობის დიდი ნაწილის ფაქტობრივად დაემყვება მოახერხა (Меликшвили 1985: 4 и сл.) და ძველი ეგვიპტე, სადაც მთელი მოსახლეობა ფარაონის ყმებად განიხილებოდა, ხოლო „მონის“ შესაბამისი ტერმინი, შესაძლოა, არც კი არსებობდა (მდრ. Богословский 1984).

¹⁴⁸ სამწუხაროდ, შუმეროგრაფის IR (ARAD) როგორც ხეთური წაკითხვა, ასევე ზუსტი მნიშვნელობა უცნობია. კანონებში იგი გამოიყენებოდა ზოგადად „არათავისუფალი“ აღსანიშნავად და აერთიანებდა ამ კატეგორიის სხვადასხვა ჯგუფებს. Gitterbock 1972: 93ff.

¹⁴⁹ იხ. მაგ., Gelb 1972: 84ff.

გერმინების (δισήη, δισήησθη, δισή(ε)ος) მოხსენიება. მათი მუსტი მნიშვნელობის დადგენა ჭირს. δισήη მხოლოდ ორჯერ გვხვდება გამორჩეული გყვე ქალების მიმართ¹⁵⁰ და შეიძლება „უკანონო ცოლადაც“ ითარგმნოს, ხოლო ორი დანარჩენი მოგადად „გაჭირვებულ მდგომარეობად, უბედურებად“¹⁵¹ მაგრამ თითქოს ამჟამად, რომ ეს გერმინები სწორედ თავისუფლებადაკარგულ ადამიანთა მძიმე ხედვას ასახავენ.¹⁵² ამ „არათავისუფლების“ ხასიათის დასადგენად შედარებით ფართოდ უნდა შევესთო „მონობას“ ჰომეროსის საზოგადოებაში.¹⁵³

კითხვა, თუ რა დროს განეკუთვნება ჰომეროსის საზოგადოება, დიდ დისკუსიას იწვევს. როგორც ჩანს, ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე არც არსებობს.¹⁵⁴ პოეტის ფანტაზიამ შეაზავა განსხვავებული ელემენტები მიკენური ეპოქიდან, ე.წ. ბნელი წლებიდან და გეომეტრიული ეპოქიდან თანაც სხვადასხვა დროით ცალკეული სიმღერებისა თუ ცხოვრების ცალკეული სფეროების მიხედვით. ყველა სფეროში არ ხერხდება ქრონოლოგიური ფენების მუსტიად განცალკევება. საფარაულოა, რომ საუკუნეთა მანძილზე ადამიანთა მეხსიერება ცალკეულ გამორჩეულ მოვლენებსა და თუნდაც სახელისუფლებო გერმინოლოგიას უკეთ შემოინახავდა, ვიდრე ამა თუ იმ სოციალური ინსტიტუტის არსს.¹⁵⁵ შესაბამისად, ჰომეროსი დაბალი ფენების აღწერისას, ძირითადად, გეომეტრიული ეპოქის სოციალური რეალობიდან უნდა ამოდიოდეს.

ჰომეროსის საზოგადოების დამოკიდებული, არათავისუფალი ფენების შესასწავლად, ისევე, როგორც მოგ სხვა შემთხვევაში, კვლევის ორი განსხვავებული გზა მიმართავს პერსპექტიულად:

ა) ამ ფენების აღმნიშნელი გერმინების, „მონათა“ მოხსენიების კონტექსტების ანალიზი, მიკენური და კლასიკური ხანების შესაბამისი, პარალელური მასალის გათვალისწინებით, მასთან შედარებით;

ბ) მონობის როლის შეფასება მთლიან სტრუქტურაში, ასევე პარალელურ მასალასთან შედარებით.

ცხადია, იმ პრეგნანციის გარეშე, რომ ორივე ამ მიმართულებით

¹⁵⁰ II., 3, 409; Od., 4, 12.

¹⁵¹ II., 6, 463; Od., 14, 340; 17, 323; 22, 423; 24, 252. იხ. მაგ., Beringer 1960: 65ff.

¹⁵² Gschnitzer 1976: 8ff.

¹⁵³ გარდა სპეციალური ნაშრომებისა (მაგ., Лешман 1963: 193 и сл.; Debord 1973; Vlachos 1974; Gschnitzer 1976), საკითხის მიმოხილვისათვის იხ. აგრეთვე Brockmeyer 1979: 85ff.

¹⁵⁴ იხ. მაგ., Weber 1989: 35ff.

¹⁵⁵ ჰომეროსთან მიკენური ხანის ადამიანის სურათისათვის იხ. მაგ., Kullmann 1995.

ბევრი ახალი მაქვს სათქმელი, მენდომებოდა აქ ზოგიერთი დაკვირვების მოგანა.

1. ტერმინები, რომლებსაც ჰომეროსი „მონების“ აღსანიშნავად იყენებს, არ წარმოადგენენ სინონიმებს, ან ერთი რიგის ცნებებს¹⁵⁶ და სხვადასხვა სემანტიკურ ველებს განეკუთვნებიან.¹⁵⁷

ა. ჰომეროსის *ἀνδραπαιδιον*, ისევე როგორც კლასიკური ხანისა, საომარ ნადავლს აღნიშნავს, ქონების ნაწილს. ამ კატეგორიის ხალხის სრულიად უუფლებო მდგომარეობა ეჭვს არ იწვევს.¹⁵⁸

ბ. ჰომეროსთან *δμᾶς*, *ἀμφίπλοισ*, *οἰκῆς*, კლასიკური *οἰκᾶντες*, *θέρματα*-ის მსგავსად, აღნიშნავენ, ძირითადად, არათავისუფალ, ზოგჯერაც, ალბათ, თავისუფალ მსახურებსა და სახლის, ოჯახის წევრებს, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში. მათგან ყველაზე ხშირად გვხვდება *δμᾶς*. ეს ტერმინი ჰომეროსთან და ჰესიოდესთან „არათავისუფალთა“ თუ „ნახევრადთავისუფალთა“ ძირითად მახასიათებლად გვევლინება.¹⁵⁹ *ἀμφίπλοισ* მათგან გამორჩეული, პრივილეგირებული, მაგრამ მაინც გარკვეულწილად თავისუფლებამზღვეული მსახურია.¹⁶⁰

ამ სემანტიკური ველის ტერმინების შეცვლა ჰომეროსის ეპოქიდან კლასიკურ ხანამდე, ფ. გმნიტცერის აზრით, არ უნდა უკავშირდებოდეს აუცილებლად პრინციპულ ინსტიტუციურ ცვლილებებს, როგორც ამას ი. ლენცმანი ვარაუდობს¹⁶¹ და ერთგვარი ფსიქოლოგიური მექანიზმით შეიძლება აიხსნას:¹⁶² ყოველდღიურ ცხოვრებაში „მონების“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა ნეიგრალური ტერმინები, რომლებიც მოგადად სახლისადმი კუთვნილებას გამოხატავდნენ და არ მოიცავდნენ აუცილებლად არათავისუფლების გაგებას. მას შერე, რაც ასეთი

¹⁵⁶ როგორც ამას ე. ბერინგერი ვარაუდობს (Beringer 1961: 259ff.). მისი აზრით, მათ შორის შეიძლება დადგინდეს შემდეგი იერარქია: *οἰκῆς* – პატრიარქალური სახლის წევრი, *δμᾶς* – ყმა, *δῆμιος* – მონა.

¹⁵⁷ Gschnitzer 1976: 107; Dobatyp 1980: 28.

¹⁵⁸ ტერმინი მხოლოდ ერთხელ გვხვდება (II., 7, 475) და გვიანდელ ინტერპოლაციას შეიძლება წარმოადგენდეს. საყურადღებოა, რომ არც ჰესიოდესთან და არც ლირიკოსებთან იგი დადასტურებული არ არის. იხ. Лещман 1963: 236.

¹⁵⁹ ამ კატეგორიის ხალხის იურიდიული სტატუსი სადაეოა. იხ. მაგ., Лещман 1963: 233 II cl.; Gschnitzer 1976: 46ff.; Garlan 1982: 51; Weber 1989: 27ff.

¹⁶⁰ Gschnitzer 1976: 22ff.

¹⁶¹ Лещман 1963: 245. ჰომეროსის ეპოსში არათავისუფალთა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის სრულად განხილვისა და კლასიკურთან შეპირისპირების საფუძველზე, მკვლევარი მიღის დასკვნამდე ჰომეროსის საზოგადოებაში პატრიარქალური „მონების“ არსებობის შესახებ. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ იხ. აგრეთვე Weber 1989: 32f.

¹⁶² Gschnitzer 1976: 108ff.

სიკვყვის მნიშვნელობა დავიწროვდებოდა და ის უკვე „მონის“ სინონიმი ხდებოდა, მას ენაცვლებოდა სემანტიკურად მსგავსი სხვა ნეიგრალური ტერმინი, რაც სახლში მყოფი მონის ან ყმის პიროვნული ღირსების გრძნობისათვის ანგარიშის გაწვევის შედეგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ვერც ერთი რიგის ტერმინთა მონაცვლეობის ამგვარი ახსნა და ვერც უწყვეტობა ტერმინ ბიპლაცის გამოყენებაში ვერ გამოდგება არგუმენტად ძვ.წ. XV-V საუკუნეებში მონობის ინსტიტუტის უცვლელობის სამტკიცებლად.

2. ჰომეროსის სამოგალოების სოციალურ საფეხურებს მიკენურთან ბევრად მეტი აქვს საერთო, ვიდრე კლასიკურთან და სქემატურად ისინი ასე შეიძლება წარმოგვედგინა:

ბνὰξ – მიკენის „დიდი მეფე“ და სხვა მეფეები

βασίλευς – მთავრები და გვაროვნული არისტოკრატია

მათ ქვემოთ დგანან, ერთის მხრივ, თავისუფალი მიწათმფლობელები, ხალხი და, მეორეს მხრივ, თავისუფალი მსახურეული ფენა, რომელიც ნაწილობრივ წარჩინებული შთამომავლობის ადამიანთაგან შედგებოდა. ჰომეროსთან მათ *θεράπων* ეწოდებოდა.¹⁶³ მიკენურ სამყაროში თავისუფალი მსახურეული პირები, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ შეადგენდნენ ერთიან ფენას და, შესაბამისად, მათ აღსანიშნავად გამოიყენებოდა სხვადასხვა სოციალური თუ თანამდებობრივი მახასიათებლები – „მხლებლიდან“ (*e-ge-ta*) „ღვთის მონამდე“ (*te-o-jo do-e-ro*).

კიდევ უფრო ქვემოთ დგას უმიწო ხალხი: სპეციალისტები – დემიურგები,¹⁶⁴ მოიჯარადეები, დაქირავებული მუშები, მათხოვრები. არათავისუფალი მსახურები – „მონები“ – ბატონის სახლს განეკუთვნებოდნენ და იერარქიაში თავისუფალ მსახურებზე დაბლა იდგნენ, მაგრამ არა ნებისმიერ თავისუფალზე დაბლა. ამის საბუთად შეიძლება ეპოსიდან ის ადგილები მოგვეხმო, სადაც აქილევსი მეფეს ხან ბოგანო უცხოელს (Il. 9. 648, 16. 59), ხანაც დაქირავებულ მუშას (Od. 11. 489ff.) უპირისპირებს და არა „მონას“.

3. რაც შეეხება „მონების“ რიცხვს ჰომეროსის გმირების სასახლეებში, ის არც ერთ ისტორიულ ეპოქას არ შეესაბამება. პილოსის არქივის მიხედვით სამეფოში სულ ცოტა 1500 სახელმწიფო

¹⁶³ შტრ. ამ ტერმინის მნიშვნელობა კლასიკურ ხანაში – „მონა, მსახური“. ტერმინისათვის იხ. მაკ, Gschnitzer 1976: 83ff.

¹⁶⁴ დემიურგთა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ აელებიც, რომელთა შორის გამორჩეულნიც სამოგალოებაში უდიდესი პატივისცემით სარგებლობდნენ (შტრ. ოდისეისის მიერ დემოლოკოსის შეფასება Od., 8. 487მმდ.). მაგრამ, ამ შემთხვევაში, ფასობს დუთაბერივი ნიჭი და არა მომდერლის სოციალური სტატუსი.

მონაა, მათგან ნახევარი – სასახლეში. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ პოეგის მიერ შემოთავაზებული რიცხვი – 50 – გარკვეულად მისი ღრობის რეალობის გაზვიადებას წარმოადგენს. ამაზე უნდა მიუთითებდეს როგორც არქეოლოგიური მასალა – გეომეტრიული ეპოქის სასახლეები არ აღმოუჩენიათ, ასევე თვით პოემების ტექსტიც, სადაც, ერთის მხრივ, გმირული წარსული ყველაფერში აღმატებულია აეგორის თანამედროვეობაზე, მეორეს მხრივ, მაღალი მრგვალი რიცხვები მეტაფორულად გამოიყენებოდა (ეს ეხება არა მარტო მონათა რიცხვს, რამდენიმე ხარის შეწირვასაც შეიძლება რქმეოდა ჰეკატომბი, სიგყვასიგყვით „ასი ხარის შეწირვა“). მხოლოდ ცალკეული „მონები“ გვევლინებიან პერსონაჟებად, ხოლო უმრავლესობა დეკორაციის ნაწილად გამოიყურება. ჰომეროსის დროს არათავისუფალთა რიცხვი არ უნდა ყოფილიყო საკმარისი მკაცრად განსაზღვრული მდგომარეობის სოციალური ფენის შესაქმნელად და ყოველი „მონა“ ისე ფასობდა, რასაც ის იმსახურებდა, ან, უფრო სწორად, როგორც მას პაგრონი აუასებდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ გაგვაოცოს ჰომეროსის ოსტატობამ, როდესაც ის ახერხებს განიხილოს „მონობის“ ზოგადი საკითხები, „მონური იდეოლოგია“,¹⁶⁵ მისცეს მსოფლიო ლიტერატურას რამდენიმე დაუვიწყარი სახე ერთგული თუ მოღალატე მონა-მსახურისა.

4. ჰომეროსის ეპოსი მოიცავს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს და წარმოგიდგენს მათ სისტემის სახით. ის ერთგვარი ენციკლოპედიაა, რომელშიც მხატვრულადაა შეჯამებული გეომეტრიული ეპოქის მსოფლალქმაც და რაოდენობრივი კონკრეტული ცოდნაც. სამოგადოების სოციალური დიფერენციაციის პრინციპი შეიძლება ამოვიცნოთ ჰომეროსის იდეალში – ვაჟკაცობა (გამორჩეულობა როგორც ბრძოლაში, ასევე სპორტულ თუ რიგორიკულ პაექრობაში), ქონება, ხელისუფლება. ეს სამივე საკმაოდ მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ვინც ყოჩაღია და მდიდარი, ფასობს კიდევ (ἀριστες), სუსტები და ღარიბები კი უპატიოდ (ἀτιμητος) და ცუდად (κακος) ითვლებოდნენ. ბუნებრივია, რომ გერმინებს „კარგი“ და „ცუდი“ ვერ ჩავთვლით წმინდა სოციალურ მახასიათებლებად, მაგრამ პოეტი მათ რომ გარკვეულწილად სოციალური მნიშვნელობითაც ხმარობს, ნათლად ჩანს ეგისტუეს მაგალითზე. მნებობრივი თვალსაზრისით იგი „ცუდია“, მაგრამ მის მახასიათებელ ეპითეტთა ღიდი უმრავლესობა პოზიტიურია. ამ ვაგებით მონები „ცულების“ კატეგორიას

¹⁶⁵ შტრ. Лехман 1963: 275; Klees 1975: 10.

განეკუთვნებიან. კარგ (δῖος) მონას, ევმეოსს, თითქოსდა მისი სიქეელის ასახსნელად, წარჩინებული გენეალოგია ესაჭიროება და ის არც დარჩება მონად. მაგრამ რასაც მას ოდისევსი ჰპირდება და რაზედაც თვითონაც ოცნებობს, ქვია არა „თავისუფლება“, არამედ „სახლი, ეზო და ცოლი“¹⁶⁶ და უფრო მაღალი ადგილი პატრონის კარზე. იერარქიულ, ადრეფეოდალურ საზოგადოებაში ეს ჩამონათვალი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათხოერის თავისუფლება, ხოლო თავისუფლების აბსტრაქტული ცნება ჯერ გამოკვეთილი არ ჩანს.

ეპოსში შეიძლება საპირისპირო მოსაზრების სასარგებლო ადგილებიც აღმოვაჩინოთ. პარალელური და საპირისპირო მნიშვნელობის მქონე გამოთქმები δῖσλιον ἦμαρ (მონობის დღე)¹⁶⁷ და ἔλσθμειον ἦμαρ (თავისუფლების დღე)¹⁶⁸ აუქირებიანებს მკვლევართ, რომ ჰომეროსისათვის უკვე ნაცნობია ოპოზიცია „თავისუფალი-არათავისუფალი“.¹⁶⁹ ეს ორივე გამოთქმა, ძირითადად, გროას ომთან დაკავშირებით არის ნახმარი და თუ გროელებისათვის ომში დამარცხება მართლა შეიძლება მონობის დღედ ქსეულიყო, აქაველებიცა და გროელებიც გამარჯვებით სოციალურ თავისუფლებას კი არ იღებდნენ, არამედ ათწლიანი ომის უბედურებათაგან განთავისუფლებას. შესაბამისად, დაპირისპირება ἔλσθμειον ἦμαρ – δῖσλιον ἦμαρ აქ შეიძლებოდა არც გაგვეგო აუცილებლად სოციალური თვალსაზრისით. საყურადღებოა ევმეოსის სიტყვები იმის შესახებ, რომ კაცი დამონების დღეს (δῖσλιον ἦμαρ) მისი ღირსების (ἀρετή) ნახევარს კარგავს.¹⁷⁰ ამ შემთხვევაში საკვლევი ტერმინის სოციალური, „თავისუფლებისადმი“ დაპირისპირებული შინაარსი თითქოს უეჭველია.¹⁷¹ მაგრამ, ჩემი აზრით, „ღირსების“ დაკარგვა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც იგი აქვს, ჰომეროსისათვის კი ასეთი კაცი მხოლოდ წარჩინებულია.

შესაბამისად, თუ ჰომეროსის საზოგადოებრივ სტრუქტურაში საერთოდ არსებობს მკვეთრი ოპოზიცია, ეს არის არა „თავისუფალი-არათავისუფალი“, არამედ ძლევა-მოსილი და არაფრისმქონე, კარგი და ცუდი, მეფე და მათხოვარი, მაგრამ ეს მხოლოდ მრავალსაფეხურიანი სტრუქტურის პოლარული

¹⁶⁶ Od., 14, 62; 21, 214.

¹⁶⁷ II., 6, 463; Od., 14, 340; 17, 323.

¹⁶⁸ II., 6, 455; 16, 831; 19, 193.

¹⁶⁹ Gschnitzer 1976: 9.

¹⁷⁰ Od., 17, 323.

¹⁷¹ Brockmeyer 1979: 96.

საფეხურებია.¹⁷²

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გერმინი დიწლი, როგორც „არათავისუფალთა“ წოდებრივი, სამართლებრივი აღმნიშვნელი არც უნდა ჩანდეს პომეროსის ეპოსში. ერთის მხრივ, პომეროსს „მონები“ აინგერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი ბატონის სახლში მსახურობენ, რასაც უფრო ზუსტად შეესაბამება დამდ, ἀμφίπολος, οἰκείνς, ვიდრე დიწლი. მეორეს მხრივ, „მონათა“ რიცხვი საზოგადოებაში,¹⁷³ მათი აღქმა ბატონის სახლის არასრულუფლებიან წევრებად და არა რაღაც ერთიან საზოგადოებრივ ფენად, საერთოდ ეჭვს ქვეშ აყენებს ასეთი ფენისათვის სამართლებრივი მახასიათებლის არსებობას. მაგრამ უწყვეტობა გერმინის დიწლი ხმარებაში მიკენურიდან კლასიკურ ეპოქამდე მაფიქრებინებს, რომ მას პომეროსისათვისაც გარკვეულწილად სოციალური შინაარსი უნდა ჰქონოდა. მისი ოჯახის გერმინები ეპოსში პიროვნული თავისუფლების დაკარგვისა თუ შემლუღვის ამრით იხმარება, რაც უახლოვდება გერმინის კლასიკურ მნიშვნელობას.

კლასიკური ხანის ბერძნულში დიწლი იხმარება „არათავისუფალთა, მონათა“ ერთ-ერთ ძირითად აღმნიშვნელ გერმინად. ჰესიოდესთან იგი არ არის დადასტურებული, არქაულ ლირიკაში იშვიათად გვხვდება,¹⁷⁴ შემდგომში კი – საკმაოდ ხშირად, სავარაუდოა, „არათავისუფალთა“ ზოგადი, სამართლებრივი მახასიათებლის როლში. როგორც იურიდიულ აქტებში, მაგ., გორგინის კანონებში, ასევე სხვადასხვა ეპოსის ტექსტებში სწორედ ის უპირისპირდება „თავისუფალს“, რაც დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები ფ. გმნიტცერს.¹⁷⁵

რამდენად სწორია ამ გერმინის თარგმნა „მონად“? ამ კითხვაზე პასუხი, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია თანამედროვე გერმინის დეფინიციის დაზუსტებაზე. მონა, როგორც უკვე აღინიშნა, არის ადამიანი, რომელიც წარმოადგენს სხვა ადამიანის საკუთრებას. ეს დებულება თითქოს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ

¹⁷² შლრ. Brockmeyer 1979: 97.

¹⁷³ ელ. ვესტგერმანის ამრით, პომეროსის საზოგადოებაში უკვე ჩანან მონები, როგორც ბატონის ქონების ნაწილი, მისი სიმდიდრის განსაზღვრის კრიტერიუმში, მაგრამ მონების რიცხვი უმნიშვნელოა და მიწაზე ძირითადად თავისუფალი კაცი მუშაობს. Westermann 1955: 1ff.

¹⁷⁴ პირველად, ალბათ, არქილოქესთან. Brockmeyer 1979: 99.

¹⁷⁵ Gschntzer 1964: 6ff. კლასიკური ხანის არათავისუფალ, დამოკიდებულ ფენათა აღმნიშვნელი გერმინოლოგიისათვის იხ. აგრეთვე Sereni 1976.

დამატებით კითხვას წარმოშობს: განარჩევს თუ არა მას კანონი ან საზოგადოებრივი აზრი საკუთრების სხვა, სულიერი თუ უსულო ობიექტებისაგან; დაეწესება თუ არა ელემენტარულად მაინც მისი სიცოცხლე, ადამიანური ღირსება, ოჯახი; აქვს თუ არა მას რამე კანონიერი, ან თუნდაც, ფაქტობრივი პირადი ქონება. კ. ვებერი აღნიშნავს, რომ ერთი, გიპიური მონა ანტიკურობაში არ არსებობდა, ცალკეული მონების რეალური მდგომარეობა ძალზე განსხვავებული იყო და, შესაბამისად, ანტიკური მონობის შესასწავლად მთელი ამ მრავალფეროვნების ერთობლივი განსილვაა საჭირო.¹⁷⁶ ეს აზრი სავსებით მისაღებია, მაგრამ რატომ უნდა გამოვიყენოთ არათავისუფლების სხვადასხვა ფორმების აღსანიშნავად ერთი ტერმინი – მონა, როდესაც თვითონ ძველი ბერძნები მათ ტერმინოლოგიურად განარჩევდნენ? მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მე რაც შეიძლება ზუსტი მნიშვნელობის მქონე ტერმინების მომხრე ვარ. შესაბამისად, როდესაც სოციალური სახელდების ანტიკური სისტემიდან თანამედროვეზე გადმოვიდვარ, „მონას“ არათავისუფალთა მხოლოდ სრულიად უქონელ, უუფლებო და დაუცავ წარმომადგენელს ვუწოდებ.

კლასიკურ ეპოქაში საკვლევი ტერმინის ზუსტი მნიშვნელობის დასადგენად აქ მრავალრიცხოვან კონტექსტთა დეტალური ანალიზის ადგილი არ არის. შემოვიფარგლები მხოლოდ ბერძნული „არათავისუფლების“ არსისა და საზოგადოებაში მისი ადგილის მოკლე მიმოხილვით.

კლასიკური ხანის საზოგადოებრივი საფუძველი ჯერ კიდევ წინა ეპოქაში ჩაისახა: მეურნეობაში ცენტრალური ფიგურა თავისუფალი მიწათმოქმედი გახდა, ხოლო პოლიტიკურ ცხოვრებაში – პოლისი, თავისუფალ ადამიანთა გაერთიანება. პოლისი, როგორც წესი, ქალაქ-სახელმწიფოდ ითარგმნება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში მისი უფრო ზუსტი შესატყვისი ვერ მოიძებნა.¹⁷⁷ პოლისი ქალაქს იმით წააგავს, რომ მას აქვს აკროპოლისი, გამაგრებული ბორცვი თემის მფარველი ღვთაების სამლოცველოთი და მის წევრთა თავშეყრის ადგილით. აქ ცვლიდნენ საქონელს და წყვეტდნენ საჭირბოროტო საკითხებს, ბორცვის გარშემო კი ხალხი სახლდებოდა. პოლისთა უმრავლესობას სოფლის გიპის დასახლება ჰქონდა და ქალაქი საერთოდ არ გააჩნდა, ზოგიც რამდენიმე ქალაქს მოიცავდა.

¹⁷⁶ Weber 1989: 13, 89.

¹⁷⁷ Kitto 1971: 64ff. შუამდინარული და ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების გათანაბრება არ უნდა იყოს გამართლებული. იხ. მაგ., Melnikovskiy 1985: 9.

und öffentliche Arbeit.⁷² In den Linear-B-Texten ist der indirekte Hinweis für beide zu finden.⁷³ Bemerkenswert sind die Formen der Befreiung von diesen Verpflichtungen:

1. durch den Status des Besitzers – *ko-to-no-o-ko*;
2. durch den Status der Parzelle – *et-o-ni-jo, ra-ke* (?);
3. durch eine andere Aufgabe – *te-ra-pi-ke* (?);

Vielleicht bedeutete der Vermerk *o-u-wo-ze* auch eine Sonderbefreiung (vgl. *o-u-di-do-si* in den Tributlisten der Ma, Na Serien, das neben *e-re-u-te-ro* auch eine Art der Befreiung sein konnte).

Palast und Wirtschaft

Es ist bekannt, daß die bronzezeitlichen Paläste unter anderem auch ökonomische Zentren der ihnen politisch untergestellten Gebieten waren. Bei der Wirtschaft ohne Markt und Geld wäre anderes auch nicht möglich. Auch der Fall der mykenischen Paläste war keine Ausnahme. Nach den Texten war die Staatswirtschaft formal einig und zentral vom Palast gelenkt. Doch könnte man sich ihre reale Aufgliederung folgendermaßen vorstellen:

1. eigene Oikowirtschaft des Palastes;
2. Tempelwirtschaft;
3. Staatswirtschaft.

Durch die Hauptfunktion des Palastes als Tauschzentrale kann man die Existenz mehr oder weniger unabhängiger Privat- und Gemeindefirtschaft vermuten.⁷⁴ Diese Funktion ist außer dem Außenhandel⁷⁵ in den Texten wohl am besten bezeugt. Hierher gehörten hauptsächlich auch die meisten Einkünfte des Palastes durch Naturaltribut, dessen größter Teil zur Bezahlung der Handwerker und Beamten und zur Neuverteilung gedacht sein sollte.⁷⁶ Hier entsteht die Frage, die leider heute nicht zu beantworten, aber sehr wichtig für die Erforschung der mykenischen sozial-ökonomischen Geschichte ist: welcher Teil der Gesamtproduktion des Staates durch die Zentrale des Palastes zirkulierte.

Oben habe ich versucht zu zeigen, warum ich den König als obersten Eigentümer des Staates betrachte. Grob gesagt, sollte das ganze in den Texten bezeichnete Eigentum ihm (d.h. gleichzeitig dem Staat) gehören. Doch die Verteilung dieses Eigentums an die verschiedenen obenerwähnten

⁷² Es ist beachtenswert, daß in den hethitischen Texten dafür zwei Termini erscheinen: *saḫḫan* und *lizzi*, die aber gewöhnlich zusammen stehen.

⁷³ Vgl. Deger-Jalkotzy 1983: 98ff.

⁷⁴ Wundsam 1968: 66ff.

⁷⁵ Killen 1985: 262ff.

⁷⁶ Killen 1985: 252.

Zweige der Staatswirtschaft ist nicht mit Sicherheit festzustellen, in erster Linie deswegen, weil der Tempel vielleicht nur einmal (PY Jn 629)⁷⁷ und der Palast wohl gar nicht⁷⁸ in den Texten auftaucht. Die Zugehörigkeit von Eigentum, Werkstätten, Personal oder Tribut zum Tempel könnte man durch die Erwähnung der Götter in den Texten bestimmen: z.B. für Pylos – Landbesitz aus der Es Serie, vielleicht ein Teil der Schafe aus der Cn Serie, Schmiede der *po-ti-ni-ja*,⁷⁹ „Sklaven“ der verschiedenen Gottheiten, *do-so-mo* für Götter und Priester. Die Grenze zwischen der Oikowirtschaft des Palastes und der Staatswirtschaft ist noch mehr relativ. Meiner Meinung nach beinhaltete die Oikowirtschaft des Königs: den Palast mit einer bestimmten Anzahl der ihn bedienenden Sklavinnen (diejenige aus Aa, Ab Serien, deren Professionen und Lokalisation – *pu-ro* hierher passen); den königlichen Landbesitz (Er 312+880), der vielleicht teils von Sklaven (Ad), teils von den arbeitsverpflichteten freien Männern (Ac?) bearbeitet wurde; zahlreiche Herden (die „besitzerlosen“ aus der Serie Cn⁸⁰); einen bestimmten Teil der in den Texten direkt oder indirekt bezeugten Werkstätten.⁸¹ Außer der eigenen Wirtschaft hatte der König eine weitere bedeutende Quelle von Einkünfte: die Kontrolle über die Metallurgie und den Außenhandel, einen Teil des Tributs,⁸² einen Teil der Gabe an Tempel. Also waren die Bestandteile der verschiedenen Zweige der Staatswirtschaft ungefähr gleich: Land, Herden, Werkstätten, freie und unfreie Arbeiter, Einkünfte durch Tribut und Kontrolle über Industrie und Handel. Vielleicht waren die Proportionen unterschiedlich, z.B. die Oikowirtschaft scheint mehr von der Sklavenarbeit abhängig zu sein.

Hier möchte ich zu der Frage nach dem Anteil der Staatswirtschaft in der Gesamtwirtschaft des Staates zurückkommen. Am besten faßbares Material bieten uns die Landverteilungstexte. Die knossischen Texte sind unvollständig erhalten, und man kann von ihnen nur den Eindruck

⁷⁷ *na-wi-jo* kann sowohl Tempel als auch Schiff bezeichnen, aber die erste Deutung ist vorzuziehen. Hooker 1983: 111. Vgl. Leukart, Hiller 1979: 183ff.

⁷⁸ *qa-si-re-wi-ja* kann zum Palast des *wa-na-ka* bestimmt nicht passen. K. Wundsams (1968: 30) Vorschlag *wa-na-sa* ist noch zu beweisen. *pu-ro*, so auch *ko-no-so* kann sowohl Palast als auch Stadt bezeichnen, weshalb dieser Vermerk nicht entscheidend bei der Aufgliederung der Staatswirtschaft sein kann.

⁷⁹ Falls *po-ti-ni-ja* eine Göttin bezeichnet und nicht die Königin. Vgl. DMic II: 160ff.

⁸⁰ Palmer 1963: 165. Die Herden der „Besitzer“ gleich den knossischen Herden könnte man als Staatseigentum betrachten. S. dazu Killen 1969: 38; Полякова 1978: 208.

⁸¹ Leider sind die Werkstätten im Eigentum des königlichen Oikos und des Staates kaum zu unterscheiden, wenn wir K. Wundsams (1968: 30f.) Vermutung nicht annehmen. Ein großer Teil der Werkstätten scheint kein Eigentum, sondern nur vom Palast kontrolliert zu sein, aber Produktion gehörte dem König.

⁸² Z.B. der Text PY Na 334, dessen Interpretation in Docs²: 300 mir richtig scheint.

gewinnen, daß der knossische Herrscher weniger Interesse an dem bedingten Landbesitz hatte als der pylische. Aber auch in Pylos kann das von dem Palast unmittelbar kontrollierte Land nur ein kleiner Teil des gesamten kultivierten Landes gewesen sein. Die Texte beschreiben die Grundstücke mit der Gesamtfläche von ca. 600 ha. Diese Zahl läßt sich wegen der Lücken höchstens verdoppeln. Auch davon konnte der König wahrscheinlich nur mit dem Getreideeinkommen von seinem Besitz, einigen *ka-ma*-Parzellen und im Text Eq 213 bezeichneten Äckern rechnen. Die anderen staatlichen Grundstücke waren für die Ernährung ihrer Besitzer und Benutzer gedacht. Also kam die Hauptproduktion von Privat- und Gemeindeland, und in Pylos wie auch in Knossos (KN E, F Serien) sollte der Palast Getreide als Tribut bekommen. Aber in Pylos fehlen solche Texte. Jedenfalls sollte der Palast nur soviel Getreide und andere Eßwaren als Tribut bekommen, wie er für sich, für die Bezahlung der Beamten und Handwerker und vielleicht für den Außenhandel benötigte. Die Bevölkerung sollte sich selbst, ohne Hilfe der Tauschzentrale ernähren und deswegen scheint mir die Rolle der mykenischen Paläste in der Landwirtschaft nicht allzu groß zu sein. Ich glaube, es ist nicht zufällig, daß die nach dem orientalischen Vorbild organisierten Paläste in Griechenland politisch und auch ökonomisch geringere Macht hatten.

Entwicklungstendenzen der Gesellschaft

Hier ist in erster Linie das Problem der Entstehung der mykenischen Sozialstruktur zu behandeln. Wie bekannt, gingen der mykenischen Zivilisation in der Ägäis die nichtindoeuropäischen vorgriechischen Zivilisationen voraus, deren Einfluß auf die mykenische Kultur und Lebensweise nicht gering war. Bedeutend ist auch der Anteil der vorgriechischen Lexik in der griechischen Sprache. In dieser Situation ist es interessant, was das mykenische Sozialleben von den älteren Zivilisationen geerbt hat und was als eigentlich griechische Erfindung zu betrachten ist. Mit dieser Absicht habe ich die Etymologie derjenigen mykenischen Termini durchgeprüft, die Sozial- und Verwaltungsstrukturen und Agrarbeziehungen bezeichnen. Ausgehend von dem historischen Kontext der Existenz der mykenischen Staaten könnte man vielleicht in dieser Weise auch die Entstehung entsprechenden Institutionen feststellen. Der größte Teil der von mir untersuchten Termini scheint griechischer Herkunft zu sein. Die Ausnahme bilden nur solche Termini, die nicht auf eine bestimmte Sozialordnung hinweisen (z.B. *wa-na-ka*, *do-e-ro*, *o-na-to*, *o-ka*). Die Bezeichnungen von Beamten, Sozialgruppen, Landbesitzformen sind griechisch. Diese Tatsache könnte dafür sprechen, daß die mykenischen

Sozialstrukturen in der griechischen Gesellschaft entstanden sind.⁸³ Daraus könnte man den chronologischen Rahmen für die Bildung und Entwicklung der in den Linear-B-Texten bezeugten Sozialstrukturen bestimmen: vom Anfang des zweiten vorchristlichen Jahrtausends, als die Griechen nach Griechenland kamen, bis zum Ende des 13. Jh., wovon das pylische Archiv stammt. Durch die archäologischen Funde sind auch die anderen wichtigen Daten der mykenischen Geschichte bekannt: der Aufstieg von Mykene in 17.-16. Jh., das Erscheinen des Streitwagens im 16. Jh., die erste Eroberung Kretas durch die Achäer in der Mitte des 15. Jh., die zweite Eroberung Kretas und die Entstehung des pylischen Reiches im 14. Jh.⁸⁴

Offensichtlich waren die Lokalfürsten (βασιλεύς) und der Rat der Ältesten (γερούσια) sehr archaische Institutionen. Wahrscheinlich war der Fürst/König ursprünglich der Anführer des Volkes, sein Amtsträger, und bekam vom Volk das Amtsgut – τέμενος.⁸⁵ Allmählich stieg er auf zum Herrscher des Volkes und obersten Eigentümer des Landes – ἀναξ.⁸⁶ Wenn zur Zeit der Abfassung der bis heute erhaltenen Linear-B-Texte die Tradition, daß dem König sein τέμενος vom Volk verliehen wurde, noch existierte, so nur als ein formales Ritual, das sogar in den Dokumenten nicht erwähnt ist. Aber es ist möglich, daß im Laufe des ganzen zweiten Jahrtausends den Lokalfürsten (βασιλεύς) ihr Land von der Gemeinde zugeteilt war, was sich auch bei Homer widerspiegelt. Das Auftreten des Titels ἀναξ kann man vermutlich mit dem Aufstieg Mykenes verbinden.

Die Änderungen der Königsmacht sollten auch auf die Differentiation der Bevölkerung wirken. In erster Linie war neben dem relativ unabhängigen Sippenadel auch der Dienstadel entstanden, der Verwaltungsapparat hatte wesentlich zugenommen, die Gemeinden waren mehr oder weniger der staatlichen Verwaltung untergestellt. Den indirekte Beweis für die Datierung dieser Prozesse in das 16. Jh. kann man auch in den Texten finden. Es ist beachtenswert, daß nach der ersten achäischen Eroberung Kretas (15. Jh.) die neuen kretischen Herrscher ihren Staat nach dem minoischen Vorbild organisiert haben und daß erst die zweite Eroberung (ca. 1375), die den Palast zerstört und das Archiv „gerettet“ hat, nach Kreta eine völlig mykenische Ordnung gebracht hat. Etwas später ist das pylische Königreich entstanden. Folglich könnte man als Quelle der Übereinstimmungen zwischen den knossischen und pylischen Archiven das Mykene der Periode vor der ersten

⁸³ Vgl. Deger-Jalkotzy 1983: 111.

⁸⁴ S. Schachermeyr 1984.

⁸⁵ Vgl. Gschnitzer 1981: 15f.

⁸⁶ Vielleicht konnte dieser Titel auch den Begriff von Eigentum beinhalten (Vlachos 1974: 95).

Eroberung Kretas betrachten. Doch die Gründe der Unterschiede sind zahlreich und für jeden konkreten Fall einzeln zu behandeln.

Wie gesagt, hatte sich bis zum 15. Jh. das Verwaltungssystem im wesentlichen schon herausgebildet, und es gab auch schon die Benennungen der verschiedenen Adelsgruppen (*βασιλεύς, mo-ro-qa, e-qe-ta, τελεστᾶς*). Die Texte bieten uns nicht genug Material an, um die Stellung dieser Gruppen in den zwei Staaten zu vergleichen, aber einige Unterschiede kann man doch feststellen. Z.B. waren die Gefolgsleute des Königs (*e-qe-ta*) im Reich von Pylos entweder im Palast oder in den Regimenten und scheinen in der Wirtschafts- und Verwaltungsstrukturen nicht tätig gewesen zu sein (vielleicht, außer *a-pi-me-de*). Demgegenüber war ein Teil von ihnen in Kreta in verschiedenen Orten als Verwaltern eingesetzt. Wahrscheinlich hat nach der ersten Eroberung Kretas der neue knossische Herrscher den mykenischen Großkönig nachgeahmt und die Teile seines Reiches seinen nächsten Untertanen zugeteilt.⁸⁷ Auch die Stellung von *te-re-ta* dürfte in beiden Reichen nicht gleich gewesen sein. Wie gesagt, spielten die Agrarverhältnisse in Pylos eine viel wichtigere Rolle als in Knossos. Entsprechend war auch die Bedeutung der pyliischen und knossischen *te-re-ta* verschieden. In Pylos muß dieser Terminus einen viel breiteren Kreis des Dienstadels umfaßt haben. Diese Unterschiede sind teils mit den Besonderheiten der einzelnen Staaten, teils mit den verschiedenen Etappen der generellen Entwicklungstendenzen der mykenischen Gesellschaft zu verbinden, aber sie sind nicht groß genug, um in Knossos und Pylos ganz verschiedene Wirtschafts- und Sozialsysteme zu sehen. Demgegenüber zeigen die Benennungen der Sozialgruppen des Adels einen wichtigen Unterschied zwischen der mykenischen und altorientalischen Welt, wo entsprechende Benennungen fehlen.⁸⁸ Diese Tatsache zeigt nicht nur den Unterschied zwischen griechischer und orientalischer Denkweise, sondern auch den realen Unterschied in der Stellung des Adels in Mykene und Orient.⁸⁹

Hinweise auf die weiteren Entwicklungstendenzen finden sich in den pyliischen Landverteilungstexten.⁹⁰ Wie schon gesagt, beinhalteten die

⁸⁷ Vgl. Deger-Jalkotzy 1978: 198.

⁸⁸ Sogar bei den Hethitern, die sowohl sprachlich als auch mit ihren Sozialstrukturen näher zu den Achäern standen als die anderen orientalischen Völker, gab es die Benennungen nur für die amüliche und nicht für die soziale Aufgliederung des Adels. Vgl. den Text KUB 9.34 IV 8-18, dessen Interpretation als einer Liste der Sozialschichten der hethitischen Gesellschaft für mich annehmbar ist (Гюноградче 1991: 108ff.).

⁸⁹ Vgl. Deger-Jalkotzy 1983: 106.

⁹⁰ Gschnitzer 1981: 21ff.

verschiedenen Landesbezeichnungen die „historisch-wirtschaftliche“ Charakteristik der Grundstücke. Man kann vermuten, daß die *ke-ke-me-na*-Länder (vielleicht auch alle staatlichen Länder) von dem Weideland oder dem *open field*-Land der Gemeinde stammten. Es ist klar, daß nach der Bebauung und der Verteilung an die Dienstleute als Besitz diese Parzellen wirtschaftlich als *ko-to-na ki-ti-me-na* zu betrachten waren, aber sie behielten ihre alte Benennung als Bezeichnung ihres rechtlichen Standes.⁹¹ Zu der Zeit, als die engen Beziehungen zwischen dem Status des Besitzers und dem Status seiner Parzelle entstanden, dürften diese Termini nicht mehr die Wirtschaftsform, sondern die Besitzsbedingungen bezeichnet haben. Diese Entsprechungen könnte man folgendermaßen rekonstruieren:

te-re-ta – ki-ti-me-na

ka-ma-e-u – ka-ma (Art von *ke-ke-me-na*)

te-o-jo do-e-ro – o-na-to ke-ke-me-na

Aber zur Zeit der pylischen E-Texte scheint auch dieses System überholt zu sein. Die Besitzer und Benutzer bewirtschafteten ihre Parzellen fast gleich, die Grenzen zwischen alten Grundstücken und sogar zwischen beiden großen Kategorien (*ki-ti-me-na* und *ke-ke-me-na*) waren nur noch symbolisch, mehrere Personen besaßen Parzellen verschiedener Kategorie und unter verschiedenen Bedingungen. Daraus kann man schließen, daß die Entwicklung der Agrarbeziehungen zu einer neuen rechtlichen Ordnung führte. Mit diesen Prozeß könnte man die Entstehung des Terminus *ko-to-no-o-ko* und entsprechenden Status des *Besitzers* verknüpfen. Die neue Opposition sollte *Besitzer – Benutzer* (*ko-to-no-o-ko – o-na-te-re*) sein. Die Texte widerspiegeln den Umbau der Agrarverhältnisse und deswegen sind die Elemente beider Systeme erhalten.

Das Problem der Definition der mykenischen Gesellschaftsordnung ist strittig. Für die vollständige Rekonstruktion der Struktur fehlt einfach das Material, und die einzelnen relativ greifbaren Elemente zeigen den Bezug auf die verschiedenen Systeme.

Die große Anzahl der Sklaven in der Linear-B-Texten, die Bezirke im pylischen Reich, die Benennungen der Gemeinde, einiger

⁹¹ Es ist beachtenswert, daß wir in den knossischen Uf Serie eine ältere Opposition finden: *ke-ke-me-na*-Land steht dem *ko-to-i-na* (Fruchtbaumgarten im Besitz der *te-re-ta*) gegenüber, doch die Bezeichnung *ki-ti-me-na* fehlt (Hiller 1983: 176ff.). Vermutlich sind die vom Pylos bekannten Kompositen *ke-ke-me-na ko-to-na* und *ko-to-na ki-ti-me-na* später entstanden. Nachdem auch *ke-ke-me-na*-Land *ko-to-na* geworden ist, sollten die *ko-to-na* des Dienstadels die Definition *ki-ti-me-na* bekommen. Anders ist die Existenz des Terminus, dessen beide Glieder von einem Stamm gebildet sind und ungefähr dasselbe bedeuten, schwer zu erklären. Auch die Folge der Glieder in obengenannten Termini könnte für solche Vermutung sprechen.

Bevölkerungsgruppen, Amtsträger oder Institutionen erinnern uns an die besser bekannten Perioden der griechischen Geschichte. Aber was *do-e-ro* betrifft, sind sie trotz dem Gleichklang eher den orientalischen $\dot{\text{I}}\text{R}^{\text{MES}92}$ als den klassischen $\delta\omicron\upsilon\lambda\omicron\text{i}$ ähnlich. Es ist zu bezweifeln, daß die Sklaverei selbst für das klassische Athen der wichtigste und entscheidende Charakterzug war und für die mykenische Gesellschaftsordnung scheint die Definition „sklavenhalterisch“⁹³ überhaupt nicht zutreffend zu sein. Auch die anderen Übereinstimmungen bedeuten nur, daß die Sozialentwicklung in Griechenland durch den Seevölkereinbruch nicht völlig unterbrochen war. Die Gemeinde und ihr Grundbesitz/Eigentum, das Privateigentum, dessen Existenz in der mykenischen Welt zu vermuten ist, sind nicht nur für Griechenland, sondern auch für den Alten Orient und das frühmittelalterliche Europa typisch. Nur die Rolle dieser Institutionen in der ganzen Struktur, ihre Entwicklungstendenzen und manche kleinere Details waren in diesen Gesellschaften unterschiedlich, und da die entsprechenden Informationen in den Linear-B-Texten fehlen, ist der Vergleich in dieser Hinsicht zwischen der mykenischen und den obengenannten Gesellschaften erschwert. Besser sind in den Linear-B-Texten die Agrarverhältnisse und besonders die Funktionen des Palastes faßbar. Die Landverteilung im königlichen Sektor hatte zweifellos bestimmte feudale Züge und der Palast funktionierte nach dem orientalischen Vorbild. Die Koexistenz von Elementen verschiedener Systeme in der mykenischen Gesellschaft scheint mir nicht erstaunlich, weil die beiden Systeme typologisch nahestehend sind – in beiden wurde die Wirtschaft durch die politische Macht gelenkt und die Rolle von Privateigentum und Privatunternehmen beschränkt. Laut G. Melikischwili⁹⁴ konnte man beide als feudal in weiteren Sinn bezeichnen. Der Unterschied zwischen ihnen ist in den Herrschaftsformen zu suchen: in der „asiatischen“ Gesellschaft hatten die Vollmacht der König und seine Bürokratie, in den europäischen feudalen Gesellschaften aber die Kriegeraristokratie. Wegen der konkreten historischen Besonderheiten war das Gleichgewicht zwischen Bürokratie und Kriegeraristokratie in der mykenischen Welt nicht zerstört. Einerseits benötigte die bronzezeitliche Wirtschaft den Palast mit seinen organisatorischen und Tauschfunktionen, andererseits hat der Adel wegen des konkreten historischen Kontextes der Existenz der mykenischen Staaten, wegen des kriegerischen Geistes der

⁹² Wie auch $\dot{\text{I}}\text{R}^{\text{MES}}$, sollte *do-e-ro* eine allgemeine Bezeichnung für die verschiedenen Kategorien von abhängigen, unfreien Leuten sein.

⁹³ So war die vorherrschende Auffassung in der sowjetischen Literatur. Vgl. Ленцман 1963.

⁹⁴ Меликишвили 1988: 81f.

Griechen seine hervorragende Stellung behalten. Folglich ging die Entwicklung in beiden Richtungen:

1. es formierte sich das große und zentralisierte staatliche Eigentum, das dem Palast und dem bürokratischen Verwaltungsapparat unterstand – orientalische Richtung;

2. der Adel zerfiel in einige ständige Sozialgruppen, die eigene Benennungen und vermutlich auch spezifische gesellschaftliche Funktionen hatten – westliche Richtung.

Eben deshalb glaube ich, daß die von K. Wundsam in den mykenischen Oberschichten konstatierte Konfrontation⁹⁵ eher zwischen den zwei Entwicklungstendenzen bestand als zwischen bestimmten Gruppen des Adels. Es ist schwer zu beurteilen, welche von beiden Tendenzen stärker war und welche Ergebnisse daraus zu erwarten waren. Die Katastrophe hat uns die Linear-B-Texte als Momentaufnahme hinterlassen, die es meiner Meinung nach erlaubt, die mykenische Gesellschaftsordnung als *frühfeudal* im weiteren Sinne zu definieren.

⁹⁵ Wundsam 1968: 58ff.

დაწვრილი

ტაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში¹

ურარტული ტექსტების დიახი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეულია, რომელსაც ურარტუს მეფეები მენუა და არგიშთი I ებრძოდნენ ძვ.წ. VIII საუკუნის პირველ ნახევარში. დიახის მიახლოებით ლოკალიზაციაში გვეხმარება როგორც მასთან ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებათა აღსანიშნავი წარწერების აღმოჩენის ადგილები (იაზილიგაში – ერზერუმის მახლობლად, ზივინი – ერზერუმსა და ყარსს შორის, ხანაკი – დღევანდელი ქართულ-თურქული საზღვრის მახლობლად), ასევე თავად სახელწოდება, რომლის დაკავშირება ქართულ გაოსთან (ბერძნ. ῥάιοι) ეჭვს არ იწვევს. საეარაულოა, რომ ასურული ტექსტების დაიანნი იმავე პოლიტიკურ გაერთიანებას აღნიშნავდა.² გამოთქმულია მოსაზრება აგრეთვე ასურული დაიანისა და ხეთური აცი-ხაიასას იდენტიფიკაციის შესახებ.³ თუ ეს იდენტიფიკაციები სწორია, ურარტუს ბოლო მოუღია საკმაოდ მდგრადი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის, რომელიც სულ ცოტა ძვ.წ. XIV საუკუნიდან არსებობდა და ქართულ გაოს გერიგორიას, სავარაუდოდ, ასევე ქართველურ ეთნიკურ ელემენტსაც მოიცავდა.

გიგლათუალასარ I-ის (ძვ.წ. 1115-1077) ანალების მიხედვით, დაიანნი ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე ნაირის ქვეყნებს შორის წამყვან ძალად გვევლინება. მოგვიანებით, სალმანასარ III-ის (ძვ.წ. 858-824) ძირითადი მეტოქე ჩრდილოეთში უკვე ურარტუს მეფე არამუა, ხოლო დაიანის მეფე ასია, სავარაუდოდ, ურარტუსგან შევიწროვებული, ცდილობს სალმანასართან კარგ ურთიერთობათა დამყარებას.⁴ სარდური I ასურულენოვან წარწერებში თავის თავს ნაირის მეფედ მოიხსენიებს, რითიც ნაირის ქვეყნებზე ბატონობის ერთგვარ პრეტენზიას აცხადებს. შესაძლოა დაიან-დიახისა და ურარტუს დაპირისპირების კონტექსტში იყოს დასანახი ლუმას, ქათარმას და უიგერუხის გომების თარეში არაქსის ზემოწელის მარჯვენა ნაპირზე ძვ.წ. IX ს. მიწურულს.⁵

¹ ტექსტი წარმოადგენს იმავე სათაურის სტატიისა (ჯორდემიანი 2010) და ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (თბილისი, X 2010) წაკითხული მოხსენების ოდნავ ვადამუშავებულ ვერსიას.

² Меликишвили 1960: 424; Diakonoff, Kashkai 1981: 26; Salvini 1995: 55; Арутюнян 2001: 503.

³ Дьяконов 1968: 209слл.; ქემერტელიძე 2001: 13; ქავთარაძე 2006: 39.

⁴ Меликишвили 1954: 250; ქავთარაძე 2006: 25.

⁵ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

ამის შემდეგ საბრძოლო მოქმედებები უკვე დიაუხის მიწაზე გადადის. განვიხილოთ გექსტები, რომლებშიც დიაუხის წინააღმდეგ ურარტელთა ლაშქრობებია აღწერილი.⁶

მენუას გექსტები ძალზე მნიშვნელოვანია დიაუხის ლოკალიზაციისათვის. მათ აღმოჩენის ადგილებს (იაზილიგაშსა და ბივინს) ზოგი მკვლევარი დიაუხის სამეფო ქალაქებს, შაშილუსა და ზუას უკავშირებს. ერთი მხრივ, ბივინსა და ზუას სახელების მსგავსება, მეორე მხრივ, ბივინში შაშილუს დაპყრობის აღსანიშნავად დადგმული სტელის არსებობა თითქოს უკერძო მხარს აქ დიაუხის ერთ-ერთი საგახტო ქალაქის ლოკალიზაციას, მაგრამ უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია მოსაზრება, რომ ეს წარწერები ურარტუდან დიაუხისკენ მიმავალ გზაზე განთავსდა.⁷ ჩემი აზრით, გ. ქავთარაძე ვეთავაზობს აღნიშნული ქალაქების საკმაოდ დამაჯერებელ, სხვადასხვა წერილობითი და არქეოლოგიური წყაროს მონაცემებზე დაფუძნებულ ლოკალიზაციას თორთომის ხეობაში.⁸ შაშილუს (სასიროს) ბრძოლით ალების შემდეგ მენუა ჩრდილოეთისკენ მიიწევს, ქალაქ ზუასა და მეშეთ-შავშეთის მიმართულებით.

ამის შემდეგ დიაუხის მეფე უტუურში აღიარებს მენუას გამარჯვებას, ეახლება მას და ხარკის გადახდასა და გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს.

ტყვეთა შემთხვევაში, როგორც ჩანს, ლაპარაკი უნდა იყოს ურარტუდან გაქცეულ ტყვეებზე, ვისაც გაოსთვის პქონდათ თავი შეფარებული. ამ გიპის ხალხის დაბრუნებას (ან დაბრუნების ვალდებულებას) ხშირად ვხვდებით ძველადმოსავლურ ტექსტებში. ტყვეთა დაბრუნება და დამხმარე ძალის მიწოდება, რაზეც შემდგომ პასაჟში უნდა იყოს ლაპარაკი, მოგვაგონებს ხეთური ხელშეკრულებების იმ ნაწილს, სადაც დიდი მეფის მიმართ „მოკავშირის“ თუ ეასალის ვალდებულებებია ასახული.

მთლიანობაში ეს ტექსტი, მიუხედავად მზნებისა „დავიპყარი“, „გადავწვი“, „დაეანგრიე“ – რაც ურარტულ ტექსტებში მგრის დაწიოკების სტანდარტულ აღწერას წარმოადგენს, ისეთ შთაბეჭდილებას გოვებს, რომ მენუამ აიძულა დიაუხი, მისი „მოკავშირე“ გამხდარიყო. მენუას ვაჟი და მეშევიდრე არგიშთი კი უკვე ნამდვილად იპყრობს დიაუხს და მისი ლაშქრობის (თუ

⁶ თაჲად ტექსტები იხ. ზემოთ, გვ. 89 შმდ., აგრეთვე *ანტიკური კავკასია*: 25 შმდ.

⁷ Salvini 1995: 55.

⁸ ქავთარაძე 2006: 33.

ლაშქრობების) შედეგად, ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, არსებობას წყევტს.

აქვე უნდა შევეხოთ ურარგული ლაშქრობების დათარიღებას. იქიდან გამომდინარე, რომ მენუაყ და არგიშთიყ დიაუხის ერთ მეფეს, უტუფურშის ებრძოდნენ, მ.სალეინი ასკენის, რომ ეს ლაშქრობები მენუას მმართველობის ბოლოსა და არგიშთის მმართველობის დასაწყისში მოეწყო.⁹ მაგრამ რატომ არ შეეძლო ემეფა უტუფურშის, იმავე მენუასა და არგიშთის მსგავსად, ათწლეულების მანძილზე? არგიშთის ერთი — ლაშქრობის დათარიღება მისი მეფობის მეორე წლით, თითქოს, არ უნდა იყოს სადავო. ეს ლაშქრობა უნდა იყოს ასახული გექსტებში CTU A 8-2 Vo, CTU A 8-3 I, CTU A 8-7. გექსტი CTU A 8-1 lato destro, მ.სალეინის აზრით, იგივე ლაშქრობას მოიხსენიებს, ხოლო გ.მელიქიშვილი ამ ამბებს არგიშთის მეფობის XIX წელს მიაწერს.¹⁰ მართალია, ამ ფრაგმენტში ლაშქრობის დეტალები არაა შემორჩენილი, რაც შეუძლებელს ხდის მის შედარებას პირველ ლაშქრობასთან, მაგრამ, ჩემი აზრით, მეორე ლაშქრობის დაშვებას აქვს თავისი ლოგიკა. პირველი ლაშქრობის შედეგად არგიშთი, მართალია, მძიმე დარცმას აყენებს დიაუხს, ართმევს მას ტერიტორიის ნაწილს, მაგრამ არ სპობს სახელმწიფოს, დიაუხის მეფეს მეფედვე გოვებს და მას ხარკს უწევს. არგიშთის შემდეგ კი დიაუხი აღარ ჩანს ურარგულ გექსტებში, მის ადგილს სარდური II-სთან (756-730) ერთგვარად თითქოს კულხა იკავებს. შესაბამისად, ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მომდევნო წლებში არგიშთის კელავ მოუხდა ბრძოლა უტუფურშისთან, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა, საეარაუდოდ, გახტყც დაკარგა და ქვეყანაც. დიაუხის მნიშვნელოვანი ნაწილი ურარგუმ დაიპყრო, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი კოლხეთის ხელში აღმოჩნდა.

არგიშთის მეფობის მეორე წლის ლაშქრობის აღწერილობები (CTU A 8-2 Vo, CTU A 8-3 I, CTU A 8-7) გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მის მარშრუტზე და, შესაბამისად, სამხრეთ ამიერკავკასიის გეოგრაფიაზეც.

დიაუხსა და ურარგუს შორის ან დიაუხის სამხრეთ ნაწილში ჩანს შერიაზის ქვეყანა. დიაუხის სამხრეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო აგრეთვე კადა, შამილუ, აშკალაში, რომლებიც არგიშთიმ დიაუხს მოგლიჯა და თავის ქვეყანას შეუერთა (ან იქიდან მოსახლეობა გარეკა თავის ქვეყანაში), ასევე შაშქი,

⁹ Salvini 1995: 55, 59.

¹⁰ Меликшвили 1960: 244, 255.

არდარაქიხი, ბალთულხი და კაბილუხი, რომლებსაც არგიშთიმ ოლქის მმართველები დაუნიშნა.

მართალია, სამივე გექსტში ლაშქრობის აღწერილობის დასაწყისშივე მოიხსენიებიან ბია(ნი) და ხუშა(ნი), მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ზემოთ ნახსენებ პუნქტებთან შედარებით უფრო ჩრდილოეთით იყვნენ განლაგებული. არგიშთიმ მხოლოდ დალაშქრა ეს პუნქტები, თავის ქვეყნისთვის არ შეუერთებია, ხუშა(ნი) სარდური II-ის დროსაც ჩანს კულხასთან ერთად ურარტუს მოწინააღმდეგედ.

ყველაზე ვრცელ აღწერილობაში (CTU A 8-2 V) ღიაუხის დაპყრობილ თუ შეწყალებულ ოლქებთან ერთად ჩამოთვლილნი არიან ღიაუხის მოკავშირეები, რომლებსაც არგიშთი გაუსწორდა ამ ლაშქრობის დროს: ლუშა, ქათარზა, ერიახი, გულუთახი, უიტერუხი, აფუნი, იგა(ნიეხი).

სხვა გექსტში (CTU A 8-3 I) თითქოს ლაშქრობის მარშრუტეც ჩანს: შერიაზის ქვეყანა, ქალაქი ფუთე, მარცხნივ – ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ – თარიუნის ქვეყანა; შაბახაე, ქალაქი უზინაბითარნა, სირიშუთარას მთიანი ქვეყნა, მარჯვნივ იგანის ქვეყანა, ერიახის ქვეყანა, აფუნის ქვეყანა, ქალაქი ურიეიუნი, უიტერუხის სამეფო ქალაქი.

მარშრუტის ძირითადი ნაწილის რეკონსტრუქცია რთული არაა – თორთომის ხეობით არგიშთი ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, შემდეგ კი აღმოსავლეთით უხევეს იგას (ჩილდირის გბის მახლობლად) და ერიახის (დრევანდელი გიუმრის მიდამოებში) მიმართულებით. ეს გზა სრულიად ლოგიკურია რელიეფის გათვალისწინებით.

ღიაუხის მოკავშირეთაგან ყურადღებას იპყრობენ გომები/ქვეყნები ლუშა, ქათარზა, უიტერუხი, რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართულ სამყაროს შეიძლება დაეუკავშიროთ.

ამ გომების ყველაზე ადრეული მოხსენიება თარიღდება ძვ.წ. 820-10 წლებით, ურარტუში იშფუნიისა და მენუას თანამმართველობის პერიოდით (CTU A 3-4, 3-5, 3-6, 3-7). შემდგომში ისინი ჩანან არგიშთი I-ის (785/780-756) მეფობის II-III და XIII-XIV წლების ამბების აღწერილობაში (CTU A 8-3 V), ასევე სარდური II-ის კოლხეთის წინააღმდეგ 40-იან წლებში მოწყობილი ლაშქრობის კონტექსტში (CTU A 9-3 III).

გექსტების უმრავლესობა ურარტუს დედაქალაქ გუმუაში (დრევანდელი ქ. ვანი) არის ნაპოვნი, ორი კი ალაშქერგის მახლობლად, პირაბაგსა და გოპრაკ-კალეში. ამ გექსტებში მოხსენიებული ქალაქი ანაშე სავარაუდოდ სწორედ ალაშქერგი

უნდა იყოს,¹¹ რაც არის კიდევ ყველაზე მყარი საყრდენი დასახელებულ გომთა ლოკალიზაციისათვის მდინარე არაქსის ზემო წელის მარჯვენა ნაპირზე.¹² ეს გერიტორია საკმაოდ დამორებულია ისტორიული კლარჯეთისგან (მით უმეტეს, ლაბებისა და ოძრხესაგან). ნ. არუტუნიალის აზრით, ეს არ გამოირიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ ქათარზას გომის სამფლობელო ჩრდილოეთით კლარჯეთსაც მოიცავდა.¹³ მაგრამ ასეთ შემთხვევაში საკმაოდ დიდ და ძლიერ სახელმწიფოსთან გვექნებოდა საქმე, რაც გექსტებიდან, თითქოს, არ ჩანს. გომთა დიდ გაერთიანებას ურარტუს ჩრდილოეთით, დღევანდელი სომხეთის გერიტორიაზე, ეთიუნ/ეთიუხი ეწოდებოდა, ხოლო კლარჯეთსა და ურარტუს შორის მდებარეობდა დიაუხის ძლიერი სამეფო.

ლუშა, ქათარზა და უიგერუხი ანაშე-ალაშკერგთან მხოლოდ იმუუნიისა და მენუას ერთობლივი ლაშქრობის აღწერისას ჩანან. საინტერესოა, რომ ურარტელთა გამარჯვება, გარდა ზმნებისა „დაამარცხა“, „მოსპეს“, გადმოცემულია აგრეთვე ზმნით sa-ú-i-du-tú – „უკუაგდეს“, რაც არ არის ტიპური ქვეყნის დაპყრობის შემთხვევაში.

მენუას გექსტებში (810-785/80) აღარ ჩანან არც ეს გომები, არც ქალაქი ანაშე, ხოლო ამ ქალაქის მახლობლად აღმოჩნდა წარწერა, რომელიც მენუას მიერ ციხე-სიმაგრის მშენებლობაზე მოგვითხრობს (CTU A 3-40).

შეიძლება გვეფიქრა, რომ მენუამ საბოლოოდ დაიმორჩილა რეგიონი და იქ მობინადრე გომები. ურარტუს ექსპანსია ჩრდილოეთის მიმართულებით გავრძელდა და გამარჯვების აღსანიშნავ წარწერებს ვხედებით უკვე ერზერუმისა და ყარსის მიდამოებში (მაგ., CTU A 5-3, 5-4).

მენუას მომდევნო მეფეების, არგიშთი I-ისა და სარდური II-ის დროს ურარტუს ძლიერება ზენიგს აღწევს. ისინი იპყრობენ დღევანდელ სომხეთს და იქ ციხე-ქალაქებსაც აშენებენ, არგიშთის წარმატებათა ამსახველი წარწერა საქართველოს სამღვართან ახლოს, ხანაკშიც აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში, დიაუხის (გაოს) და კულხას (კოლხეთის) წინააღმდეგ ლაშქრობების დროს ურარტუ კვლავ ებრძვის ლუშას, ქათარზასა და უიგერუხს. სამივენი ერთად დიაუხის მოკავშირეებად ჩანან არგიშთის მეფობის მეორე წელს მოწყობილი ლაშქრობის დროს. ამ ლაშქრობის აღწერილობიდან

¹¹ Меликшвили 1960: 417; Арутюнян 2001: 496.

¹² Diakonoff, Kashkai 1981: 48წ.; Арутюнян 2001: 496, 512.

¹³ Арутюнян 2001: 512.

გამომდინარე, ვ. მელიქიშვილი ქათარზასა და უიგერუსს ერიახის (დღევანდელი გიუმრის) მახლობლად ათავსებს,¹⁴ რაც სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ ლოკალიზაციის დაბუსტება?

დიაუხის მოკავშირეთა ჩამონათვალში ლუშა და ქათარზა ერიახის წინ მოისსენებიან, უიგერუსი კი ორივე კონტექსტში ერიახის შემდგომ ჩნდება. თუ გემოსხენებულ მარშრუტს გავისხენებთ, არგიშთის კლარჯეთი გიუმრიმდე უნდა დაელაშქრა. საით წავიდა იგი აქედან – ჩრდილო-აღმოსავლეთით, თუ სამხრეთით (ან სამხრეთ-დასავლეთით), რათა აფუნისა და უიგერუსისათვის მიეღწია?

თეორიულად ორივე შესაძლებელია, მაგრამ რამი სჭირდებოდათ არგიშთისა და სარდურის იმ პუნქტების დალაშქერა, რომელიც ჯერ კიდევ მენუას დროს ურარტუს სამეფომ შეიერთა, ან რაგომ მიჰყავდათ იქიდან ტყვეები? ტექსტებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აფუნი და უიგერუსი საკმაოდ შორეული ქვეყნებია. მხოლოდ სარდური II იპყრობს დროებით უიგერუსს და იქ თავის მოხელეს გოვებს მეთვალყურედ (CTU A 9-3 III).

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იშფუნისა და მენუას ბრძოლა ლუშას, ქათარზასა და უიგერუსის გომებთან ქალაქ ანაშეს მიდამოებში წარმოადგენდა არა მათ დაპყრობას, არამედ მათი თარეშის აღკვეთას, რაც აისახა კიდევ გერმინში *sa-n-i-du-n* – „უკუაგდეს“. არგიშთისა და სარდურის შორეული ლაშქრობების დროს ურარტელები უკვე ამ გომების საცხოვრისს აღწევენ. სამწუხაროდ, ამ მიწების ზუსტი ლოკალიზაცია მხოლოდ აღნიშნულ ლაშქრობათა მარშრუტების შესწავლით რთულია. აქ შეიძლება ერთგვარად დაგვეხმაროს ენობრივი მასალა. ურარტულ ტექსტებში მრავლადაა ისეთ გომო-და ეთნონიმი, რომლებიც მოგვიანებით ანტიკურ, სომხურ თუ ქართულ წყაროებში გვხვდება ქართული გომებისა თუ დასახლებების აღსანიშნავად. მოვიგან მხოლოდ არასრულ ჩამონათვალს.

თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული შემდეგი იდენტიფიკაციები: დიაუხი – ტაო, ქათარზა – კლარჯეთი, ზაბახა – ჯავახეთი, კულხა – კოლხეთი. მკვლევართა მიერ შემოთავაზებულია აგრეთვე შედარებით უფრო ჰიპოთეტური დაკავშირებები: შემეთინა – შავეთი, ლუშა – ლაზეთი, უიგერუსი –

¹⁴ Меликишвили 1960: 432, 445.

ბიძერები – ოძრხე, იგა(ნიეხი) – ჰენიოხი, ალგანი – ალგეთი, ქვეყნის კარი – გაოსკარი,¹⁵ შაშილუ – სასირო,¹⁶ თარიუნი – თორი, კურიანი/გურიანი – მკევარი ან გურია, ცუღალა – წუნდა, ფუსუნია – ფოსო, ალკანია – არაკონ, არაქალ, ირკანი და სხე.¹⁷

მართალია, ყველა იდენტიფიკაცია შეიძლება არ იყოს მისაღები, მათი ნაწილი კი მხოლოდ ენობრივი პარალელის მაგალითად გამოდგეს და არა გოპონიმის ლოკალიზაციისათვის, ჩემი აზრით, მთლიანობაში ამგვარ გოპონიმთა სიმრავლე გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ურარტუს ჰქონდა ურთიერთობა არა დაუდგენელი ლოკალიზაციის ცალკეულ ქართველურ გომთან, არამედ უკვე მეგ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ ქართველურ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ სამყაროსთან. თითო-ოროლა გოპონიმის და, მითუმეტეს, ეთნონიმის ადგილმდებარეობის შეცვლა საუკუნეთა მანძილზე სავსებით დასაშვებია, მაგრამ გოპონიმთა მთელი სისტემის გადანაცვლება ნაკლებად სავარაუდოა.

შესაბამისად, ურარტულ ტექსტებში დაცულ იმ გოპონიმთა ლოკალიზაციის დასაბუთებლად, რომელთა გაიგივება სხვა წყაროებში მოხსენიებულ ქართულ გოპონიმებთან მეგ-ნაკლები დარწმუნებულობით ხერხდება, შეიძლება გარკვეულწილად გამოდგეს მათი გვიანდელი ადგილმდებარეობა.

საგანგებოდ მინდა განვიხილო გაო-კლარჯეთის მოხსენიების შემთხვევები ურარტული ლურსმული დამწერლობის თავისებურებათა შუქზე.

ამგვარი კვლევა მე არ მინახავს, თუმცა, ალბათ იმიგომ, რომ ბევრი რამ, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი, ლურსმულის სპეციალისტისათვის მეგ-ნაკლებად თავისთავად ცხადია. მაგრამ ამ მოსაზრებებს წესების სახით ჩამოყალიბებულს დაინგერესებული მკითხველი ვერსად ნახავს, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, თარგმანებთან ერთად საზოგადოებას ეს კვლევა-კომენტარიც შევთავაზოთ, რაც ტექსტების არასწორ ინტერპრეტაციას და ამ საფუძველზე შექმნილ შორსმიმავალ, მცდარ დასკვნებს აგვაცილებდა.

¹⁵ მელიქიშვილი 1995.

¹⁶ ქავთარაძე 2006: 36.

¹⁷ უურო ლეტალურად იხ. მაგ., ასათიანი 1993; ასათიანი 1998.

ლიაუხი – ^mdiu(e)hi, გვხვდება 15-ჯერ, ყოველთვის კაცის/გომის დეტერმინატივით და ყოველთვის სუფიქსით hi.¹⁸

CTU A 5-3:

2. ^mdi-a-ú-e-hi-ni-e-di ^{KUR}ta-ra-i-ú-e-di/ ^{KUR} ta-ra-i-ú-e-di – „ლიაუხისკენ, თარაიუსკენ“ ან „ლიაუხისკენ, ძლიერი ქვეყნისკენ“. ორივე წაკითხვა შესაძლებელია. პირველ ინტერპრეტაციას შეიძლება უჭერდეს მხარს ტექსტში CTU A 8-7 თარიუნის ქვეყნის მოხსენიება.¹⁹

7. ^mdi-a-ú-e-hi ^{KUR}ni-i-e – „ლიაუხის ქვეყანა“

12.-13. ^mdi-á-bu-ur-ši-ni ^{MAN} ^mdi-i-a-ú-e-hi – „უტუბურში ღიაუხის მეფე“

19.-20. ^mdi-a-ú-e-hi-ni-i ^{ANŠU.KUR.RA} ^{MEŠ}-ú-ú – „ღიაუხის ცხენები“

CTU A 8-1 lato destro:

3.-4. ^mdi-á-bur-ši-[ni] [^mdi]-i-a-ú-[hi] ^{KUR}ni-i-[e] – „უტუბურში ღიაუხის ქვეყნის მეფე“

13. ^md[i]-i-a-ú-hi – „ღიაუხი“

17. [^mdi]-i-a-ú-hi-ni-e-di – „ღიაუხისკენ“

CTU A 8-2 Vo:

3.-4. ^{URU} ^{MAN}-si [^mdi]-i-a-ú-[hi-ni]-e-i – „ღიაუხის სამეფო ქალაქი“

17. ^{MAN} ^mdi-a-ú-hi – „ღიაუხის მეფე“

19. ^mdi-a-ú-hi-ni-še – „ღიაუხელმა“ = ღიაუხის მეფემ

23. ^mdi-a-ú-hi-ni-di – „ღიაუხისკენ“

34. ^mdi-a-ú-hi-ni-e – „ღიაუხელს“ = ღიაუხის მეფეს

CTU A 8-3 I:

6. ^mdi-a-ú-e-hi-ni-e-di ^{MAN} ^mdi-a-ú-e-hi – „ღიაუხისკენ. ღიაუხის მეფე“

CTU A 8-7:

7. [^{MAN} ^mdi]-ia-ú-e-hi-e – „ღიაუხის მეფე“

ღიაუხის შემადგენლობაში ურარტელები სავარაუდოდ მოიაზრებდნენ შემდეგ „ტომებს“, „ქვეყნებსა“ და „ქალაქებს“:

^{URU} aḫuria(ni) – (ქალაქი) ახურია(ნი)

^mardarakihī – (გომი) არდარაქი(ხი)

¹⁸ ამიგომ არ მიმაჩნია მთლად კორექტულად მ. სალვინისეული „ღიაუს გომი“ (Salvini 2008: 190). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ვარიანტი ფრჩხილებში მოსდევს განმარტების სახით ძირითად თარგმანს „ღიაუხი“.

¹⁹ ბრეტუნიაი მის სახელს სომხურ დარუინქს უკავშირებს (Арутинян 2001: 524), ხოლო შ. ასათიანი – ქართულ თორს (ასათიანი 1993: 14).

^{KUR}ašqalaši – (ქვეყანა) აშკალაში
^mbaltu(lhi) ^{KUR}ebani – ბალთუ(ლხის) (გომის) ქვეყანა²⁰
^{KUR}bia(ni) – (ქვეყანა) ბია(ნი)²¹
^{KUR}didini/ uldini²² ^{KUR}-ni – დიდი(ნი)ს (ან: ულდინის) ქვეყანა
^{URU}haldiri(ulhi) ^{KUR}ebani – (ქალაქ) ხალდირი(ულხის) ქვეყანა²³
^{KUR}hūša(ni) – (ქვეყანა) ხუშა(ნი)²⁴
^{KUR}KÁ-ši-e/ ^{KUR}KÁ-ši-e / ^{KUR}nab-ši-e – „ქვეყნის კარი“ (?)²⁵
^{URU}puti – (ქალაქი) ფუთი/ე
^mqabiluḫi – (გომი) კაბილუ(ხი)
^{KUR}qada – (ქვეყანა) კადა
^{URU}šašilu – (ქალაქი) შაშილუ,²⁶ სამეფო ქალაქი
^{URU}šašilui ^{KUR}-ni – (ქალაქ) შაშილუს ქვეყანა
^mšaški – (გომი) შაშკი
^{KUR}šeriazī – (ქვეყანა) შერიაზი
^{KUR}šešeti(na) – (ქვეყანა) შეშეთის²⁷
^{KUR}tar(a)iu(ni) – (ქვეყანა) თარ(ა)იუ(ნი)
^{URU}uṣḫai – (ქალაქი) უტუხაი²⁸
^{URU}zua – (ქალაქი) ზუა, სამეფო ქალაქი
 დიაუხის მოკავშირეებად მოიხსენიებიან:
^{KUR}apuni – (ქვეყანა) აფუნი²⁹

- ²⁰ ბალთუ/ ბალთულხი – დიაუხის შემადგენლობაში შემავალი გომი, რომელიც, ნ. არუტუნიანის აზრით, ეფურაგის სათავესა და ჭოროხის შუაწულს შორის სახლობდა (Арутонян 2001: 500).
- ²¹ ქვეყანა დიაუხის მეზობლად. ლოკალიზაციისათვის იხ. Меликишвили 1960: 423; Арутонян 2001: 501. შდრ. ქართული „ბანა“ (ასათიანი 1993: 12).
- ²² Арутонян 2001: 186; Salvini 2008: 330.
- ²³ ხალდირი/ხალდირიულხი – დიაუხის შემადგენლობაში შემავალი გომი, რომელიც, ნ. არუტუნიანის აზრით, ჩილდირის გბის მიდამოში სახლობდა (Арутонян 2001: 507).
- ²⁴ ქვეყანა დიაუხისა და კულხას მეზობლად, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით (Меликишвили 1960: 429; Арутонян 2001: 508). შდრ. ქართული „ხომი, ხომაქი“ (ასათიანი 1993: 12).
- ²⁵ ან: „ქვეყანა ნაბი“ (Арутонян 2001: 186), „ქვეყანა KÁ“ (Salvini 2008: 330). შესაძლოა, შეესაბამებოდეს ქართულ გაოსკარს (მელიქიშვილი 1995: 9).
- ²⁶ შესაძლოა, შეესაბამებოდეს ქართულ სახელწოდებას „სასირო“ (ქავთარაძე 2006: 36).
- ²⁷ ნ. არუტუნიანის აზრით, უნდა წაეკითხოთ „შეშეს მთა“, რომელიც მოიხსენიება გიგლათუალასარ I-ის ანალებშიც. ეს მთა დიაოხის ქვეყანაში ან მის მახლობლად მდებარეობდა (Арутонян 2001: 79). ვ. მელიქიშვილი ამ ქვეყნის სახელს უკავშირებს შეშეთს (Меликишвили 1959: 205).
- ²⁸ შეიძლება დაუკავშირდეს თანამედროვე უტუხა/ოხდას, რომელიც ოლთუ/ოლთისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს (Арутонян 2001: 529).

^{m/}KUR^{eriah}i – ერიახი³⁰ (გომი ან ქვეყანა)

^{KUR}gulutahi – (ქვეყანა) გულუთა(ხი)³¹

^{m/}KUR^{iga}(ni-ehi) – იგა/იგანი/იგანიეხი³² (გომი ან ქვეყანა)

^mkatarza (KUR-ni) – ქათარზა³³ (გომი ან მისი ქვეყანა)

^{m/}KUR^{lša} – ლშა³⁴ (გომი ან ქვეყანა)

^{m/}KUR^{u(i)teru}(hi) – უიგერუ(ხი)³⁵ (გომი ან ქვეყანა)

ღიაუხზე ლაშქრობის კონტექსტში მოიხსენიებიან აგრეთვე:

^{URU}maqaltuni ^{KUR}iganini – (ქალაქი) მაკალთუნი იგანის (ქვეყნისა)

^{KUR}sirimutara – (ქვეყანა) სირიმუთარა

^{URU}urieuuni URU MAN-nusi ^muiteruhini – (ქალაქი) ურიეუნი,³⁶

უიგერუხის სამეფო ქალაქი.

^{URU}uzinabitarna – (ქალაქი) უზინაბითარნა

^{KUR}zabāhae – (ქვეყანა) ზაბახაე³⁷

ქათარზას (კლარჯეთს) რაც შეეხება, ისიც ყოველთვის კაცის/გომის ლეტერმინატივით გვხვდება. შეიძლება გამოეყოსთ ორი ფორმულა. იმუჟინისა და მენუას ტექსტებში, სადაც ალაშქერგის მახლობლად მიმდინარე ბრძოლებზეა საუბარი (CTU A 3-4, 3-5, 3-6, 3-7), მოიხსენიება ^mka-tar-za/ ^mka-tar-za-ni-e-di – „ქათარზა,

²⁹ აფნი/აბუნი – ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში. არგიშთისა და სარდურის ლაშქრობების მარშრუტების მისეული გაგების შესაბამისად, ნ. არუტუნანი ათაესებს მას აირარაგის პროვინციაში არაქსის სათაფესთან, აბეგეანქის სამხრეთით (Арутюнян 2001: 493). იხ. აგრეთვე ასათიანი 1998: 32.

³⁰ ქვეყანა თანამედროვე ეიუმრის მახლობლად (Меликишвили 1960: 425; Арутюнян 2001: 504).

³¹ მასთან ერთად მოხსენიებული პუნქტების ადგილმდებარეობის ვათეალისწინებით, გ. მელიქიშვილი მას არარაგის ველზე ათაესებს (Меликишвили 1960: 427), ნ. არუტუნანი კი არაქსის ზემოწელის მარცხენა ნაპირზე (Арутюнян 2001: 506).

³² ქვეყანა ჩილდირის ტბის მახლობლად (Меликишвили 1960: 430; Арутюнян 2001: 509). შეიძლება უკავშირდებოდეს ანტიკური წყაროების „ქენიოხესს“ (Меликишвили 1959: 93).

³³ ქათარზას მეცნიერები აიგივებენ ბერძნულ Καταρτζიო-სთან, ქართულ კლარჯეთთან, სომხურ კვარჯეთან (Меликишвили 1959: 113, 210; Diakonoff, Kashkai 1981: 48; Salvini 1995: 40; Арутюнян 2001: 512).

³⁴ ლშა-ლოსა შეიძლება ეხმიანებოდეს ლაშების სახელწოდებას (Меликишвили 1959: 113), ან ერუშეთისას. ეს მოსაზრება პირად საუბარში გამიზიარა მ. გაბესკირიამ.

³⁵ სახელწოდება შეიძლება უკავშირდებოდეს ქართულ ოძრხეს და ანტიკური წყაროების ბიძერებს (Меликишвили 1959: 113, 210), შესაძლოა, იგივე გომს/ქვეყანას აღნიშნავდეს გივლათფალასარის ანალების ფაითერუ (ასათიანი 1998: 28).

³⁶ შესაძლოა, იგივე, რაც ^{URU}uraiani (Меликишвили 1960: 445).

³⁷ ქვეყანა ჩილდირის ტბის მახლობლად, სეპარაულოა, ქართული ჯაეახეთი (Меликишвили 1960: 446; Арутюнян 2001: 530).

ქათარზასკენ/ ქათარზას წინააღმდეგ“, ხოლო არგიშთი I-ის მაგიანის გაო-კლარჯეთში ლაშქრობის კონტექსტში (CTU A 8-2 Vo, 35, CTU A 8-3 V, 48) – ^მka-tar-za-a-e KUR-[ni-e] – „ქათარზას (გომის) ქვეყანა“. პირველ შემთხვევაში ქათარზა მოქმედებს ლუშასა (^ლuša) და უიტერუხის (^ლuiteruḫi) გომებთან ერთად, ხოლო მათ მოკავშირედ გვევლინებიან ეთიუნის/ ეთიუხის³⁸ ქვეყნის (^კURetiuni/ etiḫi) მეფეები.

არგიშთი I მაგიანეში, როგორც უკვე აღინიშნა, ქათარზა დიაუხის მოკავშირედ ჩანს და ურარტელები აღწევენ მის კუთვნილ ტერიტორიას, რომელიც დიაუხის ჩრდილოეთით და ერიახის დასავლეთით არის საძებარი.

შემოთ მოგანილი მასალიდან ჩანს, რომ ეთნო-პოლიტიკური და გეოგრაფიული სახელწოდებები დახასიათებულია ცნებებით გომი“, „ქალაქი“, „ქვეყანა“ ან მათი კომბინაციებით.

განვიხილოთ ამ ცნებათა შესაბამისი ნიშნები – იდეოგრაფები თუ დეტერმინატივები და ფორმულები.

𐎠 (DIŠ) ნიშანი ჩვენ ტექსტებში გვხვდება კაცის ან გომის სახელის დეტერმინატივად, რაც გრანსლიტერატურაში აღინიშნება ^მX ან ^ლX.³⁹ დეტერმინატივი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ხშირად ხმარებულ იდეოგრაფიულ ნიშანს და მიუთითებს იმ სემანტიკურ ველზე, რომელსაც მომდევნო სიტყვა განეკუთვნება. ის, სავარაუდოდ, არ იკითხება და მხოლოდ გვეხმარება მომდევნო სიტყვის წაკითხვა-ინტერპრეტაციაში. კაცისა და გომის სახელებისათვის ერთი დეტერმინატივის გამოყენება სავსებით ბუნებრივია, რადგან გომი, პირველ რიგში, კაცების სიმრავლედ აღიქმება. ამის მსგავსად, დეტერმინატივად ნახმარი 𐎠 შეიძლება ახასიათებდეს ერთ კაცსაც და ადამიანთა ჯგუფსაც. მეტიც, სიტყვა (^ლU)huradi, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება ითარგმნოს როგორც „ჯარი“ ან „ჯარისკაცი“.

𐎠 (URU) „ქალაქი“ გვხვდება დეტერმინატივის ან დამოუკიდებელი იდეოგრაფის როლში. თარგმანი „ქალაქი“ პირობითია. ეს ნიშანი აღნიშნავს ნებისმიერ დასახლებულ პუნქტს,

³⁸ ეთიუ(ნი/სი) სამხრეთ კავკასიის გომთა დიდი ვაერთიანება, ან კრებითი სახელი; მოიყაღა ღლეუანდელი სომხეთის გერიტორიის დიდ ნაწილს; ურარტულ ტექსტებში მრავალ გომთან ასოცირდება (Мелликишвили 1960: 426; Diakonoff, Kashkai 1981: 34; Арутюнян 2001: 505).

³⁹ სადაც X კაცის ან გომის სახელია, დეტერმინატივი კი გადმოცემულია მამრობითობის მაჩვენებლით (m = masculinum) ან ნიშნით (l). რომელიც გრაფიკულადაც და რიცხვითი მნიშვნელობითაც კვავს ლურსმულ ნიშანს.

დაწყებული დიდი სახელმწიფოების დედაქალაქებით (მაგ. ^{URU}ṭšpa) და დამთავრებული რამდენიმეკომლიანი სოფლებით, რომლებსაც ასეულობით იპყრობენ ან სპობენ ურარგელები ერთი ლაშქრობის მანძილზე.

* (KUR) „ქეყანა“ გვხვდება დეტერმინატივის ან დამოუკიდებელი იდეოგრამის როლში. იგი, პირველ რიგში, გეოგრაფიული ცნებაა და აღნიშნავს ნებისმიერი ზომისა თუ პოლიტიკური წონის ერთეულს, ასურეთსაც (^{KUR}ašur), ურარტუსაც (^{KUR}biainili) და დიაუხის შემოთხსენებულ ნაწილებსაც (მაგ., ^{KUR}ašqalaši, ^{KUR}bia(ni), ^{KUR}ḫuša(ni), ^{KUR}KÁ-ši-e, ^{KUR}qada, ^{KUR}šeriazī, ^{KUR}šešetī(na), ^{KUR}tar(a)iu(ni)), რომლებიც, ალბათ, ამ გაერთიანებაში შემავალ თემებსა თუ ხევებს წარმოადგენდნენ.

გარდა მარტივი ფორმულებისა (^mX, ^{URU}X, ^{KUR}X), ეთნო-პოლიტიკური წარმონაქმნი შეიძლება მოიხსენიებოდეს შემდეგნაირადაც:

^mX KUR-ni – „X (გომის) ქეყანა“

^{URU}X KUR-ni – „(ქალაქ) X-ის ქეყანა“

^{KUR}X KUR-ni – „(ქეყანა) X-ის ქეყანა“

სამივე შემთვევაში KUR-ni-ს შეიძლება ენაცვლებოდეს ^{KUR}ebani, სადაც ქვეყნის აღმნიშვნელი შუმეროგრამა დეტერმინატივად უბის ფონეტიკურად დაწერილ ქვეყნის აღმნიშვნელ ურარტულ სიტყვას. სიტყვის ამგვარი დაწერილობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დეტერმინატივები, როგორც წესი, არ იკითხებოდა.

ცხადია, რომ ფორმულა ^{KUR}X KUR-ni – „(ქეყანა) X-ის ქეყანა“ იდენტურია მოკლე ფორმულისა ^{KUR}X – „(ქეყანა) X“ ან „X-ის ქეყანა“. ჩემი აზრით, მისგან არსებითად ვერ განვასხვავებთ დანარჩენ ფორმულებსაც. ისინი განირჩევიან არა ქვეყნის/სახელმწიფოს მახასიათებლებით, არამედ სახელდების პრინციპით. ერთ შემთხვევაში გერიგორიას სახელს მისი მთავარი „ქალაქი“ აძლევს, მეორეში – მასზე მობინადრე ხალხი.

გარკვეული განსხვავება შეიძლება დავინახოთ ფორმულების ხმარებაში გომების სახელებთან დაკავშირებით. ^mX KUR-ni – „X (გომის) ქეყანა“ და ^mX – „(გომი) X“ ზოგჯერ იდენტურ შინაარს გულისხმობს, მაგრამ ზოგჯერ შეიმჩნევა ერთგვარი კანონზომიერება. პირველი ფორმულა იხმარება იქ, სადაც აქცენტგი გერიგორიაზე კეთდება (მაგ., CTU A 5-3, 7: ḫa-ú-bi ^mdi-a-ú-e-ḫi KUR-ni-i-e – „დავიყარი დიაუხის (გომის) ქეყანა“; CTU A 8-2 Vo, 35, CTU A 8-3 V, 48: – ḫa-ú-bi ... ^mka-tar-za-a-e KUR-[ni-e] – „დავიყარი ... ქათარზას (გომის) ქეყანა“), მეორე კი იქ, სადაც გერიგორია არ

არის არსებითი, ან სულაც არ იგულისხმება (მაგ., CTU A 5-3, 12.-13: ႁႏ-႕ႁ-ႃႁ-႗ႏ-႕ႏ-ႏႏ ႁႏ ႁႏ႕ႏ-ႏႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ – „უგუბურში ღიაუების მეფე“; CTU A 5-3, 19.-20: ႁႏ႕ႏ-ႏႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ AN႕ႏ.KUR.RA^{ME5}-ႏႏ-ႏ – „ღიაუების ცხენები“; CTU A 8-2 Vo, 3.-4: URU ႁႏ႕ႏ-႕ႏ [ႁႏ႕ႏ-ႏႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ]႕ႏ-႕ႏ – „ღიაუების სამეფო ქალაქი“; CTU A 3-4 Vo, 10: ႕ႏ-ႏႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ ... ႁႏ႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ – „უკუაგდეს ... ქათარზას (გომი)“; CTU A 3-4 Vo, 4-6: ႕ႏ-႕ႏ-႕ႏ ... ႁႏ႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ-႕ႏ – „გაემართა ... ქათარზას (გომის) წინააღმდეგ“).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცალკეული ხალხის, დასახლებისა თუ ქვეყნის მოხსენიების ფორმა ურარტულ ტექსტებში შეესაბამება, ერთი მხრივ, ზოგადად ლურსმული დამწერლობის, მეორე მხრივ, შესაძლოა, ურარტული სამეფო წარწრების ქანრობრივ თავისებურებებს და არ ასახავს ამა თუ იმ ეთნო-პოლიტიკური ერთეულის სახელმწიფოებრიობის ან საზოგადოებრივი განვითარების ხარისხს. ამ საკითხების კვლევისათვის უმნიშვნელოვანესია ტექსტების შინაარსი, რომლის ამოცნობაც შესაძლებელია გრაფარეგული ფორმულების მიღმა.

ირინე გაგიშვილი, ლევან გორდემიანი

კიდევ ერთხელ ხეთურ-ქართული პარალელების შესახებ¹

წინამდებარე ნაშრომის ქალბატონი ნანასთვის მიძღვნის სურვილი განაპირობა იმან, რომ მის სამეცნიერო შემოქმედებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველადმოსაელურ და, სახელდობრ, ანაგოლიურ სამყაროსთან სამხრეთკავკასიური ცივილიზაციების მიმართების კვლევა-ძიებას.² ქვემოთ თავმოყრილი გვაქვს გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობის ფარგლებში ჩამოგვიყალიბდა და ზოგიერთ მათგანზე აღრეც გექონია საუბარი.³

ხეთურ-ქართველური პარალელები დიდი ხანია მეცნიერთა დაინტერესებას იწვევს და დღეისათვის ამ პარალელების მრავალი მაგალითია ცნობილი. აქ შეეხებით რამდენიმე მათგანს და მათი შესწავლის მეთოდოლოგიურ საკითხებს.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ გერმინში „ხეთური“ ვგულისხმობთ სხვადასხვა ანაგოლიურ გრადიციას, რომელთა სიმრავლე დასტურდება ხეთურ ტექსტებში, აგრეთვე ხეთური ხანის ანაგოლიის არქეოლოგიურ მასალას, ხოლო „ქართულში“ ერთიანდება ხეთების თანადროული არქეოლოგიური მასალა, ანტიკური და აღრემუხასაუკუნეების წერილობითი წყაროების მონაცემები, მეცნიერების მიერ საქართველოს გერიგორიაზე შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალა – ლოკალური კულტები, რიგუალები, ფოლკლორი. აქ ვხვდებით უძველეს კავკასიურ თუ ქართველურ ელემენტებსაც, ბერძნულ და შუამდინარულ გავლენასაც – უშუალოდ ან ბიბლიის მეშვეობით შეთვისებულს, ქრისტიანული, ისლამური ან თუნდაც კომუნისტური რიგუალების პაგანიზმულ ვარიანტებსაც. ეს ელემენტები ხშირად ძალზე ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან და ჭირს მათი მიკუთვნება ამა თუ იმ კულტურული თუ ქრონოლოგიური ფენისათვის. შესაბამისად, ძნელი სათქმელია, აქედან რა განეკუთვნება ძვ.წ. II ათასწლეულის ქართულ გომებს. თუმცა, მაინც გვაქვს გარკვეული საფუძველი, ერთი მხრივ, მთელ ამ მასალას „ქართული“ ვუწოდოთ და, მეორე მხრივ, გამოვყოთ მასში ის ელემენტები, რომლებსაც ხეთურს

¹ სგაგია დაიბეჭდა ნანა ხაზარაძის საიუბილეო კრებულში – *კავკასიურ-აზლოლომოსაელური კრებული XIV*, თბილისი 2011, 167-180.

² ამის ნათელი დადასტურებაა ნანა ხაზარაძის ნაშრომთა კრებულები: ხაზარაძე 2001, ხაზარაძე 2005; იხ. აგრეთვე ხაზარაძე 2010.

³ იხ. მაგ, გაგიშვილი 2002; Tatišvili 2007; Tatišvili, Gordeziani 2010.

შევუდარებთ. დღეს თითქოს არაა სადავო, რომ ქართველური ელემენტი მონაწილეობას იღებდა ბრინჯაოს ხანის კავკასიური არქეოლოგიური კულტურების ფორმირებაში, ხოლო უფრო გვიანდელ ქართულ მასალაში ნამდვილად უნდა იყოს შემონახული უძველესი რწმენა-წარმოდგენების ელემენტები.⁴

ზოგიერთმა ხეთურ-ქართველურმა პარალელმა ჯერ კიდევ ხეთურის გაშიფვრამდე მიიქცია ყურადღება. ცალკეული შესაბამისობები ლექსიკაში, ონომასტიკასა და სიგეყვათწარმოებაში ენების ნათესაობის შთაბეჭდილებასაც კი გოვებდნენ. გაშიფვრის შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ ხეთური ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება, ამ პარალელების საფუძვლად ჩვეულებრივ განიხილებოდა მჭიდრო კულტურული კონტაქტები და შესაძლო ნათესაობა არაინდოევროპულ ანაგოლიელ ხალხებთან, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ხეთური კულტურის შექმნაში.⁵

საერთოდ, ნათესაუების ძიება არის ერთ-ერთი იმ სტიმულთაგან, რაც ქართველს ძველი ისტორიის შესწავლისკენ უბიძგებს. ქართული ენისა და კულტურის ცოდნა, ცხადია, გარკვეული უპირატესობაა ქართველურის სხვა ეთნო-კულტურულ ჯგუფებთან მიმართების კვლევისას, მაგრამ წინასწარი ორიენტირებულობა გარკვეულ შედეგზე უცხოელ კოლეგებში მეტ-ნაკლებად სამართლიან ეჭვებს აჩენს და, რიგ შემთხვევაში, ობიექტურადაც უშლის ხელს მეცნიერულად დასაბუთებული შედეგების მიღებას.⁶ მეორე მხრივ, ვინ უნდა იკვლიოს ეს პრობლემატიკა, თუ არა ქართველმა? ერთი შეხედვით, საოცარია, მაგრამ სიძველეთმცოდნეობის სხვადასხვა სფეროს განვითარების ადრეულ ეტაპებზე ქართული მასალისადმი ინტერესი უფრო დიდი იყო, ვიდრე დღეს. როგორც ჩანს, ვიწრო სპეციალიზაციის გაღრმავება აღარ უტოვებს მეცნიერს საშუალებას, მომიჯნავე დარგებით დაინტერესდეს და დღევანდელ ხეთოლოგს ხეთურისა თუ ხათურის საილუსტრაციოდ ავსტრალიური, აფრიკული თუ ცენტრალურამერიკული გეოლოგიური პარალელების მოგანა ურჩევნია,⁷ ვიდრე ქართულ თუ სხვა კავკასიურ ენებში ჩადრმავება.⁸ კავკასიურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხში, ვიწრო

⁴ იხ. მაგ., Fahrnich 2009: VII ff.

⁵ მაგრამ ქართველთა ეთნოგენეზის კვლევისას გასათვალისწინებელია აგრეთვე უძველესი კონტაქტები ინდოევროპელებთან. იხ. მაგ., მელიქიშვილი 1965: 203 მმდ; Гамкрелидзе, Иванов 1984: 870 н сл.

⁶ შლრ. მაგ., Tuite 2008: 23.

⁷ იხ. მაგ., Melchert 2011; Goedegebuure 2008a: 164, 171.

⁸ შლრ. Soysal 2004: 23 ff., სადაც საკმაოდ კრიტიკულადაა შეფასებული ხათურის

სპეციალიზაციის გენდენციის გარდა, ერთგვარად პოლიტიკური კონიუნქტურაც ერევა. რუსულ სკოლასა თუ ოფიცოზს ურჩენია უარყოს კავკასიური (თუ იბერიულ-კავკასიური) ენობრივი ერთობის იღვა და თბილისს კავკასიის თუნდაც მხოლოდ სამეცნიერო ცენტრად ყოფნის პრეგენზიაც წაართვას. უკანასკნელ ხანებში გამოცემულმა მნიშვნელოვანმა გამოკვლევებმა ასალი ძალა შექმამა იბერიულ-კავკასიური ერთობის თეორიას.⁹ ჩვენ თავს შევიკავებთ ამ თეორიის ავ-კარგიანობის შეფასებისაგან, მაგრამ ერთი კი ცხადია: ქართულ-ხათური/ხეთური, ქართულ-შუმერული თუ ქართულ-ხური-ურარტულ მიმართებათა კვლევას საკითხების ფართო კავკასიურ კონტექსტში განხილვა მხოლოდ წაადგება.

შესაბამისად, ჩვენ გვმართებს მაქსიმალურად გამართული მეთოდოლოგიის მოშველიება, მასალისა და არგუმენტაციის მაქსიმალურად მოგანა და, სასურველია, უცხოელი კოლეგების დაინტერესება და ჩაბმა ჩვენს კვლევაში.

თითქმის ასწლოვანმა კვლევამ გამოაფლინა უაღრესად საინტერესო ხეთურ-ქართველური რელიგიური პარალელები სხვადასხვა დონეზე: სახელები, საკულტო ობიექტები, ღვთაებრივი პერსონაჟები, იკონოგრაფია, რიტუალები, მითები, კოსმოლოგია.¹⁰ აქ მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

1. ღვთაებათა სახელები: ტარ-ჭაბუკი, ტაროსი – Taru, Tarhun; მელია-თელეფია – Telipinu; არმაზი – Arma; ზადენი – Sandon, Santas; აჯაპარა, ამაპარა – Išhara; ვებ, ვობ – Tešub და სხვ.

2. ღვთაებათა სახეები: ქართულ მთაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალისა და ფოლკლორის საფუძველზე, ვერა ბარდაველიძემ აღადგინა ამგვარი პანთეონი: მორიგე ღმერთი, მზის ღვთაება – ქალღმერთი, კვირია. იერარქიულად მათ ქვემოთ დგანან ლოკალური კულტები – „ღვთისშვილები“.¹¹

ამ კულტებმა, ცხადია, განიცადეს ქრისტიანობის გავლენა და მორიგე ღმერთმა შეიძინა მამა ღმერთის გარკვეული ნიშნები, ხოლო კვირიამ – kyrios – ქრისტესი. ამას თუ ჩამოვაშორებთ,

სხვადასხვა კავკასიურ ენასთან დაკავშირების არსებული ცდები, თუმცა გამოთქმულია მათ შორის გიპოლოგიურ მსგავსებათა კვლევის აუცილებლობა (იქვე, 39).

⁹ ქურდიანი 2008; ჩუხუა 2008. იბერიულ-კავკასიური თეორიის თანამედროვე მდგომარეობისათვის იხ. მაგ., Tuite 2008.

¹⁰ მიმოხილვისა და სისტემატიზაციისათვის იხ. ნ. ჯაფახიძის სამაგისტრო ნაშრომი (*ხეთურ-ქართული რელიგიური პარალელები*, თსუ. თბილისი 2009).

¹¹ Бардавелидзе 1957: 23 и слл.

შემდეგ სურათს მივიღებთ: მორიგე ღმერთი ცისა და სიციცხლის მომნიჭებელი წყლის გამგებელია, რითიც თარუ-თარხუნო-თეშუბ-ზევსს გვაგონებს, მზე დედაა და ამით ახლოს დგას დედამიწასთან. იგი მრავალი ნიშნით (სქესი, პოზიცია პანთეონში და სხე.) ახლოს დგას ხათურ-ხეთურ მზის ღვთაებასთან.¹² ადამიანისათვის უფრო ახლობელ, მასთან უშუალო კონტაქტში მყოფ პერსონაჟებად გვევლინებიან კეირია და ღვთისშვილები. ჩვენი აზრით, ეს არის მუარველი ღვთაების ორი გამოვლინება – კეირია განზოგადებულია, ამა თუ იმ სოფლის ხაგი კი ლოკალური, კონკრეტული. ხეთურ რელიგიაში ამ როლში გვევლინებიან ახალგაზრდა ამინდის ღმერთი, თელეუინუ ან მუარველი ღვთაებები.

ფარნავაზის მიერ გაერთიანებული ქართლის სახელმწიფო პანთეონის უზენაეს ღვთაებად დადგინდა არმაზი, რომელიც, როგორც ცნობილია, ხშირად იყო გაიგივებული აპურამაზდ/ არამაზდთან. მაგრამ მისი ინტერპრეტაციის სხვადასხვა ვარიანტს შორის ვხვდებით აგრეთვე შედარებას ანაგოლიურ არმასთან.¹³ ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლებულია ესა თუ ის დაკავშირება, მაგრამ ცხადია, რომ ახალი კულტი ორგანულად ჩაჯდა ქართლის რელიგიაში და იგი ქართველთა მიერ საკუთარ კულტად აღიქმებოდა.¹⁴ მისი ქანდაკება/ კერპი იდგა ორი სხვა ღვთაების, გაცისა და გა(იმ)ის კერპებს შორის. როგორც ცალკეული ქანდაკებების, ასევე მთელი გრიადის აღწერილობა მოგვაგონებს ანაგოლიურ გრიადას, რომელსაც ქმნიან თეშუბი, სერი და ხური.¹⁵

მნიშვნელოვანი იკონოგრაფიული პარალელები შეიძლება ვნახოთ აგრეთვე თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნ ვერცხლის თასზე. მასზე გამოსახული პროცესია მრავალ იკონოგრაფიულ დეტალში ავლენს მსგავსებას ანაგოლიურ სამყაროსთან, ჰვინგიანი ფეხსაცმელებით დაწყებული და სიციცხლის ხით დამთავრებული.¹⁶ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თასი საერთოდ ანაგოლიური წარმოშობისაა, თუმცა მოგვიანებით ყარაშამბში (სომხეთი) მსგავსი თასის აღმოჩენამ ალბათ უფრო გააძლიერა არგუმენტები ნივთის ადგილობრივ, კავკასიურ ნაწარმად მისაჩნევად.¹⁷ თასზე გამოსახული პროცესიის არაერთი

¹² Tatišvili 2007.

¹³ Меликшвили 1959: 112.

¹⁴ იხ. მაგ., ქს I, 29.

¹⁵ Giorgadze 1999: 547 ff.

¹⁶ იხ. მაგ., ლორთქიფანიძე 2002: 96 შმდ. (იქვე ამომწურავი ბიბლიოგრაფია).

¹⁷ ლორთქიფანიძე 2002: 97; Меликшвили 2007.

ინტერპრეტაცია არსებობს. ცენტრალური მჯდომარე ფიგურა ღვთაება უნდა იყოს, ხოლო მისკენ მიმავალი 22 მსგავსი ფიგურა – უმცროსი ღვთაებები ან ქურუმები, რიგუალის მონაწილეები. მგლის ან ძაღლის ნიღბიანი საკულტო პერსონალი,¹⁸ დანარჩენ სიმბოლიკასთან ერთად – ირმები, „სიცოცხლის ხე“ და სხვ. – აღძრავს ასოციაციებს ცალკეულ ხეთურ რიგუალებთან, რომლებიც დაკავშირებულია სიცოცხლისა და ბუნების განახლებასთან, სიკვდილ-სიცოცხლის ბრუნვის ციკლთან. ამასთან დაკავშირებით, გვინდა შევეხოთ ნიეთს, რომელიც ფიგურებს ხელში უჭირავთ. პირველი, რასაც კაცი იფიქრებს, ეს თასი უნდა იყოს. უკვე თასის აღმომჩენი, ბორის კუფტინი, მიიჩნევდა, რომ ეს ნიეთი, ალბათ,¹⁹ სასმისი უნდა ყოფილიყო. შემდგომში ეს „ალბათ“ დაიკარგა და უფრო გვიანდელ პუბლიკაციებში ყველა ავტორი მას თასად აღიქვამს. მართლაც, არც მეგ-ნაკლებად მსგავსი ჭურჭელი იყო უცხო ძველი სამყაროსათვის და არც რიგუალური დაღევა თუ ლიბაცია. მაგრამ გამორიცხული არ უნდა იყოს ამ ნიეთის არც სხვა ინტერპრეტაცია. ფიგურათა უმრავლესობას ნიეთი ისე უჭირავს, რომ არც აღორატიის ეესტს მიაგავს და არც დაღევის, პირთან მიგანის; სასმისადაც და ლიბაციისათვისაც უფრო ხშირად სხვა ფორმის ჭურჭელი გამოიყენებოდა. გამოსახულების ცალკეული დეტალები მოგვაგონებს „^{KUS}kurša-ს განახლების“ ხეთურ რიგუალს. ხომ არ შეიძლება, საკვლევი ნიეთი ^{KUS}kurša იყოს? იმისგან დამოუკიდებლად, ხეთური ტექსტების ^{KUS}kurša საწმისია თუ ტყავისაგან შეკერილი სანადირო ჩანთა,²⁰ ის სამეფო ხელისუფლებასთან ჩანს მჭიდრო კავშირში. მართალია, ხეზე ჩამოკიდებული ქურსა ოდნავ სხვანაირად გამოიყურება, მაგრამ ტყავი ან ტყავის პროდუქცია სიმბოლურად ამ სახითაც შეიძლება იყოს გამოსახული რელიეფზე. ამის სასარგებლოდ შეიძლება მოვიტანოთ ლევიური (L 322) და მიკენური (*164, *167) იდეოგრაფიული ნიშნები, რომლებიც, სავარაუდოდ, ტყავს აღნიშნავდა, ასევე კვიპროსული ტალანტი – ტყავის ფორმის სპილენძის ზოდი.²¹

3. კულტის ობიექტები: ^{GIS}eya პოულობს პარალელებს სხვადასხვა წმინდა ხესთან;²² ^{KUS}kurša, სიტყვის ზუსტი მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად, ფუნქციის მიხედვით, შეიძლება ტყავისგან

¹⁸ შდრ. ქართული მითოლოგიური პერსონაჟი იასაული.

¹⁹ Куптин 1941: 87 сл.

²⁰ ლისკუსისათვის იხ. მაგ. McMahon 1991: 250 ff.

²¹ უფრო დაწვრილებით იხ. ტაგინილი, გელაშვილი 2009.

²² Khazaradze, Tsagareishvili 1999.

დამზადებულ ქართულ საკულტო ობიექტებს შეეადართ, მაგ., სვანურ ლემს/ლომს.²³

4. რიგუალები: კარგადაა ცნობილი სავარაუდო კავშირი თელეფინუს კულტსა და სვანურ მელია-თელეფიას საგამაფხულო რიგუალს შორის. მას გასული საუკუნის 40-იან წლებში მიექცა ყურადღება და მას მერე არაერთი მეცნიერი შეეხო.²⁴ თელეფინუს მითსა და რიგუალებს სვანურ ზეიმთან აკავშირებს არაერთი დამთხვევა ლექსიკაში, საკულტო ქმედებებში, რეალიებში, საკულტო ობიექტებში (მაგ., იგივე ^{KUS}kurša და ^{GIS}eya). სხვა სვანური საგამაფხულო რიგუალის დროს შეისმებოდა სხვადასხვა ღვთაების სადიდებელი.²⁵ მსგავს სარიგუალო ქმედებებს ეხვდებით აღმოსავლეთ საქართველოშიც.²⁶ აღნიშნული ჩვეულება მოგვაგონებს ხეთურ რიგუალებში დადასტურებულ საკულტო ქმედებას, რომელიც აღინიშნება ფორმულით „^{DN}eku-“ (სიგყყასიგყით „ღვთაების დაღევა“) და რომლის ინტერპრეტაცია ხეთოლოგიაში დიდი დისკუსიის საგანია.²⁷

5. მითები: თელეფინუს ზემოხსენებული მითის გარდა, ქართველურ სამყაროსთან მსგავსებას ავლენს ილუიანქას შესახებ ხეთური კოსმოგონიური მითიც. ღმერთისა და გველუშაპის კოსმოგონიური ბრძოლის მრავალი ვარიანტი არსებობს.²⁸ ჩვენთვის საყურადღებოა ამ მითის ერთი პასაჟი – ინარასა და ხუფასიას ამბის ერთგვარი მსგავსება დალისა და მონადირის თქმულებასთან.²⁹

6. პანთეონი: პანთეონთა მსგავსებაზე საუბრისას ჩვენ გვიანგერესებს არა იმდენად ცალკეული ღვთაების სახელი, რომელიც დროსა, სიერცეში ან გენეტიკურად ნაკლებად დამორებულ ხალხებშიც კი შეიძლება იცვლებოდეს (მაგალითად, ქართულ მთაში ყოველ ხევს, სოფელსა თუ თემს საკუთარი კულტი ჰყავს), არამედ პანთეონის სტრუქტურა, რწმენა-წარმოდგენათა ის კომპლექსი, რომელიც შედარებით მყარია და არ იცვლება იოლად ახალი კულტის შეთვისებით ან, თუნდაც, ძველის ახლით

²³ იხ. Бардавелидзе 1957: 48 и слл.; აგრეთვე Plontke-Luning 2008.

²⁴ იხ. მაგ., Бардавелидзе 1957: 89 и сл.; Бендукидзе 1973; Girbal 1980; Haas 1982: 210; etc.

²⁵ Бардавелидзе 1957: 72.

²⁶ კიკნაძე 1998: 13 შმდ.

²⁷ საკითხის დღევანდელი მდგომარეობისათვის იხ. Soysal 2008: 45 ff., Goedegebuure 2008b: 67 ff.

²⁸ ხიდაშელი 1982: 122 შმდ.

²⁹ Абакеллия 1991: 71.

ჩანაცვლებისას. ჩვენი აზრით, შეინიშნება გარკვეული მსგავსება ხეთურსა და ქართულს შორის არა სახელმწიფო პანთეონის დონეზე, რაც არც უნდა იყოს მოსალოდნელი, არამედ ლოკალურის. გემოთ განხილული ქართლის რეკონსტრუირებული პანთეონი – მორიგე ღმერთი, მზის ქალღმერთი, კვირია, ღვთისშვილები – საკმაოდ ჰგავს იმას, როგორც გამოიყურება ლოკალური პანთეონები ცალკეულ ხეთურ რიგუალში ან მუვათაღის ლოცვაში მოცემულ ლოკალურ პანთეონთა სიაში: მზის, ამინდისა და მზარეული ღვთაებები.³⁰

7. კოსმოლოგია: გარკვეული მსგავსებები შეიძლება აღმოვაჩინოთ აგრეთვე კოსმოლოგიურ წარმოდგენებში, კერძოდ, სამყაროს ვერტიკალურ დაყოფაში. გრადიციული და თითქოს საყოველთაოდ გავრცელებული სამად დაყოფის – ცა, მიწა, ქვესკნელი – გვერდით როგორც ანატოლიურ, ასევე ქართულ მასალაში შეიძლება დავინახოთ ორად დაყოფის – ცა და მიწა – ნიშნებიც.³¹

შესაძლებელია კიდევ სხვა მაგალითების მოხმობაც.

თეორიულად ორ ეთნო-კულტურულ ერთობას შორის მსგავსებათა ინტერპრეტაციის რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს: შემთხვევითი თანხვედრა, გიპოლოგიური მსგავსება, ნასესხობა ინტენსიური კონტაქტების შედეგად, ნათესაობის ან, უფრო რბილად რომ ვთქვათ, მათი ერთი ეთნო-კულტურული სამყაროსადმი კუთვნილების ნიშანი.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ერთ-ორმარცვლიანი სახელები და გერმინები.

რელიგიური წარმოდგენები, რომლებიც საერთოა კაცობრიობისათვის და აზროვნების ერთიან სისტემას ემყარება, მრავალი მეცნიერის გამოკვლევის საგნად იქცა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მ. ელიადეს ნაშრომები. ამ გიპოლოგიურ მსგავსებათა ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ კოსმოგონიური მითის³² სხვადასხვა ვარიანტი და ისეთი საკულტო ობიექტები, როგორცაა მაგალითად, საწმისი/ტყავი და წმინდა ხე/ სიცოცხლის ხე.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელები, გერმინები, საკულტო ობიექტები და მოქმედებები ქმნის ერთიან სისტემას –

³⁰ Tatišvili 2002:109 sqq.

³¹ Tatišvili 2007: 184 ff.

³² Eliade 1996, 336.

მითს, რიგუალს, რომელიც ნახულობს პარალელებს სხვა ხალხის თუ რეგიონის ანალოგიურ სისტემასთან, შეიძლება ხალხებს შორის მჭიდრო კონტაქტებზე ან, თუნდაც, ნათესაობაზე ფიქრი. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება კელაე მოვიხმოთ მეღიათელეფიას რიგუალი, რომელიც ნ. ბენდუქიძეს ხეთებსა და ქართველებს შორის მჭიდრო კონტაქტების, ხოლო ფ. პაასს ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ ხეთური მოსახლეობის ნაწილის საქართველოში გადმოხიზვნის ნიშნად მიაჩნია.³³

რაზე უნდა მიუთითებდეს ზემოთ მოგანილი პარალელები ხეთურ და ქართველურ რელიგიურ წარმოდგენებს შორის?

არსებობს არაერთი ცდა ცალკეული პარალელის შესწავლა-შეფასებისა. ცხადია, თითოეული ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი კომპლექსური შესწავლაც.

მასალა თავისებურია და ერთმანეთთან ძნელად შედარებადი. ჯერაც შესამუშავებელია მეთოდოლოგია გარკვეული მიზანდასახულებით შედგენილ ხეთურ რელიგიურ ტექსტებში და ქართულ ფოლკლორულ, არქეოლოგიურ თუ წერილობით მასალაში არეკლილ კოსმოლოგიათა ნაკვალევის შესადარებლად. ამდენად, დასმულ კითხვაზე გადამწყვეტი პასუხი ვერც იარსებებს, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მსგავსებები მთლად შემთხვევითი არ უნდა იყოს და კვლევა ამ მიმართულებით ბევრს საინტერესოს გვაპირდება.

ამ პარალელების მნიშვნელობის შესაფასებლად, ჩვენი აზრით, სასურველი იქნება სისტემათა შედარება.

ძალზე მნიშვნელოვანი და მყარი სისტემა არის რწმენა-წარმოდგენათა ის კომპლექსი, რომელსაც კოსმოლოგიას ვუწოდებთ. შეიძლება სადავო იყოს, არსებობდა თუ არა ოდესმე ხეთურ იმპერიაში მეგ-ნაკლებად ერთიანი კოსმოლოგიური სისტემა.³⁴ ჩვენამდე ხომ მოაღწია რელიგიური შინაარსის ათასობით ტექსტმა, რომლებიც სხვადასხვა ეთნო-კულტურული სამყაროს წარმოდგენებს ასახავენ – მესოპოტამიურს, ხურიტულს, ხათურს, ლუვიურს... ცხადია, რომ ეთნიკურად ჭრელი ხეთური იმპერიის მთელი მოსახლეობისათვის საერთო კოსმოლოგიურ სისტემაზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ, საყარაულოა, რომ ის ხალხი, ვინც იმპერიის ბირთვს ქმნიდა, მეგ-ნაკლებად ერთგვაროვანი

³³ Haas 1982: 210.

³⁴ ხეთური რელიგიისათვის მოგადად და მისი შესწავლის პრობლემებისა და მეთოდოლოგიისათვის იხ. მაგ., Haas 1994; Popko 1995; ტაგიშვილი 2004; Hutter 2010.

მსოფლადქმისა იყო. შესაძლებლად მიგვაჩნია „ხათურ-ხეთური კოსმოლოგიის“ რეკონსტრუქცია.³⁵ სად არის საძებარი მრავალფეროვან ხეთურ ტექსტებში ხათურ-ხეთური კოსმოლოგიის კვალი, რომელიც ქართულ მასალასთან შესადარებლად გამოგვაღებება?

პირველ ყოვლისა, ეს არის პანთეონი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ. ამ მიმართულებით უაღრესად საინტერესო პერსპექტივები იმლება. ერთმანეთთან შედარების თვალთახედვით უნდა საფუძვლიანად გადამოწმდეს ლოკალურ პანთეონთა ეარიანტები, მათი სტრუქტურა, კავშირები ძირითად პერსონაჟებს შორის, თავად ეს ძირითადი პერსონაჟები მათი პანთეონში და ადამიანებთან, მეფესთან მიმართების თვალსაზრისით. როგორც თავისთავად, ასევე შედარების პერსპექტივით ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ე.წ. მფარველი ღვთაების ფიგურა.

ჩვენი კელევისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია კოსმოლოგიის ისეთი არსებითი და მყარი ელემენტი, როგორიცაა სამყაროს ვერტიკალური დაყოფა ზონებად, სკენელებად. ამ საკითხზე შედარებით დეტალურად შევჩერდებით.

ხეთებისთვის კოსმოსის თითოეული ზონა, ბევრი სხვა მითოლოგიისგან განსხვავებით, არ არის ამა თუ იმ კონკრეტული ღვთაების (ან ღვთაებების) საუფლო და განსახიერება. ხეთურ ტექსტებში ჩვენ ვერ ვიპოვით მინიშნებას სამყაროს ისეთ დანაწილებაზე ღვთაებრივ მბრძანებელთა შორის, რომელიც მოგვაგონებდა ბერძნულ ან მესოპოტამიურ კოსმოგონიას.³⁶ მართალია, ღვთაების გადასვლა სამყაროს ერთი სფეროდან მეორეში საფრთხეს უქმნის კოსმიურ წესრიგს, მაგრამ არა თავად ღვთაებას, მის არსს. ალბათ, ამიგომბაა, რომ ღვთაების სიკვდილისა და აღდგომის შესახებ სხვა ხალხების მითების შესაბამის ხათური წარმომავლის მითებში ღვთაება კი არ კვდება, არამედ იმალება და გამქრალი ღვთაების შესახებ მითში მთავარ გმირად ნებისმიერი ღვთაება შეიძლება მოგვევლინოს.

ამრიგად, ხეთების წარმოდგენით, ღვთაებები თავისუფლად გადაადგილდებიან ერთიან სამყაროში, რომლის სხვადასხვა ნაწილი არ ჩანს ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული.

ვფიქრობთ, რომ ხეთური კოსმოლოგიის ეს თავისებურება მჭიდროდაა დაკავშირებული სამყაროს ორად დაყოფასთან. ცისა და მიწის ერთიანობა-დაპირისპირება არ გულისხმობდა ცალკეული

³⁵ იხ. გატიშვილი 2002; Tatišvili 2007 (იქვე ბიბლიოგრაფია).

³⁶ შტრ. Laroche 1981, 235 f.

ზონის, სკნელის დაკავშირებას კეთილ ან ბოროტ საწყისთან და იერარქიას ამ ზონებს შორის. ამისგან განსხვავებით, სამად გაყოფილ სამყაროში მონიშნულია სიკეთისა და ბოროტების საუფლო და მათ შორის საზღვრები ღმერთებისთვისაც კი ძნელი გადასალახავია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ხეთურ ტექსტებში ეხვდებით სამყაროს როგორც ორად, ასევე სამად დაყოფას³⁷ და ამ კონცეფციითა შერწყმის მცდელობებსაც, ამკარაა, რომ ორ პრინციპულად განსხვავებულ კოსმოლოგიურ კონცეფციასთან გვაქვს საქმე. ერთი ადგილობრივად, ანაგოლიურად, ხათურ-ხეთურად შეიძლება ჩაითვალოს, მეორე კი – შუამდინარულად.

სამყაროს დაყოფა ვერტიკალურ ზონებად, ღვთაებათა და გმირთა გადაადგილება თუ სიკეთისა და ბოროტების განაწილება ამ ზონებს შორის შეიძლება არსებითი აღმოჩნდეს როგორც სისტემის რეკონსტრუქციისათვის, ასევე ხეთურ/ ანაგოლიურ და ქართულ/ კავკასიურ სამყაროთა კულტურული ერთიანობის თუ განსხვავებულობის საჩვენებლად.

ერთი შეხედვით, ამ თვალსაზრისით ბევრი მსგავსებაა. არ ვიცი, რამდენად შორს მიდის ეს მსგავსება, მაგრამ ქართულ მასალაშიც თითქოს შეიმჩნევა სამყაროს როგორც სამწვერიანი, ასევე უფრო არქაული ორწვერიანი დაყოფის ნიშნები,³⁸ ყველაზე მეტ მსგავსებას ანაგოლიურ და ქართულ მასალას შორის კვლევის ამ ეტაპზე მაინც „მცირე პანთეონების“, მზის, ამინდისა და მფარველ ღვთაებათა ღონემე ეხვდავთ, რაც საკმაოდ არსებითად მიგვაჩნია და კვლევის გაგრძელების სტიმულს გვაძლევს. წინამდებარე სტატია არის მომავალი კვლევის ერთგვარი ანონსი და მოწვევა კოლეგებისათვის ამ თემებზე ერთობლივი ფიქრისა და მუშაობისათვის.

³⁷ Singer 1996: 62 f.

³⁸ შლრ. ალექსიძე 2002: 64 შმდ.; სურგულაძე 2004: 74 შმდ.; იხ. აგრეთვე Abakelia 1991: 114 ff.; Charachidzė 1999: 865 ავგ.; ხიდაშელი 2001: 87 შმდ.

NOCHMALS ZU DEN HETHITISCH-KARTWELISCHEN
PARALLELEN

Einige der hethitisch-kartwelischen Parallelen haben noch vor der Entzifferung des Hethitischen die Aufmerksamkeit auf sich gezogen. Einzelne Übereinstimmungen in Lexik, Onomastik und Formbildung liessen sogar an eine Verwandtschaft der Sprachen zu denken. Nach der Entzifferung wurden als Grund dieser Parallelen gewöhnlich enge kulturelle Kontakte und mögliche Verwandtschaft mit den nichtindogermanischen anatolischen Völkern, die bei der Bildung der hethitischen Kultur wichtige Rolle spielten, betrachtet.

Die Forschung von fast hundert Jahren hat viele mehr oder weniger interessante Parallelen fixiert, u.a. in den Götternamen, Göttergestalten, Kultobjekten, Riten, Mythen, lokalen Panthea und der Kosmologie.

Die Parallelen kann man theoretisch unterschiedlich interpretieren: als zufällige Übereinstimmungen, allgemein menschliche Erscheinungen, Spur intensiver Kontakte oder Beweis von Verwandtschaft.

Zu der ersten Gruppe könnten, in erster Linie, einige kurze, ein- oder zweisilbige Namen oder Termini gehören.

Den religiösen Vorstellungen, die für die ganze Menschheit gleichartig sind, könnte man verschiedene Variationen vom kosmogonischen Mythos oder solche Kultobjekte wie Vlies oder heiliger Baum zuordnen.

Nur in dem Fall, wenn diese Kultobjekte, sowie die Namen, bestimmte Handlungen oder typische Passagen im gleichen komplizierten mythologischen oder rituellen Kontext in verschiedenen Regionen auftauchen, darf man an Kontakten oder sogar an Verwandtschaft denken. Die Methodik der Linguistik, die zur Bewertung von Parallelen, zur Bestimmung der Richtung von Übernahmen und zur Bestimmung von Verwandtschaften verwendet wird, könnte auch in der Kultur- bzw. Religionswissenschaft zu neuen Erkenntnissen führen. Neben der Fixation einzelner verschiedenartiger Parallelen müssten vor allem die systembildenden Elemente und die Systeme selbst rekonstruiert und verglichen werden.

Ein System auch allein in bronzezeitlichen Anatolien oder in Südkaukasus ist kaum zu fassen, andererseits ist das erhaltene Material ganz unterschiedlich und kaum vergleichbar, aber doch scheint es möglich, einen bestimmten Progress in dieser Richtung zu erreichen.

Ein wichtiges und stabiles System ist die Kosmologie. Dem Glauben einzelner Menschen, ihren kosmologischen Vorstellungen entspricht

besonders gut das lokale Pantheon. Deswegen ist es wichtig, seine Varianten, seine Struktur, die Verhältnisse zwischen den Hauptfiguren, ihre Beziehungen zum König zu erforschen. Sowohl von selbst als auch für den Vergleich der hethitischen und kartwelischen Systeme scheint die Figur der Schutzgottheit sehr interessant. Für unseren Vergleich ist von grosser Bedeutung die vertikale Aufteilung der Welt und die Zuordnung der Gottheiten zu verschiedenen Zonen.

In den hethitischen Texten sind Spuren von zwei verschiedenen kosmologischen Systemen bezeugt: der Zwei- und Dreiteilung der Welt. Die Dreiteilung – Himmel, Erde, Unterwelt ist sowohl für die indogermanischen als auch die mesopotamischen Völker charakteristisch. Bei diesem System herrschen die himmlischen, meist positiven Gottheiten im Himmel, die unterirdischen, meist negativen – in der Unterwelt. Die Erde ist Wohnort der Menschen und ein Treffplatz der himmlischen und unterirdischen Götter. Der Übergang vom Himmel zur Unterwelt und umgekehrt ist sogar für die Gottheiten erschwert und mit großer Gefahr verbunden. Bei der Zweiteilung – Himmel, Erde+Unterwelt ist der Pass zwischen den Zonen nur für den Menschen beschränkt. Die Götter beherrschen die ganze Welt und können entsprechend frei von einer Zone zur anderen zu wandern.

Die vertikale Aufteilung der Welt, die Bewegung der Gottheiten und Helden oder Verteilung des Guten und Bösen zwischen den Zonen kann wichtig sein sowohl für Rekonstruktion des Systems als auch für Beurteilung der hethitisch-kartwelischen Beziehungen.

Auf einem Blick ist zwischen den Beiden viel Gemeinsames. Es scheint so, als ob auch im georgischen Material die Götter frei die Grenzen der Zonen überschreiten. Aber die bedeutendste Übereinstimmung könnte man im Fall der lokalen Panthea und der Sonnen-, Wetter- und Schutzgottheiten sehen. Diese preliminären Betrachtungen erlauben uns ein grosses Projekt zu beginnen und die Kollegen zur Zusammenarbeit einzuladen.

დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო¹

დემოკრატია, როგორც ცნობილია, ბერძნული სიტყვაა და „ხალხის მმართველობას“ ნიშნავს. დღეს ცივილიზებულ სამყაროში იგი მიჩნეულია სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მართვის ოპტიმალურ ფორმად და ქვეყნების უმრავლესობა, დამოუკიდებლად იმისაგან, როგორ აღიქვამს მას დანარჩენი სამყარო, თავს დემოკრატიულს უწოდებს. მათ რიცხვშია ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელიც ბევრისათვის თანამედროვე დემოკრატიის ეგალონია, სხვებისათვის კი – მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიის მქონე იმპერია, აგრეთვე კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც თავს ასევე დემოკრატიის მწვერვალად მიიჩნევს, მსოფლიოში კი ყველაზე მძიმე დიქტატორულ რეჟიმადაა აღიარებული. დემოკრატიის საკმაოდ თავისებური ფორმა იყო საბჭოთა კავშირში და მის სატელიტ ქვეყნებში, რაც გარკვეული თვალსაზრისით განაპირობებს ხალხის განწყობილებებსა და სახელმწიფო მოწყობას პოსტსაბჭოთა სივრცეში.

დემოკრატიის ესოდენ განსხვავებული გაგება დამოკიდებულია, ერთი მხრივ, პოლიტიკურ მისწრაფებებსა და გემოვნებაზე – ყველას უნდა საუკეთესო იყოს და საკუთარი მოდელი თუ გულწრფელად არ მოსწონს, მის გამართლებას მაინც ცდილობს. მეორე მხრივ, თავად ტერმინის განმარტება იძლევა ასეთ საშუალებას. საერთოდ, ის ტერმინები, რომელთა მნიშვნელობაც, ერთი შეხედვით, თავისთავად ცხადია, ძნელად ექვემდებარებიან ზუსტ დეფინიციას. ფ. ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „განმარტებადი მხოლოდ ის არის, რასაც ისტორია არა აქვს“. მართლაც, საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ძირითადი ცნებები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდნენ პოზიციას სემანტიკური ველის ფარგლებში, მათი კონკრეტული გამოვლინებები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან. განსაკუთრებით ძნელია ამ ცნებების მნიშვნელობის ზუსტი საზღვრების დადგენა.

¹ წინამდებარე სტატია წარმოადგენს შესავალს ამავე სათაურის ენციკლოპედიური ცნობარისათვის, რომელიც მომზადდა გამოსაცემად ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით ავტორთა კოლექტივის მიერ (ქ. გარდაფხაძე, ლ. გორდემიანი, თ. დულარიძე, თ. თარხნიშვილი, ქ. ნადარეიშვილი, მ. ფხაკაძე).

ბერძნები ყოველდღიური, ოპერატიული გადაწყვეტილებების მიმღების ვინაობისა თუ რაობის მიხედვით განასხვავებდნენ მმართველობის ფორმებს: მონარქია, გირანია, არისტოკრატია, გიმოკრატია, ოლიგარქია, დემოკრატია. აღსანიშნავია, რომ ბერძნების სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი ფორმა – პოლისი, პირველ რიგში, თავისუფალი ადამიანების გაერთიანება იყო და ამ ერთობაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ხალხის მიერ მიიღებოდა (როგორც წესი, სახალხო კრებაზე). ბერძნებს ეს ფაქტი კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული და ისინი მიჯნავენ ელინებს, ცივილიზებულ ხალხს, რომელიც ბუნებრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პირობებში ანუ პოლისებად ცხოვრობს, ბარბაროსებისაგან, რომელთა ცხოვრების წესიც განსხვავებულია.

დემოკრატიის დღევანდელი გაგებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ყველა პოლისი არსებითად დემოკრატიულად განვიხილოთ.

მაგრამ თავად ბერძნები დემოკრატიას უწოდებდნენ მხოლოდ ხალხის უშუალო მმართველობას, რომელიც ათენსა და მის მოკავშირე ზოგიერთ პოლისში განხორციელდა. ათენში მმართველობის ეს ფორმა დაახლოებით საუკუნენახევრის მანძილზე ფუნქციონირებდა მეგ-ნაკლებად წარმატებით, სხვაგან კი მან კიდევ უფრო ნაკლები ხანი გაძლო.

დემოკრატიის განერცობილ და პოზიტიურ დახასიათებას გთავაზობს თუკიდლე (2. 37-41), რომელიც ამ სიტყვებს პერიკლეს ათქმევენებს ომში დაღუპულ გმირთა დაკრძალვაზე:

„ჩენი სახელმწიფო უცხო ნიმუშის მიხედვით არ მოგვიწყევია. პირიქით, უმაღლეს ვართ სხვისთვის სამაგალითო. და რადგან ჩვენ ქვეყანას მართავს არა ადამიანთა მცირე ჯგუფი, არამედ ხალხის უმეტესობა, ამ წყობას დემოკრატია ჰქვია. კერძო საქმეებში ყველა თანასწორია კანონის წინაშე. ხოლო რაც სახელმწიფო საქმეს შეეხება, საპატიო თანამდებობებზე ვირჩევთ გამორჩეულთ არა რომელიმე წოდებისადმი კუთვნილების მიხედვით, არამედ პირადი ღირსებების გამო. თუ კაცს ქვეყნის სამსახური შეუძლია, მას ამაში ხელს ვერ შეუშლის სიღარიბე, მდაბიო წარმოშობა ან დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩვენ თავისუფლად ვცხოვრობთ და ყოველდღიურობაში მემობელსაც არ ვაწუხებთ ზედმეტი ეჭვითა და ჭკუის დარიგებით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიცავთ კანონებს, მათი პატივისცემის გამო, ვემორჩილებით ხელისუფლებასა და კანონს, განსაკუთრებით

ჩაგრულთა დასაცავად დადგენილს და დაუწერელ წესებს, რომელთა დარღვევაც სათაკილოდ ითვლება.

ჩვენ გასართობი გვაქვს, რათა კაცმა შრომისა და საღარდელისგან დაისვენოს, ვაწყობთ თამაშებსა და დღესასწაულებს, ხოლო ოჯახური სიტბო აქარვებს ყოველდღიურ სამრუნავს. ჩვენი ქვეყნის ბაზარზე მთელი მსოფლიოდან მოედინება ყველაფერი, რაც გვჭირდება და უცხო ნაწარმით ისევე თავისუფლად ვსარგებლობთ, როგორც საკუთარით.

სამხედრო საქმეშიც მოწინააღმდეგისაგან განსხვავებული წესები გვაქვს. ჩვენ ყველას ვუშვებთ ჩვენ ქვეყანაში და არ ვუშლით უცხოელებს მის გაცნობას იმის შიშით, რომ ჩვენ საიღუმლოს გაიგებენ. ჩვენ ხომ ძირითადად საკუთარ სიმაძაცეს ვეყრდნობით და არა სამხედრო ეშმაკობებს. ჩვენი მოწინააღმდეგე მისი აღზრდის სისტემით ცდილობს ბავშვობიდან მკაცრი დისციპლინით გამოუმუშავოს ყმაწვილს ვაჟკაცობა, ჩვენ კი თავისუფლად ვცხოვრობთ, ამგვარი სიმკაცრის გარეშე და მაინც მხნედ ვებრძვით თანასწორ მეგობრებს. აი დასტურით: ლაკედემონელები მარტო კი არ იჭრებიან ჩვენ მიწაზე, არამედ მოკავშირეებთან ერთად, ჩვენ კი მარტონი ვესხმით თავს მათ მეგობლებს და იოლად ვძლევთ მათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკუთარი ქონების დასაცავად იბრძვიან. მტერი ჯერ არ შეხვედრია მთელ ჩვენ სამხედრო ძალას, რადგან ჩვენ ერთდროულად გვიწევს ხომალდების აღჭურვაც და ხმელეთზედაც სხვადასხვა აღვილას რაზმების გაგზავნა. ერთ რაზმთან შეტაკებაში თუ მიაღწევენ წარმატებას, თავი ისე მოაქვთ, თითქოს ათენელთა გაერთიანებულ ლაშქარს სძლიეს, მარცხის შემთხვევაშიც ირწმუნებიან, რომ მთელ ჩვენ ძალებთან დამარცხდნენ. ჩვენი უპირატესობა იმაშია, რომ ხიფათს არ გავურბივართ არა მძიმე ვარჯიშის ჩვევისა და კანონის მოთხოვნათა გამო, არამედ სიცოცხლის ხალისისა და თანდაყოლილი სიმაძაცის გამო. ჩვენ არ გვაღარდებს მომავალი საფრთხე, რთულ მდგომარეობაში კი არანაკლებ ვაჟკაცობას ვიჩენთ, ვიდრე ის, ვინც მძიმე შრომით მუდმივად ამისთვის ემზადება. სხვათა შორის, ჩვენი ქვეყანა ამითიც იწვევს გაოცებას.

მშვენიერებას ვესწრაფვით მფლანგველობის გარეშე და ჩვენი გატაცება მეცნიერებით არ ვნებს სულიერ ძალას. სიმდიდრეს იმიტომ ვაფასებთ, რომ მისი გონივრულად მოხმარა შეიძლება. სიღარიბე არ არის ჩვენთან სამარცხინო, მაგრამ სათაკილოა, თუ კაცი არ ცდილობს თავისი შრომით დაძლიოს იგი. ჩვენი ხალხი კერძო და საზოგადო საქმით ერთდროულად არის დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საკუთარ საქმეშია გაწაფული,

თითოეული მოქალაქე კარგად ერკვევა პოლიტიკაში. რადგან მხოლოდ ჩვენ მივიჩნევთ საზოგადოებრივ საქმეთაგან შორს მდგომ კაცს არა საიმედო მოქალაქედ, არამედ უსარგებლო უქნარად. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საზოგადო საქმეს აენებს საჯარო განხილვა. პირიქით, არასწორად მიგვაჩნია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მოუშზადებლად, განსჯის გარეშე მიღება. მიუხედავად იმისა, რომ მამაცნი ვართ, ჩვენ ჯერ კარგად დავგეგმავთ და შემდეგ ჩავიგდებთ თავს საფრთხეში, სხვებში კი უმეცარი შეზღუდულობაა გამბედაობის მიზეზი, ხოლო საღი განსჯა – გადაუწყვეტელობის. ნამდვილ ვაჟკაცად მხოლოდ ის შეიძლება მივიჩნიოთ, ვინც მწარეც იცის და ტკილიც და სწორედ ამის გამო არ გაურბის ხიფათს. გულკეთილობა ჩვენ განსხვავებულად გვესმის, ვიდრე ადამიანების უმრავლეს ნაწილს: მეგობრებს ვიძენთ არა იმის მიხედვით, რასაც ვიღებთ მათგან, არამედ იმით, თუ რა მეგობრობას ვიჩენთ მათ მიმართ. უფრო სანდო მეგობარი სწორედ ის არის, ვინც სამსახურს უწევს მეორეს და დამსახურებულ მადლიერებას ამავგრებს შემდგომი სამსახურით. ნაკლებ სანდოა კაცი, რომელიც კეთილ საქმეს ვალდებულების გამო აკეთებს და არა წრფელი გულით. ჩვენ ერთადერთი ვართ, ვინც სხვას უანგაროდ ეხმარება.

მოკლედ, მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი ქვეყანა სანიმუშოა მთელი ელადისათვის და თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია კარგად წარმოაჩინოს თავი სრულიად განსხვავებულ ვითარებაში. ჩემი სიგყვების სიმართლეს ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ძლევა მოსილება, რომელსაც სწორედ ჩვენი წყობის მეშვეობით მივაღწიეთ. თანამედროვე ქვეყნებიდან მხოლოდ ჩვენი არის სინამდვილეში იმაზე ძლიერი, რა სახელიც მას აქვს. მხოლოდ მის მგერს არ შერცხვება მისგან მარცხი, ხოლო მისი ქვეშევრდომი ვერ დაიჩივლებს მმართველთა არარაობას. ჩვენ დიდი საქმეებით დავადასტურეთ თანამედროვეთა და შთამომავლობის გასაოცრად ჩვენი ქვეყნის ძლევა მოსილება. ჩვენ განსაღიღებლად არ გვჭირდება ჰომეროსი. ჩვენმა სიმამაცემ გადაგვიშალა ზღვა და ხმელეთიც და ყველგან სამუდამო ძეგლი დაგვიდგა. სწორედ ასეთი ქვეყნისათვის დადეს თავი ამ მეომრებმა და ცოცხლად დარჩენილებიც ყველანი სიხარულით შევეწირებით მას.“

აქ დემოკრატია ძალზე მიმზიდველადაა წარმოდგენილი და, ცხადია, მისი ჟუნქციონირების ღეგალები არაა ჩამოთვლილი. მაგრამ აშკარაა მთავარი: ქვეყანას მართავს ხალხი და ეს ხალხი არის არა უსახური მასა, არამედ თავისუფალ ინდივიდთა ერთობლიობა.

თავად ამ სტრიქონების ავტორი თუკიდიდეც, აგრეთვე პლატონი, არისტოტელე და სხვა მოაზროვნეები, ვინც ოპტიმალურ სახელმწიფო მოწყობაზე დაფიქრებულა, არ იყვნენ აღტაცებული ათენური უსაზღვრო დემოკრატიით. მთელი ხალხის მონაწილეობა საერთო საქმეების გადაწყვეტაში სერიოზულ პრობლემებს ჰქმნიდა ექსტრემალურ სიტუაციებში, რამაც განსაკუთრებით პელოპონესის ომის დროს იჩინა თავი. შეიძლება გავისხენოთ სახალხო კრების ორი ურთიერთგამომრიცხველი გადაწყვეტილება მიტილენეს მოქალაქეთა დასჯის შესახებ, როდესაც მხოლოდ იღბალმა შეუნარჩუნა სიცოცხლე მთელი ქალაქის მოსახლეობას, ან ალკიბიადესა და დემოკრატიული ინსტიტუტების რთული ურთიერთობები, რომლებმაც ათენს ძლიერ ავნო ამ ომის მეორე ეტაპზე.

უკვე ძვ.წ. V საუკუნის მიწურულს ბერძნებში მომწიფდა იდეა, რომ სახელმწიფოს მართვაში შეზავებული უნდა იყოს დემოკრატიული (საერთო სახალხო), ოლიგარქიული (ელიტის მცირე ჯგუფისა) და ერთპიროვნული მმართველობის ელემენტები. ბერძნული პოლისების სამყაროში ამ იდეის რეალიზაციასთან ყველაზე ახლოს, ალბათ, სპარტა მიეიდა. მაგრამ, გამომდინარე სპარტის თავისებური სახელმწიფო და სამოგადოებრივი მოწყობიდან და საუკუნეების მანძილზე უცვლელი მკაცრი კანონმდებლობიდან, ის ამ გიპის მაგალითად, როგორც წესი, არ მოიხსენიება. ბერძენ მოაზროვნეთა შორის სპარტა მიჩნეული იყო ოლიგარქიულ პოლისად, რადგან ქვეყნის ოპერატიული მართვა უხუცესთა საბჭოსა და ეფორების ხელში იყო.

მმართველობის სხვადასხვა ფორმის ელემენტების ქმედითი შერწყმა დამახასიათებელია რომის რესპუბლიკისათვის. ლაშქრის საერთო კრება (აგრეთვე კომიციების, ცენტურიებისა თუ გრიბების კრებები) რომში ხალხის მმართველობის მექანიზმი იყო, სენატი წარჩინებულთა ჯგუფური ორგანო, ხოლო მაგისტრატები, პირველ რიგში, კონსულები ერთპიროვნულ ოპერატიულ მართვას ახორციელებდნენ. რომში ვხედავთ აგრეთვე ხელისუფლების დანაწილებას შტოებად – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო. იდეის სახით ეს წარმოდგენილია უკვე პოლიბიოსთან, რაც ატაცებულ და დახვეწილ იქნა განმანათლებლებისა (პირველ რიგში, მონტესკიე) და ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამების მიერ.

ბერძნული პოლისი ასე შორს არ წასულა, პირველ ყოვლისა, მისი ზომის – მოსახლეობის რაოდენობისა თუ გერიტორიის გამო. ყველაზე დიდი პოლისებიც კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი

მოქალაქისაგან შედგებოდა. ბევრი მათგანის მოქალაქეთა რიცხვი ათასსაყ კი არ აღწევდა. ასეთი რაოდენობის ხალხის შეკრება შესაძლებელი იყო თუნდაც ყოველდღიურად, მათ არ გაუჭირდებოდათ არც საკუთარი სახლიდან ცენტრალურ მოედნამდე მისვლა. მოქალაქეთა მცირე რიცხვისა და ხშირი შეხვედრების პირობებში არც ფუნქციათა მკაფიო გადანაწილება ან ამა თუ იმ ფუნქციის აღსასრულებლად სპეციალური მომზადება იყო საჭირო.

დიდ სახელმწიფოში ვითარება რადიკალურად იცვლება. აქ პირდაპირი დემოკრატია – ყველას მონაწილეობა ყველა პრობლემის გადაწყვეტაში უბრალოდ შეუძლებელია. შესაბამისად, ჩნდება ფუნქციათა მკაფიო დანაწილება, ფუნქციის მაგარებელს სჭირდება სპეციალური ცოდნა და მას გამოარჩევს სპეციალური გარეგნული ნიშნები – ჩაცმულობა, ამაღლის შემადგენლობა, აღჭურვილობა და სხვა. პარალელურად ჩნდება კოლექტიურ გადაწყვეტილებათა ფრაგმენტაციის პრაქტიკა. მცირე ჯგუფის თავყრილობაზე განიხილებოდა საკითხი და ირჩეოდნენ წარმომადგენელები, რომლებიც შემდეგ საერთო შეკრებაზე გამოხატავდნენ თავისი ჯგუფის ინტერესებს და იცავდნენ მის პოზიციას. ამ პროცესებს შეიძლება გაეადვილებოთ თვალი რომში და ეს ნიშნები დამახასიათებელია დღევანდელი ცივილიზებული სახელმწიფოებისათვის. რომაული პრაქტიკიდან შეიძლება გავიხსენოთ მაგისტრატებისა და სენატორების ჩაცმულობა, მოსასხამის ფერი, მათი თანმხლები პირების, მაგალითად, ლიტორების რაოდენობა და უნიფორმა, კურიების, ცენტურიების თუ ტრიბების კრებები, თუნდაც იმპერატორთა არჩევა ჯარის მიერ. დღევანდლობაშიც ვხედავთ უნიფორმასა და სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენებას, სახელმწიფო დაცვასა და განმასხვავებელ ნიშნებს საგრანსპორტო საშუალებებზე. განსაკუთრებით დაიხვეწა და ყოვლისმომცველი გახდა სხვადასხვა დონის არჩევითი კოლეგიები, სოფლის თვითმმართველობით დაწყებული და ქვეყნის პარლამენტით დასრულებული. არქაულ წარმომადგენლობით დემოკრატიასთან განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნების სისტემა. შესაბამისად, განსხვავებით ათენური „პირდაპირი დემოკრატისაგან“, დღევანდელ დემოკრატიას, რომელიც უფრო რომაულიდან იღებს სათავეს, „წარმომადგენლობითი“ შეიძლება ვუწოდოთ.

რამდენად კორექტულია ქართული მასალის, ფაქტობრივად, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შედარება ათენის

დემოკრატიასა და რომის რესპუბლიკასთან დემოკრატიულობის თვალსაზრისით?

ერთი შეხედვით, ეს ძალზე უცნაური იდეაა და ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ამგვარი შედარების სურვილი ადრე არც გაჩენილა.

მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ მტკიცედ გადაწყვიტა დაადგეს დემოკრატიული განვითარების გზას, როგორც უკვე აღინიშნა, ძალზე აქტუალური ხდება ჩვენი საზოგადოების, მისი წარსულის შესწავლა იმ კუთხით, რომ აღმოვაჩინოთ მიმართებები დემოკრატიასთან, მის ცალკეულ ელემენტებთან თუ გენდენციებთან. ამ ინტერესიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, შევადაროთ ქართული მასალა მსოფლიო დემოკრატიის მწვერვალებს შორეულ წარსულსა თუ დღევანდელობაში, სწორება ხომ მათზე უნდა მოხდეს. მაგრამ ისიც სრულიად ბუნებრივია, რომ დემოკრატია მაქსიმალურად ფართო გაგებით უნდა იქნას განხილული, რათა ეს შედარება შედეგიანი იყოს.

დღეს შედარებით ფართოდაა მიღებული მაქს. ვებერის დეფინიცია, რომლის თანახმადაც სახელმწიფო არის იძულებითი პოლიტიკური გაერთიანება ცენტრალიზებული მმართველობით, რომელსაც აქვს ძალის გამოყენების მონოპოლიური უფლება გარკვეულ ტერიტორიაზე. ამავედროულად, ჯერ კიდევ არის გოტელესა და შემდგომ განმანათლებელთა ნაშრომებში ეხვედებით აზრს, რომ სახელმწიფო არის/ უნდა იყოს “ადამიანთა მიერ საერთო სიკეთისათვის შექმნილი ერთობა”. მართლაც, ერთი მხრივ, ნებისმიერი, რაგინდ დემოკრატიული სახელმწიფო მიმართავს ლეგალურ ძალადობას თავის ცალკეულ წევრზე, მეორე მხრივ კი, ნებისმიერი, თუნდაც უაღრესად დესპოტიკური სახელმწიფო ვერ იქნება მდგრადი, თუ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებს მასში საკუთარი ინტერესის გარკვეულწილად დაცვა-დაკმაყოფილებას და ვერ ეგუება მას. შესაბამისად, დაწერილი თუ დაუწერიელი „სოციალური კონტრაქტი“ რაღაც დოზით გულისხმობს დემოკრატიას – თუ ხალხის მმართველობას არა, მმართველობას ხალხის თუნდაც ჩუმი თანხმობით მაინც.

ჩვენ გამოკვლევაში, ცხადია, არ წავალთ ისე შორს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო მეგ-ნაკლებად დემოკრატიულად გამოვაცხადოთ. ეს, სხვა თუ არაფერი, აზრს დაუკარგავდა ჩაგარებულ სამუშაოს. ჩვენი მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიხრებით იქით, რომ დავადგინოთ გარკვეული, მაქსიმალურად ფართო ფარგლები, რომლებშიც საზოგადოებას დემოკრატიული ეწოდება, ანუ

რომელსაც მართავს ხალხი – თავისუფალ ადამიანთაგან შემდგარი ერთობა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და გენდენციების გამოსაყენებლად განვიხილავთ როგორც ხალხის მმართველობას, ხალხის მიერ არჩეულ მოხელეებსა და კოლექტიურ/ წარმომადგენლობით ორგანოებს, ასევე იმ მექანიზმებსა და ორგანოებს, რომლებიც ხალხის ინტერესების დადგენისა და დაცვისკენ იყვანენ მიმართულნი. საბოლოო ჯამში დემოკრატიულ, სახალხო სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს ხალხის ინტერესებში მოქმედი, სამართლიანი სახელმწიფო, დამოუკიდებლად იმისაგან, რა კონკრეტული ინსტიტუტების მეშვეობით ხორციელდება ხალხის მონაწილეობა ქვეყნის მართვაში.

თუ საკითხს ასე შევხედავთ, ქართული და ანტიკური მასალის შედარებას არა მარტო აზრი აქვს, არამედ ამ შედარების საკმაოდ საინტერესო შედეგებიც იკვეთება.

სახელმწიფო მოწყობის დონეზე მსგავსებები შეიძლება აღმოვაჩინოთ ადრეულ პოლისებსა და ქართულ თემს შორის, რომელიც შეიძლება ადვანსინოთ ანტიკური წყაროებისა თუ ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით. სახალხო კრების, არჩეული მოხელეებისა თუ სათათბირო-საბჭოების ფუნქციები ათენში, რომში და ქართულ მთაში თითქმის იდენტურია. გარკვეული ეგაპიდან ანტიკურ ცენტრებში იხევეება პროცედურები და რთულდება მმართველობითი სტრუქტურები, სამოხელეო აპარატი. ათენში ტახტის სოლონიის რეფორმები წარმოადგენს, რომში ანალოგიური ცვლილებები სერვიუს ტულიუსს მიეწერება, თუმცა, რეალურად, ამაზე გვიანი რესპუბლიკის დროიდან შეგვიძლია საუბარი. მაგრამ, სახალხო მმართველობა პრინციპულად იმავე სქემით ხორციელდება.

ქართული ფეოდალური სახელმწიფო ნაწილობრივ ინარჩუნებს მთიანი რეგიონების თუ ქალაქების თვითმმართველობას, მის ცალკეულ ელემენტებს, რაც ადგილობრივ გრადიციასაც შეიძლება ეფუძნებოდეს და ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ გავლენასაც.

სამოხელეო აპარატი ყველაზე განვითარებული სახით, ცხადია, რომშია წარმოდგენილი. ეს ეხება როგორც მოხელეთა რაოდენობას, მათ ნაირსახეობებს, ასევე მათი ფუნქციების მუსგ გაწერას, მათ ქმედებათა დახვეწილ რეგლამენტაციას. რომაელ მოხელეთა შორის წარმოდგენილი არიან სხვადასხვა დონის არჩევითი და დანიშნითი თანამდებობის პირები. ბერძნული პოლისების სამყაროში ჭარბობენ არჩევითი მოხელეები, ხოლო დანიშნული თანამდებობის პირი, როგორც წესი, მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და ხშირად მისი შერჩევა ხდებოდა არამოქალაქეთა წრიდან. ქართულ სინამდვილეში,

ფეოდალურ სამეფოშიც კი, ვხვდებით როგორც დანიშნებით, ასევე არჩევით თანამდებობის პირებს. ამ უკანასკნელთ ანტიკური სამყაროს არჩევითი მაგისტრატებისაგან განსხვავებას ეადა, უფრო სწორად, თანამდებობაზე ყოფნის ვადის რეგლამენტაციის არარსებობა.

ძალზე საინტერესოა მსგავსებები სოციალური ფენების ღონებზე, პირველ რიგში, მათი სახელდების პრინციპი. ერთი შეხედვით, ანტიკურ სამყაროში აღამიანთა ძირითადი დაყოფა, ძველი აღმოსავლეთის მსგავსად, იყო თავისუფალსა და არათავისუფალს შორის. მაგრამ თავისუფალი აღამიანები, მიუხედავად ერთგვარი თანასწორობისა პოლიტიკური უფლებების თვალსაზრისით, ანტიკურ პოლისებში იყოფოდნენ სახელდებულ ფენებად, წოდებებად. აღამიანის კუთვნილება ამა თუ იმ ფენისადმი განისაზღვრებოდა მისი წარმომავლობითა და ქონებრივი მდგომარეობით. ამაზე იყო დამოკიდებული რა ძალითა და აღჭურვილობით გამოვიდოდა იგი ომში, შესაბამისად, მისი ღირებულება თანამოქალაქეთათვის. შესაბამისად ფასობდა მისი სიგყვაც ხალხის წინაშე და შესაბამისი „საერო“ თანამდებობა შეიძლებოდა მიეღო მას ხალხისაგან. რიგ შემთხვევაში, მაგ., სოლონის ათენში თუ რესპუბლიკურ რომში, კანონი ქონებრივ ცენზთან აკავშირებდა პირის პოლიტიკურ უფლებას – მისი ხმის „წონას“ თუ თანამდებობაზე მისი არჩევის შესაძლებლობას. ათენში უკვე ძვ.წ. VI საუკუნის მიწერულს დამყარდა ისონომია – ყველა მოქალაქე გათანაბრდა პოლიტიკურ უფლებებში, მაგრამ კიდევ დიდხანს, თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვან თანამდებობებზე მეტწილად წარჩინებული გვარის წარმომადგენლებს ირჩევდნენ. ეს გასაგებიცაა: მათ ხალხი უკეთ იცნობდა, მათ ჰქონდათ გამოცდილება, შეიღის კარგად აღზრდის შესაძლებლობა და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ქონება, რომელსაც ხშირად საერთო კეთილდღეობას ახმარდნენ. მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბევრ თანამდებობაზე არჩევა კენჭისყრით შერჩევამ ჩაანაცვლა. მხოლოდ ამ სიახლემ გაუხსნა უგვარო და უქონელი ფენების წარმომადგენლებს გზა თანამდებობებისაკენ.

ანტიკურ ქვეყნებს, მათ შორის, პოლისებამდელ მიკენურ სამყაროსაც, სახელდებული ფენების, წოდებების არსებობა აახლოვებს ქართულ თუ ევროპულ ფეოდალურ საზოგადოებებთან და მკვეთრად მიჯნავს ძველადმოსავლური სახელმწიფოებისაგან, სადაც „თავისუფალ კაცთა“ დაყოფა მხოლოდ მეფის კარზე მათი თანამდებობით ხდებოდა.

გარდა სხვადასხვა ირაციონალური ახსნისა, რაც შეიძლება ეთნიკურ/ეროვნულ თავისებურებებად განზოგადდეს, ამგვარი პრაქტიკა ამ ხალხების თუ საზოგადოების საარსებო გარემოსა და

შესაბამისი ეკონომიკური სისტემების განსხვავებულობითაც შეიძლება იყოს განპირობებული.

ძველ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ე.წ. „დიდი მდინარეების ცივილიზაციებში“, გეოგრაფიული გარემო, კერძოდ, მდინარეთა პერიოდული აღილება უზრუნველყოფს მიმდებარე მიწების ნაყოფიერებას და მათზე წელიწადში რამდენიმე მოსავლის მოწვევის საშუალებას იძლევა. კარგად ორგანიზებული, დარამული შრომით ადამიანი უკვე ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ახერხებს მდინარეების მახლობლად ისეთი საირიგაციო სისტემების აგებას, რომლებიც უზრუნველყოფდა სარწყავი წყლით მაქსიმალურად დიდ გერიგორიას და იცავდა დასახლებებს წყალდიდობისგან. ასეთ საშუაოს სჭირდება ორგანიზატორი, რომელსაც ექნება, ერთი მხრივ, ხალხის დიდი მასის მართვისა და რთული საინჟინრო ნაგებობების შენების გამოცდილება, მეორე მხრივ, იძულების ეფექტური მექანიზმები. ასეთ საზოგადოებებში საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ყალიბდება ცენტრალიზებული ბიუროკრატიული მმართველობა. ეს მმართველობა უზრუნველყოფს ადამიანის ძირეულ სასიცოცხლო მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, შესაბამისად, ერევა კიდევ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და ადამიანის პირადი თავისუფლებისათვის მინიმალურ სიერეს გოვებს.

ამის საპირისპიროდ, იმ რეგიონებში, სადაც ადამიანს ან ოჯახს დამოუკიდებლად შეეძლო თავის გამოკვება, ადამიანის პირადი თავისუფლება და კერძო საკუთრება მეტად ფასობდა, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინსტიტუტები კი უფრო მოკრძალებულ როლს სჯერდებოდნენ და შედარებით დემოკრატიულად ფუნქციონირებდნენ.

ცალკეულ დეტალში ანტიკური და ქართული ეკონომიკების შედარება სხვადასხვა სურათს გვაძლევს. მაგრამ მსგავსება ეკონომიკის საფუძველშია – კერძო საკუთრება და კერძო ინიციატივა.

სამართლის სფეროში ანტიკურობამ კაცობრიობის ისტორიაში რევოლუცია მოახდინა. ძველ სამყაროში სამართალი ღმერთების მიერ დადგენილი სამყარო წესრიგის ფარგლებში მოიაზრებოდა. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება მკრეხელობად მიიჩნეოდა და სერიოზულ ლეგიტიმაციას საჭიროებდა. როგორც წესი, საკანონმდებლო ცვლილებები ან ძველი, მივიწყებული წესრიგის აღდგენის ფორმით გარდებოდა ან ღმერთის მიერ „საკუთარი ნების გამოცხადების“ შედეგად. ბერძნებმა დაადგინეს, რომ ადამიანებს აქვთ უფლება, იცხოვრონ იმ წესების მიხედვით, რომლებსაც თვითონ შეიმუშავენ და შეათანხმებენ. „კანონშემოქმედების უფლება“ ორლესული იარაღია – ერთი მხრივ, ის იძლევა საშუალებას, რომ

საზოგადოება შეიცვალოს დროის მოთხოვნათა შესაბამისად, მეორე მხრივ, წესების ხშირი ცვლა ღესგაბილიზაციისა და კანონის ბოროტად, უსამართლოდ გამოყენების შესაძლებლობას აჩენს. რომაელმა იურისტებმა არა მხოლოდ დახვეწეს კანონები, არამედ შეიმუშავეს სამართლის უნივერსალური საფუძვლები და პროცედურები, რის გამოც რომაული სამართალი ღვევანღელი ცივილიზებული სამყაროს სამართლებრივ სისტემების ამოსავალი გასღა.

ქართული სამართალი თავის დახვეწილობით, ცხადია, ვერ მოვა რომაულთან, მაგრამ შეიძლება დაეინახოთ სერიოზული მსგავსებებიც. მთის ჩვეულებითი სამართალი პრინციპების ღონებზე საკმაოდ ახლოსაა რომაული სამართლის პრინციპებთან ორი მიზეზის გამო: 1. ორივე საზოგადოება, როგორც უკვე აღინიშნა, ეფუძნება პიროვნებისა და მისი საკუთრების პატივისცემას; 2. ჩვეულებითი სამართალი, ფაქტობრივად, ის უნივერსალური პრინციპებია, რომელთა შესწავლა-ღამუშავებით შეიმუშავეს რომაელებმა სამართლის საფუძვლები. რაც შეეხება ქართული ფეოღალური სამეფოს სამართალს, ის გარკვეულ მსგავსებას იჩენს ძველღმოსავლური თუ საღიკური, შეღარებით „პრიმიტიული“ სამართლის ძეგლებთან, მაგრამ აშკარად საზრღოობს რომაული სამართლითაც – ქრისტიანული და ბიზანტიური გრადიციის მეშვეობით.

ქალი და ოჯახი – ამ სფეროში შეღარებისას ქართული საზოგადოება არ გამოღის შერცხენიღი. პარადოქსია, მაგრამ ყველაზე უფუღებო მღგომარეობაში ქალი ყველაზე თავისუფალ და ღემოკრადიულ ათენში იყო. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებაში, საღაც ომი ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენღა, ხოლო საზოგადოების უმცირეს უჯრეღად მაინც უფრო ოჯახი განიხილებოღა, ვიღრე პიროვნება, ქალისა და მამაკაცის უფლება-მოვალეობები სხვაგვარად აღიქმებოღა, ვიღრე ღღეს არის მიჩნეული ნორმად (ან უფრო, სასურველ ორიენტირად).

ღემოკრადიული რეფორმები ანტიკურ სამყაროში საუკუნეების მანძიღზე მიმღინარეობღა, სანამ ხალხის მმართივეღობა ათენსა თუ რომში თავის კლასიკურ, მაგრამ არა სრულყოფილ, დასრულებულ სახეს მიიღებღა. დასრულებული ღემოკრადია, აღბათ, არც არსებობს, რადგან ეს, პირველ რიგში, პროცესია. ქართულ ფეოღალურ მონარქიაში ვხვღებით არაერთი მოღვაწეს, რომღის სახელმწიფო თუ რელიგიური რეფორმები შეიცავღა ღემოკრადიულ ელემენტებსა თუ ხალხის ინტირესების გათვალისწინება-ღაციის მექანიზმებს.

პირველი შესაძლებლობისთანავე, 1918 წელს ქართულმა საზოგადოებამ მოიწონა და ნაწილობრივ გააგარა დემოკრატიული რეფორმები, რომლებიც მრავალი თვალსაზრისით მოწინავე იყო იმ დროის ცივილიზებული სამყაროსათვის და მას მერეც არაერთხელ გამოთქვა სურვილი გამხდარიყო დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილი. როგორც ქვემოთ მოგანილი მასალა აჩვენებს, ეს არის არა მხოლოდ ირაციონალური სწრაფვა იმ სივრცისაკენ, რომელიც დღეს წარმატებულად გამოიყურება, არამედ სავსებით ლოგიკური გრძნობა ერთობისა სამყაროსთან, რომელთანაც ათასწლეულთა მანძილზე გვაკავშირებდა იდეოლოგია, საზოგადოებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მოწყობის პრინციპები. შესაბამისად, დემოკრატიული ელემენტები თუ გენდენციები უცხო არ იყო ქართული საზოგადოებისათვის, რაც იმის იმედს იძლევა, რომ საქართველოში ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრება მხოლოდ ოცნებად არ დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

ტექსტების გამოცემები და ლექსიკონები:

1. ანტიკური კავკასია – ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, ტომი I: წყაროები, თბილისი 2010.
2. თუკიდიდე – თუკიდიდე. ისტორია. ლ. გორდემიანის თარგმანი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2007.
3. AKA – E.A.W. Budge and L.W. King, *Annals of the Kings of Assyria*, I, London 1902.
4. ARAB – DD. Luckenbill, *Ancient Records of Assyria and Babylonia*, Chicago, I – 1926, II – 1927.
5. BE 20 – *Brockhaus Enzyklopädie*, Bd. 20, Mannheim, 1993.
6. Boisacq 1950 – *Dictionnaire étymologique de la langue grecque*. 4e édition augmentée d'un index par Helmut Rix, Heidelberg, 1950.
7. CIM – A. Sacconi. *Corpus delle iscrizioni in Lineare B di Micene*. Roma, 1974.
8. CIV – A. Sacconi. *Corpus delle iscrizioni vascolari in Lineare B*. Roma, 1974.
9. COMIK – J. Chadwick, L. Godart, J.T. Killen, J.-P. Olivier, A. Sacconi, I.A. Sakellarakis. *Corpus of Mycenaean Inscriptions from Knossos*. Cambridge, Rome. Vol. I (NN 1-1063) 1986, Vol. II (NN 1064-4495) 1990.
10. CTU – M. Salvini, *Corpus dei testi urartei*, 3 vol., CNR, Istituto di studi sulle civiltà dell'Egeo e del Vicino Oriente, Roma 2008 = Salvini 2008.
11. DELG – P. Chantraine. *Dictionnaire étymologique de la langue grecque*, I, Paris, 1968.
12. DMic – *Diccionario Griego-Español. Anejo I. Diccionario micénico*. I-II. Redactado por F. Aura Jorro, Bajo la dirección F.R. Adrados. Madrid. I – 1985, II – 1993.
13. DNP – *Der Neue Pauly*.
14. EDS – *The Encyclopedic Dictionary of Sociology*. IV Ed. Ed. R. Lachmann, Guilford, 1991.
15. *Geschichtliche Grundbegriffe – Geschichtliche Grundbegriffe. Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland*, hrsg. v. O. Brunner, W. Conze, R. Koselleck, I, 1972.
16. Hallager, Vlasakis 1990 – E. Hallager, M. Vlasakis et al., The First Linear B Tablet(s) from Khania, *Kadmos* 29, 1990, 24-34.
17. 1992 – E. Hallager, M. Vlasakis et al., New Linear B Tablets from Khania, *Kadmos* 31, 1992, 61-87.
18. HED – J. Puhvel. *Hittite Etymological Dictionary*, Berlin, New York, Amsterdam 1984-.
19. *Homeri opera*. Ed. D.B. Monro, Th.W. Allen. Oxford, 1920³.
20. KAH – *Keilschrifttexte aus Assur historischen Inhalts*. I-II, Leipzig 1922.
21. KT 4 – J. Chadwick, J.T. Killen, J.-P. Olivier. *The Knossos Tablets*. Cambridge, 1971.

22. KT 5 – J.T. Killen, J.-P. Olivier. *The Knossos Tablets*. Suplementos a Minos 11. Salamanca, 1989.
23. KUB – *Keilschrifturkunden aus Boghazköi*, Berlin. 1921- 1990.
24. КУКН – Н.В. Арутюнян, *Корпус урартских клинообразных надписей*, Гитутюн, Ереван 2001 = Арутюнян 2001.
25. Laroche 1959 – E. Laroche. *Dictionnaire de la langue louvite*. Paris.
26. Lampe – *A Patristic Greek Lexicon*. Ed. by G.W.H. Lampe. Oxford, 1982⁶.
27. *Lexicon Homericum* – H. Ebeling. *Lexicon Homericum*. Lipsiae, I, 1885, II, 1880.
28. Liddell-Scott – *A Greek-English Lexicon*. Compiled by H.G. Liddell and R. Scott, Revised and augmented throughout by sir H.S. Jones, R. McKenzie, Oxford, 1978.
29. MGV – The Mycenaean Greek Vocabulary I. by J. Chadwick, L. Baumbach. *Glotta* 41, 1963, 157ff.; The Mycenaean Greek Vocabulary II, by L. Baumbach. *Glotta* 49, 1971, 151ff.
30. MT II – The Mycenae Tablets II. ed. E.L. Bennett (with an introduction by A.J.B. Wace and E.B. Wace; translations and commentary by J. Chadwick). *Transactions of the American Philosophical Society* 48, 1, Philadelphia, 1958, 1-112.
